ნოდარ აბელაშვილი

პროდუქციის ხარისხის აუდიტი და ექსპერტიზა საბაჭო სისტემაში

თბილისი 2011

საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლისათვის ბოლო წლებში განხორციელებული ღონისძიებები საერთაშორისო ვაჭრობის, ტურიზმის, საინვესტიციო პოლიტიკის გლობალური ინტეგრაციული პროცესების გარეშე წარმოუდგენელია, რაც საბაჟო სტრუქტურების დახვეწილ, ეფექტურ და მსოფლიო პრაქტიკაში კარგად აპრობირებული მეთოდებისა და მიდგომების დანერგვას გულისხმობს. ამ თვალსაზრისით დღეისათვის მეტად აქტუალურად გვეჩვენება საქართველოში მიმდინარე საბაჟო–საგადასახადო სისტემის რეფორმისა და გაფორმების ერთიანი ეკონომიკური ზონების შექმნის ფონზე პროდუქციის ხარისხის აუდიტთან და ექსპერტიზასთან დაკავშირებული საკითხების წინა პლანზე წამოწევა.

სახელმძღვანელო შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საზომი ტექნიკის, ექსპერტიზისა და ხარრისხის მართვის მიმართულების შესაბამისი დისციპლინის აპრობირებულ პროგრამას და განკუთვნილია ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების, საერთაშორისო ბიზნესის მკვლევარი სპეციალისტებისა და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

რეცენზენტები:

სტუ, საზომი ტექნიკის, ექსპერტიზისა და ხარისხის მენეჯმენტის მიმართულების ხელმძღვანელი,

ი.ზედგინიძე

სრული პროფესორი

თსუ, ასოცირებული პროფესორი Ph.D,
“საქართველოს ეკონომიკის” მთ. რედაქტორი,
ექსპერტი ე.ჯგერენაია

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი *7*

ა. ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობა და მისი კავშირი მსოფლიო ეკონომიკასთან 7

ბ. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები და მათი სტიმულირების ფორმები 10

1. ხარისხის აუდიტის სისტემა საბაჟო ურთიერთობებში *14*

1.1. საბაჟო საქმის განვითარება საქართველოში 14

1.2. აუდიტის ცნება, მიზანი, ამოცანები 17

1.2.1. ხარისხის აუდიტის არსი 21

1.2.2. პროდუქციის ხარისხის აუდიტის ადგილი საბაჟო სისტემაში 25

1.2.3. აუდიტის განვითარების ისტორია, სტრუქტურა და ორგანიზაცია 28

1.2.4. სერტიფიკაცია, როგორც პროდუქციის ხარისხის აუდიტის იარაღი 29

1.3. საერთაშორისო კონტრაქტი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველი 33

1.3.1. საკონტრაქტო სამართლის წყაროები 36

1.3.2. საერთაშორისო სავაჭრო კონტრაქტის შემადგენელი ნაწილები 37

2. ხარისხის სისტემა ლოჯისტიკურ ურთიერთობებში *52*

2.1. სატრანსპორტო გადაზიდვები, როგორც ლოჯისტიკური რგოლის შემადგენელი ნაწილი 52

2.1.1. ტვირთების შეფუთვისა და კლასიფიკაციის სისტემა 57

2.1.2. საქონლის მარკირების სახეები 61

2.1.3. შტრიხული კოდირება ლოჯისტიკურ სისტემაში 74

2.2. საბაჟო ურთიერთობები გადაზიდვის საერთაშორისო პირობებით 78

ტრანსპორტირების საერთაშორისო კონვენცია „ინკოტერმსი" 79

2.2.2. საბაჟო ურთიერთობები **TIR** და **ATA(CPD)** კარნეტის კონვენციით გადაზიდვებისას 107

3. საბაჟო საქმიანობის ორგანიზაცია და კონტროლი *114*

3.1. საბაჟო პოლიტიკა, არსი, მიზნები 114

3.2. საბაჟო ორგანოების მართვის სისტემა 116

3.2.1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემა 120

3.2.2. შემოსავლების სამსახურის საბაჟო ორგანოები და მისი სისტემა 121

3.3. საბაჟო რეჟიმები 125

3.3.1. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის ძირითადი პრინციპები 125

3.3.2. საბაჟო რეჟიმების სახეები 127

3.3.3. სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა 136

3.4. საბაჟო გადასახდელების სისტემა 137

3.4.1. ზოგადი დებულებები 137
3.4.5. საბაჟო გადასახადის დარიცხვა და გადახდევინება 143
3.4.6. საქონლის საბაჟო ღირებულებისა და წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა 144
3.4.7. საბაჟო მოსაკრებლები 146
3.4.8. დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) 149
3.4.9. აქციზი 151
3.5. საბაჟო გაფორმება 153
3.5.1. საბაჟო გაფორმების ძირითადი პრინციპები 153
3.5..2. საბაჟო დეკლარირება. საბაჟო დეკლარაციის სახეები 154
3.5.3. საბაჟო გაფორმების პროცედურები 160
3.5.4. საბაჟო გაფორმების წინასწარი ოპერაციები 161
3.5.5. საბაჟო ბროკერი 162
3.5.6. საბაჟო გადამზიდველი 164
3.6. საბაჟო კონტროლი 166
3.6.1. საბაჟო კონტროლი და მისი სახეები 166
3.6.2. საბაჟო კონტროლის მეთოდები 167
3.6.3. საბაჟო კონტროლის განხორციელების ფორმები 168
3.6.4. საერთაშორისო საფოსტო გზავნილების კონტროლი 171
3.6.5. საბაჟო კონტროლის ტექნიკური და საიდენტიფიკაციო საშუალებები 171
3.6.6. პირადი გასინჯვა 173
3.6.7. საბაჟო შემოწმების ვადები 174
3.6.8. საბაჟო კონტროლის შეთანხმება კონტროლის სხვა სახეებთან 175
3.6.9. სამხედრო ტვირთების საბაჟო კონტროლი 177
3.6.10. სტრატეგიული მნიშვნელობის საქონლის საბაჟო კონტროლი 178
3.7. საბაჟო სტატისტიკა. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა 180
3.7.1. საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოება 180
3.7.2. შემოსავლების სამსახურის საბაჟო ორგანოების სტატისტიკის სამსახური 182
3.7.3. ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობის სტატისტიკა 183
3.7.4. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა 184
4. ექსპერტიზები საბაჟო კონტროლის სისტემაში 187
4.1. სასაქონლო ნომენკლატურის არსი და მისი კავშირი საქონლის კლასიფიკაციასთან 187
4.2. საერთაშორისო ვაჭრობის საკლასიფიკაციო სისტემები და ნომენკლატურების ოჯახი 188
4.2.1. ეკონომიკური მოღვაწეობისა და პროდუქციის სახეობების კლასიფიკაციის გაერთიანებული სისტემა ISCA 191
4.2.2. საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი 191
კლასიფიკაცია ISIC Rev.3 191

4.2.3. ძირითადი პროდუქტების საერთაშორისო კლასიფიკაცია CPC 192
4.2.4. საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა 193
4.2.5. ევროკავშირის ქვეყნების კომბინირებული ნომენკლატურა 199
4.2.6. საერთაშორისო ეკონომიკური მოღვაწეობის სასაქონლო ნომენკლატურა 200
4.2.7. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის ინტერპრეტაციის ძირითადი წესები 203
4.3. საქონლის რაოდენობისა და ხარისხის ექსპერტიზა საბაჟოში 204
4.4. საქონლის გაგზავნისწინა ინსპექცია 213
4.5. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის ექსპერტიზა 215
4.6. საქონლის ექსპერტიზა გადამუშავების საბაჟო რეჟიმში 219
4.7. მანქანების, მოწყობილობებისა და სატრანსპორტო საშუალებების ექსპერტიზა 226
4.8. ინტელექტუალური საკუთრების საბაჟო ექსპერტიზა 230
4.8.1. ტექნიკის ობიექტებისა და საინფორმაციო პროდუქტების ექსპერტიზა 234
5. საბაჟო სტარიფო და არასტარიფო რეგულირების საფუძვლები 245
5.1. არასტარიფო რეგულირების საბაჟო ღონისძიებები 245
5.2 საბაჟო ღირებულება – ცნება და დანიშნულება 256
5.2.1. ფასწარმოქმნის მექანიზმები მსოფლიო ბაზარზე 257
5.3. საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მსოფლიო პრაქტიკა 262
6. საბაჟო საქმის სამართლებრივი საფუძვლები 265
6.1. საბაჟო სამართლის ცნება, საგანი, სისტემა 265
6.2. საერთაშორისო საბაჟო სამართალი 267
ლიტერატურა 270

შესავალი

ა. ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობა და მისი კავშირი მსოფლიო ეკონომიკასთან

ყოველი ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობათა პოტენციალი მნიშვნელოვნად განისაზღვრება საგარეო სავაჭრო–ეკონომიკური კავშირების ინტენსივობით, მოცულობითა და ამ ბრუნვაში ჩართული რესურსების სახეობებით, რომელთა ურთიერთ თანაფარდობის მიხედვით განისაზღვრება ქვეყნების საიმპორტო და საექსპორტო პროფილი.

მსოფლიო თანამეგობრობის ყოველი ქვეყანა ცდილობს იმპორტის მაჩვენებლების ექსპორტის დონით დაბალანსების შესაძლებლობა იქონიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკის დაუბალანსებლობა შეიძლება ცალკეული რეგიონებისა თუ ქვეყნებისათვის, ეკონომიკური არასტაბილურობისა და შესაბამისად, პოლიტიკური და სოციალური დესტაბილიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორი გახდეს. აქედან გამომდინარე, მიუხედავად ცალკეული ქვეყნების მერკანტილური ინტერესებისა მსოფლიო ეკონომიკის მთავარ მიზანს დაბალანსებული ნაციონალური ეკონომიკის შექმნა წარმოადგენს. რა თქმა უნდა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ აღარ იარსებებს ეკონომიკური, სავაჭრო და პოლიტიკური ხასიათის წინააღმდეგობები, მაგრამ მათი გადაჭრის, მოგვაარების მშვიდობიანი, კომპრომისული ურთიერთმისაღები გზა ისეთივე საჭირო და აუცილებელია განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, როგორც ნაკლებად განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისათვის. როგორც ავღნიშნეთ, დაბალანსებული ეკონომიკის შექმნა ყველა ქვეყნის ინტერესების სფეროში შედის ისე, რომ ექსპორტის მოცულობა რანდენადმე აღემატებოდეს იმპორტის მოცულობას, რაც მსოფლიო ეკონომიკის, პროდუქციის ხარისხის ზრდის, ეკოლოგიური პარამეტრების გაუმჯობესების, წარმოების ავტომატიზაციისა და ინტენსიფიკაციის განვითარების შედეგად თვითღირებულების, სარეალიზაციო ფასის შემცირების მძლავრ სტიმულატორს წარმოადგენს და ქვეყნებს შორის ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. დღესდღეობით თუ ამ კონკურენციულ ბრძოლას ქვეყნებმა შეიძლება გაუძლონ ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციისა და რეალიზაციის მეშვეობით (რომლის მარაგი გამოულეველი არ არის) მომავალში ქვეყნის დაბალანსებული ეკონომიკისათვის შეიძლება ეს ფაქტორიც არ იყოს საკმარისი, რადგან სამეცნიერო–ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის წყალობით, მასალებისა და ნედლეულის ფასის ხვედრითი წილი მონოტონურად მცირდება მზა პროდუქციის მთლიან ღირებულებაში, რაც საბოლოოდ თითოეულ ქვეყანას აიძულებს ჰქონდეს განვითარებული სამრეწველო, ტექნოლოგიური და სამეცნიერო პოტენციალი, რომლის არსებობის მთავარი პირობა ქვეყნებს შორის სავაჭრო–ეკონომიკური თანამშრომლობაა, ეს კი თითოეული მათგანის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა გაღრმავებას და მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის ზრდას იწვევს, შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული ქვეყნების საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა მსოფლიო ეკონომიკას ქმნის.

საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის მაჩვენებელი ქვეყნის ეკონომიკური წარმატების უპირველესი ნიშანია, რაც მეტია საგარეო ვაჭრობის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაში, მით უფრო წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყანა. საგარეო ვაჭრობა გულისხმობს ქვეყნის როგორც

ექსპორტს ასევე იმპორტსაც, ანუ რაც უფრო ინტენსიურია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო გაცვლის, სავაჭრო ინტეგრაციის პროცესი, ეკონომიკურად მით უფრო მაღალ საფეხურზე მდგომად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყანა. ასეთი სახის ინტეგრაცია ნიშნავს, რომ ქვეყანა ჰარმონიულად ავითარებს როგორც საექსპორტო პოტენციალს ასევე მზადაა გარკვეული სახსრები გამოიყენოს იმპორტის ოპერაციებისათვის.

ექსპორტისა და იმპორტის წარმოშობის ერთ–ერთი მთავარი მიზეზი ქვეყნის საზოგადოებრივად აუცილებელი პროდუქტებით გაჯერება, ანუ სიუხვეა, შეიძლება ითქვას, რომ რაც მაღალია ამა თუ იმ საზოგადოებრივად აუცილებელი პროდუქტით ქვეყნის გაჯერების ხარისხი, მით მაღალია მისი საექსპორტო პოტენციალი, ხოლო ქვეყნის შიგნით გაჯერების დაბალი დონე, დეფიციტი, იმპორტის წარმოშობის მთავარი წყაროა. გაჯერების ხარისხი, ანუ სიუხვე თავის მხრივ, რესურსების არსებობაზე მის რაციონალურ მართვაზე და გამოყენების ეფექტურობაზეა დამოკიდებული. რესურსების არათანაბრობა, რომელიც მრავალ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორზეა დამოკიდებული შრომის საერთაშორისო დანაწილებას იწვევს. მისთვის აუცილებელი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ, საზოგადოების სწრაფვა საერთა-შორისო ვაჭრობის განმსაზღვრელი ფაქტორია, ხოლო მისი განვითარების საფუძველი – შრომის საერთაშორისო დანაწილებაა.

შრომის საერთაშორისო დანაწილება საზოგადოებრივ-ტერიტორიული შრომითი დაყოფის უმაღლესი ფორმაა, რომლის დროსაც ცალკეული ქვეყნების საწარმოო სპეციალიზაცია პროდუქციის ცალკეული სახეობების მიხედვით ხორციელდება. როგორც ავღნიშნეთ ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით, ბუნებრივი რესურსების, ნედლეულისა და ენერგიის წყაროების, სურსათ-სანოვაგის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, ნაციონალური ბაზრის გაჯერების არათანაბრობა შრომის საერთაშორისო დანაწილების მიზეზია. ქვეყნების საწარმოო პოტენციალის განვითარება ხელს უწყობს შრომის დანაწილების პროცესის კიდევ უფრო მეტ დიფერენციაციას, იზრდება ქვეყნების საწარმოო სპეციალიზაცია, რაც თავის მხრივ იწვევს მათ შორის კოოპერაციის გაფართოებას. საბოლოოდ ეს პროცესი გასცდება რა ერთი ქვეყნის ნაციონალურ საზღვრებს გლობალურ, საერთაშორისო მასშტაბებს იძენს.

საერთაშორისო ვაჭრობა ეკონომიკური სტიმულატორის როლს ასრულებს, მისი საშუალებით ეკონონიკის ამა თუ იმ სფეროში, იზრდება ქვეყნების სპეციალიზაციის დონე, ხოლო ის პროდუქცია რომელიც ამ ქვეყანაში არ იწარმოება, იმპორტის ობიექტი ხდება. ამას გარდა, საერთაშორისო ვაჭრობა ხელს უწყობს სამეცნიერო–ტექნიკურ პროგრესს, ახალი იდეების, საწარმოო პროცესებისა და ტექნოლოგიების გავრცელებას მუდმივი კონკურენტული ბრძოლის პირობებში თვისობრივად ახალი, მაღალი ხარისხის და იაფი პროდუქციის შექმნას. როგორც ავღნიშნეთ, საერთაშორისო ვაჭრობა ეკონომიკური განვითარების ყველაზე საიმედო მაჩვენებელია. მსოფლიო სავაჭრო პროცესებისაგან მოწყვეტილი რეგიონების ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპები უფრო დაბალია ვიდრე დანარჩენი მსოფლიოსი. ამის ნათელი მაგალითი ყოფილი საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებია. ანალოგიური პროცესები მეტ–ნაკლები სიმწვავით ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაშიც თვალშისაცემია, ხოლო საერთაშორისო ვაჭრობის პროცესში აქტიური ჩართვის საუკეთესო მაგალითებს დასავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის და სამხრეთაღმოსავლეთ აზიის ქვეყნები იძლევიან. მათგან ანერიკის შეერთებული შტატების, იაპონიისა და გერმანიის წილად მსოფლიო ეკონომიკის 70% მოდის მაშინ, როდესაც ისინი მსოფლიო მოსახლეობის 9%-ით არიან დასახლებულნი, ფლობენ მსოფლიო შემოსავლების ნახევარს და მსყიდველობითი უნარიანობის მესამედს.

საერთაშორისო ვაჭრობამ განსაკუთრებით აქტიური სახე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიიღო. განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები ამ პროცესებიდან საკმაოდ სოლიდურ შემოსავლებს იღებენ.

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ყველაზე ნათელ მაგალითს მისი მოცულობის ზრდა წარმოადგენს, რომელიც გაცილებით სწრაფად იზრდება ვიდრე მსოფლიო შემოსავლების რაოდენობა. საგარეო ეკონომიკური კავშირები სულ უფრო და უფრო დიდ როლს თამაშობენ როგორც ეკონომიკურად განვითარებულ ასევე განვითარებადი ქვეყნებისათვის. ამ ქვეყნებში ერთიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში ექსპორტის ხვედრითი წილი მკვეთრად გაიზარდა, შედეგად საერთაშორისო ვაჭრობამ თვითეული ქვეყნის ეკონომიკაში არნახული ადგილი მოიპოვა. საგარეო ვაჭრობის დამახასიათებელი კატეგორიებია ექსპორტი და იმპორტი.

<u>ექსპორტი</u> ეს არის საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, ინტელექტუალური შრომის შედეგის, მათ შორის მათზე განსაკუთრებული უფლების საბაჟო ტერიტორიიდან საზღვარგარეთ, უკან დაბრუნების ვალდებულების გარეშე გატანა.

<u>იმპორტი</u> ეს არის საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, ინტელექტუალური შრომის შედეგის, მათ შორის მათზე განსაკუთრებული უფლების საბაჟო ტერიტორიაზე საზღვარგარეთიდან უკან, დაბრუნების ვალდებულების გარეშე შემოტანა.

საგარეო ვაჭრობის მდგომარეობა განისაზღვრება განზოგადებული მაჩვენებლით–საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეკომენდაციით საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში (თვე, კვარტალი, წელი) განისაზღვრება როგორც ყველა საქონლის, მომსახურებისა და სხვა ფასეულობების ერთობლიობა, რომლის შეტანა ან გატანა, ამცირებს ან ზრდის ქვეყნის მატერიალურ რესურსებს.

უკანასკნელ დრომდე, სანამ საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი იყო, არსებობდა საკმაოდ მკაცრი შეზღუდვები საგარეო სავაჭრო ურთიერთობებზე და უკეთეს შემთხვევაში სოციალისტური ბანაკის ქვეყნებით შემოიფარგლებოდა. საქონლის, ნედლეულის, პროდუქციის ექსპორტი ან იმპორტი ცენტრალიზებული წესით ხორციელდებოდა. ნებისმიერი საგარეო ეკონომიკური ოპერაციის ჩასატარებლად ცენტრალური მთავრობის ნებართვა იყო საჭირო.

ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. საგარეო–ეკონომიკური თანამშრომლობის მონაწილე გახდა მრავალი იურიდიული და ფიზიკური პირი, მაგრამ სამწუხაროდ სავაჭრო ურთიერთობათა ხასიათი ძირითადად იმპორტზეა ორიენტირებული, რადგან საექსპორტო პროდუქცაზე საერთაშორისო ბაზრის მხრიდან ხარისხის, ტექნოლოგიურობის, ეკოლოგიურობის მიმართ გაზრდილი მოთხოვნები ჩვენს პროდუქციას ჯერ–ჯერობით არაკონკურენტიანს ხდის საერთაშორისო ბაზარზე. გასათვალისწინებელია აგრეთვე მარკეტინგული და სარეკლამო ხასიათის სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა რაც ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას შეუწყობს ხელს. საექსპორტო შემოსავლების დაბალი დონე განაპირობებს იმპორტის სტრუქტურასაც, რომელშიც საყოფაცხოვრებო დანიშნულების, პირველი მოთხოვნილებისა და კვების პროდუქტები სჭარბობს, რადგან ქვეყნის შიგნით მცირე ეკონომიკური შემოსავლების მქონე მოსახლეობის უმრავლესობა წარმოების ძირითადი საშუალებების შეძენის შესაძლებლობას მოკლებულია, რაც წარმოების ტექნოლოგიურობის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და შესაბამისად ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდის პირობაა.

ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გააქტიურებული საინვესტიციო პოლიტიკა, სოციალური საკითხების მოგვარებასთან ერთად (შემოსავლები, დასაქმება, ადამიანური რესურსების შესაძლებლობათა ზრდა მათი პროფესიული ზრდის კვალობაზე) საბოლოო ჯამში საექსპორტო პოტენციალის გაზრდის პერსპექტივასაც რეალურ ნიადაგს უმზადებს.

ქვეყნის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სწორი საინვენსტიციო პოლიტიკის გატარება, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დახვეწა, სტაბილური ეკონომიკური რეჟიმის დამყარება, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მშვიდობიანი გზა, საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს საქართველოს სავაჭრო–ეკონომიკური პოტენციალის ზრდასა და ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ბ. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები და მათი სტიმულირების ფორმები

გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა, საგარეო ვაჭრობის დეცენტრალიზაცია და მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ახალი ცნების „საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების'' წარმოქმნა გამოიწვია. რა თქმა უნდა, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს საქართველო ყოველთვის ახორციელებდა სხვა და სხვა ქვეყნებთან, მაგრამ ბოლო ხანებში მან უფრო ინტენსიური დატვირთვა შეიძინა, რადგან ამ პროცესში საზოგადოების ძალიან ფართო ფენები ჩაერთო და საწარმოო სტრუქტურების, იურდიული პირებისა და ფიზიკური პირების დონეზე ხორციელდება. პარტნიორის, საქონლის ნომენკლატურის, მოცულობის (რაოდენობის), მიწოდების ვადების, კონტრაქტის ღირებულებისა და საქონლის ფასის განსაზღვრის სრული დამოუკიდებლობის პირობებში. ეს პროცესი ამ სტრუქტურების საწარმოო–კომერციული ინტერესებიდან გამომდინარეობს.

საგარეო–ეკონომიკური ურთიერთობა ითვალისწინებს:

–საგარეო სავაჭრო ურთიერთობას;

–საწარმოო კოოპერაციას;

–საინვესტიციო თანამშრომლობას;

–სავალუტო და საფინანსო–საკრედიტო ოპერაციებს.

საგარეო სავაჭრო ქმედება ეწოდება ღონისძიებებს საქონლის, სამუშაოს, მომსახურების, ინფორმაციის, ინტელექტუალური შემოქმედების შედეგების საერთაშორისო გაცვლის სფეროში.

საგარეო ეკონომიური ურთიერთობების სუბიექტების კლასიფიკაცია შეიძლება მოვახდინოთ საგარეო–ეკონომიკური ურთიერთობების პროფილის მიხედვით, რაც გულისხმობს ფუნქციონალურ–მიზნობრივ მიმართულებებს: საექსპორტო პროდუქციის წარმოება და საგარეო ბაზარზე დამოუკიდებელი რეალიზაცია, მხოლოდ საგარეო სავაჭრო ოპერაციები, საფინანსო–სადაზღვევო და სატრანსპორტო ოპერაციები.

საგარეო–სავაჭრო ოპერაციების ხასიათის მიხედვით სუბიექტები შეიძლება დაიყოს: ექსპორტიორებად, იმპორტიორებად და სპეციალიზირებულ შუამავლებად. ექსპორტიორები არიან ძირითადად საექსპორტო პროდუქციის

დამამზადებლები, რომლებიც საგარეო ბაზარზე დამოუკიდებლად მუშაობენ, ისინი შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური პირები და კომერციული ორგანიზაციები ასევე სააქციო საზოგადოებები, სპეცექსპორტიორები, რომლებიც სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებისა და საერთაშორისო ვალდებულებების განხრით მუშაობენ.

იმპორტიორი შეიძლება იყოს სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფო დაკვეთის მიხედვით შესყიდვებს (ხორბალი, მედიკამენტები, პროდუქტები...) სახელმწიფო სავალუტო სახსრების, კრედიტებისა და გრანტების საშუალებით ახორციელებს. კომერციული სტრუქტურები, იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ანალოგიურ ოპერაციებს საკუთარი სახსრებით ახორციელებენ..

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების შუამავალი ორგანიზაციები შეიძლება იყვნენ, როგორც კომერციული ორგანიზაციები, ასევე ფიზიკური პირები–კომისიონერები, რომლებიც უცხოელ პარტნიორებთან აფორმებენ ხელშეკრულება–კომისიას.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის ყოველ სუბიექტს გააჩნია თავისი ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმა: კომერციული ან არაკომერციული ორგანიზაციის სახით.

კომერციული ორგანიზაციები, რომელთა ფუნქციონირების სხვა და სხვა სახე არსებობს, თავისი მოქმედების ძირითად მიზანს მოგების მიღებით განსაზღვრავენ.

არაკომერციული ორგანიზაციები თავიანთ ქმედებას ახორციელებენ მხოლოდ იმ ჩარჩოებში რა მიზნისთვისაც არიან შექმნილი.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებიდან მიღებული მოგება მონაწილე მხარეებს შორის არ გადანაწილდება.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროცესი მრავალი ქვეყნის მაგალითზე გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოებმა რომლებმაც უკანასკნელი 30-40 წლის განმავლობაში გააქტიურეს საგარეო ეკონომიკური კავშირ ურთიერთობები მიაღწიეს არნახულ შედეგებს გაიარეს რა გზა, საღარიბიდან სიმდიდრისაკენ. მე-20-ე საუკუნის 60-70-იანი წლებიდან მოყოლებული, რაც ესპანეთმა გააფართოვა საგარეო კავშირები და გააუქმა სავაჭრო ბარიერები დანარჩენ მსოფლიოსთან, მიაღწია ეკონომიკის მკვეთ ზრდას. ანალოგიურ პროცესებს შეიძლება მივადევნოთ თვალი ჩინეთის, სამხრეთ კორეის, ჰონკონგის, სინგაპურის, ტაივანის მაგალითზე. ყოველმა ქვეყანამ, საკუთარი ეკონომიკის გაძლიერებისათვის, აუცილებელად უნდა განსაზღვროს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტრატეგიული მიზნის პრიორიტეტული მიმართულებები, ზოგადად ეს პრინციპები შეიძლება იყოს:

–საექსპორტო პოტენციალის ზრდა, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტრუქტურების დახვეწით, კონკურენტუნარიანი მაღალტექნოლოგიური და ტრადიციული დარგების განვითარებით;

–ექსპორტის გაზრდა სახელმწიფო სტიმულირების მექანიზმების გამოყენებით, ინვენსტიციებისა და შეღავათიანი კრედიტების მოზიდვით;

–თანამედროვე საწარმოო და საფინანსო-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის შექმნა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

–უცხოელი ინვესტორების მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა, ეკონომიკურ-პოლიტიკური რისკის შემცირება, დაზღვევის თანამედროვე ინსტიტუტების შექმნა.

ეკონომიკური განვითარების, სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ერთ–ერთი ძირითადი მაჩვენებელი ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობაა, რომლის შეფასება საერთაშორისო სავაჭრო

ურთიერთობებში ფასების ბაზისურ მნიშვნელობამდე დაყვანის შემდეგ ხდება შესაძლებელი.

ექსპორტის შემთხვევაში ასეთი ბაზისური მნიშვნელობის ფასი საზღვაო გადაზიდვებისას **FOB** ფასებია, იგულისხმება გამყიდველის ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია საქონლის გემის ბორტზე განთავსებასთან, როგორც მიწოდების ღირებულების ასევე საექსპორტო და შიგა გადასახადებს ჩათვლით.

სახმელეთო გადაზიდვების დროს (რკინიგზა, საავტომობილო ტრანსპორტი) საბაზისო ფასად ითვლება **DAF** ფასები, როდესაც გამყიდველი ისტუმრებს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია საქონლის საზღვრისპირა სადგურამდე მიტანასთან, მაგრამ საბაჟო საზღვრის გადაკვეთამდე.

იმპორტის შემთხვევაში საზღვაო გადაზიდვებისას საბაზისოა **CIF** ფასები, როდესაც გამყიდველი ისტუმრებს ყველა ხარჯს დანიშნულების პორტამდე ფრახტისა და დაზღვევის ღირებულების ჩათვლით.

სახმელეთო გადაზიდვებისას საბაზისოა **CIP** ფასები, როდესაც გამყიდველი ისტუმრებს ყველა ხარჯს საქონლის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯების ჩათვლით.

მიწოდების საბაზისო პირობები განსაზღვრავენ მყიდველისა (იმპორტიორი) და გამყიდველის (ექსპორტიორი) ურთიერთობებს. მათი საშუალებით განისაზღვრება ვალდებულებებისა და რისკების გადანაწილების მომენტი ერთი მხარიდან მეორისადმი, რომლებიც რეგულირდება საერთაშორისო სავაჭრო პალატის კომერციული ტერმინების საშუალებით ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების გამარტივებისა და უნიფიკაციის მიზნით. (აღნიშნულ ტერმინებზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით).

ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც სავაჭრო გარიგება შესრულებულია მიწოდების განსხვავებული პირობებით, ხდება მათი გადაანგარიშება საბაზისო ღირებულების მიხედვით სტატისტიკური აღრიცხვის დოკუმენტაციის შესაბამისად.

მიწოდების პირობების საერთო საბაზისო მნიშვნელობების ურთიერთშედარებით ხდება საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვის მოცულობის დადგენა, რომელიც ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი პარამეტრია. მისი მნიშვნელობა ბევრად განაპირობებს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების სტიმულირების ხასიათს და ხელშემწყობ ღონისძიებათა პროცედურებს, რომელიც უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას. იმ ღონისძიებათა შორის, რომელიც მიმართულია საგარეო სავაჭრო ბრუნვის ხელშეწყობისა და სტიმულირებისაკენ მრავალ ქვეყანაში დამუშავებულია და მოქმედებს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამები, რომელიც მოიცავს:

–სავაჭრო ბალანსის პროგნოზს, როგორც ბიუჯეტის საგადასახადო ბალანსის შემადგენელ ნაწილს;

–თანამედროვე მდგომარეობის შეფასებას და პრობლემებს სხვა ქვეყნებთან საგარეო-სავაჭრო ურთიერთობათა კუთხით;

–საგარეო ვალის აღების გეგმას და მისი გამოყენების დეტალურ აღწერას;

–საექსპორტო კრედიტების გეგმას, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება ან მთავრობის გარანტიებით სარგებლობს;

–საგარეო ვალის მომსახურების გეგმას;

–საგარეო ეკონომიკური რეგულირების იმ ზომების ჩამონათვალს, რომლის გამოყენებაც იგეგმება. შესაბამის წელს საბაჟო ტარიფების დონეს და მათი ცვლილების ზღვრულ მნიშვნელობებს, ექსპორტის ან იმპორტის რაოდენობრივ შეზღუდვებს, აგრეთვე შიდა ბაზრის დაცვისა და სავალუტო რეგულირების სხვა ღონისძიებებს;

–სამრეწველო ექსპორტის სტიმულირების ღონისძიებებს;
–ქვეყნის სავაჭრო დისკრიმინაციის შემთხვევათა რეესტრს, რომელშიც ორმხრივ და მრავალმხრივ შეთანხმებათა დარღვევებია დაფიქსირებული.

საგარეო სავაჭრო ბრუნვის სტიმულირების ღონისძიებათა შორის უმთავრესი საკითხი პრიორიტეტების განსაზღვრაა. მისი განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება ისეთი ფაქტორები, რომლებიც მოცემული ქვეყნისათვის ტრადიციულ ხასიათს ატარებს, როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის სფეროში; გარდა ამისა, თანამედროვე რეალობების გათვალისწინებით დასმული ახალი აქცენტები სამრეწველო და მომსახურების სფეროს ახალ ამოცანებს უყენებს და საგარეო სავაჭრო ბრუნვის გაფართოების აქტიურ რესურს წარმოადგენს.

სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმის გამოყენებით საგარეო სავაჭრო ურთიერთობების სტიმულირების პროგრამა, ხუთი ძირითადი მიმართულებით ხასიათდება:
–ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე;
–საბაჟო-სატარიფო რეგულირების მექანიზმების გამოყენება;
–საგადასახადო რეგულირების ზომები;
–ექსპორტიორთა მხარდაჭერის სპეციალური ღონისძიებანი;
–საერთო ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებანი.

სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის იმ ნაწილში, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, ფინანსურ მხარდაჭერას გულისხმობს, განისაზღვრება სახელმწიფო მხარდაჭერის მიმართულებები საქონლისა და მომსახურების ექსპორტზე, რომელიც ფინანსირების დაბრუნებისა და გადახდის საფუძველზე ხორციელდება. კონკრეტულად, სახელმწიფო საგარანტიო ვალდებულებებით, საბანკო სტრუქტურებზე გაიცემა საკრედიტო რესურსები საბრუნავი სახსრებისა და ძირითადი ფონდების უზრუნველყოფისათვის ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის. ამას გარდა უზრუნველყოფილია საექსპორტო კრედიტების გრძელვადიანი საბანკო და პოლიტიკური რისკებისაგან გარანტირება და დაზღვევა.

ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისთვის საბაჟო-სატარიფო რეგულირების მექანიზმის გამოყენება არსებით გავლენას ახდენს მათ საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაზე. სახელმწიფო სტიმულირების საბაჟო-სატარიფო რეგულირების მექანიზმით დასაშვებია ექსპორტზე განსაკუთრებული ღონისძიებების გატარებაც, მათ შორის ექსპორტის საერთოდ განთავისუფლება საბაჟო გადასახადებისაგან, უფრო მეტიც, ხშირად ექსპორტი სუბსიდირებულია და მოქცეულია არამატერიალური სტიმულირების რეჟიმში.

საგადასახადო რეგულირების ზომები გულისხმობს, ქვეყნის შიგნით წარმოების განვითარების ისეთი პირობების შექმნას, როდესაც ქვეყნის საწარმოო-სავაჭრო სტრუქტურა იმპორტზე ორიენტირებულიდან ექსპორტზე ორიენტირებული გახდება, რითაც ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობის ზრდა იქნება უზრუნველყოფილი იმ პირობით, რომ საგარეო-სავაჭრო ბრუნვის მთლიან მოცულობაში იმპორტის შემცირება კომპენსირებული იქნება საკუთარი საწარმოო შესაძლებლობებით ამასთან ექსპორტის მოცულობის ზრდამ, უნდა გადაფაროს იმპორტის შემცირებით გამოწვეული საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობის კლება.

განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება პროგრამის სახელმწიფო სტიმულირების ისეთი მექანიზმები, რომლებიც სპეციალურ ღონისძიებათა რიგს მიეკუთვნებიან და შეიცავენ საინფორმაციო, საკონსულტაციო, მარკეტინგულ და ტექნიკური მხარდაჭერის ზომებს, რომლებიც დროის მოთხოვნებს უნდა პასუხობდნენ. ამ ამოცანის გადაჭრაში განსაკუთრებული როლი სახელმწიფო სავაჭრო წარმომადგენლობებს ენიჭებათ, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე,

როდესაც მათი მუშაობა ორიენტირებული უნდა იყოს საკუთარი ქვეყნის ექსპორტიორის ინტერესების შესაბამისად, მათი ინტერესების დასაცავად და მათ მიმართ გატარებული ფარული თუ აშკარა დისკრიმინაციული ქმედების აღმოსაფხვრელად.

საერთო ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებათა შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია სატრანსპორტო ტარიფების რეგულირების სისტემის დანერგვის აუცილებლობა.

1. ხარისხის აუდიტის სისტემა საბაჟო ურთიერთობებში

1.1. საბაჟო საქმის განვითარება საქართველოში

ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველოზე გადიოდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი საქარავნო გზა ე.წ. "აბრეშუმის გზა." რომლის მეშვეობით საქართველო სავაჭრო ურთიერთობებს ამყარებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნებთან, ამგვარად არც საბაჟო საქმე იქნებოდა უცხო საქართველოსთვის.

პირველად გამოთიქმა "ბაჟი" XI საუკუნის ისტორიულ წყაროებშია ნახსენები, ადრე ბაჟს ერქვა "ზუერი" – ხარკი, ქირა. შესაბამისად მებაჟეს – "მეზუერე". ბაჟის გადახდა ხდებოდა საქონლის ფასის მიხედვით. საბაჟოები მოწყობილი იყო საზღვაო პორტებსა და ქალაქის ბაზრებში. დღეისთვისაც დადასტურებულია საბაჟო ტერმინოლოგიის არსებობა ქართულ ტოპონიმიკაში. ასე მაგალითად: თბილისი – თელავის, მელაანი – ბაკურციხის მონაკვეთის დამაკავშირებელი ხევის დასახელება "ბარჯის ხევი" ბაჟის აღების პროცედურასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ფეოდალურ საქართველოში ბაჟი ხაზინის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო იყო. საბაჟო საქმეს საგანგებო მოხელე "შურტა" განაგებდა, შემდეგ კი მეჭურჭლეთუხუცესი.

მეთერმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში საგარეო საქმეები გადანაწილებული იყო სამ უწყებაზე: ამირსპასალარს, მეჭურჭლეთუხუცესსა და მანდატურთუხუცესს შორის.

1207-1212 წლებიდან საგარეო საქმეთა ფუნქცია მთლიანად უკავია ათაბაგს.

მეჭურჭლეთუხუცესის ინსტიტუტი სახელმწიფო საფინანსო უწყება იყო, რომელიც ქვეყნის შიდა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების რეგულაციას ახდენდა

ბაჟს იხდიდნენ შემოტანისის, გატანისა და სატრანზიტო ოპერაციებზე.

როგორც ავღნიშნეთ, საქართველოზე გადიოდა უდიდესი ტრანსკონტინენტალური სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ჩინეთს აკავშირებდა შავი და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებთან. იგი უმნიშვნელოვანესი მაგისტრალი იყო ევროპასა და აზიას შორის. ეს გზა ფუნქციონირებდა ჩვ. წელთაღრიცხვამდე მე-2 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე. იგი არა მარტო გზა იყო, არამედ კულტურათა, რელიგიათა, ფილოსოფიათა დიალოგი, მოგზაურთა შეხვედრის ადგილი.

საქართველოში გამავალი ამ გზის განშტოება მოემართებოდა არალის ზღვიდან და კასპიის ზღვის გავლით შემოდიოდა ჩვენს ქვეყანაში. იგი კვეთდა საქართველოს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და უძველესი ქალაქის ფაზისის საშუალებით ბიზანტიასა და რომს აღწევდა.

პირველი ისტორიული ძეგლი, რომელშიც აღწერილია საინტერესო ცნობები მეჭურჭლეთუხუცესის უფლება-მოვალეობათა შესახებ არის "ხელმწიფის კარის გარიგება", მასში ნათქვამია: "მუშრიბი (ადამიანი ვისაც აბარია შემოსავლის განსაკუთრებული დარგი, ბაჟი და სავაჭრო გადასახადი) რაც ქალაქში საჭურჭლე შევა და ნავაჭრი რაც შევა და სანელებელი, მასტაკი და სამარხო წამალი იცის და უხუცესთა მოითვლას", ე.ი. მუშრიბს გადასახადის აკრეფა ევალებოდა.

ივ. ჯავახეშვილი გამოთქმვამს ვარაუდს, რომ "ქალაქში იყვნენ ბაჟის ამკრეფი და სასწორთან დაყენებული დაბალი მოხელეები, რაკი იმ სიგელში, სადაც პირველად ბაჟია მოხსენებული, მოხელეთა შორის შურტაც არის დასახელებული და რაკი იგი მოედნის ზედამხედველი იყო, შეიძლება მებაჟე და "მეკოშრე" მისი ხელქვეითი მოხელეები ყოფილიყვნენ".

საკმაოდ მდიდარი მასალა საფინანსო სისტემის შესახებ მოცემულია ვახტანგ VI "დასტურლამალში". მასში საბაჟო გადასახადების შესახებ არსებობს გარკვეული ცნობები. აქ დასახელებულია: 1. "ხილის ბაჟი" - რომლის ერთი წილი ეკუთვნოდა მოურავს და მელიქ-მამასახლისს, ორი წილი-მეფეს; 2. "ტივის ბაჟი", რომელსაც "სალბაში" ეწოდება. იგი ითვალისწინებოდა თითოეულ ტივზე თითო მორის აღებას მეფის სასარგებლოდ. ამავე წყაროში მოცემულია ცნობა, რომლის მიხედვითაც ქალაქში გასაყიდად შემოტანილ საქონელზე დაწესებული იყო საბაჟო გადასახადი, რომელსაც ქალაქის მებაჟე იღებდა. ბაჟის გადაუხდელობის შემთხვევაში მებაჟეს უფლება ჰქონდა 5 წლის განმავლობაში ორმაგი გადასახადი დაეკისრებინა დამრღვევისათვის.

საქართველოში არსებობდა პირთა გარკვეული კატეგორია, რომელიც თავისუფალი იყო გადასახადისაგან. ამგვარი უპირატესობით სარგებლობდა ეკლესია და მოქალაქეთა განსაზღვრული წრე, რომელთაც მეფე ათავისუფლებდა გადასახადებისაგან, მეფის შეუვალობის საგელის საშუალებით, ასეთი კატეგორიის ხალხთან ბაჟის ამკრებს არ ჰქონდა უფლება შესულიყო და გადასახადი მოეთხოვა.

მეფეები საეკლესიო პირებისათვის აწესებდნენ გარკვეულ შეღავათს ბაჟის გადახდისას. მეფეების მიერ დადგენილი ქართული საბაჟო ტარიფის მიხედვით, საეკლესიო გლეხები სახაზინოსთან შედარებით იხდიდნენ სატარიფო განაკვეთის მხოლოდ ნახევარს და ეს ნახევარიც მიდიოდა ეკლესია-მონასტრების სასარგებლოდ, რომელთა ყმებსაც ისინი წარმოადგენდნენ.

შეუვალობის უპირატესობით სარგებლობდნენ აგრეთვე კერძო პირებიც. მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთ გატანისა და შემოტანის ბაჟი მთლიანად მეფეს ეკუთვნოდა, საქართველოში საბაჟო გადასახადს მსხვილი ფეოდალებიც აგროვებდნენ. საქართველოს ყველა ქალაქში დაწესებული იყო სხვადასხვა საბაჟო ტარიფი. არ არსებობდა ერთიანი საბაჟო გადასახადი, ამიტომ ყველა მოიჯარეს საშუალება ჰქონდა დაეწესებინა გადასახადი თავის სასარგებლოდ.

თბილისში საქონლის შემოტანა ხდებოდა ექვსი ძირითადი ჭიშკრის საშუალებით ესენია აბანოს კარი, განჯის კარი, დიღმის კარი, კოჯრის კარი, წყლის კარი, მეექვსე კარის სახელი არ არის ცნობილი. ყველა ამ ჭიშკართან იდგა მებაჟე (მინბაში), რომელიც კრებდა სამინბაშო მოსაკრებს.

მას ებარა ჭიშკრის გასაღები და საქონლის შემოზიდვა-გაზიდვის შემთხვევაში ჭიშკრის გაღებისათვის გადასახადს ახდევინებდა.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ (1801წ.), ცარიზმი ატარებდა საკუთარ საფინანსო და საბაჟო პოლიტიკას, რაც ქვეყნის ეკონომიკური დამორჩილებით და ქართული ფულის გაუქმებით დამთავრდა. XIX საუკუნის 60-ანი წლებიდან საქართველოში მტკიცედ დამკვიდრდა რუსეთის საბაჟო პოლიტიკა.

ცარიზმის პერიოდში საგარეო ვაჭრობასა და საბაჟო პოლიტიკას განაგებდა რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტრო, რომელსაც ექვემდებარებოდა საქართველოში არსებული ყველა საბაჟო დაწესებულება.

1804 წელს იმპერიის ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე ამიერკავკასიაში დაარსდა საბაჟო-საკარანტინო პუნქტები კასპიის ოლქში, თბილისსა და ქუთაისში.

1847 წლის 4 მაისს იმპერატორის მიერ დამტკიცებულ "კავკასიისა და ამიერკავკასიის საკარანტინო და საბაჟო სამსახურის" დებულების საფუძველზე კავკასიის ტერიტორიაზე დაარსდა ე. წ. საკარანტინო-საბაჟო "ლინიები", ამიერკავკასიის, სოხუმ-კალეს და კავკასიის.

XIX საუკუნის 80-ან წლებში ამიერკავკასიის საკარანტინო-საბაჟო უწყება ორ დიდ ოლქად ჩამოყალიბდა: ქუთაისის და ბაქოს ოლქებად. მათ ეჭირათ კასპიის, შავი ზღვის და სპარსეთ-თურქეთის მთლიანი სასაზღვრო სიგრძე.

ფოთის ნავსადგურის საბაჟოზე არსებული ტვირთბრუნვის შედეგად მიღებული შემოსავლები აჭარბებდა ზღვისპირზე ერთად აღებული ყველა ნავსადგურის საბაჟოდან მიღებულ შემოსავლებს.

1804-1808 წლებში აიკრძალა შინაგანი ბაჟი საქართველოში. 1831 წლის 6 მარტს რუსეთის იმპერატორის ბრძანებით გაუქმდა ადგილობრივი ფეოდალური საბაჟოები და დამკვიდრდა რუსეთის იმპერიის ერთიანი საბაჟო სამინისტრო.

მას შემდეგ რაც საქართველომ 1918 წლის 26 მაისს მოიპოვა დამოუკიდებლობა საჭირო გახდა ახალი საბაჟო პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების შემუშავება, რომლებიც სამართლებრივად მოაწესრიგებდა ამ მნიშვნელოვან სფეროს. 1918 წლის 30 აგვისტოს მიღებული იქნა კანონი "საბაჟო დაწესებულებათა მოწყობის შესახებ", რომელშიც განისაზღვრა საბაჟო სისტემის სტრუქტურა, კომპეტენცია, ამოცანები და ფუნქციები. კანონის მიხედვით გაუქმდა ყველა საბაჟო, რომლებიც რუსეთის მიერ იყო დაარსებული. ამის შემდეგ საქრთველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიქმნა 19 საბაჟო უწყება:

1. მთავარი საბაჟო - ქ.თბილისში;
2. მეორე ხარისხის საბაჟო - ნატანებსა და სოხუმში;
3. მესამე ხარისხის საბაჟო - გუდაუთაში, ოჩამჩირეში, ათონში, ანაკლიაში, ფოილოში, ლაგოდეხში, ვორონცოვკაში, ნარლევანში, ბაკურიანში, აწყურში, აბასთუმანში, ოზურგეთსა და დარიალში.

რეფორმის შედეგად საქართველოში საბაჟო საქმის ხელმძღვანელობა დაეკისრა ფინანსთა და ვაჭრობის სამინისტროს.

ქვეყანაში მომზადდა ახალი საბაჟო ტარიფი შემოსატან და გასატან საქონელზე, რომელიც ხელს შეუწყობდა დადებითი სავაჭრო ბალანსის განმტკიცების საქმეს.

1921 წლიდან 1991 წლამდე დამოუკიდებელი საბაჟო სამსახურები საქართველოში არ არსებობდა. მხოლოდ ბათუმის, ფოთის და სოხუმის საზღვაო პორტებში არსებობდა საკავშირო უწყებას დაქვემდებარებული მცირე საბაჟო სამსახურები.

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენამ (1991 წლის 9 აპრილი) სრულიად შეცვალა ქვეყნის საბაჟო სამსახურის საქმიანობა. შეიქმნა ახალი საბაჟო სამსახური, ახალი მიზნებით და მიმართულებებით. დაიწყო საბაჟო დეპარტამენტის შექმნა. 1991 წლის 15 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი "საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ". აქედან იწყება საქართველოში ერთიანი საბაჟო პოლიტიკის განხორციელება, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს.

ერთიანი საბაჟო პოლიტიკის გატარება ნიშნავს ღონისძიებათა ურთიერთობას, ერთიან საბაჟო ტარიფსა და საბაჟო რეჟიმებს. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს საბაჟო ტერიტორია ერთიანია და ამ ტერიტორიაზე ვრცელდება ერთიანი საბაჟო პოლიტიკა. საბაჟო პოლიტიკას განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტი.

1.2. აუდიტის ცნება, მიზანი, ამოცანები

უკანასკნელ ხანებში მთელს მსოფლიოში და მათ შორის ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა ეკონომიკურ–პოლიტიკური ინტეგრაციის მძლავრმა პროცესებმა განსაკუთრებული აქტუალობით დააყენა ქვეყნებს შორის პარტნიორული ურთიერთობის საკითხები სავაჭრო–ეკონომიკურ, სამეცნიერო, განათლების, კულტურისა თუ ადამიანის მოღვაწეობის სხვა სფეროებში. მაღალი დონის ინტეგრაცია გულისხმობს პროცესში მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობის, ფუნდამენტალური შეხედულებებისა და მიდგომების ადექვატურობას თითოეული ქვეყნის ნაციონალური, კულტურული და ისტორიული თავისებურებების გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით საბაჟო ინსტიტუტების როლი ერთის მხრივ განუზომლად მატულობს ქვეყნებს შორის გაზრდილი სავაჭრო, ეკონომიკური, ტურისტული, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული ურთიერთობების ფონზე, ხოლო მეორეს მხრივ ამ ინსტიტუტების არსებობამ ხელი არ უნდა შეუშალოს მათ შორის ინტეგრირებული მატერიალური და სულიერი ნაკადების მოძრაობას, ისე რომ ამავე დროს უზრუნველყოს ქვეყნების საშინაო და საგარეო ბაზრების პრიორიტეტული ინტერესები. განსაკუთრებით მწვავედ, აღნიშნული მიდგომა, დამახასიათებელია სავაჭრო სახის ურთიერთობებისთვის, სადაც ნებისმიერი სახის პროდუქციას გარკვეული მოთხოვნები წაეყენება მათ შორის უპირველესია მოთხოვნები ხარისხზე, რის გამოც პროდუქციის ხარისხის აუდიტთან დაკავშირებული საკითხების აქტუალობა ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ.

ზოგადად აუდიტი განიმარტება, როგორც ნებისმიერი საწარმოსა და ორგანიზაციის მოღვაწეობისას ეკონომიკურ ქმედებათა და მოვლენათა შესახებ არსებული ცნობების ობიექტური შეკრების სისტემური პროცესი დადგენილ კრიტერიუმებთან, ამ მტკიცების შესაბამისობის ხარისხის დასადგენად დაინტერესებული მხარეებისათვის აუდიტის შედეგების გადაცემის მიზნით.

როგორც აუდიტის განმარტებიდან ჩანს ეს პროცესი მოიცავს ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროს და ამ ქმედებას განიხილავს ეკონომიკურ მოვლენათა ჭრილში, პროცესზე სისტემური დაკვირვებისა და მონაცემთა შეკრების გზით, რათა დადგინდეს არსებულ ნორმატიულ ტექნიკურ დოკუმენტებთან ობიექტის (პროცესის, ქმედების) შესაბამისობის ხარისხი, მათზე აუდიტის შედეგებით დაინტერესებული მხარეებისაგან, დადებითი ან უარყოფითი ზემოქმედების მიზნით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ

<u>პროდუქციის ხარისხის შესახებ წინამდებარე კურსი საბაჟო სისტემებში აუდიტის კლასიკური განმარტების თანახმად, საბაჟოს განიხილავს ადამიანის მოღვაწეობის ერთ–ერთ სფეროდ, სადაც ზემოქმედების (შესასწავლი, საკონტროლო, საკვლევი) ობიექტი პროდუქციის ხარისხია. განმარტებიდან გამომდინარე, ხარისხი განიხილება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ანუ ჩვენს საგანს ამ კუთხით არ აინტერესებს ობიექტი მარკეტინგული (გამოყენებადობისა და კმაყოფილებადობის), სამეცნიერო (ქიმიური და ფიზიკური თვისებების) ან ფინანსური (ღირებულება, მოგება) კუთხით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ნორმატიულ, რეგლამენტირებულ დოკუმენტებთან ხარისხის შესაბამისობის დონით.</u>

საქართველოში აუდიტის რაობა და აუდიტორული საქმიანობა სამწუხაროდ შედარებით ვიწრო გაგებით იხმარება. თუმცა საქართველოს კანონის "აუდიტორული საქმიანობის შესახებ" მიხედვით იგი გულისხმობს "სამეურნეო სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობის, საჯარო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, დაბეგვრისა და სამეურნეო–ფინანსური საქმიანობისა და საწესდებო მოთხოვნების უტყუარობის, სისრულის, მოქმედ კანონმდებლობასთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენას". კანონი სამურნეო სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობის საჯარო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, ფინანსური საქმიანობისა და საწესდებო მოთხოვნების უტყუარობისა და სისრულის გარდა ყურადღებას ამახვილებს ამ სუბიექტის სამეურნეო საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენის შესახებაც, რაც ნორმატიულ დოკუმენტებთან სამეურნეო სუბიექტის მიერ წარმოებული თუ მოწოდებული პროდუქციის ხარისხის პარამეტრების შესაბამისობასაც გულისხმობს. სამწუხაროდ, კანონმდებელი ამ მიმართულებით შემდგომში ყურადღებას ნაკლებად ამახვილებს, მაგრამ პროდუქციის სერტიფიცირების შესახებ საკანონმდებლო დოკუმენტები მკვეთრად ხაზს უსვამს ხარისხის შესაბამისობის აუცილებლობას ნორმატიულ დოკუმენტაციასთან, ამასთან მეწარმე სუბიექტს ცალსახად ავალდებულებს და მოუწოდებს მისი დაცვისაკენ.

"აუდიტორული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით აუდიტორი არის ფიზიკური პირი,რომლიც აღჭურვილია საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული აუდიტორის კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატით. აუდიტორი საქმიანობას ეწევა ინდივიდიალურად ან აუდიტორული ფირმის მეშვეობით. აუდიტის განმარტების მიხედვით მისი საქმიანობა გულისხმობს სამეურნეო საწარმოს ქმედების დამოუკიდებელ შემოწმებას (სამეურნეო და ფინანსურ სფეროში) და საკუთარი აზრის გამოხატვას. აღსანიშნავია, რომ აუდიტორი გამოხატავს მხოლოდ საკუთარ აზრის და არ ადასტურებს აუდიტის საგანს იგი ასევე არ იძლევა გარანტიას აუდიტის შედეგებზე, რომელსაც გამოიყენებს დაინტერესებული მხარე.

ხარისხის მართვისა და კონტროლის აუდიტორული საქმიანობა, დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, ძირითადად შიდა სამეურნეო მოხმარების საგანია, მაგრამ შემდგომში ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის, ტურიზმისა და კონკურენტული გარემოს ზრდასთან ერთად, ასევე თავისუფალი ეკონომიკური ზონების ამოქმედების, ევროკავშირთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოსალოდნელი თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობის დამყარების შემდეგ, პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები სამეურნეო საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად იქცევა.

სამეურნეო ურთიერთობების ხარისხის მართვისა და კონტროლის აუდიტორულ საქმიანობაში შეიძლება გამოიყოს მისი შემადგენელი ძირითადი ელემენტები:

- მონაცემთა ბაზის შექმნა ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის არსებულ ღონისძიებათა შესახებ;
- პროდუქციის დადგენილ, ნორმატიულ მოთხოვნათა დაცვის ხარისხი (შესაბამიობის, ადექვატურობის შეფასება);
- არსებულ მდგომარეობაზე აუდიტორული დასკვნის მომზადება;
- სისტემური პროცესის განხორციელება, დაგეგმვისა და წარმოების სტრატეგიის დამუშავება;
- ტაქტიკური ხასიათის რეკომენდაციების მომზადება და გადაცემა.

აღსანიშნავია, რომ აუდიტორული საქმიანობის ჩამოთვლილი ელემენტები შესაძლებელია ჩატარდეს მთლიანად კომპლექსურად ან ნაწილობრივ, საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე.

ხარისხის მართვისა და კონტროლის აუდიტორული საქმიანობა წარმოადგენს ხარისხის მაჩვენებლების (პარამეტრების) განსაზღვრის უტყუარობის, სიზუსტისა და შესაბამისობის დადგენის პროცესს არსებულ მოთხოვნებთან და კრიტერიუმებთან, დაინტერესებული მხარეებისათვის სამოქმედო, ტაქტიკური და სტრატეგიული ხასიათის რეკომენდაციების გამომუშავებისათვის, პროდუქციის საციცოცხლო ციკლის ნებისმიერ ეტაპზე.

დასმული ამოცანის პირობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად აუდიტის ძირითად კრიტერიუმს ხარისხის მართვისა და კონტროლის საერთაშორისო, ადგილობრივი, დარგობრივი ან საწარმოს სტანდარტები წარმოადგენენ, პროდუქციის ხარისხის განმსაზღვრელ სხვა უფლებამოსილ ორგანულ დოკუმენტებთან ერთად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის აუდიტს ატარებს და დასკვნა გამოაქვს დამოუკიდებელ პირს, გარე (დამოკიდბელ) აუდიტორს. დამოუკიდებელი აუდიტორის ისევე როგორც სამეურნეო სუბიექტის შერჩევა და ურთიერთობა ხორციელდება მხარეებს შორის გაფორმებული სახელშეკრულებო პირობებით.

დამოუკიდებელი აუდიტის შედეგებით დაინტერესებულ მხარეთა შორის მოიაზრება მომხმარებელთა ფართო წრე ე.წ. პარტნიორთა ჯგუფი; კერძოდ: ორგანიზაციის ადმინისტრაცია და ხელმძღვანელობა, პერსონალი და მოსამსახურეები, მომწოდებლები, მყიდველები, კლიენტები, მესაკუთრეები, ინვესტორები და კრედიტორები. დაინტერესებულ მხარეთა თითოეული რგოლისათვის აუდიტორის დასკვნა, პროდუქციის ხარისხის შესახებ, მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია და რაც განსაზღვრავს მათ შემდგომ ქმედებას აუდიტის საგნისადმი. აუდიტის შედეგებით დაინტერესებულ მხარეთა წრე შეიძლება კიდევ უფრო გაფართოვდეს თუ გავითვალისწინებთ, რომ აუდიტის საგნისადმი საწარმოს, მასში მომუშავე შემსრულებლებელთა და მმართველობითი რგოლებისადმი შეიძლება გარკვეული ინტერესი გააჩნდეთ:

- სხვა აუდიტორებსა და აუდიტორულ ფირმებს;
- დარგის სპეციალისტებს, ექსპერტებსა და კონსულტანტებს;
- ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების სპეციალისტებს (ბროკერები, დილერები);
- მედია საშუალებებს და საინფორმაციო სააგენტოებს;
- სავაჭრო–სამრეწველო ორგანიზაციებს;
- სხვადასხვა კვლევით, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

აუდიტის განმარტებიდან გამომდინარე და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხარისხის მართვისა და კონტროლის **აუდიტის მიზანი ზოგადად შეიძლება ჩამოყალიბდეს, ოგორც კანონმდებლობით, ტექნიკური და**

ეკონომიკური სტანდარტებით განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესაბამისობისა და უტყუარობის დადგენის პროცესი რეალურ პროდუქტსა და ნორმატიულ დოკუმენტებს შორის.

საწარმოში გამოშვებული პროდუქციის ხარისხის დონის ჭრილში სრული, ყოვლისმომცველი, კომპლექსური კვლევის შედეგად მომზადებული დასკვნის საფუძველზე შესაძლებელია შეფასდეს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ეფექტურობა. ასეთი სახის კვლევა მოითხოვს საწარმოში ხარისხის უზრუნველყოფის ყველა რგოლისა და სამსახურის აუდიტორულ კვლევას, რაც გულისხმობს გარკვეულ საანგარიშო პერიოდში საწარმოს საქმიანობის ფინანსური, ტექნიკურ–ტექნოლოგიური, მარკეტინგული და ლოჯისტიკური ინფორმაციის მოძიებას მისი სისრულის, უტყუარობისა და სიზუსტის გარანტიით.

აუდიტორები საწარმოში ასეთი ხასიათის საქმიანობის პროცესში, მათ წინაშე დასახული მიზნის განხორციელებისას, ასევე წყვეტენ ამოცანებს, რომელიც დაკავშირებულია აუდიტორულ მომსახურებასთან მათ შორის:

- გამოშვებული და მიღებული პროდუქციის, მასალების, ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და მაკომპლექტებლების საწარმოში მოძრაობის, მათ შორის შიდა და გარე წუნის, რეკლამაციების და საგარანტიო მომსახურების აღრიცხვის, კონტროლის, გამოცდისა და ტესტირების ორგანიზებასა და შედეგების ნორმატიულ დოკუმენტებთან შესაბამისობის დადგენა;
- ფინანსურ–ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება;
- სამეურნეო საქმიანობის შედეგების (გამოშვებული პროდუქციის ჭრილში) საექსპერტო შეფასება და ანალიზი;
- კონსულტაციები ტექნიკურ, ტექნოლოგიურ, მარკეტინგულ და ლოჯისტიკურ საკითხებზე;
- მომავალი პარტნიორებისა და კლიენტების საფინაანსო–საბანკო და სადაზღვევო კომპანიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

საბოლოოდ პროდუქციის ხარისხის მართვისა და კონტროლის აუდიტთან დაკავშირებული საქმიანობის ფართო სპექტრის მიზნები და ამოცანები სქემატურად შეიძლება წარმოდგენილი იქნას ნახ.1.1 ნაჩვენები ზოგადი სახით:

აუდიტის განმარტებაში მნიშვნელოვანია, რომ იგი შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის. ნებისმიერი ინფორმაცია, ქმედება, რომელიც რაოდენობრივ განსაზღვრებას და შემოწმებას ექვემდებარება, შეიძლება აუდიტის საგანი გახდეს. საგნის, პროცესის, ქმედების აუდიტის საგნად ქცევა აუდიტორისა და დამკვეთის შეთანხმების კრიტერიუმებზეა დამოკიდებული, რომელიც შესაბამისობის ხარისხის განმსაზღვრელი შეფასების ობიექტურ საფუძვლად უნდა იქნას მიჩნეული. აუდიტორმმა შეიძლება მიიღოს დაკვეთა კონკრეტული ნაკეთობის, მაგალითად თვითღირებულების, სასტუმროს მომსახურების ხარისხის, ფარმაცევტული პროდუქტის ეფექტურობის აუდიტორული კვლევის ჩატარების შესახებ. უპირველეს ყოვლისა, ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის საჭიროა განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები, რომელთა მიმართაც უნდა ჩატარდეს კვლევა. პირველ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ეკონომიკურ–ფინანსური ხასიათის კრიტერიუმები, რაც ასეთივე ტიპის აუდიტორული შემოწმების ჩატარებას გულისხმობს. მეორე შემთხვევაში ხარისხის მართვისა და კონტროლის აუდიტის ჩატარებაა აუცილებელი, ხოლო მესამე შემთხვევაში ჯანმრთელობის მდგომარეობის კვლევა ავადმყოფთა იმ კატეგორიისათვის, რომლებიც მოცემული ფარმაცეტიული პროდუქტებით სარგებლობენ. ასეთი ტიპის აუდიტორული კვლევების ჩატარება შესაძლებელია,

როგორც საწარმოს ფინანსური, ტექნოლოგიური, სააღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით ასევე სოციოლოგიური, ექსპერტული და სხვა ტიპის კვლევების ჩატარების საფუძველზე.



ნახ.1.1. პროდუქციის ხარისხის აუდიტის ზოგადი სტრუქტურა

1.2.1. ხარისხის აუდიტის არსი

აუდიტის ზოგადი განმარტებიდან გამომდინარე ხარისხის აუდიტი განიხილება, როგორც მეწარმე სუბიექტის ხარისხის სისტემატური და დამოუკიდებელი ექსპერტიზა (შეფასება), რაც გულისხმობს ხარისხის მართვის სისტემის, ტექნოლოგიური პროცესის, პროდუქტის (მატერიალურის და მომსახურების) ინსპექციას. ხარისხის აუდიტის ჩატარების ნორმატიული ბაზა რეგლამენტირებულია ხარისხის მართვის მაორგანიზებელი საერთაშორისო სტანდარტებით **ISO 9000, 9001, 9002, 9003** და მათი მხარდამჭერი სტანდარტებით ხარისხის სისტემის აუდიტის შესახებ, მათ შორის: ხარისხის სისტემის დაგეგმვა–მომზადება და ინსპექცია (შემოწმება) – **ISO 10011/1-1990;** კომპანიაში

ხარისხის ინსპექციის ჩასატარებლად ექსპერტ–აუდიტორების შერჩევა და სწავლება, ხელმძღვანელობის შესაფასებელი კრიტერიუმების, თავისებურებებისა და შესაძლებლობის ჩათვლით **ISO 10011/2-1991;** ხარისხის მართვის სისტემის შემოწმების პროგრამის მომზადება და ხელმძღვანელობა **ISO 10011/3-1991.** აღნიშნული ნორმატიული დოკუმენტები განიხილავენ აუდიტორული შემოწმების სამ ტიპს.

პირველი მხარის აუდიტი – მატერიალური პროდუქციის ან მომსახურების სისტემის შიდა აუდიტს წარმოადგენს. პირველი მხარე – გულისხმობს უშუალოდ მწარმოებელს, კომპანიის მმართველობით, ხელმძღვანელ რგოლს. მათი ინიციატივით კომპანიის შიგნით წინასწარ შერჩეული და განსწავლული თანამშრომლები (შიდა აუდიტორები) ან მოწვეული გარე აუდიტორები ატარებენ კომპანიის აუდიტორულ შემოწმებას ნორმატიული დოკუმენტაციის შესაბამისად. აუდიტორული შემოწმებისას მიღებული შედეგები, დასკვნები ძირითადად შიდა მოხმარებისთვისაა გათვალისწინებული, სამუშაო პროცესში ხარვეზების გამოვლენისა და აღმოფხვრისათვის.

მეორე მხარის აუდიტი გულისხმობს მეორე პირის – მყიდველის, მომხმარებლის აუდიტორულ ინსპექციას და წარმოადგენს გარე აუდიტის ტიპს. ასეთი აუდიტის მიზანი მომხმარებლის მიერ წინასწარ დადგენილი საკონტრაქტო პირობებისადმი მიმწოდებლის პროდუქტისა და პროცესების შესაბამისობის გამოვლენაა. ამ ტიპის აუდიტორული შემოწმების დასკვნის გამოყენება მიზანშეწონილია, როგორც შიდა ასევე გარე მოხმარებისათვის.

მესამე მხარის აუდიტი – წარმოადგენს დამოუკიდებელ გარე აუდიტს, რომელსაც აწარმოებს ხარისხის აუდიტის ჩატარებაზე აკრედიტებული სააგენტო. ასეთი სააგენტოები, როგორც წესი სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ უფლებამოსილია გასცეს სერტიფიკატები აუდიტორული შემოწმების დადებითი დასკვნის მიღების შემთხვევაში. ეს სააგენტოები რეგისტრატორების სახელითაა ცნობილი. გარდა რეგისტრატორებისა მესამე მხარის აუდიტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი დამოუკიდებელი მხარე. ხარისხის სისტემის ზოგადი მოდელი (ნახ.1.2) კომპანიის ხარისხის შეფასებისათვის შეიცავს სამ ძირითად კომპონენტს, ესენია:

- კომპანიის მუშაობის გარე შედეგების, მომხმარებელთა კმაყოფილებადობის შეფასება;
- მიმდინარე პროცესების, შიდა შედეგების შეფასება;
- ხარისხის სისტემის შეფასება.



ნახ. 1.2. ხარისხის სისტემის ზოგადი მოდელი

ხარისხის სისტემის შეფასების შედეგებისათვის ორმაგი მიდგომა არსებობს, რომელთაგან ერთი ხარისხის კონტროლზე ორიენტირებული შეფასებაა, ხოლო მეორე მიდომისათვის დამახასიათებელია, პროცესების გავლით ხარისხის სისტემისაკენ შედეგზე ორიენტაცია. შეფასების შედეგებისადმი მეორე მიდგომის საშუალებით გამოვლინდება მომხმარებლისათვის მოსალოდნელი შედეგებიდან გადახრის შემთხვევები, რაც საშუალებას იძლევა გამოიყოს კომპანიის პროცესების მართვისა და ხარისხის სისტემაში სუსტი რგოლები მათზე შესაბამისი ზემოქმედებისათვის.

ხარისხის სისტემის შედეგების შეფასების გამარტივებული მოდელისათვის დამახასიათებელია ორიენტაცია მხოლოდ ხარისხის სისტემის შეფასების კრიტერიუმებზე, რაც საკმაოდ კარგ შედეგებს იძლევა, განსაკუთრებით პროდუქციის სერტიფიცირებისას ISO 9000–ის შესაბამისობაზე.

ნახ.1.3. მოცემულია ხარისხის სისტემის შეფასების გამარტივებული მოდელის ბლოკ–სქემა. ხარისხის სისტემების შეფასების ზოგადი და გამარტივებული მოდელების რეალიზაცია შესაძლებელია აუდიტორული შემოწმების შიდა და გარე აუდიტის ჩატარებით.

შიდა აუდიტი ტარდება თვით კომპანიის ძალებით და მიზნად ისახავს ორგანიზაციაში მოქმედი ხარისხის სისტემის ეფექტურობის შეფასებას მისი



ნახ.1.3. ხარისხის სისტემის შეფასების გამარტივებული მოდელი

ხარისხის სისტემის დოკუმენტაციასთან (ხარისხის სახელმძღვანელო) და ხარისხიის სისტემის პროცედურებთან პრაქტიკული საქმიანობის შესაბამისობის შეფასების გათვალისწინებით.

შიდა აუდიტის ჩატარების ინიციატორი თვითონ საწარმოს ხელმძღვანელობაა. ხარისხის აუდიტის პროცესს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმართავს, პრაქტიკული ცოდნისა და შესაბამისი გამოცდილების მქონე აუდიტორების – ორგანიზაციის თანამშრომლების საშუალებით. მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციის თანამშრომელი – აუდიტორი პირადად არ აგებდეს პასუხს აუდიტს დაქვემდებარებულ საქმიანობაზე. საინსპექციო შემოწმების ჩატარებისას აუდიტორის მოვალეობაა შეაფასოს საწარმოს ხარისხის სისტემა, მისი ეფექტურობა და გამოყენების დონე, დაადასტუროს მისი შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან, მოამზადოს დასკვნა და უზრუნველყოს რეკომენდაციების შემუშავება ხარისხის სისტემის გაუმჯობესებისათვის. შიდა აუდიტი შეიძლება იყოს გეგმიური, ძირითადად

პრევენციული ღონისძიებების გატარებისთვის, ასევე არაგეგმიური საწარმოო აუცილებლობით გამოწვეული. ნებისმიერ შემთხვევაში მისი ჩატარება იმპროვიზებული სახით დაუშვებელია. აუდიტის პროცესი უნდა დაიგეგმოს და შესრულდეს წინასწარშემუშავებული გეგმის მიხედვით წერილობითი სახით საკონტროლო ფუცრლების გამოყენებით, აუდიტორული ანგარიშების ფორმების მეშვეობით.

აუდიტის შედეგები არ უნდა ეყრდნობოდეს ჰიპოთეზებს, დაუსაბუთებელ მტკიცებულებებსა და ემოციებს. მისი საფუძველი ობიექტური, თვისობრივი და რაოდენობრივი ხასიათის ინფორმაცია უნდა იყოს, რომლის მოპოვება შესაძლებელია დოკუმენტალური შემოწმების, გაზომვების, დაკვირვებების, გამოცდების პროცედურების ჩატარებით. ასეთი სახით ჩატარებული თვითშეფასების საიმედოობა უფრო მაღალია ვიდრე მეორე ან მესამე მხარის მიერ ჩატარებული აუდიტორული შეფასება, რაც კომპანიის კონკურენტული ბრძოლის გარდაუვალობიდან გამომდინარეობს, ამასთან კომპანია არ არის დაინტერესებული შეფასების შედეგები დაამახინჯოს. კონკურენტული გარემოს არსებობა ჩატარებული ხარისხის აუდიტის რეალური სურათის აღქმისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რადგან ის საკმარის მოტივაციად შეიძლება ჩაითვალოს აუდიტის შედეგების გაყალბების თავიდან ასაცილებლად. შიდა აუდიტის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე თვითონ კომპანია ღებულობს, ამდენად ამ პროცედურის ჩატარებას აზრი არა აქვს თუ თვითონ კომპანია არაა მოტივირებული პროდუქციის ხარისხის რეალური სურათის მიღებაში. თვითშეფასების ჩატარების მიზანი საქმის ჭეშმარიტი მდგომარეობის გაგების სურვილია.

შიდა აუდიტის ჩატარება საშუალებას აძლევს კომპანიას საბოლოოდ შეაფასოს თავისი მზადყოფნა სასერტიფიკაციო აუდიტის ჩასატარებლად, რომელსაც ატარებენ გარე აუდიტორები, ისინი აუდიტის მეორე ან მესამე ტიპს განეკუთვნება.

მეორე მარის (მომხმარებლის) ან მესამე მხარის (სასერტიფიკაციო ორგანოს ან ხარისხის პრემიის მიმნიჭებელი ორგანოს) მიერ ჩატარებული შეფასების საიმედოობა დაბალია, რაც განპირობებულია ერთ შემთხვევაში კომპანიის მცდელობით დაიკავოს თავდაცვითი პოზიცია პოტენციურ "მეტოქესთან" (მომხმარებელი, მყიდველი) ან ეძებს შესაძლებლობას წარმატებით გაუძლოს "გამოცდას" მესამე მხარესთან.

აუდიტის პროცესში დასმული ამოცანის მიზნის, მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება ჩატარდეს ერთი აუდიტორის ან აუდიტორთა ჯგუფის მიერ. ორივე შემთხვევაში აუდიტორს ირჩევენ იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ არ იყოს დამოკიდებული ინსპექტირების ობიექტზე. იყოს კომპეტენნტური საინსპექციო ობიექტისა და აუდიტის საკითხებში (სერტიფიცირებული აუდიტორი), ჰქონდეს ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი, იყოს პატიოსანი, მშვიდი, ობიექტური, პუნქტუალური, აკურატული და გამოირჩეოდეს მაღალი პროფესიული ოსტატობით.

აუდიტორის ძირითად მოვალეობას საინსპექციო შემოწმების პროცესში წარმოადგენს:

- საინსპექციო პროცესის დაგეგმვა და ეფექტური ჩატარება;
- საინსპექციო ობიექტში არაშესაბამისობის (გადახრების) აღმოჩენა, რეგისტრაცია კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით;
- აუდიტორული დასკვნის მომზადება;
- რეკომენდაციების მომზადება შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად.

ჩატარებული აუდიტორული საქმიანობის შემდეგ აუდიტორები, ან აუდიტორთა ჯგუფი ატარებს დასკვნით თათბირს (შეხვედრას), ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან და პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად აუდიტორული დასკვნისა და რეკომენდაციების წარდგენის მიზნით, რის შემდეგაც ადგენენ დასკვნით პატაკს სადაც გამოყოფენ საკითხებს გამოვლენილ არაშესაბამისობათა შესახებ და აღნიშნავენ ხარისხის სისტემის უნარს შეასრულოს მოცემულ სფეროში დასახული ამოცანები.

აუდიტის სისწორესა და სისრულეზე პერსონალურ პასუხისმგებლობას იღებს აუდიტორი ან აუდიტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი.

1.2.2. პროდუქციის ხარისხის აუდიტის ადგილი საბაჟო სისტემაში

საბაჟო სისტემაში პროდუქციის ხარისხის ჩატარების აუცილებლობა გამოწვეულია საერთაშორისო საბაჟო და სავაჭრო ორგანიზაციების, სახელმწიფოსა და საგარეო–ეკონომიკური ურთიერთობის მონაწილე მხარეებს შორის სახელშეკრულებო პირობების შესრულების ვალდებულებით. საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნები დაკავშირებულია სავაჭრო–ეკონომიკური პროცესების ინტეგრაციის შემდგომ გაღრმავებასა და გაფართოებასთან, ქვეყნებს შორის არადისკრიმინაციული სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და საბაჟო პროცედურების ურთიერთშესატყვისობის გაზრდისაკენ. სახელმწიფოს მხრიდან ამ ღონისძიებების გატარების აუცილებლობა განპირობებულია საბაჟო გაფორმებისა და პროდუქციის კონტროლის მოთხოვნიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს საქონლის საიდენტიფიკაციო, ტექნოლოგიურ, შეფასებით (ღირებულებით), წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის ექსპერტიზებს, ასევე საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა რეგულირების საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია ჯანმრთელობის, ფიტოსანიტარულ, ვეტერინარულ, სტანდარტებთან შესატყვისობის, პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის დადგენის ექსპერტიზებთან.

საბაჟო აუდიტთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც გამომდინარეობენ მხარეთა შორის გაფორმებული საკონტრაქტო პირობებიდან მოიცავს:

- მწარმოებლის მიერ გაფორმებული პროდუქციის ხარისხის განმსაზღვრელი ლაბორატორიული გამოკვლევის დოკუმენტების აუდიტს;
- სასაქონლო ბირჟის საწყობებში (ბაზებში) ჩატარებული ექსპერტიზის დოკუმენტების აუდიტს;
- სადაზღვევო და გადაზიდვის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ექსპერტიზების დოკუმენტაციის აუდიტს. (როგორც წესი ისინი შედგენილია მოწვეული სპეციალისტის, სიურვერის[1] მიერ);
- კონტრაქტის პირობებიდან გამომდინარე პრეტენზიის საექსპერტო დასკვნები.

საერთაშორისო დონეზე პროდუქციის ხარისხის შესახებ მოთხოვნები განპირობებულია მომხმარებლის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, საკუთრების, გარემოს და საზოგადოებრივი ზნეობის დაცვის მოსაზრებიდან გამომდინარე, რაც დამოწმებულია პროდუქციის ხარისხის და უვნებლობის დამადასტურებელი სანიტარული, ფიტოსანიტარული, სტანდარტებთან შესაბამისობის და საკარანტინო მოწმობების საშუალებით.

[1] სიურვერი – პროდუქციის რაოდენობის შეფასებისა და სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციის მცოდნე ექსპერტ-სპეციალისტი

აღნიშნული მოთხოვნები ასახულია საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის ორ შეთანხმებაში, ესენია:

- შეთანხმება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ;
- შეთანხმება სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ღონისძიებათა შესახებ.

პირველი მათგანი მიმართულია ვაჭრობაში ზედმეტი ბარიერების წინააღმდეგ, რათა ტექნიკურმა ნორმებმა და სტანდარტებმა ასევე კონტროლის, გამოცდისა და სერტიფიკაციის რეგლამენტირებულმა პროცედურებმა ხელი არ შეუშალოს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებს. შეთანხმება განმარტავს ნორმატიული დოკუმენტების შემდეგ განსაზღვრებებს:

<u>ტექნიკური რეგლამენტი</u> – დოკუმენტია, რომელშიც დადგენილია საქონლის, პროდუქციის მახასიათებლები ან მასთან დაკავშირებული პროცესები და წარმოების მეთოდები, აუცილებლად შესასრულებელი ადმინისტრაციული წესების ჩათვლით. მასში მოცემულია ასევე ცნობები ტერმინოლოგიის, აღნიშვნების, შეფუთვის და მარკირების შესახებ იმ დოზით რა დოზითაც ის გამოიყენება საქონლის, პროდუქციის წარმოების მეთოდებში და პროცესებში.

<u>სტანდარტი</u> – ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი, მაგრამ ტექნიკური რეგლამენტისაგან განსხვავებით იგი განიხილება, როგორც ნებაყოფლობითი და არა აუცილებელი დოკუმენტი. სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დამუშავებული სტანდარტები დაფუძნებულია კონსენსუსზე (შეთანხმებაზე).

<u>შესაბამისობის შეფასების პროცედურები</u> – პირდაპირ ან ირიბად გამოყენებული ნებისმიერი სახის პროცედურა ტექნიკურ რეგლამენტთან ან სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. იგი თავის თავში გულისხმობს შერჩევითი კონტროლის, გამოცდისა და ინსპექტირების პროცესებს, ჩასატარებელ შემოწმებას, შეფასებას და შესაბამისობის დამოწმებას, ასევე რეგისტრაციას, აკრედიტაციას ან მათ კომპონენტებს.

მეორე სახის შეთანხმება, სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ღონისძიებათა შესახებ, აფუძნებს მონაწილე ქვეყნების უფლებას გამოიყენონ გარკვეული სახის ღონისძიებანი, რომელიც აუცილებელია ადამიანის, ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებანი, მეთოდები არ იქნებიან გაუმართლებელი და დისკრიმინაციული მონაწილე მხარეებისათვის, ასევე არ იქნება გამოყენებული საერთაშორისო ვაჭრობის ფარული შეზღუდვის ინსტრუმენტები.

აღნიშნულ ხელშეკრულებებს გააჩნია ზოგიერთი საერთო ელემენტები არადისკრიმინაციული ურთიერთობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ასევე დაფიქსირებულია შეხედულებათა თანხვედრა გატარებულ ღონისძიებათა შესახებ პარტნიორი მხარის წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მომენტები, რომლებიც ხელშეკრულებებით არის აღიარებული და მიესალმებიან საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებას, თუმცა მათი გამოუყენებლობის ერთადერთ გამართლებად ჯანმრთელობის შეფასების მოტივირებული რისკების მეცნიერული მტკიცებულებები და არგუმენტები მიაჩნიათ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცედურების ჩატარებისას ქვეყნები ითვალისწინებენ საკუთარ ისტორიულ, კულტურულ, გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და სხვა ფაქტორების თავისებურებებს, ხელშეკრულებათა ძირითად და ფუნდამენტალურ ღირებულებებთან კონფლიქტის გარეშე. ქვემოთ მოყვანილია მსოფლიოს ზოგიერთ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში აღნიშნული საკითხებისადმი მიდგომის თავისებურებანი.

იაპონია

იაპონიაში მოქმედებს განსხვავებული ნაციონალური სტანდარტები, განსაკუთრებული სერტიფიკაციის სისტემები და მოთხოვნები პროდუქციის ხარისხის ინსპექციაზე, უსაფრთხოების ტექნიკაზე, ეკოლოგიაზე, სანიტარულ–ჰიგიენურ და ვეტერინარულ ნორმებზე. სასოფლო–სამეურნეო, სამრეწველო და კვების პროდუქტების პარამეტრების შესაბამისობა იაპონურ კანონმდებლობასთან მოსახლეობის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიაა. კანონმდებლობა იმპორტის შემთხვევაში ეყრდნობა პროდუქციის მწარმოებელ ქვეყანაში, ისევე როგორც თვით იაპონიაში, მის აუცილებელ სერტიფიკაციას, თუმცა თანდათან აფართოებს იმპორტში უცხოური სერტიფიკაციის და ინსპექტირების შედეგების გამოყენების პრაქტიკას საერთაშორისოდ აღიარებული ნორმატიული დოკუმენტაციის შესაბამისად.

კანადა

კანადის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო განსაზღვრავს და აკონტროლებს პროდუქციის რეალიზაციის, რეკლამირებისა და მარკირების წესებს საქონლის გარკვეული ჯგუფებისათვის, რომლებიც პოტენციურად მომხმარებლისათვის შეიძლება ხიფათის შემცველნი იყვნენ. სამომხმარებლო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტრომექანიკურ, სასოფლო–სამეურნეო და კვების პროდუქტებს აუცილებლად უნდა გააჩნდეს კანადის სტანდარტების ასოციაციის (CSA) სერტიფიკატი.

აშშ

ამერიკის შეერთებული შტატებისათვის დამახასიათებელია საერთაშორისო სტანდარტების შეზღუდული გამოყენება, ან მათი სრული იგნორირება. ქვეყანაში რამდენიმე ათასი ორგანიზაციაა, რომლებიც ქმნიან სტანდარტებს, მათი ასეთი სიმრავლე მოცემულ სფეროში, მაღალკონკურენტულ გარემოს ქმნის, ამიტომაც რამდენიმე სახის პროდუქციაზე არსებული სტანდარტები პრეტენზიას აცხადებენ, რომ ისინი გახდნენ საერთაშორისო სტანდარტების საფუძველი ან გამოიყენონ მათთან ერთად. ქვეყანაში არსებობს მომხმარებლის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკმაოდ დანაწევრებული სისტემა, მათი მოთხოვნები ხშირ შემთხვევაში პროდუქციის ხარისხის პარამეტრების რეგლამენტირების ინსტრუმენტია.

ევროკავშირი

ევროკავშირის ქვეყნებში მომხმარებელთა უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის საგანგებო ღონისძიებები მოქმედებს. ამ კუთხით საკანონმდებლო ბაზა ევროკავშირის ქვეყნებში ერთნაირია, რომლის მიხედვითაც პროდუქციის შესაბამისობის საბოლოო დასკვნა აქ მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებთან, გამოაქვს ევროკავშირში არსებულ უფლებამოსილ ორგანოებს. საკანონმდებლო დოკუმენტაციის მიხედვით რეგლამენტირებულია პროდუქციის არა მხოლოდ ხარისხობრივი პარამეტრები, არამედ მისი დამზადების, წარმოების ტექნოლოგიებიც, რაც ევროკავშირის შიდა ბაზრის დაცვის მაღალ დონეს უზრუნველყოფს. მაგალითისათვის შეიძლება ავღნიშნოთ, რომ ღვინო რომელსაც პრეტენზია აქვს მოხვდეს ევროკავშირის ბაზარზე, დამზადებული უნდა იყოს ევროკავშირში მიღებული ნორმებისა და პრაქტიკის შესაბამისად; სხვა შემთხვევაში ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობისას, ღვინის რეალიზაცია შესაძლებელია დროებითი, ერთჯერადი ნებართვის საფუძველზე, როგორც გამონაკლისი ევროკავშირის ნორმატიული ბაზიდან.

შეზღუდვების განსაკუთრებული რეჟიმი მოქმედებს გენმოდიფიცირებულ სორგოსა და სიმინდის პროდუქციაზე, ზრდის ჰორმონით მიღებულ ხორცსა და ხორცპროდუქტებზე, სადეზინფექციო საშუალებებით დამუშავებულ ფრინველის ხორცზე.

ზოგიერთი ავტორი არ ეთანხმება ამ სფეროში აშშ–ს საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტაციის შეფასებას და მიაჩნია, რომ მომხმარებელთა უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის ასეთი დანაწევრებული, პროდუქციის ხარისხზე ორიენტირებული სისტემა, ზედმეტადაა რეგლამენტირებული პროდუქციის ცალკეული სახეობების მიმართ. ხოლო ევროკავშირში მოქმედი სტანდარტები, ტესტირებისა და სერტიფიცირების პროცედურები, მოთხოვნები მარკირებაზე და შეფუთვაზე, პროტექციონისტულ ხასიათს ატარებს, რაც საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის პოლიტიკის შედეგია. ასეთი ნეგატიური შეფასებები, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციისა და მისი წევრი ქვეყნების მიმართ გამოთქმულია, რუსეთის ფედერაციის ავტორიტეტულ გამოცემებში [5,6], რაც ეწინააღმდაგება საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის ეგიდით მოქმედ ხსენებულ ორ ხელშეკრულებას, თუმცა თვითონ რუსეთი მთელი ძალით მიისწრაფის ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად.

1.2.3. აუდიტის განვითარების ისტორია, სტრუქტურა და ორგანიზაცია

საწარმოო, ფინანსური, სააქციო და ზოგადად ეკონომიკური ურთიერთობების ზრდასთან ერთად, მე–19 საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი ერთ–ერთი ძირითადი მაჩვენებლის ბუღალტრულ – ფინანსური ანგარიშების ობიექტური შეფასების აუცილებლობა. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი, შეფასება და რეალიზაცია შესაძლებელი იყო საწარმოს ინტერესებიდან განზე მდგომი, დამოუკიდებელი სპეციალისტების საშუალებით. ცნობილია, რომ ბუღალტრული ანგარიშების შედგენის მოთხოვნილებები უძველესი ცივილიზაციის ქვეყნებში იღებს სათავეს. საფიქრალია, რომ აღრიცხვის აუცილებლობამ წარმოშვა მათი შემოწმებისა და კონტროლის მოთხოვნილება, როგორც საშემოსავლო და საარქივო პროცესების გაკონტროლების ერთ-ერთი საშუალება. ჩვენამდე მოღწეული ისტორიული დოკუმენტები მოწმობენ კონტროლის სხვადასხვა ფორმების არსებობას ძველ მსოფლიოში. ამ საკითხის გარშემო გარკვეული ცნობების მოპოვება ბიბლიაშიცაა შესაძლებელი, ასევე ყურადსაღებია ცნობები ჩინეთში ძველი წელთაღრიცხვის პირველ და მეორე ათასწლეულებში არსებული აღრიცხვისა და ანგარიშების სახელმწიფო სისტემის არსებობის შესახებ, რომელიც შეიცავს მონაცემებს საკმაოდ კარგად განვითარებულ საბიუჯეტო და სამთავრობო აუდიტის შესახებ.

ძველ საბერძნეთში ძვ.წ–ის V საუკუნიდან მოგვეპოვება ცნობები სახალხო კრების მიერ სახელმწიფო შემოსავლებისა და გასავლის კონტროლის შესახებ, რასაც სამთავრობო შემმოწმებლები – აუდიტორები ახორციელებდნენ.

ადრეულ შუასაუკუნეებიდან ცნობები აუდიტის შესახებ მოიპოვება უკვე ევროპული ქვეყნების ფინანსურ დოკუმენტებშიც. მაგალითადდ დიდ ბრიტანეთში აუდიტი ტარდებოდა სახელმწიფოს მმართველი ორგანოების თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების თანდასწრებით, აუდიტორის დასკვნის ხმამაღალი, საჯარო წაკითხვით. არსებობდა აუდიტის მეორე ფორმაც, რომელიც მსხვილი მამულების ფინანსურ მმართველთა საგადასახადო ანგარიშების დეტალურ

შემოწმებას ისახავდა მიზნად, რომელიც ე.წ. "აუდიტორული დეკლარაციის" – დასკვნის ზეპირი მოსმენით მთავრდებოდა მეპატრონისა და მმართველი საბჭოს წინაშე, ამასთან აუდიტორი ამ საბჭოს წევრად გვევლინებოდა, ეს კი გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ აუდიტის ასეთი ფორმა დღევანდელი შიდა აუდიტის წინამორბედი იყო.

შემდგომ პერიოდში აუდიტორული დასკვნის ზეპირი მოსმენის პროცესი თანდათან იღებს წერილობითი დოკუმენტაციის ფორმას, სადაც საკმაოდ დაწვრილებითი ანალიზია მოცემული აუდიტის ობიექტის შესახებ.

აუდიტის საბოლოო სახით ჩამოყალიბებას, მე–19 საუკუნეში, ხელი შუწყო საწარმოს ხელმძღვანელთა და მესაკუთრეთა ინტერესების გაყოფამ. ამ პერიოდისათვის თანდათან ყალიბდება მოთხოვნები საწარმოს მმართველობითი რგოლის მიმართ, რაც მათ უზადო პატიოსნებაში და მაღალ პროფესიონალიზმში გამოიხატებოდა.

ინგლისი ითვლება აუდიტის ისტორიულ სამშობლოდ, რადგან აქ 1844 წელს მიიღეს კანონი, რომელიც სააქციო კომპანიების მმართვლობით სტრუქტურას ავალდებულებდა წელიწადში ერთხელ მაინც მოეწყოთ, მოწვეული სპეციალისტები მიერ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შემოწმება.

XX საუკუნის შუა ხანებამდე აუდიტი, ფულადი ოპერაციების და ფინანსური ანგარიშების, სწორად დაჯგუფებას (კლასიფიცირების სისწორეს) ადასტურებდა. შემდგომში აუდიტი კომპანიის შიდა კონტროლის საკითხებითაც დაინტერესდა, რაც ანგარიშებში შეცდომის რისკს მკვეთრად ამცირებდა. გასული საუკუნის 70–იანი წლებიდან აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ხორციელდება.

საქართველოში კანონი "აუდიტორული საქმიანობის შესახებ" მიღებულია 1995 წელს.

აუდიტორული საქმიანობა თანდათან გახდა ცივილიზებული ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობების ერთ–ერთი შემადგენელ ატრიბუტი. უფრო მეტიც აუდიტორული საქმიანობა, მისი მოქმედების სფერო თანდათან გაფართოვდა და თავდაპირველ ფინანსურ–ბუღალტრულ მიმართულებასთან ერთად წარმატებით დაიწყო ახალი მიმართულებების ათვისება ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში და ყველა დარგში. აუდიტის შინაარსის გაფართოებამ და მისმა გადაყვანამ პროდუქციის ხარისხის კონტროლის სახელმწიფო სისტემიდან აუდიტორული კონტროლის სისტემაზე, ხელი უნდა შეუწყოს პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფასა და მართვის ეფექტურობის ზრდას. საქართველოში არსებული აუდიტორული საქმიანობის ორგანიზაცია და სტრუქტურა რეგულირდება მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების, საერთაშორისო სტანდარტებისა და აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების საფუძველზე.

1.2.4. სერტიფიკაცია, როგორც პროდუქციის ხარისხის აუდიტის იარაღი

მესამე მხარის მიერ მიღებულ მოთხოვნებთან წერილობით დადასტურებული, პროდუქციის, მომსახურების შესაბამისობის დადგენის ფაქტი განიხილება, როგორც სერტიფიკაციის პროცესი.

ტერმინი სერტიფიკაცია ლათინური წამოშობისაა და ნიშნავს "გაკეთებულია სწორად (მართებულად)." ტერმინის განსაზღვრებიდან გამომდინარე პროდუქციის "სწორად გასაკეთებლად" უნდა ვიცოდეთ თუ რა მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს იგი და როგორ მივიღოთ სარწმუნო მტკიცებულებები მის დასადგენად. პროცესი, რომელის მიზანი

ურთიერთშესატყვისობის დადგენაა, შესაბამისობის სერტიფიკაციის სახელითაა ცნობილი, ხოლო ამ პროცესის ჩატარებისა და მისი შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისობის სერტიფიკატია. მისი საშუალებით დასტურდება, რომ სათანადო სახით იდენტიფიცირებული პროდუქცია, პროცესი ან მომსახურება შეესაბამება კონკრეტულ სტანდარტს, ან სხვა ნორმატიულ დოკუმენტს.

აუდიტის განმარტების თანახმად იგი სამეურნეო სუბიექტის სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობის ქმედებათა და მოვლენათა შესახებ ცნობების ობიექტური შეკრების სისტემური პროცესია ამ მტკიცების დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის ხარისხის დასადგენად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ **პროდუქციის ხარისხის აუდიტი სამეურნეო სუბიექტის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში მის ქმედებათა შესაბამისობის დადგენა და შეფასებაა დადგენილ კრიტერიუმებთან, ხოლო სერტიფიცირების პროცესის შედეგები, საშუალებაა ამ მიზნის მისაღწევად.** აღნიშნულიდან გამომდინარე, სერტიფიცირების პროცესი შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ხარისხის აუდიტის იარაღი დასახული მიზნის მიღწევის გზაზე.

დადგენილი კრიტერიუმები და ნორმატიული დოკუმენტები შეიძლება არსებობდნენ სხვადასხვა სახის, მათ შორის:

- ტექნიკური რეგლამენტი;
- საერთაშორისო, რეგიონალური, დარგობრივი სტანდარტები;
- სანიტარული, სამედიცინო, ეკოლოგიური მოთხოვნები და წესები;
- ჰიგიენური, სამშენებლო და სხვა სახის ნორმები.

საკანონმდებლო დოკუმენტით "საქართველოს კანონი პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ"განმარტებულია და განიხილება პროდუქციის ხარისხთან და სერტიფიკაციასთან დაკავშირებული ტერმინები:

უსაფრთხო პროდუქცია – საქონელი ან მომსახურება, რომელიც ნორმალურად და გონივრულად გამოყენებისას არ შეიცავს რისკს ან შეიცავს მხოლოდ ადამიანთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონის გათვალისწინებით დასაშვებად მიჩნეულ, მინიმალურ რისკს.

სახიფათო პროდუქცია – საქონელი ან მომსახურება, რომელიც არ შეესაბამება უსაფრთხო პროდუქციის განმარტებას.

ტექნიკური რეგლამენტი – დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროდუქციის მახასიათებლებს ან მასთან დაკავშირებულ პროცესებს და წარმობის მეთოდებს შესაბამისი ადმინისტრაციული დებულებების ჩათვლით, რომელთა დაცვაც სავალდებულოა.

შესაბამისობის დეკლარაცია – სერტიფიკაციის პროცესის ერთ–ერთი დოკუმენტი, რომელიც თვით მწარმოებლის მიერაა შექმნილი. ამ დოკუმენტით პროდუქციის, მომსახურების მწარმოებელი აცხადებს, რომ დეკლარაციაში აღნიშნული პროდუქცია შეესაბამება მოთხოვნილ და ამ დკლარაციით გაცხადებულ ნორმებს.

პროდუქციის ხარისხის აუდიტის მიზანი სასერტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემებთან პროდუქციისა და მომსახურების შესაბამისობის დადგენაა. ამდენად ხარისხის აუდიტი განიხილავს და გულისხმობს გარკვეული დოზით სასერტიფიკაციო შედეგების გაცნობას, ანალიზს, შეფასებას, რაც საწარმოსა და თვით სერტიფიკაციის პროცესისადმი გარკვეული სახის დასკვნების გამოტანის საფუძველია. აქედან გამომდინარე სასერტიფიკაციო პროცესი აუდიტის ყურადღების სფეროს განეკუთვნება, იგი აუდიტორისაგან მოითხოვს ამ პროცესებში ღრმა და საფუძვლიან გარკვევას.

სერტიფიკაციის პროცესი, ისევე როგორც აუდიტი, არსებობს სამი სახის:

- თვითსერტიფიკაცია – ატარებს პროდუქციის მწარმოებელი;
- მეორე მხარის სერტიფიკაცია – ატარებს მომხმარებელი;
- მესამე მხარის სერტიფიკაცია – ატარებს დამოუკიდებელი, არადაინტერესებული, მხარე.

საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ნდობით სარგებლობს მესამე მხარის მიერ ჩატარებული სერტიფიკაცია.

ამას გარდა სერტიფიკაციას კანონმდებლობის ძალით შეიძლება მინიჭებული ჰქონდეს სავალდებულოდ ჩატარების სტატუსი, თუ ასეთი საკანონმდებლო ვალდებულება არ არსებობს, იგი განიხილება როგორც ნებაყოფლობითი.

სავალდებულო სერტიფიკაცია ვრცელდება პროდუქციასა და მომსახურებაზე, რომელიც დაკავშირებულია გარემოს, სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან.

ევროპული თანამეგობრობის ქვეყნებში პროდუქციის უსაფრთხოებაზე სერტიფიცირება ტარდება ჰარმონიზებული დირექტივების შეასბამისობამისი დოკუმენტების მიხედვით 90/106/EEC – სამშენებლო პროდუქციისათვის, 88/178/EEC – სათამაშოების უსაფრთხოებისათვის. დოკუმენტებში მოცემულია უსაფრთხოების მაჩვენებლებისადმი მინიმალური მოთხოვნები, რაც არ გამორიცხავს, რომ ევროკავშირის სხვა რომელიმე ქვეყნისათვის ეს მოთხოვნები იყოს უფრო მკაცრი.

კანონმდებლობით განსაზღვრული, სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციისა და მომსახურების ზოგიერთი სახეობები შეიძლება იყოს: მანქანათმნშენებლობის, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთმშენებლობის, სამედიცინო, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პეოდუქცია, ხოლო მომსახურების სფეროში: საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობა, ტურისტული, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების დარგის ობიექტები. ნებაყოფლობითი სერტიფიკაცია ტარდება იმ პროდუქციასა და მომსახურებაზე, რომელიც არ შედის სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებულ ჩამონათვალში.

სერტიფიკაციის სამუშაოები დაკავშირებულია სერტიფიკაციის სისტემის შექმნასთან, რომელიც ჩატარებულ სამუშაოთა ძირითად პრინციპებს, წესებს, სტრუქტურასა და ორგანოებს განსაზღვრავს. სერტიფიკაციის სისტემა გულისხმობს თანამედროვე საგამოცდო, საკონტროლო–საზომ მოწყობილობებით, გამოთვლითი ტექნიკით, მეთოდური და საკადრო უზრუნველყოფით აღჭურვილ დამოუკიდებელ საორგანიზაციო სტრუქტურას, რომლის შესაძლებლობები უნდა ითვალისწინებდეს საჭირო საიმედოობით, ექსპერიმენტალურად დადასტურებულ სასერტიფიკაციო პროდუქციის შეფასებას შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტებით დადგენილ მოთხოვნებთან. ასეთი სახით მოწესრიგებული სერტიფიკაციის სისტემები მოწოდებულია პროდუქციის, მომსახურების, პერსონალისა და ხარისხის სისტემის სერტიფიცირების სამუშაოების შესასრულებლად.

სერტიფიკაციის სისტემით განსაზღვრული პროცედურები ტარდება მიღებული სქემებით, რომლის არჩევა პროდუქციის, მისი წარმოების, მიმოქცევისა და გამოყენების თავისებურებების გათვალისწინებით ხორციელდება, რასაც სერტიფიკაციის ორგანო განსაზღვრავს.

საქართველოს ეროვნული სტანდარტის სსტ 5.020.2006 "შესაბამისობის შეფასება პროდუქციის ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ჩატარების წესის" მიხედვით რეგლამენტირებულია სერტიფიკაციის ჩატარების სქემები, რომლებიც კლასიფიცირებულია პროდუქციის გამოცდის ტიპების მიხედვით 10 სახეობის სქემად. თითოეული მათგანი ვრცელდება გამოშვებული პროდუქციის ტიპების,

პარტიის, რეალიზაციაში ან დამზადების სტადიაში აღებული თითოეული ნიმუშის გამოცდის ეტაპებად წარმოების მდგომარეობისა და ხარისხის სისტემის ანალიზისათვის.

სერტიფიკაციის პროცესთან დაკავშირებული პროცედურების შესრულება საქართველოში მოქმედი აკრედიტაციის სისტემის ტექნიკური რეგლამენტის საკ 12:2006 "ზოგადი მოთხოვნები ლაბორატორიების აკრედიტაციისადმი" (სახელმძღვანელო დოკუმენტი სსტ 45001:2006 და ისო/იეკ 170252006 სტანდარტების გამოსაყენებლად) მიხედვით მხოლოდ ტექნიკურ კომპეტენტურობასა და დამოუკიდებლობაზე აკრედიტებულ ლაბორატორიას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სავალდებულო შესაბამისობის შეფასების, გამოცდების, დამოწმების სამუშაოებში.

ტერმინი "აკრედიტირებული ტექნიკურ კომპეტენტურობასა და დამოუკიდებლობაზე" ნიშნავს, რომ ლაბორატორია წარმოადგენს დამოუკიდებელი ირიდიული სტატუსის მქონე ორგანიზაციას, განიხილება როგორც არადაინტერესებული მესამე მხარე და დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის კრიტერიუმების შესაბამისად.

საგამოცდო (ტესტირების) ლაბორატორია წარმოადგენს საკონტროლო–საგამოცდო ერთეულს, რომელიც ტექნიკური პროცესებისა და დადგენილი პროცედურების მეშვეობით ადგენს პროდუქციის ან მასთან დაკავშირებული პროცესის ერთ ან რამოდენიმე მახასიათებელს. განმარტებაში უნდა მიეთითოს დადგენილი პროცედურების შესახებ, რადგან ნორმატიული დოკუმენტი რეგლამენტაციას უწევს არა მხოლოდ პროდუქციისა და პროცესის მახასიათებლების რაოდენობრივ მნიშვნელობას, არამედ მიუთითებს კვლევისა და გამოცდის იმ მეთოდსა და ხერხზე, რომელიც შეიძლება იქნეს გამოყენებული. შესაბამისად, რეგლამენტირებული მოთხოვნებიდან ნებისმიერი გადახვევა აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება და განიხილება, როგორც კანონდარღვევა.

გამოცდა (ტესტირება)–ტექნიკური ოპერაციაა, რომელიც ითვალისწინებს პროდუქციის, პროცესის ან მომსახურების ერთი ან რამოდენიმე მახასიათებლის განსაზღვრას დადგენილი პროცედურის მიხედვით.

გამოცდის მეთოდი – გამოცდის ჩატარების დადგენილი ტექნიკური პროცედურაა.

გამზომი ლაბორატორია – ტესტირების ლაბორატორიის სახეობა, სადაც ტარდება გაზომვები.

საკ 12:2006 რეგლამენტის მიხედვით აკრედიტებული ლაბორატორია ვალდებულია განახორციელოს გამოცდათა ის სახეობები, რომელიც განსაზღვრულია მისი აკრედიტაციის სფეროთი და დააკმაყოფილოს აკრედიტაციის ცენტრის მიერ დადგენილი კრიტერიუმები.

პროდუქციის შესაბამისობის შეფასება სერტიფიკაციის პროცედურებით განსაზღრული პროცესია, რომელიც ნიმუშის აღების, მისი იდენტიფიკაციისა და გამოცდის ეტაპებისაგან შედგება.

ნიმუშის აღება მზა პროდუქციიდან დადგენილი წესით, შემთხვევითობის პრინციპის დაცვით ხორციელდება იმ პირობით, რომ ნიმუში იყოს ისეთივე, როგორც მომხმარებლისათვის გათვალისწინებული პროდუქცია. ნიმუშს იღებს აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიის ექსპერტი დამკვეთის თანდასწრებით და აფორმებს ნიმუშის აღების აქტს. ამავე დროს ხდება პროდუქციის პარტიის იდენტიფიკაცია, რომელიც ითვალისწინებს პროდუქციის ნიშანდების (შტრიხკოდი, დამამზადებელი, დამზადების თარიღი, ვარგისიანობის ვადა, ნორმატიული დოკუმენტი, პარტიის მოცულობა, შეფუთვა, მარკირება, ტარა, ნეტო, ბრუტო და სხ.). შესაბამისობის შემოწმებას სასაქონლო–სატვითო,

საბაჟო სატრანსპორტო დეკლარაციასა და სხვა დოკუმენტებში მითითებულ ინფორმაციასთან.

შერჩეული ნიმუშები ადგილზე შეიფუთება და დაილუქება, რითაც მოხდება მისი განცალკევება ძირითადი პროდუქციისაგან. ჩატარებული პროცედურები ფორმდება აქტით. ნიმუშის შენახვის, ტრანსპორტირების, და გამოსაცდელად მომზადების ყველა ეტაპზე და თვით გამოცდის პროცესშიც დაცული უნდა იყოს პროდუქციაზე ნორმატიულ დოკუმენტაციაში მოყვანილი მოთხოვნები. აღებული ნიმუშები პროდუქციის დასახელების, დამამზადებლის, შენახვის ვადის, ნიმუშების რაოდენობის, შემდგომში გამოცდის შედეგების ჩვენებით რეგისტრირდება ჟურნალში, რომელიც დასტურდება საგამოცდო ლაბორატორიის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით. ლაბორატორიის მიერ ჩატარებული სამუშაო აისახება ოქმში, სადაც ნაჩვენები უნდა იყოს გამოცდის შედეგები და მასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია; მათ შორის: ლაბორატორიის დასახელება, მისამართი, ოქმის აღნიშვნა, დამკვეთის მონაცემები, გამოსაცდელი ნიმუშისა და საზომი საშუალებების დახასიათება. აღნიშვნები ნიმუშის აღების, საგამოცდოდ მიღების, გამოცდის ჩატარების თარიღის, გამოცდის ჩასატარებელი ნორმატიული დოკუმენტის დასახელების, გამოცდის შედეგების შესახებ, რასაც ხელმოწერით უნდა ადასტურებდეს ოქმის შემდგენი პასუხისმგებელი პირი ხელმოწერის თარიღის მითითებით.

ლაბორატორიული გამოცდის ოქმის შედეგებს ექსპერტები ადარებენ მოქმედი ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნებთან, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილება შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის ან არ გაცემის შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში ნიმუშის აღებისა და გამოცდების ჩატარების პროცედურებში აღმოჩენილი საეჭვო გარემოებები შეიძლება დამატებითი გამოცდების ჩატარების მიზეზი გახდეს.

1.3. საერთაშორისო კონტრაქტი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველი

საერთაშორისო კონტრაქტი ეწოდება სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ ორ ან რამოდენიმე მხარეს შორის გარიგებას (შეთანხმებას) დადგენილი რაოდენობის და ხარისხის საქონლის მიწოდებაზე, ან მომსახურების გაწევაზე მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით.

კონტრაქტი ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს მონაწილე მხარეთა ურთიერთობებს, ასევე იგი არის საგარეო სავაჭრო საქმიანი ურთიერთობების რეგულირების ძირითადი საშუალება. განსაზღვრებიდან გამომდინარე კონტრაქტი მხარეებს შორის ხელმოწერის შემდეგ გადაიქცევა იურიდიულ აქტად და ნორმატიული დოკუმენტის სტატუსს იძენს.

საკონტრაქტო საგნის და ობიექტისაგან დამოკიდებულებით ასევე სხვადასხვა საკონტრაქტო პირობების გამო ისინი შეიძლება საგრძნობლად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ფორმით და შინაარსით, მაგრამ არსებობს

შინაგანი და საერთაშორისო შეთანხმებებითა და კანონმდებლობით დადგენილი საგარეო სავაჭრო კონტრაქტის შედგენის ტიპიური წესები.

კონტრაქტები იყოფა ორ, ძირითად და უზრუნველყოფის კონტრაქტის სახეობებად.

კონტრაქტების ძირითად სახეობებს მიეკუთვნება ყიდვა-გაყიდვის, საქონლის ბარტერის, სამეცნიერო-ტექნიკური, იჯარის, ტურიზმის, კონსალტინგის, ლიზინგის, ინჟინერინგის და სხვ. კონტრაქტები.

უზრუნველყოფის კონტრაქტის სახეობებს განეკუთვნება გადაზიდვების, სადისტრიბუციო მომსახურების, დაზღვევის, შენახვის, ანგარიშების, ფაქტორინგის, სააგენტო და სადილერო მომსახურების კონტრაქტები.

კონტრაქტის ობიექტი შეიძლება იყოს გაყიდვას ან გადაცემას დაქვემდებარებული მატერიალური საშუალება, რომელსაც ეხება შეთანხმება და შეადგენს ოპერაციის არსს.

კონტრაქტის მხარეები შეიძლება იყვნენ ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირები რომლებიც გარიგებაში მონაწილეობენ.

ვენის 1980 წლის “ყიდვა-გაყიდვის საერთაშორისო კონვენციის” თანახმად ურთიერთთანამშრომლობა საკონტრაქტო ურთიერთობების დასამყარებლად იწყება კონტრაქტის საგანზე ოფერტის გაგზავნით. ოფერტი ერთერთი მხარის (ოფერენტი) კომერციული წინადადებაა იურდიულად სავალდებულო საკონტრაქტო ურთიერთობების შესახებ მეორე მხარესთან. შესაძლო პარტნიორი ოფერტით დაინტერესების შემთხვევაში ოფერენტს უგზავნის აქცეპტს–საკუთარ მოსაზრებას ოფერენტის წინადადებაზე.

ოფერტის მიზანია პოტენციური პარტნიორის (აქცეპტანტის) ყურადღება მიაპყროს შეთავაზებულ წინადადებას.

ოფერტის შინაარსი შეძლებისდაგვარად უნდა პასუხობდეს აქცეპტანტის ყველა შესაძლო შეკითხვას, საერთაშორისო სავაჭრო კონტრაქტის გაფორმებისას ოფერენტი–გამყიდველის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციას:

– ზუსტი , მთლიანი და შემოკლებული დასახელება;
– საქონელს დასახელება, მარკა და საფირმო ნიშანი;
– საქონლის ძირითადი მახასიათებლები;
– მიწოდების შეთავაზებული მოცულობა და მინიმალური რაოდენობა პარტიაში;
– ცნობები შეფუთვის შესახებ;
– მიწოდების პირობები “ინკოტერმსი–2000”-ის მიხედვით;
– ერთი ცალის, პარტიის და მთლიანი ღირებულება. გადახდის წესი;
– ფასდაკლების (ბონუსების) პირობები;
– მიწოდების ვადები;
– გამყიდველის რეკვიზიტები;

ოფერტის ენა –ადრესატის ენაა ან ინგლისური.

ოფერტის გაგზავნა კონკრეტული აქცეპტანტისათვის შეიძლება ინფორმაციის მასობივი საშუალებებით ან უშუალოდ.

ოფერტი ძალაში შესულად ითვლება მას შემდეგ რაც იგი ცნობილი გახდა აქცეპტანტისათვის.

აქცეპტი – ოფერტის მიხედვით კონტრაქტის გაფორმებაზე ოფიციალური თანხმობაა. როგორც წესი იგი სრულდება საგარანტიო წერილის სახით კონკრეტული და გასაგები ფორმით. ცალკეულ შემთხვევაში თან დაერთვის საბანკო გარანტიები ან საგადასახადო ვალდებულება წინასწარ გადახდაზე. იმ შემთხვევაში თუ აქცეპტანტს არ აკმაყოფილებს ოფერტის ცალკეული პოზიციები, მაშინ მას შეუძლია გაგზავნოს შემხვედრი წინადადებები–კონტროფერტი.

ოფერტისა და აქცეპტის თანხმობისას მხარეები მზად არიან საქმიანი მოლაპარაკებების გამართვისათვის კონტრაქტის საგანზე და პირობებზე. ამ დროისათვის მხარეთა შორის გამოკვეთილია საერთო მიზანი, კონტრაქტის გაფორმების ურთიერთსარგებლიანობის შესახებ. საქმიანი მოლაპარაკებების გამართვის მეთოდიკა გაშუქებულია "ტექნოლოგიების საერთაშორისო გადაცემისას მიღებულ ქცევის კოდექსში", რომლის თანახმადაც მოლაპარაკებები უნდა მიმდინარეობდეს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთსარგებლიანობის და კეთილსინდისიერების სულისკვეთებით.

საქმიანი მოლაპარაკებები მიმდინარეობს ორგანიზაციების, ფირმების ხელმძღვანელების ან მათი სრულუფლებიანი წარმომადგენლების საშუალებით, დარგის სპეციალისტების მონაწილეობით.

მოლაპარაკებების დაწყებამდე დგება პროგრამა, მოლაპარაკებაში მონაწილეთა მითითებით და განსახილველი საკითხების ჩამონათვალით. მოლაპარაკების ენა განისაზღვრება ურთიერთშეთანხმებით, როგორც წესი აუცილებლობის შემთხვევაში მოლაპარაკების უზრუნველყოფას კვალიფიცირებული თარჯიმნით, თავის თავზე მასპინძელი მხარე იღებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ორგანიზაციასა და ფირმას არა აქვს უფლება მოიწვიოს უცხო ქვეყნის დელეგაცია საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, ამისათვის ის დარეგისტრირებული უნდა იყოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო სამმართველოში, სადაც მას მიენიჭება სარეგისტრაციო ნომერი, რომლის შესახებაც შეტყობინება ყველა საკონსულო განყოფილებაში მიზანმიმართულად იგზავნება. საკონსულო განყოფილებები ვიზების გაცემისას ხელმძღვანელობენ აღნიშნული ინფორმაციით.

საქმიანი მოლაპარაკებების შესახებ, როგორც წესი უნდა გაფორმდეს ჩარჩო ოქმი (განზრახულობათა ოქმი), რომელშიც მხარეები გამოთქვამენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და იღებენ კონკრეტულ ვალდებულებებს გარკვეულ ვადაში შესასრულებლად.

ჩარჩო ოქმი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

– დოკუმენტის დასახელება;

– გაფორმების ადგილი და დრო;

– მხარეთა სრული იურიდიული დასახელება, წარმომადგენელთა გვარები, მათი თანამდებობა და უფლებამოსილება;

– განხილვის საგანი და მხარეთა ვალდებულება;

– მხარეთა მიზნები მოლაპარაკების საგნის შესახებ;

– მხარეთა წინასწარი ვალდებულება;

– კონფიდენციალური ინფორმაციის გაუვრცელებლობის ვალდებულება;

– ვალდებულება ახალი ოფერტის გაუვრცელებლობის შესახებ მოლაპარაკების საგანზე მესამე მხარესთან აღნიშნული ოქმის ან აღებული ვალდებულების მოქმედების პერიოდში;

– ოქმის მოქმედების ვადა, რომლის ამოწურვის შემდეგ მხარეთა მინდობილობები ძალას კარგავს;

– მხარეთა ვალდებულება ყველა ქმედებისა და ხარჯების შესახებ, მოცემული ოქმის გარშემო. მხარეებმა უნდა აიღონ თავის თავზე ვალდებულება და არ წაუყენოს ფინანსური პრეტენზიები პარტნიორს.

ჩარჩო ოქმის გაფორმების და მის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ, მხარეები კონტრაქტის შედგენაზე გადადიან. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო გარიგების პროცედურაში, საქონლის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის შედგენა საკმაოდ პასუხსაგები ოპერაციაა. იმის მიხედვით თუ როგორაა შედგენილი კონტრაქტი, ბევრადაა დამოკიდებული მხარეთა საქციელი, მათი პასუხისმგებლობა კონტრაქტის შეუსრულებლობისას და სხვა.

1.3.1. საკონტრაქტო სამართლის წყაროები

საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკაში ვაჭრობის სამართლებრივი ნორმებისაგან გამოყოფილია საკონტრაქტო სამართლის ნორმები და მისგან დამოუკიდებულ სამართლებრივ ელემენტს წარმოადგენს.

საკონტრაქტო სამართლის ნორმები რეგულირდება საერთაშორისო კონვენციებით, შეთანხმებებითა და ხელშეკრულებებით. ამას გარდა თვითეულ ქვეყანას გააჩნია საკუთარი სამართლებრივი ბაზა საერთაშორისო საგარეო–სავაჭრო კანონმდებლობასთან დაკავშირებით, რომელიც ჰარმონიზირებულია და შეესატყვისება მოცემულ დარგში საერთაშორისო ნორმებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა საკონტრაქტო სამართლის ნორმებისა და სავაჭრო–ეკონომიკური კონტრაქტის გაფორმებისას, ენიჭება მოცემული ქვეყნის ჩვევებსა და ტრადიციებს.

საკონტრაქტო სამართლის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სამართლებრივი აქტია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია "საქონლის ყიდვა–გაყიდვის საერთაშორისო შეთანხმებათა" შესახებ, რომელიც 1980 წელს მიიღეს ვენაში. ვენის კონვენცია წარმოადგენს საერთაშორისო მასშტაბით უნიფიცირებულ მატერიალურ–სამართლებრივ ნორმას, რომელიც არეგულირებს ხელშეკრულების ყველაზე გავრცელებულ სახეობას, როგორიცაა საქონლის ყიდვა–გაყიდვის ხელშეკრულება.

კონვენციის მიზანია:

1. ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარება;
2. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე;
3. საქონლის ყიდვა-გაყიდვის ერთიანი საერთაშორისო ნორმების მიღება.

აღნიშნული კონვენცია თავისი სტრუქტურითა და შინაარსით მაქსიმალურად მიახლოებულია მრავალი ქვეყნის საგარეო-სავაჭრო კანონმდებლობასთან.

კონვენცია ოთხი ნაწილისაგან შედგება. მისი პირველი ნაწილი ეხება კონვენციის გამოყენების სფეროს და საერთო დებულებებს.

კონვენციის გამოყენება შესაძლებელია იმ მხარეთა საქონლის მიმართ, რომელთა წარმოებები სხვადასხვა ქვეყანაშია განლაგებული. იგი არ ვრცელდება ისეთ საქონელზე, რომელიც პირადი სარგებლობის მიზნითაა შეძენილი, ან ნაყიდია აუქციონიდან. იგი ასევე არ ვრცელდება საფონდო ქაღალდებზე, აქციებზე, ფულზე, საბრუნავ დოკუმენტებზე, საწყალოსნო და საჰაერო ხომალდებზე, ელექტროენერგიაზე.

კონვენციის მეორე ნაწილის მიხედვით კონტრაქტი ჩაითვლება ძალაში შესულად თუ ის შეიცავს კონტრაქტის გაფორმების მინიმალურ პირობებს. მათ შორის კონტრაქტის გაფორმებას ოფერტსა და აქცეპტში მოცემული პირობებით.

მესამე ნაწილში გადმოცემულია მყიდველისა და გამყიდველის ძირითადი უფლებები და მოვალეობები. გამყიდველის ძირითადი ვალდებულება, კონვენციის მიხედვით, საქონლის მიწოდებაა, რომელიც რაოდენობით, ხარისხით, შეფუთვით და აღწერით შეესაბამება შეთანხმებულ მოთხოვნებს, ასევე აღნიშნულ საქონელზე დოკუმენტაციისა და საკუთრების უფლების გადაცემის პირობებს.

მყიდველის ძირითადი ვალდებულებაა საქონლის ღირებულების გადახდა, საქონლის მიღება კონტრაქტისა და კონვენციის პირობებით გათვალისწინებულ გარემოებებში.

კონვენციის მეოთხე ნაწილში მოცემულია დასკვნითი დებულებები, რომელიც კონტრაქტის ამოქმედების პირობებსა და ვადებს ეხება, ასევე მოცემულია კონვენციით დაშვებული, ხელშეკრულების მუხლების გადათქმის

პირობები და განცხადებები.ვენის კონვენცია არეგულირებს საერთაშორისო სავაჭრო გარიგებებს იმ შემთხვევაშიც თუ ერთერთი მონაწილე მხარის სახელმწიფო, კონვევციის წევრი არაა.

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში პატივს სცემენ და ითვალისწინებენ ცალკეული ქვეყნების სავაჭრო ჩვევებსა და ტრადიციებს. ისინი, როგორც წესი, სისტემატიურად გამოიყენება დიდი ხნის განმავლობაში, მართალია არსად არ არის დაფიქსირებული, მაგრამ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სანქცირებულია, განსხვავებით იურიდიულ სისტემაში შემავალი წესჩვეულებებისაგან, რომლებიც სამართლებრივი ნორმის ფუნქციას ასრულებენ.

ჩვეულებები, რომელთა საფუძველი სახელმწიფო სუვერენიტეტი და თანასწორუფლებიანობაა, სავალდებულოა ყველა ქვეყნისათვის. საერთაშორისო სამრეწველო–სავაჭრო პალატასთან არსებული საარბიტრაჟო სასამართლო დავების განხილვისას ითვალისწინებს ქვეყნის ტრადიციებსაც. მაგალითად ჩვენთან მიღებული ტრადიციის მიხედვით მისამართის ჩაწერის დროს მიეთითება: ქვეყანა, დასახლებული პუნქტი (ქალაქი, დაბა, სოფელი), ქუჩის დასახელება, სახლის ნომერი, პიროვნების გვარი, სახელი. ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მისამართის ჩაწერის განსხვავებული ტრადიცია არსებობს სადაც ჯერ მიუთითებენ გვარს, სახელს,ქუჩის დასახელებას, სახლის და ბინის ნომერს, დასახლებული პუნქტის (ქალაქი, დაბა, სოფელი), ადმინისტრაციული დაქვემდებარების ერთეულს (შტატი, მხარე, მიწა) თუ ასეთი არსებობს და ქვეყნის დასახელებას.

ასეთივე განსხვავებული ტრადიცია არსებობს თარიღის ჩაწერისას მაგალითად: 2010 წლის 19 სექტემბერი ჩვენთან ასეთი სახით ჩაიწერება 19.09.10. უცხოეთის ზოგიერთ ქვეყანაში იგივე თარიღი 10.09.19.

წესჩვეულებებისა და ტრადიციების გამოყენების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ზოგიერთი საზომი ერთეულის გამოყენებაც საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში (ბარელი, უნცია, მილი, ცენტნერი და სხვა.)

1.3.2. საერთაშორისო სავაჭრო კონტრაქტის შემადგენელი ნაწილები

პრეამბულა და მხარეთა განსაზღვრა – კონტრაქტის ტექსტი იწყება პრეამბულით, რომელშიც მოცემულია:

– კონტრაქტის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი;
– კონტრაქტის გაფორმების ადგილი და თარიღი;
– კონტრაქტის მონაწილე მხარეთა განსაზღვრა;

დავების განხილვის დროს კონტრაქტის გაფორმების ვადების განსაზღვრისას, მისი გაფორმების ადგილმა შეიძლება იურიდიული მნიშვნელობა შეიძინოს, რადგან გამოიყენება ე.წ. ადგილზე ხელმოწერის წესი, რაც გულისხმობს კონტრაქტის ხელმოწერის ადგილისა და თარიღის თანხვედრას ფაქტიურად შესრულებულ პროცედურებთან, ზოგადად კონტრაქტის ფაქტიური გაფორმების ადგილი, არ არის სავალდებულო შეესაბამებოდეს პრეამბულაში მითითებულ კონტრაქტის გაფორმების ადგილს. პროცესუალურად კონტრაქტზე ხელმოწერა ხორციელდება მხარეთა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე წარმომადგენელთა შეხვედრაზე. ამ დროს

კონტრაქტის გაფორმების თარიღი და ადგილი ემთხვევა ფაქტიური ხელმოწერის გაფორმების თარიღსა და ადგილს. იმ შემთხვევაში როდესაც სრულუფლებიანი წარმომადგენელების შეხვედრის ორგანიზება (როდესაც მათ შორის ყველა საკითხი შეთანხმებულია) კონტრაქტის გასაფორმებლად რაღაც მიზეზების გამო ვერ ხერხდება, დასაშვებია კონტრაქტზე ხელმოწერა განხორციელდეს დამოუკიდებლად. ამ დროს ერთ-ერთი ხელისმომწერი მხარე აწერს კონტრაქტს ხელს და მიუთითებს ხელმოწერის ფაქტიურ თარიღს. გაფორმების ადგილი შეიძლება მითითებული იყოს ერთ–ერთი მხარის ადგილსამყოფელი ან წინასაკონტრაქტო საქმიანი მოლაპარაკების ადგილი, სადაც შეთანხმებული იქნა კონტრაქტის ყველა საკითხი. ხელმოწერის შემდეგ ცალმხრივად ხელმოწერილი კონტრაქტის ყველა ეგზემპლიარი კურიერის საშუალებით ეგზავნება მეორე მხარეს. მეორე მხარის ხელმოწერის შემდეგ, სადაც იგი მიუთითებს კონტრაქტზე ხელმოწერის ფაქტიურ თარიღს, კონტრაქტის შესაბამისი ეგზემპლიარები უბრუნდება პირველ მხარეს და საჭიროების შემთხვევაში მესამე მხარესაც, კურიერის საშუალებით.

კონტრაქტის გაფორმების თარიღად ითვლება კონტრაქტორი (მეორე) მხარის ხელმოწერის თარიღი, რომელიც შეიძლება ემთხვეოდეს კონტრაქტის მოქმედებაში შესვლის თარიღს, თუ სხვა რამ არ არის მითითებული კონტრაქტის ტექსტში.

კონტრაქტის გაფორმების თარიღი იურიდიულად ნიშნავს მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების ძალაში შესვლას, საიდანაც იწყებს მოქმედებას მხარეთათვის კონტრაქტით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

მხარეთა განსაზღვრება უნდა შეიცავდეს:

– ფირმის სრულ იურიდიულ დასახელებას, რომლითაც მხარეები თავიანთი ქვეყნის სახელმწიფო რეესტრში არიან დაფიქსირებულები, მოცემულ საქმიანობაზე ლიცენზიის სახისა და ნომერის ჩვენებით;

– ადგილმდებარეობას (ქალაქი, ქვეყანა);

– მხარეთა დასახელებას კონტრაქტის ტექსტში (მყიდველი და გამყიდველი, შემკვეთი და მიმწოდებელი).

აბრევიატურის გამოყენება რეკომენდებული არაა, რათა არ მოხდეს მისი ორაზროვანი გაშიფვრა.

კონტრაქტის საგანი – კონტრაქტის ამ ნაწილში საკონტრაქტო საგნის განსაზღვრის გარდა მოცემულია კონტრაქტის მოქმედების ხასიათი, რომელიც გარიგების ტიპს და პირობების ხასიათს განსაზღვრავს (ყიდვა-გაყიდვა, იჯარა, ქვეიჯარა, მომსახურების გაწევა) მოცემულია საქონლის ზუსტი დასახელება (სასურველია საქონლის სასაქონლო ნომენკლატურის კოდის აღნიშვნით), რომელიც საერთაშორისო ვაჭრობაშია მიღებული. აქვე მითითებულია საქონლის დახასიათება, რომელიც შეიცავს მის პარამეტრებს. ჩვეულებრივ ამ განყოფილებას დართული აქვს დამატებები სპეციფიკაციებით, რომელიც კონტრაქტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

საქონლის რაოდენობა – საქონლის რაოდენობის განსაზღვრისათვის მხარეებს შორის კონტრაქტში შეთანხმებული უნდა იყოს მისი გაზომვის ერთეულები, ზომა–წონის სისტემა, ასევე რაოდენობის დადგენის წესი. მოცემული საქონლით ვაჭრობისას გაზომვის ერთეულის არჩევა დამოკიდებულია საქონელზე, საერთაშორისო ვაჭრობაში არსებულ პრაქტიკაზე და ტრადიციებზე.

პროდუქციისათვის, რომელთა რაოდენობაც ცალობით ითვლება განზომილების ერთეულად უმჯობესია გამოვიყენოთ „ცალი“ (მანქანები, დანადგარები, გრძელვადიანი მოხმარების საქონელი და ა.შ.) იმ შემთხვევაში თუ

საქონლის რაოდენობა განისაზღვრება წონით, მიეთითება წონის სახეობა ბრუტო, ნეტო.

განზომილების ერთეულის შერჩევისას აუცილებელია გავითვალისწინოთ სხვადასხვა ქვეყანაში, გაზომვის ერთეულებს შორის არსებული სხვაობა თუნდაც ერთიდაიგივე დასახელების მქონე ერთეულებისათვის, მაგალითად:

მილი	–	1609,344 მ
საზღვაო მილი	–	1852მ
ბუშელი (ინგლისური)	–	36,3687 $დმ^3$
ბუშელი (აშშ)	–	35,2393 $დმ^3$
ბარელი (ნავთობის)	–	158,988 $დმ^3$
ბარელი (მშრალი)	–	115,628 $დმ^3$
უნცია (სავაჭრო)	–	28,3495 გ
უნცია (სააფთიაქო)	–	31,1035 გ
უნცია (თხევადი)	–	39,5737$სმ^3$
გალონი (ინგლისური)	–	4,54609 $დმ^3$
გალონი (აშშ)	–	3,78543 $დმ^3$

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია განზომილების ნაციონალურ ერთეულებთან ერთად მივუთითოთ მათი მნიშვნელობა SI საერთაშორისო ერთეულთა სისტემაში.

თუ შეუძლებელია საქონლის ზუსტი წონითი განსაზღვრა, მაშინ კონტარქტში მიეთითება შენიშვნა „ოფციონი“, რომლის მიხედვითაც დასაშვებია მოწოდებული საქონლის წონის გადახრა 10%. ასეთი წესით მიწოდებული საქონლის ღირებულების გადახდა მყიდველის მიერ ხორციელდება მიწოდების ფაქტის მიხედვით, ან სხვა წესით, რომელიც კონტრაქტით უნდა იყოს შეთანხმებული.

საქონლის ხარისხი – საქონლის ხარისხი პროდუქციის ერთერთი ძირითადი პარამეტრია, ამიტომ შეთანხმება ამ საკითხზე კონტრაქტში აუცილებლად უნდა არსებობდეს, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, ამ განყოფილების კონტრაქტში არქონა კონტრაქტის გაუფორმებლობას ნიშნავს.

საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება ხარისხის განსაზღვრის შემდეგი მეთოდები:

<u>სტანდარტების მიხედვით</u>, როდესაც საერთაშორისო, ნაციონალური, მეწარმეთა კავშირის, სხვადასხვა ასოციაციის, სადაზღვევო კომპანიების სტანდარტების საფუძველზე ხორციელდება პროდუქციის ხარისხის განსაზღვრა. კონტრაქტში მითითებული უნდა იყოს სტანდარტის მიმღები ორგანიზაციის დასახელება, სტანდარტის ნომერი და მიღების თარიღი.

<u>ტექნიკური პირობების მიხედვით,</u> რომლებიც დამუშავებულია ისეთი საქონლისათვის რომელთაც გააჩნიათ ხარისხის ინდივიდუალური მაჩვენებლები და მათზე არ არსებობს სტანდარტები. ტექნიკური პირობების წამოყენება ხდება გამყიდველის ან მყიდველის მიერ, რომელსაც ეთანხმება მეორე მხარე და მოყვანილია კონტრაქტში დამატების სახით.

<u>ნიმუშის (ეტალონის) მიხედვით</u>. კონტრაქტში მიეთითება სარეალიზაციოდ გამზადებული შერჩეული ნიმუშების რაოდენობა, შედარების წესი და მიეთითება სამი ორგანიზაცია სადაც ინახება ნიმუშები (გამყიდველი, მყიდველი, სავაჭრო-სამრეწველო პალატა);

<u>ხასრისხის განსაზღვრის სპეციალური მეთოდები.</u> ეს მეთოდები გულისხმობს პროდუქცის ხარისხის განსაზღვრას შემდეგნაირად:

- გარკვეული ნივთიერების შემცველობის დადგენის საშუალებით;

- ხარისხის განსაზღვრა ნატურალური წონის მიხედვით;
- წინასწარი დათვალირებით (აუქციონის საქონელი);
- პრინციპით „ტელ-კელი“ (ისეთი როგორიც არის).

აქვე მითითებული უნდა იყოს იმ დოკუმენტის სახე, რომელიც დაადასტურებს ხარისხის შესაბამისობას კონტრაქტის კონკრეტულ მოთხოვნებთან.

კონტრაქტის აღნიშნული განყოფილება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან საკონტრაქტო დავების განხილვა მხარეებს, საბაჟო ორგანოებსა და ხარისხის კონტროლის სამსახურებს შორის, მისი გათვალისწინებით ხორციელდება.

მიწოდების თარიღი და ვადა – პროდუქციის მიწოდების თარიღი გულისხმობს გამყიდველისა ან მისი დავალებით მოქმედი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მყიდველისათვის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის, საქონლის გადაცემის მომენტს მხარეებს შორის შეთანხმებულ გეოგრაფიულ პუნქტში.

საქონლის მთლიანი რაოდენობა შეიძლება მიწოდებული იქნას ერთდროულად ან ნაწილ-ნაწილ. ერთდროული მიწოდებისას დგინდება მიწოდების ერთი თარიღი, ხოლო ნაწილ-ნაწილ მიწოდების დროს კონტრაქტში მიეთითება მიწოდების ვადა, შესაძლებელია მიეთითოს მიწოდების შუალედური ვადებიც.

არსებობს მიწოდების ვადების დადგენის რამოდენიმე მეთოდი:

- მიწოდების ფიქსირებული კალენდარული დღის განსაზღვრა (რიცხვი, თვე, კვარტალი, მათ შორის შუალედი);
- პერიოდის განსაზღვრა რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს მიწოდება;
- მიწოდების ვადების განსაზღვრისათვის სპეციალური ტერმინების გამოყენება „დაუყოვნებლივი მიწოდება“, „მიწოდება დაბრკოლებების გარეშე“, „საწყობიდან“, „დამზადების მიხედვით“, „ზაფხულის განმავლობაში“, „მოსავლის აღების შემდეგ“ და სხვა.

ხშირ შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტში კეთდება შენიშვნა მიწოდების თარიღის შესახებ, რომელიც განისაზღვრება მიწოდების მეთოდით, აქედან გამომდინარე ეს თარიღი შეიძლება იყოს:

- სატრანსპორტო დოკუმენტში დაფიქსირებული თარიღი ტვირთის ტრანსპორტირებისათვის მზაობის შესახებ;
- საექსპედიტორო ფირმის დოკუმენტებზე დაფიქსირებული თარიღი ტვირთის შემდგომი გაგზავნისათვის;
- წარმომადგენლობითი აქტის ხელმოწერის თარიღი;
- საწყობში შენახვის საგარანტიო მოწმობის გაცემის თარიღი;

თუ საქონლის მიწოდება გათვალისწინებულია პარტიებად და საკმაოდ დიდი დროის მანძილზე, მაშინ მიზანშეწონილია წინასწარ შედგეს საქონლის მიწოდების გრაფიკი, სადაც აღნიშნული იქნება რომელი საქონელი რა რაოდენობით, რა დროში უნდა იქნეს მოწოდებული. ეს გრაფიკი შეიძლება იყოს დეკადური, თვიური, კვარტალური და ა.შ.

მიწოდების საბაზისო პირობები. სავაჭრო კონტრაქტში სპციალური განყოფილება ეძღვნება მიწოდების საბაზისო პირობებს, რომელიც განსაზღვრავს გამყიდველისა (ექსპორტიორი) და მყიდველის (იმპორტიორი) ვალდებულებებს საქონლის მიწოდებისას და ადგენს:

- საქონლის დაკარგვის ან დაზიანების რისკის გამყიდველიდან მყიდველზე გადასვლის მომენტს;
- საქონლის შემდგომი მიწოდების ვალდებულების გამყიდველიდან მყიდველზე გადასვლის მომენტს;
- გამყიდველიდან მყიდველზე ხარჯების გადასვლის მომენტს;

- საქონლის მიწოდებისათვის აუცილებელი ხარჯების განაწილებას:
- საქონლის მიწოდებისათვის მომზადების აუცილებელი ხარჯების გადანაწილების ვალდებულებას (საქონლის რაოდენობის, ხარისხის შემოწმება, ნიმუშების აღება, შეფუთვა, მარკირება და ა.შ.)
- საქონლის შიდა გადამზიდავამდე (რკინიგზა, სამდინარო ტრანსპორტი) გადაზიდვის ხარჯებს საავტომობილო ტრანსპორტით;
- შიდა გადაზიდვის საშუალებაზე დატვირთვის ხარჯებს;
- შიდა გადაზიდვის საშუალებებით (საავტომობილო, რკინიგზა) ტრანსპორტირების ღირებულების გადახდას ძირითად გადამზიდავამდე (საზღვაო);
- საქონლის ძირითად, საერთაშორისო გადამზიდავზე (საზღვაო ხომალდი) დატვირთვის ხარჯებს;
- ძირითადი სატრანსპორტო საშუალებით ტრანსპორტირების ხარჯების გადახდას (საზღვაო ფრახტი);
- ტვირთის დაზღვევის ღირებულების გადახდა საქონლის მიწოდებისას;
- საქონლის გადატვირთვისა და შენახვის ღირებულების გადახდა გზაში;
- საქონლის გადმოტვირთვის ღირებულებას დანიშ-ნულების პორტში;
- ხარჯები საქონლის მიწოდებისათვის დანიშნულების პუნქტიდან (საზღვაო პორტი) მყიდველის საწყობამდე (საავტომობილო ტრანსპორტით ან რკინიგზით);
- საბაჟო გადასახადების, გადასახდელებისა და მოსაკრებლების გადახდა საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას.

ამ ხარჯებმა შეიძლება საქონლის ღირებულების 50% შეადგინოს, აქედან ნათელია, რომ საბაზისო პირობების სწორად განსაზღვრას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება, რადან მისი წილი საქონლის სარეალიზაციო ფასის ფორმირებაში ერთ-ერთი განმსაზღვრელია. საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული აღნიშნული ხარჯები იმისაგან დამოუკიდებლად ისინი გასწია გამყიდველმა თუ მყიდველმა, ჩართულია საქონლის ღირებულებაში. მიწოდების ამ პირობებს საბაზისოს უწოდებენ, რადგან ისინი ადგენენ საქონლის საბაზისო ფასს და მის ფაქტიურ ღირებულებას განსაზღვრავენ.

საქონლის ფასი – კონტრაქტის ძირითადი განყოფილებაა. XIX საუკუნის ეკონომისტების, კერძოდ კ. მარქის მიხედვით „საქონლის ფასი მისი ღირებულების ფულადი გამოსახულებაა.“ მიღებული პრაქტიკით საკონტრაქტო ფასი, ჩვეულებრივად განისაზღვრება ანალოგიურ პროდუქციაზე ფასების შედარების მიხედვით, უნდა ითქვას, რომ ფასის ფორმირებაში მრავალი ფაქტორი ღებულობს მონაწილეობას, რომელთაგან იმისდა მიხედვით თუ რომელი ფაქტორია მოცემულ შემხვევაში პრიორიტეტული ხდება საქონლის ღირებულების ტერმინის შერჩევა. ამჟამად არსებობს 30-ზე მეტი სხვადასხვა ტერმინი, რომელთა მიხედვითაც შეიძლება საქონლის ღირებულება განისაზღვროს, მათ შორის უმთავრესი ტერმინებია;

- მსოფლიო ფასები - ფასები რომლის მიხედვითაც ხორციელდება ექსპორტ-იმპორტის ძირითადი ოპერაციები, რომლებიც ახასიათებენ მოცემული საქონლით ვაჭრობას მსოფლიო ბაზარზე;
- ადგილობრივი ფასები - მოცემული პროდუქციის ფასი ადგილობრივ ბაზარზე;
- სახალშეკრულებო ფასები - კონტრაქტის მონაწილე მხარეების მოლაპარეკებით დადგენილი ფასები;
- საბითუმო ფასები - საქონლის მსხვილი პარტიებით რეალიზაციის ფასები;
- საცალო ფასები - საცალო ქსელში გაყიდვის ფასები;

- სეზონური ფასები - ფასები საქონელზე, რომელიც გეგმაზომიერად იცვლება წელიწადის დროების მიხედვით;
- ფაქტიური ფასები - ფასები, რომელთა მიხედვითაც ფაქტიურად განხორციელდა გარიგება;
- ფრანკო ფასები - საქონლის ფასი ტრანსპორტირების ხარჯების გათვალისწინებით;
- ფაქტურული ფასები (ინვიოსური) - საქონლის ფასი, რომელშიც შედის საქონლის თვითღირებულება, ტრანსპორტირების, დატვირთვა-გადმოტვირთვის, დაზღვევის, იმპორტის გადასახდელებისა და სხვა მოსაკრებლების ხარჯები.

საერთაშორისო ვაჭრობაში და საბაჟო პრაქტიკაში ეს ფასები ყველაზე ხშირად გამოყენებადი ფსებია.

საქონლის ფასები იყოფა საბაზისო ფასებად და გარიგების ფაქტიურ ფასებად.

- საბაზისო ფასი - საქონლის ფასია, რომელიც მიღებულია მოცემული საქონლისათვის ფასწარმოქმნის ბაზად საერთაშორისო ვაჭრობის ფასების ინდექსის გამოყენებით.
- ფაქტიური გარიგების ფასი - ისეთი ფასია, რომელიც საბაზისო ფასის რეალურ დონეს შეიცავს;

ფასწარმოქმნის მეთოდოლოგია დამყარებულია ორ, ფასწარმოქმნის საბაზრო და ადმინისტრაციულ პრინციპზე.

დასახული მიზნისა და ბაზრის მდგომარეობაზე დამოკიდებულებით გამოყოფენ ფასწარმოქმნის ხუთ ძირითად მეთოდს:

I მეთოდი - მოგების ნორმირება საშუალო დონის მიხდვით;

ეს მეთოდი დამყარებულია საქონლის თვითღირებულებაზე სტანდარტული ფასდანამატის დარიცხვაზე და გამოიყენება სამრეწელო საქონელზე ფასწარმოქმნისთვის;

II მეთოდი - ფასის განსაზღვრა კონკურენციული ვაჭრობის მიხედვით;

ეს მეთოდი გამოიყენება ვაჭრობის დროს კონკურენციული ბრძოლისთვის;

III მეთოდი - ფასის გამოანგარიშება ზარალის გარეშე მუშაობისა და მიზნობრივი მოგების მიღების ანალიზის საფუძველზე.

ეს მეთოდი უზრუნველყოფს მოგების დაგეგმილი დონის მიღებას.

IV მეთოდი - ფასის დაწესება საქონლის ღირებულების შეგრძნების მიხედვით.

ამ მეთოდის გამოყენებოისას გამყიდველი ემყარება აზრს, რომ მყიდველი განსაზღვრავს თანაფარდობას საქონლის ღირებულებასა და მის ფასს შორის შეადარებს მას სხვა ანალოგიური პროდუქციის ამავე მაჩვენებლებს, რის შედეგადაც მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

V მეთოდი - საქონლის ფასის გაანგარიშება საპრეისკურანტო ფასების მიხედვით.

საპრეისკურანტო ფასების უპირატესობა იმაშია, რომ ისინი რეგულარულად ქვეყნდბა სხვადასხვა გამოცემებში და შეიცავენ მონაცემთა ბაზები.

ფასის დადგენისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს მრავალი ფაქტორი: საბაჟო ფასის განსაზღვრისას საბაჟო ორგანოების ჩარევა, ფასწარმოქმნის ფსიქოლოგია, ბაზრის გაჯერების მდგომარეობა მოცემული პროდუქტით, კონკურენცია და სხვა.

კონტრაქტში ფასი მითითებულია განზომილების ერთეულისათვის (წონა, სიგრძე, ფართობი, მოცულობა, ცალი, კომპლექტი და ა.შ.) თუ კონტრაქტი სხვადასხვა სახის, ხარისხის, მარკის პროდუქციის მიწოდებაზეა შედგენილი მასში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული თითოეული მათგანის ერთულის

ღირებულება, ისინი შეიძლება მოცემული იყოს კონტრაქტის დანართის სახით, რომელიც კონტრაქტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

კონტრაქტის ფასის (ღირებულების) განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ვალუტის შერჩევას. უმჯობესია შერჩეული იქნას მყარი კურსის მქონე ვალუტა. ფასის განმსაზღვრელ ვალუტად არაკონვერტირებადი ვალუტის არჩევა არარეკომენდირებულია. კონტრაქტის ტექსტში მითითებული უნდა იყოს ვალუტის კურსის გამოთვლის წესი.

ვალუტის გაუფასურებისაგან დამცავ საშუალებად გამოიყენება „საინდექსო შენიშვნა“ ამისათვის კონრაქტში აღნიშნული ფასი უკავშირდება ანალოგიური პროდუქციის ფასების ინდექსს ან ყველაზე აუცილებელი საქონლის ფასების ინდექსს, რომლებიც სამომხმარებლო კალათის შემადგენელი ნაწილია.

ვალუტის არჩევის დროს მხედველობაშია მისაღები ცალკეული საქონლის მიმართ არსებული სავაჭრო წესჩვეულებები, რომელიც მიღებულია საერთაშორისო ვაჭრობაში. მაგალითად კონტრაქტებში კაუჩუკსა და ფერად მეტალებზე შედგენილ კონტრაქტებში მიღებულია ფასის ჩვენება ინგლისურ ფუნტ სტერლინგებში, ნავთობპროდუქტებზე, ბეწვეულზე - ამერიკული დოლარებში, სარკინიგზო გადაზიდვების ღირებულება იანგარიშება შვეიცარული ფრანკებში და ა.შ.

თუ საკონტრაქტო მხარეებს გააჩნიათ ფართო სამეურნეო კავშირები და არაკონვერტირებადი ვალუტა, გამოიყენება კლირინგული ანგარიშსწორება. ამ შემთხვევაში კლირინგული ნაციონალური ვალუტა ერთდროულად გვევლინება როგორც საკონტრაქტო ფასის ვალუტად, ასევე გადახდის ვალუტად.

კლირინგი - უნაღდო ანგარიშსწორების სისტემაა, რომელიც ხორციელდება ერთმანეთისათვის მოთხოვნებისა და ვალდებულებების წაყენების გზით.

განასხვავებენ ბანკთაშორის, სავალუტო და საბირჟო კლირინგს.

ბანკთაშორისი კლირინგი - ქვეყნის შიგნით ბანკებს შორის უნღდო ანგარიშსწორების სისტემაა.

სავალუტო კლირინგი - მთავრობათშორისო შეთანხმებაა შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთჩათვლის შესახებ, რომელიც გამომდინარეობს სასაქონლო მიწოდებისა და მომსახურების ღირებულებითი თანასწორობიდან.

საბირჟო კლირინგი - საბირჟო ვაჭრობის მონაწილეთა შორის კლირინგი დამყარებლია პირობაზე: ვინ, ვისთან, რა და რა ვადით არის მევალე.

კლირინგული საბირჟო ანგარიშსწორება ეს არის საბირჟო კლირინგით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პროცესი, რომლის საბოლოო შედეგი ჩვეულებრივ საბირჟო გარიგების ობიექტის გადაცემა და კონტრაქტის პირობების მიხედვით მათ შორის ფულადი ანგარიშსწორებაა.

კონტრაქტში ფასის სავალუტო ერთეულის განსაზღვრისას მხარეები განსაზღვრავენ ფასების ფიქსაციის მეთოდსაც, რაც გულისხმობს საკონტრაქტო ფასის შეცვლის პირობებს გულისხმობს.

საკოტრაქტო ფასი შეიძლება დაფიქსირდეს კონტრაქტის გაფორმების მომენტში, კონტრაქტის მოქმდების მთელი დროის განმავლობაში ან მისი შესრულებისას. შესაძლებელია საკონტრაქტო ფასი იცვლებოდეს. გრძელვადიანი კონტრაქტის შემთხვევაში თვითეული ეტაპისათვის, ან სხვა მხარეებს შორის შეთანხმებული რაიმე წესით, რომელიც აღნიშნული უნდა იყოს კონტრაქტში. თუ კონტრაქტში აღნიშნული არაა ფასის დაფიქსირების წესი, მაშინ საკონტრაქტო ფასად ითვლება კონტრაქტში მითითებული ფასი. მისი შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა თანხმობით ურთიერთშეთანხმებული აქტის გაფორმებით, რომელიც კონტრაქტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ფასის დაფიქსირების მიხედვით განარჩევენ ფასის სხვადასხვა სახეს:

1. მყარი ფასი - ფიქსირდება კონტრაქტის ხელმოწერის დროს, არ შეიძლება შეიცვალოს კონტრაქტის მოქმედების მთელი დროის განმავლობაში

და არ არის დამოკიდებული პროდუქციის მიწოდების ვადებზე და წესზე. ასეთ შემთხვევაში კონტრაქტში კეთდება ჩანაწერი „ფასი მყარია და არ შეიძლება შეიცვალოს“.

2. მოძრავი ფასი ფიქსირდება კონტრაქტის გაფორმების დროს, მაგრამ შემდგომში მისი გადახედვა შესაძლებელია, თუ საქონლის საბაზრო ფასი მისი მიწოდების დროისათვის შეიცვალა. ფასის, საბაზრო კონიუნქტურის მიხედვით, შესაძლო ცვლილების შესახებ კონტრაქტში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

3. მცოცავი ფასები გამოიანგარიშება კონტრაქტის შესრულების მომენტში დადგენილი ფასის და შემდგომ, კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში მისი გადახედვით, საწარმოო დანახარჯების ცვლილების გათვალისწინებით.

კონტრაქტში ფასების დონის განსაზღვრა გამოქვეყნებულ და საანგარიშო ფასებზეა დამოკიდებული.

გამოქვეყნებულ ფასთა კატეგორიას მიეკუთვნება ფირმის სპეციალურ საინფორმაციო წყაროში მითითებული ფასები. ისინი ჩვეულებრივ მსოფლიო ფასებს ასახავენ და საცნობარო ხასიათი აქვთ.

არასტანდარტულ მოწყობილობებზე, რომლებიც ინდივიდიალური შეკვეთით მზადდება საანგარიშო ფასი დგინდება.

საერთაშორისო ვაჭრობაში ფართოდ გამოიყენება ფასდათმობათა სპეციალური სისტემა, დღეისათვის არსებობს ოცზე მეტი სხვადასხვა სახის ფასდათმობა.

- საერთო (მარტივი) ფასდათმობა ხორციელდება სტანდარტულ მოწყობილობებზე და საპრეისკურანტო ფასთან შედარებით შეიძლება მიაღწიოს 40%.
- ფასდათმობა „სკონტო“ გამოიყენება საქონლის ნაღდ ანგარიშზე შეძენის დროს. იგი ჩვეულებრივ შეადგენს საცნობარო ფასის 2-3% ან შეესატყვისება საკრედიტო პროცენტს, რომელიც ფულად ბაზარზე არსებობს.
- ბრუნვის მოცულობის ფასდათმობით (ბონუსური) სარგებლობენ მუდმივი მყიდველები სპეციალური შეთანხმების საფუძველზე ბრუნვის მოცულობისაგან დამოკიდებულებით წინასწარ შედგენილი ფასდათმობის შკალის მიხედვით გარკვეული დროის განმავლობაში. ასეთმა ფასდათმობამ ბრუნვის მოცულობის 30%-ს შეიძლება მიაღწიოს.
- პროგრესული ფასდათმობით სარგებლობენ ის მყიდველები, რომლებიც ყიდულობენ საქონლის წინასწარ განსაზღვრულ რაოდენობას.
- სადილერო ფასდათმობას საქონლის მწარმოებელი ახორციელებს თავისი წარმომადგენლების ან გასაღების შუამავლებისათვის. ეს ფასდათმო-ბები გავრცელებულია ავტომობილების, ტრაქტორების და სხვა ტექნიკის რეალიზაციისას. მან შეიძლება მიღწიოს საცალო ფასის 20%-ს.
- სპეციალური ფასდათმობის უფლებით სარგებლობენ მყიდველები, რომელთა შეკვეთაში დაინტერესებული არიან გამყიდველები, ასევე მასიურ მყიდველთა დაინტერესების მიზნით საცდელი პარტიის მომხმარებელი მყიდველები. ხანგრძლივი თანამშრომლობის მქონე მყიდველებისათვის ფასდათმობების წახალისებით მწარმოებლები ცდილობენ მუდმივი მყიდველების შენარჩუნებას.
- საგარეო ბაზარზე საქონლის კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის მწარმოებლისაგან საექსპორტო ფასდათმობების უფლება ენიჭებათ უცხოელ მყიდველზე ორიენტირებულ გამყიდველებს.
- სეზონური ფასდათმობა ეძლევათ მყიდველებს არასეზონური საქონლის შეძენისათვის. ასეთმა ფასდათმობამ შეიძლება სარეალიზაციო ფასის 15%-ს მიაღწიოს.
- ადრე შეძენილი საქონლის უკვე მოძველებული მოდელის დაბრუნებისას ახალი საქონლის მყიდველს ეძლევა 30% ფასდათმობა იმ პირობით, რომ ადრე

შეძენილი მოდელი ეკუთვნის იმავე მწარმოებელს, მის წარმომადგენელ ფირმას, ან დილერს.

- ხმარებაში ნამყოფი საქონლის რეალიზაციისას ფასდათმობები ყველაზე უფრო საგრძნობია და მან შეიძლება შეადგინოს საქონლის თავდაპირველი ღირებულების 10-50%.

გადახდის პირობები – გადახდის პირობებში იგულისხმება კონტრაქტში მისი შემდეგი პარამეტრების დადგენა:

- გადახდის ვალუტა;
- დამცავი ხასიათის შენიშვნები;
- გადახდის ვადები;
- გადახდის მეთოდები;
- გადახდის ფორმა.

გადახდის ვალუტა – ის ვალუტაა, რომელშიც მიმდინარეობს ანგარიშსწორება და გადახდა. განსხვავება შეიძლება ემთხვეოდეს ან არ ემთხვეოდეს საკონტრაქტო ღირებულების ვალუტის ფასს. ის შეიძლება გამოწვეული იყოს საკონტრაქტო ღირებულების საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული სავალუტო ერთეულის გამოყენებით, მაშინ როდესაც მხარეებს შორის ანგარიშსწორება შეიძლება მოხდეს გამყიდველის ან მყიდველის ნაციონალურ სავალუტო ერთეულებში. ამ შემთხვევაში, როგორც ადრეც ავღნიშნეთ, კონტრაქტში მითითებული უნდა იყოს საკონტრაქტო ღირებულების და ანგარიშსწორების წესი ნაციონალურ ვალუტაში.

ფინანსური, დამცავი ხასიათის შენიშვნები კონტრაქტს იცავენ სავალუტო რისკებისაგან. ისინი აგებულია გადახდების მიბმის პრინციპით სავალუტო და სასაქონლი ბაზრებზე.

კონტრაქტში მხარეები განსაზღვრავენ გადახდის ვადას. თუ ვადა დადგენილი არაა, მაშინ გადახდა სწარმოებს მას შედეგ, რაც გამყიდველი მიიღებს ინფორმაციას (შეტყობინებას) მყიდველისაგან საქონლის მის განკარგულებაში გადაცემის შესახებ, ან მყიდველის მიერ გამყიდველისაგან საქონლის გამოგზავნის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ. შესაძლებელია კონტრაქტში შეთანხმებული იყოს წინასწარი გადახდის წესი, გადახდა პარტიების მიხედვით, გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ან გადახდის სხვა პირობები.

პრაქტიკაში გამოიყენება გადახდის შემდეგი მეთოდები: ფაქტობრივი გადახდა, გადახდა ავანსით და გადახდა აკრედიტივით.

ფაქტობრივი გადახდა ხორციელდება ბანკის საშულებით, ტვირთის თანმხლები დოკუმენტაციის მყიდველისათვის გადაცემამდე ან გადაცემის შემდეგ. საუბარია საექსპლუატაციოდ გამზადებული საქონლის მთლიანი ღირებულების გადახდაზე. იგი ითვალისწინებს საქონლის მთლიანი ღირებულების გადახდას მყიდველის განკარგულებაში გადასვლამდე.

ავანსით გადახდა ხორციელდება საქონლის მიწოდების დაწყების მომენტამდე ან დოკუმენტალური დადასტურების შემდეგ საქონლის გამოგზავნისთვის მზადყოფნის შესახებ. საავანსო გადახდა შეიძლება განხორცილდეს საქონლის მთლიანი ღირებულების ან მისი ნაწილის, ჩვეულებრივ 10-25%, გადახდის სახით მისი საკონტრაქტო ღირებულებიდან.

გადახდა (ანგარიშსწორება) კრედიტით გულისხმობს საქონლის ღირებულების გადახდას მისი მიღებიდან რამოდენიმე ხნის განმავლობაში - გადახდის განვდება.

საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში არსებობს ანგარიშსწორების შემდეგი ფორმები:

- საბანკო გადარიცხვა;
- დოკუმენტირებული აკრედიტივი;

- დოკუმენტირებული ინკასო;
- სუფთა ინკასო;
- საბანკო ქვითარი;
- ვექსელი.

გადახდის ყველაზე გავრცელებული ფორმებია საბანკო გადარიცხვა, დოკუმენტირებული აკრედიტივი იშვიათად ინკასო. საბანკო ქვითარით და ვექსელით გადახდის ფორმა იშვიათად გამოიყენება.

ბოლო ხანებში მზარდი პოპულარობით სარგებლობს გადახდის ელექტონული საშუალებები: საკრედიტო ბარათების სისტემა და გადახდები ინტერნეტის საშუალებით.

შეფუთვა და მარკირება – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით 1980 წელს საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის შესახებ მიღებულ, ვენის კონვენციაში, ნათქვამია, რომ მყიდველი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი შეფუთული ისეთი სახით, როგორც ამას ითხოვს კონტრაქტის პირობები, თავის მხრივ შეფუთვისა და მარკირების ნორმატიული ბაზა რეგულირდება ლოჯისტიკური სისტემის საერთაშორისო წესებით და შესაბამისი სტანდარტებით შეფუთვაზე და მარკირებაზე. იგი ითვალისწინებს ტვირთების გაბარიტებს, მოსალოდნელ საფრთხეს, როგორც ადამიანების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, ასევე ეკოლოგიურს, მასთან მოპყრობის წესს, საფრთხის სახეობას (ცეცხლსაშიში, აალებადი, ფეთქებადი, რადიოაქტიური და სხვა) ტვირთის დაცვის, ან მისგან თავდაცვის ზომებს.

აღნიშნული განყოფილება კონტრაქტში საქონლის თვისებებიდან და სახეობიდან გამომდინარე ჩაერთვება. რა თქმა უნდა იგივე მიდგომა ვრცელდება მარკირების შესახებაც.

შეფუთვამ და მასზე დატანილმა მარკირებამ უნდა დაიცვას საქონელი დაზიანებისაგან, დატაცებისაგან, გაფუჭებისაგან და უნდა შეესაბამებოდეს კლიმატურ პირობებს, საბაჟო მოთხოვნებს, კანონმდებლობას.

კონტრაქტში ცალკე მიუთითებენ გარე შეფუთვის, ტარის შესახებ მასალას რისგანაც უნდა იყოს იგი დამზადებული, ასევე შიგა შეფუთვის სახეობას, რომელიც საქონლისაგან განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს

მოთხოვნების მიხედვით თითოეულ დამოუკიდებელ შეფუთულ ადგილზე უნდა გაფორმდეს „შეფუთვის ფურცელი", რომელიც საქონლის სხვა თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად გარკვეული წესით უნდა მიეწოდოს მყიდველს, რომლის ერთი ეგზემპლიარი წყალგაუმტარ შეფუთვაში საქონელთან ერთად უნდა შეიფუთოს ტარაში.

მსხვილგაბარიტიანი ტვირთის შეფუთვის ზომები აღინიშნება კონტრაქტში, რომლებიც უნდა შეესაბამებოდნენ ვაგონის და ავტომობილის გაბარიტებს. შესაძლებელი უნდა იყოს შეფუთვის გადაადგილება ამწე საშუალებებით და უნდა აკმაყოფილებდნენ საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს.

შეფუთვის ღირებულებას იხდის მყიდველი, რადგან იგო მის მფლობელობაში გადადის და როგორც წესი მისი ღირებულება ჩართულია საქონლის ღირებულებაში.

მარკირების მოთხოვნები მკაცრად უნდა პასუხობდნენ საერთაშორისო შეთანხმებათა მოთხოვნებს. შინაარსის მიხედვით მარკირება შეიძლება იყოს ძირითადი და დამატებითი. ძირითადი მარკირების სახეს მიეკუთვნება წარწერები, რომლებიც ტარაზეა განლაგებული:

– ტვირთის მიმღების, დანიშნულების პუნქტისა და ქვეყნის დასახელება;
– კონტრაქტის ნომერი;
– წონა ბრუტო და ნეტო;
– სატვირთო ადგილის ზომები;
– სატვირთო ადგილის ნომერი;

– გამომგზავნის დასახელება;
– საქონლის წარმომშობი ქვეყნის დასახელება.

მარკირების დამატებითი ნიშნები დაიტანება სასაქონლო ტვირთზე, რომლებისთვისაც მოთხოვნილია მოპყრობის სპეციალური წესები, მაგალითად „ფრთხილად", „ზევით", „ფეთქებადსაშიშია". აუცილებლობის შემთხვევაში ნაჩვენები უნდა იყოს კაუჭების ჩაბმის ადგილი, სიმძიმის ცენტრი და სხვა.

აუცილებელი მარკირების გარდა სასაქონლო ტვირთის შეფუთვაზე შეიძლება დატანილი იყოს სარეკლამო მარკირებაც.

შეფუთვისა და მარკირების ამორჩეული მეთოდი და სახეობა ფიქსირდება კონტრაქტში, აქვე მიეთითება მარკირების შესრულების ენაც. საქართველოში იმპორტირებული ტვირთებისათვის მარკირება ქართულ ენაზე უნდა შესრულდეს.

(დაწვრილებით აღნიშნული საკითხის შესახებ შემდეგ თავში გვექნება საუბარი)

საქონლის მიღება-ჩაბარება – კონტრაქტში საქნლის მიღება-ჩაბარების წესის განხაზღვრა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან ამ ოპერაციის განხორციელების შემდეგ კონტრაქტის შესრულება შედის დამამთავრებელ ფაზაში.

საქონლის ჩაბარება გულისხმობს გამყიდველის მიერ საქონლის გადაცემას მყიდველის მფლობელობაში ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის პირობების თანახმად.

მიღება-ჩაბარება წარმოადგენს ერთ მთლიან აქტს, რომლის დროსაც ხდება საქნლის გადაცემა მყიდველისათვის და იმავდროული საკონტრაქტო და ფაქტიური მონაცემების რაოდენობისა და ხარისხის შემოწმება, მიღება-ჩავარების პირობები შეთანხმებულია კონტრაქტში და მოიცავს:

- მიღება-ჩაბარების ხასიათს და ადგილს;
- რაოდენობრივი და ხარისხობრივი დამოწმების მეთოდებსა და ვადებს.

მიღება-ჩაბარება ხასიათის მიხედვთი შეიძლება იყოს წინასწარი და საბოლოო. წინასწარი მიღება-ჩაბარება ხორციელდება დამამზადებელ საწარმოში, გამომგზავნის პორტში, საზღვრისპირა სადგურზე. ხარისხის პარამეტრები - ხარისხის სერტიფიკატის მიხედვით, ხოლო რაოდენობა - გამმგზავნის დოკუმენტების მიხედვით, ასევე მოწმდება შეფუთვისა და მარკირების მდგომარეობა.

საბოლოო მიღება ხორციელდება მყიდველის ქვეყანაში, საქონლის დანიშნულების ადგილას ჩამოსვლის შემდეგ, საქონელი მიიღება ადგილების რაოდენობის მიხედვით. ტარის შიგნითა რაოდენობა მოწმდება არა უგვინეს ორი თვისა საქნლის მიღების შემდეგ.

ფაქტიური მიღება-ჩაბარების ადგილი, რომელიც შეთანხმებულია კონტრაქტში შეიძლება იყოს დანიშნულების ქვეყანაში მიმღების საწყობში ან საქონლის რეალიზაციის სხვა პუნქტში.

საქონლის მიღება რაოდენობის მიხედვით გულისხმობს ტვირთის ადგილების რაოდენობისა და წონის შემოწმებას ჩაბარების დოკუმნტების საფუძველზე (კონოსამენტი, რკინიგზის ზედდებული და სხვა).

ხარსიხის მიხედვით საქონლის მიღება ნიშნავს მისი ხარისხის შემოწმებას და შედარებას ხარისხის დამადასტურებელ თანმხლებ დოკუმენტებთან, ნიმუშებთან ან სხვა ეტალონებთან, შემოწმება შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა მეთოდით საქონლის დათავალიერებით, ნიმუშთან შედარებით, სპეციალური გამოცდების ჩატარებით, ხარისხობრივი ანალიზით და კონტრაქტში მითითებული სხვა მეთოდებით. რაოდენობრივი და ხარისხობრივი შემოწმება შეიძლება იყოს ამორჩევით და მთლიანი.

ხარისხობრივი და რაოდენობრივი მიღება ჩაბარების ვადები ჩვეულებრივ სხვადასხვაა. რაოდენობრივი შემოწმება ტარდება დაუყოვნებლივ ტვირთის

მიღებისთანავე, ხოლო ხარისხობრივი შემოწმებისთვის გამოიყოფა შედარებით მეტი დრო, საქონლის სახეობისაგან დამოკიდებულებით.

მიღება შეიძლება მოხდეს მყიდველის წარმომადგენლის ან მოწვეული გარეშე სპეციალიზირებული ორგანიზაციის მიერ, რომელიც წინასწარ მითითებულია კონტრაქტში.

ტრანსპორტირების პირობები – კონტრაქტის გაფორმებისას, ტრანსპორტირების პირობების განსაზღვრა, ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია კონტრაქტის შესასრულებლად. ტრანსპორტირების პირობების მიხედვით გამყიდველი ვალდებულია ოპერატიული კავშირის მეშვეობით შეატყობინოს მყიდველს საქონლის მზადყოფნა მიწოდებისათვის, რაც გულისხმობს:

- ტვირთის ტრანსპორტირების სახეობას, ვადებს და მეთოდებს;
- გადამზიდავის დასახელებას, დატვირთვის, ჩამოტვირთვის, გადატვირთვის და ტვირთის გადაცემის მომენტს;

ტრანსპორტირების პირობებში გასათვალისწინებელია შემდეგი პუნქტები:

- პუნქტების განსაზღვრა;
- ჩარტერის, კონოსამენტის და გადაზიდვის სხვა დოკუმენტების პროფორმის შერჩევა გადაზიდვის კონტრაქტის გასაფორმებლად;
- სატვირთო ოპერაციების შესასრულებლად სატრანსპორტო საშუალების ჩამოტვირთვის პუნქტში მოსვლის შეტყობინების წესის განსაზღვრა.

ტრანსპორტირების პირობების ნაწილი მოცემულია ტრანსპორტირების საბაზისო პირობების განყოფილებაში. ამიტომ, მათი მოცემულ განყოფლებაში გამეორება არ არის საჭირო. ჩვეულბრივ ტვირთების ტრანსპორტირება, როგორც წესი ხორციელდება გადამზიდავთან ცალკე კონტრაქტის საშუალებით. ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტში ზუსტდება ტრანსპორტირების ზოგადი პირობები, რომლებიც დასრულებულ კონკრეტულ სახეს გადამზიდავთან გაფორმებულ კონტრაქტში ღებულობს.

დაზღვევა – ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტში დადგენილი უნდა იყოს დაზღვევის ძირითადი პირობები, მხარეთა ვალდებულებები, ვადები და სადაზღვევო თანხის მოცულობა.

მხარეთა ვალდებულება ტვირთების დაზღვევის საკითხში გულისხმობს დაკარგვის, ან დაზინების რისკის მიხედვით, მხარეთა შორის სადაზღვევო ვადებულებების და უფლებების გადანაწილებას, ან მის მესამე მხარისათვის გადაცემას.

ზოგიერთ შემთხვევაში კონტრაქტში ტრანსპორტირების საბაზისო პირობებზე კეთდება შენიშვნა, რომელიც აგრეთვე შეიცავს მხარეთა ვალდებულებებს დაზღვევაზე.

თუ დამზღვევი მხარე გამყიდველია, მაშინ სადაზღვევო პოლისი დოკუმენტების კომპლექტში შედის.

თუ დაზღვევა ხორცილდება მეორე მხარის, სასარგებლოდ, მაშინ კონტრაქტში მითითებული უნდა იყოს პირობები მისთვის სადაზღვევო პოლისის გადაცემაზე.

სადაზღვევო გარანტიის ხანგრძლივობა განისაზღვრება კონტრაქტით, რომელიც დამოკიდებულია იმ დროზე, რაც საჭიროა დამამზადებლიდან მყიდველის საწყობამდე საქონლის ტრანსპორტირებისათვის.

ჩვეულებრივ დაზღვევის მოცულობა კონტრაქტის ღირებულებაზე მეტია და შეადგენს ძირითადად კონტრაქტის ღირებულების 110%–ს..

დაზღვევის მოცულობა განირჩევა სადაზღვევო რისკების ნაკრებით. ჩეულებრივ გამოიყენება სამი სახის პირობა:

- „პასუხისმგებლობა ყველა რისკზე“, როდესაც ზარალის ანაზღაურება გათვალისწინებულია ნებისმიერი საფრთხისა და შემთვხევითობისას;

- „პასუხისმგებლობა კერძო ავარიებისათვის“, სადაც გათვალისწინებულია ზარალის ანაზღაურება ტვირთის დაკარგვის ან დაზიანებისათვის, რომელიც გამოწვეულია სტიქიური ძალების ზემოქმედების შედეგად, დატვირთვის, ჩალაგების, გადმოტვირთვის დროს.

- „დაზიანებაზე პასუხისმგებლობის გარეშე, კატასტროფის შემთხვევების გარდა“, როდესაც ზარალი ანაზღაურდება ხომალდის სრული ან ნაწილობრივი დაღუპვის დროს, ასევე დაზიანებისას, რომელიც გამოწვეულია მისი შჯახების, მეჩეჩზე დაჯდომის, ხანძრის, აფეთქების და სხვა ასეთი შემთხვევების დროს.

მიზანშეწონილია კონტრაქტში ჩამოთვილილი იყოს ყველა რისკი, რომლისგანაც დაცული უნდა იყოს ტვირთი.

სანქციები – გამოიყენება კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისათვის.

სანქციის ყველაზე გავრცელებული სახეა ჯარიმა, მათ შორის გამყიდველის მიმართ საქონლის მიწოდების ვადის დარღვევისათვის, ე.წ. კონვენციონალური ჯარიმა. იგი გამოითვლება ყოველკვირეულად, ან დეკადურად, პროცენტულად მოუწოდებელი საქონლის ღირებულებიდან და ჩვეულებრივ შეადგენს 0,5% საანგარიშო პერიოდში (კვირაში, დეკადაში), ხშირად ჯარიმის პროცენტი პროგრესირებადი ხასიათისაა და მეოთხე კვირის ბოლოს მან შეიძლება 1%-ს მიაღწიოს. კონტრაქტში ასეთი სახის სანქციების განსაზღვრისას მიუთითებენ მის ზღვრულ მნიშვნელობასაც. მაგალითად მოუწოდებელი საქონლის ღირებულების 8-12%-ის დონეზე.

მიწოდების ვადების დარღვევისათვის კონტრაქტში შეიძლება გათვალისწინებული იქნეს პირობა კონტრაქტის ცალმხრივად გაუქმებაზე ამ შემთხვევაში დამნაშავე მხარეს (გამყიდველს) არავითარი დანახარჯები და ზარალი არ აუნაზღაურდება, უფრო მეტიც, იგი ვალდებულია გადაუხადოს მყიდველს ჯარიმა ვადაგადაცილებული მიწოდებისათვის. ასევე კონტრაქტში გათვალისწინებული უნდა იყოს სანქციები გამყიდველისათვის დეფექტური საქონლის მიწოდებისას, შეფუთვისა და მარკირების შეთანხმებული პირობების დარღვევისას.

სანქციები შეიძლება დაწესდეს მყიდველისათვისაც, ფინანსური ოპერაციის ისეთი დარღვევისათვის როგორიცაა, აკრედიტივის გახსნის დაგვიანება, ასევე გადახდების, ტექნიკური დოკუმენტაციის წარდგენის, სპეციალისტების მივლინებისა და სხვა პირობების დარღვევისათვის. პრეტენზიები ჯარიმის გადახდის შესახებ წარედგინებათ მისი სამართლებრივი მოთხოვნის წარმოშობიდან. სამი თვის განმავლობაში.

რეკლამაცია – პრეტენზია-მოთხოვნაა, რომელიც წაეყენება მყიდველის მიერ გამყიდველს პროდუქციის არასაიმედო ხარისხის გამო. რეკლამაციები შეიძლება წაყენებული იქნას მხოლოდ ისეთ საკითხებზე, რომლებიც კონტრაქტის პირობების მიხედვით დამზადებული საქონლის მიღების საგანს არ წარმოადგენენ, ან თუ გამყიდველის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეესაბამება ფაქტიურ მონაცემებს. მხარეები კონტაქტში განსაზღრავენ რეკლამაციის წარდგენის წესს, ვადებს რა დროის განმავლობაშიც შეიძლება მათი წარდგენა, მხარეთა უფლება-მოვალეობებს რეკლამაციის წარდგენასთან დაკავშირებით, რეკლამაციის დარეგულირების მეთოდებს.

რეკლამაცია წარედგინება წერილობითი ფორმით ყველა დამამტკიცებელი დანართით, რომელიც შედგენილია არა დაინტერესებული ორგანიზაციის მონაწილებოთ. სარეკლამაციო განცხადებაში ნაჩვენები უნდა იყოს:

- საქონლის დასახელება კონტრაქტის მიხედვით;
- საქონლის რაოდენობა, რომლის მიმართაც წარედგინება რეკლამაცია;
- კონტრაქტის ნომერი;
- სატრ განიხილოს ანსპორტო რეკვიზიტები;

- რეკლამაციის არსი.

გამყიდველი ვალდებულია რეკლამაცია 45 დღის განმავლობაში განიხილოს, მიღების თარიღის ჩათვლით; თუ ამ პერიოდის გასვლის შემდეგ გამყიდველისგან არავითარი შეტყობინება არ მოვა, მაშინ რეკლამაცია ითვლება აღიარებულად. ხარისხთან დაკავშირებულ რეკლამაციაზე, მყიდველს უფლება აქვს, ჩამოაფასოს საქონელი, ან უხარისხო პროდუქცია გამყიდველს დაუბრუნოს და მოსთხოვოს მისი მაღალხარისხიანი საქონლით შეცვლა.

ყველა სატრანსპორტო და სხვა ხარჯებს, რომელიც დაკავშირეულია დეფექტური საქონლსი დაბრუნებასთან, იხდის გამყიდველი.

გარანტია – კონტრაქტების უმრავლესობა შეიცავს ხარისხის გარანტიის პირობებს. ხარისხის გარანტია წარმოადგენს კანონით დადგენილ, გამყიდველის ვალდებულებას პასუხი აგოს საქონლის მატერიალური ნაკლისათვის, რომელიც შეიძლება აღმოაჩნდეს მას განსაზღვრული (საგარანტიო) ვადის განმავლობაში.

გარანტიის უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებით კონტრაქტში დადგენილი უნდა იყოს:

- გარანტიის მოცულობა;
- გარანტიის ვადები;

გარანტიის მოცულობა დამოკიდებულია საქონლის სირთულეზე და კონტრაქტის ტექნიკურ პირობაზე. სტანდარტული მანქანებისა და დანადგარებისათვის მითითებულია, რომ გამყიდველი გარანტიას იძლევა მათ მაღალ ხარისხზე და ნორმალური მუშაობაზე.

გარანტიის ვადა რამოდენიმე თვიდან რამოდენიმე წლამდეა. ის შეიძლება დადგინდეს საქონლის მიწოდების მომენტიდან, დანადგარის ექსპლუატაციაში გაშვების მომენტიდან, გამყიდველისაგან ინფორმაციის მიღების შემდეგ, რომ საქონელი მზად არის მოწოდებისთვის, პროდუქციის დამზადების მომენტიდან და სხვა.

მანქანა – დანადგარებისა და მოწყობილობებზე გარანტიის გარდა შეიძლება მოთხოვნილი იქნას მისი მუშაობის საიმედოობის სხვა პარამეტრებიც: უავარიო (უშეცდომო) მუშაობის დრო, დროის პერიოდის ხანგრძლივობა პირველი მტყუნებამდე, შენახვის ვადა, ტექნიკური რესურსი, აღდგენის საშუალო დრო და სხვა.

არბიტრაჟი – ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც წარმოიშობა კონტრაქტის ან მის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, გარდა საერთო სასამართლოს დაქვემდებარედული საკითხებისა, უნდა განიხილოს და გადაიჭრას არბიტრაჟის მეშვეობით. არბიტრაჟი, სასამართლსთან შედარებით, გადაწყვეტილებას უფრო ოპერატიულად ღებულობს, უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორუფლებიანობას და კომერციული საიდუმლოს შენახვას. მოსამართლეთა როლში გამოდიან ვიწრო პროფილის სპეციალისტები, რომლებიც კომპეტენტური არიან საგარეო ვაჭრობის საკითხებში.

არბიტრაჟი არსებობს ორი სახის: ერთჯერადი და მუდმივმომქმედი.

ერთჯერადი არბიტრაჟი იქმნება კონკრეტულ კონტრაქტზე კონკრეტული საქმის განხილვისთვის.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ფუნქციონირებს სავაჭრო პალატებში, სასაქონლო ბირჟებზე, მეწარმეთა კავშირებში, ან როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი და მოწოდებულია გაარჩიოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობის ყველა ან ცალკეული კატეგორიის დავები.

საქმის განხილვის დროს არბიტრები გამოდიან კონტრაქტის პირობებიდან, ხელმძღვანელობენ საერთაშორისო სავაჭრო ტრადიციებით, ასევე კონტრაქტის მონაწილე მხარეთა ქვეყნების ვაჭრობის სამართლრებირივი ნორმებით. მათ

შორის წინააღმდეგობრივი პოზიციის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ვაჭრობის საერთაშორისო ნორმებს (შეთანხმებებს, კონვენციებს).

დავის წარმოშობის შემდეგ არბიტრაჟისათვის მიმართვის ვადა განისაზღვრება გარკვეული მუშა დღეების რაოდენობით.

კონტრაქტის ნაწილი არბიტრაჟის შესახებ განსაზღვრავს არბიტრაჟის გამართვის ადგილს და საარბიტრაჟო შენიშვნებს. არბიტრაჟის ადგილის განსაზღვრა განყოფილების მთავარი ნაწილია.

საარბიტრაჟო შენიშვნები შემდეგი დებულებებს შეიცავენ:

- დავების გადაჭრის საერთო სასამართლოში გასაჩივრების გამორიცხვა;
- საქმის მოცემულ არბიტრაჟში მიღებული წესებით წარმართვა;
- არბიტრაჟის გადაწყვეტილების საბოლოო და სავალდებულო აღიარება.

კონტრაქტში შეიძლება მითითებული იყოს რომელი მხარე და რა რაოდენობით აანაზღაურებს საარბიტრაჟო ხარჯებს.

ფორს-მაჟორი – ანუ გადაულახავი ძალის გარემოებებს კონტრაქტის სპაციალური განყოფილება ეძღვნება. ეს გარემოებები, ხელს უშლიან კონტრაქტის პირობების შესრულებას და კონტრაქტის შედგენის დროს მათი წინასაწარი, განსაზღვრა და თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. მოვლენათა განსაკუთრებული კატეგორიები, როგორიცაა ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, ზღვის გაყინვა, სხვა სტიქიური და ბუნებრივი მოვლენები ასევე მოვლენები, რომელთაც ხანგრძლივი მადესტაბილიზირებელი ხასიათი აქვთ: სამხედრო მოქმედებანი, ბლოკადა, კატაკლიზმები, ეპიდემია, სახელმწიფო ღონისძიებანი, რომლებიც კონტრაქტის შესრულებას ეწინააღმდეგებიან, გაფიცვები და სხვა მსგავსი გარემოებები ფორს-მაჟორული სიტუაციების სახელითაა ცნობილი. ფორს-მაჟორულ გარემოებათა დადგომას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი შედეგები:

- კონტრაქტის შესრულება გადავადდება ამ მოვლენათა მოქმედების დროით, მათ ლიკვიდაციამდე;
- მხარეებისათვის კონტრაქტის შესრულება ეკონომიკურად აზრს კარგავს და თვითეული მხარე უფლებას იტოვებს უარი თქვას კონტრაქტზე.

ფორს-მაჟორის ცნებას იურიდიული განსაზღვრება არ გააჩნია, ამიტომ მხარეებმა კონტრაქტში უნდა განსაზღვრონ:

- ფორს-მაჟორული გარემოებების ურთიერთშეთანხმებული ჩამონათვალი;
- დოკუმენტი, ან ინფორმაციის წყარო რომელიც დაადასტურებს გადაულახავი ძალის გარემოებათა დადგომას, როგორც წესი, მთელს მსოფლიოში ამას ნაციონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატები ასრულებენ.
- პირობა, რომ მხარემ, რომლისთვისაც წარმოიქმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს პარტნიორს ამის შესახებ, ან ფორს-მაჟორული გარემოებათა შეწყვეტის შესახებ.
- გადაულახავი ძალის გარემოებათა მოქმედების ზღვრული ვადა, რის შემდეგაც პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება ურთიერთვალდებულებების გაუქმების შესახებ, ეს ვადა განისაზღვრება საქონლის სახეობით, გაყიდვის მეთოდით, სავაჭრო წეს-ჩვეულებებით, კონტრაქტის შესრულების ვადით და სხვა.

სხვა პირობები – კონტრაქტის სხვა პირობებში მთელი რიგი შენიშვნები შედის შემდგომი ურთიერთობის წესების შესახებ:

- შემდგომი მოლაპარაკებება და მიმოწერა;
- კონტრაქტში ცვლილებების შეტანა;
- რეექსპორტის და უფლება-მოვალეობების მესამე პირისათვის გადაცემა;
- საპატენტო შენიშვნები;

- პირობები რომლებიც აზუსტებენ მხარეთა უფლება მოვალეობებს.

ამ განყოფილებაში შეიძლება იყოს შეთანხმებული გამყიდველისა და მყიდველის ვალდებულება შემოტანისა და გატანის ლიცენზიების მიღებაზე, საბაჟო მოსაკრებლების, გადასახდელების და გადასახადების გადახდაზე.

კონტრაქტის შესრულება – კონტრაქტში ნაჩვენები უნდა იყოს მისი დამთავრების, ვადამდელი შეწყვეტის ან პროლონგირების (გაგრძელების) წესი.

კონტრაქტის მოქმედება წყდება:

- კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების სათანადოდ შესრულების შემდეგ, ამ დროს წყდება ერთმანეთის მიმართ გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები;
- მისი მოქმედების ვადის დამთავრებისას;
- მხარეთა შეთანხმებით, სათანადო დოკუმენტის გაფორმებით;
- შესრულების შეწყვეტა ერთი საქონლის მეორეთი შეცვლის გამო მხარეთა თანხმობით;
- მოთხოვნათა ურთიერჩათვლით;
- ნოვაციით, ანუ შეთანხმების საფუძველზე ახალი კონტრაქტის გაფორმებით ერთი ვალდებულების სხვა ვალდებულებებით შეცვლისას;
- სხვა კონტრაქტით გადაფარვის შემთხვევაში;
- კონტრაქტის ერთ-ერთი მხარის იურიდიული პირის გაუქმებისას;
- ერთ-ერთი მხარის მართლზომიერი მოთხოვნით;
- შესრულების შეუძლებლობის გამო ფორს-მაჟორული სიტუაციისას;
- კონტრაქტის პირობების დარღვევისას.

კონტრაქტის პირობები უნდა ითვალისწინებდეს მისი შეწყვეტის მექანიზმს გამოყენებას ზემოთ მოყვანილი პირობების გათვალისწინებით. შეწყვეტის ვადების შეთანხმებასა და განსაზღვრას, საბოლოო ანგარიშსწორების წესსა და ვადებს.

მხარეთა იურიდიული მისამართები – კონტრაქტის ბოლოს აუცილებლად მიეთითება მხარეთა სრული იურიდიული მისამართები და შესაძლებელია საბანკო რეკვიზიტებიც, აქვე მოცემულია სრულუფლებიან პასუხისმგებელ შემსრულებელთა თანამდებობები, გვარები, ინიციალები და მათი ხელმოწერისთვის დატოვებულია ადგილი ხელმოწერის თარიღის მითითებით.

ორგანიზაციის ხელმძღვანელთა დამადასტურებელი ხელმოწერები, ორგანიზაციის ბეჭდით შესაძლებელია განთავსდეს როგორც კონტრაქტის ბოლო ფურცელზე ასევე კონტრაქტის თავფურცელზე, პრეამბულის წინ, სადაც ხელმოწერების გარდა აღნიშნული იქნება კონტრაქტის დასახელება, ხელმოწერის ადგილი და თარიღი.

2. ხარისხის სისტემა ლოჯისტიკურ ურთიერთობებში

2.1. სატრანსპორტო გადაზიდვები, როგორც ლოჯისტიკური რგოლის შემადგენელი ნაწილი

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები უძველესი დროიდან ეკონომიკური პროგრესის ერთ-ერთი მამოძრავებელი რგოლი იყო. მას შემდეგ, რაც ადამიანმა შეიმეცნა თავის გარშემო არსებული სამყარო და ცნობისწადილის ბუნებრივმა ინსტინქტმა სხვა ახალი შეუცნობელი მხარეებისაკენ უბიძგა, საზოგადოებაში თანდათან ჩამოყალიბდა სხვა მხარის ადამიანთა საზოგადოებასთან ურთიერთობის სურვილი. თავდაპირველად ასეთი

ურთიერთობები რა თქმა უნდა შემთხვევით, ქაოსურ ხასიათს ატარებდა და ყოველთვის მშვიდობიანი სახე არ ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციები განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდნენ, ადამიანთა შორის ურთიერთობებმა მიზანდასახული სახე მიიღო, რასაც ხელს უწყობდა ბუნებრივი, ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსების არათანაბარი განაწილება. რესურსების არათანაბარი განაწილება, ხალხთა შორის თავდაპირველად ჩამოყალიბებული ურთიერთობების საფუძველია, რომელმაც თანდათანობით აღებ-მიცემობის სახე მიიღო და სავაჭრო ურთიერთობებში გადაიზარდა. თავისთავად სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას სატრანსპორტო ურთიერთობების განვითარება უწყობდა ხელს.

კაცობრიობის ცივილიზაციის ადრეულ ეტაპზე სატრანსპორტო ურთიერთობები, კერძოდ სატრანსპორტო გადაზიდვები, არ იყო ისეთი ინტენსიური ხასიათის, როგორიც დღეს, მაგრამ ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში ჩამოყალიბდა საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვებისა და ზოგადად სატრანსპორტო ურთიერთობების საფუძვლები, რომლებიც კაცობრიობის და შესაბამისად სატრანსპორტო საშუალებების განვითარებასთან ერთად იხვეწებოდა, ვითარდებოდა და ფართოვდებოდა. შუა საუკუნეების დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიც ხომ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას მოჰყვა. შემდგომში, ტექნიკური პროგრესის სწრაფმა განვითარებამ წარმოშვა წინაპირობები საერთაშორისო გადაზიდვების განსავითარებლად.

ახლად შექმნილმა სატრანსპორტო საშუალებებმა: რკინიგზამ, ავტომობილმა, ავიაციამ, განვითარებულმა საზღვაო ტრანსპორტმა სატვირთო გადაზიდვების რაოდენობა, სისწრაფე და ზოგადად ინტენსივობა, მკვეთრად გაიზარდა, განსაკუთრებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან. სატრანსპორტო გადაზიდვების ინტენსივობის ზრდამ თავის მხრივ, სხვა მრავალი პრობლემატური საკითხი წარმოშვა, რომელიც დაკავშირებულია ტვირთების ფორმირებასთან, დასაწყობებასთან, უსაფრთხოების ზომების დაცვასთან, მათ იდენტიფიკაციასთან და სხვა კონსტრუქციულ–ტექნოლოგიურ მოთხოვნებთან. სატვირთო ნაკადების ზრდამ თავის მხრივ გამოიწვია ინფორმაციული და ფინანსური ნაკადების ზრდა, რაც მათი ოპტიმიზაციის მიზნით სისტემური მართვის აუცილებლობას იწვევს. საკითხისადმი ასეთი მიდგომა გასული საუკუნის 50-იან წლებში ჩამოყალიბდა და მან ლოჯისტიკური მეცნიერების, იდეოლოგიის სახე მიიღო.

მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესების განვითარება, საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების განხორციელებასაც გულისხმობს, რაც საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების გარეშე წარმოუდგენელია. იგი გლობალიზაციის მიმდინარე პროცესებში გადამწყვეტ როლს ასრულებს, რადგან მძლავრ ინდუსტრიულ, განვითარებად და სულ უფრო მზარდ დარგად გვევლინება. სატრანსპორტო გადაზიდვების ინდუსტრიას, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში უდიდესი წილი უჭირავს. განვითარებული ქვეყნების ერთიანი ნაციონალური შემოსავ-ლების 20-25%-ს საქონლის, ტვირთების გადაადგილების პროცესიდან შემოსული შემოსავლები შეადგენს. ნედლეულის პირველადი რესურსიდან, მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი პროდუქტის საბოლოო სახემდე, შესრულებულ ოპერაციებზე დახარჯული დროის უდიდესი ნაწილი ლოჯისტიკური ოპერაციების წილზე მოდის, ამიტომ ძნელია გადაჭარბებით შეაფასო მისი როლი საწარმოს ეკონომიკის შემოსავლების ზრდაში.

ჯერ კიდევ ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, გასული საუკუნის 50-იან წლებში, აშშ-ის განაწილების საბჭოს განმარტებით ლოჯისტიკა მოიცავდა დასაწყობებას, ტრანსპორტირებას, სასაწყობე გადამუშავებას, მარკირებას, შეფუთვას, პროდუქციაზე შეკვეთის ფორმირებას, დამუშავებას, ბაზრის პროგნოზს, მომხმარებელთა მომსახურებას (სერვისს), საქონლის მოძრაობის

აღრიცხვასა და კონტროლს. ამერიკელ ინჟინერ-ლოჯისტიკოსთა ასოციაცია ლოჯისტიკას განმარტავს როგორც "მართვის ხელოვნებასა და მეცნიერებას, ტექნიკასა და ტექნიკურ აქტივობას, რომელიც გულისხმობს დაგეგმვას, მომარაგებას და დაგეგმილი ოპერაციების შესასრულებლად დასახული მიზნის მისაღწევად გადაადგილების საშუალებების გამოყენებას".

რიგი ავტორებისა თვლიან, რომ ლოჯისტიკა საქონლის ტრანსპორტირების პროცესია. სხვები მასში ხედავენ მაკროეკონომიკის ინჟინერიის, მენეჯმენტის გაფართოებულ შესაძლებლობებს, ავტორთა ნაწილი ამ კატეგორიაში განიხილავს გადატანისა და წარმოების პროცესების ინტეგრაციას საწყისი და შუალედური კომპლექსური ოპერაციებით. აქედან გამომდინარე, როგორც ვხედავთ, ლოჯისტიკისადმი მრავალნაირი მიდგომა არსებობს, მრავალგვარია მისი განმარტებაც, მაგრამ არც ერთი მათგანი უნივერსალური არაა. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ **„ლოჯისტიკა შეიძლება განვიხილოთ, როგორც მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური ნაკადების სისტემური მართვისათვის მეცნიერება და სტრუქტურული იდეოლოგია მათი ოპტიმიზაციის მიზნით."**

ლოჯისტიკის თანამედროვე შინაარსით ფორმირება, მისი შემადგენელი ელემენტებისა და მისი პრაქტიკული სფეროს როლის ამაღლებაა, რომელიც მიმართულია რიგი „მართებულობების" დაცვისაკენ პროდუქტის უზრუნველ-ყოფისათვის, მოცემული პირობებიდან გამომდინარე.

„მართებულობა" გულისხმობს პროდუქციის შეკვეთიდან და დამუშავებიდან მის შექმნამდე, მიწოდებამდე და რეალიზაციამდე მთლიანი ლოჯისტიკური ჯაჭვის გავლას, რომელიც მოცემული მომხმარებლისათვის მოცემულ პროდუქტს, მოცემული სახით, მოცემულ სამომხმარებლო სეგმენტში მოაქცევს. ანუ საუბარია სწორად შერჩეული მომხმარებელთა ჯგუფისათვის გამიზნულად შეკვეთილი, დამუშავებული და შექმნილი შესაბამისი ხარისხის პროდუქტის სწორად ტრანსპორტირების, შესაბამის დროს მიწოდების, შესაბამის ფასად რეალიზაციის მთლიანი პროცესის მართვის შესაძლებლობაზე. ჩვეულებრივ როდესაც ლაპარაკობენ მართებულობის შესახებ გულისხმობენ „ლოჯისტიკის შემადგენელ შვიდ" მართებულობას, ესენია:

– „მართებული" პროდუქტის არსებობის უზრუნველყოფა ე.ი. მოცემული ხარისხის პროდუქტის არსებობა შესაბამის შეფუთვაში და აუცილებელი მარკირებით;

– საქონლის მიწოდება „მართებული" რაოდენობით ე.ი. ფინანსური სახსრების მოხმარების ეკონომიურობისათვის მცირე პარტიებით სასაწყობე სისტემის გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად;

– საქონლისათვის „მართებული" მდგომარეობის უზრუნველყოფა გულისხმობს შენახვის, გადამუშავების დატვირთვის, ჩამოტვირთვის, გადატანის ტრანსპორტირების პირობებისათვის მარკირების აუცილებელი ინფორმაციის არსებობას;

– საქონლის „მართებულ" ადგილას არსებობის უზრუნველყოფა, გულისხმობს საქონლის გადაადგილებისათვის სრული და ამომწურავი მარკირების ინფორმაციის არსებობას;

– საქონლის მოწოდება „მართებულ" დროს, მომხმარებლის მიერ მისი მოხმარების რეალურობის გათვალისწინებით, მარაგის რაოდენობის მინიმუმამდე შემცირების მიზნით როგორც მომხმარებლის ასევე მომარაგების არხებში;

– საქონლის ფასის „მართებული" განსაზღვრა მოგების რეალური დონისა და მისი კონკურენტუნარიანობის გათვალისწინებით;

– საქონლის შეთავაზება „მართებული" მომხმარებლისათვის, რომელსაც მოცემული საქონლის მიმართ მოთხოვნილება გააჩნია.

საბოლოო ჯამში, ლოჯისტიკის მცნების განსაზღვრებაში, ზემოთ ჩამოთვლილი მიდგომები, მიმართულია მთავარი ამოცანის გადაჭრისაკენ სამეურნეო სისტემის ყველა რგოლს მრავლობითი ლოჯისტიკური კვანძების წარმოქმნით კოორდინაცია გაუწიოს მატერიალური, ფინანსური და ინფორმაციული ნაკადების მართვას. სხვა სიტყვებით ლოჯისტიკა თავისი მოქმედების მრავალწახნაგოვნებით ახორციელებს პრინციპს: „კარიდან–კარამდე".

ლოჯისტიკური სისტემა სულ უფრო და უფრო ფართო გამოყენებას პოულობს სხვადასხვა წარმოების მართვის პროცესში, იგი საფუძვლად უდევს მოცემული ფირმის მარკეტინგული სტრატეგიის გამომუშავებას, განსაკუთრებით განაწილების არხების არჩევისა და ფორმირებისას, მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ სასაქონლო გადაადგილების სულ უფრო ზრდადი ხარჯები მსყიდველობითი მოთხოვნილების ხარისხს ამცირებს. ამიტომ ლოჯისტიკური სისტემის ერთიან ჯაჭვში საქონლის გადაადგილების გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭა.

ლოჯისტიკის ფუნქციონალური დანიშნულების საფუძველზე გამოიყოფა მისი სამი ძირითადი სახეობა: 1. ლოჯისტიკა რომელიც დაკავშირებულია საქონლის დამზადებასთან შესყიდვასთან (დამამზადებელი), 2. დამზადების, წარმოების პროცესის მიმდინარეობასთან (საწარმოო), 3. ლოჯისტიკა რომელიც მიმართულია პროდუქციის ან მომსახურების რეალიზაციასკენ (გამანაწილებელი). თუ განვიხილავთ ლოჯისტიკას როგორც სამეცნიერო დისციპლინას, შეიძლება დავასახელოთ მისი სხვადასხვა სახეები, რომლებიც მთლიანად ლოჯისტიკურ პროცესს წარმართავს. ესენია: სამრეწველო–საწარმოო, მატერიალურ–ტექნიკური მომარაგების, გასაღების, სატრანსპორტო, მომსახურების ლოჯისტიკები, რომლებიც ნაჩვენებია 2.1. ნახ–ზე.

აქ მოყვანილი სახეობების გარდა არსებობს ლოჯისტიკის ისეთი სახეობები როგორიცაა: კომერციული, საწარმოო-კომერციული, შემსყიდველი, განაწილებითი და სამეწარმეო. მათთვის ყველასთვის აუცილებელია ლოჯისტიკური საინფორმაციო ნაკადების არსებობა, რომელიც მატერიალური ნაკადის შესახებ შეიცავს აუცილებელი ინფორმაციის მინიმუმს შეიცავს. სისტემატიზირებული ინფორმაცია შესაბამისი ლოჯისტიკური არხების საშუალებით გადაიცემა. ნახ. 2.2.

ლოჯისტიკური არხი – ეს ფუნქციონალურად დაკავშირებული ელემენტების გარკვეული რაოდენობაა, რომელთა ერთობლიობას ლოჯისტიკური რგოლი ეწოდებათ. მათი საშუალებით ფორმირდება ლოჯისტიკური ჯაჭვი, რომელიც უწყობს ხელს მატერიალური ნაკადის რაციონალურ გადადინებას გამყიდველიდან მყიდველამდე.

მატერიალური ნაკადი გულისხმობს საქონლის გადაადგილების ტექნოლოგიური პროცესის ისეთ ელემენტებს როგორიცაა: შეფუთვა, მარკირება, ტრანსპორტირება, დატვირთვა (ჩამოტვირთვა), ტვირთების დამუშავება, დასაწყობება და შენახვა, მომხმარებლისათვის გაცემა, მასალათა სარეზერვო რაოდენობის აღრიცხვა და კონტროლი. ლოჯისტიკური სისტემა შეიცავს საკმაოდ დიდი რაოდენობით მატერიალურ საშუალებას, რომლებიც უზრუნველყოფს პროდუქციის გადაადგილებას ლოჯისტიკური ჯაჭვის ცალკეულ რგოლებზე. მათ შორისაა ტვირთნაკადის მოძრაობის სხვადასხვა ეტაპზე სასაწყობე მეურნეობა, დასატვირთი და ჩამოსატვირთი მოწყობილობების, მანქანების და რობოტიზირებული სასაწყობე კომპლექსები,



ნახ.2.1. ლოჯისტიკური სისტემის შემადგენელი ელემენტები

პროდუქციის გადამუშავების ტექნოლოგიურ დანადგარები, შესაფუთი და სატრანსპორტო საშუალებები, მათი გარკვეულ მარაგები და ლოჯისტიკური ჯაჭვის მართვის საშუალებები.



ნახ.22 ლოჯისტიკური ჯაჭვის სტრუქტურა

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ლოჯისტიკა მოწოდებულია შექმნას და ეფექტურად მართოს მატერიალური და ინფორმაციული ნაკადების ინტეგრირებული სისტემები.

2.1.1. ტვირთების შეფუთვისა და კლასიფიკაციის სისტემა

ეკონომიკური განვითარების ყოველი ეტაპისთვის დამახასიათებელი იყო საკუთარი შეფასებითი კატეგორიები, რომელთაც შეესაბამებოდა გარკვეული ლოჯისტიკური მიზნები როგორც შეფუთვის, ასევე მარკირების აღნიშვნის სისტემაში.

შეფუთვა – საშუალება ან საშუალებათა კომპლექსია, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის დაცვას დაზიანებისაგან, დანაკარგებისაგან და დატაცებისაგან, ხოლო გარემოს დაბინძურებისაგან. იგი ხელს უწყობს შენახვის, რეალიზაციის და ტრანსპორტირების პროცესის რაციონალურ ორგანიზაციას.

შეფუთვის თეორიასა და პრაქტიკაში ტრადიციულად გამოყოფენ მის ძირითად ფუნქციებს: ტევადობა, შენახვა, დაცვა, გამოყენების პრაქტიკულობა, ტრანსპორტაბელურობა, კომუნიკაციებთან მორგების უნარი და ინფორმაციულობა.

სატრანსპორტო გადაზიდვების თვალსაზრისით შეფუთვას განსაკუთრებული მოთხოვნები წაეყენება. ამ დროს ძლიერდება გარე ზემოქმედების ფაქტორების გავლენა, როგორც შეფუთვაზე ასევე პროდუქციაზე, რომლის დასაცავადაც მოწოდებულია შეფუთვა. გარე ზემოქმედების ფაქტორები გულისხმობს არა მხოლოდ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ვიბრაციული და დარტყმითი ფაქტორების ზემოქმედებას, არამედ ისეთი ფაქტორებსაც როგორიცაა წნევა, ტემპერატურა, მზის გამოსხივება და დროითი ფაქტორი, რომელიც ტრანსპორტირების ხანგრძლივობით განისაზღვრება ეს ყველაფერი ერთად აღებული, პროდუქციის ხარისხის პარამეტრებზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორებია.

სასაქონლო მოძრაობის ეფექტური სისტემის შექმნა, რომელიც მცირე დანახარჯებითა და შეფუთვის რაციონალური გამოყენების ფორმით, უზრუნველყოფს პროდუქციისა და მომხმარებელთა მომსახურების მაღალ დონეს, ლოჯისტიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ა. შეფუთვის კლასიფიკაცია

შეფუთვის ცნება ძალიან ფართოა და მრავალ საკლასიფიკაციო სახეობას მოიცავს. მწარმოებლისათვის რომ ადვილი გასარკვევი იყოს, შეფუთვის რომელი სახეობა ესაჭიროება და შესაძლებელი იყოს მისი მოხმარების რაოდენობრივი დახასიათება, აუცილებელია არსებობდეს შეფუთვისა და ტარის მკვეთრად განსაზღვრული კლასიფიკაცია.

აშშ-ში შესაფუთი მასალების წარმოების მასშტაბების შესახებ წარმოდგენას იძლევა ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში, შესაფუთი მრეწველობის საწარმოებში ყოველწლიური დანახარჯების რაოდენობა მხოლოდ ფოლადსასხმელ და საავტომობილო მრეწველობის დარგებს ჩამორჩებოდა, ხოლო 1990-იანი წლების დასაწყისისათვის ყოველწლიურმა დანახარჯებმა ამ სფეროში 30 მლრდ დოლარს მიაღწია და 20 წლის განმავლობაში თითქმის ორჯერ გაიზარდა.

შეფუთვის ძირითადი სახეობების, მასში გამოყენებული მასალებისა და კონსტრუქციების კლასიფიკაცია დანიშნულებისა და ექსპლუატაციის ზოგიერთი თავისებურების გათვალისწინებით მოცემულია ნახ.2.3-ზე. მოცემული კლასიფიკაციის სქემის მიხედვით შეფუთვა (ტარა) დანიშნულების მიხედვით იყოფა სამომხმარებლო (I), საწარმოო (II) და სატრანსპორტო (III) სახეებად. თავის მხრივ სამომხმარებლო შეფუთვა წარმოების ხასიათის მიხედვით იყოფა შეფუთვის სახეობებად, რომლის დამზადება ხორციელდება დაფასოებისაგან დამოუკიდებლად (1-1). შეფუთვის სახეობად, რომლის წარმოება აგრეგატირებულია დაფასოების პროცესთან ერთად (1-2) და ტარა ან შეფუთვა პროდუქტის დაფასოებისას პოლიეთილენის აპკში (1-3).

სამომხმარებლო შეფუთვა მექანიკური ზემოქმედებით რამდენიმენაირია: რბილი (1-4), რომელიც შესრულებულია ქაღალდის, ხელოვნური სინთეტიკური აპკისაგან (1-7), ნახევრად რბილი (1-5) მუყაოს, პლასტმასის და შესაფუთი ქაღალდისაგან (1-8) და მაგარი (1-6) პლასტმასის, მუყაოს, მეტალის, შუშის (1-9) მასალებისაგან.

სამომხმარებლო შეფუთვა ასევე კლასიფიცირდება ტენდაცულობის მიხედვით, რომელიც შეიძლება იყოს ჰერმეტული (1-10) და არაჰერმეტული (1-11). ჰერმეტული შეფუთვა შეიძლება შესრულდეს ანაკრები ქილისაგან, ცილინდრული ან ფიგურალური ფორმით (1-12) ან ქილისაგან, რომელიც გამოიყენება თევზის, საკონსერვო და ქიმიურ მრეწველობაში (1-13). სამომხმარებლო შეფუთვა ძირითადი სახეობების მიხედვით იყოფა: მუყაოსა და მეტალის ყუთებად (1-14), მინისა და თუნუქის ქილებად (1–15), კომბინირებული მუყაოსა და მეტალის ქილებად (1-16), შუშის ბოთლებად (1-17), ფლაკონებად და მილებად (1-18), ქაღალდის, ფოლგის, ცელულოზის და სხვა აპკების პაკეტებად (1-19). ასევე აღსანიშნავია სამომხმარებლო შეფუთვის დაყოფა ორ დიდ ჯგუფად, მათგან ერთში გაერთიანებულია ერთჯერადი (1-20) ხოლო მეორეში მრავალჯერადი (1-21) გამოყენების შეფუთვა და ტარა.

შეფუთვის მეორე დიდი ჯგუფი გახლავთ საწარმოო დანიშნულების ტარა (II), რომელიც შესრულების სახეობების მიხედვით იყოფა სტანდარტულად (2-1), სტანდარტულად დეტალების ფიქსაციისათვის სპეციალური სამარჯვებით (2-2) და სპეციალურად (2-3). შესრულების ტიპების მიხედვით საწარმოო შეფუთვა არსებობს ყუთისებრი (2-4) და სადგარისებრი (2-5). ყუთისებრი შეფუთვა თავის მხრივ იყოფა ნორმალურ (2-6), გაძლიერებულ (2-7) და სასაწყობე შეფუთვად (2-8). სადგარისებრი (2-5) შეფუთვის ტიპები იყოფა დასაშლელკედლებიან (2-9), კარკასულ (2-10) და დაუშლელკედლებიან (2-11) შეფუთვად.

გაბარიტული ზომების მიხედვით საწარმოო დანიშნულების შეფუთვის ტიპები შეიძლება არსებობდეს მსხვილ გაბარიტიანი 400x600მმ მეტი (2-12) და მცირე გაბარიტიანი 400x600მმ ნაკლები (2-13) ზომის. თავის მხრივ ყუთისებრი ტიპის შეფუთვა შეიძლება დაიყოს, ნორმალურ ყუთისებრ ტარად (2-14), ყუთისებრი ტარა ნახევრად ღია წინა გვერდით (2-15), ყუთისებრ ტარად სახურავით (2-16) და კარკასულ ტარად (2-17). ეს უკანასკნელი თავის მხრივ შეიძლება იყოს სადგარისებრი (2-18) და ღეროვანი (2-19).

საწარმოო დანიშნულების ტარა გამოყენებული მასალების მიხედვით არსებობს ლითონის (2-20), პლასტმასის (2-21), ხის (2-22) და კომბინირებული (2–13). ხოლო საყრდენის კონსტრუქციის მიხედვით არსებობს ტარა იატაკით (2–24), ტარა ფეხებით (2-25) და ტარა საყრდენით (2-26).

ტარა–შეფუთვის ერთ-ერთი განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ჯგუფი სატრანსპორტო ტარაა (III), რომელიც ექსპლუატაციის თავისებურებების მიხედვით იყოფა მრავალჯერად (3-1), საინვენტარო (3-2), ერთჯერად (3-3) და განმეორებით (3-4) ტარის სახეობად, სატრანსპორტო ტარა მექანიკური

ზემოქმედების მიხედვით შეიძლება დაიყოს მაგარ (3-5), ნახევრად მაგარ (3-6) და რბილ (3-7) ტარის სახეობებად, რომელთაგან ნახევრად მაგარი შეიძლება არსებობდეს მუყაოს, პლასტმასის, ქაღალდის (3-8), ხოლო რბილ სატრანსპორტო ტარას განეკუთვნება ტომრები და პარკები ქსოვილისგან, აპკებისაგან და ქაღალდისაგან (3-9).



ნახ.2.3. შეფუთვის, ტარის კლასიფიკაციის სტრუქტურა

სატრანსპორტო ტარა გამოყენებული მასალის მიხედვით არსებობს: ხის (3-10), მუყაოს (3-11), შუშის (3-12), ლითონის (3-13), პოლიმეტალის (3-14), კერამიკის (3-15), ფაიფურის (3-16), ღეროვანი (3-17).

სატრანსპორტო ტარის კლასიფიკაცია მიზანშეწონილია ძირითადი სახეობების მიხედვით, რომელიც შეიცავს: ყუთებს (3-18), კასრებს (3-19), ბიდონებს (3-20), შუშის ბოთლებს (3-21). თავის მხრივ თითოეული მათგანი შეიძლება იყოს ხის (3-22), ხის ბოჭკოვანი მასალის (3-23), ფანერის (3-24), შპონის (3-25), გოფრირებული მუყაოს (3-26), მუყაოს (3-27), კომბინირებული (3–28), დაწნეხილდაწებებული (3-29), ლითონის (3-30).

დანიშნულებიდან გამომდინარე ტარა (კონტაინერ) შეფუთვის ძირითადი ელემენტია, რომელიც წარმოადგენს ნაკეთობას პროდუქციის განლაგებისთვის

და მისი სივრცეში გადაადგილებისთვის. „ტარა“ არაბული წარმოშობის სიტყვაა და გამოკლებას აღნიშნავს, რაც გულისხმობს საქონლის შედარებას შეფუთვასთან ერთად და მის გარეშე. დღევანდელი მიდგომით, შეიძლება ითქვას, რომ ეს ცნება დაკავშირებულია როგორც თვით საქონლის წონასთან, ასევე მისი გადაადგილების საშუალებასთან (ვაგონი, კონტეინერი, ავტომობილი), ანუ წონა „ბრუტო” – საქონლის წონაა ტარასთან (შეფუთვასთან) ერთად, ხოლო წონა „ნეტო” – საქონლის სუფთა წონაა.

ტარის ძირითადი დანიშნულება ერთი მხრივ, როგორც ავღნიშნეთ, პირველადი შეფუთვის მქონე საქონლის შენახვის უზრუნველყოფაა, ხოლო მეორე მხრივ, მასში ჩალაგებული საქონლის ტრანსპორტაბელურობის უზრუნველყოფა.

სახალხო მეურნეობაში შეფუთვისა და ტარის მიმართ შემდეგი მოთხოვნები და პირობები არსებობს:

– საქონლის ფიზიკურ-ქიმიური და მექანიკური ზემოქმედებისაგან დაცვა;
– ყველა სახის პროდუქციის შენახვისა და ტრანსპორტაბელურობის უზრუნველყოფა;
– სატრანსპორტო საშუალებებისა და სასაწყობე ფართის გაბარიტებისა და ტვირთტევადობის რაციონალური გამოყენება;
– დატვირთვა–ჩამოტვირთვის ოპერაციებზე კომპლექსური მექანიზაციის გამოყენების შესაძლებლობა;
– ვაჭრობის ორგანიზაციის დონის ამაღლება;
– მყიდველისათვის პროდუქციის თვისებების შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება;
– ეკოლოგიური უსაფრთხოება რეციერკულაციისა და რეგენერაციის უნარი მწყობრიდან გამოსული შეფუთვისათვის.

შეფუთვაში კონცენტრირებულია მრავალი პარამეტრი, რომელიც უწყობს ხელს ლოჯისტიკური პროცესის ეფექტურობას. მოთხოვნათა ჩამონათვალი, რომელიც შეფუთვას წაეყენება, ნაჩვენებია ნახ.2.4-ზე მოყვანილ სქემაზე.

ნაჩვენები პარამეტრები კარგად ასახავენ შეფუთვის მნიშვნელობას საქონელბრუნვის ჯაჭვში. მასზე ბევრადაა დამოკიდებული საქონლის გაყიდვის მეთოდები, სტილი, ხასიათი, მოცულობა და ინტენსივობა. ამიტომ გასაკვირი არაა სპეციალისტთა მხრიდან შეფუთვისადმი გამოვლენილი ინტერესი. თუ საბჭოთა პერიოდში პროდუქციის თვითღირებულებაში შეფუთვის ხვედრითი წილი დაახლოებით 3,5% შეადგენდა ამჟამად ეს სიდიდე დაახლოებით 5-ჯერ გაიზარდა და სხვადასხვა წყაროს მონაცემებით 15-20% შორის მერყეობს. ასევე განუხრელად იზრდება მთელი მსოფლიოს მაშტაბით შესაფუთი მანქანების წარმოება, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენი ქვეყანა ამ მანქანების არც მწარმოებელთა და არც აქტიურ მომხმარებელთა შორის არ იმყოფება სხვადასხვა სახის შეფუთვისა და ტარის დამზადების გარდა ლოჯისტიკური სისტემის წინაშე დგება ხანგრძლივი ტრანსპორტირების პირობებში მათი კონტროლისა და შემოწმების საკითხი, მით უმეტეს, რომ საშუალოდ, სტატისტიკურად მინიმუმ 4-6 გადატვირთვის პირობებში, ±50^{0}C ტემპერატურულ დიაპაზონში ტვირთის გადაადგილების მანძილი 1000 კმ-ია. დეფორმაციის გამომწვევი ძალების მოქმედებისას დატვირთვა-ჩამოტვირთვის ოპერაციების, ასევე ტრანსპორტირებისას ვიბრაციული და დარტყმითი ზემოქმედების დროს, განაპირობებენ მათთვის საკმაოდ რთულ სამუშაო რეჟიმს. ტარისა და შეფუთვის შექმნისას კონსტრუქტორული გადაწყვეტილებების სისტემატიზაცია საკმაოდ სრულადაა წარმოდ-გენილი IS0 4180 და Д4169 სერიის სტანდარტებში, რომელიც ითვალისწინებს გარე ზემოქმედების ფაქტორებისაგან დაცვის კონსტრუქციული, მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ხასიათის რეკომენდაციებს.



ნახ.2.4 შეფუთვისადმი წაყენებული ყველაზე მნიშვნელოვანი ლოჯისტიკური მოთხოვნები

.

2.1.2. საქონლის მარკირების სახეები

მარკირება ეწოდება ნიშნების, ნახატების და წარწერების დატანას საქონელზე, ან შეფუთვაზე მათი იდენტიფიკაციის, გადაზიდვის, დამუშავებისა და შენახვის მეთოდების მითითებით. ეს მითითებები შეიცავს ოპერაციათა კომპლექსს, რომელიც სასაქონლო მოძრაობის ეფექტურობის ზრდას, მის უსაფრთხოებას, ხარისხს, სტანდარტებთან და საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობას, ასევე ლოჯისტიკური ჯაჭვის ყველა ეტაპზე მის უფრო ეფექტურ კონტროლს უზრუნველყოფს.

ნებისმიერი სამომხმარებლო საქონელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მარკირებით, რომელიც მომხმარებლისათვის უნდა შეიცავდეს ნორმატიული დოკუმენტაციით განსაზღვრულ ინფორმაციულ მონაცემებს შეიცავდეს.

სამომხმარებლო პროდუქციაზე გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში, ლოჯისტიკური სფეროს შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობას, სულ უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მათ შორის მომხმარებელთა ინფორმაციულობის მაღალ ხარისხს, რადგან მომხმარებელს უფლება აქვს ყველაფერი იცოდეს იმ პროდუქციაზე, რომელსაც ყიდულობს. ინფორმა-ციულობის მოთხოვნილი დონის დაკმაყოფილების ერთ-ერთი ძირითადი წყარო მარკირება – შეთანხმებული აღნიშვნის სისტემაა.

ისტორიულად, ლოჯისტიკური თვალსაზრისით მარკირების მიმართ წაყენებულმა მოთხოვნებმა განვითარების დიდი გზა გაიარეს. გვიან შუა

საუკუნეებში (XVII-XVIIIსს.) ეკონომიკა ორიენტირებული იყო სასაქონლო სახეზე და ბაზარზე ხელოსნური სახის პროდუქცია დომინირებდა. ამ დროისათვის ლოჯისტიკური მიზანი მასალების პრიორიტეტი იყო და მარკირებასაც შესაბამისი კუთვნილებითი ხასიათი ჰქონდა, თუმცა ხელოსნური ნაწარმი საფირმო მარკირების ელემენტებს შეიცავდა. უფრო გვიან, ლოჯისტიკურ მიზანში გასაღების პრიორიტეტი სჭარბობს და მარკირების პროცესშიც საფირმო ნაკეთობათა გამოყოფა ხდება.

დღეისათვის ლოჯისტიკური მიზნის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით, როდესაც ლოჯისტიკა ყალიბდება როგორც ერთიანი სისტემა, ბიზნესპროცესი, მარკირებას მარკეტინგული უზრუნველყოფის ფუნქციასთან ერთად საინფორმაციო ფუნქციაც აკისრია, რაც პროდუქტის სასაქონლო გადაადგილების (ტრანსპორტირების, დასაწყობების, იდენტიფიკაციის) პროცესს ეფექტურს ხდის. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ მარკირება ლოჯისტიკის პრაქტიკული ინსტრუმენტია.

მარკირების დატანა საქონლის შეფუთვასა და ტარაზე განპირობებულია საქონლის, პროდუქციის იდენტიფიკაციის, გადატანის, შენახვისა და ტექნოლოგიური დამუშავების მეთოდების თვალსაჩინოდ წარმოდგენისათვის.

მარკირება არსებობს სასაქონლო, გასაგზავნი, სატრანსპორტო და სპეციალური. საექსპორტო და იმპორტის ტვირთებისათვის გათვალისწინებულია მარკირების დამატებითი მოთხოვნები, ხოლო საშიშტვირთიან ადგილებზე დატანილია საშიშროების ნიშნები.

საქონლისა და შეფუთვის მარკირების ძირითადი სახეების კლასიფიკაცია მოცემულია 2.5 ნახ–ზე.

მარკირებას გააჩნია საინფორმაციო ფუნქცია, რითაც იგი მომხმარებელს აწვდის აუცილებელ სასაქონლო ინფორმაციას, რომელიც ძირითადი, სამომხმარებელო და კომერციული ინფორმაციის სახით არსებობს. როგორც წესი, უდიდესი ხვედრითი წილი მათგან ძირითად და სამომხმარებელო ინფორმაციაზე მოდის. მარკირების ძირითადი ინფორმაცია დუბლირებულია საქონლის თანმხლები დოკუმენტაციის მიხედვით, რაც ამ ინფორმაციათა იდენტურობის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. ამასთან მომხმარებელთა ძირითადი მასისთვის ეს ინფორმაცია პრაქტიკულად ერთადერთი ხელმისაწვდომი სასაქონლო ინფორმაციაა, ამიტომ მარკირებაში კომერციული ინფორმაციის ხვედრითი წილი მინიმუმამდეა შემცირებული.

მარკირების მაიდენტიფიცირებელი, სარეკომენდაციო, მაორგანიზებელი ფუნქცია საშუალებას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ სასაქონლო პარტიებს ლოჯისტიკური ჯაჭვის ყველა ეტაპზე – მომარაგების, სატრანსპორტო, სასაწყობე და ა. შ.

მარკირების ემოციონალური, პროპაგანდისტული და სამოტივაციო ფუნქციები ურთიერთდაკავშირებულია, მიმართულია მყიდველისკენ და ემსახურება საქონლის შეძენისათვის მნიშვნელოვან მოტივაციას.

სასაქონლო მარკირება გვიჩვენებს საქონლის დასახელებას, მის დამამზადებელს, მისამართს, საწარმოო მარკას, ხარისხს, სტანდარტს, რომლის მიხედვითაც დამზადებულია საქონელი, იყენებს აღნიშვნებს ფერებით (მაგ. ფოლადის, თუჯის, ფერადი შენადნობებისათვის), შეკვეთის ნომერს, პარტიაში საქონლის რიგით ნომერს. მარკირების ეს სახეობა პროდუქციის მწარმოებლის მიერ დაიტანება ხარისხის კონტროლისა და უსაფრთხოების მიზნით.

ზოგადად ნებისმიერი სახის მარკირება უნდა აკმაყოფილებდეს ნორმატულ-ტექნიკური დოკუმენტაციით რეგლამენტირებულ ნორმებს, რომელიც სამი პოსტულატით შეიძლება განისაზღვროს ესენია: სანდოობა, ხელმისაწვდომობა, საკმარისობა. სხვა სპეციფიკური მოთხოვნები ტრადიციულად შეიცავენ მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრავენ: მარკირების თვალსაჩინოებას,

დატანილი ტექსტის და ნახატის სიმკვეთრეს, ცალსახობას, ტექსტისა და პროდუქტის შესატყვისობას.



ნახ.2.5 მარკირების კლასიფიკაცია ძირითადი სახეობებისა და ფუნქციების მიხედვით

მარკირების დატანა შეიძლება მოხდეს ეტიკეტზე, იარლიყზე, სადებზე, საჭდეზე, საკიდზე, საკონტროლო ზონარზე, დამღაზე, შტამპზე.

ეტიკეტი ფრანგული სიტყვაა და დადგენილ მიღებულ წესს აღნიშნავს (ეტიგეტტე). ეტიკეტს გააჩნია საქონლის საფირმო დასახელება, სასაქონლო ნიშანი, შტრიხულ კოდი და სხვა. თავისი შემადგენლობის მიხედვით ეტიკეტი დიდი ინფორმაციული მოცულობით ხასიათდება. ტექსტის გარდა ის შეიძლება შეიცავდეს გამოსახულებას, სიმბოლოებს, სასაქონლო ნიშნებს, ლოგოტიპს, ახსნა-განმარტებით ტექსტს და სხვა.

საყელური – ეტიკეტის ნაირსახეობაა, რომელსაც შებრუნებული წვეთის, ოვალური ან მართკუთხა ფორმა აქვს შუშის ტარის მიხედვით, რომელზედაც ის, როგორც წესი, ეტიკეტთან ერთად მაგრდება. მისი საინფორმაციო დატვირთვა მინიმალურია. ჩვეულებრივ მასზე შეიძლება გამოსახული იყოს ნახატი, რომელიც ბოთლის ყელს ალამაზებს, მასზე დატანილია წარწერა სასმლის დასახელებით, დამზადების წელი, დამამზადებელი ფირმა.

სასაქონლო იარლიყი – თურქული წარმოშობის სიტყვაა და ნებას, ბრძანებას ნიშნავს. თავდაპირველი გაგებით ხანის სიგელს – „თარხან" ან ხანის ნებას ნიშნავდა.

იარლიყი შეიძლება დაიკიდოს, მიეწებოს ან მიმაგრდეს საქონელზე. მასზე ნახატი არ არის გამოსახული. შეიცავს ინფორმაციის მინიმალურ რაოდენობას საქონელზე, ძირითადად გვაცნობს საქონლის გამოსასვლელ პარამეტრებს (მონაცემებს). ჩვეულებრივ ისინი გვაწვდიან შემდგომ ინფორმაციას: საქონლის დასახელებას, დამამზადებელი ფირმის დასახელებას, საფოსტო რეკვიზიტებს, გამოშვების თარიღს, ხარისხს, ფასს. ამას გარდა მასზე მოთავსებულია მაიდენტიფიცირებელი მონაცემები – ნაკეთობის არტიკული, მოდელის ნომერი, ზომა, გამოშვების თარიღი. შეიძლება გამოსახული იყოს სასაქონლო ან საფირმო ნიშანიც.

ბირკა – იარლიყის სახესხვაობაა, უფრო მცირე საინფორმაციო მოცულობით. იგი როგორც წესი, ძალზე ლაკონურად გადმოსცემს ინფორმაციას დამამზადებელი ფირმის შესახებ (დასახელება, პარტიის ნომერი, ზომა და სხვა) ან საფირმო მარკას.

სადები – ეტიკეტის სახესხვაობაა, საკმაოდ დაწვრილებითი და მიზანმიმართული ინფორმაციით – პროდუქციის დამამზადებლის მითითებით ცვლის ნომერით, შემფუთავის ნომერით, პროდუქციის დასახელებით. მაგრამ უფრო ხშირად სადებზე მოცემულია ინფორმაცია – ინსტრუქცია ექსპლუატაციის შესახებ. ასეთ შემთხვევაში სადები იძენს დამატებით სარეკლამო ან პროსპექტის ფუნქციას. ყველაზე ხშირად ასეთი სადებები გვხვდება სამკურნალო პრეპარატების, პარფიუმერულ–კოსმეტიკური საშუალებების, საყოფაცხოვრებო ქიმიის, საკონდიტრო ნაწარმის გამოყენებისას.

დამღა და შტამპი – მარკირების მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის მატარებელი საშუალებებია, რომლებიც სპეციალური მოწყობილობების დახმარებით უშუალოდ საქონელზე პირობითი აღნიშვნების სახით, შეფუთვაზე, ან ეტიკეტზე დაიტანება. დატანის ადგილის მიხედვით ისინი შეიძლება იყოს სამრეწველო ან სავაჭრო. დანიშნულების მიხედვით შეიძლება იყოს ვეტერინარული, საქონელმცოდნეო, საკარანტინო, სააღრიცხვო და ა.შ. ფორმის მიხედვით ისინი არიან მართკუთხა, ოვალური, კვადრატული, რომბოიდული, სამკუთხა, რთული და სხვა.

სტრუქტურის მიხედვით მარკირება ჩვეულებრივ სამ ელემენტს შეიცავს: მოკლე ტექსტი, ნახატი, პირობითი აღნიშვნები, სასაქონლო ან საინფორმაციო ნიშნები. თითოეულ მათგანს გარკვეული როლი ენიჭება და მარკირების საერთო რაოდენობაში შესაბამისი ადგილის რაოდენობა გამოიყოფა, ასე, მაგალითად: ტექსტური ნაწილი შეიძლება შეიცავდეს მთლიანი ფართობის 50-100%-ს, ნახატი 0-50%-ს, პირობითი აღნიშვნები 0-30%-ს.

მარკირების ტექსტური ნაწილი ყველაზე გავრცელებული და დიდი საინფორმაციო მოცულობის მატარებელი ელემენტია. მომხმარებლისთვის მას უპირატესი და გასაგები მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მასში მოცემულია ინფორმაცია გამოყენების, ხარისხის, ვარგისიანობის ვადის, დამზადების თარიღისა და სხვათა შესახებ.

ნახატი მარკირების აუცილებელი ელემენტი არ არის. და თუ იგი მაინც არსებობს, როგორც წესი, მას სამოტივაციო და ემოციური ფუნქცია აკისრია, გაცილებით იშვიათად საიდენტიფიკაციო და საინფორმაციო.

პირობითი აღნიშვნები, როგორც წესი, გამოიყენება საწარმოო და სასაქონლო მარკირების დატანისას. მისი მიზანია მოახდინოს კონკრეტული ფირმის პროდუქციის იდენტიფიცირება და გამოყოს ანალოგიური პროდუქციის საერთო მასიდან. პირობითი აღნიშვნები შეიცავს საკმაოდ დიდ საკლასიფიკაციო ჩამონათვალს, რომელიც ზოგადი ბლოკების სახით შეიძლება ასე წარმოვადგინოთ. საინფორმაციო ნიშნების პირობითი აღნიშვნები:

- სასაქონლო ნიშნები;
- სამანიპულაციო ნიშნები;

- გამაფრთხილებელი ნიშნები;
- შტრიხული კოდირება;
- ზომის ნიშნები;
- საქონლის წარმოშობის ადგილის დასახელების ნიშანი;
- ეკოლოგიურობის ნიშანი;
- საშიშროების ნიშნები;
- საიდენტიფიკაციო და საინფორმაციო ნიშნები;
- საექსპლუატაციო ნიშნები;
- კომპონენტური ნიშნები;

კომპონენტური ნიშნები – იძლევა ინფორმაციას პროდუქციაში გამოყენებული საკვები დანამატების – ინდექსი „E“, სასაქონლო ქიმიური შემადგენლობის – საღებავები, ლაქები, მეტალები, ფითხის და სხვათა შესახებ პირობითი აღნიშვნებით.

ზომის ნიშნები – შემოტანილია კონკრეტული ფიზიკური სიდიდის აღნიშვნისათვის, რომელიც განსაზღვრავს საქონლის რაოდენობრივ პარამეტრებს: მასა, წონა, მოცულობა, სიგრძე და ა.შ.

საექსპლუატაციო მარკირების ნიშნები – გათვალისწინებულია მომხმარებლის ინფორმაციისათვის პროდუქციის ექსპლუატაციის, მონტაჟის, გაწყობის და მოვლის წესების შესახებ. ისინი დაიტანება იარლიყზე, საჭდეზე, ეტიკეტზე, შეფუთვაზე, საკონტროლო ზონარებზე ან უშუალოდ საქონელზე.

სამანიპულაციო ნიშნების საშუალებით ფორმირებულია პირობითი აღნიშვნების კომპლექსი, რომლის დანიშნულებაა მიუთითოს ტვირთთან (ტარასთან), საქონელთან მოპყრობის წესები, შენახვის, დასაწყობების, გადაზიდვის, დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების შესრულებისას.

მარკირების გამაფრთხილებელი ნიშნების დანიშნულება მომხმარებლის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, ასეთი ტვირთების გადატანის, შენახვისა და გამოყენებისას საფრთხის თავიდან აცილების მიზნით. აუცილებელი მოქმედებების შესრულებით.

მარკირების ეკოლოგიური ნიშნები (ეკომარკირება) – ნიშნების კომპლექსია, რომელიც მომხმარებელს ამცნობს სამომხმარებლო საქონლის ეკოლოგიურ სისუფთავეს, ან ექსპლუატაციისა და უტილიზაციის დროს ეკოლოგიურად უსაფრთხო გამოყენების მეთოდებზე მიუთითებს.

გასაგზავნი, სატრანსპორტო მარკირების შესრულებისას დაცული უნდა იყოს გარკვეული სახის მოთხოვნები, რომლებიც გამომდინარეობენ ლოჯისტიკური ამოცანის პირობებიდან, აგრეთვე სატრანსპორტო გადაზიდვების ტექნოლოგიიდან. კერძოდ, სხვა აუცილებელ მოთხოვნებთან ერთად გასაგზავნი, სატრანსპოტო მარკირების შესრულებისას მითითებულია ტვირთის გამგზავნისა და მიმღების დასახელება, გაგზავნისა და მიღების სადგურის, ან პორტის დასახელება და მისი ერთი სახეობის ტრანსპორტიდან სხვა სახეობაზე გადატვირთვის პუნქტი. გასაგზავნი მარკირება დატანილი უნდა იყოს თითოეულ სატვირთო ადგილზე.

გასაგზავნი არალელეპიპედის, კუბის, ტეტრაედრის ფორმის ტარის მარკირების ადგილი ერთ-ერთი გვერდითი კედელია. დასაშვებია მარკირების დატანა მეზობელ კედელზე ან სახურავზე, თუ კი ტარის ზომები და კონსტრუქცია არ იძლევა საშუალებას მარკირება ერთ კედელზე მოთავსდეს. სატრანსპორტო მარკირების ტარაზე დატანის სქემა მოცემულია ნახ.2.6–ზე.



აუცილებელი წარწერები

დასაშვები წარწერები

ნახ. 2.6. სატრანსპორტო მარკირების დატანის სქემა ტარაზე
1.სამანიპულიციო ნიშნები; 2. გამაფრთხილებელი ნიშნები; 3. ადგილების რაოდენობა პარტიაში და ტვირთის რიგითი ნომერი პარტიაში; 4. ტვირთის მიმღების და მიმღები პუნქტის დასახელება; 5. გადატვირთის პუნქტის დასახელება; 6. სატრანსპორტო ორგანიზაციის წარწერები; 7. ტვირთის გამგზავნის დასახელება; 8. გაგზავნის პუნქტის დასახელება; 9. საქონლის დამამზადებელი ქვეყანა; 10. სატვირთო ადგილის მოცულობა; 11. სატვირთო ადგილის გაბარიტული ზომები; 12. მასა ნეტო; 13. მასა ბრუტო.

კასრებსა და დოლურებზე გასაგზავნი მარკირება დაიტანება ერთ-ერთ ძირზე. აღნიშნული მანიპულაციების ჩატარების შემდეგ ტვირთი ბარდება გადამზიდავს, რის შემდეგაც ის „საქონლის" კატეგორიიდან გადადის „ტვირთის" კატეგორიაში, ხოლო სატრანსპორტო ზედდებული ღებულობს გადაზიდვის ხელშეკრულების ფორმას.

საქართველოში ჩვეულებრივი ტვირთების მარკირება რეგლამენტირებულია ГОСТ 14192-77, ГОСТ 16299-78, ГОСТ 15527-86, ხოლო საშიში ტვირთების მარკირება ГОСТ 19433-88. იმ ქვეყნებისათვის, რომელთა შორისაც არსებობს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, მარკირებისა და შეფუთვის მოთხოვნები რეგლამენტირებულია მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმებებით, კერძოდ „საერთაშორისო შეთანხმება საშიში ტვირთების ტრანსპორტირების შესახებ (ATR)", „საერთაშორისო საზღვაო კოდით, საშიში ტვირთებისათვის (IMDG)", „საერთაშორისო შეთანხმებით საზღვაო გზით გადასატანი საშიში ტვირთების მარკირების შესახებ (IATA)", ამას გარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია რეგულარულად გამოსცემს „ნარინჯისფერ წიგნს", რომელშიც მოცემულია საშიში ტვირთ გაგზავნის პორტში ან სადგურში.

ების ტრანსპორტირების წესები, მოთხოვნები და დებულებები.

სატრანსპორტო მარკირება სრულდება და აღინიშნება ფარდობის სახით, სადაც მრიცხველში მითითებულია ტვირთის რიგითი ნომერი ტვირთების მიღების სარეგისტრაციო ჟურნალის ნომრის მიხედვით. შემდეგ იწერება ტირე და მოცემულ პარტიაში ტვირთის ადგილების რაოდენობა. მნიშვნელში მიეთითება სვლაგეზის პირობითი ნომერი, შემდეგ ტირე და გამგზავნი სადგურის, ან პორტის პირობითი ნომერი. მაგალითად, აღნიშვნაში

$$\frac{1951-22}{05-003}$$

1951 – ტვირთების მიღების აღრიცხვის ჟურნალის რიგითი ნომერია, 22–ადგილების რაოდენობა მოცემულ პარტიაში, 05 - სამარშრუტო გზის პირობითი ნომერი, 003 - გაგზავნის პორტის ან სადგურის პირობითი ნომერი.

მარკირების შესრულებისას გაგზავნის სახეობის, გაგზავნის სიჩქარის, ვაგონის ტიპების მიხედვით გათვალისწინებულ უნდა იქნას ტრანსპორტირების კლასიფიკაცია, რაც სატრანსპორტო ოპერაციის ოპტიმალურ რეჟიმში ჩატარების საშუალებას იძლევა.

სახეობების მიხედვით გადაზიდვა იყოფა: პირდაპირი – ორი ან მეტი გზის არსებობისას, ადგილობრივად – ერთი გზის პირობებში, პირდაპირი შერეული – სხვადასხვა სახის ტრანსპორტით გადაზიდვის ერთი დოკუმენტით, პირდაპირი საერთაშორისო – საერთაშორისო გადაზიდვებისას.

გაგზავნის სახეობების მიხედვით გადაზიდვები იყოფა: სავაგონე – ისეთი რაოდენობის ტვირთის გადასატანად, რომელსაც დამოუკიდებელი ვაგონი სჭირდება, მცირე – ისეთი რაოდენობის ტვირთის გადასატანად, თუ ზედდებულში მითითებულია 10-20 ტონა ტვირთი, რომლის გადასატანად ოთხღერძიანი ვაგონის მოცულობის ნახევარზე მეტი არაა საჭირო, სამარშრუტო – რომელიც ზედდებულის მიხედვით, შეესაბამება სამარშრუტო ნორმას, ჯგუფური – ისეთი რაოდენობის ტვირთის გადასატანად, როდესაც საჭიროა ერთ ვაგონზე მეტი. გადაადგილების სიჩქარის მიხედვით განარჩევენ გადაზიდვებს: დიდი სიჩქარით და სატვირთო სიჩქარით. აუცილებელია აღინიშნოს, რომ გადაზიდვის სიჩქარეს ირჩევს გამგზავნი.

ვაგონის ტიპების მიხედვით გადაზიდვები იყოფა ტვირთის ფასეულობაზე დამოკიდებულებით, მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებიდან და დაცვის პირობებიდან გამომდინარე (დახურული ვაგონი, იზოთერმული ვაგონი, სპეციალური) ღია ტიპის ვაგონები (პლატფორმა, ნახევრად ვაგონი), ცისტერნა.

სატრანსპორტო მარკირების ძირითადი წარწერები უნდა შეიცავდეს:

- ტვირთის მიმღების სრულ დარეგისტრირებულ დასახელებას, მის კოდს სატრანსპორტო კოდიფიკაციით;
- დანიშნულების პუნქტის დასახელებას გადატვირთვის სადგურის ან პორტის ჩვენებით;
- სატვირთო ადგილების რაოდენობას და პარტიის შიგნით სატვირთო ადგილის რიგით ნომერს.
- სატრანსპორტო მარკირების დამატებითი წარწერებში აღნიშნული უნდა იყოს:
- ტვირთის გაგზავნის სრული რეგისტრირებული დასახელება და მის სატრანსპორტო კოდი;
- გამომგზავნის პუნქტის დასახელება სადგურის ან პორტის მითითებით;
- სატრანსპორტო ორგანიზაციის წარწერები, რომელიც სატრანსპორტო ორგანიზაციების მიერაა რეგლამენტირებული.

საინფორმაციო სახის წარწერებში აღნიშნული უნდა იყოს:

- სატვირთო ადგილის მასა, ბრუტო და ნეტო კილოგრამებით, ან ნაკეთობათა რაოდენობა ცალობით;
- სატვირთო ადგილის გაბარიტული ზომები;

მარკირების წარწერები უნდა შესრულდეს მკვეთრად და თვალსაჩინოდ.

ტვირთის საწყლოსნო ტრანსპორტით გადატანის შემთხვევაში, მარკირება უნდა შესრულდეს წყალში უხსნადი საღებავებით.

მანიპულაციის მარკირების ნიშნები ან გამაფრთხილებელი წარწერები მიუთითებენ ტვირთთან მოპყრობის მეთოდებზე და წესებზე. მათ განალაგებენ ყოველ სატვირთო ადგილზე მარცხენა ზედა კუთხეში, შეფუთვის ორ მეზობელ კედელზე - ფრონტალურსა და გვერდითზე.

ტვირთების მარკირებისათვის გამოყენებული მანიპულაციის ნიშნები მოცემულია ცხრილში ნახ.2.7.

№	მანიპულაციის ნიშანი		დანიშნულება
	დასახელება	გამოსახულება	
1.	მყიფეა, ფრთხილად		მყიფე ტვირთი, საჭიროებს ფრთხილ მოპყრობას
2.	დაიცავით გახურებისაგან		ტვირთი საჭიროებს სითბოსაგან დაცვას
3.	დაიცავით ტენისაგან		გამოსხივების ნებისმიერ სახეობას შეუძლია გავლენა მოახდინოს ტვირთის თვისებებზე და შეცვალოს ის
4.	დაიცავით გამოსხივებისაგან		აუცილებელია ტვირთის დაცვა ტენის ზემოქმედებისაგან
5.	ტემპერატურის შეზღუდვა		ტემპერატურის დიაპაზონი, რომელზეც საჭიროა ტვირთის შენახვა ან მასზე მანიპულირება
6.	მალფუჭადი ტვირთი		ტვირთის ტრანსპორტირებისას ან შენახვისას არ შეიძლება იმყოფებოდეს მაღალი ან დაბალი ტემპერატურის ზემოქ-მედების ქვეშ
7.	ჰერმეტიული შეფუთვა		ტრანსპორტირებისას, გადატვირთვისას ან შენახვისას შეფუთვის გახსნა აკრძალულია
8.	კაუჭით ნუ ასწევთ		აკრძალულია კაუჭის გამოყენება ტვირთის აწევის დროს
9.	ჩაბმის ადგილი		ადგილი, სადაც შეიძლება ჩაებას ბაგირი ან ჯაჭვი ტვირთის აწევისას

10.	ამ ადგილის ურიკით აწევა აკრძალულია		ადგილები, სადაც ურიკით აწევა აკრძალულია
11.	ზევით		ტვირთის სწორი ვერტიკალური მდებარეობა
12.	სიმძიმის ცენტრი		ტვირთის სიმძიმის ცენტრი
13.	ტროპიკული შეფუთვა აღნიშვნა: თ – ტროპიკული შეფუთვა, 00-00 – შეფუთვის თვე და წელი		ნიშანი დაიტანება შეფუთვაზე, როდესაც დატვირთვა-ჩამოტ-ვირთვის ოპერაციისას შეფუთვის დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს ტვირთის დაზიანება ტროპიკული კლიმატის ზემოქმედებით
14.	იარუსებად განლაგება აკრძალულია		ტვირთის განლაგება იარუსებად დაუშვებელია
15.	აწევა უშუალოდ ტვირთით		აწევა დასაშვებია უშუალოდ ტვირთის ჩავლებით. (შეფუთვით ტვირთის აწევა აკრძალულია)
16.	გახსნის ადგილი		შეფუთვა გახსენით მხოლოდ ნაჩვენებ ადგილას
17.	დაიცავით სითბოსა და რადიოაქტიური გამოსხივებისა გან		სითბომ და გამჭოლმა რადიაციამ შეიძლება დასწიოს ან გაანადგუროს ტვირთის ფასეულობა
18.	ნუ გადააგორებთ		ტვირთი არ უნდა დაირწეს
19.	იარუსებად დალაგების შეზღუდვა	... kg max	იარუსებად დალაგება შეზღუდულია. შეიძლება ნაჩვენები იყოს შეზღუდვის მასა.
20.	მოჭერის ადგილი		ტვირთთან მოპყრობისას მოჭერის ადგილი

ნახ.2.7. მანიპულაციის ნიშნების დასახელება, გამოსახულება და დანიშნულება

ნიშნები 1 - „მყიფეა, ფრთხილად” და 11 - „ზევით” შეფუთვაზე დაიტანება ზედა მარცხენა კუთხეში ოთხივე გვერდზე. ნიშანი 9 - „ჩაბმის ადგილი“ დაიტანება ტარაზე, ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს. თუ ტვირთი შეფუთული არ არის, მაშინ ნიშანი დაიტანება იარლიყზე ან უშუალოდ ტვირთზე. ნიშანი 12 - „სიმძიმის ცენტრი” დაიტანება ყველა ექვსივე მხარეს, ტვირთის სიმძიმის ცენტრის ფაქტობრივი პროექციის ადგილებში.

სამანიპულაციო ნიშნები, როგორც წესი, შავი ფერისაა, მაგრამ ნიშანი 1 „მყიფეა, ფრთხილად“ დაიშვება წითელი ფერისაც, ნიშანი 6 - „მალფუჭადი ტვირთი“ შესაძლებელია იყოს ცისფერი ღია ფერის ფონზე, ნიშანი 13 - „ტროპიკული შეფუთვა“ წითელი ფერის.

საექსპორტო ტვირთების მარკირება აუცილებელად უნდა შესრულდეს ლათინური შრიფტით, თუ სხვა რამ არ არის მითითებული კონტრაქტში.

ნახ.2.8-ზე ნაჩვენებ ცხრილში მოცემულია ძირითად შვიდ ენაზე, ყველაზე უფრო გავრცელებული მარკირების წარწერები, რომელიც შეიძლება არსებობდეს ტარაზე.

საწყალოსნო ტრანსპორტით ტვირთის გადატანისას, მათი მარკირების გარდა აუცილებელია ვერკვეოდეთ ხომალდის სატვირთო მარკის წაკითხვის წესებში, რომელიც გვიჩვენებს ცურვის სხვადასხვა რაიონში და სხვადასხვა სეზონზე წყალში ზღვრულად დასაშვებ ჩაშვებას. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ტვირთების სიურვერის ექსპერტიზის ჩატარებისას (სიურვერის ექსპერტიზის შესახებ მოგვიანებით გვექნება საუბარი). ხომალდის ჩვეულებრივი სატვირთო მარკა მოცემულია ნახ.2.9.

ყოველი სატვირთო აღნიშვნა (მარკა) შეესაბამება განსაზღვრულ ზღვრულ ვატერხაზს, ე.ი. შესაბამისი აღნიშვნის (მარკის) ზედა წიბოს. ზაფხულის სატვირთო მარკა (Л) შეესაბამება ზაფხულის ძირითად წყალზედა ბორტს, ზამთრის სატვირთო მარკა (З) – წყალზედა ბორტს, რომელიც მიიღება ზაფხულის წყალზედა ბორტის საზაფხულო ჩაშვების 1/48-ით გაზრდით. ჩრდილოატლანტიკის ზამთრის სატვირთო მარკა აღინიშნება 3С და მიიღება

ქართული	რუსული	ინგლისური	გერმანული	ფრანგული	იტალიური	ესპანური
ზევით	Вверх	Top	Oben	Dessus	Sopro	Ariba
ქვევით	Вниз	Bottom	Unter	Bas	Basso	Abajo
ნუ გადააგორებ!	Не кантов ат!	Not to bettippe d!	Kanten!	Nepas cul buter!	Non rivers are!	No rolear!
ფრთხილად!	Осторо жно!	Handle with care!	Vorsicht!	Attentio n	cou preca vscone!	Culdado!
ნეტო	Нетто	Weight net	Gewicht netto	Polds net	Pesso netto	Peso neto
ბრუტო	Брутто	Weight gross	Gewich brutto	Polds brut	Pesso brutto	Peso bruto
გახსნის ადგილი	Откры-вать здесь!	Open here!	Hier offnen!	Ouvrir ici!	Aprice daquestap arta!	Abrese aqui!

ნახ2.8. მარკირების საერთაშორისო წარწერები.

ზამთრის წყალზედა ბორტის 50 მმ. გაზრდით. ტროპიკული სატვირთო მარკა (Т) შეესაბამება ტროპიკულ წყალზედა ბორტს, რომელიც მიიიღება ზაფხულის წყალზედა ბორტის, საზაფხულო ჩაშვების 1/48-ით შემცირების გზით. მტკნარი წყლის სატვირთო მარკა (П) განისაზღვრება ზაფხულის წყალზედა ბორტიდან ხომალდის ჩაშვების სიდიდის ცვლილების გამოკლებით ზღვის წყლებიდან მტკნარ წყლებში გადასვლისას. მტკნარი წყლებისათვის ტროპიკული სატვირთო მარკა აღინიშნება (ТП).



ნახ.2.9. ხომალდის საერთაშორისო სატვირთო მარკა (აღნიშვნა).

საშიში ტვირთების მარკირება ხორციელდება ГОСТ19433-88-ისა და შესაბამისი სახის ტრანსპორტზე საშიში ტვირთების გადატანის წესებით. საშიში ტვირთების საფრთხის გამომხატველი ნიშნების ნიმუშები მოცემულია ნახ.2.10 ნაჩვენებ ცხრილში.

№	აღნიშვნა	საშიშროების ფონის ფერი	საშიშროების სახე აღნიშვნები და წარწერები (ფერი, სიმბოლო, წარწერა)	სიმბოლო საშიშროების ნიშანზე
1		ნარინჯისფერი	შავი ფეთქებადი ჭურვი	ფეთქებადი ჭურვი
2		ნარინჯისფერი	სიმბოლოს გარეშე. დაიტანება ციფრი 1.4 სიმაღლით 30 მმ, სიგანით 5 მმ.	არ დაიტანება
3		ნარინჯისფერი	სიმბოლოს გარეშე დაიტანება ციფრი 1.5 სიმაღლით 30 მმ, სიგანით 5 მმ.	არ დაიტანება

4		მწვანე	არაალებადი გაზი	გაზის ბალონი შავი (თეთრი)
5		წითელი თეთრი	ალებადი გაზი შხამიანი გაზი	შავი (თეთრი) ალი შავი თავის ქალა და გადაჯვარედინებული ძვლები
6		მორიგეობითი თანაბარბიჯიანი ვერტიკალური თეთრი და წითელი ზოლები	ადვილად ალებადი მყარი ნივთიერება	შავი ალი
7		ზედა ნაწილი – თეთრი, ქვედა – წითელი	თვითაალებადი ნივთიერება	შავი ალი
8		ლურჯი	შავი ან თეთრი ფერით დაიტანება წარწერა „სახიფათოა დასველებისას“	შავი (თეთრი) ალი
9		ყვითელი	დამჟანგველი ორგანული პეროქსიდი	შავი ალი შავი წრის თავზე
10		თეთრი	შხამი	თავის ქალა გადაჯვარედინებული ძვალი
11		თეთრი	მავნებელია, შეინახეთ საკვები პროდუქტებისაგან შორს	ხორბლის თავთავი, გადახაზული ორი დახრილი შავი ზოლით
12		თეთრი	ინფექციური ნივთიერება. დაზიანების ან გაჟონვის შემთხვევაში დაუყონებლად შეატყობინეთ სანიტარულ ორგანოებს	სამი ნამგლისებური ნიშანი, წრეხაზზე განლაგებული

13		ზედა ნაწილი თეთრი ქვედა შავი	თეთრი ფერით დაიტანება „ტუტე/კოროზიული ია”	გამოჟონილ წვეთებს შეუძლიათ ამოჭამონ მეტალი და ხელი
14		მორიგეობითი თანაბრ ბიჯიანი შავი და თეთრი ზოლები	არ დაიტანება	სიმბოლო არ დაიტანება
15		თეთრი	დამაგნიტებული მასალა, შეინახეთ საავიაციო გადამწოდებისა და კომპასისაგან მოშორებით	ცისფერი ფერით ზედა მარჯვენა კუთხეში დაიტანება კომპასი, ქვედა მარჯვენაში მაგნიტი, ზედა ნაწილი დაშტრიხულია განივი ცისფერი ზოლებით

ნახ.10. საშიშროების ნიშნების მარკირება

საშიში ნივთიერებებისა და მასალების მარკირება – აღნიშვნათა კომპლექსია, რომელიც შედგება ტექსტისაგან და საშიშროების აღმნიშვნელი სიბოლოსაგან. კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, იგი დაიტანება, უშუალოდ ნაკეთობაზე, შეფუთვაზე (ტარაზე), იარლიყზე ან ეტიკეტზე. საშიში ტვირთების მარკირებას უზრუნველყოფს მომწოდებელი, მიუხედავად იმისა დამამზადებელია იგი, იმპორტიორი თუ სხვა გამავრცელებელი ორგანიზაცია.

საშიში ტვირთების მარკირებაში გადმოცემული უნდა იყოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. ნივთიერების დასახელება, სავაჭრო მარკისა და საყოველთაოდ მიღებული სინონიმების ჩათვლით.
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სერიული ნომერი და ნივთიერების საკლასიფიკაციო ნომერი.
3. მსხვილი შრიფტით გამოყოფილი სასიგნალო სიტყვა **„საშიშია!“** - რისკის მაღალი ხარისხი. **„ფრთხილად!“** - პოტენციური საფრთხე, რისკის საშუალო ხარისხი.
4. ნივთიერების დამახასიათებელი საფრთხის შესაბამის სიმბოლოებს თან უნდა ახლდეს საშიშროების სახის აღწერები და შესრულებული უნდა იყოს შავი ფერით, ნარინჯისფერ ან ყვითელ ფონზე.
5. საფრთხის აღწერა, ადამიანის ორგანიზმში შეღწევის გზები და მისი მოქმედების შესაძლებელი შედეგები (მათ შორის ქრონიკული), როგორც ადამიანის ორგანიზმზე, ასევე გარემოზე.
6. უსაფრთხოების ზომები და დაცვის საშუალებების აღწერა. საჭიროების შემთხვევაში მიუთითებენ ნივთიერებასთან მოპყრობის წესს, გამოყენების ვადის ამოწურვის შემდეგ და მისი უტილიზაციის უსაფრთხო მეთოდებს.
7. პირველი დახმარების ზომების, დაზიანების სიმპტომის, დახმარების აღმოჩენის სისწრაფის, გადაუდებელი დახმარების საშუალებებისა და

მოქმედების, მათ შორის სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვის აუცილებლობის შესახებ.

8. მომწოდებლის მონაცემები: დასახელება, მისამართი, ტელეფონი, ტელეგრაფი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა.
9. პროდუქციის პარტიის აღნიშვნა
10. მარკირებულ კონტეინერში ნივთიერების რაოდენობა.

საფრთხის მოკლე დახასიათებისათვის და რეკომენდაციებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ძირითადი სტანდარტული გამოთქმები და მათი შესაბამისი R-ფრაზები და S-ფრაზები შესაბამისი კოდური მნიშვნელობებით. მაგ. R23 – ტოქსიკურია ჩასუნთქვისას. S23 არ ჩაისუნთქოთ გაზი /ბოლი/ორთქლი/შხეფები (შესაბამის სიტყვას ირჩევს მარკირების დამტანი მხარე).

2.1.3. შტრიხული კოდირება ლოჯისტიკურ სისტემაში

ტვირთნაკადების მოძრაობის მართვა, როგორც ლოჯისტიკური პროცესის შემადგენელი ნაწილი, ითხოვს გარკვეულ ინფორმაციულ უზრუნველყოფას, რომელიც ლოჯისტიკური სერვისის სხვა შემადგენელ ელემენტებთან ერთად აყალიბებს მომსახურების კომპლექსურ სახეს. ნებისმიერი საწარმოსათვის ინფორმაციას პროდუქციის წარმოშობაზე, მახასიათებლებზე, ასორტიმენტზე, აღრიცხვის წესებსა და იდენტიფიკაციაზე, სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია. აღნიშნული საკითხის გადაჭრა უკანასკნელ დრომდე სასაქონლო იარლიყების, ეტიკეტების, სადებების გამოყენებით ხორციელდებოდა. ინფორმაციის ხასიათი, რომელიც მოცემული სასაქონლო მარკირების სახით იყო წარმოდგენილი, ძირითადად სამომხმარებლო ხასიათს ატარებდა და ძნელი იყო თვალი გაგვედევნებინა, მით უმეტეს ოპერატიულად გვემართა სასაქონლო მოძრაობა. ოპერატიული მართვის შესაძლებლობები ასეთ შემთხვევაში შეზღუდულია ადამიანის სუბიექტური შესაძლებლობებით, რომელიც დაკავებული იყო ინვენტარიზაციის, აღრიცხვის, საქონლის მიღებისა და გაცემის ოპერაციებით, ამიტომ საკითხი დადგა შექმნილიყო იდენტიფიკაციის ახალი სისტემა, რომელიც დააკმაყოფილებდა შემდეგ მოთხოვნებს:

– ინფორმაცია კომპიუტერულ სისტემაში მოხვდებოდა მისი წარმოშობის ადგილზე და დროს, რაც საშუალებას მისცემდა საწარმოს პროცესი ემართა დროის რეალურ მაშტაბში;

– სისტემაში ინფორმაციის შეყვანას უნდა გამოერიცხა ხელით აკრეფის პროცესი;

– ინფორმაციის შეყვანა უნდა ყოფილიყო აბსოლუტურად საიმედო;

– ადამიანის მონაწილეობა ამ პროცესში დაყვანილი უნდა ყოფილიყო მინიმუმამდე.

– კოდით გადმოცემულ მონაცემებს მკვეთრად უნდა განესაზღვრათ საიდენტიფიკაციო ობიექტი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს სისტემა, რომელიც დამყარებულია შტრიხული კოდების გამოყენებაზე. კოდი წარმოადგენს სხვადასხვა სიგანის ნათელი და ბნელი შტრიხების თანმიმდევრობას, რომლის საშუალებითაც გადმოცემულია ინფორმაციის გარკვეული მასივი. როგორც შტრიხული კოდირების გამოყენების პრაქტიკა გვიჩვენებს, მისი გამოყენებისას სავაჭრო საწარმოში მკვეთრად მაღლდება შრომის ნაყოფიერება, მცირდება საქონლის გაყიდვისათვის მომზადებაზე დანახარჯები, საწყობში და სავაჭრო დარბაზში უმჯობესდება მათი აღრიცხვა, იხვეწება საბუღალტრო აღრიცხვა, შესაძლებელი ხდება საბითუმო საწყობში ტვირთნაკადების მოძრაობის ტექნოლოგის დაგეგმვა და დროის ნებისმიერ

მომენტში გაირკვევა მათი მდებარეობა სავაჭრო უზრუნველყოფის ნებისმიერ რგოლში, რაც საბოლოო ჯამში სატრანსპორტო უზრუნველყოფის სისტემის ოპტიმიზაციას იწვევს.

შტრიხული კოდირების სისტემის გამოყენება ლოჯისტიკური ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპზე ეკონომიკური ეფექტიანობის მძლავრი ინსტრუმენტია. ასე, მაგალითად, მხოლოდ საცალო სავაჭრო ობიექტებისათვის მისი გამოყენება, სპეციალისტების შეფასებით, ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების 150% გაზრდას, ხოლო საბალანსო მოგება საშუალო სუპერმარკეტისთვის საქონელბრუნვის მთლიანი რაოდენობიდან 1%-ზე მეტად იზრდება.

ეკონომიკური ეფექტის მიღების უზრუნველყოფის გარანტიას საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარება, სასაქონლო მარაგების ოპერატიული მართვა, შიდასასაწყობო ხარჯებისა და საქონლის დანაკარგების შემცირება წარმოადგენს. მოყვანილი დადებითი ხასიათის ტენდეციები, რაც თან ახლავს შტრიხული კოდირების გამოყენებას, არანაკლებ მნიშვნელოვანია საბაჟო სისტემისთვისაც, რადგან იგი ლოჯისტიკური რგოლის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს, როგორც ტვირთნაკადების მართვის რეგულირების საშუალება.

შტრიხული კოდირების თანამედროვე სისტემები დღესდღეობით პირობითად იყოფა ორ ჯგუფად: სასაქონლო და ტექნოლოგიურ შტრიხკოდებად.

სასაქონლო შტრიხული კოდები გამოიყენება პროდუქციის მწარმოებელთა იდენტიფიცირებისთვის.

ტექნოლოგიური შტრიხული კოდები დაიტანება ნებისმიერი სახის პროდუქციაზე, რათა მომხმარებლებელმა (მათ შორის რეალიზატორმაც) მათი გადაადგილებისა და შემდგომი გამოყენების შესახებ ინფორმაცა მიიღოს ობიექტურად და სრულად. ზოგადად ისინი შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც დამოუკიდებლად, ასევე სასაქონლო კოდთან ერთად.

შტრიხული (ხაზოვანი) კოდირება – მონაცემთა ავტომატიზირებული შეგროვების მეთოდია, რომლის დროსაც ინფორმაციის წყარო ხაზოვანი კოდია. იგი წარმოადგენს სხვადასხვა სიგანის ნათელი და ბნელი ზოლების მიმდევრობას, რომელთა სიმაღლე განისაზღვრება სპეციალური ოპტიკური მოწყობილობის, სკანერის ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რათა ადვილად განახორციელოს კოდის აღქმა.

კოდური სიტყვის შტრიხული სიმბოლო, როგორც წესი, შედგება ოთხი ნაწილისაგან.

– ელემენტების კომბინაცია „დასაწყისი", რომელიც აღნიშნავს სიტყვის დასაწყისს და განსაზღვრავს ათვლის მიმართულებას;

– საინფორმაციო ელემენტების სერია ე.ი. ელემენტებისა, რომლითაც წარმოდგენილია მონაცემები;

– ერთი ან რამდენიმე ელემენტის საკონტროლო ნიშნის კომბინაცია, ანათვლის აღების სისწორის ავტომატური შემოწმებისათვის და კოდირებული მონაცემების დეშიფრაციის საიმედოობის განსაზღვრისათვის;

– ელემენტების კომბინაცია „დასასრული", რომელიც სიტყვის დასასრულს აღნიშნავს.

შტრიხული კოდი EAN-13, გათვალისწინებულია სამომხმარებელო დანიშნულების საქონლისათვის, რომლის თითოეული ციფრი (თანრიგი) შედგება ორი შტრიხული მუქი ზოლისაგან და ორი ნათელი ზოლისაგან.

კოდის პირველი ორი-სამი ციფრი, რომელსაც „ალამსაც" უწოდებენ საქონლის წარმოშობის ქვეყანას აღნიშნავს. კოდის მინიჭება საერთაშორისო EAN-ის ასოციაციის პრეროგატივაა, ხოლო ნებისმიერი ქვეყნის შიგნით პროცესს ახორციელებს ამ ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატა. უნდა აღინიშნოს რომ „ალამი" შეიძლება აღნიშნავდეს იმ ქვეყნის კოდს სადაც შვილობილი ფირმაა დარეგისტრირებული, ან მიუთითებდეს პარტნიორ

ქვეყანაზე, თუ წარმოება ერთობლივია, ან ქვეყანას, სადაც მიეწოდება პროდუქციის განსაკუთრებით დიდი რაოდენობა. შესაძლებელია მითითებული იყოს მოცემული ნაკეთობის ძირითადი მაკომპლექტებელი პროდუქტის დამამზადებელი ქვეყნის „ალამი” და ა.შ. ასე, მაგალითად, საქართველოში დამზადებული გამაგრილებელი სასმელის „ფანტას” შტრიხულ კოდში მითითებულია დამამზადებელი ქვეყნის „ალამი” 408, რომელიც EAN-ის ასოციაციის მიერ გერმანიაში წარმოებულ საქონელზეა დამაგრებული. ნახ.2.11 მოცემულია ასოციაციის მიერ მინიჭებული კოდის ალმები სხვადასხვა ქვეყნისათვის.

შემდეგი ოთხი-ხუთი ციფრი მიუთითებს პროდუქციის დამამზადებელ ფირმას, შემდეგი ხუთი ციფრი მიუთითებს საქონლის კოდს (არტიკულის ნომერი).

ქვეყანა	ალამი	ქვეყანა	ალამი	ქვეყანა	ალამი
აშშ	00-09	ლატვია	4605	პერუ	775
საფრანგეთი	30-37	ტაივანი	471	ურუგვაი	773
იაპონია	45,49	ესტონეთი	474	არგენტინა	779
დიდი ბრიტანეთი, ჩრდ. ირლანდია	50	ფილიპინები	480	ჩილე	780
		ჰონგკონგი	489	ეკვადორი	786
ლუქსემბურგი	54	საბერძნეთი	520	ბრაზილია	789
ბელგია		კვიპროსი	529	კუბა	850
დანია	57	მალტა	535	ჩეხეთი და სლოვაკია	859
ფინეთი	64	ირლანდია	539		
ნორვეგია	70	პორტუგალია	560	იუგოსლავია	860
შვედეთი	73	ისლანდია	569	თურქეთი	869
შვეიცარია	76	პოლონეთი	590	სამხრ. კორეა	880
იტალია	80-83	უნგრეთი	599	ტაილანდი	
ესპანეთი	84	სამხრეთ	600-	სინგაპური	885
ჰოლანდია	87	აფრიკა	601	ინდონეზია	888
ავსტრია	90,91	მაროკო	611	მალაიზია	899
ავსტრალია	93	ჩინეთი	690		955
ახალი ზელანდია	94	ისრაელი	729		
ბულგარეთი		გვატემალა			
სლოვენია	380	ჰონდურასი			
ხორვატია	383	ნიკარაგუა	740-	კოდი წიგნებისათვის (ISBN)	978
გერმანია	385		745		
	400-440	პანამა	750		
რუსეთი	460	მექსიკა	759		
საქართველო	486	ვენესუელა	770		
		კოლუმბია			

ნახ.2.11.. EAN კოდის ასოციაციის ალმები

უკანასკნელი ციფრი საკონტროლოა და გამოიყენება წინა 12 ციფრის სწორად ამოკითხვის შესამოწმებლად, რაც შტრიხკოდის საიმედოობის გაზრდას ემსახურება. ნახ.2.12-ზე ნაჩვენებია საერთაშორისო EAN-13 კოდის კოდური სიტყვის სტრუქტურა.

საკონტროლო ციფრის საშუალებით ამოკითხული კოდის შემოწმების ალგორითმი შემდეგი სახისაა:

1. ჯამდება ის რიცხვები, რომლებიც კოდურ სიტყვაში ლუწ პოზიციებზე დგანან.
2. პირველი მოქმედების შედეგი მრავლდება 3-ზე.
3. ჯამდება რიცხვები, რომლებიც კოდურ სიტყვაში კენტ პოზიციებზე დგანან.
4. ჯამდება 2 და 3 პოზიციის შედეგები.

5. განისაზღვრება საკონტროლო რიცხვი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მე-4 მოქმედებით მიღებულ ჯამსა და მასთან უახლოეს 10-ის ჯერად რიცხვს შორის.

მაგალითისათვის განვიხილოთ ლუდი „ყაზბეგი-ს“ შტრიხული კოდი 4863105000025. კოდი „ალამის” 486–ის მიხედვით პროდუქტი ქართული წარმოშობისაა, რომლის საკონტროლო ციფრი 5-ის ტოლია. შტრიხული კოდის სისწორის შესამოწმებლად შევამოწმოთ ალგორითმის მიხედვით მისი საკონტროლო ციფრის მნიშვნელობა

1. 8+3+0+0+0+2=13
2. 13 ხ 3=39
3. 4+6+1+5+0=16
4. 39+16=55
5. 60-55=5

გაანგარიშების შემდეგ ჩვენ მივიღეთ საკონტროლო ციფრი 5 ე.ი. შტრიხული კოდი სწორადაა ამოკითხული და პროდუქცია ქართული წარმოშობისაა.

ნახ.2.12 EAN-13 შტრიხული კოდის სტრუქტურა

მრეწველობაში ყველაზე ხშირად იყენებენ შტრიხულ კოდს 39, რომელიც შეიცავს როგორც ციფრულ, ასევე ალფაბეტურ ინფორმაციას. მისი საშუალებით შესაძლებელია პროდუქტის 42 მახასიათებლის კოდირება. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მას სამრეწველო სტანდარტის სტატუსი გააჩნია. 1981 წლიდან მისი გამოყენება რეკომენდებულია საქონლის განაწილების სფეროში სატრანსპორტო კონტეინერების მარკირებისათვის. ამჟამად, იგი ფართოდ გამოიყენება როგორც საცალო, ასევე საბითუმო ვაჭრობაში.

შტრიხული კოდი - 39 გამიზნულია მანქანური კითხვისათვის და შეიცავს 39 გრაფიკულ ნიშანს. ალფაბეტის ნიშნის თითოეული შტრიხული სიმბოლო შედგება 5 ბნელი და 4 ნათელი ზოლისაგან. ამ 9 ელემენტიდან 3 ფართოა დანარჩენი – ვიწრო, ამიტომ ამ კოდს ხშირად ასედაც უწოდებენ „სამი ცხრიდან”. 5 ბნელი ზოლიდან 2 და 4 ნათელი ზოლიდან 1 განიერია, ხოლო დანარჩენი ზოლები ვიწრო. ასეთი თანაფარდობის საფუძველზე შესაძლებელია შედგეს 40 კომბინაცია 10 ციფრული ნიშნის 0-დან 9-მდე წარმოდგენისათვის, ლათინური ალფაბეტის 26 ასოსათვის ასევე ტირე, წერტილები, ინტერვალები და ვარსკვლავები, რომლებიც კოდური სიტყვის დასაწყისსა და დასასრულს აღნიშნავენ. ოთხი დამატებითი ნიშანი (s, /, +, %) გამოისახება ხუთი ვიწრო ბნელი ზოლით, სამი განიერი ნათელი ზოლით და ერთი ვიწრო ნათელი ზოლით.

კოდი 39 დისკრეტულია, ანუ შტრიხულ სიმბოლოებს შორის ინტერვალებს ინფორმაციული დატვირთვა არ გააჩნიათ, ისინი მხოლოდ გამყოფი ზოლებია.

ინფორმაციული სიმჭიდროვით გამოირჩევა შტრიხული კოდი „ორი ხუთიდან რიგრიგობით", რომელიც გამოიყენება სასაწყობო მეურნეობებში ტვირთნაკადების ავტომატური დახარისხებისა და ფორმირებისათვის.

საკმაოდ ხშირად გამოიყენება კოდი 128, რომელიც საშუალებას გვაძლევს დაინომროს საქონლის პარტიის ნომერი, მისი დამზადების თარიღი, რეალიზაციის ვადა, საგარანტიო პირობები და სხვა.

სამედიცინო მრეწველობაში ფართოდ გამოიყენება კოდი „კოდაბარი" (ჩოდაბარ), რომელსაც მაღალი საიმედოობა გააჩნია და ციფრულ კოდთან ერთად შეიცავს ალფაბეტურ იდენტიფიკაციასაც. მას, როგორც წესი, სისხლის გადასხმის ოპერაციების კოდირების დროს იყენებენ.

სხვადასხვა დანიშნულების მიხედვით ასევე გამოიყენება კოდი 93, 460, 978, 469, ISSN (გაზეთები-სათვის), ISBN (წიგნებისთვის) და სხვა.

საქონლის შეფუთვაზე შტრიხული კოდის დატანის მოთხოვნები საერთაშორისო წესებითაა დადგენილი:

– საქონლის ყოველ შეფუთვაზე დატანილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი ტიპის შტრიხული კოდი;

– ჩვეულებრივ შტრიხული კოდი დაიტანება შეფუთვის ქვედა მარჯვენა კუთხეში;

– შტრიხული კოდის დატანის ადგილი მოცილებული უნდა იყოს შეფუთვის ნაპირებს არანაკლებ 20 მმ-ით;

– შტრიხულ კოდს უნდა ჰქონდეს მკვეთრი საზღვრები;

– სისტემის კოდი დატანილი უნდა იყოს შეფუთვის უკანა მხარეს. თუ შეფუთვის წინა მხარედ ჩავთვლით გვერდს, რომელზეც დატანილია საქონლის დასახელება;

– თუნუქისა და შუშის ქილებზე კოდი დატანილი უნდა იყოს ისე, რომ მისი შტრიხები ქილის ძირის პარალელური იყოს;

– კოდის შტრიხები შეიძლება იყოს შავი, ლურჯი, მუქი მწვანე ან მუქი ყავისფერი. წითელი, ყვითელი და ფერები, რომლებშიც აღნიშნული ფერები დომინირებენ შტრიხების დატანისათვის არ შეიძლება იქნას გამოყენებული;

– შტრიხული კოდის ფონი სასურველია იყოს თეთრი, მაგრამ შესაძლებელია ყვითელი და ღია ყავისფერის გამოყენება.

2.2. საბაჟო ურთიერთობები გადაზიდვის საერთაშორისო პირობებით

სატრანსპორტო ორგანიზაციები ტვირთის გაფორმების დროს ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტით გათვალისწინებული მიწოდების სქემით ხელმძღვანელობს, რომელიც ხელშეკრულების სატრანსპორტო ბაზისს წარმოადგენს. მისი საშუალებით ფიქსირდებაპროდუქციის ტრანსპორტირებისას ხარჯების, პასუხისმგებლობის, ვალდებულებებისა და რისკების განაწილება გამყიდველიდან მყიდველამდე.

ტრანსპორტირების საერთაშორისო კომერციული ტერმინების საშუალებით რეგულირდება მატერიალური დანახარჯების წილი, რომლის სიდიდემ საკონტრაქტო ღირებულების 40-50% შეიძლება შეადგინოს, ამიტომ კონტრაქტის მონაწილე მხარეებს შორის აღნიშნული ხარჯების ცალსახად განსაზღვრისას, განაწილების წესის გამარტივებისა და უნიფიკაციის მიზნით, საერთაშორისო სავაჭრო პალატამ ჯერ კიდევ 1936 წელს მიიღო კომერციული ტერმინებისა და წესების ერთიანი სისტემა (international comercil terms), რომელიც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებისა და პრიორიტეტების ცვლილების

მიხედვით გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა. ასეთი გახლდათ აღნიშნული სისტემის 1953, 1967, 1976, 1980, 1990, 2000 წლების რედაქციები. 2011 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს 2010 წლის რედაქცია „ინკოტერმს 2010".

უკანასკნელი რედაქციით მიღებულ სისტემაში დატოვებულია 11 ტერმინი, მათგან 9 ტერმინი 2000 წლის რედაქციით იქნა მიღებული. "ინკოტერმს 2010" არ შეიცავს ისეთ ტერმინებს როგორიცაა DDU (მიწოდება გადახდის გარეშე), DAF (მიწოდება საზღვრამდე), DEQ (მიწოდება ნავსადგომიდან), DES (მიწოდება გემიდან). ამოღებული ტერმინებისადგილას შემოტანილია ახალი ტერმინები DAT (მიწოდება ტერმინალზე . . . ტერმინალის დასახელება), DAP (მიწოდება პუნქტში . . . პუნქტის დასახელება).

გადაზიდვის საბაზისო პირობების გამოყენებით შასაძლებელია მონაცემთა კომპიუტერული დამუშავება. ტერმინებიმოქმედებათა მკვეთრი თანამიმდევრობის დაცვით გაერთიანებულია ოთხ საბაზისო ჯგუფად, და ადვილად გასაგებია მომხმარებლისათვის. ეს ჯგუფებია E – გაგზავნა, F – ძირითადი ფრახტი გადახდილი არ არის, C – ძირითადი ფრახტი გადახდილია, D _ მიღება.

"ინკოტერმს 2010" მოქმედება ვრცელდება ყიდვა-გაყიდვის იმ სფეროზე, რომელიც საქონლის მიწოდებისას კონტრაქტის მხარეთა უფლებას და მოვალეობას ეხება.

პრაქტიკაში ინკოტერმსის გამოყენებისას მისი მნიშვნელობა ხშირად არასწორადაა გაგებული. ერთ შემთხვევაში იგი ესმით, როგორც გადაზიდვის ხელშეკრულების საერთაშორისო ფორმა, და არა როგორც „ყიდვა-გაყიდვის" კონტრაქტის გადაზიდვის პირობების უნიფიცირებული სისტემა, ხოლო მეორე შემთხვევაში გადაზიდვის პირობების უფლებებისა და ვალდებულებების ყოვლისმომცველი სისტემა, რომელიც მხარეებს უნდოდათ კონტრაქტში ჩაედოთ. რა თქმა უნდა, ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს სხვადასხვა ხელშეკრულებას შორის ურთიერთკავშირი, სადაც აუცილებელია არა მარტო ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის, ასევე გადაზიდვის, დაზღვევის და ფინანსირების ხელშეკრულების გათვალისწინებაც, მაგრამ ინკოტერმსი ამ ხელშეკრულებებიდან ეხება, მხოლოდ ერთ მათგანს კერძოდ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას.

ინკოტერმსი თავიდანვე გათვლილი იყო გამოყენების ისეთ შემთხვევებზე, როდესაც საქონელი კვეთდა ნაციონალურ საზღვრებს, ამიტომაც იგი შეიცავსსაერთაშორისო სავაჭრო ტერმინებს. მაგრამ პრაქტიკაში მისი გამოყენება სულ უფრო და უფრო ხშირად ხდება საქონლის გაყიდვისას შიგასახელმწიფოებრივ ბაზარზე, ასეთ შემთხვევაში საქონლის ექსპორტთან და იმპორტთან დაკავშირებული საკითხები ხელშეკრულებაში ზედმეტი ხდება და მათ არ ითვალისწინებენ.

ტრანსპორტირების საერთაშორისო კონვენცია „ინკოტერმსი"

„ინკოტერმს2010"-ის ზოგადი სტრუქტურა 2000 წლის რედაქციასთან შედარებით არ შეცვლილა, ახალ რედაქციაში შენარჩუნებულია მყიდველსა და გამყიდველს შორის კომერციული ურთიერთობის ოთხი ჯგუფი E, F, C, D, რომელთა მიხედვითაც გადანაწილებულია ვალდებულებათა სახეები კომერციული ტერმინების მიხედვით

I ჯგუფი _ E X W,

II ჯგუფი – FCA, FAS, FOB,

III ჯგუფი _ CFR, CIF, CPT, CIP;

IV ჯგუფი _ DAT, DAP, DDP.

ტერმინების დასახელებები და მათი მოკლე აღწერილობა მოცემულია 2.13 ნახ-ზე მოცემულ ცხრილში.

<u>I ჯგუფი</u> "E" შეიცავს ერთ ტერმინს EXW (EXWorks) – ფრანკოქარხანა (ადგილის დასახელება), რომელიც გამყიდველს მინიმალურ პასუხისმგებლობას აკისრებს. მ ტერმინის მიხედვით გამყიდველი ვალდებულია წარადგინოს მყიდველის განკარგულებაში საქონელი შეთანხმებულ ადგილას – ჩვეულებრივ თავის საკუთარ სათავსში.

<u>II ჯგუფი</u> "F" შეიცავს სამ ტერმინს:

FCA (Free Carrier) – ფრანკო გადამზიდავი (. . . ადგილის დასახელება);

FAS (Free Alongside Ship) – ფრანკო გემის ბორტის გასწვრივ (. . . გამომგზავრების პორტის დასახელება);

FOB (Free On Board) – ფრანკო ბორტი (. . . გამომგზავრების პორტის დასახელება).

ამ ჯგუფის ტერმინები ითვალისწინებს, რომ გამყიდველმა საქონელი გადაზიდვისთვის მყიდველის ინსტრუქციით მიიტანოს.

ტერმინი „ფრანკო გადამზიდავი" (FCA) ნიშნავს, რომ გამყიდველი საბაჟო პროცედურებგავლილ საქონელს, მყიდველის მიერ აღნიშნულ გადამზიდავს, ნაჩვენებ ადგილზე მიუტანს. (საბაჟო პროცედურებგავლილი საქონელი შემდგომში საბაჟოგასუფთავებული საქონლის ტერმინით მოიხსენიება). აღსანიშნავია, რომ მიტანის ადგილის არჩევა განსაზღვრავს მოცემულ ადგილზე საქონლის დატვირთვისა და ჩამოტვირთვის ვალდებულებას. თუ მიწოდება ხორციელდება გამყიდველის სათავსში, მაშინ გამყიდველი პასუხისმგებელია დატვირთვაზე. სხვა ადგილას განხორციელებულ დატვირთვის ოპერაციაზე მას პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

აღნიშნული ტერმინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სახის სატრანსპორტო გადაზიდვებისას, მათ შორის შერეული გადაზიდვების დროსაც.

ტერმინი „გადამზიდავი" გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც გადაზიდვის ხელშეკრულების საფუძველზე იღებს ვალდებულებას გადაზიდოს საქონელი სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო და შიგა წყლის ტრანსპორტით, ან ამ სატრანსპორტო სახეობების კომბინაციით.

ტერმინი „ფრანკო გემის ბორტის გასწვრივ" (FAS) ნიშნავს, რომ გამყიდველმა განახორციელა მოწოდება, როდესაც საქონელი განლაგებულია გემის ბორტის გასწვრივ ნავსადგომზე ან ლიხტერზე (მცურავი სატრანსპორტო საშუალება წყალში მცირედ ჯდომის შესაძლებლობით და პორტის თავთხელ ადგილებში გამოსაყენებლად) დატვირთვის მითითებულ პორტში. ეს ნიშნავს, რომ ამ მომენტიდან საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ხარჯები და რისკები გადადის მყიდველზე. ტერმინ FAS პირობებით ვალდებულება საექსპორტო საქონლის საბაჟო გასუფთავებისათვისგამყიდველს ეკისრება.

აღნიშნული ტერმინის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საზღვაო და შიგა წყლის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისას.

ტერმინი „ფრანკო პორტი" ნიშნავს, რომ გამყიდველმა შეასრულა მოწოდება, მაშინ როდესაც საქონელმადატვირთვის პორტში გემის ბორტის მოაჯირიგადაკვეთა. ეს ნიშნავს, რომ ამ მომენტიდან ყველა ხარჯები და საქონლის დაზიანების ან დაკარგვის რისკი გადადის მყიდველზე. ტერმინ FOB-ის პირობების თანახმად, გამყიდველის ვალდებულებაა საექსპორტო საქონლის საბაჟო გასუფთავება. აღნიშნული ტერმინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საქონლის საზღვაო ან შიგა წყლის ტრანსპორტით გადაზიდვის დროს. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს არ აკმაყოფილებთ საქონლის მიწოდების

განსაზღვრა ბორტის მოაჯირის საშუალებით, მათ შეუძლიათ ტერმინი FCAგამოიყენოს.

EXW	ტრანსპორტის ნებისმიერი სახეობა	EX Works (... named place) ფრანკო ქარხანა (. . . ადგილის დასახელება)
FCA	ტრანსპორტის ნებისმიერი სახეობა	Free Carrier (...named place) ფრანკო გადამზიდავი (. . . ადგილის დასახელება)
FAS	საზღვაო და შიგა წყლის ტრანსპორტი	Free Alongside Ship (... named port of shipment) ფრანკო გემის ბორტის გასწვრივ (. . . ჩატვირთვის პორტის დასახელება)
FOB	საზღვაო და შიგა წყლის ტრანსპორტი	Free On Board (... named port of shipment) ფრანკო გემის ბორტი (. . . ჩატვირთვის პორტის დასახელება)
CFR	საზღვაო და შიგა წყლის ტრანსპორტი	Cost and Freight (... named port of destination) ღირებულება და ფრახტი (. . . დანიშნულების პორტის დასახხელება)
CIF	საზღვაო და შიგა წყლის ტრანსპორტი	Cost, Insurance and Freight (... named port of destination) ღირებულება, დსზღვევა და ფრახტი (. . . დანიშნულების პორტის დასახხელება)
CIP	ტრანსპორტის ნებისმიერი სახეობა	Carriage and Insurance Paid To (... named place of destination) ფრახტი/გადაზიდვა და დაზღვევა გადახდილია (. . . დანიშნულების პორტის დასახელება)
CPT	ტრანსპორტის ნებისმიერი სახეობა	Carriage Paid To (... named place of destination) ფრახტი/გადაზიდვა და დაზღვევა გადახდილია (. . . დანიშნულების პორტის დასახელება)
DAT	ტრანსპორტის ნებისმიერი სახეობა	Delivered At Terminal (... named terminal of destination) მიწოდება ტერმინალზე (. . . ტერმინალის დასახელება)
DAP	ტრანსპორტის ნებისმიერი სახეობა	Delivered At Piont (... named point of destination) მიწოდება პუნქტში (. . . პუნქტის დასახელება)
DDP	ტრანსპორტის ნებისმიერი სახეობა	Delivered Duty Paid (... named place of destination) მიწოდება მოსაკრებლების გადახდით (. . . პუნქტის დასახელება)

ნახ.13. გადაზიდვის პირობები ინკოტერმს 2010-ის მიხედვით

III ჯგუფი შეიცავს ოთხ ტერმინს:

CFR (Cost and Fright) – ღირებულება და ფრახტი (. . . დანიშნულების პორტის დასახელება);

CIF (Cost, Insurance and Fright) – ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი (. . . დანიშნულების პორტის დასახელება);

CPT (Carriage Paid To) – ფრახტი/გადაზიდვა გადახდილია (. . . დანიშნულების ადგილის დასახელება);

CIP (Carriage and Insurance Paid To) – ფრახტი / გადაზიდვა და დაზღვევა გადახდილია (. . . დანიშნულების ადგილის დასახელება).

ტერმინების გამოყენება გამყიდველს ავალდებულებს გააფორმოს გადაზიდვის ხელშეკრულება „ჩვეულებრივ" პირობებზე საკუთარი ხარჯით, ამიტომ პუნქტი, სადამდეც იგი ვალდებულია გადაიხადოს სატრანსპორტო ხარჯები, აუცილებლად ნაჩვენები უნდა იყოს შესაბამისი `C" ტერმინის შემდეგ. CIF და CIP ტერმინების თანახმად გამყიდველი ვალდებულია დააზღვიოს საქონელი და გადაიხადოს დაზღვევის ხარჯები. მიუხედავად იმისა, რომ ხარჯების გადანაწილების ადგილი დაფიქსირებულია დანიშნულების ქვეყანაში. გამყიდველი თავის ყველა ვალდებულებას ასრულებს გამომგზავნ ქვეყანაში ამიტომ ისინი „გამომგზავნის" ხელშეკრულების კატეგორიას განეკუთვნება, რომლის მიხედვითაც საქონლის გადატანის სატრანსპორტო ხარჯების გადახდა, ჩვეულებრივი მარშრუტით და მეთოდით შეთანხმებულ ადგილამდე გამყიდველის ვალდებულებაა. მყიდველი დაზიანების ან დაკარგვის რისკებზე პასუხისმგებლობას ასევე დამატებითი ხარჯების გადახდის ვალდებულებას საქონლის შეთანხმებულ ადგილზე მიღების შემდეგ იღებს. `C" ჯგუფის ტერმინების არსი გამყიდველის ყველა სახის შემდგომი რისკებისა და ხარჯებისაგან გათავისუფლებაა მას შემდეგ, რაც მან სათანადოდ შეასრულა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, გააფორმა ხელშეკრულება გადამზიდავთან საქონლის ტრანსპორტირებაზე, გადასცა მას საქონელი და უზრუნველყო ტვირთის დაზღვევა CIF და CIP ტერმინების მიხედვით. აღნიშნულის დადასტურებაა, გადახდის გავრცელებული ფორმის, დოკუმენტირებული კრედიტის გადახდის წესის გამოყენება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმებისას. გადახდის აღნიშნული წესის გამოყენებისას, როდესაც გამყიდველი კისრულობს საქონლის ღირებულების ანაზღაურებას ბანკში დატვირთვის შეთანხმებული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, გამყიდველი იხსნის ყველა შემდგომ პასუხისმგებლობას საქონელზე. რა თქმა უნდა, გამყიდველი ვალდებულია გადაზიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ხარჯებზე, მიუხედავად იმისა, საქონლის ღირებულება წინასწარ გადახდილია თუ გადახდილი იქნება დანიშნულების ადგილას, ტვირთის მიმღები ფრახტის ღირებულებას იხდის დანიშნულების პორტში. გასათვალისწინებელია, რომ „C" ჯგუფის ტერმინებისათვის ტვირთის მიმღები დანიშნულების პორტში თვითონ „გამყიდველია". მიუხედავად ამისა, დამატებითი ხარჯებისათვის, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას საქონლის დატვირთვისა და გაგზავნის შემდეგ ვალდებულებას კისრულობს მყიდველი.

„გამყიდველის" მიერ გადაზიდვის ხელშეკრულების უზრუნველყოფისას, რომელიც გადასახდელების, გადასახადებისა და სხვა მოსაკრებლების გადახდას გულისხმობს, ხარჯები რა თქმა უნდა გამყიდველის ვალდებულებაა, იმ რაოდენობით რაც მითითებულია ხელშეკრულებაში. აღნიშნული ვრცელდება გადაზიდვის ისეთ ხელშეკრულებაზეც, სადაც გათვალისწინებულია საქონლის გადატვირთვა სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე. ამასთან გადატვირთვის ხარჯების გადახდა „გამყიდველს" ევალება. მაგრამ ისეთ შემთხვევაში, თუ „გადამზიდავმა" გამოიყენა თავისი უფლება, გადაზიდვის ხელშეკრულების

მიხედვით, რომ გვერდი აევლო გაუთვალისწინებელი, ფორს–მაჟორული წინააღმდეგობებისთვის (მაგ. ზღვის გაყინვა, გაფიცვა, სამთავრობო დადგენილება, საომარი მოქმედება), გადამზიდავის მიერ გაწეული ხარჯები ითვლება დამატებით ხარჯებად, რომელზეც გამყიდველის ვალდებულება არ ვრცელდება, ანუ გადაზიდვის ხელშეკრულება გამოდის ტერმინ „ჩვეულებრივის" კატეგორიიდან და ამიტომ ყველა ასეთი ტიპის ხარჯებზე ვალდებულებას თავის თავზე იღებს „მყიდველი".

უმეტეს შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს სურთ მკვეთრად განსაზღვრონ, რა დონემდეა გამყიდველი ვალდებული უზრუნველყოს გადაზიდვის ხელშეკრულება გადმოტვირთვის ხარჯების ჩათვლით. ჩვეულებრივ ასეთი ხარჯები ფრახტის შემადგენლობაში შედის, თუ საქონლის გადატანა ხორციელდება ჩვეულებრივი გემსავალი ხაზის საშუალებით. სწორედ ამიტომ, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ხშირად ითვალისწინებს, რომ საქონლის გადაზიდვა ასეთი ხაზებით განხორციელდეს, ან უკიდურეს შემთხვევაში: „ტვირთების სარეისო ხომალდებით, გადატანის პირობით". სხვა შემთხვევებში CFR და CIF ტერმინების შემდეგ ემატება ფრაზა „გადმორტვირთვის ჩათვლით".

ტერმინები, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის დაზღვევასთან CIF, CIPპირობებთან, „გამყიდველს" აკისრებს საქონლის დაზღვევისვალდებულებას „მყიდველის" სასარგებლოდ. იმის გამო, რომ გაყიდვის CIF პირობების შემთხვევაში მყიდველს უფლება აქვს გაყიდოს საქონელი გზაში სხვა მყიდველზე, ხოლო ამ უკანასკნელმა კიდევ სხვაზე, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს დაზღვევის პირობები ყველა მყიდველისათვის, ამიტომ როგორც წესი ირჩევენ დაზღვევის მინიმალურ პირობებს CIF ტერმინის გამოყენებისას, რაც აუცილებლობის შემთხვევაში, მყიდველს საშუალებას აძლევს გამყიდველისაგან დამატებითი დაზღვევამოითხოვოს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დაზღვევის მინიმალური პირობები (დონე) სამრეწველო საქონლის დაზღვევისათვის გამოუსადეგარია, რადგან მათთვის მაღალია მოპარვის, დატაცების, არასწორი სატრანსპორტო დამუშავების ან საქონლის შენახვის რისკები, ვიდრე ამას დაზღვევის„C" პირობები უზრუნველყოფს. ისევე როგორც სასურველია დაზღვევის უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფა CIP ტერმინით ტრანსპორტირებისას. მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე შესაბამისი კორექტირება შეიტანება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში, რითაც გამყიდველი თავის თავზე იღებს მყიდველის დაკმაყოფილების ვალდებულებას.

ტერმინი CFR – „ღირებულება და ფრახტი" ნიშნავს, რომ გამყიდველმა შეასრულა მიწოდება, როდესაც ტვირთმაჩატვირთვის პორტში გემის მოაჯირიგადაკვეთა.

გამყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ხარჯები და ფრახტი, რომელიც საჭიროა საქონლის დასახელებულ პორტში ჩატანისათვის, ამასთან საქონლის დაკარგვის ან დაზიანების რისკი, ასევე ნებისმიერი დამატებითი ხარჯები, საქონლის გადატვირთვის შემდეგ, გადადის გამყიდველიდან მყიდველზე. გადაზიდვის "C" ჯგუფის პირობებით, მათ შორის CFR პირობის მიხედვით, გამყიდველი ვალდებულია საექსპორტო საქონლის საბაჟო გასუფთავებაზე. ეს ტერმინი გამოიყენება მხოლოდ საზღვაო ან შიგა წყლის ტრანსპორტით გადაზიდვისას. თუ მხარეებს არ აკმაყოფილებთ საქონლის გემის მოაჯირის გადაკვეთის პირობით მიწოდება უნდა გამოიყენონ პირობა CPT.

ტერმინი CIF – „ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი" ისეთი საერთაშორისო კომერციული ტერმინია, რომელიც ნიშნავს, რომ გამყიდველლმა შეასრულა მიწოდება, როდესაც საქონელმა გადალახა გემის მოაჯირი ჩატვირთვის პორტში. გამყიდველი ვალდებულიატრანსპორტირებისათვის

გადაიხადოს ხარჯები და ფრახტი საქონლის ნაჩვენებ პორტში. გასათვალისწინებელია, რომ ტვირთის დაკარგვის ან დაზიანების რისკი, ასევე საქონლის ჩატვირთვის შემდგომი,ნებისმიერი დამატებითი ხარჯები გადადის გამყიდველიდან მყიდველზე.

ამასთან, CIF ტერმინის პირობის მიხედვით გამყიდველს, მყიდველის სასარგებლოდ ეკისრება ვალდებულება ტვირთის ტრანსპორტირებისას საქონლის დაზღვევისათვის საქონლის დაზიანების ან დაკარგვის რისკებზე, შესაბამისად გამყიდველი ვალდებულია გააფორმოს დაზღვევის ხელშეკრულება და გადაიხადოს სადაზღვევო შენატანები, ამასთან მყიდველისათვის გასათვალისწინებელია, რომ გამყიდველს ევალება საქონლის დაზღვევის უზრუნველყოფა მინიმალური გადაფარვით. თუ მყიდველის სურვილია სადაზღვევო ხელშეკრულების უფრო ფართო გადაფარვის უზრუნველყოფა, ამის შესახებ დამატებით უნდა შეუთანხმდეს გამყიდველს, ან თვითონ მიიღოს ზომები დამატებითი დაზღვევის გაფორმებაზე.

გამყიდველი ასევე ვალდებულია, CIF გადაზიდვის `C“ ჯგუფის პირობებიდან გამომდინარე), საექსპორტო საქონლის საბაჟო გასუფთავებაზე.

აღნიშნული ტერმინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქონლის საზღვაო ან შია წყლის ტრანსპორტირებისას. თუ მხარეებს არ აკმაყოფილებთ საქონლის გემის მოაჯირის გადაკვეთის პირობით მიწოდება, უნდა გამოიყენონ პირობაCPT.

ტერმინი CPT „ფრახტი/გადაზიდვა გადახდილია“ ნიშნავს, რომ გამყიდველი მიაწვდის საქონელს მისთვის დასახელებულ გადამზიდავს. ამასთან გამყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საქონლის გადატანის ხარჯები, დანიშნულების დასახლებულ პუნქტამდე, რაც ნიშნავს, რომ მყიდველი თავის თავზე იღებს საქონლის დაკარგვის ან დაზიანების ყველა რისკს, ისევე როგორც საქონლის გადამზიდავისათვის გადაცემის შემდგომ ყველა დანარჩენ ხარჯებს.

დანიშნულების შეთანხმებულ პუნქტში საქონლის რამდენიმე გადამზიდავის საშუალებით ტრანსპორტირებისას, რისკის გადასვლა პირველ გადამზიდავისათვის საქონლის გადაცემის მომენტშიხორციელდება.

CPT პირობების მიხედვით გამყიდველი ვალდებულია ექსპორტის საქონლის საბაჟო გასუფთავებაზე.

აღნიშნული ტერმინი გამოიყენება საქონლის ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებებით ტრანსპორტირებისას.

ტერმინი CIP პირობებით, გამყიდველმა უნდა დააზღვიოს, საქონლის დაკარგვის ან დაზიანების რისკები, გადაზიდვის პროცესში მყიდველის სასარგებლოდ. შესაბამისად, გამყიდველი აფორმებს დაზღვევის ხელშეკრულებას და იხდის სადაზღვევო შენატანებს დაზღვევის მინიმალური გადაფარვის პირობებზე. მყიდველის სურვილის შესაბამისად დასაშვებია დაზღვევის პირობების გაფართოება, გამყიდველთან ან სადაზღვევო კომპანიასთან დამატებითი შეთანხმებით.

საექსპორტო საქონლის, საბაჟო გასუფთავებისას მოქმედებს „C“ ჯგუფის ტერმინებისათვის საერთო პირობა, რომლის ძალითაც იგი გამყიდველის ვალდებულებაა.

ტერმინი CIP შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვისას, მათ შორის შერეული გადაზიდვების შესრულებისას.

<u>IV ჯგუფი</u>“ინკოტერმს 2010” პირობით შეიცავს სამ ტერმინს განსხვავებით წინა რედაქციისაგან როდესაც ამ ჯგუფში ხუთი ტერმინი შედიოდა:

DDP (Delivered Duty Paid) – მიწოდება გადასახდელების გადახდით (... დანიშნულების ადგილის დასახელება);

DAT (Delivered At Terminal) მიწოდება ტერმინალზე (. . . ტერმინალის დასახელება);

DAP (... named point of destination)მიწოდება პუნქტში (. . . პუნქტის დასახელება).

ეს ტერმინები თავისი ბუნებით განსხვავდება "C" ჯგუფის ტერმინებისაგან, რადგან "D" ჯგუფის მიხედვით გამყიდველი პასუხისმგებელია საქონლის დანიშნულების დასახელებულ ადგილზე წარადგენისათვის, საზღვარზე ან იმპორტის ქვეყანაში ჩატანაზე. იგი ვალდებულია ყველა რისკსა და ხარჯზე საქონლის მითითებულ ადგილზე მიწოდებამდე, ანუ შეიძლება ითქვას, რომ „D" - ტერმინები ჩამოტანის ხელშეკრულებას აღნიშნავს, მაშინ როდესაც „C" ტერმინთა ჯგუფი გაგზავნის ხელშეკრულების აღმნიშვნელია. "D"ტერმინის გარდა, გამყიდველი არ არის ვალდებული საქონელი მიაწოდოს იმპორტიორს დანიშნულების ქვეყანაში საბაჟო გასუფთავებით.

მიწოდების "D"ჯგუფის პირობები ინკოტერმს 2010–ის რედაქციით მთლიანად განახლებულია. ის გამოყენება ტვირთის ნებისმიერი სახის ტრანსპორტით მიწოდებისას, მათ შორის გადაზიდვის მულტიმოდალური სახის გამოყენებისას. ამ ჯგუფში წარმოდგენილი გადაზიდვის ტერმინებისათვის გამყიდველისა და მომხმარებლის ვალდებულებები პრაქტიკულად ერთმანეთს ემთხვევა. განსხვავება, მხოლოდ დანიშნულების ადგილის განსაზღვრაშია. მიწოდების DAT პირობის გამოყენებისას მიწოდება ხორციელდება კონკრეტულად შეთანხმებულ სატვირთო ტერმინალამდე, მიწოდების DAP პირობის გამოყენებისას – დანიშნულების პუნქტამდე, ასევე DDP ტერმინის გამოყენებისას მიწოდება ხორციელდება კონკრეტული დანიშნულების პუნქტამდე, მხოლოდ საბაჟო მოსაკრებლებისა და გადასახადების გადახდით.

ტერმინთა "D" ჯგუფის გამოყენებაგულისხმობს, რომსაბაჟო გასუფთავება გავლილი, სატრნსპორტო საშუალებიდან ჩამოუტვირთავი საქონელი გადადის მყიდველის განკარგულებაში. გამყიდველი ვალდებულია გასწიოს ყველა ხარჯი და რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ტრანსპორტირებასთან, მათშორის, სჭიროების შემთხვევაში ყველა სახის იმპორტის მოსაკრებელი დანიშნულების ქვეყანაში. ამ შემთხვევაში ტერმინი "მოსაკრებელი" გულისხმობს საბაჟო გაფორმების ყველა სახის პასუხისმგებლობასა და რისკს, ასევე გადახდებს საბაჟო ფორმალობისთვის, საბაჟო მოსაკრებლებისა და სხვა სახის გადასახადებს.

აღნიშნული ტერმინების გამოყენება არ შეიძლება თუ გამყიდველს პირდაპირ ან ირიბად არ შეუძლია უზრუნველყოს საიმპორტო ლიცენზიის მიღება. თუ მხარეები შეთანხმდნენ ზოგიერთი ხარჯის გამორიცხვაზე გამყიდველის ვალდებულებიდან, მაგალითად დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), მაშინ ყიდვა–გაყიდვის კონტრაქტში ცალსახად უნდა იყოს მითითება აღნიშნულზე.

თუ მხარეებს სურთ, რომ მყიდველმა თავის თავზე აიღოს საქონლის იმპორტთან დაკავშირებული ყველა რისკი და ხარჯი, დასაშვებია გამოყენებული იქნეს ტერმინები ინკოტერმს 2000–ის რედაქციით, ისეთები როგორიცაა DDU, DES ან DEQ.

საქონლის ჩამოტვირთვა–გადატვირთვის პასუხისმგებლობა, რისკი და ხარჯები დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მხარე აკონტროლებს მიწოდების დანიშნულების ადგილს.

აღნიშნული ტერმინი გამყიდველს მაქსიმალურ ვალდებულებებს აკისრებს EXW ტერმინისაგანგანსხვავებით, სადაც გამყიდველის ვალდებულებები მინიმალურია.

მხარეთა შეთანხმებით განხორციელებული ცვლილებები მყიდველისა და გამყიდველის პასუხისმგებლობა და ვალდებულებები ცალსახად უნდა იყოს ასახული ყიდვა-გაყიდვის შესაბამის დანართებში.

„ინკოტერმს 2010”-ის მიხედვით ცალკეული კომერციული ტერმინის საშუალებით, მყიდველსა და გამყიდველს შორის გადანაწილებული ვალდებულებები, ტრანსპორტირების პირობები, ხარჯები და რისკები და სხვა ურთიერთსავალდებულო საკითხები, მოყვანილია ქვემოთ.

სადაც შემოღებულია აღნიშვნა:

A – გამყიდველი ვალდებულია;

B – მყიდველი ვალდებულია.

თითოეულ ტერმინს ათი პუნქტი-ვალდებულება გააჩნია თითოეული მხარისათვის. ყოველი პუნქტის ერთ-ერთი მხარის ქმედებას მოსდევს სარკისებრად ასახული მეორე მხარის, ქმედება. მაგალითად, როდესაც გამყიდველი ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს საქონლის ანგარიშფაქტურა და არავითარ გადახდას არ აწარმოებს, მაშინ მყიდველი ვალდებულია თვითონ მოახდინოს ყველა გადახდა.

„ინკოტერმს 2010”-ის ტერმინები და წინადადებები, შესაბამისად მათი საშუალებით განსაზღვრული პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების პირობები ატარებს ფაკულტატიურ, სარეკომენდაციო ხასიათს და სავალდებულო ხდება შესასრულებლად მხოლოდ მაშინ, როდესაც მათზე გაკეთებულია მითითება ყიდვაგაყიდვის ხელშეკრულებაში.

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობები არ ემთხვევა „ინკოტერმს 2010”-ის წესებსა და ტერმინებს, უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების ტერმინებს.

ტ ე რ მ ი ნ ი EXW– საქონლის წარდგენა ხელშეკრულების მიხედვით და ღირებულების გადახდა

A.1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით წარუდგინოს საქონელი მყიდველს, ასევე კომერციული ანგარიშ-ფაქტურა, ან მისი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება და შესაბამისობის სხვა ნებისმიერი მტკიცებულება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მოთხოვნის მიხედვით.

B.1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით, გადაიხადოს საქონლის ღირებულება.

– ლიცენზიები, მოწმობები და სხვა ფორმალობები

A.2. მყიდველის თხოვნის შესაბამისად მისი რისკითა და მისი ხარჯით აღმოუჩინოს მას დახმარება ნებისმიერი სახის საექსპორტო დოკუმენტაციის მიღებაში.

B.2. შეასრულოს ყველა საბაჟო ფორმალობა საქონლის ექსპორტისათვის.

– გადაზიდვისა და დაზღვევის ხელშეკრულებები

A.3. გადაზიდვისა და დაზღვევის ხელშეკრულებებზე ვალდებულება არ გააჩნია.

B.3. გადაზიდვისა და დაზღვევის ხელშეკრულებებზე ვალდებულება არ გააჩნია

– მიწოდება

A4. შეთანხმებული თარიღისათვის ან შეთანხმებულ ვადაში მიაწოდოს რომელიმე სატრანსპორტო საშუალებაზე დაუტვირთავი საქონელი მყიდველს, მიწოდების შეთანხმებულ ადგილზე.

B4. მიიღოს მოწოდებული საქონელი მაშინვე, როგორც კი საქონელი იქნება მის განკარგულებაშიიქნებაგადაცემული.

– რისკების გადასვლა

A.5. საქონლის დაკარგვისა და დაზიანების ყველა რისკზე მისი მიწოდების მომენტამდე A.3. პუნქტის მიხედვით.

B.5. პასუხს აგებს საქონლის დაკარგვის ან დაზიანების ყველა რისკზე საქონლის მის განკარგულებაში გადმოსვლის მომენტიდან A.4. პუნქტის მიხედვით, იმ პირობით, რომ საქონელი შესაბამისობაშია ხელშეკრულების მოთხოვნებთან.

– ხარჯების განაწილება

A.6. გასწიოს საქონელთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მისი მყიდველისათვის ჩაბარების მომენტამდე A.4. პუნქტის შესაბამისად.

B.6. აიღოს საქონელთან დაკავშირებული ხარჯი თავის თავზე საქონლის მის განკარგულებაში გადმოსვლის მომენტიდან, იმ პირობით, რომ საქონელი შესაბამისობაშია ხელშეკრულების მოთხოვნებთან. ასევე გადაიხადოს ექსპორტთან დაკავშირებული ყველა ბაჟი, გადასახადი, მოსაკრებელი და საბაჟო ფორმალობებთან დაკავშირებული ხარჯები, აუნაზღაუროს გამყიდველს A.2. პუნქტის შესრულებისას გაწეული ხარჯები.

– მხარეთა შეტყობინება

A.7. შეატყობინოს მყიდველს, სათანადო საშუალებებით, საქონლის მის განკარგულებაში გადაცემის ადგილისა და თარიღის შესახებ.

B.7. ხელშეკრულების პირობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ იგი უფლებამოსილია აცნობოს გამყიდველს საქონლის მის განკარგულებაში გადმოცემის ადგილი და ვადები, ამის შესახებ გამყიდველს უნდა გაუგზავნოს შეტყობინება, სათანადო საშუალებებით.

– მიწოდების მტკიცებულება, სატრანსპორტო დოკუმენტები, ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება

A.8. არ გააჩნია ვალდებულება.

B.8. მიაწოდოს გამყიდველს შესაბამისი მტკიცებულება საქონლის მიღებაზე.

– შემოწმება, შეფუთვა, მარკირება

A.9. საქონლის შემოწმებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე (ხარისხის, ზომების, წონის, რაოდენობის შემოწმება), რომელიც აუცილებელია მყიდველის განკარგულებაში გადაცემისათვის, ასევე ვალდებულია შეფუთვისა და მარკირების ხარჯებზე.

B.9. ხარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია ნებისმიერ დატვირთვისწინა დათვალიერებასთან, თუნდაც ეს ექსპორტიორი ქვეყნის ხელისუფლების მოთხოვნა იყოს.

– სხვა ვალდებულებები

A.10. აღმოუჩინოს დახმარება მყიდველს, მისივე თხოვნით, ხარჯითა და რისკით, ნებისმიერი სახის დოკუმენტის ან მისი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინების, ექსპორტის ქვეყანაში მიღებისას, ასევე უზრუნველყოს მყიდველი საქონლის დაზღვევის პირობებზე ყველა საჭირო ინფორმაციით.

B.10. ყველა ხარჯზე, რომელიც დაკავშირებულია დოკუმენტების ან მათი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინების მიღებასთან და დოკუმენტების მიღებისას გამყიდველის ხარჯების ანაზღაურებასთან.

ტ ე რ მ ი ნ ი F C A–საქონლის წარდგენა ხელშეკრულების მიხედვით და ღირებულების გადახდა

A.1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თანახმად, წარუდგინოს მყიდველსსაქონელი, კომერციული ანგარიშფაქტურა, ან მისი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება, ასევე შესაბამისობის სხვა ნებისმიერი მტკიცებულება.

B.1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით გადაიხადოს საქონლის ღირებულება.

– ლიცენზიები, მოწმობები და სხვა ფორმალობები

A.2. მყიდველის თხოვნის შესაბამისად, მისი რისკით და მისი ხარჯით, აღმოუჩინოს დახმარება ნებისმიერი საექსპორტო ლიცენზიის მიღებაში.

B.2. თავისი რისკით და ხარჯით მიიღოს ნებისმიერი საიმპორტო ლიცენზია, ან სხვა ნებისმიერი მოწმობა. შეასრულოს საქონლის იმპორტისათვის, ასევე მესამე ქვეყნის გავლით სატრანზიტო მოძრაობისათვის აუცილებელი ყველა საჭირო საბაჟო ფორმალობა.

– გადაზიდვისა და დაზღვევის ხელშეკრულებები

A.3. ა) გადაზიდვის ხელშეკრულება

გადაზიდვის ხელშეკრულებაზე ვალდებულება არ გააჩნია, მაგრამ მყიდველის თხოვნით ან თუ მყიდველისაგან სხვა მითითება არ არსებობსკომერციული პრაქტიკის საფუძველზე, გამყიდველს უფლება აქვს გააფორმოს გადაზიდვის ხელშეკრულება ჩვეულებრივი პირობებით მყიდველის რისკით და ხარჯით.

ბ) დაზღვევის ხელშეკრულება

დაზღვევის ხელშეკრულებაზე ვალდებულება არ გააჩნია.

B.3. ა) გადაზიდვის ხელშეკრულება

თავისი ხარჯით და რისკით გააფორმოს ხელშეკრულება გადამზიდავთან საქონლის გადაზიდვაზე დასახელებული ადგილიდან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გადაზიდვის ხელშეკრულება გამყიდველის მიერაა გაფორმებული.

– მიწოდება

A.4. მიაწოდოს საქონელი გადამზიდავს ან სხვა პირს, რომელიც მითითებულიამყიდველის მიერ, ან არჩეულიაA.3.ა) პუნქტის მიხედვით გამყიდველის მიერ, დასახელებულ ადგილზე დადგენილ დროს, ან დადგენილ ვადებში.

მიწოდება ითვლება შესრულებულად თუ:

ა) საქონელი ჩატვირთულია გადამზიდავის სატრანსპორტო საშუალებაში, როდესაც დასახელებულიმიწოდების ადგილი მდებარეობს გამყიდველის სათავსში;

ბ) თუ გამყიდველის სატრანსპორტო საშუალებიდან ჩამოუტვირთავი საქონელი წარედგინება, გადამზიდავს ან მიღწეული შეთანხმების მიხედვითსხვა პირს, როდესაცდასახელებული მიწოდების ადგილი მდებარეობს გამყიდველის სათავსის გარეთ:

B.4. მიიღოს გამყიდველის მიერ მოწოდებული საქონელი, როდესაც ის მოწოდებულია A.4. პუნქტის მიხედვით.

– რისკების გადასვლა

A.5. საქონლის დაკარგვისა ან დაზიანების რისკი B.5. პუნქტის მიხედვით აიღოს თავის თავზე საქონლის A.4. პუნქტის მიხედვით მიწოდების მომენტამდე.

B.5. საქონლის A.4. პუნქტის მიხედვით გადაცემის მომენტიდან, მისი დაკარგვის ან დაზიანების რისკებზე, ან მიწოდების შეთანხმებული თარიღის, ან ვადის ამოწურვის შემდეგ, რომელიც განისაზღვრება გადამზიდავის ან სხვა პირის მითითების ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან.

– **ხარჯების განაწილება**

A.6. აიღოს თავის თავზე ყველა ხარჯი, A.4.პუნქტიის მიხედვით მიწოდების მომენტამდე,B.6.პუნქტიის მითითების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში გადაიხადოს ყველა ბაჟი, გადასახადი და სხვა მოსაკრებლები, ასევე ექსპორტისათვის გათვალისწინებული საბაჟო ფორმალობების ხარჯები.

B.6. საქონლის A.4. პუნქტის მიხედვით გადაცემის მომენტიდან თავის თავზე აიღოს საქონელთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, ასევე ყველა დამატებითი ხარჯები, ვალდებულების შეუსრულებლობის, გადამზიდავის ან სხვა პირის მიუთითებლობის, ან ან მის მიერ მითითებული გადამზიდავისა და სხვა პირის მიერ საქონლის თავის განკარგულებაში მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში.

– **მხარეთა შეტყობინება**

A.7. შეატყობინოს მყიდველს, სათანადო საშუალებებით, საქონლისმიწოდების შესახებ A.4. პუნქტის მიხედვით. თუ გადამზიდავს არ შეუძლია საქონლის მიღება შეთანხმებულ ვადაში, გამყიდველი ვალდებულია ამის შესახებ, მყიდველს შეატყობინოს.

B.7. შეატყობინოს გამყიდველს საკმარისი საშუალებებით,A.4. პუნქტის შესაბამისად, გადამზიდავის ან სხვა, პირის დასახელება, სადაც აუცილებელია მითითებული იყოს ტრანსპორტირების ხერხი, ასევე მისთვის საქონლის მიწოდების თარიღი ან ვადა. აუცილებლობის შემთხვევაში საქონლის გადაცემის ახალი პუნქტი და ადგილი.

– **მიწოდების მტკიცებულება, სატრანსპორტო დოკუმენტები, ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება**

A.8. მყიდველს მიწოდების მტკიცებულების სახით, საკუთარი ხარჯით მიაწოდოს ჩვეულებრივი სატრანსპორტო დოკუმენტები A.4. პუნქტის შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ ზემოთ ხსენებული მტკიცებულება სატრანსპორტო დოკუმენტი არაა, გამყიდველი ვალდებულია აღმოუჩინოს მყიდველს, მისი თხოვნით, მისი ხარჯით და რისკით შესაძლო თანადგომა სატრანსპორტო დოკუმენტის მისაღებად (მაგალითად, საბრუნავი კონოსამენტი, საზღვაო ზედდებული, შიგა წყლის ტრანსპორტით გადაზიდვის მტკიცებულება, საჰაერო ზედდებული, რკინიგზის ან საავტომობილო ზედდებული ან შერეული გადაზიდვის ზედდებული). ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ელექტრონული კავშირის საშუალებები და ზემოთ ხსენებული დოკუმენტები შეიძლება შეიცვალოს ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინებით.

B.8. მიიღოს მტკიცებულებები პუნქტ A.8.-ის მიხედვით.

– **შემოწმება, შეფუთვა, მარკირება**

A.9. საქონლის შემოწმებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე (ხარისხის, ზომების, წონის, რაოდენობის შემოწმება), რომელიცA.4. პუნქტის მიხედვითაუცილებელია საქონლის მყიდველის განკარგულებაში გადაცემისთვის, გამყიდველი ასევე იხდის შეფუთვისა და მარკირების ხარჯებს.

B.9. ხარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია ნებისმიერი დატვირთვის წინა დათვალიერებასთან, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც ასეთი დათვალიერება მოთხოვნილია ექსპორტიორი ქვეყნის ხელისუფლების მიერ.

– **სხვა ვალდებულებები**

A.10. აღმოუჩინოს დახმარება მყიდველს, მისი თხოვნით, ხარჯითა და რისკით ნებისმიერი სახის დოკუმენტის, ან მისი ეკვივალენტური ელექტრონული

შეტყობინების მიღებაში (A.8. პუნქტში დასახელებულის გარდა), რომელსაც გასცემს ან გამოიყენებს მიწოდების ქვეყანაში და/ან საქონლის წარმოშობის ქვეყანაში, რომელიც შეიძლება მოსთხოვონ მყიდველს იმპორტის ან მესამე ქვეყნებში ტრანზიტის განხორციელებისას. ასევე უზრუნველყოს მყიდველი საქონლის დაზღვევასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციით.

B.10. ყველა ხარჯებზე და მოსაკრებლებზე, რომელიც დაკავშირებულია დოკუმენტების, ან მათი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინების მიღებასთან და რომელიც გათვალისწინებულია A.10 პუნქტით, ასევე ვალდებულია აუნაზღაუროს გამყიდველს ხარჯები რომელიც ამ უკანასკნელს მყიდველის დახმარებისასმიადგა.

ტ ე რ მ ი ნ ი FAS

– საქონლის წარდგენა ხელშეკრულების მიხედვით და ღირებულების გადახდა

A.1. საქონელი,კომერციული ანგარიშფაქტურა, ან მისი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება ასევე შესაბამისობის სხვა ნებისმიერი მტკიცებულებაწარუდგინოს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თანახმად მყიდველს.

B.1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით გადაიხადოს საქონლის ღირებულება.

– ლიცენზიები, მოწმობები და სხვა ფორმალობები

A.2. საკუთარი ხარჯითა და რისკით მიიღოს ნებისმიერი საექსპორტო ლიცენზია, ან სხვა ოფიციალური მოწმობა, ასევე საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს საქონლის ექსპორტისათვის საჭირო ყველა საბაჟო ფორმალობა.

B.2. საკუთარი ხარჯით და საკუთარი რისკით მიიღოს ნებისმიერი საიმპორტო ლიცენზია და სხვა ოფიციალური მოწმობები, ასევე შეასრულოს საჭიროების შემთხვევაში საქონლის იმპორტისათვის და მისიმესამე ქვეყნის გავლით ტრანზიტული გადაზიდვისათვის ყველა საბაჟო ფორმალობა.

– გადაზიდვისა და დაზღვევის ხელშეკრულებები

A.3. ა) გადაზიდვის ხელშეკრულება

გადაზიდვის ხელშეკრულებაზე ვალდებულება არ გააჩნია.

ბ) დაზღვევის ხელშეკრულება

დაზღვევის ხელშეკრულებაზე ვალდებულება არ გააჩნია.

B.3. ა) გადაზიდვის ხელშეკრულება.

საკუთარი ხარჯით გააფორმოს გადაზიდვის ხელშეკრულება დასახელებული ჩატვირთვის პორტიდან.

ბ) დაზღვევის ხელშეკრულება

დაზღვევის ხელშეკრულებაზე ვალდებულება არ გააჩნია.

– მიწოდება

A.4. მიაწოდოს საქონელი დასახელებული გემის ბორტის გასწვრივ მყიდველის მიერ დასახელებულ დატვირთვის ადგილზე, მყიდველის მიერ დასახელებული ჩატვირთვის პორტში, პორტის ტრადიციების გათვალისწინებით, დადგენილი თარიღისათვის ან შეთანხმებულ ვადაში.

B.4. მიიღოს საქონელი, როდესაც ის განხორციელებულია A.4. პუნქტის მიხედვით.

– რისკების გადასვლა

A.5. გასწიოს საქონლის დაკარგვის ან დაზიანების რისკი A.4. პუნქტის მიხედვით მიწოდების მომენტამდე B.5. პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

B.5. საქონლის დაკარგვის ან დაზიანების რისკებზე, A.4. პუნქტის მიხედვით მიწოდების მომენტიდან. შეთანხმებული თარიღის, ან მიწოდების შეთანხმებული ვადის ამოწურვის შემდეგ.

– ხარჯების განაწილება

A.6. გასწიოს ყველა ხარჯისაქონელთის A.4. პუნქტის შესაბამისად მიწოდების მომენტამდე B.6. პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით საჭიროების შემთხვევაში გადაიხადოს ყველა სახის ბაჟი, გადასახადი და სხვა მოსაკრებელი, რომელიც გათვალისწინებულია საქონლის ექსპორტირებისას.

B.6. გასწიოს ყველა ხარჯი საქონლის A.4. პუნქტის შესაბამისად მიწოდების მომენტიდან და გადაიხადოს დამატებითი ხარჯები საქონლის შეფერხებით მიღების სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარე, ასევე საჭიროების შემთხვევაში გადაიხადოს ყველა სახის ბაჟი, გადასახადი, სხვა მოსაკრებლები და იმპორტით გათვალისწინებული საბაჟო ფორმალობების ხარჯები, მესამე ქვეყნის გავლით ტრანზიტის მომსახურების ხარჯების ჩათვლით.

– მხარეთა შეტყობინება

A.7. შეატყობინოს მყიდველს სათანადო საშუალებებით, რომ საქონელი განლაგებულია მითითებული გემის ბორტის გასწვრივ.

B.7. შეატყობინოს გამყიდველს საშუალებებით, გემის დასახელება, ჩატვირთვის პუნქტის ადგილი და ჩატვირთვის დრო.

– მიწოდების მტკიცებულება, სატრანსპორტო დოკუმენტები, ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება

A.8. მიაწოდოს მყიდველს მიწოდების მტკიცებულების სახით, საკუთარი ხარჯით ჩვეულებრივი სატრანსპორტო დოკუმენტები A.4. პუნქტის შესაბამისად. ამ შემთხვევაში თუ ზემოთ ხსენებული მტკიცებულება სატრანსპორტო დოკუმენტი არაა, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს, მისი თხოვნით, მისი ხარჯით და რისკითაღმოუჩინოს ყველა შესაძლო თანადგომა სატრანსპორტო დოკუმენტების მისაღებად (მაგალითად საბრუნავი კონოსამენტი, საზღვაო ზედდებული, შიგა წყლის ტრანსპორტით გადაზიდვის მტკიცებულება). ურთიერთ-შეთანხმებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას ელექტრონული კავშირის საშუალებები და ზემოთ ხსენებული დოკუმენტები შეიძლება შეიცვალოს ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინებებით.

.8. მიიღოს მტკიცებულებები პუნქტი A.8.-ის მიხედვით.

– შემოწმება, შეფუთვა, მარკირება

A.9. ხარისხის შემოწმებასისას გაწეულ ხარჯებზე (ხარისხის, ზომების, წონის, რაოდენობის), რომელიც აუცილებელია საქონლის მყიდველის განკარ-გულებაში A.4. პუნქტის მიხედვითგადაცემისათვის, ასევე პასუხისმგებელია შეფუთვისა და მარკირების დანახარჯებზე.

B.9. ხარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია ნებისმიერ დატვირთვისწინა დათვალიერებასთან, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც ასეთი დათვალიერება მოთხოვნილია ექსპორტის ქვეყნის ხელისუფლების მიერ.

– სხვა ვალდებულებები

A.10. აღმოუჩინოს დახმარება მყიდველს, მისი თხოვნით, ხარჯითა და რისკით ნებისმიერი სახის დოკუმენტის, ან მისი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინების მიღებაში (A.8. პუნქტში დასახელებულის გარდა), რომელიც გაიცემა ან გამოიყენება მიწოდების ქვეყანაში და/ან საქონლის წარმოშობის

ქვეყანაში, რომელიც შეიძლება მოსთხოვონ მყიდველს იმპორტის ან მესამე ქვეყანაში ტრანზიტის განხორციელებისას. ასევე უზრუნველყოს მყიდველი საქონლის დაზღვევასთან დაკავშირებით, ყველა საჭირო ინფორმაციით.

B.10. ყველა ხარჯზე და მოსაკრებელზე, რომელიც დაკავშირებულია A.10. პუნქტის მიხედვით დოკუმენტების ან მათი ეკვივალენტური შეტყობინების მიღებასთან. ასევე აუნაზღაუროს გამყიდველს ხარჯები, რომელიც მიადგა ამ უკანასკნელს მყიდველის დახმარებისას.

ტ ე რ მ ი ნ ი FOB

– საქონლის წარდგენა ხელშეკრულების მიხედვით და ღირებულების გადახდა

A.1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თანახმად, წარუდგინოს მყიდველსსაქონელი, კომერციული ანგარიშფაქტურა, ან მისი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება, ასევე შესაბამისობის სხვა ნებისმიერი მტკიცებულება.

B.1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით გადაიხადოს საქონლის ღირებულება.

– ლიცენზიები, მოწმობები და სხვა ფორმალობები

A.2. საკუთარი ხარჯითა და რისკით მიიღოს ნებისმიერი საექსპორტო ლიცენზია ან სხვა ოფიციალური მოწმობა, ასევე საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს საქონლის ექსპორტისათვის ყველა საბაჟო ფორმალობა.

B.2. საკუთარი ხარჯითა და რისკით მიიღოს ნებისმიერი საიმპორტო ლიცენზია, ან სხვა ოფიციალური მოწმობა, ასევე საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს საქონლის იმპორტისათვის და მისი მესამე ქვეყნის გავლითტრანზიტული გადაზიდვისათვის ყველა საბაჟო ფორმალობა.

– გადაზიდვისა და დაზღვევის ხელშეკრულებები

A.3. ა) გადაზიდვის ხელშეკრულება

გადაზიდვის ხელშეკრულებაზე ვალდებულება არ გააჩნია.

ბ) დაზღვევის ხელშეკრულება

დაზღვევის ხელშეკრულებაზე ვალდებულება არ გააჩნია.

B.3. ა) გადაზიდვის ხელშეკრულება

საკუთარი ხარჯით გააფორმოს გადაზიდვის ხელშეკრულება დასახელებული ჩატვირთვის პორტიდან.

ბ) დაზღვევის ხელშეკრულება

დაზღვევის ხელშეკრულებაზე ვალდებულება არ გააჩნია.

– მიწოდება

A.4. ჩატვირთოს საქონელი მყიდველის მიერ მითითებულ გემის ბორტზე, შეთანხმებული თარიღისათვის ან მოლაპარაკებულ ვადაშიპორტის ტრადიციების შესაბამისადჩატვირთვის დასახელებულ პორტში..

B.4. მიიღოს საქონელი, როდესაც მოწოდება განხორციელებულია პუნქტი A.4.-ის მიხედვით.

– რისკების გადასვლა

A.5. გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის რისკი B.5. პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებითჩატვირთვის პორტში, საქონლის მიერ გემის ბორტის მოაჯირის გადაკვეთამდე.

B.5. გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის რისკიჩატვირთვის პორტში, საქონლის გემის ბორტის მოაჯირის გადმოკვეთის მომენტიდან, მიწოდების შეთანხმებული თარიღიდან, ან მიწოდების შეთანხმებული ვადის გასვლის შემდეგ.

– **ხარჯების განაწილება**

.6. გასწიოს, საქონელთანდაკავშირებული ყველა ხარჯიB.6. პუნქტის გათვალისწინებით, A.4. პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების პირობის მომენტამდე, გადაიხადოს ფრახტი და A.3.ა) პუნქტიდან გამომდინარე ყველა ხარჯი. მათ შორის: ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის გემის ბორტზე დატვირთვასთან და გადმოტვირთვასთან, გადმორტვირთვის შეთანხმებულ პორტში, ასევე ბაჟი, გადასახადები და სხვა მოსაკრებლები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის მესამე ქვეყნის გავლით ტრანზიტულ გადაზიდვასთან, თუ აღნიშნული გადაზიდვა ხელშეკრულების მიხედვით, გამყიდველის ვალდებულებას წარმოადგენს.

.6. გასწიოს ყველა ხარჯი, რომელიც გათვალისწინებულია A.3.ა) პუნქტის მიხედვით A.4. პუნქტით გათვალისწინებული მოწოდების მომენტიდან. მათ შორის: ტვირთის დანიშნულების პუნქტში ჩასვლამდე საქონლის სატრანზიტო გადაზიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და მოსაკრებლები, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გადაზიდვის ხელშეკრულების მიხედვით ეს გამყიდველის ვალდებულებასწარმოადგენს. გადაიხადოს საქონლის გადმორტვირთვასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის ლიხტერისა და ნავსადგომის მომსახურების მოსაკრებლები, ასევე გასწიოს ყველა დამატებითი ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია B.7. პუნქტის შეუსრულებლობასთან.

– **მხარეთა შეტყობინება**

A.7. შეატყობინოს მყიდველს, სათანადო საშუალებებით, რომ საქონელი მოწოდებულია A.4. პუნქტის შესაბამისად.

B.7.მიწოდების ვადის და/ან დანიშნულების პორტის განსაზღვრის უფლებამოსილების შემთხვევაში შეატყობინოს გამყიდველს შესაბამისი საშუალებებით.

– **მიწოდების მტკიცებულება, სატრანსპორტო დოკუმენტები, ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება**

A.8. დაუყონებლივ მიაწოდოს მყიდველს, საკუთარი ხარჯით, შეთანხმებული პორტისათვის გათვალისწინებული ჩვეულებრივი სატრანსპორტო დოკუმენტაცია. მოცემული დოკუმენტი უნდა ვრცელდებოდეს გაყიდულ საქონელზე, დათარიღებული იყოს გადატვირთვის შეთანხმებულ ვადაში, რომელიც მისცემს საშუალებას მყიდველს, საქონელი გადამზიდავისაგან დანიშნულების პორტშიმიიღოს.

B.8. მიიღოს მიწოდების მტკიცებულება, სატრანსპორტო დოკუმენტები A.8. პუნქტის მიხედვით, თუ ისინი შეესაბამებიან ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის პირობებს.

– **შემოწმება, შეფუთვა, მარკირება**

A.9. ხარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ხარისხის, ზომების, წონის, რაოდენობის შემოწმებასთან, მყიდველისათვის A.4. პუნქტის შესაბამისად გადაცემისას, ასევე გამყიდველი ვალდებულია ხარჯები შეფუთვასა და მარკირებაზე.

B.9. ხარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია დატვირთვისწინა ნებისმიერ დათვალიერებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შემოწმება მოთხოვნილია ექსპორტიორი ქვეყნის ხელისუფლების მიერ.

– **სხვა ვალდებულებები**

A.10. აღმოუჩინოს დახმარება მყიდველს, მისი მოთხოვნით, ხარჯითა და რისკით ნებისმიერი სახის დოკუმენტის, ან მისი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინების მიღებაში (A.8. პუნქტში დასახელებულის გარდა), რომელსაც გასცემს, ან გამოიყენებს მიწოდების ქვეყანაში და/ან საქონლის წარმოშობის

ქვეყანაში და რომელიც შეიძლება მოსთხოვონ მყიდველს იმპორტის ან მესამე ქვეყანაში ტრანზიტის განხორციელებისას, ასევე უზრუნველყოს მყიდველი საქონლის დაზღვევასთან დაკავშირებით ყველა საჭირო ინფორმაციით.

B.10. ყველა ხარჯზე და მოსაკრებელზე, რომელიც დაკავშირებულია A.10 პუნქტის მიხედვით დოკუმენტების, ან მათი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინების მიღებასთან, ასევე უნდა აუნაზღაუროს გამყიდველს ხარჯები, რომელიც ამ უკანასკნელს მყიდველის დახმარებისასმიადგა.

ტ ე რ მ ი ნ ი CIF

– საქონლის წარდგენა ხელშეკრულების მიხედვით და ღირებულების გადახდა

A.1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თანახმად წარუდგინოს მყიდველსსაქონელი, კომერციული ანგარიშფაქტურა, ან მისი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება, ასევე შესაბამისობის სხვა ნებისმიერი მტკიცებულება.

B.1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით გადაიხადოს საქონლის ღირებულება.

– ლიცენზიები, მოწმობები და სხვა ფორმალობები

A.2. საკუთარი ხარჯით და რისკით მიიღოს ნებისმიერი საექსპორტო ლიცენზია, ან სხვა ოფიციალური მოწმობა, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შეასრულოს საქონლის ექსპორტისათვის აუცილებელი ყველა საბაჟო ფორმალობა.

B.2. საკუთარი ხარჯით და რისკით მიიღოს ნებისმიერი საიმპორტო ლიცენზია, ან სხვა ოფიციალური მოწმობა, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შეასრულოს მესამე ქვეყნის გავლით საქონლის იმპორტის და მისი ტრანზიტული გადაზიდვისათვის აუცილებელი ყველა საბაჟო ფორმალობა.

– გადაზიდვისა და დაზღვევის ხელშეკრულებები

A.3. ა) გადაზიდვის ხელშეკრულება

საკუთარი ხარჯით, ჩვეულებრივი პირობებითგააფორმოს, საქონლის გადაზიდვის ხელშეკრულება, დანიშნულების დასახელებულ პორტამდე, ჩვეულებრივი გემთმიმოსვლის მარშრუტით საზღვაო (ან შესაბამის შიგა წყლის ტრანსპორტზე) ხომალდზე, რომელიც ჩვეულებრივ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანალოგიური საქონლის გადატანისათვისგამოიყენება.

ბ) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შეთანხმების მიხედვითდაზღვევის ხელშეკრულება გააფორმოს საკუთარი ხარჯით. ტვირთი დააზღვიოს ისეთი პირობებით, რომ მყიდველს ან სადაზღვევო ინტერესების მქონე სხვა პირს, შეეძლოს უშუალოდ დამზღვევისათვის მიმართვა, ასევე წარუდგინოს მყიდველს სადაზღვევო პოლისი, ან სადაზღვევო დაფარვის სხვა მტკიცებულება. დაზღვევა უნდა განხორციელდეს სატვირთო ტერმინების დამუშავების ინსტიტუტის/Institut Cargo clauses/ (დამზღვევთა ლონდონის გაერთიანება) Institute of London Underwriters/) ან სხვა მსგავსი სახელშეკრულებო პუნქტების მინიმალური სადაზღვევო გადაფარვის შესაბამისად. სადაზღვევო გადაფარვის ხანგრძლივობა უნდა შეესაბამებოდეს B.4 და B.5 პუნქტების მოთხოვნებს. დაზღვევის რაოდენობა უნდა შეადგენდეს ხელშეკრულებაში ნაჩვენებ ღირებულებას დამატებული მინიმუმ 10%–ს. დაზღვევა ხორციელდება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ვალუტაში.

B.3. ა) გადაზიდვის ხელშეკრულება

გადაზიდვის ხელშეკრულებაზე არ გააჩნია.

ბ) დაზღვევის ხელშეკრულება

დაზღვევის ხელშეკრულებაზე არ გააჩნია.

– **მიწოდება**

A.4. საქონელი გემის ბორტზე პორტშიჩატვირთოს დადგენილი თარიღისათვის, ან შეთანხმებული ვადის ფარგლებში.

B.4. მიიღოს A.4. პუნქტის მიხედვით მოწოდებული საქონელი გადამზიდავისაგანდასახელებულ დანიშნულების პორტში.

– **რისკების გადასვლა**

A.5. გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის რისკი B.5. პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით,ჩატვირთვის პორტში საქონლის გემის ბორტის მოაჯირის გადაკვეთამდე.

B.5. გასწიოს საქონლის დაზიანების, ან დაკარგვის რისკიჩატვირთვის პორტში საქონლის გემის ბორტის მოაჯირის გადმოკვეთის მომენტიდან, მიწოდების შეთანხმებული თარიღიდან, ან მიწოდების შეთანხმებული ვადის გასვლის შემდეგ.

– **ხარჯების განაწილება**

A.6. გასწიოს საქონელთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, B.6. პუნქტის გათვალისწინებით A.4. პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების პირობის მომენტამდე, გადაიხადოს ფრახტი და A.3.ა) პუნქტიდან გამომდინარე, ყველა ხარჯი, მათ შორის: საქონლის გემის ბორტზე დატვირთვის, დაზღვევის A.3.ბ) პუნქტის მიხედვით და შეთანხმებულ, დანიშნულების პორტშისაქონლის ჩამოტვირთვის ხარჯები. ასევე ბაჟი, გადასახადები და სხვა მოსაკრებლები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ექსპორტის საბაჟო ფორმალობებთან და მესამე ქვეყნის გავლით ტრანზიტულ გადაზიდვასთან. თუ აღნიშნული გადაზიდვა, ხელშეკრულების მიხედვით, გამყიდველის ვალდებულებას წარმოადგენს.

B.6. გასწიოს ყველა ხარჯი, რომელიც გათვალისწინებულია A.3. a) პუნქტის მიხედვით A.4. პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების მომენტიდან, მათ შორის: საქონლის სატრანზიტო გადაზიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და მოსაკრებლები ტვირთის დანიშნულების პუნქტში ჩასვლამდე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გადაზიდვა ხელშეკრულების მიხედვით, წარმოადგენს გამყიდველის ვალდებულებას. გადაიხადოს საქონლის გადმორტვირთვასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის ლიხტერისა და ნავსადგომის მომსახურების მოსაკრებლები, ასევე გასწიოს ყველა დამატებითი ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია B.7. პუნქტის შეუსრულებლობასთან.

– **მხარეთა შეტყობინება**

A.7. შეატყობინოს მყიდველს, სათანადო საშუალებებით, რომ საქონელი მოწოდებულია A.4. პუნქტის შესაბამისად, ასევე მიაწოდოს მყიდველს სხვა ნებისმიერი შეტყობინება, რომელიც მას ჩვეულებრივ აუცილებელი ზომების განხორციელებისათვის, საქონლის მისაღებადესაჭიროება.

B.7. მიწოდების ვადის და/ან დანიშნულების პორტის განსაზღვრის უფლებამოსილების შემთხვევაში შეატყობინოს გამყიდველს შესაბამისი საშუალებებით.

– **მიწოდების მტკიცებულება, სატრანსპორტო დოკუმენტები, ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება**

A.8. დაუყონებლივ მიაწოდოს მყიდველს, საკუთარი ხარჯით, მიწოდების შეთანხმებული პორტისათვის გათვალისწინებული ჩვეულებრივი სატრანსპორტო დოკუმენტაცია. მოცემული დოკუმენტი უნდა ვრცელდებოდეს გაყიდულ საქონელზე, დათარიღებული იყოს გადატვირთვის შეთანხმებულ ვადაში, რომელიც საშუალებასმისცემს მყიდველს, საქონელი გადამზიდავისაგან დანიშნულების პორტშიმიიღოს.

B.8. მიიღოს მიწოდების მტკიცებულება, სატრანსპორტო დოკუმენტები A.8. პუნქტის მიხედვით, თუ ისინი შეესაბამებიან ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის პირობებს.

– შემოწმება, შეფუთვა, მარკირება

A.9. ხარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ხარისხის, ზომების, წონის, რაოდენობის შემოწმებასთან, მყიდველისათვის A.4. პუნქტის შესაბამისად გადაცემისას.ასევე გამყიდველმა უნდა გაიღოს ხარჯები შეფუთვასა და მარკირებაზე.

B.9. ხარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია დატვირთვისწინა ნებისმიერ დათვალიერებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შემოწმება მოთხოვნილია ექსპორტიორი ქვეყნის ხელისუფლების მიერ.

–სხვა ვალდებულებები

A.10. აღმოუჩინოს დახმარება მყიდველს, მისი მოთხოვნით, ხარჯითა და რისკით ნებისმიერი სახის დოკუმენტის, ან მისი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინების მიღებაში (.8. პუნქტში დასახელებულის გარდა), რომელსაც გასცემს ან გამოიყენებს მიწოდების ქვეყანაში და/ან საქონლის წარმოშობის ქვეყანაში და რომელიც შეიძლება მოსთხოვონ მყიდველს იმპორტის ან მესამე ქვეყანაში ტრანზიტის განხორციელებისას, ასევე უნდა უზრუნველყოს მყიდველი საქონლის დაზღვევასთან დაკავშირებით ყველა საჭირო ინფორმაციით.

B.10. ყველა ხარჯზე და მოსაკრებელზე, რომელიც დაკავშირებულია A.10 პუნქტის მიხედვით დოკუმენტების ან მათი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინების მიღებასთან, ასევე აუნაზღაუროს გამყიდველს ხარჯები, რომელიც ამ უკანასკნელს მყიდველის დახმარებისასმიადგა.

ტ ე რ მ ი ნ ი CPT

– საქონლის წარდგენა ხელშეკრულების მიხედვით და ღირებულების გადახდა

A.1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თანახმად წარუდგინოს მყიდველსსაქონელი, კომერციული ანგარიშფაქტურა, ან მისი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება, ასევე შესაბამისობის სხვა ნებისმიერი მტკიცებულება.

B.1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით გადაიხადოს საქონლის ღირებულება.

– ლიცენზიები, მოწმობები და სხვა ფორმალობები

A.2. საკუთარი ხარჯით და რისკით მიიღოს ნებისმიერი საექსპორტო ლიცენზია, ან სხვა ოფიციალური მოწმობა, საჭიროების შემთხვევაში, შეასრულოს საქონლის ექსპორტისათვის საჭირო ყველა საბაჟო ფორმალობა.

B.2. საკუთარი ხარჯითა და რისკით მიიღოს ნებისმიერი საიმპორტო ლიცენზია, ან სხვა ოფიციალური მოწმობა, საჭიროების შემთხვევაში, შეასრულოს საქონლის იმპორტისათვის და მისი, მესამე ქვეყნის გავლითტრანზიტისათვის ყველა საბაჟო ფორმალობა.

– გადაზიდვისა და დაზღვევის ხელშეკრულებები

A.3. ა) გადაზიდვის ხელშეკრულება

გააფორმოს საკუთარი ხარჯით, ჩვეულებრივი პირობებით, საქონლის გადაზიდვის ხელშეკრულება, დასახელებულ დანიშნულების პუნქტამდე ჩვეულებრივი მარშრუტით და ტრადიციულად მიღებული საშუალებებით, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანალოგიური, საქონლის გადატანისათვის.

ბ) დაზღვევის ხელშეკრულება

ვალდებულება დაზღვევის ხელშეკრულებაზე არ გააჩნია

B.3. ა) გადაზიდვის ხელშეკრულება
ვალდებულება გადაზიდვის ხელშეკრულებაზე არ გააჩნია.
ბ) დაზღვევის ხელშეკრულება
ვალდებულება ხელშეკრულებაზე არ გააჩნია.

– **მიწოდება**

A.4. მიაწოდოს საქონელი გადამზიდავს, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება A.3. ა) პუნქტის მიხედვით, ხოლო თუ გადამზიდავი რამდენიმეა,საქონლი ტრანსპორტირებისათვის მიაწოდოს პირველ მათგანს დასახელებულ ადგილზე, დადგენილი თარიღისათვის, ან შეთანხმებული ვადის ფარგლებში.

B.4. მიიღოს A.4. პუნქტის მიხედვით მოწოდებული საქონელი გადამზიდავისაგან დასახელებულ დანიშნულების ადგილზე.

– **რისკების გადასვლა**

A.5. გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის რისკი B.5. პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, საქონლის A.4. პუნქტის მიხედვით მიწოდებამდე.

B.5. გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის რისკი A.4. პუნქტის მიხედვით მიწოდების მომენტიდან. მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი ვალდებულია B.7. პუნქტის მიხედვით შეატყობინოს ამის შესახებ გამყიდველს და გასწიოს ყველა რისკი და ხარჯი შეთანხმებული თარიღის, ან შეთანხმებული ვადის ამოწურვის მომენტიდან.

– **ხარჯების განაწილება**

A.6. გასწიოს საქონელთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, B.6. პუნქტის მიხედვით, A.4. პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების პირობის მომენტამდე, გადაიხადოს ფრახტი და A.3. a) პუნქტიდან გამომდინარე ყველა ხარჯები, მათ შორის: საქონლის დატვირთვისა და ჩამოტვირთვის, აუცილებლობის შემთხვევაში საქონლის საექსპორტო საბაჟო ფორმალობების ბაჟი, გადასახადი და მოსაკრებლები, ასევე ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია მესამე ქვეყნის გავლით ტრანზიტულ გადაზიდვასთან, თუ აღნიშნული გადაზიდვის ხელშეკრულების მიხედვით გამყიდველის ვალდებულებას არ წარმოადგენს.

B.6. გასწიოს საქონელთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, რომელიც გათვალისწინებულია A.3. ა) პუნქტის მიხედვით A.4. პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების მომენტიდან, მათ შორის: საქონლის სატრანზიტო გადაზიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და მოსაკრებლები ტვირთის დანიშნულების პუნქტში ჩასვლამდე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გადაზიდვის ხელშეკრულების მიხედვით ეს წარმოადგენს გამყიდველის ვალდებულებას. გადაიხადოს საქონლის ჩამოტვირთვის ხარჯები და გასწიოს დამატებითი ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია B.7. პუნქტის შეუსრულებლობასთან, საჭიროების შემთხვევაში გადაიხადოს ყველა ბაჟი, გადასახადი და მოსაკრებელი, ასევე გაიღოს საბაჟო ფორმალობებისათვის ხარჯები, რომელიც გათვალისწინებულია საქონლის იმპორტირებისას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია მესამე ქვეყნის გავლით ტრანზიტულ გადააზიდვასთან, თუ აღნიშნული გადაზიდვის ხელშეკრულების ხარჯებში არ არის ჩართული.

– **მხარეთა შეტყობინება**

A.7. შეატყობინოს მყიდველს, სასთანადო საშუალებებით, რომ საქონელი მოწოდებულია A.4. პუნქტის შესაბამისად, ასევე მიაწოდოს მყიდველს სხვა

ნებისმიერი შეტყობინება, რომელიც მას ჩვეულებრივ ესაჭიროება საქონლის მისაღებად აუცილებელი ზომების განხორციელებისათვის.

B.7. მიწოდების ვადის და/ან დანიშნულების პორტის განსაზღვრის უფლებამოსილების შემთხვევაში შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამისი საშუალებებით.

– მიწოდების მტკიცებულება, სატრანსპორტო დოკუმენტები, ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება

A.8. მიაწოდოს მყიდველს, საკუთარი ხარჯით, ჩვეულებრივი სატრანსპორტო დოკუმენტაცია A.8. პუნქტის მიხედვით, თუ ის შეესაბამება ყიდვაგაყიდვის ხელშეკრულების პირობებს.

B.8. ვალდებულება არ გააჩნია.

– შემოწმება, შეფუთვა, მარკირება

A.9. ხარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ხარისხის, ზომების, წონის, რაოდენობის შემოწმებასთან, მყიდველისათვის A.4. პუნქტის შესაბამისად გადაცემისას, გამყიდველი ასევე ვალდებულია შეფუთვისა და მარკირების ხარჯებზე.

B.9. ხარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია დატვირთვისწინა ნებისმიერ დათვალიერებასთან გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შემოწმება მოთხოვნილია ექსპორტიორი ქვეყნის ხელისუფლების მიერ.

სხვა ვალდებულებები

A.10. აღმოუჩინოს დახმარება მყიდველს, მისი მოთხოვნით, ხარჯითა და რისკით ნებისმიერი სახის დოკუმენტის, ან მისი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინების მიღებაში (A.8. პუნქტში დასახელებულის გარდა), რომელსაც გასცემს, ან გამოიყენებს მიწოდების ქვეყანაში და/ან საქონლის წარმოშობის ქვეყანაში და რომელიც შეიძლება მოსთხოვონ მყიდველს იმპორტის, ან მესამე ქვეყანაში ტრანზიტის განხორციელებისას, ასევე უნდა უზრუნველყოს მყიდველი საქონლის დაზღვევასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციით.

B.10. ყველა ხარჯზე და მოსაკრებლზე, რომელიც დაკავშირებულია A.10 პუნქტის მიხედვით დოკუმენტების, ან მათი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინების მიღებასთან, ასევე აუნაზღაუროს გამყიდველს ხარჯები, რომელიც ამ უკანასკნელს მყიდველის დახმარებისასმიადგა.

ტ ე რ მ ი ნ ი CIP

– საქონლის წარდგენა ხელშეკრულების მიხედვით და ღირებულების გადახდა

A.1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თანახმად, წარუდგინოს მყიდველს საქონელი, კომერციული ანგარიშფაქტურა, ან მისი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება, ასევე შესაბამისობის სხვა ნებისმიერი მტკიცებულება.

B.1. ყიდვა–გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით გადაიხადოს საქონლის ღირებულება.

– ლიცენზიები, მოწმობები და სხვა ფორმალობები

A.2. საკუთარი ხარჯით და რისკით მიიღოს ნებისმიერი საექსპორტო ლიცენზია, ან სხვა ოფიციალური მოწმობა, ასევე საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს საქონლის ექსპორტისათვისსაჭირო ყველა საბაჟო ფორმალობა.

B.2. საკუთარი ხარჯით და რისკით მიიღოს ნებისმიერი საიმპორტო ლიცენზია, ან სხვა ოფიციალური მოწმობა, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შეასრულოს მესამე ქვეყნის გავლით განახორციელოს საქონლის იმპორტისათვის და მისი ტრანზიტისათვის, ყველა საბაჟო ფორმალობა.

– **გადაზიდვისა და დაზღვევის ხელშეკრულებები**

A.3. ა) გადაზიდვის ხელშეკრულება

საკუთარი ხარჯით, ჩვეულებრივი პირობებითგააფორმოს, საქონლის გადაზიდვის ხელშეკრულება, დასახელებულ დანიშნულების პუნქტამდე ჩვეულებრივი მარშრუტით ტრადიციულად მიღებული საშუალებებით. თუ ასეთი პუნქტი შეთანხმებულ არაა, ან არ არის განსაზღვრული ასეთი სახის მიწოდების პრაქტიკით, გამყიდველს შეუძლია შეარჩიოს მისთვის ყველაზე უფრო მისაღები პუნქტი დანიშნულების დასახელებულ ადგილზე.

ბ) დაზღვევის ხელშეკრულება გააფორმოს საკუთარი ხარჯით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შეთანხმების მიხედვით, ტვირთის დაზღვევა ისეთი პირობებით, რომ მყიდველს ან სადაზღვევო ინტერესების მქონე სხვა პირს შეეძლოს უშუალოდ დამზღვევისათვის მიმართვა, ასევე წარუდგინოს მყიდველს სადაზღვევო პოლისი, ან სადაზღვევო დაფარვის სხვა მტკიცებულება. დაზღვევა უნდა განხორციელდეს სატვირთო ტერმინების დამუშავების ინსტიტუტის /Institut Cargo clauses/ (ლონდონის დამზღვევი გაერთიანება)/ Institute of London Underwriters/) ან სხვა მსგავსი სახელშეკრულებო პუნქტების მინიმალური სადაზღვევო გადაფარვის შესაბამისად. სადაზღვევო გადაფარვის ხანგრძლივობა უნდა შეესაბამებოდეს B.4 და B.5 პუნქტების მოთხოვნებს. დაზღვევის რაოდენობა უნდა ფარავდეს ხელშეკრულებაში ნაჩვენებ ღირებულებას დაემატება მინიმუმ 10%. დაზღვევა ხორციელდება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ვალუტაში.

B.3. ა) გადაზიდვის ხელშეკრულება

ვალდებულება ხელშეკრულებაზე არ გააჩნია.

ბ) დაზღვევის ხელშეკრულება

ვალდებულება ხელშეკრულებაზე არ გააჩნია.

– **მიწოდება**

A.4. მიაწოდოს საქონელი გადამზიდავს, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება A.3. ა) პუნქტის მიხედვით, ხოლო თუ გადამზიდავი რამდენიმეა, ტრანსპორტირებისათვის მიაწოდოს პირველ მათგანს საქონლის,დასახელებულ ადგილზე, დადგენილი თარიღისათვის ან შეთანხმებულ ვადებში.

B.4. მიიღოს A.4. პუნქტის მიხედვით მოწოდებული საქონელი გადამზიდავისაგან,დანიშნულების დასახელებულ ადგილზე.

– **რისკების გადასვლა**

A.5. გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის რისკი B.5. პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, საქონლის მიწოდებამდე A.4. პუნქტის მიხედვით.

B.5. გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის რისკი A.4. პუნქტის მიხედვით მიწოდების მომენტიდან. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში B.7. პუნქტის მიხედვით ამის შესახებ გამყიდველს და იკისროს ყველა რისკი და ხარჯი შეთანხმებული თარიღის, ან შეთანხმებული ვადის ამოწურვის მომენტიდან.

– **ხარჯების განაწილება**

A.6. გასწიოს საქონელთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, B.6. პუნქტის მიხედვით, A.4. პუნქტით გათვალის-წინებული მიწოდების პირობის მომენტამდე, გადაიხადოს ფრახტი და A.3. ა) პუნქტიდან გამომდინარე ყველა ხარჯი, მათ შორის: საქონლის დატვირთვის და ჩამოტვირთვის, აუცილებლობის შემთხვევაში საქონლის საექსპორტო საბაჟო ფორმალობების ბაჟი, გადასახადი და მოსაკრებლები, ასევე ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია მესამე ქვეყნის გავლით ტრანზიტულ

გადაზიდვასთან, თუ აღნიშნული გადაზიდვის ხელშეკრულების ხარჯებში არ არის ჩართული.

B.6. გასწიოს A.3. ა) პუნქტით გათვალისწინებული ყველა ხარჯი, მისი A.4. პუნქტის მიხედვით მიწოდების მომენტიდან, მათ შორის: საქონლის დანიშნულების ადგილამდე ტრანზიტთან დაკავშირებული ხარჯები და მოსაკრებლები, მისი ჩატვირთვის ხარჯები, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მათი შესრულება ხელშეკრულების მიხედვით ეკისრება გამყიდველს. ასევე გასწიოს დამატებითი ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ B.7. პუნქტის ვალდებულებების შეუსრულებლობასთან, საქონლის ჩატვირთვის შეთანხმებული თარიღის ან ვადის ამოწურვის მომენტიდან. საჭიროების შემთხვევაში გადაიხადოს ყველა სახის ბაჟი, გადასახადი და მოსაკრებელი, ასევე საბაჟო ფორმალობებთან დაკავშირებული ხარჯები, რომლის გადახდა აუცილებელია საქონლის საიმპორტო გაფორმებისას და მესამე ქვეყნის გავლით სატრანზიტო გადაზიდვისას, თუ თანხა გადაზიდვის ხელშეკრულების ხარჯებში არ არის ჩართული.

– მხარეთა შეტყობინება

A.7. შეატყობინოს მყიდველს, სათანადო საშუალებებით, რომ საქონელი მოწოდებულია A.4. პუნქტის შესაბამისად, ასევე მიაწოდოს მყიდველს სხვა ნებისმიერი შეტყობინება, რომელიც ესაჭიროება მას საქონლის მისაღებად ჩვეულებრივ აუცილებელი ზომების განხორციელებისათვის.

B.7. მიწოდების ვადის და/ან დანიშნულების პორტის განსაზღვრის უფლებამოსილების შემთხვევაში, შეატყობინოს გამყიდველს შესაბამისი საშუალებებით.

– მიწოდების მტკიცებულება, სატრანსპორტო დოკუმენტები, ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება

A.8. მყიდველს, საკუთარი ხარჯით,მიაწოდოს ჩვეულებრივი სატრანსპორტო დოკუმენტაცია A.3. პუნქტის შესაბამისად ან შეთანხმების მიხედვით მათი შესაბამისი ელექტრონული შეტყობინებები.

B.8. მიიღოს მიწოდების მტკიცებულება, სატრანსპორტო დოკუმენტები A.8. პუნქტის მიხედვით, თუ ისინი შეესაბამებიან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების პირობებს.

– შემოწმება, შეფუთვა, მარკირება

A.9. ხარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ხარისხის, ზომების, წონის, რაოდენობის შემოწმებასთან, მყიდველისათვის A.4. პუნქტის შესაბამისად გადაცემისას, ასევე გამყიდველი ვალდებულია ხარჯებისათვის შეფუთვასა და მარკირებაზე.

B.9. ხარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია დატვირთვისწინა ნებისმიერ დათვალიერებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შემოწმება მოთხოვნილია ექსპორტის ქვეყნის ხელისუფლების მიერ.

–სხვა ვალდებულებები

A.10. აღმოუჩინოს დახმარება მყიდველს, მისი მოთხოვნით, ხარჯითა და რისკით ნებისმიერი სახის დოკუმენტის, ან მისი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინების მიღებაში (A.8. პუნქტში დასახელებულის გარდა), რომელსაც გასცემს ან გამოიყენებს გაგზავნის ქვეყანაში და/ან საქონლის წარმოშობის ქვეყანაში და, რომელიც შეიძლება მოსთხოვონ მყიდველს იმპორტის, ან მესამე ქვეყანაში ტრანზიტის განხორციელებისას, ასევე უზრუნველყოს მყიდველი საქონლის დაზღვევასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციით.

B.10. ყველა ხარჯზე და მოსაკრებელზე, რომელიც დაკავშირებულია A.10 პუნქტის მიხედვით დოკუმენტების ან მათი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინების მიღებასთან, ასევე უნდა აუნაზღაუროს გამყიდველს ხარჯები, რომელიც ამ უკანასკნელს მყიდველის დახმარებისასმიადგა.

ტ ე რ მ ი ნ ი DDP

– საქონლის წარდგენა ხელშეკრულების მიხედვით და ღირებულების გადახდა

A.1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თანახმად წარუდგინოს მყიდველს საქონელი, კომერციული ანგარიშფაქტურა ან მისი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება, ასევე შესაბამისობის სხვა ნებისმიერი მტკიცებულება.

B.1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით გადაიხადოს საქონლის ღირებულება.

– ლიცენზიები, მოწმობები და სხვა ფორმალობები

A.2. საკუთარი ხარჯითა და რისკით მიიღოს ნებისმიერი საექსპორტო და საიმპორტო ლიცენზია, სხვა ოფიციალური მოწმობა ან სხვა დოკუმენტები, ასევე საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს საქონლის ექსპორტ-იმპორტისათვის და მესამე ქვეყნის გავლით სატრანზიტო გადაზიდვებისათვის ყველა საჭირო საბაჟო ფორმალობა.

B.2. საჭიროების შემთხვევაში, გამყიდველის თხოვნით მისი რისკითა და ხარჯით აღმოუჩინოს დახმარება საქონლის იმპორტისათვის საჭირო ნებისმიერი საიმპორტო ლიცენზიის ან სხვა ოფიციალური მოწმობის მიღებაში.

– გადაზიდვისა და დაზღვევის ხელშეკრულება

A.3. ა) გადაზიდვის ხელშეკრულება

საკუთარი ხარჯითგააფორმოს გადაზიდვის ხელშეკრულება დანიშნულების დასახელებულ ადგილამდე. თუ სპეციალური პუნქტიმიწოდების მსგავსი პრაქტიკით შეთანხმებული, ან განსაზღვრული არ არის გამყიდველს შეუძლია შეირჩიოს მისთვის ყველაზე ხელსაყრელი პუნქტი დანიშნულების დასახელებულ ადგილზე.

ბ) დაზღვევის ხელშეკრულება

ვალდებულება ხელშეკრულებაზე არ გააჩნია.

B.3. ა) გადაზიდვის ხელშეკრულება

ვალდებულება ხელშეკრულებაზე არ გააჩნია.

ბ) დაზღვევის ხელშეკრულება

ვალდებულება ხელშეკრულებაზე არ გააჩნია.

– მიწოდება

A.4. წაადგინოს საქონელი მყიდველის ან მის მიერ მითითებული სხვა პირის განკარგულებაში დანიშნულების დასახელებულ ადგილზე, ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებიდან ჩამოუტვირთავად, შეთანხმებული თარიღისათვის, ან მიწოდების შეთანხმებული ვადის განმავლობაში.

B.4. მიიღოს A.4. პუნქტის მიხედვით მოწოდებული საქონელი დაუყოვნებლივ.

– რისკების გადასვლა

A.5. მიაწოდოს საქონელი B.5. პუნქტის მოთხოვნებით. A.4. პუნქტის მიხედვით გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი მიწოდების მომენტამდე.

B.5. გასწიოს საქონლის დაზიანების, ან დაკარგვის რისკი A.4. პუნქტის მიხედვით, მიწოდების მომენტიდან. მის მიერ B.7. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია ამის შესახებ გამყიდველს შეატყობინოს და გასწიოს ყველა რისკი და ხარჯი შეთანხმებული თარიღის, ან ვადის

ამოწურვის მომენტიდან. იგიასევე ვალდებულია გასწიოს დაკარგვისა და დაზიანების დამატებითი რისკი, რომელიც მიადგა საქონელს მის მიერ B.2. პუნქტის მოთხოვნის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

– **ხარჯების განაწილება**

A.6. გასწიოს საქონელთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, B.6. პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, A.3. ა) პუნქტის ხარჯების დამატებით. საქონლის A.4. პუნქტის მიხედვით მიწოდების მომენტამდე. საჭიროების შემთხვევაში, გადაიხადოს საბაჟო ფორმალობებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, ასევე სხვა სახის ბაჟი, გადასახადი და მოსაკრებლები, რომლებიც ექვემდებარება გადახდას საქონლის ექსპორტირებისას და მისი მესამე ქვეყნის გავლით ტრანზიტული გადაადგილებისას A.4. პუნქტის შესაბამისად, მიწოდების მომენტამდე.

B.6. გასწიოს საქონელთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, A.3.ა). პუნქტის მოთხოვნების მიხედვით იმ მომენტიდან, როდესაც ის მოწოდებულია A.4. პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, გასწიოს დამატებითი ხარჯები B.2. პუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლობისას, ან გაუგზავნოს შეტყობინება გამყიდველს B.7. პუნქტის თანახმად.

– **მხარეთა შეტყობინება**

A.7. შეატყობინოს მყიდველს, სათანადო საშუალებებით, საქონლის გამოგზავნის შესახებ, ასევე გაუგზავნოს სხვა შეტყობინებები, რომელიც ესაჭიროება მას ჩვეულებრივსაქონლის მისაღებად, აუცილებელი ზომების განხორციელებისათვის.

B.7. შეთანხმებულ ვადაში, მიწოდების დროის და/ან დასახელებულ დანიშნულების ადგილზე მიწოდების პუნქტის განსაზღვრის უფლებამოსილების შემთხვევაში, შეატყობინოს ამის შესახებ გამყიდველს შესაბამისი საშუალებებით.

– **მიწოდების მტკიცებულება, სატრანსპორტო დოკუმენტები, ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება**

A.8. მიაწოდოს მყიდველს, საკუთარი ხარჯით დელივერი-ორდერიდა/ან ჩვეულებრივი სატრანსპორტო დოკუმენტი, რომელიც შეიძლება მოსთხოვონ მყიდველს A.4./B.4. პუნქტების მიხედვით მოწოდებული საქონლის მისაღებად. ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში შესაძლე-ბელია აღნიშნული დოკუმენტები შეიცვალოს შესაბამისი ელექტრონული შეტყობინებით.

B.8. მიიღოს დელივერი-ორდერი, ანსატრანსპორტო დოკუმენტი A.8. პუნქტის შესაბამისად.

– **შემოწმება, შეფუთვა, მარკირება**

A.9. ხარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ხარისხის, ზომების, წონის, რაოდენობის შემოწმებასთან, მყიდველისათვის A.4. პუნქტის მიხედვით გადაცემისას, ასევე გამყიდველი პასუხისმგებელია შეფუთვისა და მარკირების ხარჯებზე.

B.9. ხარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია დატვირთვისწინა ნებისმიერ დათვალიერებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შემოწმება მოთხოვნილია ექსპორტიორი ქვეყნის ხელისუფლების მიერ.

– **სხვა ვალდებულებები**

A.10. გასწიოს ყველა ხარჯი და გადაიხადოს ყველა მოსაკრებელი, რომელიც დაკავშირებულია B.10. პუნქტის მიხედვით ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინების მიღებასთან, ასევე აანაზღაუროს მყიდველის ყველა ხარჯი, რომელიც მას გამყიდველისათვის დახმარების აღმოჩენისასმიადგა.

გამყიდველი ვალდებულია მყიდველს საქონლის დაზღვევაზემიაწოდოსმთლიანი ინფორმაცია.

B.10. გამყიდველის თხოვნით მისი ხარჯითა და რისკით აღმოუჩინოს დახმარება ნებისმიერი დოკუმენტის, ან ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინების მიღებაში, რომელიც გაიცემა ან გადაეცემა იმპორტის ქვეყანაში და რომელიც შეიძლება დასჭირდეს გამყიდველს, საქონლის შესაბამისი სახით მყიდველის განკარგულებაში წარდგენისათვის.

ტ ე რ მ ი ნ ი DAT

– საქონლის წარდგენა ხელშეკრულების მიხედვით და ღირებულების გადახდა

A.1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თანახმად წარუდგინოს მყიდველს საქონელი, კომერციული ანგარიშფაქტურა ან მისი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება, ასევე შესაბამისობის სხვა ნებისმიერი მტკიცებულება.

B.1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით გადაიხადოს საქონლის ღირებულება.

– ლიცენზიები, მოწმობები და სხვა ფორმალობები

A.2. საკუთარი ხარჯითა და რისკით მიიღოს ნებისმიერი საექსპორტო და საიმპორტო ლიცენზია, სხვა ოფიციალური მოწმობა ან სხვა დოკუმენტები, ასევე საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს საქონლის ექსპორტ-იმპორტისათვის და მესამე ქვეყნის გავლით სატრანზიტო გადაზიდვებისათვის ყველა საჭირო საბაჟო ფორმალობა.

B.2. საჭიროების შემთხვევაში, გამყიდველის თხოვნით მისი რისკითა და ხარჯით აღმოუჩინოს დახმარება საქონლის იმპორტისათვის საჭირო ნებისმიერი საიმპორტო ლიცენზიის ან სხვა ოფიციალური მოწმობის მიღებაში.

– გადაზიდვისა და დაზღვევის ხელშეკრულება

A.3. ა) გადაზიდვის ხელშეკრულება

საკუთარი ხარჯითგააფორმოს გადაზიდვის ხელშეკრულება დანიშნულების დასახელებულ ადგილამდე. თუ სპეციალური პუნქტიმიწოდების მსგავსი პრაქტიკით შეთანხმებული, ან განსაზღვრული არ არის გამყიდველს შეუძლია შეირჩიოს მისთვის ყველაზე ხელსაყრელი პუნქტი დანიშნულების დასახელებულ ადგილზე.

ბ) დაზღვევის ხელშეკრულება

ვალდებულება ხელშეკრულებაზე არ გააჩნია.

B.3. ა) გადაზიდვის ხელშეკრულება

ვალდებულება ხელშეკრულებაზე არ გააჩნია.

ბ) დაზღვევის ხელშეკრულება

ვალდებულება ხელშეკრულებაზე არ გააჩნია.

– მიწოდება

A.4. წაადგინოს საქონელი მყიდველის ან მის მიერ მითითებული სხვა პირის განკარგულებაში დანიშნულების დასახელებულ ადგილზე – ტერმინალზე, ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებიდან ჩამოუტვირთავად, შეთანხმებული თარ-იღისათვის, ან მიწოდების შეთანხმებული ვადის განმავლობაში.

B.4. მიიღოს A.4. პუნქტის მიხედვით მოწოდებული საქონელი დაუყოვნებლივ.

– რისკების გადასვლა

A.5. მიაწოდოს საქონელი B.5. პუნქტის მოთხოვნებით. A.4. პუნქტის მიხედვით გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი მიწოდების მომენტამდე.

B.5. გასწიოს საქონლის დაზიანების, ან დაკარგვის რისკი A.4. პუნქტის მიხედვით, მიწოდების მომენტიდან. მის მიერ B.7. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია ამის შესახებ გამყიდველს შეატყობინოს და გასწიოს ყველა რისკი და ხარჯი შეთანხმებული თარიღის, ან ვადის ამოწურვის მომენტიდან. იგიასევე ვალდებულია გასწიოს დაკარგვისა და დაზიანების დამატებითი რისკი, რომელიც მიადგა საქონელს მის მიერ B.2. პუნქტის მოთხოვნის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

– ხარჯების განაწილება

A.6. გასწიოს საქონელთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, B.6. პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, A.3. ა) პუნქტის ხარჯების დამატებით. საქონლის A.4. პუნქტის მიხედვით მიწოდების მომენტამდე. საჭიროების შემთხვევაში, გადაიხადოს საბაჟო ფორმალობებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, ასევე სხვა სახის ბაჟი, გადასახადი და მოსაკრებლები, რომლებიც ექვემდებარება გადახდას საქონლის ექსპორტირებისას და მისი მესამე ქვეყნის გავლით ტრანზიტული გადაადგილებისას A.4. პუნქტის შესაბამისად, მიწოდების მომენტამდე.

B.6. გასწიოს საქონელთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, A.3.ა). პუნქტის მოთხოვნების მიხედვით იმ მომენტიდან, როდესაც ის მოწოდებულია A.4. პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, გასწიოს დამატებითი ხარჯები B.2. პუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლობისას, ან გაუგზავნოს შეტყობინება გამყიდველს B.7. პუნქტის თანახმად.

– მხარეთა შეტყობინება

A.7. შეატყობინოს მყიდველს, სათანადო საშუალებებით, საქონლის გამოგზავნის შესახებ, ასევე გაუგზავნოს სხვა შეტყობინებები, რომელიც ესაჭიროება მას ჩვეულებრივსაქონლის მისაღებად, აუცილებელი ზომების განხორციელებისათვის.

B.7. შეთანხმებულ ვადაში, მიწოდების დროის და/ან დასახელებულ დანიშნულების ადგილზე მიწოდების ტერმინალის განსაზღვრის უფლებამოსილების შემთხვევაში, შეატყობინოს ამის შესახებ გამყიდველს შესაბამისი საშუალებებით.

– მიწოდების მტკიცებულება, სატრანსპორტო დოკუმენტები, ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება

A.8. მიაწოდოს მყიდველს, საკუთარი ხარჯით დელივერი-ორდერი (მიწოდების–ორდერი)და/ან ჩვეულებრივი სატრანსპორტო დოკუმენტი, რომელიც შეიძლება მოსთხოვონ მყიდველს A.4./B.4. პუნქტების მიხედვით მოწოდებული საქონლის მისაღებად. ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული დოკუმენტები შეიცვალოს შესაბამისი ელექტრონული შეტყობინებით.

B.8. მიიღოს დელივერი-ორდერი, ანსატრანსპორტო დოკუმენტი A.8. პუნქტის შესაბამისად.

– შემოწმება, შეფუთვა, მარკირება

A.9. ხარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ხარისხის, ზომების, წონის, რაოდენობის შემოწმებასთან, მყიდველისათვის A.4. პუნქტის მიხედვით გადაცემისას, ასევე გამყიდველი პასუხისმგებელია შეფუთვისა და მარკირების ხარჯებზე.

B.9. ხარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია დატვირთვისწინა ნებისმიერ დათვალიერებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შემოწმება მოთხოვნილია ექსპორტიორი ქვეყნის ხელისუფლების მიერ.

– სხვა ვალდებულებები

A.10. გასწიოს ყველა ხარჯი და გადაიხადოს ყველა მოსაკრებელი, რომელიც დაკავშირებულია B.10. პუნქტის მიხედვით ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინების მიღებასთან, ასევე აანაზღაუროს მყიდველის ყველა ხარჯი, რომელიც მას გამყიდველისათვის დახმარების აღმოჩენისასმიადგა. გამყიდველი ვალდებულია მყიდველს საქონლის დაზღვევაზემიაწოდოსმთლიანი ინფორმაცია.

B.10. გამყიდველის თხოვნით მისი ხარჯითა და რისკით აღმოუჩინოს დახმარება ნებისმიერი დოკუმენტის, ან ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინების მიღებაში, რომელიც გაიცემა ან გადაეცემა იმპორტის ქვეყანაში და რომელიც შეიძლება დასჭირდეს გამყიდველს, საქონლის შესაბამისი სახით მყიდველის განკარგულებაში წარდგენისათვის.

ტ ე რ მ ი ნ ი DAP

– საქონლის წარდგენა ხელშეკრულების მიხედვით და ღირებულების გადახდა

A.1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თანახმად წარუდგინოს მყიდველს საქონელი, კომერციული ანგარიშფაქტურა ან მისი ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება, ასევე შესაბამისობის სხვა ნებისმიერი მტკიცებულება.

B.1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით გადაიხადოს საქონლის ღირებულება.

– ლიცენზიები, მოწმობები და სხვა ფორმალობები

A.2. საკუთარი ხარჯითა და რისკით მიიღოს ნებისმიერი საექსპორტო და საიმპორტო ლიცენზია, სხვა ოფიციალური მოწმობა ან სხვა დოკუმენტები, ასევე საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს საქონლის ექსპორტ-იმპორტისათვის და მესამე ქვეყნის გავლით სატრანზიტო გადაზიდვებისათვის ყველა საჭირო საბაჟო ფორმალობა.

B.2. საჭიროების შემთხვევაში, გამყიდველის თხოვნით მისი რისკითა და ხარჯით აღმოუჩინოს დახმარება საქონლის იმპორტისათვის საჭირო ნებისმიერი საიმპორტო ლიცენზიის ან სხვა ოფიციალური მოწმობის მიღებაში.

– გადაზიდვისა და დაზღვევის ხელშეკრულება

A.3. ა) გადაზიდვის ხელშეკრულება

საკუთარი ხარჯითგააფორმოს გადაზიდვის ხელშეკრულება დანიშნულების დასახელებულ ადგილამდე. თუ სპეციალური პუნქტიმიწოდების მსგავსი პრაქტიკით შეთანხმებული, ან განსაზღვრული არ არის გამყიდველს შეუძლია შეირჩიოს მისთვის ყველაზე ხელსაყრელი პუნქტი დანიშნულების დასახელებულ ადგილზე.

ბ) დაზღვევის ხელშეკრულება

ვალდებულება ხელშეკრულებაზე არ გააჩნია.

B.3. ა) გადაზიდვის ხელშეკრულება

ვალდებულება ხელშეკრულებაზე არ გააჩნია.

ბ) დაზღვევის ხელშეკრულება

ვალდებულება ხელშეკრულებაზე არ გააჩნია.

– მიწოდება

A.4. წაადგინოს საქონელი მყიდველის ან მის მიერ მითითებული სხვა პირის განკარგულებაში დანიშნულების დასახელებულპუნქტში, ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებიდან ჩამოუტვირთავად, შეთანხმებული თარიღისათვის, ან მიწოდების შეთანხმებული ვადის განმავლობაში.

B.4. მიიღოს A.4. პუნქტის მიხედვით მოწოდებული საქონელი დაუყოვნებლივ.

– **რისკების გადასვლა**

A.5. მიაწოდოს საქონელი B.5. პუნქტის მოთხოვნებით. A.4. პუნქტის მიხედვით გასწიოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვის ყველა რისკი მიწოდების მომენტამდე.

B.5. გასწიოს საქონლის დაზიანების, ან დაკარგვის რისკი A.4. პუნქტის მიხედვით, მიწოდების მომენტიდან. მის მიერ B.7. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია ამის შესახებ გამყიდველს შეატყობინოს და გასწიოს ყველა რისკი და ხარჯი შეთანხმებული თარიღის, ან ვადის ამოწურვის მომენტიდან. იგიასევე ვალდებულია გასწიოს დაკარგვისა და დაზიანების დამატებითი რისკი, რომელიც მიადგა საქონელს მის მიერ B.2. პუნქტის მოთხოვნის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

– **ხარჯების განაწილება**

A.6. გასწიოს საქონელთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, B.6. პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, A.3. ა) პუნქტის ხარჯების დამატებით. საქონლის A.4. პუნქტის მიხედვით მიწოდების მომენტამდე. საჭიროების შემთხვევაში, გადაიხადოს საბაჟო ფორმალობებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, ასევე სხვა სახის ბაჟი, გადასახადი და მოსაკრებლები, რომლებიც ექვემდებარება გადახდას საქონლის ექსპორტირებისას და მისი მესამე ქვეყნის გავლით ტრანზიტული გადაადგილებისას A.4. პუნქტის შესაბამისად, მიწოდების მომენტამდე.

B.6. გასწიოს საქონელთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, A.3.ა). პუნქტის მოთხოვნების მიხედვით იმ მომენტიდან, როდესაც ის მოწოდებულია A.4. პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, გასწიოს დამატებითი ხარჯები B.2. პუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლობისას, ან გაუგზავნოს შეტყობინება გამყიდველს B.7. პუნქტის თანახმად.

– **მხარეთა შეტყობინება**

A.7. შეატყობინოს მყიდველს, სათანადო საშუალებებით, საქონლის გამოგზავნის შესახებ, ასევე გაუგზავნოს სხვა შეტყობინებები, რომელიც ესაჭიროება მას ჩვეულებრივსაქონლის მისაღებად, აუცილებელი ზომების განხორციელებისათვის.

B.7. შეთანხმებულ ვადაში, მიწოდების დროის და/ან დასახელებულ დანიშნულების ადგილზე მიწოდების პუნქტის განსაზღვრის უფლებამოსილების შემთხვევაში, შეატყობინოს ამის შესახებ გამყიდველს შესაბამისი საშუალებებით.

– **მიწოდების მტკიცებულება, სატრანსპორტო დოკუმენტები, ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინება**

A.8. მიაწოდოს მყიდველს, საკუთარი ხარჯით დელივერი-ორდერიდა/ან ჩვეულებრივი სატრანსპორტო დოკუმენტი, რომელიც შეიძლება მოსთხოვონ მყიდველს A.4./B.4. პუნქტების მიხედვით მოწოდებული საქონლის მისაღებად. ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში შესაძლე-ბელია აღნიშნული დოკუმენტები შეიცვალოს შესაბამისი ელექტრონული შეტყობინებით.

B.8. მიიღოს დელივერი-ორდერი, ანსატრანსპორტო დოკუმენტი A.8. პუნქტის შესაბამისად.

– **შემოწმება, შეფუთვა, მარკირება**

A.9. ხარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ხარისხის, ზომების, წონის, რაოდენობის შემოწმებასთან, მყიდველისათვის A.4. პუნქტის მიხედვით გადაცემისას, ასევე გამყიდველი პასუხისმგებელია შეფუთვისა და მარკირების ხარჯებზე.

B.9. ხარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია დატვირთვისწინა ნებისმიერ დათვალიერებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შემოწმება მოთხოვნილია ექსპორტიორი ქვეყნის ხელისუფლების მიერ.

– სხვა ვალდებულებები

A.10. გასწიოს ყველა ხარჯი და გადაიხადოს ყველა მოსაკრებელი, რომელიც დაკავშირებულია B.10. პუნქტის მიხედვით ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინების მიღებასთან, ასევე აანაზღაუროს მყიდველის ყველა ხარჯი, რომელიც მას გამყიდველისათვის დახმარების აღმოჩენისასმიადგა. გამყიდველი ვალდებულია მყიდველს საქონლის დაზღვევაზემიაწოდოსმთლიანი ინფორმაცია.

B.10. გამყიდველის თხოვნით მისი ხარჯითა და რისკით აღმოუჩინოს დახმარება ნებისმიერი დოკუმენტის, ან ეკვივალენტური ელექტრონული შეტყობინების მიღებაში, რომელიც გაიცემა ან გადაეცემა იმპორტის ქვეყანაში და რომელიც შეიძლება დასჭირდეს გამყიდველს, საქონლის შესაბამისი სახით მყიდველის განკარგულებაში წარდგენისათვის.

2.2.2. საბაჟო ურთიერთობები TIR და ATA(CPD) კარნეტის კონვენციით გადაზიდვებისას

სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ადრეული პერიოდიდან მოყოლებული, ყოველთვის პრობლემატური იყო ტვირთების მწარმოებლიდან მომხმარებლამდე გადაადგილება. სავაჭრო ურთიერთობათა განვითარებამ მოითხოვა ტვირთნაკადების უსაფრთხოებისა და მათი გადაადგილების სიჩქარის ზრდა, რაც მათი კონტროლისა და გაფორმების ოპერაციათა სიჩქარის ზრდასაც ნიშნავდა. დღის წესრიგში დადგა ქვეყნებს შორის ურთიერთშეთანხმებული, უნიფიცირებული საბაჟო გაფორმებისა და კონტროლის სისტემის შექმნა, რომელიც დროის მოთხოვნას უპასუხებდა. განსაკუთრებული მოთხოვნები საგზაო გადაზიდვებისა და საბაჟო გაფორმებისადმი გაჩნდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში, სადაც შედარებით კომპაქტურ სივრცეში ისტორიულად ყოველთვის ეკონომიკური ინტეგრაციის მაღალი დონე არსებობდა. ამ პერიოდისათვის ევროპაში შეიქმნა საერთაშორისო სავაჭრო და სამრეწველო გაერთიანებები (საერთო ბაზარი, ფულადი გაერთიანება), რამაც თავისთავად დააყენა საკითხი სატრანზიტო-საბაჟო გადაზიდვების ახალი ფორმებისა და მეთოდების მოძებნის შესახებ. პირველი ასეთი კონვენცია ჯერ კიდევ 1949 წელს მიიღეს საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების (Transports International Routiers – TIR) შესახებ. ამჟამად ევროკომისიის ეგიდით მოქმედი TIR კარნეტის კონვენცია მიღებულ იქნა ჟენევაში 1975 წელს, რომელსაც საქართველო 1994 წელს შეუერთდა.

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ეგიდით 1990 წელს მიღებულ იქნა დროებითი დაშვების (“Admissione Temporaire - ATA) ანუ საქონლის დროებითი შემოტანის კონვენცია ATA -კარნეტი

დღევანდელ მსოფლიოში ტვირთნაკადების გადაადგილების უდიდესი ნაწილი ამ კონვენციებით რეგლამენტირებული წესების საშუალებით ხორციელდება, რომელიც ბევრად ამარტივებს და აჩქარებს ტრანსპორტირებისა და საბაჟო შემოწმების პროცესს.

საბაჟო გადაზიდვების შესახებ **TIR კარნეტის საერთაშორისო კონვენცია** საერთაშორისო შეთანხმებაა, რომლის ძირითად მიზანს საბაჟო წინააღმდეგობების შესუსტება, საბაჟო კონტროლის, საბაჟო პროცედურების მაქსიმალური გამარტივებაა. საბაჟო პროცესების გამარტივება, და ამ პროცესების დაჩქარება მისი უნიფიკაციით მიიღწევა, ამიტომ ამ კონვენციის მონაწილე ქვეყნების საბაჟო კანონმდებლობა მაქსიმალურად ჰარმონიზებული უნდა იყოს დოკუმენტების შემოწმების, ასევე საბაჟო გადასახადების გადახდის გარანტირებული უზრუნველყოფით.

TIR-კარნეტით საქონლის გადაზიდვა, როგორც წესი, ხორციელდება საავტომობილო ტრანსპორტით, შუალედური გადატვირთვის გარეშე, დასაშვებადაა მიჩნეული ტრანსპორტირება საზღვაო, სარკინიგზო, საჰაერო ტრანსპორტითაც, იმ პირობით, რომ გზის გარკვეული ნაწილის ტრანსპორტირება აუცილებლად საავტომობილო ტრანსპორტით უნდა ხდებოდეს. ფორს-მაჟორული სიტუაციის დროს, როდესაც შეუძლებელია ტვირთის მულტიმოდალური გადაზიდვა საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენებით, კონვენცია დასაშვებად მიიჩნევს TIR კარნეტის წიგნაკების შესაბამისი საგარანტიო უფლებების მეშვეობით გამოყენებას.

TIR–კარნეტის კონვენციის გამოყენება მიზანშეწონილია, თუ ტვირთის გადატანა ხორციელდება გადაზიდვისთვის წინასწარ დაშვებული საგზაო სატრანსპორტო საშუალებებით, კონტეინერებით, რომლებიც ამ კონვენციით მოთხოვნილ ტრანსპორტირების პირობებს აკმაყოფილებენ და რომელთა გადაადგილება ხორციელდება შესაბამისი საერთაშორისო გარანტიებით, TIR - კარნეტის უზრუნველყოფილი წიგნაკებით. აღნიშნული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, TIR-კარნეტის წიგნაკით გადასაადგილებელი ტვირთები თავისუფლდება შემოტანის ან გატანის მოსაკრებლებისაგან შუალედურ საბაჟო პუნქტებზე: ანუ, სატრანზიტო ქვეყნების საბაჟო პუნქტებში. ასევე თავისუფლდება საბაჟო შემოწმების პროცედურისაგან ამავე (შუალედურ) პუნქტებში, იმ პირობით, რომ ტვირთები გადაადგილდება დალუქული კონტეინერებით და დალუქული სატრანსპორტო საშუალებებით.

აღსანიშნავია, რომ TIR-ის კონცეფცია საკუთარი მიზნების მისაღწევად ოთხ ძირითად პრინციპებს ეყრდნობა, ესენია:

ა. საბაჟო გადასახდელებზე საერთაშორისო გარანტიები;

ბ. TIR-ის შესაბამისი წიგნაკი (კარნეტი);

გ. საბაჟო კონტროლის პრინციპების ურთიერთცნობა;

დ. სატრანსპორტო საშუალებების (კონტეინერების) სტანდარტულობა და დაცულობა.

TIR-კარნეტის კონვენციის მოქმედება დაცულია საერთაშორისო გარანტიების სისტემის საშუალებით, რითაც ნაციონალური ფისკალური ორგანოები აინაზღაურებენ საბაჟო კონტროლის დარღვევისაგან მიყენებულ ზარალს, ტვირთებზე გათვალისწინებული გადასახადების ღირებულებას.

TIR-კარნეტის კონვენციის საერთაშორისო გარანტად გვევლინება საავტომობილო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირისა (MCAT) და საგარანტიო გაერთიანებების მიერ სადაზღვევო კომპანიებთან დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებები, საგარანტიო თანხების დაცულობის შესახებ, გადამზიდველის მიერ TIR-კარნეტის არასწორი გამოყენების რისკებისაგან.

საგარანტიო გაერთიანებები, შეთანხმების მონაწილე მხარეების საბაჟო ორგანოების მიერ აღიარებულია, საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების პროცედურების გარანტებად.

თუ გადამზიდველი დაარღვევს TIR -კარნეტის წესებს, ხოლო MCAT ან საგარანტიო გაერთიანებები იძულებული იქნება გადაუხადოს შესაბამისი თანხა

საბაჟო ორგანოებს, ამ შემთხვევაში ზარალის ანაზღაურებას თავის თავზე იღებს სადაზღვევო კომპანია.

თავის მხრივ საგარანტიო გაერთიანებები გარკვეულ ვალდებულებებს იღებს MCAT-ის წინაშე სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებული მუხლების შესრულებაზე, რომელიც მასსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის ურთიერთობას ეხება, კერძოდ: TIR - წიგნაკების გაუფორმებლობას, „პირობითად“ გაფორმებას, ან არაკანონიერად გაფორმებას ასევე საბაჟო ორგანოებისათვის გადახდის შესახებ ინფორმაციას.

საგარანტიო გაერთიანებასა და საბაჟო ორგანოებს შორისაც არსებობს თავისუფალი ფორმის, შეთანხმებები მათი მოვალეობის შესახებ, სადაც ხაზგასმულია, რომ: საგარანტიო გაერთიანება, MCAT-ის წარმომადგენელია და უფლებამოსილია გასცეს TIR-ის წიგნაკები. აქვე განსაზღვრულია იმ თანხის მაქსიმალური რაოდენობა, რასაც საგარანტიო გაერთიანება აანაზღაურებს TIR–ის თითოეულ წიგნაკზე. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა წევრ ქვეყანაში არსებობს, ასეთი საგარანტიო გაერთიანებები, რომლებიც TIR -ის წიგნაკების გაცემის და მათი გარანტიების საკითხებს აგვარებენ.

გარკვეული სახელშეკრულებო ურთიერთობები არსებობს საგარანტიო გაერთიანებებსა და გადამზიდველებს შორის. გადამზიდველისათვის TIR-ის წიგნაკის მიღება გულისხმობს „ვალდებულებათა დეკლარაციის“ მიღებას, რაც შემდეგში მდგომარეობს: გადამზიდველის მხრიდან საგარანტიო უზრუნველყოფის წარდგენას, ყველა იმ კანონით გათვალისწინებული გადასახადის გადახდის ვალდებულებას, რაც მოთხოვნილია საბაჟო პროცედურებით, აგრეთვე TIR -ის წიგნაკის დარღვევით გამოყენებისას და გადასახადებს საგარანტიო გაერთიანებისათვის. გარდა ვალდებულებებისა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები გადამზიდველს გარკვეულ უფლებებსაც ანიჭებს, რაც გამოიხატება TIR-ის წიგნაკის გამოყენების შესაძლებლობაში და ამ წიგნაკის უფლებამოსილების ფარგლებში, მისდამი საბაჟოს მხრიდან კანონიერი ქმედების განხორციელებაში.

საგარანტიო გაერთიანებები, კონვენციის თანახმად, შეიძლება იყვნენ ის გაერთიანებები, რომლებიც გარკვეული პირობებით და გარკვეული გარანტიით გასცემენ საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების წიგნაკებს (TIR-კარნეტი) და წარმოადგენენ შესაბამის გარანტიას. საგარანტიო გაერთიანება მოცემულ ქვეყანაში შეიძლება აღიარებულ იქნეს იმ პირობით, რომ მის მიერ წარმოდგენილი გარანტია მეტია იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც მან TIR–კარნეტის წიგნაკით მიიღო. ამას გარდა, საგარანტიო გაერთიანება იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შემოტანის, ან გატანის გადასახადები და მოსაკრებლები სოლიდარული პასუხისმგებლობით, იმ პირებთან ერთად, ვისგანაც მოთხოვნილია ამ თანხის გადახდა.

კონვენციის თანახმად საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ოპერაციად ითვლება ტვირთის გადატანა გამოგზავნის ადგილის საბაჟოდან, დანიშნულების ადგილის საბაჟომდე, იმ პროცედურების დაცვით, რომელიც წინამდებარე კონვენციითაა გათვალისწინებული.

საერთაშორისო საგზაო გადაზიდვები ხორციელდება, TIR-ის წირნაკის საშუალებით, რომელიც გაიცემა ტვირთის გამგზავნ ქვეყანაში ან იმ ქვეყანაში, სადაც წიგნაკის მფლობელის მუდმივი ადგილსამყოფელია. TIR -ის წიგნაკის მოქმედების ვადა გრძელდება საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ოპერაციების დამთავრებამდე, დანიშნულების ადგილის საბაჟომდე.

TIR-ის წიგნაკი არის ერთად აკინძული ტვირთის გადამზიდავის რამდენიმეფურცლიანი დოკუმენტი, რომელშიც აღინიშნება ტვირთის გადამზიდავისა და წიგნაკის გამცემი საგარანტიო გაერთიანების მონაცემები.

ასევე გაცემის თარიღი, სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვისათვის დაშვების უფლების, სატრანსპორტო საშუალებისა და კონტეინერის ამოსაცნობი ნომრებისა და სხვა სახის ჩანაწერები მონაცემთა იდენტიფიკაციის შესახებ.

TIR-ის წიგნაკის გამოგზავნისა და დანიშნულების საბაჟოს რაოდენობის მიხედვით, რომელიც ოთხზე მეტი არ შეიძლება იყოს, წიგნაკს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ფურცელი გამოგზავნის, შუალედური და დანიშნულების საბაჟოებისათვის.

TIR-კარნეტის წიგნაკი საგზაო სატრანსპორტო საშუალებასთან ერთად, უნდა იყოს წარდგენილი გამომგზავნი ქვეყნის ყველა საბაჟოდან დაწყებული, შუალედურ საბაჟოებსა და დანიშნულების ადგილის საბაჟოზე. გამოგზავნის უკანასკნელი საბაჟოს თანამდებობის პირი, მებაჟე, წიგნაკში აკეთებს შესაბამის აღნიშვნას, ხელმოწერისა და თარიღის ჩვენებით წიგნაკის ყველა მოსახევ ფურცელზე, რომელიც გამოყენებული იქნება მთელი მარშრუტის განმავლობაში, ამავე ფურცელზე გაკეთებულია წიგნაკის გამცემი გაერთიანების წარმომადგენლის ხელმოწერა.

ტვირთი, რომლიც საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების პროცედურების შესაბამისად გადაადგილდება, TIR-კარნეტის წიგნაკის საშუალებით თავისუფლდება შემოტანის, ან გატანის მოსაკრებლებისაგან და გადასახადებისაგან შუალედურ საბაჟოებში. ამას გარდა, თუ ეს ტვირთი გადაადგილდება დაბეჭენილი სატრანსპორტო საშუალებებით, ან კონტეინერებით, როგორც წესი, შუალედურ საბაჟოებში თავისუფლდება საბაჟო შემოწმებისაგან.

TIR-კარნეტის წიგნაკის მქონე ტვირთების საბაჟო გაფორმება შეიძლება განხორციელდეს „პირობითად“, ან მის გარეშე. თუ წიგნაკში აღნიშვნის მიხედვით საბაჟო გაფორმება შესრულებულია „პირობითად“, მისი რეგისტრაცია მოქმედია, ფულადი გადასახდელებისა და მოსაკრებლების გადახდაზე საგარანტიო გაერთიანების მხრიდან, თუ ერთი წლის განმავლობაში არ იქნა მიღებული შესაბამისი შეტყობინება.

TIR-კარნეტის წიგნაკი დაბეჭდილია ფრანგულ ენაზე. თუმცა, ცალკეული რუბრიკები იბეჭდება აგრეთვე ინგლისურად. ამას გარდა, გათვალისწინებულია დამატებითი ფურცლების არსებობა სხვა ენებზე ნაბეჭდი ტექსტისათვის.

TIR-ის წიგნაკში გათვალისწინებულია მოსახევი ფურცლის, ყუის არსებობაც, რომელიც რჩება ყველა საბაჟოზე და საერთაშორისო საგზაო გადაზიდვის დამთავრების შემდეგ ედრება TIR-კარნეტის პირველ ფურცელს, რომელიც გამოწერის ადგილას დარჩა. თუ ამ ორ ფურცელს შორის არ არის სხვაობა, მაშინ ამის შესახებ შეატყობინებენ ნაციონალურ ორგანიზაციას და ოპერაცია ითვლება დამთავრებულად.

ტვირთის გამგზავნ ქვეყანაში TIR-ის წიგნაკის შევსების და შესაბამის სატრანსპორტო საშუალებებში, ან კონტეინერებში საქონლის ჩატვირთვას მეთვალყურეობას უწევს გამგზავნი ქვეყნის საბაჟოს წარმომადგენელი, რომელიც ჩატვირთვის ოპერაციის დამთავრების შემდეგ გასაგზავნ ტვირთს, თავისი საიდენტიფიკაციო ნიშნებით, დაადებს ბეჭდებს და ლუქებს, ამასთან ამოწმებს საკეტების ტექნიკურ გამართულობას, ბრეზენტისა და მისი სამაგრების მდგომარეობას.

საერთაშორისო საგზაო სატრანსპორტო გადაზიდვებისას TIR -ის წიგნაკის მოქმედება წყდება არამონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე და აღდგება მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე, იმ პირობით, რომ ლუქები, ბეჭდები და შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნიშნები არ არის დარღვეული, ამასთან შესაძლებელია წიგნაკში მითითებული დანიშნულების ქვეყნის შეცვლაც. დანიშნულების საბაჟოში საქონლის წარმოდგენისთანავე საბაჟო ორგანომ უნდა განახორციელოს TIR-ის წიგნაკის დაუყოვნებლივი გაფორმება და დაუბრუნოს

იგი გადამზიდავს. საბაჟო გაფორმებისას, სატრანსპორტო პროცედურის სიმრავლისშემთხვევაში, როდესაც ერთი წიგნაკის მოსახევი ფურცლების რაოდენობა საკმარისი არ არის, დასაშვებია ერთ სატრანსპორტო ოპერაციაზე ორი წიგნაკის გამოყენება.

საბაჟო კონტროლის პრინციპების ურთიერთცნობა TIR-კარნეტის კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვებში მონაწილე საშუალებების TIR-კარნეტის კონვენციის წესების შესაბამისად დალუქვის შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი მასში მოთავსებულ საქონელზე, კონვენციის თანახმად, მოცემული ქვეყნის საბაჟო ორგანო ცნობს შესაბამის ლუქებსა და ბეჭდებს მათი დაუზიანებლობის შემთხვევაში. შუალედური ქვეყნის საბაჟო ორგანოს (სატრანზიტო ქვეყნის), უფლება აქვს საბაჟო კონტროლი განახორციელოს კონვენციით გადაადგილებულ საქონელზე ტრანსპორტირების პროცესშიც (გზაში) მოხსნას სატრანსპორტო საშუალებას (კონტეინერებს) დადებული ლუქი და ბეჭედი და დაადოს საკუთარი საიდენტიფიკაციო საშუალებები ისე, რომ შესაბამისი ჩანაწერი გააკეთოს TIR-კარნეტის წიგნაკის შესაბამის ფურცელზე.

მძიმეწონიანი ან დიდგაბარიტიანი ტვირთების გადაზიდვა შესაძლებელია განხორციელდეს ღია სატრანსპორტო საშუალებით ან კონტეინერებით. ამ შემთხვევაში გამომგზავნმა საბაჟო ორგანომ უშუალოდ საქონელს უნდა დაადოს შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნიშანი (ბეჭედი, დამღა...), ხოლო TIR-ის წიგნაკში აღნიშნული უნდა იყოს, რომ ტვირთი მძიმე და დიდგაბარიტიანია. შუალედური საბაჟო ორგანოები ცნობენ შესაბამისი მონაწილე ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ დადებულ ლუქებს, ბეჭდებს და სხვა საიდენტიფიკაციო საშუალებებს. ამას გარდა, ზემოაღნიშნულ მძიმეწონიან და დიდგაბარიტიან ტვირთებს სატრანზიტო ქვეყნის საბაჟო ორგანოებმა შეიძლება დამატებით, თვითონაც დაადონ საკუთარი სათანადო საიდენტიფიკაციო ნიშნები.

სატრანსპორტო საშუალებების (კონტეინერების) სტანდარტულობა და დაცულობა, TIR-კარნეტის კონვენციის მიხედვით, უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილ მოთხოვნებს, რაც სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციისა და მოწყობილობების TIR-ის სტანდარტებთან შესაბამისობას გულისხმობს. ამ კონვენციის დანართი 2-ის 1 მუხლის მიხედვით, ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვებისათვის დაიშვება საბაჟოს ბეჭდებითა და ლუქებით აღჭურვილი მხოლოდ ის სატრანსპორტო საშუალებანი, რომელთა სატვირთო განყოფილება დაპროექტებული და აღჭურვილია შემდეგნაირად:

ა) შეუძლებელია ტვირთების ამოღება ან ჩადება სატრანსპორტო საშუალების დალუქული ნაწილიდან შესამჩნევი კვალის დატოვების გარშე ან საბაჟო ბეჭდებისა და ლუქების დაუზიანებლად;

ბ) საბაჟო ბეჭდებისა და ლუქების დადება მარტივი და საიმედო მეთოდით ხდება;

გ) სატვირთო განყოფილებაში, არ არის ფარული ადგილები ტვირთის დასამალად;

დ) ყველა ადგილი, სადაც ტვირთია მოთავსებული ადვილად მისადგომია საბაჟო შემოწმებისათვის.

ასეთი სტანდარტებით მოწყობილი სატრანსპორტო საშუალებანი შეიძლება დაშვებულ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი პროცუდურით გათვალისწინებული გადაზიდვებისათვის.

ა) ინდვიდუალური წესით;

ბ) კონსტრუქციით, ავტომობილის ტიპის მიხედვით (საგზაო სატრანსპორტო საშუალებების სერია).

შესაბამისი საკონტროლო ოპერაციების ჩატარების შემდეგ კომპეტენტური ორგანოები გასცემენ დაშვების ნებართვას – მოწმობას, მას ამაგრებენ კონტეინერზე, რომელზეც აღნიშნული იქნება: ქვეყნის დასახელება, რომელმაც გასცა ნებართვა, დაშვების მოწმობის ნომერი, ასევე წელი, დამამზადებელი ქარხნის რიგითი ნომერი.

ATA (CPD) – კარნეტის საერთაშორისო კონვენცია

საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს და სავაჭრო პალატების საერთაშორისო ბიუროს ეგიდით 1961 წელს მიღებულ იქნა ATA – კარნეტის კონვენცია, რომელიც 1990 წლის სტამბოლის მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ეგიდის ახალი რედაქციით მიღებულმა კონვენციამ შეცვალა.

ATA – კარნეტი დროებითი შემოტანის დოკუმენტია, რომელიც გამოიყენება საქონლის (სატრანსპორტო საშუალებების გარდა) დროებითი შემოტანისას. ATA – კარნეტი სიტყვასიტყვით დროებით დაშვებას, შემოტანას ანუ შემოტანის წიგნაკს აღნიშნავს. იგი გამოიყენება საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის პირობებში, ასევე საქონლის ტრანზიტის დროს. ATA–კარნეტი არის საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც გათანაბრებულია სატვირთო-საბაჟო დეკლარაციასთან, ანუ ATA–კარნეტის წარდგენისას სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის მოთხოვნა აუცილებელი არაა. რაც საბაჟო პროცედურების გაიოლებას და დაჩქარებას იწვევს. AT A–კარნეტი გამოიყენება საქონლის დროებითი შემოტანის დროს, სადაც სატრანსპორტო საშუალებების დროებით შემოტანას აწესრიგებს ATA– კარნეტის „საზღვრის გავლის წიგნაკი“, როგორც სატრანსპორტო საშუალებების დროებითი შემოტანის დოკუმენტი.

ნაციონალური სავაჭრო სამრეწველო პალატა, რომელიც საერთაშორისო სავაჭრო პალატების საგარანტიო სისტემის ნაწილია, გასცემს ATA – კარნეტს. მისი მიმღები შეიძლება იყოს ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელსაც საქონლის დროებითი გატანა სურს ATA – კარნეტის წევრ ქვეყნებში, ან ამ ქვეყნებში ტრანზიტულ გადაადგილებას ახორციელებს.

ATA და CPD კარნეტის კონვენციის მიხედვით საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დროებითი შეტანა განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდისაგან. კონვენციით გათვალისწინებული შემოტანის წესების დარღვევა იწვევს შემომტანი მხარის პასუხისმგებლობას საბაჟო გადასახდელების გადახდის სახით. ამისათვის, კონვენციის ჩარჩოებში შექმნილია საგარანტიო ქსელი. საგარანტიო და დროებითი შემოტანის დოკუმენტების გამცემი ასოციაციების სახით. კონვენციის მიხედვით თითოეული მათგანი შემდეგნაირად განიმარტება:

საგარანტიო ქსელი – საგარანტიო სისტემაა, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაცია მართავს და რომლის წევრები საგარანტიო ასოციაციებია.

საგარანტიო ასოციაცია – ასოციაციაა, რომელიც ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარის მიერ ცნობილია, როგორც შემოტანის გადასახდელებისა და მოსაკრებლების გადახდის გარანტი დროებითი შემოტანის ან ტრანზიტის წესების დარღვევისას.

საგარანტიო ასოციაცია პასუხისმგებელია თანხების გადახდაზე დამნაშავე მხარესთან ერთად.

საერთაშორისო ორგანიზაცია – ნაციონალური ასოციაციების გაერთიანებაა, რომელიც უფლებამოსილია უზრუნველყოს გარანტია და გასცეს დროებითი შემოტანის დოკუმენტი.

გამცემი ასოციაცია – საბაჟო ორგანოების მიერ ცნობილი, დროებითი შემოტანის დოკუმენტის გაცემის უფლების მქონე ორგანოა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად საგარანტიო ქსელის წევრია.

დროებითი შემოტანის დოკუმენტი – საბაჟო დეკლარაციასთან გათანაბრებული საერთაშორისო საბაჟო დოკუმენტია, რომელიც შეიცავს საერთაშორისო მოქმედ გარანტიებს შემოტანის გადასახდელებისა და მოსაკრებლების შესახებ და საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირება.

საგარანტიო ასოციაციები, ATA და CPD კარნეტის კონვენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ შემოტანის წესების დარღვევისას საბაჟო გადასახდელების გადახდას საბაჟო ორგანოსათვის, რომელიც გათვალისწინებულია საქონლის შემოტანისათვის მოცემულ ქვეყანაში იმპორტის საბაჟო რეჟიმით.

ATA და CPD–კარნეტით საქონლის (სატრანსპორტო საშუალების) დროებითი შემოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. ამისგან დამოუკიდებლად საბაჟო ორგანოს უფლება აქვს, დააწესოს უფრო ხანგრძლივი ვადა, ან გააგრძელოს აღნიშნული ვადა. თუ აღნიშნულ ვადაში ვერ ხერხდება საქონლის (სატრანსპორტო საშუალების) გატანა, მაშინ საგარანტიო ასოციაციას უფლება აქვს, გასცეს შესაბამისი შემცვლელი დოკუმენტი, რის საფუძველზედაც საბაჟო ორგანო დროებითი შემოტანის ვადას აგრძელებს.

ATA – კარნეტის დროებითი შემოტანის დოკუმენტზე აღნიშნული უნდა იყოს:

– გამცემი ასოციაციის დასახელება;

– საერთაშორისო საგარანტიო ქსელის დასახელება;

–ქვეყნები და ის საბაჟო ტერიტორიები, სადაც აღნიშნული დოკუმენტი მოქმედებს;

– ამ ქვეყნების ან საბაჟო ტერიტორიების საგარანტიო ასოციაციების დასახელება და სხვა.

საქონლის, ან სატრანსპორტო საშუალების უკან გატანის დამამტკიცებელი დოკუმენტი შესაბამისი წესით გაფორმებული ამავე დოკუმენტის, დროებითი შემოტანის, საბაჟო ორგანოს, ბეჭდით დამოწმებული გატანის ფურცელია.

მომსახურება, რომელიც უნდა შემოვიდეს შემოტანის საბაჟოში დროებითი შემოტანის უფლების (ვიზის) მისაღებად არ იბეგრება საბაჟო მომსახურების მოსაკრებელით სამუშაო დროის განმავლობაში.

კონვენციის, შესაბამისად მხარეებს შორის წამოჭრილი სადავო საკითხების განხილვა ურთიერთმოლაპარაკებების გზით უნდა განხორციელდეს, იმ შემთხვევაში თუ მხარეები ვერ აღწევენ შეთანხმებას, მაშინ საკითხი განსახილველად გადაეცემა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციასთან არსებულ ადმინისტრაციულ კომიტეტს, რომლის წევრიცაა კონვენციის ყველა მონაწილე მხარე. კომიტეტს გადაწყვეტილება გამოაქვს ხმების უმრავლესობით და მოდავე მხარეებისათვის სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს.

3. საბაჟო საქმიანობის ორგანიზაცია და კონტროლი

3.1. საბაჟო პოლიტიკა, არსი, მიზნები

საქართველოში ხორციელდება ერთიანი საბაჟო სტრატეგია, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიერ განსაზღვრული ქვეყნის საშინაო და საგარეო კურსისა და ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილია.

საბაჟო პოლიტიკას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტი. მის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო ორგანოები.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა განსაზღვრავს საბაჟო პოლიტიკის სამართლებრივ ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძველს.

1999 წლის 8 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებულ იქნა ბრძანებულება "საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის დებულების" შესახებ. დებულების თანახმად:

საბაჟო ორგანო ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

1. ამზადებს წინადადებებს საქართველოს საბაჟო პოლიტიკის სრულყოფისათვის.
2. შეიმუშავებს საქართველოს საბაჟო პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭირო სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ მექანიზმებს.
3. შეიმუშავებს და ახორციელებს საბაჟო საქმიანობის განვითარების პროგრამებს.
4. ამზადებს საბაჟო საქმიანობისა და პოლიტიკის მარეგულირებელ საკანონმდებლო და სხვა სამართლებრივ აქტებს.
5. უზრუნველყოფს საქართველოს საბაჟო ორგანოების მონაწილეობას სახელმწიფო უშიშროების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში, სიცოცხლის ჯანმრთელობის, ცხოველთა, მცენარეთა და ბუნებრივი გარემოს დაცვაში.
6. უზრუნველყოფს საზღვარგარეთის ქვეყნების საბაჟო პოლიტიკისა და ამ ქვეყნებში საბაჟო საქმის გამოცდილების შესწავლასა და ანალიზს, მათი გამოცდილების დანერგვას საქართველოს საბაჟო ორგანოების საქმიანობაში.

დებულების თანახმად საბაჟო დეპარტამენტთან შექმნილია საბაჟო დეპარტამენტის მრჩეველთა საბჭო. მასში შედიან მოწვეული სპეციალისტები და საბაჟო საქმის მაღალკვალიფიციური მუშაკები. მრჩეველთა საბჭო მონაწილეობს საბაჟოს საქმიანობის ყველა სფეროში მათ შორის საბაჟო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებაში, რომელთაც შემდეგი სახე აქვთ:

1. საგარეო ვაჭრობაში სახელმწიფოს მონოპოლიური მდგომარეობის უარყოფის პრინციპი;
2. თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი;
3. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობათა სახელმწიფო რეგულირების პრინციპი;
4. ერთიანი საბაჟო ტერიტორიის პრინციპი;
5. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი;
6. საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და დაჩქარების პრინციპი.
7. კანონიერებისა და პასუხისმგებლობის პრინციპი (ყველა ძირითადი წესი, რომლებიც დაკავშირებულია საბაჟო სივრცის, საბაჟო საზღვრის

გადაკვეთასთან, უნდა ემყარებოდეს ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობას და საერთაშორისო შეთანხმებას).

8. სახელმწიფო ეკონომიკური ინტერესების დაცვის პრინციპი. (ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების სისტემა, რომელსაც მიეკუთვნება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა საქართველოში შემოტანისა და გატანის განსაკუთრებული პირობები), ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, იგი შეიძლება შეიცავდეს კვოტირების, ლიცენზირების, მინიმალური და მაქსიმალური ფასების დაწესებას, აგრეთვე მსოფლიო მეურნეობასთან საქართველოს ეკონომიკის ურთიერთკავშირს, რეგულირების სხვა ღონისძიებებს.

საბაჟო პოლტიკის ერთიანობა ნიშნავს, რომ ერთიანია საქართველოს საბაჟო ტერიტორია, სადაც მოქმედებს ერთიანი საბაჟო კანონმდებლობა, აკრძალულია სხვა კანონით ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამ ურთიერთობათა დარეგულირება, რომლებიც საბაჟო კანონმდებლობის პრეროგატივას წარმოადგენენ. საქართველოში, გარდა ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებისა არავის, აქვს უფლება შექმნას საბაჟო დაწესებულება, დააწესოს რეჟიმები, საბაჟო გადასახადები, მოახდინოს და განახორციელოს საბაჟო გაფორმება, საბაჟო კონტროლი და სხვა ქმედებები. საბაჟო პოლიტიკის განხორციელება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებული პრეროგატივაა. საბაჟო პოლიტიკა საქართველის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილია, რომლის უმთავრესი მიზნებია:

- საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა;
- ეკონომიკის განვითათრების სტიმულირება;
- შიდა ბაზრის დაცვა;
- საგარეო ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერება.

დღეს საქართველოში საბაჟო პოლიტიკა შემდეგი თვისობრივი ნაწილებისაგან შედგება:

1. საბაჟო გადასახადების განაკვეთები;
2. საბაჟო რეჟიმები და ტექნოლოგიები;
3. საბაჟო შეღავათები;
4. ინსტიტუციონალები (სტრუქტურა, დოკუმენტები, დებულებები, ინსტრუქციები);
5. საბაჟო გადასახადების დიფერენცირება.

საქართველოს საბაჟო პოლიტიკა ვითარდება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების, ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის მიმართულებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, საქართველოს საბაჟო პოლიტიკა, აქტიურად ინტეგრირდება საერთაშორისო საბაჟო პოლიტიკაში.

საქართველოს საბაჟოს შეუძლია სხვა სახელმწიფოებთან ერთად შექმნას საბაჟო კავშირები, თავისუფალი ვაჭრობის ზონები, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად დადოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები საბაჟო საკითხებზე.

სახელმწიფო საბაჟო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტიმულირების მიზნით სამეწარმეო, ტურისტული და სხვა სახის თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნაა.

საერთაშორისო სამართლებრივ საფუძველზე შექმნილი თავისუფალი ეკონომიკური ზონა განსაკუთრებული საბაჟო პროცედურებისა და საგადასახადო სტატუსის მქონე ადგილია, რომელიც სამ ძირითად ფუძემდებლურ პრინციპზეა დამყარებული.

პირველი პრინციპი - პორტო-ფრანკოს პრინციპი, ანუ საბაჟო საწყობი, რომელიც თავისუფალი იქნება გადასახადებისაგან. ამავე ტერიტორიაზე შეიძლება არსებობდეს ეკონომიკური ზონა, რომელიც აქ საქონლის წარმოებისა და რეწვის საშუალებას იძლევა გადასახადების გარეშე, მოცემული საქონლის ნედლეულის მაკომპლექტებელი მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების დაუბეგრავად. ეს არის თავისუფალი საბაჟო საწარმოო ზონა და შესაბამისად აქ შექმნილი საქონელი შეიძლება თავისუფლად გავიდეს ექსპორტზე, აგრეთვე შიგა ბაზარზე. გარდა ამისა, აქ არის შენახვის, წარმოებისა და რეალიზაციის თავისუფალების პრინციპი.

მეორე პრინციპი - იმ კაპიტალისა და იმ მოგების რეპატრიაცია, რომელიც შეიქმნება საბაჟო ზონაში. ამ ზონაში ეკონომიკური საქმიანობის მიზანი მოგების მიღებაა და მიმღებ ინვესტორს უნდა ჰქონდეს ქვეყნიდან მისი გატანის შესაძლებლობა. მდენად, აუცილებელია კაპიტალის რეპატრიაციის თავისუფლების პრინციპის დაცვა. ეს კი თავისთავად მოითხოვს ვალუტის კონვერტირებადობას, მის შეუზღუდავ მიმოქცევას.

მესამე პრინციპი - საგადასახადო პრეფერენციები და შეღავათები (დღგ-სგან გათავისუფლება).

ამ მიმართულების ერთიანობა არის თავისუფალი ეკონომიკური ზონა.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის მიზანია ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების მოზიდვა, საექსპორტო პოტენციალის გაზრდა, ქვეყნის სავალუტო და სხვა სახის შემოსავლის ზრდა, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურება, ხელშემწყობი პირობების შექმნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

3.2. საბაჟო ორგანოების მართვის სისტემა

ნებისმიერი ქვეყნის საბაჟო საქმის შინაარსს შეადგენს საბაჟო რეჟიმების ერთობლიობა. სუვერენული სახელმწიფოს საბაჟო პოლიტიკა – ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ნაწილია, რომელიც მოიცავს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების წესს, საბაჟო კონტროლს, საბაჟო გაფორმებასა და საბაჟო პოლიტიკის განხორციელების სხვა საშუალებების. საბაჟო საქმის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები საბაჟო ურთიერთობების საკითხებზე, საბაჟო კოდექსები, ტარიფები და გადასახადები. საბაჟო პოლიტიკას ახორციელებენ სახელმწიფო მეთაურები, აღმასრულებელი სტრუქტურები და საბაჟოები.

საბაჟო საქმე არის ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი საბაზისო ინსტიტუტი. ქვეყანაში საბაჟო სამსახურებისათვის დაკისრებული ძირითადი ფუნქციები შეადგენს საგარეო ვაჭრობის რეგულირებას, გადასახადებისა და მოსაკრებლების ამოღებას და ამით სახელმწიფო ბუჯეტის შევსებას. გარდა ამისა, საბაჟო, სახელმწიფოს იცავს იარაღის, ნარკოტიკებისა და სხვა სახის კონტრაბანდისაგან. საბაჟო უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკის

განვითარებას, შიგა ბაზრის დაცვას, საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების წახალისებას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო ორგანოებმა ძირფესვიანი, ინსტიტუციური რეფორმის ცენტრში დააყენა ჰორიზონტალური კავშირების განმტკიცება, ადგილობრივი საბაჟოების სტატუსისა და უფლება-მოვალეობების ამაღლება. გაძლიერდა ქვეყნის საზღვრები, რითაც გადაიდგა დიდი ნაბიჯი კონტრაბანდის აღკვეთისაკენ.

ინსტიტუციური რეფორმის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია კონტროლის ბადისებრი სისტემა, რაც გულისხმობს მთლიანად სისტემის კონტროლს. კონტროლირებადი სისტემიდან საბაჟო სამსახური გადავიდა სისტემის კონტროლზე. შეიქმნა ერთიანი კომპიუტერული ქსელი, რითაც რეალური გახდა საბაჟო სივრცის ერთიანი კონტროლი, ამ სივრცის შეცვლა და დროის რეალურ რეჟიმში მეშაობა.

თანამედროვე საბაჟო, მსოფლიო გლობალიზაციის პროცესის აქტიური მოქმედი პირია. ყოველწლიურად სახელმწიფო საზღვრებს კვეთს 700 მილიონი ადამიანი და მილიარდობით ტონა ტვირთი. საბაჟო ახალ პირობებშიც ასრულებს სამ ტრადიციულ ფუნქციას: **ფისკალურს, ეკონომიკურს, დამცავს**.

საქართველოში წარმატებული იყო ტასის-ის პროექტი, "საქართველოს საბაჟო სამსახურის პროცედურების" განხორციელებისა და შესწავლის პროცესი. იგი ითვალისწინებდა საბაჟო კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან მიახლოებას და მართვის ახალი სისტემის დანერგვას.

ევროსაბჭოს დახმარებით მომზადდა ახალი საბაჟო კოდექსი რომელიც მიღებილი იქნა 2006 წლის 25 ივლისს. კოდექსი არა ერთი ნოვაციით გამოირჩევა იგი მოწოდებულია ხელი შეუწყოს სახელმწიფო ორგანოებსა და ბიზნესს შორის ცივილიზებული ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესს, რაზედაც მნიშვნელოვან წილადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება და თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სიახლეებია გათვალისწინებული 2011 წლის იანვრიდან, როდესაც ერთიანი საგადასახადო და საბაჟო კოდექსი შემოდის მოქმედებაში. იგი მოწოდებულია მთლიანად სახელმწიფო საშემოსავლო სტრუქტურები საერთო პრინციპებით გააერთიანოს და ხელი შეუწყოს ამ სფეროს ადმინისტრირების პროცესის გამარტივებას.

ეროვნულ მწარმოებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა იცვლება თანამშრომლობის განვითარების, აგრეთვე ვაჭრობის ლიბერალიზაციის კვალობაზე. მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია მუშაობს საბაჟო წესების დანერგვის გამარტივებასა და უნიფიცირებაზე, რაც საქართველოს საბაჟო სტრუქტურებს და მთლიანად საბაჟო სისტემას საერთაშორისო მასშტაბის გლობალიზაციისა და ჰარმონიზაციის პროცესებში ჩართვის წინაპირობა არის.

პროგრამა "ასიკუდა" საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან, ექსპორტთან და იმპორტთან დაკავშირებელი პროცესების მართვის კომპიუტერული სისტემაა და ამ პროცესზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. ეს პროგრამა იყენების საერთაშორისო პრაქტიკის სტანდარტებს და კოდებს ამავე დროს ეროვნულ კრიტერიუმებს ემყარება.

საბჭოთა კავშირის რღვევამ და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნამ მოახდინა ორგვარი ეფექტი, ჯერ ერთი, მთელი რიგი ქვეყნები გადაიქცნენ მსოფლიო ეკონომიკური, ე.ი. საბაჟო სივრცის ნორმალურ წევრებად. მეორე – ძველი სახელმწიფო სტრუქტურების ნგრევამ და "დსთ"

ქვეყნების საზღვრების "გამჭვირვალობამ" შექმნა უამრავი ფარული არხი, რომლებითაც კონტრაბანდულმა ელემენტებმა ისარგებლეს.

დღეს მებაჟემ უნდა იცოდეს კომპიუტერი, საბაჟო და სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა და საგადასახადო კოდექსები, კანონები და უამრავი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, უცხო ენები. ამ მოთხოვნებს ბევრი ვერ აკმაყოფილებს. კადრების შერჩევაში აქცენტი აღებულია ძირითადად პროფესიონალიზმზე. კადრების შერჩევის კომისიის ობიექტურობაზე, რაც საბაჟო ორგანოების მართვის სისტემის ძირითადი საზრუნავია.

საბაჟო სტრუქტურაში კორუფციული სისტემის აღმოფხვრისაკენ მიმართულ ბრძოლაზე, ყურადღების გამახვილება, ცალკე აღნიშვნის ღირსია.

თანამედროვე ეტაპზე საბაჟო სისტემამ უნდა გადაჭრას შემდეგი უმთავრესი პრობლემური საკითხები:

1. საბაჟო გამშვებ პუნქტებზე სხვადასხვა რეჟიმით მოძრავი ტვირთების მომსახურება;
2. იმპორტიორების მიერ საბაჟოზე წარდგენილი ტვირთების დოკუმენტაციის სიზუსტე და მათში დაფიქსირებული ფასების რეალობა;
3. საბაჟო ოპერაციების ტექნიკური გაფორმება;
4. ფისკალური პოლიტიკის გატარება და ეკონომიკური ღონისძიებების გამოყენება;
5. კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა;
6. ლიცენზირება და საბაჟო საქმიანობის მონიტორინგი;
7. ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკის წარმოება და ინფორმაციული ქსელის გამართვა;
8. საბაჟო ლაბორატორიული კონტროლი;
9. საბაჟო ინფრასტრუქტურის შექმნა, ქვეყნის ეკონომიკური საზღვრის ფუნქციების უზრუნველსაყოფად.

საბაჟო ორგანოები მიეკუთვნება სახელმწიფო მმართველობის სისტემას. მათ საქმიანობას აქვს აღმასრულებელ – განმკარგულებელი ხასიათი. საბაჟო ორგანო არის სახელმწიფო აპარატის შემადგენილი ნაწილი რომელიც სახელწიფოს ინტერესებს საბაჟო სფეროში იცავს.

საბაჟო ორგანოები აღჭურვილია სახელმწიფო ხელისუფლებრივი უფლებამოსილებით, ისინი ხელმძღვანელობენ და მართავენ საბაჟო საქმეს. ამასთან, საბაჟო ორგანო, ხელისუფლების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოქმედებს სახელმწიფოს სახელით და უფლებამოსილია გამოსცეს განკარგულებები, რომელიც სავალდებულია ყველა სახელმწიფო ორგანოსათვის, მოითხოვოს პასუხი განკარგულების შესრულების თაობაზე. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ საბაჟო ორგანოების მთავარ არენას შეადგენს სახელმწიფო საზღვრების ეკონომიკური დაცვა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო ორგანოები, დარგობრივი მართვის ორგანოებია, რომელიც ხელმძღვანელობს ერთ კონკრეტულ და სპეციფიკურ დარგს – საბაჟო საქმიანობას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამიტომ იგი ცენტრალიზებული მართვის ორგანოა. საბაჟო ორგანოები აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო მმართველობის სპეციფიკურ სფეროში, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო საზღვარზე სხვადასხვა სახეობის ტვირთის, მათ შორის ბარგისა და საფოსტო გზავნილების, ვალუტისა და ძვირფასეულობის გატარებასთან, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა გაშვებასთან, უზრუნველყოფს მგზავრთა და ტვირთთა გაშვებასა და

მომსახურებას. მათი მეშვეობით უზრუნველყოფილია ბაჟისა და მოსაკრებლების ამოღება.

საბაჟო განლაგებულია უშუალოდ სახელმწიფო საზღვრის ხაზზე, ან სასაზღვრო ზონის ახლოს. ზოგ შემთხვევაში კი – დიდ ქალაქებში, რომლებიც დანიშნულების იმ პუნქტებს წარმოადგენენ, სადაც ხდება ექსპორტიორი ქვეყნებიდან ტვირთების შეტანა. ამ შემთხვევაში ტვირთები საბაჟო საზღვარზე კი არ ჩერდება არამედ, მიემართება ქვეყნის სიღრმეში შესაბამის საბაჟოებში გასაფორმებლად.

პრაქტიკაში მიღებულია საბაჟოების ორი ტიპი: შინაგანი და სასაზღვრო. სახელმწიფო საზღვარზე განლაგებული საბაჟოები სასაზღვრო საბაჟოებია. ამ დაყოფის მიხედვით, თბილისის საბაჟო შეიძლება მივიჩნიოთ შინაგან საბაჟოდ იმ შემთხვევაში, როცა ტვირთი თბილისში შედის რკინიგზით, ან საავტომობილო ტრანსპორტით. მაგრამ თუ საქმე ეხება თბილისის აეროპორტს, რომლის საერთაშორისო რეისების შესრულებისას საზღვარი გადაიკვეთება თბილისის აეროპორტის საბაჟოში, იგი სასაზღვრო საბაჟოდ გვევლინება. ე.ი. ერთი და იგივე პუნქტში საბაჟო ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს შინაგანი, ხოლო მეორე შემთხვევაში სასაზღვრო საბაჟო.

საბაჟოს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა მისი იერარქიული სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს ამ სისტემის რგოლების განვითარებას, იგი შედგება ფინანსთა სამინისტროს, შემოსავლების სამსახურის და მასში შემავალი საბაჟო ორგანოებისაგან (რეგიონალური სამმართველოები, საბაჟო საგუშაგოები, საბაჟო გამშვები პუნქტები). სისტემის თითოეული რგოლი იმყოფება იერარქიული კიბის განსაზღვრულ საფეხურზე. ზოგადად ორგანიზაციული სტრუქტურის მართვის დონე ისეთი რგოლების ერთობლიობაა, რომლიც მმართველობის სისტემაში ერთსა და იმავე საფეხურს იკავებს. უმეტეს ქვეყნებში საბაჟოს მართვის ოთხი დონეა: სამინსტრო, საბაჟო დეპარტამენტი, რეგიონალური საბაჟო და საბაჟო ორგანოები.

საბაჟო სისტემის რგოლებისა და დონეების ურთიერთობა ემყარება ვერტიკალურ, ჰორიზონტალურ და დიაგონალურ მართვას.

საბაჟო ორგანოების მართვის სპეციფიკური ფუნქციებია:

1. საბაჟო გაფორმების, საბაჟო კონტროლის, სამართალდამცავი საქმიანობის მართვა;
2. საბაჟო საფინანსო და საბუღალტრო საქმიანობის მართვა;
3. საბაჟოში საკადრო პოლიტიკის, შრომითი, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური და სოციალური უზრუნველყოფის მართვა;
4. საბაჟო ინფრასტრუქტურის, ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობის მართვა.

მართვის მეთოდი არის დასახული მიზნების მიღწევის წესების, გზების, ხერხების, საშუალებებისა და ფორმების ერთობლიობა. ისინი საბაჟო ორგანოების უმთავრესი სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტის, საერთოდ საბაჟო სისტემის ფუნქციონირების საშუალებასა და ფორმების ერთობლიობას გულისხმობს.

კერძო, კონკრეტული მეთოდები გამოიყენება საბაჟოს ოპერატიულ და მიმდინარე მართვაში. მართვის მეთოდებს მიუკუთვნება ადმინისტრაციული და ეკონომიკური ზემოქმედების, მატერიალური და ადმინისტრაციული სტიმულირების, სოციალ-ფსიქოლოგიური და მართვის სხვა მეთოდები. საბაჟო ორგანოების სისტემა მოითხოვს მუდმივ სრულყოფას, განახლებას, მოდერნიზაციას, რეფორმებს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური მართვის ორგანოა, რომელსაც ექვემდებარება ყველა საბაჟო დაწესებულება, იგი

უშუალოდ ახორციელებს საბაჟო პოლიტიკას, საბაჟო საქმის საკითხებზე ამზადებს სამართლებრივ აქტებს, რომლებიც სავალდებულოა ყველა დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის, სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის. სამსახური ხელმძღვანელობს კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოებას და საბაჟოების აღჭურვას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით.

საბაჟო საქმის ამოცანათა გადაწყვეტის მიზნით საქართველოს საბაჟო ორგანოები სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან, საწარმოებთან, პირველ რიგში კი საქართველოს პრეზიდენტთან და საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობს.

საბაჟო ორგანოებს განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობები აქვთ სამართალდამცავ და სასაზღვრო ორგანოებთან.

საბაჟო საქმის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, საბაჟო სისტემა, მისი ყველა სამსახური ხელს უწყობს ქვეყნის ბიუჯეტის შევსებას. განვითარებულ ქვეყნებში იგი შემოსავლის 5-10%-ია, ხოლო განვითარებად ქვეყნებში 20-40%.

საბაჟო ორგანოების მხრიდან მუდმივ ყურადღებას საჭიროებს საკადრო სფეროში სტაბილური მდგომარეობის შექმნა, მებაჟეთა ტრენინგი, კადრების დენადობის შეჩერება, მუდმივ კვალიფიკაციურ მებაჟეთა მყარი რაზმის ჩამოყალიბება.

საბაჟო საქმიანობის განხორციელების მიზნით, საქონლის ექსპერტიზისა და სხვა გამოკვლევის ჩასატარებლად, საბაჟო კოდექსისა და სხვა სხვა ნორმატიული აქტების თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლება აქვს შექმნას საბაჟო ლაბორატორიები, სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო და სხვა საწარმო დაწესებულებები.

საბაჟო სამსახურს დაქვემდებარებული ქონება არის სახელმწიფო საკუთრება, რომლის განკარგვა ევალება თვით საბაჟო სამსახურს. ეს ქონება პრივატიზაციას არ ექვემდებარება.

კონფიდენციალური საბაჟო ინფორმაცია არ შეიძლება გამოქვეყნდეს საბაჟოს თანამდებობის პირთა მიერ, ან გამოყენებულ იქნეს საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ პირადი მიზნით, ან გადაეცეს მესამე პირს გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საქართველოში, ისევე როგორც ნებისმიერ ქვეყანაში, საბაჟო საქმის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები, ხოლო საბაჟო საქმის უშუალო განხორციელება ეკისრება საბაჟო ორგანოებს.

3.2.1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემა

ფინანსთა სამინისტრო ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, ან მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს. სამინისტრო ასრულებს და მოქმედებებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობის სრული დაცვით.

ფინანსთა სამინისტრო ასრულებს მრავალ ფუნქციას. საბაჟო სფეროში ძირითადი ფუნქციებია:

1. საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა;
2. საფინანსო-საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო აქტების,

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებისა და განკარგულებების შესრულების ორგანიზება და კონტროლი;

3. საგადასახადო, საბაჟო და საფინანსო-საბიუჯეტო კანონმდებლობის აღსრულებისა და გამოყენების ინსტრუქციების, მეთოდური მითითებების შედგენა და დადგენილი წესით მათი მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა;
4. საბაჟო და საგადასახადო ორგანოების მეშვეობით მიღწეული და მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და პროგნოზირება;
5. სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში ჩადენილ დანაშაულთა გამოვლენა-აღკვეთა, თავიდან აცილება, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობების დარღვევის ფაქტების შესწავლა, ანალიზი და შეფასება.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საფინანსო ორგანოები შედიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, ესენია:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო;
3. რაიონებისა და ქალაქების სახელმწიფო დაქვემდებარების საფინანსო ორგანოები.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზებას უწევს საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას საბაჟო რეჟიმების ეფექტიან გამოყენებას; ასევე ახორციელებს საბაჟო ორგანოების მართვას, კოორდინაციასა და ზედამხედველობას, ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებელი მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მიღებული მითითებების საფუძველზე. მათი შესრულება სავალდებულოა საბაჟო ორგანოებისათვის. სამინისტროს პრეროგატივაა ორგანიზება გაუწიოს საბაჟო გადასახდელების აკრეფას და სახელმწიფო ბიუჯეტში მათ დროულ და სრულ შეტანას, მანვე უნდა განახორციელოს კონტროლი და შეიმუშაოს წინადადებები პროცესის სრულყოფისათვის. სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირება და ნებართვების გაცემა, მათში ცვლილებების შეტანა, მოქმედების შეჩერება, განახლება და გაუქმება, ასევე სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებს განეკუთვნება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამინისტრო ახორციელებს საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული – სამართალდარღვევების საქმეების განხილვას, მონაწილეობს სახელმწიფო უშიშროების, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ცხოველებისა და მცენარეების, გარემოს დაცვის ღონისძიებებში.

მინისტრი კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებას. იგი პასუხისმგებელია ბრძანების კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე.

კანონმდებლობის მიხედვით ბრძანებას უნდა ჰქონდეს სათაური, მასზე მითითებული უნდა იყოს: მიღების თარიღი და ადგილი, ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადა, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი.

3.2.2. შემოსავლების სამსახურის საბაჟო ორგანოები და მისი სისტემა

შემოსავლების სამსახურის საბაჟო ორგანოები სახელმწიფო საქვემაუწყებო დაწესებულებაა, რომელიც შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში.

საქართველოს საქვემაუწყებო დაწესებულება იქმნება, გარდაიქმნება და საქმიანობას წყვეტს კანონით, ან მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს საქვემაუწყებო დაწესებულების დებულებას ამტკიცებს მინისტრი. დებულება უნდა შეიცავდეს:

1. სამსახურის სრულ დასახელებას და იურიდიულ მისამართს;
2. სამსახურის სფეროს და ამოცანებს;
3. სამსახურის ხელმძღვანელობის ორგანიზების წესებს და ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობებს;
4. სამსახურის სისტემას, სტრუქტურას, სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითად ამოცანებს და კომპეტენციას.

სახელმწიფო საქვემაუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელს, მინისტრის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს პრემიერ-მინისტრი.

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოს მმართველობის სფერო, უფლება-მოვალეობანი და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება ტერიტორიული ორგანოს დებულებით, რომელსაც მინისტრი ამტკიცებს.

საბაჟო სისტემა არის საბაჟო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ერთიანობა, რომელიც, როგორც ეკონომიკური ინსტიტუტი ახორციელებს საბაჟო ფუნქციებს და ამოცანებს. საბაჟო ორგანიზაცია მოიცავს იმ სახელმწიფო ინსტიტუტებს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საბაჟო ფუნქციები – ფისკალური და ეკონომიკური საზღვრის დაცვის ფუნქცია. პირველ რიგში, ეს არის სამინისტრო, შემოსავლების სამსახურის სახით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ 2006 წლის 29 დეკემბრის ბრძანების თანახმად იგი არის საქვეუწყებო დაწესებულება, რომლის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციებს. თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებენ საბაჟო და საგადასახადო საქმიანობასთან დაკავშირებულ, სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ, ქმედებებს. მათ კომპეტენციას მიკუთვნებული დანაშაულის, საგადასახადო და საბაჟო სამართალდარღვევის გამოვლენის, შესწავლის, აღკვეთის სამუშაოებს. მათვე მინიჭებული აქვთ უფლება საკმარისი მონაცემების არსებობისას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად გამოიყენონ დებულებები და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული უზრუნველყოფის ზომები.

საბაჟო ორგანოები არის დაწესებულება, რომლის სტრუქტურა შედგება ცენტალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოებისაგან.

ფინანსთა მინისტრის იგივე ბრძანებით განსაზღვრულია რეგიონალური საბაჟოს ტიპური დებულება, რომლის მიხედვითაც, რეგიონალური საბაჟო არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო სამსახურს დაქვემდებარებული ქვედანაყოფი, რომელიც თავის სამოქმედო ტერიტორიაზე პასუხისმგებელია ერთიანი საბაჟო პოლიტიკის განხორციელებაზე და საბაჟო კანონმდებლობის შესრულებაზე. მისი ძირითადი ფუნქციებია:

- კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო პოლიტიკის ამოცანების პრაქტიკული რეალიზაცია;
- საბაჟო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისათვის საბაჟო რეჟიმის შესაბამისი რეგულირების უზრუნველყოფა;
- საბაჟო გაფორმებისა და კონტროლის ოპერაციების უზრუნველყოფა;

- საბაჟო გადასახდელებისა და მოსაკრებლების დარიცხვა, ამოღება და მათი ბიუჯეტში გადარიცხვის უზრუნველყოფა;
- საბაჟო სტატისტიკისა და აღრიცხვის წარმოება;
- კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფუნქციების განხორციელება.

საბაჟოს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდეობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ფინანსთა მინისტრი. საბაჟოს საჯარო მოსამსახურეებს (მინისტრის ნომნეკლატურის თანამდეობათა გარდა) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელი.

საბაჟოს სტრუქტურული ერთეულებია:

- საბაჟო გამშვები პუნქტი;
- საბაჟო საგუშაგო;
- საბაჟო გაფორმების განყოფილება;
- ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება;
- იურიდიული განყოფილება;
- ადმინისტრაციული განყოფილება;

საბაჟო კანონმდებლობით საბაჟო გამშვები პუნქტისათვის განსაზღვრულია ძირითადი ფუნქციები და ამოცანები:

- საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვა და კონტროლი;
- საბაჟო რეჟიმების მიხედვით საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის გაფორმება;
- საბაჟო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთისას კანონდარღვევათა გამოვლენა და აღკვეთა.

საბაჟო საგუშაგო არის ფინანსთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანო, რომელიც ახორციელებს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებასა და აღრიცხვას, მათ შესაბამის საბაჟო რეჟიმში მოქცევისა, საბაჟო მიზნისათვის საჭირო დოკუმენტებისა და მონაცემების შემოწმებას, აღრიცხვიანობასა და ანგარიშგებას. ასევე დეკლარაციისა და თანდართული საბუთების სისწორის შემოწმებას, დარღვევათა აღმოჩენა–ლიკვიდაციას.

დღეისათვის საქართველოში მოქმედებს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციის შემდეგი რეგიონალური ცენტრები:

თბილისი – საბაჟო საგუშაგო, ‘თბილისის აეროპორტი”;
საბაჟო გამშვები პუნქტი “ყაზბეგი”;
საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელების ადგილები; მცხეთა, გორი, ერევანი–თბილისი–ბათუმი სწრაფი მატარებელი.

ბათუმი – საბაჟო საგუშაგო ბათუმის პორტი;
საბაჟო გამშვები პუნქტები “სარფი”, აეროპორტი.

ქუთაისი – საბაჟო გამშვები პუნქტები: ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები.
საბაჟო კემპინგი სოფ. ქვიტირი.

რუსთავი – საბაჟო გამშვები პუნქტები: ”წითელი ხიდი”, ”სადახლო”, ”გარდაბანი”, ”ახკერპი”, ”გეგუთი”, ”მტკვარი”.

ფოთი – საბაჟო საგუშაგო ფოთისა და ყულევის პორტში.

თელავი – საბაჟო გამშვები პუნქტი “ლაგოდეხი”, ”სამთაწყარო”.

ახალციხე – საბაჟო გამშვები პუნქტი “ვალე”, “ნინოწმინდა”.

ცხინვალი – საბაჟო მომსახურების სააგენტო სოფ. ხეითი.

ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების ფუნქციებია საბაჟო

საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების სტატისტიკის წარმოება, ანგარიშსწორებისას ამონაგები თანხის აღრიცხვა, სტატისტიკური ინფორმაციის გაცემა.

მომსახურების განყოფილების ფუნქციებია დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისათვის კონსულტაციების გაწევა, საბაჟო კანონმდებლობის საფუძველზე, დეკლარაციის რეგისტრაცია.

ადმინისტრირების განყოფილების ფუნქციებია საგადასახადო დავალიანებათა ამოღება, კანონდარღვევათა ფინანსური და ადმინისტრაციული საინფორმაციო ბაზების წარმოება.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია საბაჟო ორგანოს სახელმწიფო მოხელის სტატუსი, თანამდებობაზე დანიშვნის, დისციპლინარული პასუხისმგებლობის, განთავისუფლებისა და სხვა პირობები.

სამსახური საბაჟო ორგანოებში მიეკუთვნება სახელმწიფო სამსახურს კატეგორიას.

საბაჟო ორგანოების მუშაკებს უფლება აქვთ:

1. თავის კომპეტენციის ფარგლებში განიხილონ საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები;
2. თანამდებობრივი ფუნქციების შესრულებისას გამოიყენონ მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები;
3. მოითხოვონ სამსახურებრივი გამოძიება თავის პატივისა და ღირსებას შემლახველი ცნობების გაბათილების მიზნით;
4. თავის ინიციატივით მიიღონ მონაწილეობა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამართულ კონკურსში.

საბაჟოს თანამშრომლებს ეკრძალებათ კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობა. მათ შეუძლიათ იყვნენ აქციებისა და წილების მფლობელნი.

თანამშრომელთა სამუშაო კვირაა – 40 სთ. მათ ეძლევად შესაბამისი შვებულებები.

საბაჟო ორგანოებიდან შეიძლება დათხოვილნი იქნენ თანამშრომლები:

1. სამსახურის ვადის გასვლის გამო;
2. საკუთარი ინიციატივით;
3. შემცირებასთან დაკავშირებით;
4. საბაჟო ორგანოს ლიკვიდაციის გამო;
5. დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო;
6. ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო;
7. ასაკის გამო;
8. სხვა დაწესებულებაში გადასვლასთან დაკავშირებით;
9. გარდაცვალების გამო და სხვა.

ზღვრული ასაკი საბაჟო ორგანოებში მუშაობისას არის: მამაკაცთათვის-65 წელი, ქალთათვის – 60.

საბაჟო ორგანოს თანამშრომელთათვის ფინანსთა სამინისტროში დაწესებულია შემდეგი სპეციალური წოდებები:

1. საშუალო სპეციალური წოდება – უმცროსი ინსპექტორი მე-3, მე-2, 1-ლი კლასისის ინსპექტორი;
2. უფროსი სპეციალური წოდება - მე-3, მე-2, 1-ლი კლასის მრჩეველი;
3. უმაღლესი სპეციალური წოდება – სახელმწიფო მრჩეველი და მთავარი სახელმწიფო მრჩეველი.

საშუალო და უფროსი სპეციალური წოდების მინიჭება ხდება განსაზღვრული ვადით.

უმაღლესი სპეციალური წოდება ენიჭება უვადოდ. ამ წოდებას ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი.

3.3. საბაჟო რეჟიმები

3.3.1. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის ძირითადი პრინციპები

საქართველოს საბაჟო საზღვრების გადაკვეთა – გულისხმობს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის, ან სატრანსპორტო საშუალებების ნებისმიერი წესით შემოტანას, ან ამ ტერიტორიიდან მათ გატანას, მათ შორის გაგზავნას საერთაშორისო საფოსტო გზავნილებით, მილსადენი ტრანსპორტისა და ელექტროგადამცემი ხაზების გამოყენებით.

საბაჟო რეჟიმი არის საბაჟო საქმის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი. მხოლოდ საბაჟო რეჟიმის შესაბამისად ხდება საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა.

საბაჟო რეჟიმი იმ დებულებათა ერთობლიობაა, რომლიც განსაზღვრავს საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის წესსა და მიზნებს.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებისათვის საბაჟო რეჟიმების სახეობათა რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. მაგალითად, საქართველოში შვიდი, რუსეთის ფედერაციაში ჩვიდმეტი და ა.შ. საბაჟო რეჟიმების სახეობანი განსაზღვრულია შესაბამისი ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობით.

საბაჟო რეჟიმების რეგულირების მიზნით, გამოიყოფა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო რეჟიმების სახეობათა ჯგუფები.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება რეჟიმები, რომელთა მიხედვით საბაჟო რეჟიმში მოქცევის შემდეგ საქონელი გადადის მესაკუთრის, მფლობელის ან მათ მიერ უფლებამოსილი პირის გამგებლობაში, ე.ი. ამ ჯგუფის რეჟიმებს აქვთ დამამთავრებელი ხასიათი. პირველი ჯგუფის საბაჟო რეჟიმებია: მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი), ექსპორტი და საბაჟო დამუშავების პროცედურა – რეექსპორტი.

მეორე ჯგუფის საბაჟო რეჟიმები დასაშვებად მიიჩნევენ საქონლის გამოყენებას მკაცრად განსაზღვრული მიზნებისათვის. იგი ხორციელდება საქართველოს საბაჟო ორგანოების მიერ დადგენილი პრინციპებისა და ნორმების დაცვის პირობებში. ამ ჯგუფს მიეკუთვნება საბაჟო რეჟიმების შემდეგი სახეობანი: საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა, საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავება, საქონლის დროებითი შემოტანა, საქონლის გადატანა თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში, გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ, ასევე საბაჟო დამუშავების პროცედურით განადგურება, უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ, საქონლის ტრანზიტი.

მეორე ჯგუფის რეჟიმების მიზანია სხვადასხვა ეკონომიკური ამოცანის გადაწყვეტა.

საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული შვიდივე საბაჟო რეჟიმი ორიენტირებულია ვაჭრობის, მრეწველობის და საერთაშორისო გადაზიდვების განვითარებაზე.

საქართველოს საბაჟო და სახელმწიფო საზღვრის დაცვის კანონმდებლობა განსაზღვრას საქართველოს სახელმწიფო საზღვრისა და სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის ცნებებს, საზღვრის დადგენის, აღნიშვნისა და გადაკვეთის პირობებსა და წესებს. ეს წესები საფუძვლად უდევს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას. კანონმდებლობის ძირითადი დებულებებია:

საქართველოს სახელმწიფო საზღვარი არის ხაზი და მასზე გამავალი ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც საქართველოს ტერიტორიას – ხმელეთს,

წყალს, წიაღს, საჰაერო სივრცეს – გამოყოფს მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიისაგან; საქართველოს საზღვრების ფარგლებში არსებულ ტერიტორიაზე ვრცელდება საქართველოს სრული უზენაესობა და სუვერენიტეტი.

საზღვარი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის:

გეოგრაფიული საზღვარი, რომელიც გაიყვანება ადგილობრივი რელიეფის გათვალისწინებით.

გეომეტრიული საზღვარი ერთი წერტილიდან მეორე წერტილამდე გავლებული ხაზია.

ასტრონომიური საზღვარი გაიყვანება მერიდიანების ან პარალელების გასწვრივ (რუსეთის პოლარული სექტორი, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის საზღვარი და სხვა).

საზღვარი გაიყვანება ორი მოსაზღვრე სახელმწიფოს შეთანხმებით. ამ შეთანხმებას დართული რუკა ასახავს. ხელშეკრულებით ზუსტად განისაზღვრება საზღვრების მიმართულება. ამ სტადიას დელიმიტაცია ეწოდება. ადგილზე საზღვრის გაყვანას-დემარკაციას ორივე სახელმწიფოს მიერ შექმნილი სპეციალური კომისიები ახორციელებენ. უკვე არსებული საზღვრების შემოწმებას, სასაზღვრო ნიშნების აღდგენას ან დამატებას რედემარკაცია ეწოდება;

1. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი დგინდება:

ა. ხმელეთზე – რელიეფის დამახასიათებელი წერტილებისა და ხაზების ან თვალსაჩინო ორიენტირების მეშვეობით;

ბ. ზღვაზე – საქართველოს ტერიტორიული წყლებისა და მათი მიმდებარე ზონის მიხედვით;

გ. სანაოსნო მდინარეზე – მთავარი ფარვატერის ან ტალვეგის შუაში;

დ. არასანაოსნო მდინარეზე ან ნაკადულზე – შესაბამისად მდინარის ან ნაკადულის ანდა მისი მთავარი ტოტის შუაში;

ე. ტბაზე, ხელოვნურ წყალსატევსა და წყალსაცავზე – სწორ ხაზზე, რომელიც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ტბაზე, ხელოვნურ წყალსატევსა და წყალსაცავზე გავლით წერტილებს ერთმანეთთან აერთიანებს;

ვ. ხელოვნურ წყალსატევზე ან წყალსაცავზე – მის შევსებამდე არსებული საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ხაზის შესაბამისად;

ზ. სასაზღვრო ზოლში მდებარე სარკინიგზო და ავტოსაგზაო ხიდებზე, კაშხლებსა და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე – მათი გეგმის განივი ღერძის ან ნაგებობის შუაში, მიუხედავად იმისა, თუ სად გადის საქართველოს სახელმწიფო საზღვარი წყალზე;

2. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ადგილზე აღინიშნება თვალსაჩინო სასაზღვრო ნიშნებით;

3. საქართველოს ტერიტორიულ წყლებს (ტერიტორიულ ზღვას) მიეკუთვნება შავი ზღვის სანაპირო წყლების ნაწილი, რომლის სიგანეა 12 საზღვაო მილი;

4. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია სახელმწიფო სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან, ესენია:

ა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო ორგანოები;

ბ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტი;

გ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

დ. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

ე. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;

საქართველოს საბაჟო კოდექსის მეხუთე კარის XY – XYIII თავების შესაბამისად, საბაჟო რეგულირების მიზნით დაწესებულია საქონლის განთავსებისა და საბაჟო დამუშავების შემდეგი სახეობანი:

საბაჟო რეჟიმები:

1. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი);
2. საქონლის ტრანზიტი;
3. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა;
4. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება;
5. საქონლის დროებითი შემოტანა;
6. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავება;
7. საქონლის ექსპორტი.

გარდა ამისა, საბაჟო კოდექსით განსაზღვრულია საბაჟო დამუშავების დამატებითი ოპერაციები:

- საქონლის განთავსება თავისუფალ ზონასა და თავისუფალ საწყობში;
- საქონლის რეექსპორტი;
- საბაჟო ზედამხედველობით საქონლის განადგურება;
- საქონლის გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში.

ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება ნებისმიერ დროს აირჩიოს ნებისმიერი საბაჟო რეჟიმი, ან შეცვალოს იგი მეორით, საქონლის, ან სატრანსპორტო საშუალების ხასიათის, რაოდენობის, მწარმოებელი, ან დანიშნულების ქვეყნის მიუხედავად, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საქართველოს საბაჟო კოდექსით და საბაჟო კანონმდებლობის სხვა აქტებით.

3.3.2. საბაჟო რეჟიმების სახეები

საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტი) საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის მუდმივ დატოვებას ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, მისი გატანის ვალდებულებების გარეშე. ტერმინი "საქონელი თავისუფალი მიმოქცევისათვის" ნიშნავს საქართველოს საბაჟო საზღვარზე გატარებულ საქონელს, რომლით სარგებლობაც შეიძლება საბაჟო ორგანოს ნებართვის გარეშე.

საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი) ითვალისწინებს ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ აუცილებელ პირობას: საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელების გადახდას და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების დაცვას.

ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებია – საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის განსაკუთრებული პირობები, რომლებიც დაწესებულია საქართველოს ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე და შეიძლება შეიცავდეს კვოტირებას, ლიცენზირებას, მინიმალური და მაქსიმალური ფასების დაწესებას, აგრეთვე, მსოფლიო მეურნეობასთან საქართველოს ეკონომიკის ურთიერთკავშირის რეგულირების სხვა ღონისძიებებს.

იმპორტის საბაჟო რეჟიმი ითვალისწინებს შემდეგ საბაჟო გადასახდელებს: საბაჟო გადასახადი, აქციზი, დამატებული ღირებულების გადასახადი, საბაჟო მოსაკრებელი.

თავუსუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო რეჟიმით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატანად განკუთვნილი საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები ექვემდებარება საბაჟო კონტროლს საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისთანავე.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოტანისას, ტვირთის გადამაადგილებელი ფიზიკური, თუ იურიდიული პირი (გადამზიდველი, ტვირთის მეპატრონის ნდობით აღჭურვილი პირი, ან ტვირთის გადაზიდვაზე პასუხისმგებელი სხვა პირი) საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას ვალდებულია განუცხადოს (წერილობით ან ზეპირად) ამის შესახებ საზღვრის გადაკვეთის ადგილებში საბაჟო გამშვები პუნქტის პასუხისმგებელ პირებს, წარუდგინოს საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები თანმხლებ დოკუმენტაციასთან ერთად.

დეკლარანტი ვალდებულია წარუდგინოს საბაჟო ორგანოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული სარეგისტრაციო ფორმა – გადასახადის გადამხდელთა რეესტრში ჩართვისა და საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების შესახებ;
2. სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია, საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილ ვადებში;
3. მხარეებს შორის სათანადო წესით გაფორმებული ხელშეკრულება (კონტრაქტი);
4. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი, ან წარმოშობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები;
5. სხვა სახელმწიფო ორგანოების (ვეტერინარული, სანიტარიული, საკარანტინო, ფიტო-სანიტარული) ნებართვები, თუ საქონელი ექვემდებარება ასეთი ორგანოების კონტროლს. სავალდებულო სერტიფიცირებას დაქვემდებარებულ ტვირთებზე, საქსტანდარტის მიერ გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი;
6. ლიცენზია, თუ საქონელი საქართველოში თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით შემოტანისას ლიცენზირებას ექვემდებარება;
7. სატვირთო საქონლის თანმხლები დოკუმენტები, ანგარიშ-ფაქტურისა და ანგარიშ-პროფორმის ჩათვლით.

და სხვა დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია საბაჟო გაფორმებისათვის.

საბაჟო გაფორმებისათვის საბაჟო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საგადასახადო დოკუმენტი, საბაჟო ორგანოს უნდა წარედგინოს საბაჟო გაფორმებისათვის აუცილებელი საბუთების დედნების სახით. საჭიროებისამებრ, საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირს უფლება აქვს მოითხოვოს სათანადო უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, იმ პირისაგან, რომელიც ახდენს საქონლის დეკლარირებას სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში გაცხადებული მონაცემების შემოწმების მიზნით, საბაჟო ორგანომ შეიძლება მოითხოვოს ის სატვირთო-საბაჟო დოკუმენტაცია, რომელიც გაფორმებულ იქნა ტვირთის გამგზავნი ქვეყნის საბაჟო ორგანოს მიერ. საბაჟო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შესახებ, მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც გადახდილი იქნება დადგენილი გადასახდელები.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტის საბაჟო რეჟიმი– ნიშნავს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების უცხო სახელმწიფოთა ან ერთი სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულებს შორის გადაადგილებას მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის გავლით, საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

საქართველოს საბაჟო კოდექსის XVI თავში მოცემულია სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის შემდეგი პირობები:

1. საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გადაადგილებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები:

ა) უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რაც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში დანაკარგებით და არ უნდა გამოიყენებოდეს რაიმე სხვა მიზნით, გარდა ტრანზიტისა;

ბ) უნდა მიეწოდოს გასასვლელ საბაჟო ორგანოს შემოსასვლელი საბაჟო ორგანოს მიერ, გაშვებიდან დადგენილ ვადებში სატრანსპორტო საშუალებათა შესაძლებლობების, დასახული მარშრიტებისა და გადაზიდვის სხვა პირობების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს ათი დღისა;

2. საქართველოს ტერიტორიაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ გზითა და მიმართულებით, გადამზიდველის შეხედულებით, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი სათანადოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორაგანოების მიერ.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, საბაჟო ორგანოს უფლება აქვს საქონელი მოაქციოს ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში, სატრანსპორტო საშუალებებით ტვირთების გადაზიდვების საერთაშორისო ნორმების დაცვის, ერთი კონკრეტული მარშრუტის დაწესების, საბაჟო თანხლების, ან საბაჟო გადამზიდველის მიერ საქონლის გადაზიდვის პირობით, საბაჟო კოდექსითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

სატრანზიტო საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების თამხლები დოკუმენტაცია. გამშვებ საბაჟო ორგანოს წარედგინება შესაბამის სატრანზიტო საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებთან ერთად.

საქართველოს საბაჟო კოდექსში განსაზღვრულია გადამზიდველის ვალდებულებები:

1. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტის განხორციელება ეკისრება გადამზიდველს;
2. საქართველოს საბაჟო ორგანოს ნებადაურთველად, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაცემის, დაკარგვის, ან გამშვებ საბაჟო ორგანოში მიუტანლობის შემთხვევაში, გადამზიდველმა უნდა გადაიხადოს საბაჟო გადასახდელები საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო რეჟიმის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დანაკლისი მოხდა ბუნებრივი ცვეთის, ტრანსპორტირების, ან შენახვის ნორმალურ პირობებში დანაკარგების შედეგად, ან თუ საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები განადგურდა, ან დაიკარგა ავარიისა თუ დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად.

საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმი–გულისხმობს საქართველოში შემოტანილი, ან საქართველოდან გასატანი საქონლის შენახვას საბაჟო კონტროლით, საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით, საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის რეჟიმში შეიძლება მოექცეს ნებისმიერი საქონელი, გარდა იმ

საქონლისა, რომლის შემოტანა საქართველოში ან საქართველოდან გატანა აკრძალულია. ამასთან, საქონელი, რომელიც მოითხოვს შენახვის განსაკუთრებულ პირობებს, უნდა ინახებოდეს სპეციალურად მოწყობილ სათავსებში.

საბაჟო საწყობში მოქცეული საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ოპერაციები: გასუფთავება, განიავება, გაშრობა (მათ შორის სითბოს მიწოდებით), შენახვის ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმის შექმნა (გაცივება, გაყინვა, გახურება); დამცავ შეფუთვაში მოთავსება; დამცავი საფენისა და კონსერვანტის ჩამატება; ჟანგსაწინააღმდეგო შეღებვა; დამცავი მოწყობილობის შეყვანა; ანტიკოროზიული საფენის ჩატანება ტრანსპორტირების წინ; პარტიის დანაწილება.

საბაჟო საწყობში შენახულ საქონელზე, საბაჟო გადასახდელების ვალდებულება ეკისრება საქონლის მესაკუთრეს, მფლობელს, ან მათ მიერ უფლებამოსილ პირს. საბაჟო საწყობის რეჟიმი ითვალისწინებს მხოლოდ საბაჟო მოსაკრებელის გადახდას.

საქონლის შესანახად გამოიყენება სპეციალურად მოწყობილი სათავსები – საბაჟო საწყობები. საბაჟო საწყობი შეიძლება იყოს ღია, რომელიც გამოსაყენებლად ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის და დახურული, რომელიც გათვალისწინებულია განსაზღვრულ პირთა საქონლის შესანახად. დახურული საბაჟო საწყობები შეიძლება შეიქმნას კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე.

საბაჟო საწყობის მფლობელი ვალდებულია:

1. დაიცვას საბაჟო საწყობის შექმნის ლიცენზიით გათვალისწინებული პირობები და შეასრულოს საბაჟო ორგანოების მოთხოვნები, უსასყიდლოდ გამოუყოს მათ საბაჟო საწყობში საბაჟო კონტროლისა და საბაჟო გაფორმებისათვის აუცილებელი სათავსი, მოწყობილობა და კავშირგაბმულობის საშუალებანი;
2. ხელი არ შეუშალოს საბაჟო კონტროლის განხორციელებას;
3. გამორიცხოს საბაჟო საწყობში არსებული საქონლის ამოღების შესაძ-ლებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს საჭიროა საბაჟო კონტ-როლისათვის;
4. აღრიცხოს შენახული საქონელი და საბაჟო ორგანოებს ამ საქონლის თაობაზე წარუდგინოს ანგარიში დადგენილი წესით.

საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საბაჟო ტერიტორიაზე დადგენილი წესით უცხოური საქონლის საბაჟო კონტროლის პირობებში გადასამუშავებლად გამოყენებას ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად და გადამუშავების პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, (იმპორტის). ან სხვა საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად.

საქართველოს საბაჟო კოდექსით, აღნიშნული საბაჟო რეჟიმისათვის გათვალისწინებული საქონლის გადამუშავების წესები და გაფორმების ოპერაციები მოიცავს:

ა. საქონლის დამზადებას (დამუშავებას, გადამუშავებას), მათ შორის, მონტაჟს, აწყობასა და სხვა საქონელზე მორგებას;

ბ. საქონლის შეკეთებას, მის აღდგენასა და წესრიგში მოყვანას;

გ. იმ საქონლის გამოყენებას, რომელიც ხელს უწყობს, ან აადვილებს გადამუშავების პროდუქტების წარმოებას, თუნდაც ეს საქონელი მთლიანად, ან ნაწილობრივ მოიხმარებოდეს გადამუშავების პროცესში.

ამ საბაჟო რეჟიმით საქონლის გადამუშავება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებისა და საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესების დაცვისათვის თავის ასარიდებლად.

შემთხვევები, როცა საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენება დაუშვებელია, განისაზღვრება კანონმდებლობით.

საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი საშუალებას იძლევა, ამ ტერიტორიაზე გამოყენებულ იქნეს ერთი ან ერთზე მეტი ოპერაცია:

ა იმპორტის გადასახდელების გადახდის გარეშე შემოტანილი უცხოური საქონელი, ასევე მისგან მიღებული პროდუქტები, გატანისას ექსპორტის გადასახადის გადახდას არ ექვემდებარება;

ბ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონელზე მიმართ არ გადაიხდება გადასახდელები (გარდა მოსაკრებლებისა), ხოლო იმპორტის გადახდილი გადასახდელები ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების პირობებია:

ა გადამუშავებელი საქონლის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა:

ბ გადამუშავების პროდუქტების პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის ეკონომიკურად გამართლებელი შესაძლებლობა.

საბაჟო გადამუშავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.

საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი საშუალებას იძლევა, საბაჟო ტერიტორიის გარეთ დროებით გატანილი საქართველოს საქონლის მიმართ გამოყენებულ იქნეს საქონლის გადამუშავების ერთი, ან ერთზე მეტი ოპერაცია და გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას გაშვებულ იქნეს თავისუფალი მიმოქცევაში იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) გადახდისაგან სრულად, ან ნაწილობრივ გათავისუფლებით. საქონლის გატანისას გადაიხდება ექსპორტის გადასახდელები და ტარდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს საქონლის ექსპორტისას.

საქონლის საქართველოს გარეთ გადამუშავების ოპერაციები იგივეა, რაც საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების დროს. ეს ოპერაციებია:

ა. საქონლის დამზადება (დამუშავება, გადამუშავება), მათ შორის მონტაჟი, აწყობა და სხვა საქონელზე მორგება;

ბ. საქონლის შეკეთება, კერძოდ მისი აღდგენა და წესრიგში მოყვანა;

გ. იმ საქონლის გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავების პროდუქტების წარმოებას, თუნდაც ეს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ მოიხმარებოდეს გადამუშავების პროცესში.

საბაჟო კოდექსის შესაბამისად, საქონლის გადამუშავების ცალკეული ოპერაციები შეიძლება შეიზღუდოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

საქართველოს საბაჟო კოდექსი (მუხლი 134) განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი. იგი არ შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმპორტისათვის საბაჟო გადასახდელების დაბრუნება, ან გადასახდელებისაგან გათავისუფლება;
2. თუ საქონელი გატანამდე გაშვებული იყო თავისუფალ მიმოქცევაში, იმპორტის საბაჟო გადასახდელებისაგან შეღავათების გამოყენებით;
3. კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად (მუხლი 143), საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გატანილი საქონლის გადამუშავებით მიღებული

პროდუქტების უცხოური საქონლით შეცვლა დაიშვება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების რეჟიმში (შემდგომი გადამუშავების რეჟიმი) არ შეიძლება მოექცეს ის სამამულო საქონელი, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გატანა აკრძალულია. გადამუშავების რეჟიმში არ შეიძლება მოექცეს ელექტრული, თბური და სხვა ენერგიები, ასევე ის საქონელი, რომლის გადამუშავების პროდუქტი არის ელექტრული, თბური და სხვა ენერგია, რადგან მათი იდენტიფიკაცია შეუძლებელია საწყის (ან საბოლოო) პროდუქტებთან.

საწარმოო ნარჩენები, რომელიც არის გადამუშავების ერთ-ერთ პროდუქტი, შესაძლებელია მოექცეს ნებისმიერ საბაჟო რეჟიმში, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საწარმოო დანაკარგები, რომელიც რჩება საბაჟო ტერიტორიის გარეთ, საბაჟო გაფორმებას არ ექვემდებარება. ნაშთი, რომელიც არ იქნა გამოყენებული, შესაძლებელია მოექცეს ნებისმიერ საბაჟო რეჟიმში. ნაშთის საბაჟო ტერიტორიაზე დაბრუნებისას, იგი ექვემდებარება საბაჟო გაფორმებას კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების გათვალისწინებით.

გადამუშავების წესების დარღვევის, გადამუშავების რეჟიმში მოქცეული საქონლით არამართლზომიერ მოქმედების, გადამუშავების რეჟიმის გამოყენების პირობების დარღვევისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების (ასევე გირაოს) გადაუხდელობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება განმცხადებელს.

საქონლის დროებით შემოტანის რეჟიმი ნიშნავს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანას განსაზღვრული ვადით, უკან დაბრუნების ვალდებულებით, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით, დროებით შემოტანილი საქონელი ექვემდებარება დაბრუნებას უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია საქონლის ექსპლოატაციით, ტრანსპორტირებით, ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი დანაკარგებით.

საბაჟო კანონმდებლობაში განსაზღვრულია საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის პირობები. საქონლის დროებითი შემოტანა მხოლოდ მაშინ დაიშვება, თუ წარმოდგენილი იქნება უკან გატანის ვალდებულება. იმ საქონლის ნუსხას, რომელთა დროებითი შემოტანა აკრძალულია, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამტკიცებს. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.

დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში საბაჟო გადასახადების გადახდისაგან სრული განთავისუფლებით შესაძლებელია მოქცეულ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი შემოტანისათვის განკუთვნილი შემდეგი საქონელი:

1. ნებისმიერი სახის ცოცხალი ცხოველები (მათ შორის თევზები), რომლებიც შემოჰყავთ ქვემოთ ჩამოთვლილი მიზნებისათვის:
   ა. წვრთნა, ვარჯიში, მოშენება, აწონვა, ვეტერინარული დამუშავება, შემოწმება (შესყიდვის მიზნით და სხვა);
   ბ. წარმოდგენებში, გამოფენებში, კონკურსებში, შეჯიბრებებში, ან ჩვენებებში მონაწილეობა;
   გ. გართობა (ცირკის ცხოველები და სხვა), მოგზაურობა (მოგზაურთა შინაური ცხოველების ჩათვლით);
   დ. სპეციალური სამუშაოების შესრულება (პოლიციური და სხვა მიზნებისათვის);

ე. სამაშველო ოპერაციების ჩატარება;
ი. ძოვება;
კ. სამუშაოების შესრულება ან ტრანსპორტირების განხორციელება;
ლ. სამედიცინო მიზნები (გველის შხამის მიღება და სხვა);

2. ბაზრობების, გამოფენების, სხვადასხვა სახის შეხვედრებისა და მსგავსი ღონისძიებებისათვის განკუთვნილი საქონელი (იმპორტული დანადგარები და მოწყობილობები საჩვენებლად და გამოსაცდელად, სამშენებლო და დეკორატიული მასალები (იმავე მიზნით), სარეკლამო-საჩვენებელი მასალა და სხვა);
3. კინემოტოგრფიის, პრესის, ტელევიზიისა და რადიო გადაცემების განხორციელებისათვის საჭირო პროფესიული მოწყობილობები და სხვა;
4. საქონელი, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს, ან დაწესებულებებს დროებით, უსასყიდლოდ გადაეცათ სტიქიური უბედურებების, ავარიისა და კატასტროფების შედეგების სალიკვიდაციოდ;
5. სასწავლო დამხმარე საშუალებები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები და სამეცნიერო მოწყობილობები (გარკვეული პირობებით);
6. სამეცნიერო სამედიცინო მოწყობილობები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები (გარკვეული პირობებით);
7. სამედიცინო, ქირურგიული და ლაბორატორიული მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია საავადმყოფოებისა და სხვა სახის სამედიცინო დაწესებულებებისათვის, დიაგნოსტიკური და თერაპიული მიზნებისათვის და განსაკუთრებული შემთხვევის საფუძველზე გაგზავნილია უფასოდ;
8. სატრანსპორტო საშუალებები, იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდგომი პირობა:
   ა. რეგისტრირებულია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე;
   ბ. რეგისტრირებულია პირზე, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე;
   გ. გამოიყენება საქართველოს ტერიტორიაზე გადასაადგილებლად ამავე პირის მიერ;
9. თუ საქონელი შემოსულია დიპლომატიური, კულტურული, სამეცნიერო-კვლევითი, სპორტული, ტურისტული და გასართობი მიზნებისათვის და საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება ამ ტერიტორიის გარეთ არსებული პირის საკუთრებად;
10. შესაფუთი მასალები, კერძოდ, სავსე, ან ცარიელი ყუთები რომლებიც გამიზნულია სავსე, ან ცარიელი სახით დასაბრუნებლად.

ექსპორტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქონლის გატანის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ მისი ამავე ტერიტორიაზე შემოტანის ვალდებულების გარეშე. ამასთან, საქონლის ექსპორტი ხორციელდება კანონმდებლობისა და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა დაცვით.

ექსპორტის საბაჟო რეჟიმით საქონლის გაშვებისას საქონელი საბაჟო ტერიტორიის გარეთ გაიტანება იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იყო საბაჟო ორგანოებისათვის საბაჟო დეკლარაციის წარდგენის დღეს, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი დანაკარგებით.

საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული საქონელი გატანილი უნდა, იქნეს საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან 30 კალენდარულ დღეში.

თავისუფალ საბაჟო ზონასა და თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსებისა და გამოყენების საბაჟო დამუშავების პროცედურა ნიშნავს უცხოური საქონლის მოთავსებას და გამოყენებას შესაბამის ტერიტორიულ საზღვრებში, ან სათავსებში ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გამოუყენებლად, ხოლო სამამულო საქონლის მოთავსებასა და გამოყენებას – ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისი პირობებით.

საქართველოს საბაჟო კოდექსის (თავი XXII, მუხლი 149) შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება იყოს თავისუფალი საბაჟო ზონები და თავისუფალი საწყობები, რომელთა ტერიტორიები განიხილება, როგორც საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ არსებული. საბაჟო ტერიტორიის ნაწილი თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს საბაჟო კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული საბაჟო რეჟიმები.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებში, აგრეთვე თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების პერიმეტრები შეადგენენ საქართველოს საბაჟო საზღვარს.

თავისუფალი ეკონომიკური ზონები მსოფლიო ეკონომიკაში ბოლო სამ ათწლეულში გავრცელდა. ამჟამად 3 ათასზე მეტი სხვადასხვა სახეობის თავისუფალი ეკონომიკური ზონაა, მათზე მოდის მსოფლიო ტვირთბრუნვის 20 პროცენტი.

საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება კიოტოს 1973 წლის კონვენციის მერვე დანართის განმარტება: "თავისუფალი ზონა გულისხმობს ქვეყნის ნაწილს, რომელზეც შემოტანილი საქონელიც განიხილება როგორც საქონელი, რომელიც იმყოფება საბაჟო ტერტორიის გარეთ, ამიტომ იმპორტის შესაბამის გადასახადებს და ჩვეულებრივ საბაჟო კონტროლს არ ექვემდებარება".

2006 წლის 26 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საბაჟო კოდექსით ნებადართულია ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფალი ზონისა და თავისუფალი საწყობის არსებობა. კოდექსის თანახმად თავისუფალი ზონა, ან თავისუფალი საწყობი არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ნაწილი (მუხლი 149) სადაც:

ა) იმპორტის გადასახდელების გადახდისათვის და სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიების გატარებისათვის უცხოური საქონელი არ ითვლება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილად;

ბ) ქართული წარმოების საქონლის მოთავსებისას გამოიყენება საბაჟო კანომდებლობის ისეთივე ნორმები, როგორიც გამოიყენება მსგავსი საქონლის მოქცევისას ექსპორტის საბაჟო რეჟიმში.

თავისუფალი ზონისა და თავისუფალი საწყობის შექმნა, განსაზღვრული ვადით, შესაძლებელია საბაჟო ტერიტორიის ფარგლებში, ნავსადგურში, ან აეროპორტში, ანდა იმ სატრანსპორტო კვანძების მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება საქართველოს საბაჟო საზღვარს. ასეთი ზონების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

თავისუფალი ზონის ან საწყობის პერიმეტრი უნდა იყოს შემოსაზღვრული, განისაზღვროს შემოსავლელი და გასასვლელი, რათა თავიდან აცილებულ იქნას საქონლის სხვა ადგილებიდან შეტანა და გატანა.

ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს ფოთის სავაჭრო, ქუთაისის სამრეწველო, ქობულეთისა და ანაკლიის ტურისტული თავისუფალი ეკონომიკური ზონების მშენებლობა.

.

საქონლის რეექსპორტის საბაჟო დამუშავების პროცედურა ნიშნავს უცხოური საქონლის გატანას საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად. საქონლის რეექსპორტი დაიშვება საბაჟო ორგანოს ნებართვით და კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

საბაჟო რეჟიმის, რეექსპორტის გამოყენება დაიშვება ნებისმიერ საბაჟო რეჟიმში მოქცეული უცხოური საქონლისათვის, მათ შორის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლისთვის, რომელსაც დადგენილია, რომ აქვს დეფექტი ან მისი რაოდენობა, ხარისხი, შეფუთვა ან აღწერილობა არ შეესაბამება საგარეო-ეკონომიკურ გარიგებას და ამ მიზეზით უბრუნდება მომწოდებელს იმ პირობით რომ იგი:

1. არ გამოიყენებოდა და მისი გადამუშავება არ განხორციელებულა საქართველოს ტერიტორიაზე;
2. შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება:
3. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებიდან 6 თვეში იქნება გატანილი.

საქონლის განადგურების საბაჟო დამუშავების პროცედურა ნიშნავს უცხოური საქონლის განადგურებას საბაჟოს კონტროლით, მათ შორის მის გამოსაყენებლად უვარგის მდგომარეობაში მოყვანას, საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად. საქონლის განადგურების ნებართვას იძლევა საბაჟო ორგანო, შესაბამისი დასკვნის საფუძველზე.

საბაჟო კოდექსის შესაბამისად, საქონელს მესაკუთრე ანადგურებს, ან მფლობელი საკუთარი სახსრებით. ასეთი განადგურება არ უნდა იწვევდეს სახელმწიფოს მხრივ რაიმე ხარჯებს. რაც შეეხება საქონლის განადგურების შედეგად წარმოშობილ ნარჩენებს, იგი უნდა მოექცეს შესაბამის საბაჟო რეჟიმში, როგორც საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული უცხოური საქონელი.

სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმის საბაჟო დამუშავების პროცედურა ნიშნავს ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ საქონელზე მესაკუთრის, ან მფლობელის უფლებებზე უარის თქმას, მის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად. სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმა დაიშვება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. ამასთან დადგენილია, რომ სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმა არ იწვევს სახელმწიფოს მხრივ რაიმე ხარჯებს. 2006 წლის 25 ივლისს მიღებული საბაჟო კოდექსი უბაჟო ვაჭრობის კატეგორიას არ განიხილავს როგორც უბაჟო ვაჭრობის საბაჟო რეჟიმს არამედ, როგორც საბაჟო კონტროლის ზონაში მდებარე და მგზავრების მომსახურებისათვის განკუთვნილი **უბაჟო ვაჭრობის პუნქტს** (მუხლი 114). მისი საქმიანობა აეროპორტში, ნავსადგურსა და სხვა ადგილებში (რომელიც ღიაა საერთაშორისო მიმოსვლისათვის) ნებადართულია საქონლის მიმართ სავაჭრო პოლიტიკის სატარიფო ღონისძიებების გატარების გარეშე.

უბაჟო ვაჭრობის პუნქტში შეიძლება გაიყიდოს ნებისმიერი საქონელი, გარდა კანონით აკრძალული საქონლისა.

უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის შესახებ ნებართვას 3 წლის ვადით, გასცემს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური და თვითონვე განსაზღვრავს მისი საქმიანობის წესს.

3.3.3. სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა

სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა ხდება სატრანსპორტო საშუალებების მიმართ გამოყენებული საბაჟო რეჟიმების მიხედვით. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადამკვეთი სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე ვალდებულება აღნიშნული ქმედებისათვის ეკისრება პირს, რომელსაც შემოაქვს, ან რომელიც იღებს შემოტანილი საქონლის შემდგომი ტრანსპორტირების ვალდებულებას.

სატრანსპორტო საშუალებების დგომის ხანგრძლივობას განსაზღვრავს საბაჟო ორგანო გადამზიდველთან ერთად, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო გაფორმების განხორციელებისათვის აუცილებელი დროის გათვალისწინებით. სადგომებიდან სატრანსპორტო საშუალებების გასვლა ხდება საბაჟო ორგანოების ნებართვით.

სატრანსპორტო საშუალებებით საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დროსა და ადგილს გადამზიდველი უთანხმებს შესაბამის საბაჟო ორგანოს, საბაჟო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით. კოდექსის მიხედვით, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებებით საბაჟო ორგანოების სამუშაო დროს დაიშვება იმ ადგილებში, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. სხვა ადგილებში, ან საბაჟო ორგანოების არასამუშაო დროს საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა დასაშვებია საბაჟო დეპარტამენტთან შეთანხმებით.

პირი, რომელიც ავარიისა და/ან დაუძლეველი ძალის წინააღმდეგობის გამო ვერ ასრულებს საბაჟო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს უახლოეს საბაჟო ორგანოს აღნიშნული გარემოება, გაატაროს ღონისძიებები საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად.

საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენის შემდეგ, საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევის მიზნით შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯის ან/და ნიმუშის აღება, მისი ანალიზი ან გამოკვლევა.

3.4. საბაჟო გადასახდელების სისტემა

3.4.1. ზოგადი დებულებები

საქართველოს საგადასახადო კოდექსით, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგადი პრინციპები, გადასახადების გადამხდელთა და საგადასახადო ორგანოების სამართლებრივი მდგომარეობა, საგადასახადო სამართალდარღვევათა სახეები, პასუხისმგებლობა, საგადასახადო დავის გადაწყვეტის წესი, სამართლებრივი ურთიერთობის დარეგულირება.

საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა რეგულირდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით.

საბაჟო გადასახადი არ წარმოადგენს ბიუჯეტის ფორმირების ერთადერთ წყაროს, თუმცა სახელმწიფო შემოსავლების ფორმირებაში მათ უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნით. სახელმწიფოს არსებობა განუყოფლადაა დაკავშირებული გადასახადების გადახდასთან. ბენჟამენ ფრანკლინის აზრით – "ცხოვრებაში მხოლოდ სიკვდილი და გადასახადებია გარდაუვალი".

ბიუჯეტი ფორმირდება საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების ხარჯზე. საგადასახადო შემოსავლებს მიეკუთვნება საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. სახელმწიფო ბიუჯეტის 84-85%-ს შეადგენს გადასახადები.

გადასახადი არის ბიუჯეტსა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდში სავალდებულო შესატანი, რომელსაც იხდის გადამხდელი გადახდის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

გადასახადის გადამხდელები არიან იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებსაც საგადასახადო კოდექსის ნორმების შესაბამისად აკისრიათ გადასახადის გადახდის ვალდებულება.

გადასახადით დაბერგვის საგანი არის მატერიალური სამყაროს ობიექტები (მიწა, ბინა და ა.შ.). თუ ეს ობიექტი ფიზიკური ან იურიდიული პირის მფლობელობაშია, მაშინ იგი ვალდებულია გადაიხადოს სავალდებულო გადასახადი, რასაც განსაზღვრავს საგადასახადო კოდექსი.

როგორც ავღნიშნეთ, საქართველოში არსებობს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილიბრივი გადასახადები.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები არის საგადასახადო კოდექსით დაწესებული გადასახადი, რომელთა გადახდა სავალდებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე

ადგილობრივი გადასახადები ის გადასახადებია რომლებიც დაწესებულია საგადასახადო კოდექსითა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების ნორმატიული აქტებით. ამ გადასახადების გადახდა სავალდებულოა შესაბამისი სუბიექტების ტერიტორიაზე.

ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის განკუთვნილ საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება შემდეგი გადასახადები:

1. საშემოსავლო;
2. მოგების;
3. დამატებითი ღირებულების;
4. აქციზი;
5. ქონების;
6. საბაჟო;

გარდა ამისა, გადასახადების სპეციალური სახეა მოსაკრებლები, რომლებიც შეიძლება იყოს:

1. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის;
2. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.

საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადების დაწესება, შეცვლა, ან გაუქმება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსში სათანადო ცვლილებების ან დამატებების შეტანის გზით.

ადგილობრივი გადასახადების დაწესება ან დაწესებული გადასახადების გაუქმება ხდება ამ საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანით, ხოლო გადახდის პირობების შეცვლა ან გადასახადების გაუქმება ხდება ნორმატიული აქტის საშუალებით. ამჟამად მზადდება კანონი, რომლის მიხედვითაც საგადასახადო სატარიფო ცვლილებების შემოღება საერთო სახალხო რეფერენდუმის შედეგების მიხედვით მოხდება.

ადგილობრივო გადასახადები არ უნდა აღემატებოდეს საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების განაკვეთს.

საქართველოს პირველი საგადასახადო კოდექსი მიღებულ იქნა 1997 წლის 13 ივნისს.

გადასახადები შეიძლება დავყოთ პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად.

პირდაპირი გადასახადებით უშუალოდ იბეგრება გადამხდელის შემოსავლები (საშემოსავლო გადასახადი), ქონება, ან მასთან გათანაბრებული სხვა ობიექტი. ეს გადასახადი საგადასახადო დაბეგვრის ყველაზე ადრეული ფორმაა. ასეთი სახის გადასახადი იყო მაგალითად, სულადობრივი, მიწის და საკომლო გადასახადი. პირდაპირი გადასახადიდან აშკარად ჩანს ვინ რამდენს იხდის.

არაპირდაპირი გადასახადი არის გადასახადის შენიღბული ფორმა. იგი შედის საქონლის ფასში, როგორც ფასდანამატი და არავითარ კავშირში არ იმყოფება გადამხდელის შემოსავალთან, ან ქონებასთან. ამ გადასახადს იხდის საწარმო, რომელიც ან უშვებს, ან ყიდის ამ ფასნამატიან საქონელს. რეალურად ამ გადასახადს იხდის მომხმარებელი, რომელმაც ეს საქონელი უკვე ფასწამატებელი შეიძინა. ასეთი გადასახადის სახეებია: დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზის გადასახადი.

საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულია გადასახადების სახეები და ჩამოყალიბებულია ზოგადი დებულებები საბაჟო-სატარიფო და საგადასახადო პოლიტიკის სფეროში. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლიდან მოხსნისას და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში გადაიხდება გადასახდელები – გადასახადები და მოსაკრებლებები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად გადასახადი არის სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. გადასახადის ოდენობას განსაზღვრავს ტარიფი. საბაჟო კოდექსის 26-ე მუხლის მიხედვით იგი განისაზღვრება მონაცემთა ერთობლიობით, რომელიც შედგება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურისაგან, მათ მიმართ გამოყენებული განაკვეთებისა და შეღავათებისაგან (პრეფენციებისაგან).

აღნიშნულიდან გამომდინარე საბაჟო გადასახდელებში შედის სამი სახის გადასახადი:

1. საბაჟო გადასახადი განაკვეთებით 0%, 5%, 12% საქონლის სახეობების მიხედვით;
2. აქციზის გადასახადი (სხვადასხვა განაკვეთით);
3. დამატებული ღირებულების გადასახადი 18%.

საბაჟო გადასახდელში შედის ასევე საბაჟო მოსაკრებელი, რომლის შემოღებისა და ადმინისტრირების წესი რეგულირდება საქართველოს კანონით "საბაჟო მოსაკრებლების შესახებ". ამ კანონის მიხედვით მოსაკრებელი განიხილება ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, როგორც სავალდებულო ფულადი შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიერ საზღვრის გადაკვეთისას განხორციელებული სავალდებულო-საბაჟო პროცედურებისათვის.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობაში არსებობს გამოთქმები "საბაჟო გადასახდელები", "საბაჟო გადასახადები", "საბაჟო მოსაკრებლები".

"საბაჟო გადასახდელის" ცნება მოიცავს ყველა გადასახდელს, რომელთა გადახდევინების ადგილია საბაჟო ორგანო.

"საბაჟო გადასახადი" აუცილებელი შენატანია საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შეტანის, ან გამოტანის დროს, რომლის ოდენობა განისაზღვრება საბაჟო ტარიფით.

"საბაჟო მოსაკრებელი" აუცილებელი გადასახდელია სახელმწიფოს მიერ კანონით განსაზღვრული მომსახურების განხორციელების, ან სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის.

საბაჟო გადასახადი არის არაპირდაპირი გადასახადების ერთ-ერთი სახე, რომლითაც იბეგრება საგარეო-სავაჭრო საქონელბრუნვა საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას და სახელმწიფო გადასახადის ყველა მახასიათებელი გააჩნია, მისი გადახდა სავალდებულოა, იგი გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში და რაიმე კონკრეტული მიზნისათვის არ გამოიყენება.

საბაჟო გადასახადით იბეგრება იმ საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც გადაკვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს.

კანონმდებლობით გათვალისწინებულია საგადასახადო დარღვევებისათვის პასუხისმგებლობის სახეები, ყველა ურჩი გადამხდელი კანონით ისჯება.

საქართველოს საბაჟო ორგანოს უფლება აქვს:

1. გაუგზავნოს შეტყობინება ბანკებსა და სხვა საფინანსო დაწესებულებებს, დებიტორების ანგარიშებიდან საბაჟო გადასახდელების ჩამოწერის შესახებ;
2. აწარმოოს საინკასო დავალებით კუთვნილი თანხის ჩამოწერა გადასახდელების გადამხდელის დებიტორების საბანკო ანგარიშებიდან, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

საბაჟო კანონმდებლობა საბაჟო გადასახდელების გადახდისათვის პასუხისმგებლობას აკისრებს, როგორც საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეს, ასევე მათ უფლებამოსილ პირებს.

თუ საბაჟო გადასახადი გადახდილია არა სწორად (ზედმეტად) იგი ექვემდებარება დაბრუნებას. დაბრუნება ხდება განცხადების წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში, ფინანსთა სამინისტროს ნებართვით.

3.4.2. საბაჟო გადასახადის სახეები

საქართველოში გამოიყენება შემდეგი სახის საბაჟო გადასახადები:

1. ჩვეულებრივი;
2. სეზონური;
3. განსაკუთრებული.

ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი არის მუდმივმოქმედი გადასახადი. რომლის მოქმედებაც დროებით ჩერდება სეზონური და განსაკუთრებული გადასახადების გამოყენების პერიოდში.

სეზონური საბაჟო გადასახადი არის დროის გარკვეული პერიოდისათვის დაწესებული გადასახადი, რომლის მიზანია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის ან ამ ტერიტორიიდან გატანის რეგულირება მისი წარმოებისა და მოხმარების სეზონური თავისებურებების გათვალისწინებით. ამ სახის გადასახადის მოქმედების ვადა წელიწადში 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. ამ გადასახადის შემოღების საფუძველია აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ წარმოებული ანალიზი.

განსაკუთრებული საბაჟო გადასახადი არის გადასახადი, რომელიც გამოიყენება განსაკუთრებულ შემთხვევაში, როგორც დაცვითი და საპასუხო ღონისძიება იმ სახელმწიფოთა, ან პირთა მიმართ, რომელთა საქმიანობაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის, ან გატანის დროს ზიანს აყენებს, ან შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ეკონომიკას.

საქართველოში გამოიყენება შემდეგი სახის განსაკუთრებული გადასახადი:

1. სპეციალური;
2. ანტიდემპინგური;
3. საკომპენსაციო.

სპეციალური საბაჟო გადასახადი გამოიყენება სამი მნიშვნელობით:

1. როგორც დაცვითი ღონისძიება, თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელი შემოიტანება იმ რაოდენობითა და ისეთი პირობებით, რომლიც ზიანს აყენებს, ან შეიძლება ზიანი მიაყენოს ამ პროდუქციის სამამულო წარმოებას;
2. როგორც საპასუხო ღონისძიება საქართველოს ინტერესებს შემლახავ დისკრიმინაციულ, ან მსგავსი ქმედებაზე სხვა სახელმწიფოების ან მათ კავშირების მხრიდან;
3. როგორც განსაკუთრებულ შემთხვევაში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქონლის ცალკეული სახეობების ექსპორტის დროებით შეზღუდვის დაცვითი ღონისძიება.

ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელი შემოიტანება მის რეალურ ღირებულებაზე დაბალი ფასით და ამ საქონლის შემოტანა ზიანს აყენებს, ან შეიძლება ზიანი მიაყენოს საქონლის ადგილობრივ მწარმოებლებს, ან ხელს უშლის საქართველოში მსგავსი საქონლის წარმოების ორგანიზებასა და გაფართოებას.

საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი გამოიყენება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი იმ საქონლის მიმართ, რომლის წარმოების ან შემოტანის დროს, გამოყენებულ იქნა პირდაპირი, ან არაპირდაპირი სუბსიდიები და ამ საქონლის შემოტანა ზიანს აყენებს, ან შეიძლება ზიანი მიაყენოს მსგავსი საქონლის ადგილობრივ მწარმოებლებს.

განსაკუთრებული და სეზონური საბაჟო გადასახადების შემოღების საფუძველია აღმასრულებელი ხელისუფლების სათანადო ორგანოების

სპეციალური ანალიზი, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს და მისი დადგენილებით წესდება სეზონური და განსაკუთრებული საბაჟო გადასახადები.

3.4.3. საბაჟო ტარიფების ცნება

საბაჟო ტარიფი არის საბაჟო გადასახადის განაკვეთების სისტემატიზებული ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი, ან გატანილი საქონლის მიმართ, მისი საბაჟო ღირებულების შემცირების, ან გაზრდის მიზნით, საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

საქართველოში საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის განხორციელება დაიწყო 1991-92 წლებიდან. საქართველოს ტერიტორიაზე შემოღებულ იქნა პირველი ეროვნული უნიფიცირებული (ერთიანი ყველა საქონლისათვის) ტარიფები: ექსპორტისას – 8% გარიგების ღირებულებიდან, იმპორტზე – 2%, ბარტერზე – 20%.

1994 წლიდან მოიხსნა საექსპორტო და ბარტერის ტარიფები, ხოლო იმპორტის ტარიფი განისაზღვრება 12%-ით.

სწორი საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის განხორციელება უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტის და ეკონომიკის განვითარებასა და შიგა ბაზრის დაცვას, ასევე საგარეო ურთიერთობების სტიმულირებას და სხვა.

ჩვეულებრივ არსებობს ორი სახის ტარიფი:

1. სპეციფიკური ტარიფი, რომელიც გულისხმობს პროდუქციის ყოველ ფიზიკურ ერთეულზე ფულით ფასნამატის დაწესებას (მაგალითად დოლარი ტონაზე);
2. საქონლის საზღვარზე მიტანისას მისი ღირებულების მიხედვით დადგენილი ტარიფი.

ამერიკელი ეკონომისტის პიტერ ლინდერტის მოსაზრებით:

“ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ტარიფის დროებითი შემოღება გამართლებულია, რამდენადაც იგი აკავებს თანამედროვე სამრეწველო პროდუქციის იმპორტს მანამ, სანამ ახალაღმოცენებული საკუთარი ინდუსტრია გამოცდილებას დააგროვებს და წარმოების ხარჯები იმ დონემდე შემცირდება, რომ შესაძლებელი გახდება იმპორტული პროდუქციის კონკურენციისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ახალგაზრდა დარგების დაცვის აუცილებლობის საკითხი კვლავაც აქტუალური დარჩება, რადგან ასეთი დარგები კვლავაც გაჩნდება. მუდმივად იარსებებს სამამულო წარმოების იმ ახალი დარგების დაცვის პრობლემა, რომლიც დროებით ჩამორჩება სხვა ქვეყნებს კონკურენტული პოზიციების მიხედვით. როცა ეროვნული მეურნეობა მოშლილია, ტარიფების შემოღება შეიძლება უფრო ხელსაყრელი იყოს”.

მნიშვნელოვანია პიტერ ლინდერტის მოსაზრება იმპორტის არასატარიფო ბარიერებისა და ექსპორტის შეზღუდვაზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არასატარიფო ბარიერების მნიშვნელობა გაიზარდა. ამ დროს ბევრი ქვეყანა იყენებდა მათ საერთაშორისო გარიგებათა მიხედვით გადახდაზე მკაცრი კონტროლის შენარჩუნების მიზნით.

მოლაპარაკებების შედეგად მოხერხდა ტარიფების დონეთა მნიშვნელოვანი დაწევა, მაგრამ არასატარიფო ბარიერები ხელუხლებელი დარჩა.

არასატარიფო გარიგებებს შორის ყველაზე ფართო გავრცელება პოვა იმპორტულმა კვოტამ, ანუ საზღვარგარეთიდან შემოსატანი პროდუქციის რაოდენობრივმა შეზღუდვამ. თუ ლიცენზირებული იმპორტის მოცულობა შიგა ბაზრის მოთხოვნაზე ნაკლებია, მაშინ კვოტა იმპორტის მოცულობის შემცირებასთან ერთად, იწვევს შიგა ფასების ზრდას, რომელმაც შეიძლება მსოფლიო ფასებსაც გადააჭარბოს. მართალია ამით სასათბურე პირობები ექმნება ადგილობრივ წარმოებას, მაგრამ კონკურენციის შემცირების გამო მკვეთრად უარესდება პროდუქციის ხარისხი.

მსოფლიო ეკონომიკასთან მჭიდრო ინტეგრაციის პირობებში, საქართველოში გამოყენებული ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია იმპორტის სატარიფო და არასატარიფო ბარიერებისა და ექსპორტის შეზღუდვაზე მინიმუმამდეა შემცირებული.

3.4.4. სატარიფო შეღავათები

სატარიფო შეღავათები (სატარიფო პრეფერენციები) საქონლის მიმართ დგინდება კანონით და იგი არ შეიძლება ინდივიდუალური იყოს.

სატარიფო შეღავათები გულისხმობს უცხო ქვეყნებთან სავაჭრო-პოლიტიკური ურთიერთობების პროცესში საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლისათვის ცალმხრივი, ან ორმხრივი შეღავათების მინიჭებას.

სატარიფო შეღავათების სახეებია:

1. გადახდილი საბაჟო გადასახადის დაბრუნება;
2. საბაჟო გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლება;
3. საბაჟო გადასახადის განაკვეთის შემცირება.

საქართველოში საბაჟო გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლებულია:

1. საქონლის ექსპორტი, გარდა სეზონური და განსაკუთრებული გადასახადებით დაბეგვრის შემთხვევებისა;
2. საქონლის რეექსპორტი - საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე გადაიხდევინება საბაჟო გადასახადი, ან საბაჟო დეპარტამენტის მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია, ან შემოტანილი საქონლის გარკვეული ნაწილი (შესაბამისი ღირებულების) გარანტიის სახით. საქართველოს ტერიტორიიდან ამ საქონლის გატანისას საბანკო გარანტია უქმდება და გადამხდელს უბრუნდება უკანვე საქონლის საბანკო საგარანტიო ღირებულება, ან გარანტიის სახით დატოვებული საქონელი;
3. საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი საქონელი;
4. იმპორტული საქონელი საბაჟო საწყობებში მოთავსებისას. დაბეგვრა ხდება დადგენილი წესით, საქონლის საბაჟო საწყობებიდან თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას, ხოლო სხვა საბაჟო რეჟიმის პირობებში – ამ რეჟიმის შესაბამისად;
5. საქართველოში განხორციელებული იმპორტი სტიქიური უბედურებების, ავარიებისა და კატასტროფების ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების დროს;

6. საქართველოში განხორციელებული იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია გრანტების შესახებ ხელშეკრულებით, პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად;
7. საქონლის იმპორტი, რომელიც ფინანსდება გრანტების ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტებით, რომლებიც შეიცავს გრანტის ელემენტს, არანაკლებ 25%-სა. გრანტის ელემენტს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტთან შეთანხმებით;
8. საქართველოში საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნების დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, აგრეთვე ამ წარმომადგენელთა პირადი სარგებლობისათვის. აქვე "ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულია ამ საქმეში დასაქმებელ ადამიანთა და მათი ოჯახის წევრთათვის პირადი სარგებლობისათვის საქონლის იმპორტი;
9. საქართველოში საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე ტარა-შესაფუთი მასალის იმპორტი;
10. ფიზიკური პირის მიერ საქართველოში შემოსვლისას 1000 ლარის ოდენობის ღირებულების საქონელი;
11. ბავშვთა კვებისა და დიაბეტური კვების პროდუქტების განსაზღვრული სახეების იმპორტი. დიაბეტური შპრიცების, რენტგენის ფირების, სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების, გლუკომეტრების იმპორტი;
12. ქართველ კლასიკოსთა და მეცნიერთა ნამუშევრების იმპორტი;
13. 16 დასახელების ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტი, რომლის ჩამონათვალი შეთანხმებულია ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტთან;
14. საერთაშორისო საჰაერო რეისების შესრულებისას ბორტზე მიწოდებული საავიაციო საწვავი, საპონი და სხვა დამხმარე საშუალებები;
15. "ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის სამუშაოთა წარმოებისათვის განკუთვნილი მანქანა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებათა და სათადარიგო ნაწილთა და მასალების იმპორტი;
16. საქართველოს სახელმწიფო ალმით მცურავი გემები;
17. საქართველოს აქციზური და სპეციალური მარკების იმპორტი;
18. ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატები.

3.4.5. საბაჟო გადასახადის დარიცხვა და გადახდევინება

საბაჟო გადასახდელების გადახდა ხდება საქონლის საბაჟო გაფორმების დამთავრებამდე კანონმდებლობის შესაბამისად.

საბაჟო გადასახადის დარიცხვა ხდება საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით და იგი გადაიხდება საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას, საბაჟო ორგანოების მიერ საქონლის საბაჟო გაფორმებამდე სხვა საბაჟო გადასახდელებთან ერთად.

საბაჟო გადასახადის გადახდის საფუძველია სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

საბაჟო გადასახადის თანხის განსაზღვრისას ვალუტა გადაიანგარიშება, სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის გაფორმების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის არსებული კურსით საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე.

თუ საბაჟო გადასახდელების გადამხდელმა განსაზღვრულ ვადაში არ გადაიხადა დადგენილი საბაჟო გადასახდელი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი და მისი საბაჟო ორგანოები აღნიშნული გადასახდელის იძულებით გადახდევინებას ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში ქონებაზე ყადაღის დადება. ყადაღა მოიხსნება მაშინვე, როგორც კი დავალიანება მთლიანად დაიფარება. საბაჟო კოდექსში განსაზღვრულია საბაჟო გადასახდელების ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების პირობები. ზედმეტად გადახდილი თანხა გადამხდელს უბრუნდება 30 დღის განმავლობაში.

3.4.6. საქონლის საბაჟო ღირებულებისა და წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა

საბაჟო ღირებულება ეს არის საქონლის ერთეულზე ან სიუხვის ერთეულზე დახარჯული ყველანაირ შრომაზე, მასალებზე დამატებული მისი სასაქონლო სახედ ქცევის ხარჯები, საშუალო მოგება და ტრანსპორტირების ხარჯები. უბრალოდ საქონლის საბაჟო ღირებულება არის საქონლის ფასი საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დროს. საქონლის შეძენისას იგი მოიცავს გარიგების ფასს, საქართველოს საბაჟო საზღვრამდე მისი ტრანსპორტირების, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის, დაზღვევის, საკომისიო და საბროკერო მომსახურების ხარჯებს, სალეცენზიო და სხვა გადასახადებს.

საქონლის საბაჟო ღირებულება გადაიანგარიშება საერთაშორისო საბაჟო პრაქტიკაში აღიარებული პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით და რეგულირდება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას დეკლარანტი განსაზღვრავს საქონლის საბაჟო ღირებულებას, ხოლო საბაჟო ორგანო მისი სისწორის გაკონტროლებას ახდენს.

1953 წლამდე არ არსებობდა საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ერთიანი უნიფიცირებული მეთოდი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მრავალმა ქვეყანამ გაიაზრა საბაჟო ღირებულების განსაზვრის სისტემის შექმნის აუცილებლობა. 1953 წელს ბრიუსელის "საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის უნიფიცირებული მეთოდოლოგიის შექმნის კონვენცია"-ს შეუერთდა 70-ზე მეტი სახელმწიფო.

საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველია "ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანმების" VII მუხლი – "საქონლის შეფასება საბაჟო მიზნებისათვის".

საბაჟო ღირებულება არის საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას აღნიშნული საქონლის ფასი, რომლის საფუძველზეც გაინგარიშება საბაჟო გადასახადი.

საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ექვსი მეთოდი არსებობს:

1. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა გარიგების ფასის მიხედვით;
2. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით;

3. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით;
4. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა საქონლის ერთეულის ფასის მიხედვით;
5. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა საქონლის შედგენილი ღირებულების მიხედვით;
6. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა სარეზერვო მეთოდის მიხედვით.

საქართველოში სატარიფო პოლიტიკის განხორციელება დაიწყო 1992 წლის ოქტომბრიდან, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კოდექსი და დაამტკიცა დეკრეტი საბაჟო ტარიფის შესახებ.

ამ დოკუმენტების შესაბამისად საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაწესდა ერთიანი საბაჟო გადასახადი და უნიფიცირებული ტარიფები.

საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ძირითად მეთოდად მიჩნეულია პირველი მეთოდი – "შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა გარიგების ფასის მიხედვით." თუ ეს მეთოდი არ შეიძლება გამოვიყენოთ, მაშინ გამოიყენება თანამიმდევრულად სხვა მეთოდები.

იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულება მოიცავს გარიგების ფასს, ანუ საქართველოში საექსპერტოდ გაყიდულ საქონელში გადახდილ, ან გადასახდელ ფასს. საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას უცხოური ვალუტა გადაიყვანება საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე, იმ დროისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით. (დაწვრილებით V თავში).

საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა ხდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის, ან ამ ტერიტორიიდან გატანის დროს სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

საქონლის წარმოშობის ქვეყნად ითვლება ის ქვეყანა, სადაც საქონელი სრულად იქნა წარმოშობილი, ან გადამუშავებული. საქონლის წარმოშობის ქვეყნად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნების ჯგუფი, საბაჟო კავშირები, რეგიონები, ან ქვეყნის ნაწილი, იმ შემთხვევაში თუ მათი გამოყოფა აუცილებელია საქონლის წარმოშობის ქვეყნის დასადგენად.

საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადგენა ხდება საერთაშორისო ნორმების საფუძველზე, შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

საქონლის წარმოშობის დადგენა გამოიყენება:

1. საბაჟო გადასახადის განაკვეთების განსაზღვრის მიზნით. - საქართველოს ზოგიერთ ქვეყანასთან დადებული აქვს ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, იგი ამ ქვეყნის საქონელს ათავისუფლებს საბაჟო გადასახადისაგან. ამიტომ აუცილებელია საბაჟო ორგანომ ზუსტად იცოდეს საქონლის წარმოშობის ქვეყანა;
2. არასატარიფო ზომების გამოსაყენებლად - ზოგიერთი ქვეყნის საქონლის შემოტანა იზღუდება, ან იკრძალება;
3. წარმოშობის სერტიფიკატის მოსამზადებლად და გასაცემად;
4. ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ზომების გამოსაყენებლად;
5. საიმპორტო კვოტებისა და სატარიფო შეღავათების დასადგენად.

საქონლის წარმოშობის დადასტურება. მოცემულ ქვეყანაში საქონლის წარმოშობის დასადასტურებლად საქართველოს საბაჟო ვალდებულია მოითხოვოს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი.

მოცემულ ქვეყანაში წარმოშობილად ჩაითვლება საქონელი, რომელიც მთლიანად წარმოებული, ან მოპოვებულია ამ ქვეყანაში, ან საქონლის დამზადებაში მონაწილეობდა მრავალი ქვეყანა, ხოლო საბოლოო ტრანსფორმაცია მიიღო მოცემულ ქვეყანაში.

საქონლის წარმოშობა დასტურდება წარმოშობის სერტიფიკატით და მას სხვადასხვა ქვეყანაში სავაჭრო-სამრეწველო პალატები გასცემენ, ხოლო საქართველოში 2001 წლის 15 სექტემბრიდან – წარმოშობის სერტიფიკატს CSP-ს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გასცემს.

საბაჟო ორგანოში საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი მოითხოვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ღირებულება აღემატება ათას ამერიკულ დოლარს.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას შესაბამისი ორგანო გასცემს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატს, როცა ეს აუცილებელია იმპორტიორი ქვეყნის წესებით, ან განთავისუფლებულია შესაბამისი კონტრაქტით, აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებით.

საქონლის წარმოშობას სერტიფიკატი ერთმნიშვნელოვნად უნდა ადასტურებდეს საქონლის მოცემულ ქვეყანაში წარმოშობას. ამისათვის იგი უნდა შეიცავდეს შემდეგ აუცილებელ მონაცემებს:

1. გამომგზავნის წერილობით განაცხადს, რომ საქონელი აკმაყოფილებს წარმოშობის შესაბამის კრიტერიუმს;
2. სერტიფიკატის გამცემი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს წერილობით დასტურს, რომ სერტიფიკატში აღნიშნული მონაცემები უტყუარია.

სერტიფიკატი საბაჟო გამსვლელ პუნქტში წარდგენილი უნდა იყოს საბაჟო დეკლარაციისთან ერთად.

3.4.7. საბაჟო მოსაკრებლები

1998 წლის 6 თებერვლის კანონის "მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ" მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათთვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისას, ან სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების მიერ გაწეული გარკვეული მომსახურებისათვის.

მოსაკრებლების სახეები:

1. საბაჟო მოსაკრებლები;
2. სალიცენზიო მოსაკრებლები;
3. სახელმწიფო სერთიფიკატის მოსაკრებლები;
4. სარეგისტრაციო მოსაკრებლები;
5. მიგრაცია ინსპექტირების მოსაკრებლები;
6. სახელმწიფო ბაჟი;
7. საკონსულო მოსაკრებლები;
8. საპატენტო მოსაკრებლები;
9. სატენდერო მოსაკრებლები;
10. მგზავრთა მომსახურების მოსაკრებლები;
11. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის და ა.შ.

მოსაკრებლები შეიძლება იყოს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილიბრივი.

მოსაკრებელი არის გადასახადი, რომელსაც კრეფენ სახელმწიფო ორგანოები ამა თუ იმ საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭებისათვის, სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, ან გაწეული მომსახურებისათვის.

საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით, საბაჟო კონტროლიდან საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მოხსნისას და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში, აგრეთვე საერთაშორისო საფოსტო გზავნილების საბაჟო პროცედურების გაფორმებისა და საბაჟო ორგანოების მიერ ლიცენზიების გაცემისას, პირები იხდიან სათანადო მოსაკრებლებს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

კანონი "საბაჟო მოსაკრებლების შესახებ" (1998 წ. 18 / II) ადგენს ლიცენზიების გაცემისათვის გადასახდელი მოსაკრებლების სახეებსა და განაკვეთებს, ამ მოსაკრებლების გადახდის წესსა და ვადებს..

საბაჟო მოსაკრებლების გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდული პირები, რომლებსაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოაქვთ, ან ამ ტერიტორიიდან გააქვთ საქონელი, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების დროებით შემომყვანი პირები, რომლებიც რეგისტრაციაში ატარებენ ამ საშუალებებს.

საბაჟო მოსაკრებლების სახეებია:

1. მოსაკრებელი საქონლის საბაჟო დათვალიერებისა და გაფორმებისათვის;
2. მოსაკრებელი საბაჟო ორგანოების მიერ ლიცენზიების გაცემისათვის.

საქართველოში საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთები დიფერენცირებულია პროცედურებისა და რეჟიმების მიხედვით. საბაჟო მოსაკრებელი არის საბაჟო მომსახურების საზღვარი და გადაიხდევინება საბაჟო გაფორმებისას, მიუხედავად იმისა, გათავისუფლებულია საქონელი გადასახადებისაგან თუ არა.

საბაჟო პროცედურებში იგულისხმება საბაჟოს თანამშრომელთა მიერ გაწეული საქმიანობა, რომელიც აუცილებლად უნდა ჩატარდეს სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, ამ პროცედურების ჩატარების გარეშე საზღვრის გადაკვეთა დაუშვებელია.

მოსაკრებლები საბაჟო პროცედურებისათვის გულისხმობს შემდეგი სახის მოსაკრებლებს:

1. სავაჭრო ბრუნვაში მყოფი ტვირთების გაფორმებისათვის;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი ტვირთების გაფორმებისათვის;
3. იურიდიული და ფიზიკური პირების ქონების გაფორმებისათვის;
4. სამემკვიდრეო ქონების გაფორმებისათვის;
5. სახელმწიფო საზღვარზე გამცილებლის გარეშე გადასატანი ბარგის და სართაშორისო საფოსტო გზავნილების გაფორმებისათვის;
6. საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეების მიერ შემოსაყვანი სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციისათვის მოწმობების გაცემაზე.

გაწეულ მომსახურეობაზე მოსაკრებლებს მიეკუთვნება:

1. საბაჟო ზონის გარეთ საქონლის, ან სხვა საგნების, ან საგამოფენო ტვირთების საბაჟო გაფორმებისათვის საბაჟოს მუშაკის გამოძახება, მათ შორის საბაჟო კონტროლზე მყოფი საწარმოებისა და ორგანიზაციების ტერიტორიაზე, სადაც ხორციელდება მათი შენახვა, საბაჟო კონტროლის პირობებში საქონლის, ბარგის და სხვა ქონების შენახვა;
2. დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების დროს ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალებების დაცვა, სატრანსპორტო საშუალებებისა და ტვირთების დაცვა საბაჟო ზონაში, სატრანსპორტო საშუალებების დანიშნულების ადგილამდე გაცილება;

3. წერილობითი ცნობების, დეკლარაციის პირების, ბარგის, ვალუტის აღრიცხვის წიგნაკების, და კანონით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტებისა და მონაცემების გაცემა;
4. ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის კონსულტაციის გაწევა.

საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთები, საბაჟო საქმის ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ცვლილებების, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და საბაჟო პოლიტიკის კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება შეიცვალოს. ქვემოთ მოყვანილია საბაჟო მოსაკრებლების ტარიფები 2009 წელს არსებული მდგომარეობის მიხედვით, რომლის მიხედვითაც საბაჟო პროცედურების ცალკეული სახეობის მიხედვით მისი ოდენობა შემდეგი სახით განისაზღვრებოდა:

1. საქონლის საბაჟო დათვალიერების, ან გაფორმებისათვის საბაჟო ღირებულების 0.25%. საბაჟო პროცედურებისათვის გათვალისწინებული საბაჟო მოსაკრებლის ოდენობა არ შეიძლება იყოს 2000 ლარზე მეტი და 50 ლარზე ნაკლები, გარდა ფიზიკური პირის მიერ საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული 2000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების მქონე საქონლისათვის.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი ტვირთების საბაჟო დათვალიერების ან გაფორმებისათვის:

ა. საავტომობილო ტრანსპორტი – ერთ დეკლარაციაზე 100 ლარი;
ბ. რკინიგზის ტრანსპორტი ერთ დეკლარაციაზე 200 ლარი;
გ. საზღვაო ტრანსპორტი ერთ დეკლარაციაზე 300 ლარი.

3. საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის დროებით შემოტანისათვის ან დროებით გატანისათვის:

ა. 10 000 კგ-ზე ნაკლები წონის საქონლის ყოველ კგ-ზე – 1 თეთრი;
ბ. 10 000 კგ-ზე მეტი წონის საქონლის ყოველ კგ-ზე – 100 ლარიდან დამატებით 0,3 თეთრი;
გ. საგამოფენო დანიშნულების საქონლის ყოველ კილოგრამზე – 2,5 თეთრი.

4. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე 24 საათზე მეტი ვადით შემოსაყვანი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დათვალიერების ან გაფორმებისათვის – ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე – 10 ლარი.

საბაჟო მოსაკრებლების გადახდისაგან გათავისუფლებულია:

1. საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;
2. საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია გრანტის შესახებ ხელშეკრულებით, პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული წესით;
3. უცხო ქვეყნების დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობის ოფიციალური სარგებლობისათვის, აგრეთვე მათი პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი;
4. ფიზიკური პირის პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი 50 კგ-ზე ნაკლები წონის საქონელი.

საბაჟო მოსაკრებლების დარიცხვა და ამოღება ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.4.8. დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)

დღგ არ არის საბაჟო გადასახადი, მაგრამ მისი გადახდა საბაჟოში ხდება. საბაჟო დეპარტამენტს საგადასახადო სამსახურისგან მიღებული აქვს დღგ-ს და აქციზის გადსახადის გადახდის უფლება.

დღგ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი გადასახადია. მისი აკრეფის სქემა შეიმუშავა ფრანგმა ეკონომისტმა მ. ლორემ (1954 წ.). დღგ 1958 წლიდან საგადასახადო სისტემაში საფრანგეთმა შემოიტანა.

უნიფიცირების მიზნით 1977 წლის 17 მაისს ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის საბჭოს მიერ მეექვსე დირექტივით მიღებული დღგ თანამედროვე ევროპული სისტემის საფუძველია, ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ მონაწილე ქვეყნების ბიუჯეტებში დღგ-ს სახით ჩარიცხული თანხიდან განსაზღვრული ანარიცხები მიემართებოდა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის საერთო ბიუჯეტის ფორმირებაზე.

დღგ-ს სისტემა სხვადასხვა ქვეყანში განსხვავებულია. დღგ იკრიბება დაახლოებით 45 ქვეყანაში. რიგ ქვეყნებში იგი შემოღებულ იქნა უფრო გვიან, ვიდრე ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრ ქვეყნებში, იაპონიაში 1989 წლიდან, ხოლო კანადაში – 1990 წლიდან.

საშუალოდ დღგ წარმოადგენს ბიუჯეტის 14% -ს, საფრანგეთში – 45%, ნიდერლანდებში 24%.

დღგ მთლიანად შედის საქონლის ფასში. წარმოების სტადიაზე საბითუმო ფასში, ხოლო მიმოქცევის სტადიაზე – საცალო ფასში.

საქართველოში დღგ შემოიღეს 1992 წლის 15 მარტიდან. თავდაპირველად იგი შეადგენდა: 20%–ს, 1998 წელის 38,62%, სხვადასხვა დროს 28%, 14%. ამჟამად იგი შეადგენს 18%.

დღგ, როგორც არაპირდაპირი გადასახადი არის საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის, სამუშაოს, მომსახურების, წარმოებისა და მისი მიმოქცევის პროცესში შექმნილი ღირებულების ნაწილის, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ყველა დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი. დღგ–ს გადახდა ხდება საქონლის მოწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის ყველა სტადიაზე.

დღგ-ს გადამხდელია პირი, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ს გადამხდელად. პირი, რომელიც აწარმოებს დასაბეგრი საქონლის იმპორტს საქართველოში ითვლება დღგ-ს გადამხდელად ამგვარ იმპორტზე.

დღგ-ს ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია და დასაბეგრი იმპორტი. დასაბეგრ იმპორტად ითვლება საქონლის იმპორტი, გარდა იმ იმპორტისა, რომელიც გათავისუფლებულია გადასახადისაგან.

დასაბეგრი იმპორტის თანხა ტოლია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულებისა და საქართველოში საქონლის იმპორტისას გადასახდელი გადასახადებისა და მოსაკრებლების თანხების ჯამისა, საქართველოში გადასახდელი დღგ-ს ჩაუთვლელად. მომსახურების ღირებულება დასაბეგრი იმპორტის თანხაში დღგ-ს გარეშე შეიტანება

დღგ გამოიანგარიშება ეროვნულ ვალუტაში შემდეგი ფორმულით:

(ს.ღ. + ს.მ. + ს.გ. + ა.თ.) * დღგ/100.,

სადაც: **ს.ღ** – საბაჟო ღირებულებაა, **ს.მ.** – საბაჟო მოსაკრებლები, **ს.გ.** – საბაჟო გადასახადი და **ა.თ.** – აქციზის თანხა.

იმ საქონელზე რომელიც აქციზით დაბეგვრის არ ექვემდებრება დღგ გამოიანგარიშება

(ს.ღ. + ს.მ.) * დღგ / 100.

დღგ–ს განაკვეთი დასაბეგრი საქონლის იმპორტის თანხის 18% შეადგენს. იგი გადაიხდება ლარებში და მთლიანად ჩაირიცხება ბიუჯეტში.

დღგ-ს გადახდას ახორციელებს საბაჟო ორგანოები, გადახდის საფუძველია იმპორტირებულ საქონელზე სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

დღგ-დან განთავისუფლებულია საქონლის იმპორტის შემდეგი სახეები:

1. ეროვნული და უცხოური ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების იმპორტი;
2. საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადასაცემი ოქროს იმპორტი;
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური და სპეციალური მარკების იმპორტი;
4. ჩამორთმეულ, უპატრონო ფასეულობათა, განძეულებათა და შესყიდულ ფასეულობათა, აგრეთვე სახელმწიფოსათვის მემკვიდრეობით მიღებულ ფასეულობათა იმპორტი, რომელთა რეალიზაციით მიღებული შემოსავლები შეიტანება ბიუჯეტში;
5. სახელმწიფო ქონების მოწოდება პრივატიზაციის პროგრამის მიხედვით;
6. ჰუმანიტარული დახმარებისა, ან გრანტის სტატუსის მქონე საქონლის იმპორტი, "ჰუმანიტარული დახმარებისა და სახელმწიფო გრანტების შესახებ" – კანონით დადგენილი წესით;
7. ფიზიკურ პირთა მიერ საქონლის იმპორტი იმ ლიმიტზე ნაკლები ოდენობით, რომელიც დადგენილია საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებისათვის;
8. "ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად განკუთვნილი მანქანა-დანადგარების სატრანსპორტო საშუალებათა და მასალების იმპორტი;
9. საქონლის ტრანზიტი, რეიმპორტი და დროებითი შემოტანა;
10. რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე გადაიხდება დღგ, ან/და საბაჟო ორგანოს მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია ან საქონელი გარანტიის სახით. საქართველოდან საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია და გადამხდელს უბრუნდება, ან გადახდილი დღგ, ან გარანტიის სახით დატოვებული საქონელი;
11. საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე ტარა-შესაფუთი მასალის იმპორტი ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის ფარგლებში;
12. საქართველოს არარეზიდენტების მიერ დაფუძნებული იმ სანაოსნო საწარმოების მიერ სამუშაოს შესრულება, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არ ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას და რომელთა გემებიც დაცურავენ საქართველოს სახელმწიფო ალმით;
13. დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალური მომსახურება;
14. სამედიცინო მომსახურება, სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებები და სხვა.

დღგ გადაიხდება შემოსატანი დასაბერგი ტვირთის საბაჟო გაფორმების მომენტში და დაუშვებელია მათი გადავადება. დღგ-ს დარიცხვის სისწორე მოწმდება საბაჟო ორგანოს საგადასახადო მუშაკის მიერ, დასტურდება ხელმოწერით და სათანადო ნომრიანი ბეჭდით იმავე დღეს, რა დღესაც სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში გაკეთდა აღნიშვნა "გაშვება

ნებადართულია". დაუშვებელია საბაჟო ორგანოების მიერ იმ ტვირთების გატარება, რომელთაც ერიცხებათ დავალიანება დღგ-ს ნაწილში.

საბაჟო ორგანოს ეკრძალება ტვირთების საბაჟო გაფორმება იმ დრომდე, სანამ საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელ საქონელზე განსაზღვრული დღგ არ მოხვდება საბაჟოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

დღგ-ს თანხა უკან დაბრუნებას ექვემდებარება, თუ საბაჟო ორგანოების მიერ ზედმეტად არის გათვლილი დღგ-ს გადასახდელი თანხა, ან საბაჟო ღირებულება.

დღგ-ს გამოანგარიშების სისწორეს და ბიუჯეტში სრულად შეტანაზე კონტროლს ახორციელებენ საქართველოს საბაჟო ორგანოების თანამშრომლები.

საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად , ყოველთვის, როდესაც საბაჟო რეჟიმით საქონლის გადაადგილება საზღვარზე თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან, ის თავისუფლდება დღგ-ს გადასახადისაგანაც.

3.4.9. აქციზი

აქციზი არის არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც აქციზური საქონლის მოწოდებისას მის ფასთან ერთად გადაიხდება. საქართველოში აქციზური საქონლის წარმოება, ან იმპორტი იბეგრება აქციზის გადასახადით.

აქციზის გადამხდელად ითვლება ფიზიკური ან იურიდული პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს და ეწევა მის იმპორტს საქართველოში, აგრეთვე პირი, რომელიც ახორციელებს შავი და ფერადი ლითონების ექსპორტს.

აქციზით დაბეგვრის ობიექტია საქონლის იმპორტი, საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდება. საქონლის იმპორტის შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტად ითვლება იმპორტის დრო საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით. აქციზური საქონლის ექსპორტი ნულოვანი განაკვეთით იბეგრება.

საქართველოში აქციზი შემოღებული იქნა 1992 წლის 15 მარტიდან.

აქციზის თანხა გამოანგარიშება ეროვნულ ვალუტაში შემდეგნაირად:

(ს.ღ. + ს.მ. + ს.გ.) * ა.გ./100

ს.ღ. – საბაჟო ღირებულება

ს.მ. – საბაჟო მოსაკრებლები

ს.გ. – საბაჟო გადასახადი

ა.გ. - აქციზის განაკვეთი.

აქციზისაგან თავისუფლდება: ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული და მოხმარებული ალკოჰოლური სასმელები, ფიზიკური პირის მიერ ორი ლიტრი ალკოჰოლური სასმელი და 200 ღერი სიგარეტის იმპორტი, ტრანსპორტში არსებული საწვავი, აქციზური საქონლის ტრანზიტი და დროებით შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე.

აქციზის გადასახადი გამოიყენება საბაზრო ეკონომიკის ყველა ქვეყანაში. აქციზით იბეგრება წარმოებული საქონლის განსაზღვრული ჩამონათვალი და ასრულებს ორმაგ დანიშნულებას:

1. იგი არის საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვან წყარო;
2. აქციზური გადასახადი არის აქციზური საქონლის მოხმარების შეზღუდვის და საქონლის მოთხოვნა – მიწოდების თანაფარდობის რეგულირების საშუალება.

აქციზით ძირითადად იბეგრება მაღალრენტაბელური საქონელი, იგი სახელმწიფოს მიერ კონკურენციის დაცვის საშუალებაა. მთელ რიგ ქვეყნებში საკმაოდ შეზღუდულია აქციზური საქონლის ჩამონათვალი.

აშშ-ში, ინგლისსა და საფრანგეთში აქციზური საქონლის ჯგუფთა რაოდენობა ოთხს არ აღემატება. იაპონიაში ასეთი – 600-ია. ასევე მაღალია აქციზური საქონლის ხვედრითი წილი იტალიაში, შვეიცარიაში, რუსეთში, საქართველოში და სხვა. ამ ქვეყნებში აქციზით იბეგრება ფუფუნების საგნები, ალკოჰოლიანი სასმელები, სიგარეტი, ასევე დელიკატესები.

უმრავლეს ქვეყანაში აქციზით იბეგრება საქონლის ცალკეული სახეების ჯგუფები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საგადასახადო და საბაჟო ორგანოები, რომლებიც აწესებენ კონტროლს აქციზის გადახდაზე, დადგენილი წესის შესაბამისად ახდენენ აქციზური მარკის გარეშე იმპორტირებული, ან გასაყიდად მიღებული აქციზური საქონლის ჩამორთმევას.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი და საბაჟო ორგანოები ვალდებულნი არიან აქციზის გადამხდელებისაგან, ან ბანკისაგან უდავო წესით ამოიღონ გადასახადების ვადაგადაცილებელი დავალიანებების თანხები.

ნორმატიული აქტებით შემოღებულია მოთხოვნა აქციზური მარკების სავალდებულო დართვის შესახებ იმ იმპორტულ საქონლზე, რომელიც ფიქსირებელი განაკვეთით ექვემდებარება აქციზის გადახდას. ამ შემთხვევაში აქციზი გადაიხდება მარკის ყიდვის დროს.

თუ საქონელს მარკა აქვს, იგი აქციზით არ იბეგრება. აკრძალულია აქციზური საქონლის იმპორტი, ან რეალიზაცია აქციზური მარკის გარეშე. კანონით, საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ აქციზური მარკის გარეშე სარეალიზაციოდ გამოტანილი საქონელი რეალიზატორს ჩამოართვას.

პასუხისმგებლობა აქციზის გადახდის სისწორესა და დროულობაზე ეკისრებათ აქციზის გადამხდელებსა და მათ თანამდებობის პირებს.

3.5. საბაჟო გაფორმება

3.5.1. საბაჟო გაფორმების ძირითადი პრინციპები

საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს საბაჟო ტერიტორია შედგება საქართველოს სახმელეთო ტერიტორიისაგან, ტერიტორიული და შიგა წყლებისაგან და მათი საჰაერო სივრცისაგან. საქართველოს საბაჟო ტერიტორია აგრეთვე მოიცავს განსაკუთრებულ საზღვაო ეკონომიკურ ზონებში განლაგებულ დანადგარების, ნაგებობებისა და ხელოვნური კუნძულების ტერიტორიებს, რომლებზედაც ვრცელდება საქართველოს განსაკუთრებული იურისდიქცია.

საქართველოს საბაჟო ტერიტორია შემოიფარგლება საბაჟო საზღვრით, რომელიც ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს.

საქონელი, რომელიც მოხვდება საბაჟო კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრულ სივრცეში, ავტომატურად ექცევა მე-6 მუხლის ზემოქმედების ქვეშ, რომლის მიხედვითაც საქონელს უნდა მიენიჭოს საქართველოს ან უცხოური საქონლის საბაჟო სტატუსი. აღნიშნული სტატუსის მინიჭება იწვევს ისეთი პროცედურების დაწყებას, როგორიცაა საბაჟო დათვალიერება და საბაჟო გაფორმება.

საბაჟო დათვალიერება არის საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირთა ადმინისტრაციული მოქმედება, რომელიც გულისხმობს სატრანსპორტო საშუალებების, შენობების, ან მასში მოთავსებული საქონლის გარეგანი სახის შემოწმებას. საბაჟო დათვალიერების დროს არ ხდება სატრანსპორტო საშუალებებისა და საქონლის გახსნა, საგნების მთლიანობის დარღვევა.

საბაჟო გაფორმება გარკვეული საბაჟო პროცედურების ჩატარებაა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შესაბამის საბაჟო რეჟიმში მოქცევისა და ამ რეჟიმის დამთავრების მიზნით.

საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრულია საბაჟო გაფორმების დრო და ადგილი. საბაჟო გაფორმება, როგორც წესი წარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ დროსა და ადგილას – საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც იმყოფება საქონლის გამგზავნი, მიმღები, ან მათი სტრუქტურული ქვედანაყოფი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 4 მაისს ბრძანების შესაბამისად საბაჟო გაფორმების დრო განისაზღვრება 10 საათიდან 18 საათამდე.

დაინტერესებული პირის თხოვნით, მისი ხარჯითა და საბაჟო ორგანოს წერილობითი თანხმობით, საბაჟო გაფორმება შეიძლება განხორციელდეს განცხადებაში მითითებულ ადგილზე და საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროსაც.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს რეგიონალურ საბაჟო სამსახურებს განესაზღვრა სადღეღამისო (24 საათი) სამუშაო დრო გარდა ზემო ლარსის საბაჟო გამშვები პუნქტისა რომელიც მუშაობს 7^{00} საათიდან 18^{00} საათამდე.

ფინანსთა სამინისტროს საბაჟო სამსახურს უფლება აქვს დააადგინოს, რომ ცალკეული კატეგორიის საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმება განახორციელონ მხოლოდ განსაზღვრულმა საბაჟო ორგანოებმა.

საბაჟო გაფორმება წარმოებს საქართველოს სახელმწიფო ენაზე, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში, სხვა ენაზედაც.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ უფლებამოსილ პირებსა და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ, საბაჟო ორგანოს მოთხოვნით კი – ვალდებულნი არიან დაესწრონ საბაჟო გაფორმებას.

საბაჟო ორგანოს მოთხოვნით საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლით გადაკვეთის მომენტისათვის, ამ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრე, ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია განახორციელოს საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო ოპერაციები: საქონლის ტრანსპორტირება, რაოდენობის განსაზღვრა საქონლის გადაზიდვამდე მისი რაოდენობის, ხარისხისა და ღირებულების სავალდებულო ინსპექტირების უზრუნველყოფა, დატვირთვა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, დაზიანებული შეფუთვის შეკეთება, საფუთავის გახსნა, შეფუთვა, ან ხელახალი შეფუთვა,. საწყობის მფლობელი ასევე ვალდებულია გააღოს სათავსები, საცავები და სხვა ადგილები, სადაც შეიძლება იყოს მოთავსებული საბაჟო გაფორმებას დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები. აღნიშნული ოპერაციები ხორციელდება მხოლოდ საბაჟო ორგანოს ნებართვით.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებასთან დაკავშირებული სატვირთო და სხვა ოპერაციები ხორციელდება მესაკუთრის ხარჯით და მათ არ უნდა გამოიწვიონ ამ მიზნით სახელმწიფოს მხრივ რაიმე ხარჯი.

საქართველოს საბაჟო კოდექსში განსაზღვრულია საბაჟო გაფორმების პრიორიტეტული წესები. მალფუჭებადი საქონლის, ცხოველების, მასობრივი ინფორმაციის შემცველი საქონლის, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა მისამართზე გაგზავნილი, აგრეთვე სტიქიური უბედურებების, ავარიების, კატასტროფების დროს საბაჟო ტერიტორიაზე საჭირო საქონლის შემოტანისა და ამ ტერიტორიიდან გატანის დროს მათი საბაჟო გაფორმება ხდება გამარტივებული და პრიორიტეტული წესით.

დაუშვებელია იმ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება, ან განკარგვა, რომელთა მიმართ საბაჟო გაფორმება არ არის დამთავრებული.

3.5..2. საბაჟო დეკლარირება. საბაჟო დეკლარაციის სახეები

დეკლარირება. საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას, აგრეთვე საბაჟო რეჟიმის შეცვლისას საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები ექვემდებარება საბაჟო ორგანოში დეკლარირებას.

დეკლარირება ხდება დადგენილი ფორმის განცხადებით, რომელიც შეიცავს ზუსტ ცნობებს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების, მათი საბაჟო რეჟიმის შესახებ და საბაჟო მიზნებისათვის საჭირო სხვა ცნობებს.

საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით, საქონლის დეკლარირება ხდება საბაჟო ორგანოში, სადაც წარმოებს საქონლის საბაჟო გაფორმება. სატრანსპორტო საშუალებები, რომლებითაც საქონელი გადააქვთ, ექვემდებარება საქონელთან ერთად დეკლარირებას.

საბაჟო კოდექსში განსაზღვრულია საზღვაო და საჰაერო ხომალდების დეკლარირების წესი. მათი დეკლარირება ხდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, დანიშნულების ნავსადგურში, ან აეროპორტში ჩასვლისას, აგრეთვე, საბაჟო ტერიტორიის ნავსადგურში, ან აეროპორტში, საიდანაც მათი გასვლა ხდება. ცარიელი და მგზავრების გადამყვანი სატრანსპორტო

საშუალებების დეკლარირება ხდება საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას.

საბაჟო საზღვრის გავლით ფიზიკური პირების მიერ ხელბარგითა და ბარგით საქონლის გადაადგილებისას, საბაჟოს დეკლარაცია წარედგინება საქონელთან ერთად.

დეკლარანტი შეიძლება იყოს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადამაადგილებელი პირი ან საბაჟო ბროკერი. საქართველოს საბაჟო კოდექსში განსაზღვრულია დეკლარანტის უფლება-მოვალეობანი. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირებისას დეკლარანტი ვალდებულია:

ა. მოახდინოს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირება, საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული წესის მიხედვით;

ბ. საბაჟო ორგანოს მოთხოვნით წარადგინოს საჭირო საბუთები და ცნობები;

გ. უზრუნველყოს საბაჟო გადასახდელების გადახდა;

დ. ხელი შეუწყოს საბაჟო ორგანოებს საბაჟო გაფორმებაში, მათ შორის საჭირო სატვირთო და სხვა ოპერაციების შესრულების გზით.

საქონლის ექსპორტისა და იმპორტის საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო საბუთებისა და ცნობების ნუსხა განსაზღვრულია კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში (2001 წლის 21 ნოემბერი, № 798). ამ აქტის მიხედვით, საქონლის ექსპორტისა და იმპორტის საბაჟო გაფორმებისათვის საბაჟო სატვირთო დეკლარაციასთან ერთად შესაბამის საბაჟო ორგანოს წარედგინება შემდეგი საბუთები და ცნობები:

1. დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ დეკლარანტის უფლებამოსილებას წარადგინოს საბაჟო სატვირთო დეკლარაცია;
2. სატრანსპორტო დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ საქონლის გადაადგილების ფაქტს;
3. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილე სუბიექტებს შორის გაფორმებული კონტრაქტი (ხელშეკრულება), ან მისი შემცვლელი დოკუმენტი;
4. ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი);
5. გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის დამადასტურებელი საბუთი (გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატი);
6. შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი;
7. სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებულ საქონელზე – შესაბამისობის სერტიფიკატი;
8. თუ საქონლის ექსპორტი, ან იმპორტი ექვემდებარება ლიცენზირებას – უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზია;
9. თუ საქონელი ექვემდებარება საქონლის გადაზიდვამდე ინსპექტირებას – უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი.

წარმოდგენილ საბაჟო დეკლარაციას იღებს საბაჟო ორგანო და ახდენს მის რეგისტრაციას. საბაჟო დეკლარაცია რეგისტრაციის მომენტიდან იქცევა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელ საბუთად. საბაჟო ორგანოს უფლება არა აქვს უარი თქვას საბაჟო დეკლარაციის მიღებაზე. საბაჟო ორგანოს ნებართვით შეიძლება საბაჟო დეკლარაციაში აღნიშნული მონაცემების შეცვლა, შევსება, ან წარდგენილი საბაჟო დეკლარაციის გამოთხოვა.

საბაჟო კოდექსის მიხედვით, საბაჟო დეკლარაციის შეცვლა, შევსება, ან გამოთხოვა შეიძლება მხოლოდ საბაჟო დეკლარაციის შემოწმების დაწყებამდე; საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო

დათვალიერებამდე, ან საბაჟო შემოწმებამდე; საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო დეკლარაციაში აღნიშნული უტყუარობის დადგენამდე.

საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირებს არა აქვთ უფლება შეავსონ საბაჟო დეკლარაცია, შეცვალონ, ან შეიტანონ მონაცემები, გარდა იმ მონაცემებისა, რომლებიც საბაჟო ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებისათვის გამოიყენება საბაჟო დეკლარაციის შემდეგი სახეები:

1. სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია;
2. ფიზიკური პირის დეკლარაცია;
3. საფოსტო გზავნილების დეკლარაცია;
4. სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას, საქონლის მიმართ საბაჟო პროცედურების ჩატარების მიზნით დეკლარანტი საბაჟო ორგანოს წარუდგენს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციას. ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს დეკლარირების პირადი საგნები, ვალუტა და ფასიანი ქაღალდები, ავსებს და საბაჟო ორგანოს წარუდგენს ფიზიკური პირის დეკლარაციას. ასევე საქართველოდან საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაგზავნისას გამგზავნი ავსებს დეკლარაციას გასაგზავნ საქონელზე. სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის გამოყენების წესი და პირობები განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

საბაჟო ორგანოებისათვის სტანდარტური ფორმით მიწოდებული საბაჟო დეკლარაცია ინფორმაციატევადია და ამ ორგანოების მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მიზნისათვის: სამართალდამცავი (კონტრაბანდისა და საბაჟო წესების სხვა დარღვევასთან ბრძოლისათვის), საგადასახადო (როგორც საგადასახადო დეკლარაცია) და სხვა.

დეკლარირების ფორმა და წესი, აგრეთვე, საბაჟო მიზნებისათვის საჭირო ცნობების ნუსხა, განისაზღვრება დადგენილი წესით, დეკლარირების ფორმებია: წერილობითი, ზეპირი და მონაცემების ელექტრონული გადაცემა.

ამგვარად, საბაჟო დეკლარირება არის საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის საბაჟოში დოკუმენტურად და ფიზიკურად წარდგენა.

დოკუმენტური დეკლარირება ნიშნავს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ საქონლის თანმხლები დოკუმენტის (პირვალედი დოკუმენტები) ბაზაზე შექმნილი კრებითი დოკუმენტის დეკლარაციის წარდგენას.

ფიზიკური დეკლარირება ნიშნავს საქონლის პირდაპირ წარდგენას ფიზიკური კონტროლის განსახორციელებლად. ეს სახეობა დაკავშირებულია საბაჟო კონტროლთან

დოკუმენტური დეკლარირება ცივილური საბაჟო სისტემების განვითარების შედეგია. ყველაზე მეტად, თანამედროვე სახე საბაჟო დეკლარაციებმა და მისმა დოკუმენტებმა მიიღო მეორე მსუფლიო ომის შემდეგ, როდესაც შეიქმნა სავალუტო და საბაჟო-სავაჭრო საერთაშორისო ორგანიზაციები.

დეკლარაცია არის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას საქონლის გამომგზავნ-მიმღებზე, საბაჟო ღირებულებაზე, შეფუთვაზე, დაბეგვრის რეჟიმზე, ოდენობაზე. ის დგება ძირითადი სასაქონლო დოკუმენტების ბაზაზე: ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი), ან კონოსამენტი, კომერციული ხელშეკრულება, წარმოშობისა და შეფუთვის სერტიფიკატი და სხვა.

დეკლარაციის სახეები, რომლებიც დღეს მოქმედებს მსოფლიოში, ეყრდნობა გაეროს მიერ დამტკიცებულ ფორმას, რომლებიც 51 ან 52 გრაფიანია.

საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე საქართველოს რეზიდენტებისა და არარეზიდენტებისათვის საბაჟო პროცედურების ჩატარების გაიოლების, საბაჟო დოკუმენტების საერთაშორისო სტანდარტებისადმი მისადაგების, საბაჟო ორგანოებში საინფორმაციო ნაკადების მოძრაობის სრულყოფისა და ოპერატიულობის ამაღლების, ფიზიკური პირების მიერ საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით, 1998 წლის 5 ნოემბერს დამტკიცდა ახალი, ქართულ-ინგლისური ნიმუშის სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ფორმები სსდ-1 და სსდ-2. შეიქმნა ქართულენოვანი დეკლარაცია, რომელიც ეყრდნობა გაეროს მიერ დამტკიცებულ ფორმას.

ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

1. მოქალაქე დეკლარანტის გვარი, სახელი;
2. იმ ქვეყნის დასახელება, სადაც მიემგზავრება, ან საიდანაც ჩამოვიდა;
3. მგზავრობის მიზანი (პირადი, ტურისტული, საქმიანი, მიწვევა და ა.შ.);
4. საბარგო ადგილების რაოდენობა (ხელბარგის ჩათვლით), რომელიც საბაჟო ორგანოს წარედგინება;
5. იმ საბარგო ადგილების რაოდენობა, რომელიც მოჰყვება მგზავრს ცალკე;
6. ზოგიერთი საქონელი, რომელიც შედის ხელბარგში და მის გატანაზე (შემოტანაზე) ნებართვის საფუძველი არსებობს (იარაღი, საბრძოლო მასალა, ნარკოტიკები და მისი გამოყენების საშუალებები, სიძველეები და ხელოვნების ნიმუშები, ვალუტა და სავალუტო ფასეულობანი და სხვა);
7. საქონელი, რომელიც მგზავრის ბარგშია, მაგრამ ეკუთვნის სხვა პირს.

დეკლარაციას ერთვის შევსების თარიღი და ბარგის მფლობელის ხელმოწერა.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე ფიზიკური პირის მიერ გადაადგილებული პირადი სარგებლობის საგნების, ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების დეკლარირება ხორციელდება ინსტრუქციის "ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის შესახებ" საფუძველზე.

ინსტრუქციის თანახმად, შევსებული დეკლარაცია რჩება საბაჟოში და ინახება სპეციალურ არქივში.

დეკლარაციაში არ უნდა იყოს წაშლილი და გადასწორებული ადგილები. ყოველი შესწორების შეტანა უნდა მოხდეს არასწორი მონაცემების გადახაზვით და, თუ საჭიროა, შესაბამისი მონაცემების იმავე ფურცელზე ჩამატებით. ყოველი შესწორება მოწმდება საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და პირადნომრიანი ბეჭდის დასმით.

საქართველოში სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ფორმები ევროპის კავშირისა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნების ერთიანი საბაჟო ადმინისტრაციული დოკუმენტის იდენტურია. ეს ფორმები წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია ცნობები საქონლის შესახებ, მათი საბაჟო რეჟიმების შესახებ და სხვა მონაცემები. ეს მონაცემები ესაჭიროებათ საბაჟო ორგანოებს მათზე დაკისრებული ფუნქციის შესასრულებლად.

სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის შევსება საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო პროცესია; იგი მოითხოვს სპეციალურ ცოდნას და დახელოვნებას.

საქონლის გატარება ხდება საბაჟო გაფორმების დამთავრების შემდეგ. საქონლის საბაჟო გაფორმება იწყება საქონლის საბაჟო გაფორმების ადგილზე მიტანის, საბაჟოში შეტყობინების, სატვირთო-საბაჟო დეკლარაციისა და არსებულ დებულებებში მითითებული სხვა დოკუმენტების

წარდგენის შემდეგ. საბაჟოს მიერ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის მიღება დასტურდება №7 გრაფაში დეკლარაციის ნომრისა და მისი საბაჟო გაფორმებისათვის მიღების თარიღის ჩვენებით.

საბაჟო გაფორმება მთავრდება კონტროლისათვის წარდგენილი ყველა დოკუმენტისა და მონაცემების შემოწმების, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – გაცხადებული საქონლის დათვალიერების შემდეგ. გაფორმების დამთავრდება დასტურდება დამღით "გაშვება ნებადართულია".

სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის კომპლექტი შედგება 4 აკინძული ფურცლისაგან (ფორმა თ-1). დეკლარაცია ივსება საქონლის, ან ქონების ყოველ პარტიაზე, რომელიც შედგება ერთი დასახელების საქონლისაგან, ან ქონებისაგან იმ პირობით, რომ მათ მიმართ ვრცელდება ერთი და იგივე საბაჟო რეჟიმი. თუ პარტია მოიცავს რამდენიმე დასახელების საქონელს, ან ქონებას, გამოიყენება დამატებითი ფურცლები (თ- -2), თითოეული მათგანი იძლევა კიდევ სამი დასახელების საქონლის, ან ქონების დეკლარირების შესაძლებლობას. ერთ დეკლარაციაში შეიძლება გაცხადებული იყოს მონაცემები 99 დასახელების საქონელზე, ან ქონებაზე (ერთდროულად დეკლარაციას შეიძლება თან ერთვოდეს 33 დამატებითი ფურცელი).

სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ფურცლები ნაწილდება შემდეგნაირად:

1. პირველი ფურცელი რჩება საბაჟოში და ინახება სპეციალურ არქივში;
2. მეორე ფურცელი ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სტატისტიკის სამმართველოს;
3. მესამე ფურცელი უბრუნდება საქონლის განმცხადებელ პირს;
4. მეოთხე ფურცელი ინახება საბაჟო ბუღალტერიაში.

დეკლარაცია ივსება საქართველოს სახელმწიფო ენაზე. გაურკვევლად შევსებული დეკლარაციები საბაჟო ორგანოების მიერ არ მიიღება.

ინსტრუქციაში განსაზღვრულია საბაჟო-სატვირთო დეკლარაციების შევსების წესები.

საერთაშორისო წესებით დადგენილია საფოსტო გზავნილების დეკლარაციის შევსების მონაცემები:

1. გამგზავნის სახელწოდება და მისამართი;
2. გზავნილის გასავლის ნომერი;
3. მიმღების სახელწოდება და სრული მისამართი;
4. ინფორმაცია იმის შესახებ, არის თუ არა დეკლარირების საგანი საჩუქარი, ან საქონლის ნიმუში;
5. დანიშნულების ქვეყანა;
6. საერთო, ბრუტო წონა;
7. გზავნილების რაოდენობა;
8. გზავნილის შიგთავსის ვრცელი ჩამონათვალი;
9. სატარიფო ნომერი;
10. ნეტო წონა;
11. გაცხადებული ღირებულება.

საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულია საქონელი, რომლის შემოტანა ხორციელდება ლიცენზიებით:

1. სამედიცინო მოწყობილობა;
2. სამკურნალო საშუალებები და ნედლეული;
3. მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები;
4. სამრეწველო ნარჩენები;
5. ნარკოტიკული ნივთიერებები;
6. იარაღი და ტყვია-წამალი.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით აკრძალულია:

1. ქვეყნის ტერიტორიაზე იარაღის, ტყვია-წამლის და სხვა საბრძოლო დანიშნულების ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა და გატანა შესაბამისი სამსახურების (შსს, უშიშროების სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო) ნებართვის გარეშე;
2. სამკურნალო საშუალებების (მედიკამენტები, წამლები, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნებართვის გარეშე;
3. ბირთვული, ატომური, ქიმიური ნივთიერებებისა და მათი შემცველი საგნების შემოტანა, გატანა და ტრანზიტი შესაბამისი სამსახურების (შსს, უშიშროების სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, ბუნებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო) ნებართვის გარეშე.
4. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას ნებისმიერ ფიზიკური, იურიდიული პირი და მეწარმე-სუბიექტი ვალდებულია საბაჟოს წარუდგინოს სწორად შევსებული ყველა საჭირო დოკუმენტი, აგრეთვე, საბაჟო დათვალიერებისათვის – სატრანსპორტო საშუალება, პირადი ბარგი, ხელბარგი და თანმხლები ტვირთი.

საბაჟო დეკლარაციის შედგენისაგან თავისუფლდება:

1. სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟის წევრები, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო რეისებს, კავშირგაბმულობის დაწესებულებათა მუშაკები და სხვა პირები, რომლებსაც სამსახურის გამო უფლება აქვთ გადაკვეთონ საზღვარი მოკლე ვადით;
2. უცხოური კრუიზის ტურისტები, რომლებიც საქართველოს პორტებში ყოფნის დროს ცხოვრობენ გემებზე და ჩამოდიან ნაპირზე მხოლოდ მოკლევადიანი ექსკურსიების დროს.

ფიზიკური პირის მიერ არაკომერციული დანიშნულებით შემოტანილი 50-დან 100 კგ-მდე წონის ტვირთი იბეგრება საბაჟო გადასახადით 1 ლარით კილოგრამზე.

ფიზიკური პირის მიერ საქართველოში ერთჯერად 100 კგ-ზე მეტი ტვირთის, ან ერთგვაროვანი საქონლის 20კგ-ზე მეტი ოდენობით შემოტანა განიხილება, როგორც საქონლის კომერციული მიზნით შემოტანა და დაიბეგრება საერთო რეჟიმით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად შემოსული ფიზიკური პირის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (ავეჯი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალება და სხვა) იმპორტი არ იბეგრება.

ფიზიკური პირის მიერ საქართველოში დროებით შემოტანილი და საქართველოდან დროებით გატანილი საქონელი შეიტანება საბაჟო დეკლარაციაში. ამავე დადგენილებაში მოცემულია იმ აქციზური საქონლის ნუსხა, რომლის შემოტანა დაუბეგრავად შეიძლება: ყველა სახის ალკოჰოლური სასმელი – 3 ლიტრი; ლუდი – 10 ლიტრი; თამბაქოს ნაწარმი – 200 ღერი; ძვირფასი ლითონისაგან, მელქიორისაგან დამზადებული საიუველირო ნაწარმი – 1 ცალი; მსუბუქი ავტომობილის საბურავი – 4 ცალი.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ფიზიკურ პირს საქართველოდან ყოველი გასვლისას უფლება აქვს ხელბარგით და თანმხლები ბარგით გაიტანოს: საქართველოში შემოსვლისას დეკლარირებული ნივთები; პირადი სარგებლობის ახალი (ლეგალურად მიღებული: შეძენილი, ნაჩუქარი, მოგებული), ან ნახმარი ნივთები, კერძოდ: ძვირფასი ლითონების, მელქიორის, ძვირფასი ქვების, მათი გამოყენებით დამზადებული ნივთები, მათ შორის საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობები.

ფიზიკური პირის მიერ საქართველოდან ერთჯერადად გასატანად დასაშვებ რაოდენობაზე მეტი საგნების ხელბარგით. ან თანმხლები ბარგით გატანა განიხილება, როგორც საქონლის კომერციული მიზნით გატანა. ფიზიკური პირის მიერ საგნების გატანა არ იზღუდება რაოდენობით, წონით ან მოცულობით, ხოლო მათი საბაჟო გაფორმება ხორციელდება საბაჟო ორგანოების მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.5.3. საბაჟო გაფორმების პროცედურები

საბაჟო პროცედურების სახეები. საბაჟო დეკლარაციის მიღებისა და საბაჟო ორგანოების მიერ მისი შემოწმების შემდეგ ხორციელდება გაფორმების შემდეგი პროცედურები:

1. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენა, მათი დათვალიერება და საბაჟო შემოწმება;
2. საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღება;
3. საქონლის გადაზიდვაზე ჩატარებული ინსპექტირების დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმება;
4. გადასახადების გამოანგარიშება და გადახდევინება;
5. საბაჟოსათვის გარანტიების წარდგენა;
6. საქონლის გაშვება.

საქართველოს საბაჟო კოდექსი განსაზღვრავს საბაჟო გაფორმების პროცედურების განხორციელების წესებს. საბაჟო ორგანოები ახორციელებენ საქონლის საბაჟო დათვალიერებას, ამოწმებენ საქონლის დასახელების, წარმოშობის, მდგომარეობის, რაოდენობის, ღირებულების შესაბამისობას წარმოდგენილი დეკლარაციის მონაცემებთან. საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამაადგილებელ პირს, ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს საქონლის საბაჟო დათვალიერებასა და შემოწმებას.

ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას და საბაჟო კონტროლის ზონაში ყოფნისას, საბაჟო ორგანოს მუშაკს უფლება აქვს მოსთხოვოს მას პირადი ნივთების წარდგენა საბაჟო დათვალიერებისათვის და დაათვალიეროს ისინი. შესამოწმებელი ფიზიკური პირი ვალდებულია საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირს დაეხმაროს თავისი ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებაში, გახსნას თავისი ბარგი მისი მითითებით. ფიზიკური პირის ნივთების საბაჟო დათვალიერება ხორციელდება მფლობელის, ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით.

საბაჟო ორგანოები არ უნაზღაურებენ საქონლის მესაკუთრეს იმ ზიანს, რომელიც დაკავშირებულია სინჯებისა და ნიმუშების აღებასთან. სინჯებისა და ნიმუშების გამოკვლევისას საბაჟო ორგანოებისა და საბაჟო ლაბორატორიების ხარჯებს საქონლის მესაკუთრე არ აანაზღაურებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი გამოკვლევა ეწყობა აღნიშნული პირის ინიციატივით.

საბაჟო გაფორმების მიზნით საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ აიღონ საქონლის სინჯები და ჩაატარონ მათი გამოკვლევა (ექსპერტიზა). საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის სინჯები და ნიმუშები, კონტროლის განხორციელების მიზნით, საბაჟო ორგანოს ნებართვით, შეუძლიათ აიღონ აგრეთვე საქონლის მფლობელებმა, ან მათმა

წარმომადგენლებმა და სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. სინჯებსა და ნიმუშებს იღებენ იმ მინიმალური ოდენობით, რაც საკმარისია მათ გამოსაკვლევად, სინჯებისა და ნიმუშების აღების შესახებ დგება ოქმი დადგენილი წესით. პროცედურაზე დასწრების უფლება გააჩნიათ საქონლის მესაკუთრეს, მფლობელსა და სხვა უფლებამოსილ პირებს.

საქონლის მესაკუთრეთა, მფლობელთა და სხვა უფლებამოსილ პირთა დაუსწრებლად საქონლის სინჯები და ნიმუშები საბაჟო ორგანოებმა შეიძლება აიღონ საქონლის წარდგენიდან ათი დღის განმავლობაში; სხვა გადაუდებელი გარემოების დროს, სინჯებისა და ნიმუშების აღებას ესწრება ორი მოწმე, რომლებიც გამოკვლევის შედეგებით არ არიან დაინტერესებული.

საბაჟო გაფორმება მთავრდება საქონლის გაშვებით, რის შემდეგაც საქონელი გადადის მფლობელის სრულ განკარგულებაში.

საფოსტო გზავნილების საბაჟო დათვალიერება, რომლებშიც მოთავსებულია უცხო სახელმწიფოდან შემოსული საქონელი, ხდება კავშირგაბმულობის საწარმოებში გზავნილის მიმღებისათვის გადაცემამდე. უცხო სახელმწიფოში გასაგზავნი საფოსტო გზავნილების საბაჟო დათვალიერება ხდება კავშირგაბმულობის საწარმოებში მიღების შემდეგ, ან მიღებისას.

საბაჟო დათვალიერების უზრუნველყოფის მიზნით, საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირს შეუძლია მოახდინოს სატრანსპორტო საშუალებათა, შენობებისა და შესაბამისი საქონლის იდენტიფიკაცია. იდენტიფიკაცია ხორციელდება შემდეგი ტექნიკური ღონისძიებების გატარებით: ლუქის, ბეჭდის, ციფრობრივი, ასოთი ან მარკირების სხვა საიდენტიფიკაციო ნიშნების, შტამპის დასმა; საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა აღწერა; ნახაზების შედგენა, მასშტაბური გამოსახულების, ფოტოსურათების ილუსტრაციების გამოყენება და სხვა. საბაჟო დათვალიერება ხდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიის, საბაჟო საწყობების, თავისუფალი საწყობების, თავისუფალი საბაჟო ზონებისა და უბაჟო მაღაზიების ვიზუალური შემოწმებით. ამასთან, დათვალიერება ხდება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოტანის დროს – გამგზავნ საბაჟოზე და გატანის დროს – დანიშნულების საბაჟოზე.

3.5.4. საბაჟო გაფორმების წინასწარი ოპერაციები

საბაჟო გაფორმებას წინ უსწრებს წინასწარი საბაჟო ოპერაციები. საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, წინასწარმა საბაჟო ოპერციებმა უნდა გააიოლოს და დააჩქაროს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმება.

საბაჟო კოდექსის მიხედვით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოტანის ან ამ ტერიტორიიდან გატანის დროს, მესაკუთრეს, ან მის უფლებამოსილ პირს აქვს უფლება საბაჟო ორგანოს წინასწარ შეატყობინოს საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის შესახებ. საბაჟო ორგანო ვალდებულია აღრიცხოს შეტყობინება და, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დანიშნოს დრო და ადგილი, სადაც უნდა მიიტანონ საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები საბაჟო გაფორმებისათვის.

აღნიშნული შეტყობინების შემდეგ მესაკუთრე, ან მისი უფლებამოსილი პირი ვალდებულია საქონელი, სატრანსპორტო საშუალებები და მათი საბუთები საქონლის მდგომარეობის ცვლილებების გარეშე (გარდა იმ ცვლილებებისა, რაც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთის, ტრანსპორტირების ან შენახვის ნორმალურ პირობებში კლებით), დადგენილი მარშრუტით მიიტანოს საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილას და იმყოფებოდეს იქ მიტანის შემდეგ.

უფრო კონკრეტულად, წინასწარ ოპერაციებს მიეკუთვნება:

1. საბაჟო ორგანოების ინფორმირება საქართველოს საბაჟო საზღვარის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთის ან გადაკვეთის სურვილის შესახებ;
2. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა , მიყვანა და დაყენება საბაჟო ორგანოების მიერ მითითებულ საბაჟო გაფორმების ადგილზე;
3. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენა საბაჟო ორგანოებისათვის;
4. მოკლე დეკლარაციის წარდგენა.

შეტყობინება ნიშნავს საქონლის მიმღების (გამგზავნის) მიერ საგარანტიო ვალდებულებებისა და საქონლის ანგარიშფაქტურის წარმოდგენას.

გადამზიდველი ვალდებულია დათქმულ დროსა და ადგილზე მიიტანოს საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე საჭირო დოკუმენტები. საქონლის მიტანა ხდება შეფუთვისა და საქონლის მდგომარეობის შეცვლის გარეშე.

იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ორგანომ საბაჟო გაფორმების ჩასატარებლად მიუთითა ადგილი საბაჟო ტერიტორიის სიღრმეში (მაგალითად, თბილისში), ეს საქონელი საბაჟოდან (სასაზღვრო) გაფორმების საბაჟომდე უნდა გადაიზიდოს საბაჟო კონტროლის პირობებში, შიგა საბაჟო ტრანზიტის პროცედურებით.

3.5.5. საბაჟო ბროკერი

საბაჟო ბროკერი (შუამავალი) არის "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმო, რომელსაც აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზია საბაჟო ბროკერის საქმიანობის განსახორციელებლად.

საბაჟო ბროკერი თავის საქმიანობას ახორციელებს საბაჟო კოდექსისა და შესაბამისი დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საბაჟო ბროკერის მარწმუნებელთან ურთიერთობას საფუძვლად უდევს წერილობითი ხელშეკრულება.

საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო ოპერაციების განხორციელების უფლება აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ ლიცენზირებულ საბაჟო ბროკერს.

ბროკერის უფლება-მოვალეობები უფრო კონკრეტულად განსაზღვრულია დებულებაში "საბაჟო ბროკერის შესახებ". დებულების მიხედვით, საბაჟო ბროკერის მოვალეობებია:

1. დაწესებული ფორმითა და დაწესებულ ვადებში განაცხადოს მონაცემები საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებზე და მათ საბაჟო

რეჟიმზე, განაცხადოს სხვა მონაცემები, რომლებიც აუცილებელია საბაჟო მიზნებისათვის;

2. საქართველოს საბაჟო ორგანოს მოთხოვნაზე წარმოადგინოს დეკლარირებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები;

3. საქართველოს საბაჟო ორგანოში წარმოადგინოს საბაჟო მიზნებისათვის აუცილებელი დოკუმენტები და დამატებითი მონაცემები;

4. შეამოწმოს მარწმუნებელი პირისაგან მიღებული საბაჟო მიზნებისათვის აუცილებელი დოკუმენტებისა და მონაცემების სისწორე;

5. საქართველოს საბაჟო ორგანოს მოთხოვნით დაესწროს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებას და აღმოუჩინოს დახმარება საქართველოს საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირებს საბაჟო გაფორმების წარმოებაში;

6. საქართველოს საბაჟო ორგანოს მოთხოვნით მარწმუნებელი პირის ხარჯზე განახორციელოს საქონლის ტრანსპორტირება, აწონვა ან მისი რაოდენობის სხვაგვარი განსაზღვრის, საბაჟო გაფორმებას დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დატვირთვის, გადმოტვირთვის, გადატვირთვის, დაზიანებული შეფუთვის გასწორების, შეფუთვის გახსნის, შეფუთვის ან შეფუთვის შეცვლის ოპერაციები, აგრეთვე გახსნას სათავსოები და სხვა ადგილები, სადაც შეიძლება იმყოფებოდეს ზემოთ მითითებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები;

7. განახორციელოს საბაჟო გადასახდელების სწორი გამოთვლა და გადახდა და სხვა.

საბაჟო ბროკერს ლიცენზია შეიძლება გაუუქმოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა.

საბაჟო ბროკერის ლიცენზიის მოქმედება შეიძლება შეჩერდეს, თუ არსებობს საფუძველი, რომ იგი არაკეთილსინდისიერად ასრულებს თავის მივალეობებს. საბაჟო ბროკერის საქმიანობის ლიცენზიის მოქმედების შეჩერება 3 თვემდე ვადით შეუძლია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს. გადაწყეტილება საბაჟო ბროკერის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების, ჩამორთმევის, ძალადაკარგულად ცნობისა და მოქმედების შეჩერების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბაჟო ბროკერის საქმიანობის ლიცენზია გაიცემა 2 წლის ვადით. საბაჟო ბროკერის საქმიანობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების უფლება აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს.

საბაჟო ბროკერს უფლება აქვს თავისი სახელით, მისი მარწმუნებლის ხარჯზე და დავალებით განახორციელოს საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო ნებისმიერი ოპერაცია და საბაჟო საქმეში შეასრულოს სხვა საშუამავლო ფუნქციები.

საბაჟო კონტროლისა და საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო ოპერაციების განხორციელებისათვის საბაჟო ბროკერი ასრულებს ყველა მოვალეობას და მას ეკისრება ისეთივე პასუხისმგებლობა, როგორიც დაეკისრებოდა საბაჟო საზღვრის გავლით საქონლის დამოუკიდებლად გადამაადგილებელ პირს.

ინფორმაცია, რომელიც შეიცავს კომერციულ, საბანკო და კანონით დაცულ სხვა საიდუმლოს, არ შეიძლება გახმაურდეს, აკრძალულია ასეთი ინფორმაციის საბაჟო ბროკერის მიერ საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება, აგრეთვე მისი გადაცემა მესამე პირისათვის (გარდა საბაჟო ორგანოებისა), საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

3.5.6. საბაჟო გადამზიდველი

საბაჟო გადამზიდველი არის "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმო, რომელსაც აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო ორგანოების მიერ გაცემული ლიცენზია, საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის განხორციელებლად.

საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს სახმელეთო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება აქვს მხოლოდ საბაჟო გადამზიდველს, რომელმაც აიღო საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის ლიცენზია.

საბაჟო გადამზიდველი თავის საქმიანობას ახორციელებს საბაჟო კოდექსისა და შესაბამისი დებულების საფუძველზე, რომელსაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამტკიცებს.

საბაჟო გადამზიდველის ურთიერთობა საქონლისა და დოკუმენტების გამომგზავნთან, ან მის წარმომადგენელთან განისაზღვრება ხელშეკრულების საფუძველზე.

საბაჟო გადამზიდველის საქმიანობაზე ლიცენზიის მისაღებად საწარმო ვალდებულია:

1. გააჩნდეს ისეთი სატრანპორტო საშუალებები, რომლებიც ტექნიკურად გამართულია და აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

2. დადოს საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის საგარანტიო, ან სადაზღვევო ხელშეკრულება. სადაზღვევო თანხა ან საბანკო გარანტია არ უნდა იყოს 100 000 ლარზე ნაკლები;

3. გააჩნდეს საკუთრებაში, ან სრულ სამეურნეო გამგებლობაში, ან სულ ცოტა, 3 წლის ვადით იჯარით აღებული საჭიროებისამებრ აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალებების ის რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს 48 საათის განმავლობაში თუნდაც ერთი სატრანსპორტო საშუალების მისვლას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებულ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საბაჟო გაფორმების ადგილზე.

საბაჟო გადამზიდველს ლიცენზია შეიძლება გაუუქმოს, ან ჩამოართვას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო ორგანოებმა.

ლიცენზიის მიღებაზე საბაჟო გადამზიდველის განმეორებითი განცხადება შეიძლება განხილულ იქნეს ლიცენზიის გაუქმების, ჩამორთმევისა და ძალადაკარგულად ცნობის, ან მოქმედების შეჩერების დღიდან 6 თვის შემდეგ.

საბაჟო გადამზიდველის მოვალეობებია:

1. მიაწოდოს საქონელი დანიშნულების საბაჟოს მისი შეფუთვისა და მდგომარეობის შეუცვლელად, გარდა იმ ცვლილებებისა, რაც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთის, ტრანსპორტირების, ან შენახვის ნორმალურ პირობებში კლებით;

2. დაიცვას საბაჟო ორგანოების მიერ დადგენილი მიწოდების ვადები და მარშრუტი;

3. წარმოადგინოს საქონელი და მისი თანმხლები დოკუმენტები დანიშნულების საბაჟოში;

4. არ გადაზიდოს საბაჟო კონტროლის პირობებში მყოფ საქონელთან ერთად სხვა რაიმე საქონელი;

5. მოახდინოს საბაჟო კონტროლის პირობებში გადაზიდული საქონლის აღრიცხვა და საბაჟო ორგანოების წინაშე შესაბამისი ანგარიშგება;

6. არ გასცეს საქონლის გამგზავნისაგან მიღებული ის კომერციული, საბანკო და სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონმდებლობით დაცული საიდუმლოებაა;

7. დანიშნულების საბაჟოში შეტანილი საქონელი, საბაჟო ორგანოს თანხმობის გარაშე არ დატოვოს უმეთვალყურეოდ, არ შეუცვალოს დგომის ადგილი, არ გადმოცალოს, გადაცალოს, გახსნას შეფუთვა, მოაცილოს იდენტიფიკაციის ნიშანდებები.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, საქონლისა და მისი საბუთებიდან მიღებული ინფორმაცია, რომელიც შეიცავს კომერციულ, საბანკო ან კანონით დაცულ სხვა საიდუმლოებას, ან თუ ინფორმაცია კონფიდენციალურია – არ უნდა გაახმაუროს. დაუშვებელია ინფორმაციის გამოყენება საბაჟო გადამზიდველისა და მისი მუშაკების მიერ საკუთარი მიზნებისათვის, გადაცემა მესამე პირისათვის. ეს არ ეხება საბაჟო ორგანოებს.

3.6. საბაჟო კონტროლი

3.6.1. საბაჟო კონტროლი და მისი სახეები

საზღვარზე ტვირთების გადაზიდვის კონტროლის პირობებზე შეთანხმების, ჟენევის 1982 წლის 21 ოქტომბრის საერთაშორისო კონვენცია, განსაზღვრავს საბაჟო კონტროლის სახეებზე შეთანხმების პრინციპებს, ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენებულია იმ წესებისა და კანონების უზრუნველსაყობად, რაზედაც პასუხისმგებელი არიან საბაჟო ორგანოები.

ჟენევის საერთაშორისო კონვენციის თანახმად "კონტროლის სამსახურის გულისხმობს ნებისმიერ სამსახურს, რომელის მოვალეობაა განახორციელოს საბაჟო, სამედიცინო-სანიტარული, ვეტერინალური, ფიტოსანიტარული, ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის, ტვირთების ხარისხის, ან ნებისმიერი სხვა სახის კონტროლი, რომელსაც რეგულარულად ექვემდებარება საიმპორტო, საექსპორტო და სატრანზიტო ტვირთები."

კონვენციის მოთხოვნაა: " იქ სადაც ეს საჭირო და შესაძლებელია შეიქმნას, ტვირთების ხარისხის კონტროლისათვის საჭირო პირობები, ან მოხდეს სხვა სახის კონტროლის ორგანიზაცია, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში, კოორდინირდება საბაჟო კონტროლთან. იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია ერთ ადგილზე რამდენიმე სახის კონტროლის ჩატარება, კომპეტენტური სამსახურები ღებულობს ყველა სათანადო ზომას, რათა კონტროლი ჩატარდეს ერთდროულად, ან რაც შეიძლება მოკლე დროში”.

საქართველოში, ისევ, როგორც მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, საბაჟო ორგანოები ახორციელებს საბაჟო კონტროლს, რომელიც ითვალისწინებს:

1. საბაჟო კონტროლისათვის საჭირო დოკუმენტებისა და ცნობების შემოწმებას;
2. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო შემოწმებას;
3. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა აღრიცხვას;
4. ფიზიკური პირების ზეპირ გამოკითხვას;
5. აღრიცხვისა და ანგარიშგების შემოწმებას;
6. დროებითი შენახვის საწყობების ტერიტორიებისა და სათავსოების, საბაჟო საწყობების, თავისუფალი საწყობების, თავისუფალი საბაჟო ზონების საბაჟო ვაჭრობის მაღაზიებისა და სხვა ადგილთა დათვალიერებას, სადაც შეიძლება ინახებოდეს კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, ან სრულდება ისეთი სამუშაოები, რომლების კონტროლი ევალება საბაჟო ორგანოებს;
7. კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა ოპერაციებს.

საბაჟო კონტროლის განხორციელების წესები განისაზღვრება კანონქვემდებარე აქტებით.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლს მიეკუთვნება:

1. საქონლისა და სანტრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას;

2. საქონლისა და სანტრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას;

3. საქონლისა და სანტრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით საქონლისა და სანტრასპორტო საშუალებების გადაადგილებისას.

საქონლის მახასიათებლების მიხედვით, გამოიყოფა საბაჟო კონტროლის შემდეგი ჯგუფები:

1. საერთაშორისო გადაზიდვების ტვირთების კონტროლი;

2. იმ ბარგის კონტროლი, რომლიც გადაადგილება საბაჟო ტერიტორიაზე ფიზიკური პირის თანხლების გარეშე;

3. საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ხელბარგისა და მგზავრის თანმხლები ბარგის კონტროლი;

4. ფიზიკური პირის პირადი საბაჟო კონტროლი.

აღსანიშნავია საბაჟო კონტროლის შემდეგი ფორმები:

1. საზღვაო-სატრანსპორტო საშუალებათა საბაჟო კონტროლი;

2. სარკინიგზო ტრანსპორტის საბაჟო კონტროლი;

3. საჰაერო ხომალდების საბაჟო კონტროლი.

უცხო ქვეყნებთან საბაჟო კონტროლის საქმეში თანამშრომლების სახეობების მიხედვით არჩევენ საბაჟო კონტროლის შემდეგ ფორმებს:

1. ორმხრივი საბაჟო კონტროლი, ამ დროს საბაჟო კონტროლს ახორციელებს ორივე ქვეყნის საბაჟო ორგანოები;

2. ცალმხრივი საბაჟო კონტროლი, ამ შემთხვევაში ორივე ქვეყნის საბაჟო სამსახურები ერთობლივად ახორციელებენ საბაჟო კონტროლს.

ცალმხრივი კონტროლის ფორმა 2010 წლიდან ამოქმედდა საქართველო–თურქეთის საბაჟო საზღვარზე.

3.6.2. საბაჟო კონტროლის მეთოდები

საქართველოში საბაჟო ორგანოების საქმიანობაში გამოიყენება საბაჟო კონტროლის მეთოდები, რომლებიც წარმოადგენენ კონტროლის ხერხებისა და მათი გამოყენების ფორმების ერთობლიობას.

ეს მეთოდებია:

1. ჩვეულებრივი კონტროლი, რომელიც ხორციელდება საბაჟო პუნქტში შემოსულ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებზე;

2. საბაჟო კონტროლი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისას;

3. სრული საბაჟო კონტროლი ყველა არსებული საშუალებებით და ხერხებით;

4. შერჩევითი კონტროლი.

პრაქტიკაში საბაჟო კონტროლის აღნიშნულ მეთოდები, ფორმები, სახეები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

საბაჟო კონტროლი ხორციელდება 5 ძირითად ეტაპად:

პირველ ეტაპი - ტარდება დეკლარაციის მონაცემთა ფორმალურ-ლოგიკური კონტროლი. უნდა დადგინდეს დეკლარაციის უტყუარობა. ამის გადამოწმება ხდება კომპიუტერული პროგრამით, თუ ასეთი ტექნიკა არ გააჩნიათ მაშინ საბაჟოს თანამდებობის პირი ვიზუალურად ამოწმებს სისწორეს;

მეორე ეტაპი - ამ ეტაპზე საბაჟო კონტროლის საგანია საგადასახადო ოპერაციები უცხოურ ვალუტაში. ამავე პერიოდში მოწმდება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სავალუტო კანონმდებლობის დაცვა;

მესამე ეტაპი - ამ ეტაპზე საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირები ამოწმებენ საბაჟო გადასახადების და საბაჟო ტარიფების სისწორეს, ახდენენ გადასახადების საბაჟო ანგარიშებზე შემოსავლის კონტროლს;

მეოთხე ეტაპი. - ამ ეტაპზე საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირები ამოწმებენ საბაჟო დეკლარაციის იმ გრაფების სისწორეს, რომელთა მეშვეობით ხორციელდება საბაჟო სტატისტიკა;

მეხუთე ეტაპი. ამ ეტაპზე საბაჟო ორგანოს სატვირთო განყოფილების უფროსი, ან სხვა ამაზე უფლებამოსილი პირი ღებულობს გადაწყვეტილებას საქონლის შემოწმების ჩატარების შესახებ.

საბაჟო კონტროლის ხუთივე ეტაპის დამთავრებისთანავე სატვირთვო დოკუმენტში დგება შტამპი "გაშვება ნებადართულია". ეს შტამპი და დეკლარაციის ნომერი (რომელიც დაისმება სატვირთო დოკუმენტს ზემოთ მარჯვენა მხარეს) აუცილებლად უნდა იქნეს დამოწმებული სატვირთო განყოფილების უფროსის, ან რწმუნებული პირის მიერ. სხვა თანამდებობის პირზე შტამპის გადაცემა აკრძალულია.

მიზანშეწონილია საბაჟო კონტროლის ცალკეული ეტაპების შემოწმება მოხდეს სხვადასხვა უფლებამოსილი პირების მიერ.

3.6.3. საბაჟო კონტროლის განხორციელების ფორმები

საბაჟო კონტროლი გარკვეულ ეფექტიან ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომელიც უზრუნველყოფს საბაჟო სისტემის ნორმალურ და მოქნილ ფუნქციონირებას. მისი საფუძველია საბაჟო გაფორმება, ეს პროცედურა, საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებს აქცევს განსაზღვრულ საბაჟო რეჟიმში და ამთავრებს ამ რეჟიმის არსებობას.

საბაჟო კონტროლი ხორციელდება სამი ფორმით: საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა დოკუმენტების შემოწმება, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა საბაჟო დათვალიერება, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა საბაჟო გასინჯვა. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა დოკუმენტების შემოწმება, მიზნად ისახავს საბაჟო კანონმდებლობასთან საბაჟო გაფორმების განხორციელების სისწორის შესაბამისობას.

არსებობს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული დოკუმენტების ოთხი ძირითადი ჯგუფი:

საბაჟო დოკუმენტები*:* საბაჟო დეკლარაცია, მიტანის საკონტროლო საბუთი, სატრანსპორტო საშუალებებზე გაცემული ნებართვა;

სავაჭრო დოკუმენტები*:* ხელშეკრულება, ანგარიშ-ფაქტურა, სპეციფიკაცია;

სატრანსპორტო დოკუმენტები*:* ავტომანქანით, წყლის და საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს - ზედნადები, კონოსამენტი, ხოლო რკინიგზით ტრანსპორტირებისას, საგზაო უწყება, სავაგონო ფურცლები, გადასაცემი უწყებები, საბარგო ქვითრები და სხვა;

სხვა დოკუმენტები*:* სერტიფიკატი (ხარისხის, წარმოშობის), ნებართვა (ლიცენზია, კვოტა), და სხვა.

საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებული ტვირთები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ტვირთის სახეობების მიხედვით, ექვემდებარება კონტროლის სხვადასხვა სახეს:

სამედიცინო-სანიტარული კონტროლი, რომელიც ხორციელდება ადამიანის სიცოცხლისა და ჯამრთელობის დაცვისათვის;

ვეტერინარული კონტროლი ხორციელდება ცხოველთა და ადამიანთა სიცოცხლისა და ჯამრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე საგნებსა და ტვირთებზე, რომლებიც შეიძლება იყოს ცხოველურ დაავადებათა მატარებლები;

ფიტოსანიტარული კონტროლი მიმართულია საზღვრებს მიღმა მცენარეთა მავნებლების, მავნე მცენარეული წარმოშობის პროდუქტების გადაზიდვისა და გავრცელების წინააღმდეგ;

ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლი უზრუნველყოფს საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებთან ტვირთების მინიმალურ მიახლოებას;

ტვირთის ხარისხის კონტროლი ადგენს ტვირთის მინიმალურ საერთაშორისო, ან ეროვნულ ხარისხობრივ მაჩვენებლებს, რომლებიც განსაზღვრულია შესაბამისი წესებითა და კანონებით.

.საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა საბაჟო გაფორმება შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ ყველა შესაბამისი სახის სახელმწიფო კონტროლის დამთავრების შემდეგ.

საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრულია საბაჟო კონტროლის ზონები. ეს ის ადგილია, სადაც ხდება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებით საბაჟო საზღვრის გადმოკვეთა, გაფორმება და სადაც განლაგებულია საბაჟო ორგანოები. საბაჟო კონტროლის ზონა კონკრეტული მიწის ნაკვეთია ძირითადად, შემოღობილი და დაცული ტერიტორიებითა და საზღვრებით, სადაც მოქმედებს სპეციალური რეჟიმი. კონტროლის ზონაში მკაცრდება რეგლამენტირებული ტვირთების გადაადგილება. აქ საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირებს მინიჭებული აქვთ დამატებითი უფლებამოსილებანი. საბაჟო კონტროლის ზონაში არსებობს შინაგანი წესი, რომლის დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევს ეძლევა გაფრთხილება, ან ისჯება კანონით გათვალისწინებული ჯარიმით.

საბაჟო კონტროლის ზონაში საბაჟო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების შენობა-ნაგებობების და საბაჟო საწყობების გარდა მგზავრთა, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა მომსახურების დაწესებულებებია: ფოსტა-ტელეგრაფი, ავტოსამრეცხაო, კვების ობიექტები, ავტოშემკეთებელი და ავტოგასამართი სადგურები, მაღაზიები, სასტუმროები და სხვა. ეს ობიექტები შეიძლება აიგოს და ფუნქციონირებდეს მხოლოდ და მხოლოდ საბაჟო ორგანოს ნებართვით და მისი კონტროლის პირობებში. ძირითადი მოთხოვნაა, რომ გამოირიცხოს საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის, ან სატრანსპორტო საშუალებათა შესვლა და გამოსვლა საბაჟო ორგანოების გვერდის ავლით. გარდა ამისა საქონელი და სატრანსპორტო საშუალება დაცული უნდა იყოს უცხო პირთა ხელყოფისაგან.

საბაჟო კონტროლის ზონა უნდა იმყოფებოდეს ვიზუალური მეთვალყურეობის პირობებში. საბაჟო ორგანოს უნდა შეეძლოს თვალყური ადევნოს საბაჟო კონტროლის მთელ მიდამოს, მიიღოს უტყუარი ინფორმაცია ამ ზონაში პირთა გადაადგილების შესახებ.

საბაჟო კონტროლის ობიექტი, სატრანსპორტო საშუალება, იყოფა ორ სახეობად და თითოეულისადმი სხვადასხვა მიდგომაა

საჭირო. სატრანსპორტო საშუალებები და მოწყობილობები, რომლიც გამოყენება, მგზავრებისა და საქონლის საერთაშორისო გადაზიდვებისათვის, ექვემდებარება საბაჟო კონტროლს, როგორც გადაზიდვის საშუალებები. ყველა სხვა მიზნით საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალებები ექვემდებარებიან საბაჟო კონტროლს როგორც საქონელი.

ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ დაესწრონ მათი კუთვნილი საგნების შემოწმებას, მიიღონ ინფორმაცია საბაჟო წესების შესახებ, ბარგის და ხელჩანთის გახსნას, აგრეთვე ნივთების ხელახალ შეფუთვას ახდენს ფიზიკური პირი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საზღვარგარეთიდან შემოტანილი, სამამულო წარმოების საქონელი ექვემდებარება უბაჟო გატარებას, მისი ხარისხისა და ღირებულების მიუხედავად.

ეროვნული ან უცხოური ვალუტის საზღვარზე გატანისას თუ მისი რაოდენობა აღემატება 3000 ლარს აუცილებელია მისი სრულად ასახვა საბაჟო დეკლარაციაში. დეკლარირებული ვალუტის შემოტანა და გატანა თავისუფალია და არ იბეგრება. ვალუტის არადეკლარირებული შემოტანა-გატანა ისჯება მოქმედი კანონმდებლობით. საბაჟო ორგანოები ახორციელებს ფიზიკური პირების მიერ საბაჟო საზღრის გავლით, ვალუტის, ფასიანი ქაღალდების, სავალუტო ფასეულობათა გადადგილების სავალუტო კონტროლს. სავალუტო კონტროლის განხორციელებისას საბაჟო ორგანოების მიერ გამოვლენილი სამართალ დარღვევებისათვის პასუხისმგებლობა დგება კანონმდებლობის შესაბამისად.

ამგვარად, საბაჟო ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ორგანიზაციას უკეთებს სავალუტო კონტროლის განხორციელებას, ასრულებს სავალუტო კონტროლის ორგანოს ფუნქციებს.

სამეწარმეო საქმიანობა, საქონლის, სატრანსპორტო საშუალებათა და ფიზიკური პირთა გადაადგილება, საბაჟო კონტროლის ზონების საზღვარის გადაკვეთით ან მათ ფარგლებში, დაიშვება მხოლოდ საბაჟო ორგანოების ნებართვით და მათი კონტროლით. აღნიშნულ ზონაში შესვლა შეიძლება მხოლოდ საბაჟო ორგანოების წინასწარი შეტყობინების შემდეგ.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა შემოტანისას საბაჟო კონტროლი საბაჟო დეკლარაციის მიღების მომენტიდან იწყება.

საბაჟო კოდექსის თანახმად, საბაჟო კონტროლი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა ექსპორტის დროს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას მთავრდება, ხოლო სხვა საბაჟო რეჟიმების შემთხვევაში - შესაბამისი რეჟიმის სრული დამთავრებისას.

საქართველოს საბაჟო კოდექსის თანახმად საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას, თანმხლები პირი, ან პირთა ჯგუფი, რომლებიც ეწევიან საბაჟო ორგანოების კონტროლს დაქვემდებარებულ საქმიანობას, ვალდებულნი არიან, ამ ორგანოებს წარუდგინონ საბაჟო კონტროლისათვის საჭირო დოკუმენტები და ცნობები. საბაჟო კონტროლის განხორციელებისას საჭიროების შემთხვევაში, საბაჟო ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ სამართალდამცავი, საგადასახადო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების ინფორმაცია. საბაჟო კონტროლისათვის საჭირო დოკუმენტებსა და ცნობებს საბაჟო 6 წლის განმავლობაში ინახავს.

3.6.4. საერთაშორისო საფოსტო გზავნილების კონტროლი

საერთაშორისო საფოსტო გზავნილების საბაჟო კონტროლისა და საბაჟო გაფორმების წესის შესახებ დებულება განსაზღვრავს საფოსტო გზავნილებზე საბაჟო კონტროლისა და გაფორმების მექანიზმს, საბაჟო კოდექსის 81–ე მუხლის მიხედვით.

საერთაშორისო საფოსტო გზავნილები შეიძლება იყოს: ჩვეულებრივი, შეფუთული, ფასიანი წერილი, მცირე პაკეტები, ბანდეროლი, ამანათი, რომელიც შეიცავს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ საქონელსა თუ საგნებს.

საფოსტო საწარმო - საფოსტო დაწესებულებაა, სადაც ხდება საერთაშორისო საფოსტო გზავნილთა დამუშავება.

არსებობს აგრეთვე სპეციალური ტომრები, რომლებიც შეიცავენ ერთსა და იმავე დანიშნულების ადგილზე, ერთსა და იმავე მიმღების მისამართით გაგზავნილ გაზეთებს, პერიოდულ გამოცემებს, წიგნებსა და სხვა ბეჭდვით პროდუქციას.

გზავნილების საბაჟო დათვალიერება, რომლებშიც მოთავსებულია უცხო სახელმწიფოდან შემოსული საქონელი, ხდება საფოსტო საწარმოებში გზავნილის მიმღებისათვის გადაცემამდე. უცხო სახელმწიფოში გასაგზავნი გზავნილების საბაჟო დათვალიერება ხდება საფოსტო საწარმოში მიღების შემდეგ, ან მიღებისას.

გზავნილთა საბაჟო კონტროლს ახორციელებენ საბაჟოს თანამშრომლები საფოსტო საწარმოში, სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით სპეციალურად გამოყოფილ შენობასა და სათავსში. გზავნილში საქონლის დათვლას, აწონვას, შეფუთვას აწარმოებს საფოსტო საწარმოს თანამშრომელი. გზავნილებთან ერთად იგი საბაჟო სამსახურს წარუდგენს საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელ დოკუმენტაციას.

3.6.5. საბაჟო კონტროლის ტექნიკური და საიდენტიფიკაციო საშუალებები

საბაჟო კოდექსის მიხედვით, საბაჟო კონტროლი ხორციელდება იმ ტექნიკური საშუალებებით, რომლებიც არავითარ საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ცხოველებსა და მცენარეებს და არ აზიანებს საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებს.

საბაჟო კონტროლის დროს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებებისათვის ზიანის მიყენება დაუშვებელია.

საბაჟო კონტროლის განხორციელებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორგანოლეპტიკური მეთოდები - მხედველობის, სმენის, ყნოსვის, შეხების, ასევე უფრო ობიექტური სხვადასხვა საზომი ხელსაწყოები და მოწყობილობები. ზოგ შემთხვევაში საქონლის თვისებებისა და მახასიათებლების დასადგენად აუცილებელია საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღება, ლაბორატორიული ხერხებით მათი გამოკვლევისათვის.

საბაჟო კონტროლის ტექნიკური საშუალებანი გამოიყენება უშუალოდ ოპერატიული საბაჟო კონტროლის განხორციელებისას და საბაჟო საზღვარზე ყველა სახის გადაადგილებელი საქონლისათვის, რათა საქონელის დეკლარირებულთან შესაბამისობა დადგინდეს.

საბაჟო კონტროლის ტექნიკური საშუალებანი განკუთვნილია ცალკეული საბაჟო კონტროლის ოპერაციებისათვის:

1. საბაჟო დოკუმენტებისა და საბაჟო ატრიბუტების უტყუარობის დასადგენად გამოიყენება გამადიდებელი შუშები და ხელსაწყოები, მათ შორის ულტრაიისფერი ან ინფრაწითელი სხივები, რაც შესწორებული, გადაშლილი ე.ი. გაყალბებული დოკუმენტების დადგენის შესაძლებლობას იძლევა;

2. კონტრაბანდული და აკრძალული საქონლის მალულად გადატანის ამოსაცნობად გამოიყენება კონვეირული ტიპის რენდგენოსატელევიზიო აპარატები, რენდგენოაპარატები, პირდაპირი ხედვის ფლუროსკოპები, ენდოსკოპები, მავთულის საცეცები, ლითონის დეტექტორები;

3. საბაჟო კონტროლის ზონის ოპერატიული თვალთვალისათვის - რადიოლოკაციური ტიპის აპარატები, ტექნიკური საშუალებებთან შერწყმული ოპტიკური და ოპტიკურ-სატელევიზიო თვალთვალის ისეთი საშუალებები, რომლებიც მუშაობს ნებისმიერი ხილვადობის დროს. სხვა ოპტიკური აპარატურაა: მონო და სტერეობინოკლები, ინფრაწითელი სათვალთვალო ხელსაწყოები, ტელეკამერები;

4. საბაჟო კონტროლის ობიექტების სწრაფი იდენტიფიკაციის ექსპრეს-ანალიზისათვის გამოიყენება სხვადასხვა ანალიზატორები, ექსპრეს-იდენტიფიკატორები;

5. აუდიო-ვიდეო ინფორმაციის მატარებელი საქონლის შესამოწმებლად - დიქტოფონები, აუდიოპლაირები, მაგნიტოფონები, ფოტო-კინოფირების, სლაიდების, მიკროფირების და სხვა გამჟღავნებული ფირების დასათვალიერებელი მოწყობილობა, ვიდეომაგნიტოფონები და სხვა;

6. ხელსაწყოების ნაკრები იხმარება, ხელბარგის მცირე ზომის საგნების, ბარგის საფოსტო გზავნილების, ასევე ყუთებისა და კონტეინერების გასახსნელად და შეფუთვის აღსადგენად;

7. საბაჟო უზრუნველყოფის ატრიბუტებით დადაღვისა და ნიშანდებისათვის იხმარება აპლომბისატორები, რულონური წებოვანი ლენტები საბაჟო მარკირებით, სპეციალური ნიშანდების ნიშნები;

8. დოზიმეტრული კონტროლის ხელსაწყოები, სასწორები, საზომი მოწყობილობანი, დენის კვების წყაროები, თანამედროვე ტექნიკური საშუალებები.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭომ მგზავრბრუნვის დასაჩქარებლად 1971 წლის 8 ივლისს მიიღო შეთანხმება ”ორარხიანი სისტემის საფუძველზე ავიამგზავრების საბაჟო კონტროლის გამარტივების შესახებ.” ამ სისტემით მგზავრები საბაჟო კონტროლის ზონას ტოვებენ ორიდან ერთი გასავლელით: "მწვანეთი" ან "წითლით". "მწვანე" გასასვლელით გადიან ისინი ვისაც არა აქვთ თან საქონელი, რომელიც საბაჟო გადასახადის გადახდას ექვემდებარება, ყველა სხვა შემთხვევაში მგზავრი ირჩევს "წითელ" დერეფანს და ადგენს საბაჟო დეკლარაციას. ზოგჯერ შეიძლება მებაჟემ პერიოდულად აირჩიოს კონტროლის სუბიექტი, რომელიც "მწვანე" გასასვლელით გადის და შეამოწმოს.

საბაჟო კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების, სათავსებისა და სხვა ადგილების იდენტიფიკაცია. საერთაშორისო საბაჟო პრაქტიკაში ტერმინი "საიდენტიფიკაციო საშუალებების" მაგიერ ხშირად ხმარობენ ტერმინს "საბაჟო უზრუნველყოფის ატრიბუტები" .

ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს "საიდენტიფიკაციო საშუალებები" შემდეგია:

1. შეუძლებელი უნდა იყოს ანაბეჭდის გაყალბება;

2. თვალნათლივი ნიშნების გარეშე შეუძლებელი უნდა იყოს საბაჟო უზრუნველყოფის ატრიბუტების მთლიანობის დარღვევა;

3. აუცილებელიაშტემპელების, ანაბეჭდების, წერის საშუალებების მდგრადობა გარე კლიმატური ზემოქმედების მიმართ;

4. საბაჟო უზრუნველყოფის ატრიბუტები მკაფიოდ უნდა იკითხებოდს;

5. საბაჟო ატრიბუტების ნიშანდება დოკუმენტებზე, შეფუთვაზე და სატრანსპორტო საშუალებებზე არ უნდა მოითხოვდეს დიდ დროს;

საქონლის იდენტიფიკაციის საშუალება და საბაჟო უზრუნველყოფის ატრიბუტებია სააქციზო მარკები, რომლებიც გამოიყენება სააქციზო საქონლის არალეგალური გზით შემოტანის წინააღმდეგ და აქციზის გადასახადის სრულად ამოსაღებად.

სააქციზო მარკები იმპორტიორს მიეყიდება, რაც აქციზის გადახდას ნიშნავს. იმპორტიორი ამ შეძენილ მარკებს გადასცემს წარმოებას, რომელიც ამ მარკებს წებოთი და საქარხნო წესით აწებებს ნაწარმს. სააქციზო მარკიანი ნაწარმი ითვლება აქციზის გადასახადის გადამხდელად და საცალო ქსელში იკრძალება ისეთი სააქციზო საქონლის გაყიდვა, რომელსაც ასეთი საიდენტიფიკაციო ნიშანი არ გააჩნია. მარკების შეძენასა და გამოყენებაზე საბაჟო ორგანოს წინაშე პასუხს აგებს იმპორტიორი.

კანონმდებლობით იდენტიფიკაციის შეცვლა, მოცილება, ან განადგურება შეიძლება მხოლოდ საბაჟო ორგანოების მიერ ან მათი ნებართვით.

საბაჟო კონტროლის განხორციელებისას საბაჟო ორგანოების შესაბამის სახელმწიფო მოხელეებს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში კანონით დადგენილი წესით უფლება აქვთ შევიდნენ ნებისმიერ საცავში, სადაც საბაჟო კონტროლი ხორციელდება.

3.6.6. პირადი გასინჯვა

საბაჟო კოდექსის მე–80–ე მუხლის მიხედვით, პირადი გასინჯვა არის საბაჟო კონტროლის განსაკუთრებული ფორმა. იგი დაიშვება საბაჟო ორგანოს უფროსის, ან მისი შემცვლელი თანამდებობის პირის გადაწყვეტილებით, თუ არის საკმაო საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ საბაჟო საზღვრის გავლით მიმავალი, ან საბაჟო კონტროლის ზონაში, ან და საერთაშორისო მიმოსვლისათვის ღია აეროპორტის სატრანზიტო ზონაში მყოფი ფიზიკური პირი საქონელს მალავს და არ აჩენს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის, ან საერთაშორისო ხელშეკრულებისა, თუ შეთანხმების დარღვევის ობიექტია და რომელთა შესრულებაზე კონტროლი საბაჟო ორგანოებს ევალებათ.

კანონმდებლობით საბაჟო ორგანოს თანამშრომელი ვალდებულია გააცნოს ფიზიკურ პირს საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილება მისი პირადი გასინჯვის თაობაზე, გააცნოს ფიზიკურ პირს მისი უფლება – მოვალეობანი და შესთავაზოს მას ნებაყოფლობით გამოაჩინოს დამალული საქონელი.

ფიზიკური პირის მიერ ნებაყოფლობით პირად გასინჯვაზე უარის თქმის შემთხვევაში, პირადი გასინჯვა ხორციელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დადგენილი წესით. "ამოღება და ჩხრეკა წარმოებს იმ მიზნით, რომ აღმოაჩინონ და ამოიღონ დანაშაულს იარაღი, საგანი, რომელსაც დანაშაულის კვალი ატყვია, დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ

ნივთი და ფასეულება, სხვა საგანი და დოკუმენტი, რომლებიც საჭიროა საქმის გარემოებათა გასარკვევად".

პირადი ჩხრეკა და პირისაგან საგნის, ნივთისა და დოკუმენტის ამოღება, რასაც თან სდევს გაშიშვლება, უნდა ჩაატაროს იმავე სქესის თანამდებობის პირმა, იმავე სქესის დამსწრეთა მონაწილეობით. შეიძლება მოწვეულ იქნეს სპეციალისტი.

პირადი შემოწმება წარმოებს სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნის შესაბამის იზოლირებულ ოთახში. ამ ოთახში იმ პირთა შესვლა, რომლებიც არ მონაწილეობენ შემოწმებაში სასტიკად აკრძალულია. შესამოწმებელი ფიზიკური პირის სხეულის ორგანოების გამოკვლევა მხოლოდ მედიცინის მუშაკმა უნდა აწარმოოს.

3.6.7. საბაჟო შემოწმების ვადები

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულია საბაჟო დეკლარაციის, დოკუმენტების საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმების ვადები. აღნიშნულის შემოწმება საბაჟო ორგანოების მიერ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში ხდება.

საქონლის საბაჟო ორგანოში წარდგენიდან, არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა, ფიზიკური ან იურიდიული პირი ვალდებულია მოახდინოს საქონლის ზოგადი დეკლარირება საბაჟო კოდექსის 50–ე მუხლის, პუნქტი 1-ის მიხედვით. ზოგადი დეკლარირება ნიშნავს საქონელზე იმ ზოგადი მონაცემების წარდგენას, რომელიც აუცილებელია შესაბამისი საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევამდე მისი იდენტიფიკაციისათვის, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად. 238-ე მუხლის მიხედვით დეკლარირების დადგენილ ვადაში განუხორციელებლობა, იწვევს დეკლარირებაზე ვალდებული პირის დაჯარიმებას 500 ლარით, ამ დარღვევის ყოველი შემდგომი განმეორებისას 1000 ლარით.

საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები უფლებამოსილ პირთა და მათ წარმომადგენელთა დაუსწრებლად შეამოწმონ შემდეგ შემთხვევაში:

ა.საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა წარდგენიდან 5 დღის განმავლობაში აღნიშნულ პირთა გამოუცხადებლობისას;

ბ.თუ საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივ წესრიგს, მცენარეულობასა და ცხოველებს, გარემოს, მხატვრულ, ისტორიულ და არქიოლოგიურ ფასეულობებს, საერთაშორისო საფოსტო გზავნილებს, საქონლის გაგზავნას და სხვა.

საბაჟო რეჟიმის დარღვევისას საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა შემოწმება ხდება დაინტერესებულ პირთა თანდასწრებით.

საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ საბაჟო კონტროლი, ნებისმიერ დროს დანიშნოს ან ჩაატაროს იმ პირთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება, რომლებიც ახორციელებს საბაჟო ორგანოების კონტროლს დაქვემდებარებულ საქმიანობას.

3.6.8. საბაჟო კონტროლის შეთანხმება კონტროლის სხვა სახეებთან

საბაჟოს მუშაკები სასაზღვრო ვეტერინალურ და ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებულ, ექსპორტ-იმპორტისა და ტრანზიტული ტვირთების საბაჟო გაფორმებებს ამთავრებენ ვეტსანიტარული და ფიტოსანიტარული კონტროლის განხორციელების შემდეგ. საბაჟოს მუშაკებს ეკრძალებათ სასაზღვრო ვეტერინალური და მცენარეთა კარანტინის წარმომადგენლების გარეშე იმ ტვირთების გაფორმება, რომლებიც ექვემდებარებიან დასახელებულ სამსახურების კონტროლს.

საბაჟო ორგანოები ვალდებულია საბაჟო კონტროლის ზონაში გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი საბაჟოს, სახელმწიფო სასაზღვრო ვეტერინარული და ფიტოსანიტარული სამსახურის მუშაკთა ერთობრივი შეთანხმებული მუშაობისათვის, მათთან ერთად მონაწილეობა მიიღოს საკარანტინო ღონისძიებებში.

კარანტინი არის შემზღუდავ ღონიძიებათა ერთობლიობა მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანთა ინფექციებისა და მავნებლების გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

კარანტინის ზონაა, ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება საკარანტინო ღონისძიებები. კარანტინი შეიძლება იყოს სასოფლო-სამეურნეო, ფიტოსანიტარული და ვეტერინალური.

სასოფლო-სამეურნეო კარანტინი - ფიტოსანიტარულ და ვეტერინალურ სახელმწიფო საკარანტინო ღონისძიებათა სისტემაა.

ფიტოსანიტარული კარანტინი - სახელმწიფო საკარანტინო ღონისძიებათა კომპლექსია მცენარეთა და ადამიანთა ინფექციური და გადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

ვეტერინალური კარანტინი - სახელმწიფო საკარანტინო ღონისძიებათა კომპლექსია ცხოველებისა და ადამიანებისათვის საერთო, აგრეთვე ცხოველთა სხვა ინფექციური და გადამდები დაავადებების საქართველოში შემოტანისა და გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციისა და ტვირთის ტრანზიტი და რეექსპორტი საქართველოს ტერიტორიაზე ნებადართულია ექსპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარული სერთიფიკაციისა და საქართველოს ფიტოსანიტარული კარანტინის სახელმწიფო სამსახურის საკარანტინო ნებართვით.

საქართველოში შემოტანილი, კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია ექვემდებარება აუცილებელ ფიტოსანიტარიულ შემოწმებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - ლაბორატორიულ ექსპერტიზას.

საქართველოს "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" კანონის შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე სამკურნალო საშუალებათა იმპორტი ხორციელდება წამლის დეპარტამენტის მიერ გაცემული ლიცენზიით. ნებადართულია საქართველოში რეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების შემოტანა მხოლოდ მწარმოებლის მიერ გაცემულ ხარისხის სერტიფიკატის თანხლებით.

არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებები საქართველოში შეიძლება შემოტანილ იქნეს შემდეგ შემთხვევებში:

1. სამკურნალო საშუალებების კლინიკამდელი და კლინიკური კვლებისათვის;
2. სამკურნალო საშუალებების ნიმუშები სახელმწიფო რეგისტრაციისათვის;

3. ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის;

4. მგზავრთა სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ოდენობით;

გარდა ამისა, სტიქიური უბედურებების დროს, ეპიდემიისას. ასეთ შემთხვევებში, საჭიროა საზღვარგარეთის ქვეყნებში ამ სამკურნალო საშუალებათა რეგისტრაციისა და გამოყენების დამადასტურებელ დოკუმენტი.

საქართველოში ფალსიფიცირებული წამლის შემოტანისას საქართველოს საბაჟო ორგანოები ახორციელებს მათ კონფისკაციას და წამლის დეპარტამენტის მიერ დადგენილი წესით ანადგურებს.

საქართველოში სამკურნალო საშუალებების იმპორტის უფლება აქვს:

1. ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ლიცენზია;

2. სამკურნალო საშუალებების საწარმოს - მხოლოდ საკუთარი წარმოების უზრუნველსაყოფად;

3. სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს - წამლის შექმნის ტექნოლოგიის შემუშავების, მისი ხარისხის, ეფექტიანობისა და უსაფრთხოების გამოკვლევის მიზნით, თუ მოცემულ პარტიაზე სათანადო ნებართვა არსებობს.

სამედიცინო-სანიტარული კონტროლი – ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში და მას საბაჟო ორგანოების შესაბამისი სამსახურები, შემდეგი სახის მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით ახორციელებს:

1. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება;

2. ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებათა პროფილაქტიკა;

3. საშიში ნედლეულისა და საქონლის ექსპორტის, იმპორტის და ტრანზიტის აღკვეთა;

4. საკარანტინო დაავადებათა შემოტანისა და გავრცელების აღკვეთა.

ვეტერინარული კონტროლი ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში და მას საბაჟო ორგანოების შესაბამისი სამსახურები, შემდეგი სახის მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით ახორციელებს:

1. საქართველოს ტერიტორიის დაცვა საზღვარგარეთიდან ცხოველების, ფრინველის, თევზის, ფუტკრისათვის საშიში გადამდები დაავადებების შემოტანისა და გავრცელებისაგან;

2. მეცხოველეობის პროდუქტების, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის, ფურაჟის, მცენარეული და ქიმიური პრეპარატების ვეტერინალური შემოწმება.

მომსახურეობა ფასიანია. დადგენილ მოსაკრებელს ტარიფის მიხედვით იხდიან საბაჟო ორგანოში.

ფიტოსანიტარული კონტროლი ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში და მას ახორციელებს საბაჟო ორგანოების შესაბამისი სამსახურები, შემდეგი სახის მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით:

1. მცენარეული წარმოშობის კარანტინს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ფიტოსანიტარული შემოწმება;

2. საქონლის შემოტანისას საიმპორტო საკარანტინო უფლების გაცემა ექსპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარული სერტიფიკატის საფუძველზე;

3. საქონლის ტრანზიტისა და რეექსპორტის დროს საკარანტინო ნებართვის გაცემა ექსპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარული სერტიფიკატის საფუძველზე.

ჟენევის 1982 წლის 21 ოქტომბრის საერთაშორისო კონვენციის თანახმად ხორციელდება ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობა და ხარისხის კონტროლი.

სერტიფიკაცია - ეს არის დადგენილ მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბისობის დადასტურება.

სერტიფიკატი - არის სერტიფიკაციის სისტემის წესების შესაბამისად გაცემული დოკუმენტი.

სერტიფიკაციის სისტემა - არის სისტემა რომელსაც აქვს სერტიფიკაციის ჩასატარებლად საჭირო პროცედურისა და მართვის საკუთარი წესები.

ერთგვაროვანი პროდუქციის სერტიფიკაციის სისტემა - არის სისტემა, რომლიც მოიცავს განსაზღვრულ პროდუქციას და რომლისათვისაც გამოიყენება ერთი და იგივე კონკრეტული სტანდარტები და პროცესები.

სერტიფიკაციის მიზანია:

1. შეუქმნას იურიდიულ და ფიზიკურ პირებს საქართველოს ერთიან სასაქონლო ბაზარზე საქმიანობის პირობები;
2. დაეხმაროს მომხმარებელს პროდუქციის არჩევაში;
3. დაიცვას მომხმარებელი დამამზადებლის არაკეთილსინდისიერებისგან;
4. გააკონტროლოს პროდუქციის უსაფრთხოება, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონებისა და გარემოს დასაცავად;
5. დაადასტუროს დამამზადებლის მიერ განცხადებული პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლები.

საქართველოს 1996 წლის 6 სექტემბრის კანონი "პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ" განსაზღვრავს იმპორტულ პროდუქციის შემოტანის პირობებს. კანონის თანახმად შემოტანის დროს პროდუქციაზე ნებართვის მისაღებად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, საბაჟო დეკლარაციასთან ერთად აუცილებელია სერტიფიკატი, ან აღიარების მოწმობა, რომელიც საბაჟო ორგანოს წარედგინება.

საქართველოს საბაჟო ორგანოები უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვას, ჯანმრთელობის, ცხოველებისა და მცენარეების, ბუნებრივი გარემოს დაცვას, საბაჟო კონტროლის ოპერაციების განხორციელებით.

3.6.9. სამხედრო ტვირთების საბაჟო კონტროლი

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ნებისმიერ საბაჟო რეჟიმში გადაადგილებული სამხედრო ტვირთი ექვემდებარება საბაჟო კონტროლსა და გაფორმებას. საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული უცხო ქვეყნის სამხედრო შენაერთების მოსამსახურეთა კუთვნილი პირადი ქონების საბაჟო კონტროლი და გაფორმება ხორციელდება არსებული საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს სასაზღვრო გადასასდელებზე განთავსებული საქართველოს საბაჟო ორგანოები ვალდებულია საბაჟო შემოწმების მიზნით შეაჩეროს მათი პუნქტების გავლით საქართველოში შემოსატანი და ტერიტორიიდან გასატანი სხვადასხვა საბაჟო რეჟიმში მოქცეული სამხედრო ტვირთები.

საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ტვირთების შემოტანისას, საბაჟო ორგანოები აჩერებს მათ და ამოწმებს, ითხოვს საქართველოს

თავდაცვის სამინისტროს ნებართვას, რომელიც გაიცემა ერთჯერადად, ტვირთის კონკრეტულ პარტიაზე.

ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოძრავი სამხედრო ტვირთები, რომლებიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას შემოწმებული და გაფორმებულია არსებული მოთხოვნების დაცვით, წარედგინება საბაჟო შემოწმებისათვის იმ სასაზღვრო - საბაჟო გამშვები პუნქტის საბაჟო ორგანოს, რომლის გავლითაც ტოვებენ აღნიშნული ტვირთები საქართველოს ტერიტორიას.

საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირები ამოწმებენ ტვირთების თანმხლები დოკუმენტაციის მონაცემების შესაბამისობას წარმოდგენილ ტვირთებთან, ასევე აღნიშნულ ტვირთებზე თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემულ ნებართვას. საქართველოს საბაჟო ორგანოების მიერ დალუქული ტვირთები შემოწმებას არ ექვემდებარება, მოწმდება მხოლოდ თანმხლები დოკუმენტაცია.

სამხედრო ტვირთები, რომლებიც ექვემდებარება საქართველოს ტერიტორიიდან გატანას ექსპორტის, დროებითი გატანის, ან სხვა შესაბამის საბაჟო რეჟიმში, ასევე იმპორტის, დროებითი შემოტანის, ან სხვა საბაჟო რეჟიმში ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანილი მოთხოვნების დაცვით. სასაზღვრო-საბაჟო ორგანოების მიერ შემოწმებულ სამხედრო ტვირთები წარედგინება საქართველოს შესაბამის რეგიონალურ საბაჟო ორგანოებს სრულყოფილი გაფორმებისათვის. აღნიშნული ტვირთის საბაჟო კონტროლი და რეგიონალური საბაჟო ორგანოების მიერ გაფორმება არსებული წესითა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვით ხორციელდება.

3.6.10. სტრატეგიული მნიშვნელობის საქონლის საბაჟო კონტროლი

სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციის განსაკუთრებული სახე ორმაგი დანიშნულების პროდუქციაა.

ზოგადად პროდუქცია - საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი, ტექნოლოგიები, მოწყობილობები, მომსახურება და ინფორმაცია.

ორმაგი დანიშნულების პროდუქცია - ესაა პროდუქცია, რომელიც არ არის გათვალისწინებული სამხედრო მიზნებისათვის, მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბირთვული, ქიმიური, ან სხვა სახის მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი გადატანის საშუალებების შექმნისას.

საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ნომენკლატურას მიეკუთვნება: საკონტროლი სიები, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ჩამონათვალი, ორმაგი დანიშნულების პროდუქცია, მათ შორის ბირთვული და სპეციალური არაბირთვული მასალები, მოწყობილობები ტექნიკური, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და მომსახურება, რომლებიც გამოიყენება, ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის, ან მისი გადატანის საშუალებების შექმნისას.

საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია არის ჩვეულებრივი შეიარაღება და ტექნიკა, ნედლეული, მასალები, სპეციალური მოწყობილობები და ტექნოლოგიები, აგრეთვე მათ წარმოებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

1. ბირთვული მასალები, ტექნოლოგიები, მოწყობილობები, დანადგარები, სპეციალური არაბირთვული მასალები, ორმაგი დანიშნულების პროდუქცია, რადიოაქტიური გამოსხივების წყაროები, იზოტოპური პროდუქცია;

2. ორმაგი დანიშნულების ქიმიკატები და ტექნოლოგიები, რომელთა გამოყენება შეიძლება ქიმიური იარაღის შესაქმნელად;

3. დაავადებათა გამომწვევი, მათი გენეტიკურად შეცვლილი ფორმები და გენეტიკური მასალების ფრაგმენტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბაქტერიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის შექმნისას;

4. მოწყობილობები, მასალები და ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება სარაკეტო იარაღის შექმნისას და რომელთა ჩამონათვალი დგინდება გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმებით;

5. სამხედრო დანიშნულების პროდუქციასთან დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია, მომსახურება და ინტელექტუალური საკუთრების შედეგები;

საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას საექსპორტო კონტროლის სფეროში ქმნის და ავითარებს ამ სისტემას და ეროვნული უშიშროების საბჭოს წარუდგენს იმ სახელმწიფოთა სიას, რომელთა მიმართ შეიძლება შემოღებულ იქნეს შეზღუდვები საქართველოს საბაჟოს გავლით საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტზე, ამასთან ახორციელებს საკანონმდებლო რეგულარებს ამ სფეროში.

1998 წლის 28 აპრილს მიღებულ საქართველოს კანონში "შეიარაღების სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო კონტროლის შესახებ" განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილებანი.

საქართველოს პრეზიდენტი საექსპორტო კონტროლის მოსაწესრიგებლად და განსახორციელებლად გამოსცემს ნორმატიულ აქტებს.

საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტი ხორციელდება ლიცენზიის საფუძველზე, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გასცემს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო.

ექსპორტი - ამ შემთხვევაში გულისხმობს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან პროდუქციის გატანას მის ფარგლებს გარეთ, მუდმივად განთავსების, ან გამოყენების მიზნით, უცხო პირთათვის მომსახურების გაწევას და უფლებების მინიჭებას ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე, რომლებიც დაკავშირებულია შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკასთან, ან ორმაგი დანიშნულების პროდუქციასთან.

ინტელექტუალური საქმიანობის შედეგი არის საავტორო უფლებები სამეცნიერო ნაშრომებზე, კომპიუტერის პროგრამები და მონაცემთა ბაზები, გამოგონება, სხვადასხვა სამხედრო იარაღის შექმნის ტექნოლოგიები.

რეექსპორტი - საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან მის ფარგლებს გარეთ დამზადებული პროდუქციის ექსპორტი, ან სხვა სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიიდან საქართველოში დამზადებულ პროდუქციის ექსპორტი მესამე ქვეყანაში. საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის საქართველოდან რეექსპორტი ექვემდებარება საექსპორტო კონტროლს და ხორციელდება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს ნებართვით.

3.7. საბაჟო სტატისტიკა. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა

3.7.1. საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოება

საბაჟო სტატისტიკის მიზანია ქვეყნის საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების მონაცემების შეკრება, დამუშავება და ანალიზი.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოების წესები განსაზღვრულია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით. საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით "საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ – სახელმწიფო ორგანოების ინფორმაციით უზრუნველყოფის, სახელმწიფო ბიუჯეტში საბაჟო გადასახადების შემოსავლის კონტროლს, სავაჭრო და საგადასახადო ბალანსების გაანგარიშებისა და მთლიანად საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის ანალიზის მიზნით, საბაჟო ორგანოები იღებენ და ამუშავებენ ინფორმაციას საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის შესახებ და მის საფუძველზე აწარმოებენ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკას".

საქართველოში სახელმწიფო სტატისტიკის ძირითადი ამოცანებია:

ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის მახასიათებელი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, შენახვა, ანალიზი და განზოგადება სტატისტიკური სტანდარტებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, სახელმწიფო ორგანოებში სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენა.

საბაჟო სტატისტიკის ძირითადი პრინციპებია:

სტატისტიკის ინფორმაციის ობიექტურობა, დამოუკიდებლობა და ქრონოლოგიური შედარებითობა; სტატისტიკური ინფორმაციის სისრულე, დროულობა და მიწოდების სტაბილურობა, კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საჯაროობა და კონფიდენციალურობა.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოების სამართლებრივი საფუძველია:

საქართველოს კანონი სტატისტიკის შესახებ, საქართველოს საბაჟო კოდექსი, საქართველოს კანონი " საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ ", საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის დებულება.

საგარეო ვაჭრობის სფეროში საბაჟო სტატისტიკის აღრიცხვის ობიექტია ყველა საქონელი, რომელთა შემოტანა ან გატანა ზრდის, ან ამცირებს ქვეყნის მატერიალურ რესურსებს.

საქართველოს საბაჟო სტატისტიკის მიზნებია:

1. საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის სრულყოფილი და ზუსტი აღრიცხვის უზრუნველყოფა;

2. საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ძირითადი ტენდენციების, სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი;

3. საბაჟო პოლიტიკისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების სფეროში საქართველოს საკანონმდებლო აქტების მომზადების, აგრეთვე სახელმწიფოთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებების ინფორმაციული უზრუნველყოფა;

4. საქართველოს შიგა ბაზრის კონიუნქტურის ანალიზი;

5. სახელმწიფო ბიუჯეტში საბაჟო გადასახადის დარიცხვის კონტროლი;

6. სავალუტო კონტროლის განხორციელება;

7. სავაჭრო და საგადასახადო ბალანსის შესაბამისი ინფორმაციული უზრუნველყოფა.

საქართველოს საბაჟო სტატისტიკა ჩამოყალიბდა საგარეო ვაჭრობის საერთო აღრიცხვის სისტემის საფუძველზე. იგი ახორციელებს შემოტანილი და გატანილი საქონლის აღრიცხვას; ამ დროს სტატისტიკის ტერიტორიის საზღვარი საქართველოს სახელმწიფო საზღვარია. საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის სპეციალური სისტემის დროს სტატისტიკური ტერიტორიის საზღვარია საბაჟო საზღვარი.

საბაჟო სტატისტიკით აღირიცხება ნებისმიერ საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი. განსაკუთრებით საინტერესოა საქონლის იმპორტი და ექსპორტი, რომლებიც აღრიცხვის "საერთო სისტემას" შეადგენს.

აღრიცხვის "საერთო სისტემა" არ მოიცავს საბაჟო რეჟიმებში გაფორმებულ შემდეგ საქონელთა კატეგორიებს:

1. საქონელს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გადაიტანება ტრანზიტით;

2. საქონელი, რომელიც მოქცეულია საბაჟო საწყობის რეჟიმში;

3. დროებით შემოტანილი საქონელი, ერთ ან მეტი წლის იჯარით გაცემულის გარდა;

4. უცხოური საქონელი, რომელიც განადგურებულია საქართველოს ტერიტორიაზე;

5. გასატანი საქონელი, რომელზედაც მფლობელმა უარი თქვა.

საქართველოში ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებზე მონაცემების შეკრება, დამუშავება და გადაცემა ხდება ორრგოლიანი სისტემით, რეგიონალური საბაჟო სამმართველოებისა და საბაჟო დეპარტამენტის სტატისტიკისა და კომპიუტერული სისტემის სამმართველოს საშუალებით.

ამგვარად აღრიცხვის საერთო სისტემაში აისახება ქვეყანაში შემოტანილი (იმპორტი) და ქვეყნიდან გატანილი (ექსპორტი) ყველა საქონელი, მიუხედავად მისი წარმოშობისა და დანიშნულებისა.

საქართველოში საბაჟო სტატისტიკა წარმოებს ქვეყანაში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საბაჟო სტატისტიკის პირველად წყაროს წარმოადგენს დეკლარანტის მიერ შევსებული დეკლარაცია, რომელსაც პირი ავსებს საბაჟო გაფორმებისას. საქართველოში საქონლის საზღვარზე გადაადგილებისას დეკლარაცია ივსება იმ შემთხვევაში, როცა მათი გატანა ხდება საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო, ან საზღვაო ტრანსპორტით. მილსადენითა და ელექტროხაზებით საქონლის გადატანისას საბაჟო სტატისტიკის პირველადი წყაროა, ცნობები, რომლსაც შეიცავს მილსადენებისა და ელექტროგადამცემი ხაზების სასაზღვრო პუნქტებზე საქონლის მიღება-ჩაბარების აქტები.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში საქონლის ექსპორტისა და იმპორტის აღრიცხვა წარმოებს ნატურალურ და ღირებულებით გამოსახულებაში. ნატურალური (რაოდენობრივი) აღრიცხვა უფრო ზუსტად ასახავს საერთაშორისო საქონელბრუნვის მოცულობას, რაოდენობრივი აღრიცხვის მონაცემებს იყენებენ საგარეო ვაჭრობის ტვირთების გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებების დაგეგმვისათვის. მსოფლიო სავაჭრო ბრუნვაში მყოფი საქონლის დიდი ნაწილი იზომება წონის ერთეულებში: ტონებში, ცენტნერებში, კილოგრამებში, ინგლისურ ფუნტებში.

საქონელი, რომელიც შეძენილია საზღვარგარეთ და ორგანიზაციას ჩაბარდა ადგილზე მოსახმარებლად, იმპორტში ჩაითვლება ამ ორგანიზაციაზე მესაკუთრის უფლებების გადაცემის მომენტისათვის, რაზედაც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. საქონლის საერთშორისო

ფოსტით გაგზავნის დროს, აღრიცხვის მომენტად ითვლება საფოსტო ქვითარზე აღნიშნული თარიღი.

განზომილების წონით ერთეულთან ერთად რაოდენობრივი აღრიცხვის დროს გამოიყენება საქონლის ცალკეული სახეობებისათვის დამახასიათებელი სტატისტიკური ზომის ერთეულებიც – მილიგრამი, ლიტრი, ცალი, წყვილი და სხვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამსახურის რეკომენდაციით, საქონლის რაოდენობრივი აღრიცხვის დროს გამოიყენება ნეტო წონა, რამდენადაც იგი უფრო მოხერხებულია ეკონომიკური ანალიზის დროს და სხვადასხვა ქვეყნის მიერ მოწოდებული ერთგვაროვანი საქონლის შედარებისას.

საგარეო სავაჭრო ბრუნვის ღირებულებითი შეფასება საბაჟო სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნლოვანი საკითხია.

ექსპორტირებული საქონლის აღრიცხვა წარმოებს "FOB" ანუ ფრანკო-საზღვაო ფასებით, ხოლო იმპორტირებული საქონლის "SIF" ანუ იმპორტირებული ქვეყნის ფრანკო-საზღვაო ფასებით. (აღნიშნულის შესახებ იხ. თავი 2)

იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის დანიშნულების ადგილად ითვლება;

1. ავიაგადაზიდვების დროს – დანიშნულების აეროპორტი;
2. საზღვაო გადაზიდვების დროს – დატვირთვის. ან გადმოტვირთვის ნავსადგური;
3. საავტომობილო და სარკინიგზო გადაზიდვების დროს – ქვეყნის ტერიტორიაზე შესასვლელი საზღვრის გადაკვეთის პუნქტი.

საქართველოში საბაჟო კანონმდებლობით საქონლის ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკური აღრიცხვა ღირებულებით გამოსახულებაში წარმოებს, როგორც ეროვნულ ვალუტაში, ასევე ამერიკულ დოლარებში.

ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო და საბაჟო სამსახური ყოველთვიურად გამოსცემს მოკლე საინფორმაციო ბიულეტენს. საანგარიშო პერიოდში საქართველოს იმპორტ-ექსპორტის შედეგებზე, როგორც ნაზარდი ჯამით წელიწადის დასაწყისიდან საანგარიშო თვის ჩათვლით, ასევე თვეებისა და კვარტლების მიხედვით დინამიკაში. წელიწადში ერთხელ მზადდება და გამოიცემა წლიური სტატისტიკური კრებული, რომელიც საქართველოს ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებელთა ფართო სპექტრს მოიცავს.

3.7.2. შემოსავლების სამსახურის საბაჟო ორგანოების სტატისტიკის სამსახური

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკას და სპეციალურ საბაჟო სტატისტიკას აწარმოებს საბაჟო სტატისტიკის განყოფილება. მის მუშაობას საფუძვლად უდევს საბაჟო კანონმდებლობა და საბაჟო ორგანოს დებულება, რომლის შესაბამისად სტატისტიკისა და ფინანსური მონიტორინგის სამმართველო, ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის სტატისტიკურ აღრიცხვას, საბაჟო სისტემაში სახელმწიფო ფინანსების საერთო ხელმძღვანელობას, ხელს უწყობს იმ აუცილებელი ეკონომიკური პირობების ჩამოყალიბებას, რომლებიც განაპირობებს ეკონომიკურ უსაფრთხოებას და უზრუნველყოფს საბაჟო სისტემის კომპიუტერული ქსელის გამართულ მუშაობას.

საბაჟო ორგანოების სტატისტიკის სამსახურის მიერ შექმნილი ექსპორტ-იმპორტის მონაცემთა ბაზები ქვეყნის ეკონომიკის დაგეგმვის

სტრატეგიული განვითარების მიმართულებისა და საბაჟო თუ ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების საფუძვლად გამოიყენება.

3.7.3. ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობის სტატისტიკა

განუვითარებელი საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები ქვეყნისათვის უდიდესი ზიანის მომტანია. ამის გარეშე სტაგნაციას განიცდის ეკონომიკა, არ ვითარდება კულტურა, ფერხდება დემოკრატიის განვითარება. ეკონომიკური ინტეგრაციის ურთიერთობაში ჩაბმა, ჩვენს ქვეყანას, რთულ პირობებში მოუხდა. დაბალანსებული ეკონომიკის ქვეყნებში ექსპორტიდან შემოსული თანხები იმპორტზე გაწეული ხარჯების დაფარვის ძირითადი წყაროა. საქართველოში საექსპორტო შემოსავლების სიმწირე ამ პროცესს აფერხებს, რაც მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორითაა განპირობებული (ქვეყნის დარღვეული მთლიანობა, ტრადიციული ეკონომიკური პარტნიორების ცვლილება, გართულებილი შიგა თუ საგარეო პოლიტიკური ვითარება), ამიტომ ქვეყანაში იმპორტის მაღალი დონეა. ასეთ შემთხვევაში ყველა ქვეყნა იმპორტის დაბალანსებას მზარდი საგარეო ვალების ხარჯზე ახერხებს. ჩვენს ქვეყანაში ბოლო დროს აღებული კურსი საგარეო-სავაჭრო ბალანსის დარეგულირების ძირითად ღონისძიებათა შესახებ, მიმართულია საექსპორტო პოტენციალის ზრდისაკენ, საბაჟო ტარიფების შემცირებისა და ბიზნესის ადმინისტრირების გამარტივებისაკენ. ღონისძიებათა ეს კომპლექსი დემოკრატიული განვითარების პროცესებთან ერთად ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის საფუძველს ქმნის, რომელიც მიმართული უნდა იყოს, როგორც შიგა ბაზრის, ასევე საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ. უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, რეფორმების მიმდინარეობის ტემპებთან და მიმართულებებთან ერთად მთავარია პოლიტიკური სტაბილურობა, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, ინფრასტრუქტურის განვითარება.

საქართველოს ძირითადი საექსპორტო საქონელია:

ავტომობილები, ფერადი და შავი ლითონები, ალკოჰოლიანი სასმელები, ხილი და საკვების გადამამუშავებელი მრეწველობის სხვა პროდუქცია, სუნელები.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილე სუბიექტები სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებს 100-ზე მეტი ქვეყნის პარტნიორებთან, ამასთან ორმხრივს (იმპორტი და ექსპორტი) 60 ქვეყანასთან.

ექსპორტისა და იმპორტის დარგში საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორებია: თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, თურქმენეთი, იტალია, შვეიცარია.

ბოლო მონაცემებით სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების უდიდესი ნაწილი მოდის აქციზზე. აქციზის ხვედრითი წილი 20%-დან 47,8%-მდე გაიზარდა. საქართველოში მომხდარი დადებითი ცვლილებების შედეგად გაფართოვდა ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობანი. საქართველოს 110 სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა ჰყავს. სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებები გაფორმებულია 22 ქვეყანასთან, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ – 8 ქვეყანასთან. ამჟამად მომზადების პროცესშია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებები ევროკავშირთან და აშშ–სთან.

გაიზარდა ევროპის კავშირის ქვეყნების წილი საქართველოს საგარეო ვაჭრობაში, განსაკუთრებით ექსპორტში. ევროკავშირი ვაჭრობის სფეროში საქართველოს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს ანიჭებს.

ექსპორტის ხელშეწყობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი პირობა საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაარის. საქართველოს პროდუქცია და მომსახურება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს იღებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ 145 ქვეყანასთან.

საქართველოს მსოფლიო-ისტორიული ფუნქცია გააჩნია გახდეს ევროპა-აზიის დამაკავშირებელი საკვანძო ქვეყანა–მისი ფორპოსტი.

საქართველოში ინტენსიურად გრძელდება რეფორმები ფისკალურ სტრუქტურაში. დიდი ყურადღება ექცევა გადასახადთა დროულად და სრულად გადახდას. მინიმუმამდეა შემცირებული გადასახადის გადახდათა დამალვის შემთხვევები.

საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ორგანიზაციების 2010 წლის მონაცემებით საქართველო ბიზნესის დაწყების (კეთების) სიმარტივით მსოფლიოს სახელმწიფოთა პირველ ათეულშია, ხოლო კორუფციის დონის სიმცირის მაჩვენებლით პირველ სამეულში.

განახლებული და რეფორმირებული სისტემები ხელს უწყობს ინვესტიციებს მოზიდვას, მეწარმეობის და ბიზნესის განვითარებას.

3.7.4. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა

საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად საბაჟო ორგანოები საქონლის კოდირებისა და კლასიფიკაციისთვის იყენებენ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურას, რომელიც შემუშავებულია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის ბაზაზე და შესულია საქართველოს ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კოდირების ეროვნულ სისტემაში.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების პრაქტიკაში საბაჟო ორგანოები სხვადასხვა კლასიფიკატორს იყენებს, მათ შორის საქონლის კოდირებისა და კლასიფიკაციისათვის გამოყენებული საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურას. საგარეო ვაჭრობის გაფართოებამ წარმოშვა აუცილებლობა შექმნილიყო უნიფიცირებული სასაქონლო ნომენკლატურა, რომელიც უზრუნველყოფდა: ყველასათვის მისაღებ საერთაშორისო ბრუნვაში მყოფი ყველა საქონლის ერთგვაროვან კლასიფიკაციას, ერთიანი გასაგები მექანიზმების გამოყენებას, რომლებიც გაუადვილებდნენ მუშაობას საბაჟო ორგანოებს, ექსპერტებს, მეწარმეებს, ექსპორტიორებს, იმპორტიორებს, საქონლის გადამზიდველებს.

ასეთი ნომენკლატურის შემუშავება საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს მიერ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო, მასში აქტიურ მონაწილეობას 59 ქვეყანა და მრავალი ექსპერტი ღებულობდა.

ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურას, საფუძვლად დაედო საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ნომენკლატურის ბოლო რედაქცია, რომელიც ცნობილია, როგორც ბრიუსელის საბაჟო ნომენკლატურა, აგრეთვე ზოგიერთი სხვა საერთაშორისო და ეროვნული საკლასიფიკაციო სისტემები, მათ შორის გაეროს საერთაშორისო სტანდარტული სავაჭრო კლასიფიკაცია. საბოლოოდ მიღებულ იქნა საქონლის კლასიფიკაციის ახალი სისტემა,

რომელმაც მიიღო საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის სახელწოდება.

საერთაშორისო კონვენცია "საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ" ხელმოწერილია ბრიუსელში 1983 წლის 14 ივნისს და დამტკიცებილია 53 ქვეყნისა და ევროკავშირის მიერ.

საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით, საბაჟო ორგანოები ახდენს საქონლის კლასიფიცირებას, საქონელს აკუთვნებს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურაში აღნიშნულ პოზიციებს.

საქონლის კლასიფიკაციის შესახებ საბაჟო ორგანოების დაგაწყეტილების შესრულება სავალდებულოა..

კლასიფიკაციის სისტემა არის საქონელთა განაწილება, მისი დაჯგუფება რაიმე ნიშნის მიხედვით. ჰარმონიზებულ სისტემაში კლასიფიკაციის ექვსი დონეა: განაყოფები, ჯგუფები, ქვეჯგუფები, სასაქონლო პოზიციები, სუბპოზიციები, ქვესუბპოზიციები. უმაღლესი დონეა – განაყოფები.

ჯგუფების განსაზღვრისას (სულ 99 ჯგუფია) გამოყენებულია დამუშავების პრინციპი – ნედლეულიდან და ნახევარფაბრიკატიდან, მზა ნაწარმამდე და საქონლის შემდეგი ძირითადი ოთხი ნიშანი:

დამუშავების ხარისხი, დანიშნულება, მასალის სახეობა, რომლისგანაც იგი დამზადდა და საქონლის დანიშნულება მსოფლიო ვაჭრობაში. ანალოგიური ნიშნებით ხდება საქონლის შემდგომი კლასიფიკაცია – ქვეჯგუფების, სასაქონლო პოზიციების, სუბპოზიციებისა და ქვესუბპოზიციების მიხედვით.

ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურით განსაზღვრულ საქონლის კლასიფიკაციის მექანიზმი შესაძლებლობას იძლევა მკაცრად იქნეს დაცული ჰარმონიზებული სისტემის ძირითადი პრინციპი – საქონლის ერთნიშნა მიკუთვნება ერთ საკლასიფიკაციო ჯგუფზე.

კოდირების სისტემა. საქონელთა კოდირება არის ტექნიკური ხერხი, რომელიც საშუალებას იძლევა საკლასიფიკაციო საქონელი წარმოვადგინოთ ნიშნის, ან ნიშანთა ჯგუფის სახით. კლასიფიკაციის კოდური სისტემა ინფორმაციის მოხერხებულად შეკრებისა და ავტომატიზირებულად დამუშავების საშუალებას იძლევა.

ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურაში განაყოფები და ქვეჯგუფები აღინიშნება რომაული ციფრებით, ხოლო საქონლის ჯგუფები, სასაქონლო პოზიციები და სუბპოზიციები – არაბულით.

ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურაში გამოყენებული კოდირების სისტემა უზრუნველყოფს საქონლის ნომენკლატურის დეტალიზაციის მაღალ ხარისხს.

სახელმწიფოებს, რომლებსაც არა აქვთ უფლება დაარღვიოს კოდირების სისტემის საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები, შესაძლებლობა ეძლევა, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე შეცვალოს დეტალიზაციის დონე, გააფართოოს ნომენკლატურა კლასიფიკაციის სისტემის დაურღვევლად.

ჰარმონიზებული სისტემის საერთაშორისო კონვენციით დადგენილია, რომ მონაწილე ქვეყნებს არ შეუძლიათ შეცვალოს საქონლის კლასიფიკაცია და მათი კოდები. ამ პრინციპის უსიტყვო შესრულება შესაძლებლობას იძლება შემცირდეს შეცდომები საგარეო ვაჭრობის სფეროში მოქმედი დოკუმენტების შედგენისას, აგრეთვე სრულყოფილად დამუშავდეს საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკური ინფორმაცია.

1990 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირში შემუშავდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა, რომელშიც გამოყენებული იყო საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა და ევროკავშირის კომბინირებული სატარიფო-სტატისტიკური ნომენკლატურა. იგი სამოქმედოდ შემოღებული იქნა 1991 წლიდან.

1995 წლის 3 ნოემბერს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება დსთ ქვეყნების ერთიანი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის შესახებ.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი და მისი რეგიონალური ორგანოები, სახელმძღვანელოდ იღებს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის საერთაშორისო საფუძვლების ცვლილებებსა და დამატებებს.

საქართველოს საბაჟო ორგანოები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომეკლატურის გამოყენების პროცესში ახდენს საქონლის კლასიფიცირებას. ე.ი. ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების საბაჟო გაფორმების დროს, სატვირთო საბაჟო დეკლარაციებში კონკრეტულ საქონელს აკუთვნებს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურაში მოცემულ პოზიციებს. სხვა ორგანოების მიერ მიღებული საქონელის კლასიფიკაციის გამოყენება დაუშვებელია.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე სატვირთო-საბაჟო დოკუმენტებში ან სხვა თანმხლებ დოკუმენტებში საქონლის გადაადგილების გაცხადებელი მონაცემები არის კონფიდენციალური, ამიტომ საბაჟო ორგანოები ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ღონიძიებები, მათ დასაცავად ამ ინფორმაციის წარდგენა რაიმე სხვა მიზნებისათვის დაუშვებელია.

ამგვარად, საქართველოს საბაჟო ორგანოები საგარეო ეკონომიკური საქმიანობისას სასაქონლო ნომენკლატურაში ცვლილებებსა და დამატებებს, საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო ნორმებში ცვლილებების საფუძველზე ახორციელებს. ნომენკლატურაში დამატებები შეაქვთ ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებიდან გამომდინარე.

დაწვრილებით აღნიშნული საკითხები მომდევნო თავში იქნება განხილული.

4. ექსპერტიზები საბაჟო კონტროლის სისტემაში

4.1. სასაქონლო ნომენკლატურის არსი და მისი კავშირი საქონლის კლასიფიკაციასთან

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სასაქონლო ნომენკლატურები, კლასიფიკაციები და სასაქონლო კოდების სისტემები, საბაჟო საქმის მნიშვნელოვანი ნაწილია. პროდუქციის კლასიფიკაციისა და კოდირების ნომენკლატურის ზუსტად და ცალსახად განსაზღვრა უზრუნველყოფს ქვეყნის და საშინაო პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური მიმართულებების სწორ არჩევას. საბაჟო ორგანოების მხრიდან სხვადასხვა პროდუქციის მიმართ, ამ ფუნქციათა შესრულება, საბაჟო რეგულირების ზომების სათანადოდ გამოყენებას განაპირობებს. საქონლის კლასიფიკაციის მართებული გამოყენება საფუძვლად უდევს მისი საბაჟო ღირებულების ობიექტური კრიტერიუმებით დადგენას და შესაბამისად საბაჟო გადასახადების დასაბუთებულ დარიცხვასა და გადახდევინებას. აღსანიშნავია, რომ საქონლის მართებული კლასიფიკაცია ზრდის საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკურ ობიექტურობას, რომელიც თავის მხრივ ქვეყნის საბაჟო, ეკონომიკური და ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური სტრატეგიული და ტაქტიკური კურსის განსაზღვრის საფუძველია. ზემოთქმულიდან გამომდინარე ძნელია გადაჭარბებით შეაფასო პასუხისმგებლობა, რომელიც საბაჟო ორგანოების თანამშრომლებს ეკისრებათ საქონლის საბაჟო კონტროლისა და გაფორმების ოპერაციების შესრულებისას, სადაც საქონლის კლასიფიკაციისა და კოდირების პროცედურა, არც თუ უკანასკნელ როლს თამაშობს, ამიტომ საბაჟო საქმის ეფექტურობის ზრდა მნიშვნელოვნადაა განპირობებული საბაჟოს მუშაკების მხრიდან საქონლის კლასიფიკაციის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების ცოდნაზე.

საერთაშორისო საბაჟო სამართალი განსაზღვრავს ტერმინის "სასაქონლო ნომენკლატურის" ცნებას, რომლის მიხედვითაც იგი – ლათინური წარმოშობის სიტყვაა და სახელთა რიგს აღნიშნავს. თანამედროვე გაგებით ნომენკლატურა მეცნიერების, ტექნიკისა და პრაქტიკული მოღვაწეობის რომელიმე დარგში გამოყენებულ დასახელებათა, ტერმინების სისტემა, ერთობლიობაა. ამ თვალსაზრისით ტერმინი "სასაქონლო ნომენკლატურა" მჭიდროდაა დაკავშირებული ცოდნისა და პრაქტიკული მოღვაწეობის ისეთ სფეროებთან როგორიცაა "საქონელმცოდნეობა", "საბაჟო საქმე", "წარმოება", "მოხმარება", "ვაჭრობა" , სადაც საქმე ეხება საქონელს და ასეულ ათასობით მათ დასახელებას. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, **რომ სასაქონლო ნომენკლატურა – საქონლის დასახელებათა ერთიანობაა, რასთანაც შეხება აქვთ საბაჟო ორგანოების მუშაკებს და დეკლარანტებს. ისინი ამა თუ იმ ნომენკლატურის აგების წესების გათვალისწინებით გარკვეულ კოდს ანიჭებენ, შესაბამის საქონელს, ასოებისა და ციფრების კომბინაციის სახით**.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ნებისმიერი ოპერაციის განხორციელებისას, ტერმინი "საქონელი", საბაჟო ორგანოების მხრიდან რეგისტრირებულ ყველა საგანს მიეკუთვნება.

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში საბაჟო რეგულირების პოლიტიკის განხორციელებისას საქონელნაკადების კლასიფიკაცია ასევე ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. ტერმინი "სასაქონლო კლასიფიკაცია" – გულისხმობს მოცემული საბაჟო ობიექტების (საქონლის) სიმრავლის ცალკეულ ქვესიმრავლეებად განაწილებას (კლასები, ქვეკლასები, ჯგუფები, ქვეჯგუფები, სახეობები, ქვესახეობები და ა.შ.). საქონლის ასეთი განაწილება ქმნის გარკვეულ სისტემას, რასაც კლასიფიკაცია ეწოდება.

სასაქონლო კლასიფიკაციები მათი შექმნის ამოცანიდან გამომდინარე შეიძლება დაჯგუფებდეს წარმოების დარგების, გამოყენებული მასალების, დამუშავების ხარისხის, ფუნქციონალური დანიშნულებისა და სხვა პირობების მიხედვით.

კლასიფიკაციის მიღებული სისტემაზე დამოკიდებულებით ყველა სახის საქონელს, სასაქონლო განყოფილებებს, ჯგუფებს, ქვეჯგუფებს სპეციალური შიფრი მიეკუთვნება.

კლასიფიკაციის მოცემული სისტემის ფარგლებში, როცა სიმრავლე დაიყოფა გარკვეულ ქვესიმრავლეებად, იგი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მოცემული ობიექტების კლასიფიკატორი.

<u>კლასიფიკატორი</u> არის საკლასიფიკაციო ობიექტების სისტემატიზებული ჩამონათვალი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია თითოეულ ობიექტს მოეძებნოს საკუთარი ადგილი და მიენიჭოს გარკვეული პირობითი აღნიშვნა – კოდი.

<u>საქონლის კოდირება</u> – ტექნიკური ხერხია, რომელიც საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ საკლასიფიკაციო ობიექტი, საქონელი, ან საქონლის ჯგუფი ნიშნის, ან ნიშანთა ჯგუფის სახით, მოცემული კლასიფიკაციის სისტემის წესებით.

საბაჟო ორგანოში საქონელზე ინფორმაციის ასეთი სახით წარმოდგენა მოსახერხებელია მათი შეგროვების, შემოწმების, მანქანური დამუშავების, შენახვის, გაცემისა და შემდგომი ეკონომიკური ანალიზისათვის.

საქონლის კლასიფიკაცია სასაქონლო ნომენკლატურის საშუალებით გვაძლევს შესაძლებლობებს რათა:

- განვახორციელოთ საქონლის კოდირება;
- განვახორციელოთ საბაჟო ეკონომიკური ღონისძიებები (საბაჟო გადასახადის დადგენა, გადახდა, აღრიცხვიანობა, ანგარიშგება, დაგეგმვა, პროცესის მართვა);
- შევისწავლოთ საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურა.

განვიხილოთ საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული საკლასიფიკაციო სისტემები და სასაქონლო ნომენკლატურების ოჯახი.

4.2. საერთაშორისო ვაჭრობის საკლასიფიკაციო სისტემები და ნომენკლატურების ოჯახი

საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესების ზრდის კვალობაზე, იზრდება ქვეყნებს შორის ურთიერთგაცვლითი შესაძლებლობები, არა მხოლოდ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დონეზე, არამედ ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში და ყველა დარგში, ეს კი მათი აღრიცხვის, ანგარიშგებისა და დაგეგმვის, ზოგადად მართვის აუცილებლობის პირობიდან გამომდინარე, გარკვეული სახით კლასიფიცირებას მოითხოვს.

საერთაშორისო კლასიფიკაციათა ეკონომიკური და სოციალური კრებული მოიცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) სტატისტიკური კომისიის UNSD (United Nations Statistics Division) სახელმძღვანელო პრინციპებს. ისინი მთავრობათაშორისი სხვადასხვა კომისიის დასკვნებითაა მომზადებული ისეთ სფეროებში, როგორიცაა ეკონომიკა, დემოგრაფია, შრომა,

ჯანმრთელობა, განათლება, გარემოს დაცვა,სოციალური კეთილდღეობა, გეოგრაფია, ტურიზმი და სხვა. კლასიფიკაციათა ეს სისტემები საერთაშორისო ხასიათისაა, რომელიც ითვალისწინებს და გამოიყენება რეგიონალური და ნაციონალური მიზნებისათვის.

ეკონომიკურ და ნაციონალურ კლასიფიკაციათა საერთაშორისო ოჯახი აერთიანებს სამი ძირითადი ტიპის კლასიფიკაციებს:

- საყრდენი, მიმთითებელი კლასიფიკაციები – UNSD–ის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციის, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და სხვა კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების მოწონებული ეკონომიკური და სოციალური ხასიათის კლასიფიკაციებია, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც კლასიფიკაციათა სხვა სისტემების მოსამზადებლი მოდელები;
- წარმოებული კლასიფიკაციები – ისინი შექმნილია და დაფუძნებულია საყრდენ, მიმთითებელ კლასიფიკაციათა ბაზაზე, მათი სტრუქტურის, ან კატეგორიების გაზიარების გზით, მაგრამ შემდგომში გარკვეული დეტალების ცვლილების, მისი რეორგანიზაციის, ან სტრუქტურის, კატეგორიებისა და პუნქტების შეერთება, შერევის შესაძლებლობით.

<u>ბმული (საყრდენი) კლასიფიკაციები</u> – კლასიფიკაციებია, სადაც ბმები და კავშირები ცალკეული პუნქტების მიმართ შეინიშნება ან ხორციელდება კლასიფიკაციის სხვა სისტემებთან ერთად, კლასიფიკაციის სახვადასხვა დონეზე.

კლასიფიკაციათა სხვა ჯგუფებს მიეკუთვნება შემდეგი სახის კლასიფიკაციები:

- მიზანზე დამოკიდებული ხარჯების;
- დასაქმებისა და განათლების;
- ჯანმრთელობისა და სოციალური სფეროს;
- ქვეყნებისა და რეგიონების.

ამჟამად მსოფლიოში მიღებული და მოქმედი ეკონომიკური კლასიფიკაციებია:

ANZSCC – ავსტალიისა და ახალი ზელანდიის სასაქონლო კლასიფიკაცია;

ANZSIC – ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სამრეწველო კლასიფიკაცია;

BEC – ფართო ეკონომიკური კატეგორიების კლასიფიკაცია;

CBNE – ეკონომიკური თანამეგობრობის წევრი ქვეყნების სახალხო მეურნეობის დარგობრივი კლასიფიკაცია;

CPA 1996, CPA 2002 – ევროპული თანამეგობრობის პროდუქციის სახეობათა სტატისტიკური კლასიფიკაცია;

CPC – ძირითადი პროდუქტების საერთაშორისო კლასიფიკაცია;

ISIC – საერთაშორისო დარგობრივი სტანდარტული კლასიფიკაცია;

NACE 1970 – საერთო სამრეწველო (სტატისტიკური) ეკონომიკური მოღვაწეობის სახეობათა ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის კლასიფიკაცია;

NACE Rev.1, NACE Rev.1.1.– ევროპული თანამეგობრობის ეკონომიკური მოღვაწეობის სახეობათა სტატისტიკური კლასიფიკაცია;

NST/R – საქონლის სატრანსპორტო სტატისტიკის სტანდარტული კლასიფიკაცია;

PRODCOM – ევროპული თანამეგობრობის ქვეყნების პროდუქციის სია;

HS – კლასიფიკაციის საერთაშორისო ჰარმონიზებული სისტემა.

კლასიფიკაციის სისტემების ასეთმა სიმრავლემ, წარმოშვა საერთაშორისო დონეზე სტატისტიკურ მონაცემთა ურთიერთშესაბამისობის აუცილებლობა, რაც ერთგვაროვანი სტატისტიკური განსაზღვრების გამოყენებას, ასევე მათ ურთიერთშესატყვისობას გულისხმობს. ამ მიზნით 1980–90 წლებში გადაიხედა საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციის სისტემები და შეიქმნა გაერთიანებული სტატისტიკური კლასიფიკაციის სისტემა, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდა პროდუქციის კლასიფიკაციის სახვადასხვა სისტემის შეთანხმება ისე, რომ პროდუქციის მთავარი კლასიფიკაციები დაუკავშირდა ეკონომიკური მოღვაწეობის სახეობებს.

ასეთი სახის ჰარმონიზებულ საერთაშორისო კლასიფიკაციათა შორის და ევროპის თანამეგობრობის კლასიფიკაციებში შედის:

გლობალურ დონეზე – ISIC Rev.3., CPC, HS, SITC Rev.3.

ევროპულ დონეზე – NACE Rev.1., CPA, PRODCOM.

სტატისტიკური კლასიფიკაციები, რომელთაც ნომენკლატურებსაც უწოდებენ, სტატისტიკურ მონაცემთა კომპილაციების (შესაბამისობის, შესატყვისობის) ძირითადი ინსტრუმენტია.

არსებობს ეკონომიკური კლასიფიკაციების ორი დიდი ჯგუფი ესენია;

1. ეკონომიკური მოღვაწეობის სახეობათა კლასიფიკაცია;
2. პროდუქციის კლასიფიკაცია.

პირველი მათგანი მოიცავს ეკონომიკური მოღვაწეობის ყველა სფეროს და გამოიყენება ეკონომიკური ობიექტების კლასიფიკაციისათვის (საწარმოები და მსგავსი სტატისტიკური ერთეულები), ხოლო მეორე ახდენს ეკონომიკური მოღვაწეობის შედეგების, პროდუქციისა და მომსახურების კლასიფიკაციას.

თავის მხრივ პროდუქციის კლასიფიკაციის სისტემა მოიცავს ორ კატეგორიას – კლასიფიკაციას წარმოების დარგის მიხედვით და პროდუქციის დამზადებისას გამოყენებული მასალების მიხედვით.

პირველი კატეგორიის კლასიფიკაცია დაკავშირებულია ეკონომიკური მოღვაწეობის კლასიფიკაციასთან. მაგალითად, რძის ფხვნილი ერთი მხრივ შეიძლება დავაკავშიროთ პროდუქციის სახეობების კლასიფიკაციასთან, ხოლო მეორე მხრივ რძის გადამუშავების დარგთან, როგორც გადამუშავების პროდუქტი. ასეთი სახით კლასიფიკაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, რომ ეკონომიკური მოღვაწეობის კლასიფიკაციაში თითოეულ ნაკეთობას მხოლოდ ერთი კოდი უნდა ჰქონდეს.

კლასიფიკაციები, რომლებიც პროდუქციის დამზადებისას ორიენტირებულია გამოყენებულ მასალებზე, პასუხობს, როგორც საგარეო ვაჭრობისა და საბაჟოს მოთხოვნებს, ასევე ითვალისწინებს საქონლის სამრეწველო წარმომავლობასაც.

საერთაშორისო ვაჭრობის ტრადიციული პროდუქტების სასაქონლო კლასიფიკაციების არსებობას დიდი ხნის ისტორია გააჩნია, ისინი საერთაშორისო დონეზე ურთიერთშეთანხმებისა და ჰარმონიზაციის პირველი მაგალითია. მხოლოდ გასული საუკუნის 70–იან წლებში საერთაშორისო მასშტაბით ამოქმედდა ეკონომიკური მოღვაწეობის სახეობებისა და პროდუქციის გაერთიანებული საკლასიფიკაციო სისტემების შექმნის პროგრამა. ქვემოთ განვიხილოთ საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ვაჭრობის საკლასიფიკაციო და სასაქონლო ნომენკლატურის ოჯახის რამდენიმე სისტემა.

4.2.1. ეკონომიკური მოღვაწეობისა და პროდუქციის სახეობების კლასიფიკაციის გაერთიანებული სისტემა ISCAP

გასული საუკუნის 70–იანი წლების დასაწყისში სტატისტიკოსთა XVII და XXI კონფერენციამ, მიიღო გადაწყვეტილება ეკონომიკური მოღვაწეობისა და პროდუქციის სახეობების გაერთიანებული სისტემის შექმნის შესახებ. დადგენილების მიხედვით, მისი საფუძველი, მანამდე არსებული საკლასიფიკაციო სისტემები უნდა გამხდარიყო მათ შორის არსებული განსხვავების შეთანხმების გზით. ამავე პერიოდში მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციამ გადაწყვიტა კარდინალურად გადაეხედა საბაჟო კლასიფიკაციისათვის და მისთვის იმავდროულად სტატისტიკური ამოცანების გადაწყვეტის შესაძლებლობა მიეცა. 1983 წელს ახლად შექმნილმა და 1988 წლიდან გამოყენებაში მყოფმა კლასიფიკაციის ამ სისტემამ მიიღო საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის (HS) სახელწოდება, რომელიც მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში ითვალისწინებს საქონლის წარმოშობის ეკონომიკურ კრიტერიუმებს.

1976 წლიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის გლობალურ დონეზე შეთანხმების მიზნით პროგრამის დამუშავებაში ჩაერთო გაეროს სტატისტიკური ბიურო. შექმნილი მუშა ჯგუფის მიზანი იყო შეექმნათ ეკონომიკური მოღვაწეობისა და პროდუქციის სახეობების კლასიფიკაციის გაერთიანებული სისტემა – ISAP, რომელიც საშუალებას მოგვცემდა სხვადასხვა ორგანიზაციის კლასიფიკაციის სისტემები ეკონომიკური მოღვაწეობის სახეობებთან ერთად მოქცეულიყო ურთიერთშეთანხმებულ რეჟიმში. 1988 წელს ამ სისტემის მიღების შემდეგ, უფრო კერძო სახის, კონკრეტიზებული სისტემის დამუშავებაზე დაიწყო მუშაობა. ამ მუშაობის შედეგად გაეროს მიერ მომზადდა ორი ძირითადი კლასიფიკაცია:

–ISIC Rev.3 – საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია;

–CPC – ძირითადი პროდუქტების საერთაშორისო კლასიფიკაცია.

ეს კლასიფიკაციები არის ევროპული და ნაციონალური კლასიფიკაციების ბირთვი. ევროპულ დონეზე ამ ეკონომიკურ კლასიფიკაციებს შეესაბამება: NACE Rev.1, CPA; ამასთან ეს კლასიფიკაციები მთლიან ჰარმონიზაციაშია გლობალურ კლასიფიკაციებთან, რომლებიც ასევე გამოიყენება ევროკავშირის ქვეყნების ნაციონალურ კლასიფიკაციებში.

4.2.2. საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია ISIC Rev.3

საერთაშორისო ეკონომიკური მოღვაწეობის სახეობების კლასიფიკაციათა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია ISIC Rev.3. იგი გაეროს მიერ შემუშავებული იერარქიული სტრუქტურის მქონე, კატეგორიათა დეტალიზაციის მაღალი დონით გამორჩეული, ეკონომიკური მოღვაწეობის სახეობების კლასიფიკაციაა. მისი გამოყენება რეკომენდებულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რომელიც UNSD-ის მიერ 1989 წელს იქნა მოწონებული.

კლასიფიკაციის მომსახურების სექტორში აღსანიშნავია ინტენსიური განვითარების გზაზე მყოფი დარგებისათვის განხორციელებული ისეთი ინოვაციები როგორიცაა:

- პროგრამული უზრუნველყოფის მონაცემთა ბაზებისა და მონაცემთა დამუშავების წარმოება, საოფისე ტექნიკისა და მონაცემთა დამუშავების მოწყობილობების რემონტი;
- იჯარისა და ლიზინგის განცალკევება;
- კვლევისა და განვითარების სფეროების გაყოფა;

ISIC Rev.3 კლასიფიკაცია შეიცავს 17 განყოფილებას მათ შორის:

A – სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყევეობა;

B – თევზი და თევზპროდუქტები;

C – სამთო მრეწველობის ნაკეთობანი და კარიერების დამუშავება;

D – სამრეწველო ნაკეთობანი;

E – ენერგია, გაზი და წყალმომარაგება;

F – მშენებლობა;

G – საბითუმო და საცალო სავაჭრო და ავტოტექნიკის სარემონტო მომსახურება;

H – სასტუმრო და რესტორნების მომსახურება;

I – ტრანსპორტი, სასაწყობე მეურნეობა, კავშირგაბმულობა;

J – ფინანსური საშუამავლო საქმიანობა და მომსახურება;

K – უძრავი ქონება, იჯარა;

L – სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური დაზღვევა;

M – საგანმანათლებლო მომსახურება;

N – ჯანდაცვა;

O – კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება:

P – კერძო შინამრეწველობა დაქირავებული მომსახურებით.

4.2.3. ძირითადი პროდუქტების საერთაშორისო კლასიფიკაცია CPC

CPC კლასიფიკაციის ერთეული პროდუქტია. იგი პირველი კლასიფიკაციაა, რომელმაც მოახდინა როგორც სასაქონლო ასევე არასასაქონლო პროდუქციის (მომსახურების) კლასიფიკაცია. მისი სტრუქტურა საშუალებას იძლევა სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სტატისტიკური მონაცემები ერთმანეთს შეედაროს. იგი არ არის მოწოდებული კლასიფიკაციათა სხვა სისტემების შეცვლისაკენ, არამედ ხელს უწყობს მათთან ურთიერთშეთანხმების პროცესს. ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ CPC – პროდუქციის სხვა კლასიფიკაციათა ჰარმონიზაციის საშუალებაა საერთაშორისო და ნაციონალურ დონეზე. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ CPC პროდუქციის სახეობებად განიხილავს აგრეთვე მიწას, შენობებს ასევე არამატერიალურ აქტივებს, პატენტებს, ლიცენზიებს, სავაჭრო ნიშნებს, საავტორო უფლებებს.

ნაკეთობის მატერიალური შემადგენლობა და თვისებები CPC საკლასიფიკაციო სისტემის აგების მთავარი კრიტერიუმია, რომელიც გულისხმობს გამოყენებული ნედლეულის ტიპს, წარმოების პროცესს, საგნის დანიშნულების მიზანს და ა.შ. აღნიშნული პრინციპის გარდა გამოიყენება აგრეთვე ეკონომიკური წარმომავლობის პრინციპიც.

საერთაშორისო კლასიფიკაციას CPC–სს გააჩნია თავისი საკუთარი კოდირების სისტემა, რომელიც დამყარებულია ათობით სისტემაზე. ციფრული კოდი რომელიც შეიცავს მაქსიმუმ ხუთ ნიშანს, ციფრს ისე, რომ თითოეული ხუთი იერარქიული დონიდან ერთ-ერთს შეესაბამება. იერარქიული დონის ყველაზე დაბალ საფეხურზე განთავსებულია 1811 დასახელება, მათგან დაახლოებით 60–70% ტრანსპორტირებადი საქონელია, ხოლო დაახლოებით 30–40% მომსახურება.

CPC კლასიფიკაციის საკლასიფიკაციო ჯგუფები შემდეგი სახისაა:

0. სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და სათევზაო ნაკეთობანი;
1. მადანი და სასარგებლო წიადისეული. ელექტრობა, წყალი, გაზი;
2. სამრეწველო პროდუქტები, სასმელები, თამბაქო, ტექსტილი, ტანსაცმელი და ტყავის ნაწარმი;
3. სხვა ტრანსპორტირებადი საქონელი, გარდა მე–4 პოზიციისა;
4. მეტალის ნაკეთობანი, მანქანები და მოწყობილობები;
5. სამშენებლო სამუშაოები, ნაგებობები, მიწა;
6. სავაჭრო მომსახურეობა, სასტუმრო და რესტორნის სერვისი;
7. ტრანსპორტირება, შენახვა და საკომუნიკაციო მომსახურება;
8. საქმიანი მომსახურება, სოფლის მეურნეობის, მოპოვებისა და წარმოების მომსახურება;
9. საზოგადოებრივი, სოციალური და პერსონალური მომსახურება.

4.2.4. საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა

სხვადასხვა სახის საკლასიფიკაციო პრინციპების გამოყენებით აგებული ძირითადი სასაქონლო ნომეკლატურები, ართულებს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობებს. დღის წესრიგში დადგა ერთიანი საერთაშორისო კლასიფიკატორის შექმნის საკითხი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი, მისაღები და სავალდებულო იქნებოდა საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილე ყველა ქვეყნისათვის. ამას გარდა, მისი საშუალებით შესაძლებელი უნდა ყოფილიყო გვეწარმოებინა ცალკეული სასაქონლო პოზიციების, სასაქონლო ჯგუფების მიხედვით საქონლის საგარეო ვაჭრობის სღრიცხვა და ანალიზი. მუშაობა ასეთი საკლასიფიკაციო სისტემის შექმნისათვის 1973 წელს დაიწყო და თითქმის ათეული წელი გაგრძელდა. 1983 წელს საბაჟო თანამშრომლობის საბჭომ ფაქტიურად დაამთავრა მოსამზადებელი სამუშაოები ჰარმონიზებული სისტემის შესაქმნელად. პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა მისი გამოყენების პირობების კონვენციის შესაქმნელად.

ასეთი სისტემის იურიდიულ საფუძველს შეადგენს კონვენცია ჰარმონიზებული სისტემის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 1983 წელს ბრიუსელში. მისი შემოღების პრიორიტეტი საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციას ეკუთვნის. ჰარმონიზებული სისტემის მართვის ორგანოების სტრუქტურაში შედის:

- ჰარმონიზებული სისტემის კომიტეტი;
- კლასიფიკაციისა და ნომენკლატურის მუდმივმოქმედი დირექტორატი;
- გადაწყვეტილებათა გადახედვის ქვეკომიტეტი (იკრიბება წელიწადში ორჯერ);
- სამეცნიერო ქვეკომიტეტი (იკრიბება წელიწადში ერთხელ);
- მუდმივმოქმედი სამდივნო.

ჰარმონიზებული სისტემის შექმნისას გამოყენებული იქნა ჯგუფებში საქონლის განაწილების ორი ძირითადი პრინციპი:

1. საქონელს უნდა გააჩნდეს საკუთარი განმასხვავებელი ნიშანი;
2. სისტემაში ჩართული საქონელით დაინტერესებული უნდა იყოს რამოდენიმე სახელმწიფო.

ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურა შედგება 21 განყოფილებისა და 99 ჯგუფისაგან, მათგან სამი ჯგუფი 77, 98, 99 სარეზერვო ჯგუფებია.

კლასიფიკაციის საფუძველი 21 განყოფილებად დაყოფილი საქონლის სხვადასხვა ნიშნის ერთობლიობა არის, რომელთაგან უმთავრესია:

- წარმოშობა (განყოფილება I, II, V);
- ფუნქციური დანიშნულება (განყოფილება IV, XI, XII, XVII, XVIII, XIX, XX, XXI);
- ქიმიური შედგენილობა (განყოფილება III, VI, VII);
- საქონლის დასამზადებლად გამოყენებული მასალის სახეობები (განყოფილება VIII, IX, X, XIII, XIV, XV).

ჯგუფების შექმნისათვის გამოიყენება საქონლის თანდათანობითი დამუშავების პრინციპი ნედლეულისგან, ნახევარფაბრიკატისა და მზა ნაკეთობის მიღებამდე.

ჰარმონიზებულ სისტემაში საქონლის დაჯგუფება პოზიციებისა და სუბპოზიციების დონეზე მიმდინარეობს, მათში როგორც წესი, გამოყოფენ ერთ ან რამდენიმე სახეობის პროდუქციას, რომლებიც მსოფლიო ვაჭრობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული მიმოქცევის საშუალებებია. დანარჩენი სახეობებისათვის გამოყოფილია განზოგადებული საკლასიფიკაციო ჯგუფი "სხვა". სასაქონლო ქვეჯგუფების, პოზიციების, სუბპოზიციების შექმნისას, თითოეულ ჯგუფში გამოიყენება ნიშან-თვისებათა საკუთარი ნაკრები, რომელთაგან უმთავრესია: საქონლის დანიშნულება, მისი დამუშავების ხარისხი, გამოყენებული მასალის სახეობა, მსოფლიო ვაჭრობაში მისი ხვედრითი წილი.

ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურა, ხუთ სხვადასხვა დონეს შეიცავს ესენია: განყოფილება, ჯგუფი, ქვეჯგუფი, სასაქონლო პოზიცია, სუბპოზიცია.

დონეთა შემადგენელ კლასიფიკაციაში ელემენტების რაოდენობა დაყოფილია 4.1 ცხრილში ნაჩვენები სახით.

ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურაში განყოფილებები აღინიშნება რომაული ციფრებით, ხოლო ჯგუფები, ქვეჯგუფები, სასაქონლო პოზიციები და სუბპოზიციები არაბული ციფრებით.

ცხრილი 4.1

დონის დასახელება	ელემენტების რაოდენობა
განყოფილება	21
ჯგუფი	99 მათ შორის 96 მოქმედი, 3 სარეზერვო
ქვეჯგუფი	33
სასაქონლო პოზიცია	1241
სუბპოზიცია	5019

ჰარმონიზებული სისტემის სტრუქტურა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს 4.2 ცხრილის მიხედვით, სადაც ნაჩვენებია თითოეულ განყოფილებაში ჯგუფების, ქვეჯგუფების, პოზიციებისა და სუბპოზიციების რაოდენობა.

ცხრილი 4.2.

განყოფილება		ჯგუფი	ქვე-ჯგუ-ფი	სასაქონლო	
კოდი	დასახელება			პოზიცია	სუბ-პო-ზი-ცია
1	2	3	4	5	6
I	ცოცხალი ცხოველები და მეცხოველეობის პროდუქტები	35	–	44	194
II	მცენარეული წარმოშობის პროდუქტები	9	–	79	270
III	ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები, ცვილი, საკვები ცხიმები	1	–	22	53
IV	საკვები მრეწველობის პროდუქტები, უალკოჰოლო სასმელები, ძმრის, თამბაქოსა და მათი შემცვლელების ჩათვლით	9	–	56	181
V	მინერალური პროდუქტები	3	–	67	151
VI	ქიმიური და მასთან დაკავშირებული დარგების პროდუქცია	11	19	176	789
VII	პლასტმასი, კაუჩუკი და მისგან დამზადებული სხვა ნაკეთობანი	2	2	43	189
VIII	ტყავის ნედლეული, ტყავი, ბეწვეულის ნედლეული და ნაკეთობანი. მოსართავ-საკმაზი ნაკეთობანი	3	–	21	74
IX	მერქანი და მერქნის ნაკეთობანი, მერქნის ნახშირი, კორპი და მისი ნაკეთობანი, ჩალის ნაკეთობანი, კალათები და სხვა წნულები.	3	–	27	79
X	ქაღალდის მასა, ხის მერქანი ან სხვა ბოჭკოვანი მასალები, მუყაო, მაკულატურა და მათი ნაკეთობანი	3	–	41	149
XI	ტექსტილი და მისი ნაკეთობანი	14	3	149	809
XII	ფეხსაცმელი, თავსაბურავი, ქოლგები, ხელჯოხები, შოლტი და მათი ნაწილები, დამუშავებული ბუმბული, ხელოვნური ყვავილები, ტყავის ნაკეთობანი	4	–	20	55
XIII	ქვის, თაბაშირის ცემენტის ასბესტის, ქარსის, და მათი სგავსი მასალების ნაკეთობანი. კერამიკა, შუშა და მათი ნაკეთობანი	3	2	49	38
XIV	ბუნებრივი და კულტივირებული მარგალიტი, ძვირფასი ქვები და მეტალი, მისით დაფარვა, არაკეთილშობილი მეტალი, ბიჟუტერია, მონეტები	1	3	18	52
XV	შავი და ფერადი ლითონი და მათი ნაკეთობანი	11	4	157	587
XVI	მანქანები, მოწყობილობები, მექანიზმები, ელექტრო მოწყობილობები და მათი ნაწილები, აუდიო და ვიდეო აპარატურა, მათი ნაწილები და აქსესუარები	2	–	133	762

XVII	საჰაერო, სახმელეთო და წყლის სატრანსპორტო საშუალებანი, მათი ნაწილები და აქსესუარები	4	–	38	132
XVIII	ოპტიკური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, საკონტროლო, პრეციზიული, სამედიცინო, ქირურგიული ხელსაწყოები, საათები, მუსიკალური ინსტრუმენტები, მათი ნაწილები და აქსესუარები	3	–	56	230
XIX	ძირითადი და საბრძოლო მარაგები მათი ნაწილები და აქსესუარები	1	–	7	17
XX	სხვადასხვანაირი სამრეწველო საქონელი	3	–	32	131
XXI ხელოვნების ნაწარმოებები, საკოლექციო საგნები და ანტიკვარიატი		1	–	6	7
ს უ ლ		96	33	1241	5019

კლასიფიკაციის შემდეგი დონეა ჯგუფები, ისინი სულ 96–ია. ჯგუფებში საქონელი გაერთიანებულია:

- მასალებისა და შედგენილობის მიხედვით;
- ფუნქციონალური დანიშნულებით;
- დამუშავების სტადიის მიხედვით.

დამუშავების სტადიის მიხედვით კლასიფიცირებულ პროდუქციას შეიძლება თვალი მივადევნოთ მარცვლოვანი კულტურების მაგალითზე, რომელიც მოყვანილია 4.3 ცხრილში

ცხრილი 4.3

ჯგუფი	კოდი	დასახელება
10	1001 10000 1001 00000 1002 00000 1003 00000 1004 00000	ხორბალი მაგარი (ჯიშის) დანარჩენი ჭვავი ქერი შვრია
11	1101 00000 1101 00110 1101 00150 1102 00000 1102 10000 1102 30000 1102 90000	ხორბლის ან ხორბალ-ჭვავის ფქვილი ხორბლის ფქვილი მაგარი (ჯიშის) ხორბლისაგან ხორბლის ფქვილი რბილი (ჯიშის) ხორბლისაგან დანარჩენი მარცვლეულის ფქვილი. გარდა ხორბალ-ჭვავისა ჭვავის ფქვილი ბრინჯის ფქვილი ქერის ფქვილი
19	1905 00000 1905 10000 1905 20000 1905 31000 1905 40000	პური, ცომეული, საკონდიტრო ნაწარმი, ტკბილღვეზელა, ნამცხვარი და სხვა. პურფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი. ხრაშუნა პური, კოჭას ნამცხვარი და ანალოგიური პროდუქტები ტკბილი მშრალი ნამცხვარი ორცხობილა, ნამცხვარი და ანალოგიური პროდუქტები

მოყვანილი ჯგუფი 10 მოიცავს მარცვლოვან კულტურებს,
ჯგუფი 11 – წისქვილკომბინატის პროდუქციას,
ჯგუფი 19 პურის ფქვილის პროდუქციას.

ჯგუფების ფორმირების დროს ითვალისწინებენ საქონლის დამუშავების თანმიმდევრულობის კრიტერიუმებს: ნედლეული– ნახევარფაბრიკატი – პროდუქცია, რაც ხელს უწყობს სისტემის გამოყენებისას საბაჟო ტარიფების განსაზღვრას.

საქონლის კლასიფიკაციის კოდებს ჯგუფების დონეზე ზოგიერთი სახეობის პროდუქციისათვის შემდეგი სახე აქვს:

ცხრილი 4.4

	სასაქონლო სტრუქტურა	ჯგუფების კოდები
	სურსათ-სანოვაგე და მისი ნედლეული	1 – 24
	მინერალური საწვავი	27
.	ქიმიური პროდუქცია	28 – 33
	ხე-ტყის მასალა და პროდუქცია	44 – 48
	მეტალი	72 – 81
	მანქანები და აღჭურვილობა	84 – 97

ჰარმონიზებული კლასიფიკაციის ნომენკლატურაში გამოიყენება ექვსნიშნა კოდი, განყოფილებების რომაული ციფრებით აღნიშვნისაგან განსხვავებით, ამ სისტემაში მხოლოდ არაბულ ციფრებს იყენებს. ისინი ახასიათებს ჯგუფის ნომერს, სასაქონლო პოზიციას და სუბპოზიციას.

ჰარმონიზებული ნომენკლატურის ექვსნიშნა კოდის სტრუქტურა აგებულია ათობით სისტემაზე. ამ კოდის პირველი ორი ციფრი აღნიშნავს სასაქონლო ჯგუფს, პირველი ოთხი ციფრი სასაქონლო პოზიციას, მეხუთე და მეექვსე ციფრები – სუბპოზიციას. ქვემოთ მოყვანილ 4.1 ნახ-ზე მოცემულია ექვსნიშნა კოდის სტრუქტურა.

განვიხილოთ საქონლის "ცოცხალი კობრის" ადგილის მოძებნის მაგალითი ჰარმონიზებულ ნომენკლატურაში და დავადგინოთ მისი ექვსნიშნა კოდი.

X	X	X	X	X	X
ჯ გ უ ფ ი					
ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო		კ ო ზ ი ც ი ა			
ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო			ს უ ბ პ ო	ზ ი ც ი ა	

ნახ.4.1. ჰარმონიზებული კლასიფიკაციის ექვსნიშნა კოდის სტრუქტურა

პირველ ეტაპზე განვსაზღვროთ საქონლის კლასიფიკაციის სისტემის განყოფილება. ჩვენი შემთხვევისათვის ეს იქნება განყოფილება I "ცოცხალი ცხოველები და მეცხოველეობის პროდუქტები (განყოფილების ნომერი, რომელსაც საქონელი მიეკუთვნება ექვსნიშნა კოდის კომბინაციაში არ შედის). მეორე ეტაპზე განისაზღვრება საქონლის ჯგუფი. საკლასიფიკაციომ საქონელი შეიძლება მიეკუთვნოს ჯგუფს 03 "თევზი და კიბოსნაირები, მოლუსკები და წყლის უხერხემლოები"ჯგუფის ნომერი 03 შეესაბამება ექვსნიშნა კოდის პირველ ორ ციფრს.

მესამე ეტაპზე განისაზღვრება საკლასიფიკაციო საქონლის ქვეჯგუფი, რომელიც ჩვენი მაგალითის შემთხვევაში I განყოფილებას არ გააჩნია.

მეოთხე ეტაპზე, შემდგომი დეტალიზაციისას, ჯგუფი 03 იყოფა სასაქონლო პოზიციებად, რომელთაგან ერთ-ერთი, კონკრეტულად 0301 არის "ცოცხალი თევზი", რომელსაც შეიძლება მივაკუთვნოთ საკლასიფიკაციო საქონელი.

სასაქონლო პოზიციის შემდგომი დეტალიზაციისას სუბპოზიციის დონეზე "კობრს" შეესაბამება კოდი 93 ანუ ექვსნიშნა კოდის მეხუთე და მეექვსე პოზიციებისათვის გვექნება 9 და 3.

მთლიანად ექვსნიშნა კოდი საქონლისათვის "ცოცხალი კობრი", ჰარმონიზებული სისტემის მიხედვით, იქნება 030193.

ჰარმონიზებული სისტემის აგების იერარქიულობის ილუსტრირებისათვის განვიხილოთ მაგალითი:

ჯგუფი 06 – ცოცხალი ხეები და სხვა მცენარეები: ბოლქვები, ფესვები, და მცენარეთა სხვა ანალოგიური ნაწილები; მოჭრილი ყვავილები და დეკორატიული სიმწვანეები;

სასაქონლო პოზიცია 0601 – ბოლქვები, ტუბერები, ტუბერისებრი ფესვები, ტუბერ–ბოლქვები, ფესურები განშტოებულის ჩათვლით, ვეგეტატიური სიმშვიდის, ვეგეტაციის, ან ყვავილობის მდგომარეობაში, ვარდკაჭაჭას მცენარეები და ფესვები.

სუბპოზიცია 06110 – ბოლქვები, ტუბერები, ტუბერისებრი ფესვები, ტუბერბოლქვები, ფესურები განშტოებულის ჩათვლით, ვეგეტატიური სიმშვიდის მდგომარეობაში.

სუბპოზიცია 060120 – ბოლქვები, ტუბერები, ტუბერისებრი ფესვები, ტუბერბოლქვები, ფესურები განშტოებულის ჩათვლით, ვეგეტაციის ან ყვავილობის მდგომარეობაში.

მოყვანილი მაგალითის მიხედვით საკლასიფიკაციო საგნის ნიშან-თვისებათა ერთიანობა თანდათან ზუსტდება, დეტალიზდება საკლასიფიკაციო დონეების მიხედვით ჯგუფიდან სუბპოზიციამდე.

საქონლის კლასიფიკაციის პროცესი საბაჟო პროცედურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი სპეციალიზირებული სამუშაოს სახეობაა, რომელიც ექსპერტიზის, ლაბორატორიული ანალიზის, სატვირთო საბაჟო დეკლარაციის შემოწმებას და სხვა სახის აუცილებელ ქმედებათა ჩატარებას მოითხოვს. ეორე მხრივ, საქონლის საბაჟო გაფორმებისას, დროითი დანაკარგები მინიმუმამდე უნდა იქნას შემცირებული საერთაშორისო ვაჭრობაში გართულების თავიდან აცილების მიზნით. საქონლის კლასიფიკაციასთან დაკავშირებული სამუშაოები შეიძლება სამ სხვადასხვა სტადიაზე ჩატარდეს: წინასწარი კლასიფიკაცია, დეკლარაციის დამუშავების სტადია და საბაჟო გაფორმების შემდგომი სტადია. მათი კომბინირება საშუალებას იძლევა დაჩქარდეს საბაჟო გაფორმების პროცედურები, მით უმეტეს, რომ არსებობს კვალიფიცირებული ტექნიკური ექსპერტებისაგან, საბაჟო ლაბორატორიებისაგან დახმარების მიღების შესაძლებლობაც.

<u>წინასწარი კლასიფიკაცია</u>

საქონლის წინასწარი კლასიფიკაციის ჩატარების ორგანიზება შესაძლებელია საბაჟო ადმინისტრირების ნებისმიერ დონეზე, კლასიფიცირების ერთგვაროვნების უზრუნველყოფის გარანტიით. მონაცემები ნებისმიერი საქონლის კლასიფიცირების შესახებ შეიტანება მონაცემთა ცენტრალურ ბაზაში, საბაჟო ადმინისტრაციის სხვადასხვა ტერიტორიულ ორგანოების მონიტორინგისა და კლასიფიცირების ერთგვაროვნების უზრუნველყოფის მიზნით. მხარეთა ურთიერთვალდებულებების გაზრდისათვის რეკომენდებულია

ინფორმაცია კლასიფიცირების შესახებ გაცემულ იქნეს გარკვეული დროის შუალედით, ამ შუალედში იგი გარანტირებულად უცვლელი უნდა დარჩეს, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც საქმე გვაქვს ფაქტების აშკარა დამახინჯებასთან.

<u>კლასიფიკაცია დეკლარაციის გაფორმებისას</u>

საბაჟო გაფორმების პროცესში საქონლის კლასიფიცირების ეტაპმა, რომ არ გამოიწვიოს შეფერხებები რეკომენდებულია:

- გამოყენებულ იქნეს ამორჩევითი კლასიფიკაცია, რისკების მართვის მეთოდის საფუძველზე. (საეჭვო დეკლარაციების შემოწმება შემთხვევითი ამორჩევის მიხედვით);
- საეჭვო და პრობლემურ საკითხებზე კლასიფიცირების ექსპერტებთან კონსულტაციები;
- კონსულტაციები დეკლარანტთან, სასაქონლო კოდის შეცვლამდე;
- დეკლარანტს უნდა მიეცეს შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, ჯარიმის გადახდით ან გადაუხდელად;
- სატარიფო შემოწმების გადავადების შესაძლებლობა ვაჭრობის წესების, ან შემოსავლების დანაკარგების თავიდან აცილების გარანტიით.

<u>კლასიფიკაცია საბაჟო გაფორმების შემდეგ</u>

საბაჟო გაფორმების შემდგომ სტადიაზე, შემოწმების ჩატარება მონაწილე მხარეებს ხელს უწყობს გაფორმების სტადიაში დაშვებული დარღვევების აღმოფხვრაში. ამ ეტაპზე ხორციელდება კლასიფიკაციის ადრე გადავადებული პროცედურების ჩატარება, აქვე ხდება თაღლითობასთან დაკავშირებული განზრახ ქმედების აღმოჩენა და შემოწმება, ასევე სხვა ნებისმიერი შეცდომის გამოსასწორება.

4.2.5. ევროკავშირის ქვეყნების კომბინირებული ნომენკლატურა

ჰარმონიზებული სისტემის შექმნა და დანერგვა გახდა კლასიფიცირების სისტემის საერთაშორისო სტანდარტიზაციის ახალი ეტაპის დასაწყისი, რამაც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და საერთაშორისო საბაჟო თანამშრომლობის გაღრმავება გამოიწვია.

ჰარმონიზებული სისტემის კონვენციას 1998 წლისათვის მსოფლიოს 96–მა ქვეყანამ დაუჭირა მხარი, რომლებმაც ამის საფუძველზე შექმნეს თავისი ნაციონალური სასაქონლო ნომეკლატურები და საბაჟო კლასიფიკაციები.

ჰარმონიზებული სისტემის კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა განხორციელდეს კიდევ უფრო ღრმა დეტალიზაცია ცალკეული ქვეყნების, ან ქვეყანათა ჯგუფის ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთი დეტალიზაცია ხორციელდება კოდის შემდგომი დამატებითი თანრიგების გამოყენებით, რაც ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში, სხვა სახის საკლასიფიკაციო სისტემების შექმნისას.

ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც ჰარმონიზებული სისტემების შესახებ საერთაშორისო კონვენცია აყენებს, არის მოთხოვნა ნაციონალური ნომეკლატურების მიმართ, რომ მათი ქვეგანყოფილებები შეიძლება შეივსოს და მოხდეს მათი კოდირება ჰარმონიზებული სისტემის ექვსნიშნა კოდის შემდგომ. ასეთი შევსება მეშვიდე და მერვე ნიშნამდე კოდს ევროკავშირის ქვეყნების

კომბინირებული კოდის მნიშვნელობას ანიჭებს, რომლის სტრუქტურა წარმოდგენილია ნახ. 4.2–ზე.

X	X	X	X	X	X	X	X
ჰარმონიზებული სისტემის ექვსნიშნა კოდი						დამატებითი დეტალიზაცია	

ნახ. 4.2. კომბინირებული ნომეკლატურის სტრუქტურა

ყოველწლიურად 31 დეკემბრამდე ევროსაბჭოს შესაბამისი კომისიის მიერ ქვეყნდება დამატებები და შესწორებები, რომელსაც წევრი ქვეყნები ითვალისწინებენ კომბინირებულ ნომენკლატურაში.

განვიხილოთ დეტალიზაციის პროცესი კომბინირებული ნომეკლატურის საშუალებით კონკრეტული საქონლის მაგალითზე.

სასაქონლო ნომენკლატურის ნუსხაში არსებობს პროდუქციის სასაქონლო ერთობლიობა, რომელიც გაერთიანებულია დასახელებით: "ბიტუმის მასალისაგან მიღებული ნავთობის გადამუშავეების პროდუქტები 70 და მეტი მასური წილის ნავთობპროდუქტების შემცველობით, რომლებიც სხვა ადგილას არ არის მოხსენიებული, ამასთან ეს პროდუქტები მათი ძირითადი მდგენელებია."

ასეთი ტიპის საქონელს ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურაში შეესაბამება კოდი 271000. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც შეიძლება ჩაერთოს ასეთი ტიპის ნავთობპროდუქტები. ჰარმონიზებული სისტემაში სასაქონლო პოზიცია 2710 არ დეტალიზირდება მე–5 და მე–6 პოზიციებზე, ამიტომ ამ ადგილას ჩასმულია ნულები.

კომბინირებულ ნომეკლატურაში 271000 შევსებულია სხვადასხვა დონის ჯგუფებით კოდის მე–7 და მე–8 პოზიციების გამოყენებით:

2710 00 61 – გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის;

2710 00 65 – პროცესებში ქიმიური გარდაქმნებისათვის, რომლებიც მითითებული არაა 2710 00 61 სუბპოზიციაში;

2710 00 69 – სხვადასხვა მიზნისათვის.

4.2.6. საერთაშორისო ეკონომიკური მოღვაწეობის სასაქონლო ნომენკლატურა

საბჭოთა კავშირში ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურის დანერგვაზე მუშაობა გასული საუკუნის 80-90-იან წლებში დაიწყო. შეიქმნა სპეციალური უწყებათაშორისი კომისია, რომელმაც სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება შეისწავლა და ნიადაგი მომზადა მაშინდელი ქვეყნის მასშტაბით ჰარმონიზებული სისტემის ნომეკლატურის დამუშავებისა და დანერგვისათვის.

საგარეო ეკონომიკური მოღვაწეობის მთელი კომპლექსისათვის ახალ კლასიფიკაციაზე გადასასვლელი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების პროცესში, ჰარმონიზებულ სისტემასა და არსებულ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საგარეო ვაჭრობის ერთიან სასაქონლო ნომენკლატურას შორის შეთანხმებული დებულებების მოძიების აუცილებლობა შეიქმნა. საკითხის შესწავლის შემდეგ გადაწყდა სასაქონლო კლასიფიკაციის საფუძვლად მიეღოთ ჰარმონიზებული სისტემის კომბინირებული ნომენკლატურა, ნაციონალურ დონეზე შემდგომი დეტალიზაციის შესაძლებლობით. ახალმა სისტემამ საერთაშორისო ეკონომიკური მოღვაწეობის სასაქონლო ნომენკლატურის სახელწოდება მიიღო. აღნიშნული სისტემის კოდური სტრუქტურა 9 პოზიციას შეიცავს, მათგან პირველი ექვსი საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებულ სისტემას შეესაბამება, 7–8 პოზიცია

ევროკავშირის ქვეყნების კომბინირებული ნომენკლატურის კოდებს შეესაბამება, ხოლო მე–9 პოზიცია ქვეყნის ვაჭრობის ნაციონალურ თავისებურებებს ითვალისწინებს. (ნახ. 4.3)



ნახ.4.3.საერთაშორისო ეკონომიკური მოღვაწეობის ნომენკლატურის კოდის სტრუქტურა

აღნიშნული კლასიფიკაცია მიღებულ იქნა მოქმედებისათვის საბჭოთა კავშირის არსებობის სულ ბოლო ეტაპზე და შემდგომში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საგარეო სავაჭრო ურთიერთიობის დოკუმენტი გახდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე საქართველოში მოქმედებს აღნიშნული საკლასიფიკაციო სისტემა, საერთაშორისო ეკონომიკური მოღვაწეობის ნომენკლატურასთან მაღალი დონის ჰარმონიზაციის გამო, მან საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის სახელწოდება მიიღო.



ნახ. 4.4. სასაქონლო ნომენკლატურის სტრუქტურა ელემენტების მიხედვით

ცხრანიშნიანი სასაქონლო ნომენკლატურის სტრუქტურას, შემადგენელი ელემენტების მიხედვით 4.4 ნახ-ზე მოცემული სახე აქვს.

სასაქონლო პროდუქციის დიფერენცირების მეთოდი ყოველ ჯგუფში სასაქონლო პოზიციის, სუბპოზიციისა და ქვესუბპოზიციისათვის მათი ნიშანთვისებათა ხასიათის მიხედვით ხორციელდება, ზოგადიდან კონკრეტულისაკენ, ანუ საქონელთა ჯგუფისათვის შეირჩევა პროდუქციის ერთი, ან რამოდენიმე სახეობა, რომლებიც ყველაზე ფართოდაა წარმოდგენილი საერთაშორისო ბაზარზე, ხდება მათი კლასიფიცირება ნიშან-თვისებათა მიხედვით, რითაც წარმოიქმნება კლასიფიკაციის მაღალი დონე. ნიშან-თვისებათა შემდგომი კონკრეტიზაცია კლასიფიკაციის ახალ, შედარებით დაბალ დონეებს წარმოშობს, ხოლო დანარჩენი სახეობებისათვის, ისე როგორც სასაქონლო კლასიფიცირების ჰარმონოზებულ სისტემაში, განკუთვნილია განზოგადებული კლასიფიცირების დაჯგუფება “სხვადასხვა”. ე.ი. არაპირდაპირი სახით კლასიფიცირებული ნაჩვენები საქონელი, დაჯგუფების დეტალიზაციის ყველა დონეზეა განლაგებული. განსაკუთრებით, მეხუთე-მეექვსე ნიშნების დონეზე და მათი გამოყოფა ქვესუბპოზიციის დონეზე ხორციელდება. განსაკუთრებით

რთული შემთხვევების დროს სარგებლობს სპეციალური საცნობარო ლიტერატურის, ნორმატიული ხასიათის დოკუმენტაციისა და კლასიფიცირების ექსპერტების დახმარებით. ასეთი მიდგომის მეოხებით, ჰარმონიზებული სისტემის საშუალებით შეიძლება კლასიფიცირების თითქმის აბსოლუტური შედეგის მიღწევა, მსოფლიო სავაჭრო ბრუნვაში არსებული თითქმის ყველა საქონლისათვის. მაგალითის სახით განვიხილოთ სასაქონლო დეტალიზაცია №0106 პოზიციისათვის. საცნობარო ლიტერატურაში, მისი ქვესუბპოზიციების მიმართ, ახსნა განმარტებები, წარმოდგენილია შემდეგი დაწვრილებითი სახით:

010600 – სხვა ცოცხალი ცხოველები;

010600100 – შინაური ბოცვერი;

010600200 – მტრედები;

მოცემული სასაქონლო პოზიციები დეტალიზებულია ქვესუბპოზიციებით:

010600910 – ძირითადად საკვებად გამოსაყენებელი;

010600906 – სხვადასხვა.

სასაქონლო პოზიციაში 010600 გაერთიანებულია ცოცხალი შინაური და გარეული ცხოველები ისეთები როგორიცაა:

1. ზღვის ძუძუმწოვრები;
2. ჩრდილოეთის ირმები;
3. კატები და ძაღლები
4. ლომები, ვეფხვები, დათვები, სპილოები, აქლემები და ცხოველები, რომლებიც დაკავშირებული არის მოძრავ ცირკთან, ან ზოოპარკთან და ა.შ.

სასაქონლო ქვესუბპოზიცია 010600100 ვრცელდება მხოლოდ შინაურ ბოცვერებზე, რომლებიც მოშენებულია ხორცის, ბეწვის, ტყავის წარმოების, ან სხვა რაიმე მიზნით.

010600200 – სასაქონლო ქვესუბპოზიციაში, ასევე გაერთიანებულია ყველა ფრინველი მტრედების ოჯახიდან, როგორც შინაური, ასევე გარეული, მათი გამოყენების მიზნისაგან დამოუკიდებლად (სამეურნეო, დეკორატიული, საფოსტო).

გარეული მტრედები, ისეთი როგორიცაა: გვრიტი, ტყის მტრედი, ავსტრალიური ბრინჯაოსფერი მტრედი და სხვა ქათმისნაირნი, მოცემულ სუბპოზიციაში ჩართული არაა და კლასიფიცირდება 010600910 ან 010600990 სუბპოზიციაში, ამავე ქვესუბპოზიციაში კლასიფიცირდება ყველა ცოცხალი ძუძუმწოვარი – იმ შინაური და გარეული ძუძუმწოვრების გამოკლებით, რომლებიც სხვა ქვესუბპოზიციებშია კლასიფიცირეებული (მაგალითად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი – 010210000, 010290900, ღორები 010320200, 010392900 და ა.შ.)

საგარეო ეკონომიკური მოღვაწეობის სასაქონლო ნომენკლატურით საქონლის კლასიფიკაცია ხორციელდება შემდეგი წესების დაცვით:

1. განყოფილების, ჯგუფებისა და ქვეჯგუფების დასახელება მოყვანილია მხოლოდ სასაქონლო ნომენკლატურის მოხერხებული მოხმარებისათვის. იურიდიული მიზნებისათვის საქონლის კლასიფიკაცია ხორციელდება სასაქონლო პრინციპების ტექსტიდან გამომდინარე;
2. თუ არსებობს შესაძლებლობა საქონელი მიეკუთვნოს ორ ან რამდენიმე პოზიციას, მაშინ უპირატესობა ეძლევა იმ სასაქონლო პოზიციას, რომელიც საქონლის უფრო კონკრეტულ აღწერას შეიცავს;
3. მრავალკომპონენტური ნაკეთობის ნარევი კლასიფიცირდება იმ მასალის მიხედვით, რომელიც მოცემული საქონლის ძირითად მახასიათებელს განსაზღვრავს;

4. საქონელი, რომლის კლასიფიცირებაც აღნიშნული წესებით შეუძლებელია, კლასიფიცირდება იმ სასაქონლო პოზიციით, რომელიც ყველაზე მსგავსია განსახილველ საქონელთან.

4.2.7. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის ინტერპრეტაციის ძირითადი წესები

საქართველოში დღესდღეობით მოქმედი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) გამოყენების წესები განსაზღვრულია ამ ნომენკლატურის მიღების ფუნდამენტურ დოკუმენტაციაში, რომელიც მთლიანად ჰარმონიზებულია საერთაშორისო საკლასიფიკაციო სისტემებთან. ამ დოკუმენტების მიხედვით საქონელი კლასიფიცირდება ქვემოთ მოყვანილი დებულებების გათვალისწინებით.

განყოფილებების, ჯგუფებისა და ქვეჯგუფების დასახელებები მოტანილია სეს ესნ-ით სარგებლობისას მუშაობის გასაადვილებლად. იურიდიული მიზნებისათვის საქონლის კლასიფიკაცია ხორციელდება სასაქონლო პოზიციების დასახელებების, განყოფილებებისა და ჯგუფების მიმართ შესაბამისი ტექსტიის აღწერილობიდან გამომდინარე.

სასაქონლო პოზიციის დასახელებაში რაიმე საქონელზე ნებისმიერი მითითება, მათ შორის დაუკომპლექტებელ და დაუმთავრებელ საქონელზე უნდა განიხილებოდეს იმ პირობით, რომ მას აქვს კომპლექტური, ან დასრულებული საქონლის ძირითადი მახასიათებლები, ეს მითითება ვრცელდება აგრეთვე აუწყობელი, ან დაშლილი სახით წარმოდგენილ კომპლექტურ, ან დასრულებულ საქონელზე.

სასაქონლო პოზიციის დასახელებაში ნებისმიერი მითითება რაიმე მასალაზე, ან ნივთიერებაზე უნდა განიხილებოდეს, როგორც მითითება ამ მასალის, ან ნივთიერების ნაერთზე, ან ნარევზე სხვა მასალებთან, ან ნივთიერებებთან.

ერთზე მეტი მასალის, ან ნივთიერებისაგან შემდგარი საქონლის კლასიფიკაციისათვის გამოიყენება ორ ან მეტ სასაქონლო პოზიციისათვის შესაძლო მიკუთვნების წესი, რომლის თანახმადაც უპირატესობა ენიჭება იმ სასაქონლო პოზიციას, რომელიც შეიცავს საქონლის ყველაზე უფრო კონკრეტულ აღწერას. მაგრამ, თუ თითოეულის ორი, ან მეტი სასაქონლო პოზიციიდან საერთო აქვს ნარევში, ან მრავალკომპონენტიან ნაკეთობაში შემავალი მასალების ან ნივთიერებების მხოლოდ ნაწილთან, მაშინ მოცემული სასაქონლო პოზიციები უნდა განიხილებოდეს, როგორც თანაბარმნიშვნელოვანი მოცემულ საქონელთან მიმართებაში , იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთი მათგანი საქონლის უფრო სრულ, ან ზუსტ აღწერას იძლევა.

იმ შემთხვევაში, თუ საქონლის კლასიფიცირება არ შეიძლება მოხდეს ზემოთ აღწერილი წესის მიხედვით, მაშინ ისინი კლასიფიცირებული უნდა იქნეს იმ მასალების, ან შემადგენელი ნაწილების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრავს მოცემული საქონლის ძირითად ხასიათს, იმ პირობით, რომ ეს კრიტერიუმი გამოსაყენებელია.

საქონელი, რომლის კლასიფიცირება არ შეიძლება განხორციელდეს ზემოთ მოყვანილი წესებით, კლასიფიცირებული უნდა იქნეს კოდების ზრდის რიგში, ბოლო ადგილზე მოთავსებული სასაქონლო პოზიციით.

საქონელი, რომელთა კლასიფიცირება არ შეძილება განხორციელდეს ზემოაღნიშნული წესების შესაბამისად, კლასიფიცირებული უნდა იქნეს

განსხვავებული საქონლის მსგავსი (მასთან ყველაზე ახლოს მდგომი) საქონლის სასაქონლო პოზიციაში.

ისეთი საქონლისათვის, რომლებიც მოთავსებულია შალითებში და ფუტლარებში (ფოტოაპარატები, მუსიკალური ინსტრუმენტები, თოფები, სახაზავი ნივთები, სამკაულები) და განსაკუთრებული ფორმის ანალოგიური ტარა (შეფუთვა), რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოდგენილია ნაკეთობასთან ერთად და რომლებიც წარმოადგენს ერთ მთლიანს, კლასიფიცირებული უნდა იქნეს მათთან ერთად, თუ ისინი ამ უკანასკნელს არსებით განმასხვავებელ ხასიათს არ ანიჭებს.

იურიდიული მიზნებისათვის საქონლის კლასიფიკაცია რომელიმე სასაქონლო პოზიციის სუბპოზიციაში, ხორციელდება ასეთი სუბპოზიციების დასახელებების სუბპოზიციებთან დაკავშირებული შენიშვნების, ზემოაღნიშნული წესებისა და დებულებების შესაბამისად, იმ პირობით, რომ მხოლოდ ერთი დონის სუბპოზიციები არიან შესადარისი.

4.3. საქონლის რაოდენობისა და ხარისხის ექსპერტიზა საბაჟოში

ყველა სახის პროდუქცია, ნებისმიერი საქონელი, რომელიც გადაკვეთს საბაჟო კონტროლის ზონას, უნდა აკმაყოფილებდეს სანიტარულ, ფიტოსანიტარულ, ვეტერინარულ, ან ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. უსაფრთხოების ზომები, იმპორტირებულ და ექსპორტირებულ საქონელზე ჩამოყალიბებულია ადმინისტრაციულ და სხვა სახის დოკუმენტებში.

ნორმატიული დოკუმენტაციით პროდუქციის საექსპორტო საბაჟო დამუშავება რამდენიმე ეტაპისგან შედგება. პირველი ეტაპი მოიცავს დეკლარანტის მიერ წარმოდგენილი საქონლის თანმხლები დოკუმენტაციის შეფასებას, სადაც განისაზღვრება მისი სისრულე მოთხოვნილი დოკუმენტაციის ნომენკლატურის განსაზღვრის გზით. უტყუარობის დამოწმება საბაჟო ატრიბუტიკის შემოწმებით. მეორე ეტაპი თვით პროდუქციის იდენტიფიკაციის ეტაპია, მისი ვიზუალური დათვალიერების ჩათვლით, რის შემდეგაც, ფორმდება იდენტიფიკაციის აქტი. თუ დეკლარირებული პარტია არის სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა საწარმოში დამზადებული საქონლის ნაკრები, მაშინ თანმხლები დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს დამამზადებელი საწარმოების დასახელებას. მნიშვნელოვანია აგრეთვე გადაზიდვის (ტრანსპორტირების) პირობების დაცვა. შემდეგ ეტაპზე ექსპერტი საბაჟო სამსახურის წარმომადგენელთან ერთად იღებს საქონლის სინჯებს. სინჯებისა და ნიმუშების აღების წესი და რაოდენობა მოცემულ პროდუქციაზე, განისაზღვრება შემოწმების მეთოდიკის მიხედვით, რეგლამენტირებულია ნორმატიულ დოკუმენტებშიც.

პროდუქციის სახეობაზე დამოკიდებულებით, შემდგომ ეტაპზე განისაზღვრება, ექსპერტიზას დაქვემდებარებული ხარისხის მაჩვენებლები, რომლებიც მოითხოვენ დამოწმებას. ხარისხის მაჩვენებლების განსაზღვრის ნორმებს, მეთოდებს, ექსპერტიზის ჩატარების წესს და საექსპერტო ორგანოებს განსაზღვრავს ქვეყნები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ასე მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის ექსპერტიზა სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის კომპეტენციაა, ხოლო ამავე ნედლეულისაგან დამზადებული მზა პროდუქციის ექსპერტიზა სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის კომპეტენცია. შესაბამისად ნედლეულის

სერტიფიკაციისათვის გაიცემა ვეტერინალური მოწმობა, ხოლო პროდუქციაზე ჰიგიენური დასკვნა.

საქართველოში საკვები პროდუქციის ხარისხის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკვები პროდუქტების უსაფრთხოების სამსახურს ეკისრება და ხარისხის კონტროლის პროცედურებს, საბაჟო ლაბორატორიების საშუალებით ახორციელებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ პროდუქციის ხარისხის სახელმწიფო კონტროლზე 2011 წლის 1 იანვრამდე მორატორიუმია გამოცხადებული.

კონტროლს დაქვემდებარებული ხარისხის მაჩვენებლები, მათი გამოვლენის მეთოდები და ორგანოები შესაძლებელია პროდუქციის სახეობის, ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით იცვლებოდეს, ისევე როგორც სერტიფიცირებას დაქვემდებარებული ხარისხის მაჩვენებლების როგორც ნომენკლატურა, ასევე მათი დასაშვები ნორმები. ასე მაგალითად, ძეხვის ნაწარმისა და შებოლილი პროდუქტებისათვის ექსპერტიზას დაქვემდებარებული მაჩვენებლებია:

– ტოქსიკური ელემენტების (ტყვია, კალიუმი, სპილენძი, ცინკი, დარიშხანი, ვერცხლისწყალი) ანტიბიოტიკების, მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების, ტენიანობის მასური წილის, ნიტრიტების, ფოსფატების, ბენზოპირენისა და რადიონუკლეიდების განსაზღვრის პროცედურებს.

ცხოველური წარმოშობის ცხიმებისათვის ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალი დამატებით შეიცავს რკინის, ანტიდამჟანგველების, მჟავიანობის რიცხვის განსაზღვრის აუცილებელ მოთხოვნებს, ხოლო ჩვენი ქვეყნისათვის დამატებით სავალდებულოა მათში იოდის შემცველობის განსაზღვრაც, რომელიც ნორმირებულია შემცველობის ქვედა დონის მიხედვით.

სერტიფიცირებას დაქვემდებარებული ხარისხის მაჩვენებლების განსაზღვრისათვის ნაციონალური ნორმატიული დოკუმენტების გარდა, არსებობს საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული სხვადასხვა რეგიონალური, თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ნორმატიული დოკუმენტები. მათი ერთი ნაწილი ორიენტირებულია საკონტრაქტო შეთანხმების საფუძველზე კონკრეტული სასაქონლო ჯგუფების ხარისხის მაჩვენებლების კონტროლზე და საქონლის წარმოშობის პირობებს ითვალისწინებს.

ხარისხის მაჩვენებლების ექსპერტიზა, ისეთი პროდუქტისათვის, როგორიცაა ნიუ-იორკის ბამბის ბირჟის საკონტრაქტო საქონელი "გაურეცხავი მატყლი" ნორმირებულია, როგორც შალისა და მატყლის საერთაშორისო ორგანიზაციის (Internationale Wool Textile Organisation – IWTO), ასევე მასალებისა და გამოცდის ამერიკული საზოგადოების (ASTM) მიერ და ითვალისწინებს ხარისხის ისეთი პარამეტრების შემოწმებას როგორიცაა:

- მატყლის გამოსავლიანობის პროცენტული მაჩვენებლის განსაზღვრა;
- მატყლის ბოჭკოს დიამეტრის განსაზღვრა (მიკრომეტრებში, μm, Sirolan-Lansercan ხელსაწყოს გამოყენებით);
- მცენარეული შემავსებლების პროცენტული მაჩვენებლების განსაზღვრა;
- რეცხვის შემდეგ მატყლის ფერის განსაზღვრა;

მატყლის პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელთა განსაზღვრის ყველაზე გავრცელებული რაოდენობრივი მახასიათებელი, მატყლის გამოსავლიანობის პროცენტული მაჩვენებლის განსაზღვრაა. 4.5 ცხრილში მოყვანილია მისი გამოთვლის ძირითადი საანგარიშო ფორმულები საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული სხვადასხვა მეთოდების მიხედვით.

ცხრილი 4.5

ს უ ფ თ ა ბ ო ჭ კ ო ს გ ა მ ო ს ა ვ ლ ი ა ნ ო ბ ა	
გამოსასვლელი მახასიათებლების დახასიათება	**საანგარიშო ფორმულა (მეთოდი)**
სუფთა მატყლის შემცველობა IWTO-ს მიხედვით	**WBx1,1972**
სუფთა შალის შემცვლობა ASTM-ს მიხედვით	**WBx1,1628**
საჩეჩი ლენტის თეორიული გამოსავლიანობა	**WBx1,2**

სადაც WB არის მატყლის შემცველობა, ან სინჯში მატყლის ბაზური მასა. მატყლის კომერციული გამოსავლიანობა $B_{კომ}$ მისი თეორიული გამოსავლიანობის მაჩვენებლისაგან $B_{თეორ}$ ნარჩენების ნორმატიული წილის პროცენტული მაჩვენებლით განსხვავდება.

$$C = B_{თეორ} - B_{კომ}$$

სადაც C არის მატყლის დამუშავებისას ნარჩენების დასაშვები ნორმატიული წილი პროცენტებში.

ცხრილი 4.6

ჯგუფის №	მეთოდის №	მეთოდის დასახელება
1–24	ASTM D 50-1994	რკინისა და მარგანეცის შემცველი პიგმენტების (ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი, ყავისფერი) ქიმიური ანალიზის გამოცდის სტანდარტული მეთოდები, საკვები პროდუქტისათვის
25 და 38	ASTM C 561-1991	გრაფიტის ნიმუშებში ნაცრის განსაზღვრის, გამოცდის სტანდარტული მეთოდები
25 და 38	ASTMD 2488-1993	ვიზუალურ–მანუალური მეთოდით გრუნტის აღწერისა და იდენტიფიცირების დამტკიცებული ტექნოლოგიური პროცესი
50-60	ISO 50 89-1997	ტექსტილი–ლაბორატორიული ნიმუშების მომზადება ქიმიური გამოცდისათვის
50–60	ISO 20 -1990	ბოჭკოს რაოდენობრივი ანალიზი
57	ISO 2550-1972	იატაკის ტექსტილის საფენი, ხელით ნაქსოვი ხალიჩები, კვანძის ტიპის განსაზღვრა

პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის მაჩვენებლების ექსპერტიზის განსხვავებული მეთოდების არსებობა შესაძლებელია ექსპერტიზის განსხვავებული შედეგების საფუძველი გახდეს, რასაც გარკვეული სახის უთანხმობის გამოწვევა შეუძლია ექსპორტიორებსა და იმპორტიორებს შორის. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად ჩრდილო ამერიკის ქვეყნების საბაჟო ლაბორატორიებმა მიიღეს საბაჟო მიზნებისათვის, საქონლის ექსპერტული კვლევებისას, ანალიზის ჩატარების ერთიანი მეთოდები. ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო ანალიზისათვის გამოსაყენებელი (გამოსადეგი) მეთოდების შედეგების ერთგვაროვნებასა და შეთავსებადობას, რამაც სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენასა და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყო

ხელი. ინიციატივას, ამ ქვეყნებთან ინტენსიური სავაჭრო–ეკონომიკური ურთიერთობის მქონე ქვეყნებმაც აუბეს მხარი და იგი რეგიონალურიდან საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტი გახდა თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოამერიკული ზონის (North American Free Trade Agreement. NAFTA) ქვეყნებისათვის.

მოყვანილ მეთოდებს იყენებენ საქონლის ფიზიკური თვისებებისა და ქიმიური შედგენილობის დადგენისათვის, რომელიც აუცილებელია, საქონლის კლასიფიცირებისთვის ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო ნომენკლატურისა და სხვა საბაჟო მიზნებისათვის. NAFTA –ს ქვეყნების საბაჟო ექსპერტიზის ლაბორატორიული კვლევის ზოგიერთი ჰარმონიზებული მეთოდი საქონლის კლასიფიკაციის ჯგუფების მიხედვით მოყვანილია 4.6 ცხრილში.

4.3.1. სიურვერის ექსპერტიზა

პროდუქტის რაოდენობისა და ხარისხის ექსპერტიზის სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქონელწარმოების, ვაჭრობისა და გამგზავნიდან მიმღებამდე ტვირთების ტრანსპორტირების სისტემაში არსებულ ე.წ. სიურვერის ინსტიტუტს.

ტვირთის ტრანსპორტირების პროცესში ზარალის შეფასების აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას სრულიად განსხვავებულ ეტაპებზე და ხშირად ზარალის ანაზღაურებას აკისრებენ არა იმას, ვინც დამნაშავეა, არამედ მას ვისთანაც იქნა აღმოჩენილი საქონლის კონდიციის ნაკლოვანება. ხშირად ეს გადამზიდავია, თუმცა ჭეშმარიტი მიზეზი შეიძლება სულ სხვა ადგილას იყოს საძებნი, მაგალითად ფორს–მაჟორულ სიტუაციაში, წარმოების ტექნოლოგიაში, ტვირთის არატრანსპორტაბელურობაში. დამოუკიდებელი სიურვერის შეფასებაში ჩართვას შეუძლია არა მხოლოდ გამოავლინოს ფინანსური დანაკარგების წყარო, არამედ განსაზღვროს მისი წარმოშობის სტადია.

სატვირთო სიურვერი დამოუკიდებელი ექსპერტია, რომელსაც უნდა გააჩნდეს მაძიებლის ჩვევები, საქონლის ექსპერტის გამოცდილება, უნდა შეეძლოს ტვირთის დაზიანების ხასიათის განსაზღვრა, ზარალის შეფასება, სასაქონლო და სატვირთო დეკლარაციასთან მუშაობა, მას მოეთხოვება მაღალი პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია. სიურვერს უნდა შეეძლოს ჩაატაროს ტვირთების ინსპექცია, გაზომვა, ექსპერტიზა და შეფასება, ანგარიშების შედგენა დაზიანებული ტვირთებისა და სატრანსპორტო საშუალებების შესახებ. სიურვერმა თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყოს საქონლით დაინტერესებულ მხარის ინტერესებს, დანაკარგებისა და დაზიანებების მინიმიზაციაში.

რეალურად დამოუკიდებლად შეიძლება ჩაითვალოს ის სიურვერული ორგანიზაცია, რომლის არც ერთი აქციის მფლობელი არ არის სახელმწიფო, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ორგანიზაცია შეიძლება ერთ-ერთი მოდავე მხარის ინტერესების დამცველი აღმოჩნდეს. დამოუკიდებლობის დაკარგვად ითვლება ასევე სავაჭრო გარიგების, ან სატრანსპორტო პროცესის ერთზე მეტ მხარესთან მუშაობა. არ შეიძლება მაგალითად, სიურვერი ერთდროულად გამგზავნისა და მიმღების მხარეს წარმოადგენდეს, რადგან ინტერესთა დაპირისპირების შემთხვევაში, მას აუცილებლად მოუწევს ერთ-ერთი მხარის ინტერესების დათმობა.

სიურვერს პასუხისმგებლობის დონიდან გამომდინარე, გააჩნია ვიწრო სპეციალიზაცია, მაგალითად სატვირთო, ან კომერციული მიმართულებით, უფრო

მეტიც იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ გარკვეული ტიპის ტვირთების ექსპერტიზასთან.

სიურვერის დასკვნის მნიშვნელობის შეფასება განსაკუთრებით აქტუალურია სასამართლო და საარბიტრაჟო პროცესებზე სადავო საკითხების განხილვისას. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა პრაქტიკაში, ასეთი დასკვნის გარეშე სასამართლო, მხარის არც ერთ მოსაზრებას მტკიცებულებად არ მიჩნევს და როგორც წესი საქმე წაგებისთვისაა განწირული.

სიურვერის სამსახური მოიაზრება ტვირთების გადატანის სახმელეთო, საჰაერო და განსაკუთრებით საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვასთან.

სატვირთო სატრანსპორტო საშუალების ან ტვირთის მდგომარეობის განსაზღვრის შემდეგ, სიურვერი თავისი პასუხისმგებლობითა და ხელმოწერით გასცემს სერტიფიკატს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ტვირთის განლაგებისა და დამაგრების უსაფრთხოება, როგორც პროდუქციისათვის, ასევე სატრანსპორტო საშუალებებისათვის, ნაციონალური, ან საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული სერტიფიკატი ტვირთის მფლობელის, გადამზიდავის, სატრანსპორტო საშუალების მფლობელის და მზღვეველის ინტერესებს ემსახურება, რადგან თითოეულ მათგანს ათავისუფლებს ურთიერთპასუხისმგებლობისაგან საქონლის, ან სატრანსპორტო საშუალების დაზიანებისას. ამას გარდა, სერტიფიკატი ადასტურებს სატვირთო განყოფილების ვარგისიანობას ტვრითის მიღებისათვის, გარეშე სუნის, ადრე გადაზიდული ტვირთის ნარჩენების, სათავსოს ჰერმეტულობის მოთხოვნების დაცვით.

ტვირთის მასის განსაზღვრა საბაჟო გაფორმებისა და კონტროლის პროცედურების უპირობო მოთხოვნაა. ამ პროცესის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, დაწყებული პირდაპირი აწონვიდან, რაც ნაკლებად პრობლემატურია სახმელეთო და საჰაერო გადაზიდვებისას (ვაგინების, ავტომობილების კონტეინერების აწონვა სპეციალური სასწორების გამოყენებით), ირიბი გაზომვის მეთოდებით დამთავრებული, საზღვაო გადაზიდვების დროს, "დრაფტ–სიურვეის" ტექნოლოგიის გამოყენებით. ასევე შესაძლებელია მასის შეფასება სატვირთო ადგილების რაოდენობის აღრიცხვით, შტაბელების აზომვით და ა.შ.

ტვირთების სპეციალური სასწორების საშუალებით ვაგონებით, ავტომობილებით, კონტეინერებით აწონვა მოითხოვს მნიშვნელოვან დროით და შრომით დანახარჯებს. ცდომილებათა თეორიის მიხედვით შეუძლებელია აბსოლუტურად ზუსტი გაზომვის (აწონვის) ჩატარება, შესაბამისად ყოველ აწონვაზე ადგილი აქვს გარკვეული სახის ცდომილებას, რომელსაც დაგროვებითი ხასიათი გააჩნია, რაც შეცდომის წარმოშობის წყაროდ შეიძლება იქცეს.

"დრაფტ–სიურვეი" ხომალდის წონის შეფასების მეთოდია, რაც გულისხმობს, საზღვაო სატრანსპორტო საშუალების მასის განსაზღვრას მისი წყალჯდომის მიხედვით. ამ მეთოდით გაზომვა ხორციელდება ხომალდის წონის შეფასებით საწყის და საბოლოო მდგომარეობას შორის, მისი დატვირთვის და გადმოტვირთვის დროს. მეთოდის სიზუსტის შეფასების საერთაშორისო ნორმატივი ტვირთის საერთო წონიდან 0,1% შეადგენს. ასე, რომ თუ ხომალდის ტვირთის საერთო წონა 48 ათასი ტონაა, შემთხვევაში ცდომილება 48 ტონას შეადგენს, რის შეფასებასაც 1 საათზე ნაკლები დრო სჭირდება, მაშინ როდესაც იგივე რაოდენობის ტვირთის ვაგონებით აწონვა, პროცესის კარგად ორგანიზების შემთხვევაში, არანაკლებ 30 საათს იკავებს, ამასთან ცდომილების სიდიდეც რამდენადმე მეტია.

ტვირთის მასის განსაზღვრა ხორციელება გამგზავნისა და მიმღების საბაჟო გამშვებ პუნქტებში. ტვირთის მასის ამ ორ ჩვენებას შორის შეიძლება

არსებობდეს გარკვეული სახის განსხვავება, რომელიც გადაზიდვის ბუნებრივი დანაკარგებით აიხსნება (გაშრობა, ჟონვა, ამტვერება და სხვა), ასევე შესაძლებელია მასის მომატებაც, გადაზიდვის პროცესში ტენისაგან დაცვის დაბალი ხარისხის გამო, განსაკუთრებით ჰიგროსკოპიული ტიპის ტვირთებისათვის (ფქვილი, შაქარი, ცემენტი და სხვა). მასის ცვლილების სიდიდეები დამოკიდებულია გადაზიდვის პირობებზე, სატრანსპორტო საშუალების ტიპზე, გადასატანი ტვირთის სახეობაზე, გადაზიდვის ვადებსა და ხანგრძლივობაზე. მასის ცვლილების მნიშვნელობანი ნორმირებულია და დასაშვებადაა მიჩნეული მისი ცვლილება 0,1–დან 3,4%–მდე. ბუნებრივი დანაკარგების ნორმების გამოყენება ჰერმეტულად დახურულ ტარაში მოთავსებულ საქონელზე, სითხეებზე, შუშის ტარაში არაჰიგროსკოპიულ ნივთიერებებზე, ასევე ცალობრივი სახის პროდუქციაზე – არ ვრცელდება.

საერთაშორისო სავაჭრო კონტრაქტებში საქონლის წონასთან ერთად, მიეთითება წონის გადახრის სიდიდე – **ფრანშიზა**. იგი ჩვეულებრივ 0,5–3% ფარგლებშია. ფრანშიზა განსაზღვრავს დანაკარგებისათვის პასუხისმგებელ მხარეს. თუ ეს მხარე გამყიდველია იგი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ დანაკარგებზე, რომელიც მოცემულ საქონელზე ბუნებრივი დანაკარგის ნორმას აჭარბებს. სიურვერის ექსპერტიზა, საქონლის დიდი პარტიის დაზიანების განსაზღვრის ექსპერტიზასაც გულისხმობს, ასეთ შემთხვევაში, სიურვერი გამოაცალკევებს დაზიანებულ საქონელს, რის შემდეგაც დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, შეაფასებს დაზიანების საშუალო დონეს, ან დაახარისხებს მას დაზიანების დონეების მიხედვით. სიურვერის ექსპერტიზამ ასევე უნდა განსაზღვროს დაზიანების შესაძლო მიზეზი, დრო და ადგილი.

სატვირთო სიურვერ ექსპერტთა ინსტიტუტი, დამზღვევსა და დაზღვეულს შორის, ტვირთების ტრანსპორტირების იურიდიული რეგულირების, ერთ-ერთი ძირითადი საკვანძო რგოლია. სადაზღვევო ურთიერთობებში დამზღვევსა და დაზღვეულის გარდა ჩართული არიან: ბროკერი, სადაზღვევო აგენტი, ავარიის კომისარი, სიურვერ აჯასტერი და სხვა.

რისკების წინა სადაზღვევო ექსპერტიზა (სიურვეი) სადაზღვევო კომპანიებს საშუალებას აძლევს მიიღონ სადაზღვევო რისკების დამოუკიდებელი შეფასება იმ შემთხვევებში, როდესაც ანკეტური მონაცემებით მათი შეფასება შეუძლებელია.

პრაქტიკაში, სამწუხაროდ ქართული სადაზღვევო ბაზარი, ნაკლებად იყენებს სიურვერის მომსახურებას, რაც ხშირ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიების მენეჯმენტის მართვის პრინციპის “საკუთარ თავში ჩაკეტვაზე” მიუთითებს, განსაკუთრებით არასპეციალიზებული კომპანიებისათვის, რომელთათვისაც საკმაოდ რთულია და ალბათ მიზანშეუწონელიც შტატში, ყველა შესაძლო რისკების შემფასებელი სპეციალისტების ყოლა. სადაზღვევო კომპანიების მუშაობა ორიენტირებულია კლიენტებთან ურთიერთობაზე და შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა სადაზღვევო რისკების შეფასებას. კომპანიების სურვილი კლიენტები ნებისმიერ ფასად მოიზიდონ, სადაზღვევო ხელშეკრულებას უკარგავს კონკრეტულობას, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს ნებისმიერ სიტუაციაში დაიტოვოს თავისთვის “მანევრირების” რაც შეიძლება მეტი არეალი, ეს კი საბოლოო ჯამში სადაზღვევო ბაზრის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორია. სადაზღვევო ურთიერთობის კუთხით სიურვერს შეუძლია უზრუნველყოს:

- რისკ-ფაქტორების გამოვლენა და შეფასება;
- გააანალიზოს პოტენციური რისკები და საშიშროებანი;

- შეაფასოს მაქსიმალურად შესაძლო ზარალი, როგორც მატერიალური დანაკარგებიდან, ასევე წარმოებაში შექმნილი შეფერხებებიდან გამომდინარე;
- პრევენციული ღონისძიებების გატარებით მოახდინოს რისკების მინიმიზაცია;
- შეაფასოს და გააანალიზოს რისკების მართვის არჩეული მეთოდის ეფექტურობა.

ავარიის კომისარი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების, საერთაშორისო გადაზიდვების, საბაჟო პროცედურების გამოცდილების მქონე კვალიფიცირებული სპეციალისტია. ის ასევე კარგად უნდა იცნობდეს მოცემული დანიშნულების პორტის, აეროპორტის, ან სატვირთო ტერმინალის მუშაობის თავისებურებებს, გადასაზიდი ტვირთის ხასიათსა და მის ფიზიკო-ქიმიურ თვისებებებს.

დამზღვევი ავარიის კომისარს იწვევს, პრეტენზიების დარეგულირების, ასევე წარმოშობილი დანაკარგების დათვალიერების, იდენტიფიკაციისა და ექსპერტიზის პროცესზე დაკვირვებისათვის. ამასთან ავარიის კომისარი (სადაზღვევო ექსპერტი) დაზვევის ხელშეკრულების მხარედ არ გვევლინება.

გენერალური საავარიო აჯასტერი – კომპანიაა, რომელიც შექმნილია მნიშვნელოვანი ზარალის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევისა და დავების დარეგულირებისათვის. კვლევებში აჯასტერი იყენებს სიურვერის ანგარიშებს. საზღვაო გადაზიდვებთან დაკავშირებულ ტვირთების დაზიანებისა და ზარალის შეფასების თანამედროვე სადაზღვევო ბიზნესის იდეოლოგიას ახორიელებს კორპორაცია <u>ლოიდი.</u> კომპანიის ცნობარი (Lloud's Survey Hand Book) ტვირთების დათვალიერების შესახებ, ყველაზე უფრო ავტორიტეტული გამოცემაა, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება:

1. დაზიანებული საქონლის სიურვერის ექსპერტიზა;
2. დაზიანების მიზეზი;
3. საქონელი – დანაკარგები და დაზიანებები.

თითოეულ ნაწილში გამოქვეყნებული ინფორმაცია საერთაშორისო სავაჭრო გადაზიდვების, სადაზღვევო ბიზნესის, გადამზიდავების გამოცდილების პრაქტიკული, ყოველდღიური ქმედების შედეგად სხვადასხვა სახის საქონლისათვის, რომელიც მოპოვებულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ისეთი სახეობის საქონლის სიურვერის ექსპერტიზის პროცედურების განხილვა, როგორიცაა ნავთობი და ნავთობპროდუქტები. ბრიტანეთის ნავთობის ინსტიტუტის ზუსტი გაზომვების (Petroleum Mesuriment Manual _ PMM) მეთოდიკის გამოყენებას, შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს ამ საქონლით დაინტერესებულ მხარეებს, რაც გულისხმობს სტანდარტიზებული მეთოდებისა და პროცედურების გამოყენებას. მეთოდიკა, ნავთობის მწარმოებელი, გადამზიდავი, სადაზღვევო და მომხმარებელი კომპანიების მიერ მსოფლიოს ყველა კუთხეში ფართოდ გამოიყენება. მეთოდიკა რეკომენდირებულია სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო სტანდარტად გამოყენებისათვის.

მეთოდიკის მიზანია სიურვერის უზრუნველყოფა ტვირთების გაზომვის პროცედურების სისტემატიზებაში, რომელიც მიმართულია თვით პროდუქტის და გარემოს დაბინძურების შესამცირებლად. ამასთან, სიურვერი განიხილება, როგორც თხევადი ნავთობის პროდუქტების პარამეტრების გაზომვისა და მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზის ჩატარების კომპეტენტური პერსონა. ნავთობპროდუქტების საზღვაო საშუალებებით ტრანსპორტირებისას გაზომვის მიზანს გამგზავნ და მიმღებ პორტებში ნავთობპროდუქტების ჩატვირთული და

გადმოტვირთული რაოდენობის გაზომვა არის, განსაკუთრებით, თუ ჩატვირთვის, ან გადმოტვირთვის ტერმინალი რამდენიმეა.

მეთიდიკაში გადმოცემულია ტერმინოლოგიური განსაზღვრებანი, სიურვერის მუშაობის ზოგადი პრინციპები, უსაფრთხოების მოთხოვნები, ჩატვირთვა–გადმოტვირთვის ოპერაციების დაგეგმვის, სინჯის აღებისა და ხარისხის კონტროლის პროცედურებთან დაკავშირებული საკითხები.

პროდუქციის რაოდენობის განსაზღვრისას გამოიყენება ASTM–ით რეგლამენტირებული მეთოდები, რომლის მიხედვითაც, მოცულობა, რომელიც ნებისმიერ ტემპერატურაზეა გაზომილი გადაანგარიშებული უნდა იყოს 15^0C ტემპერატურაზე, მოცულობაზე შესწორების შემოტანით, რომელსაც სტანდარტული მოცულობა ეწოდება. სტანდარტული მოცულობით გამოითვლება პროდუქციის მასა, სტანდარტულ ტემპერატურაზე მისი სიმკვრივის გათვალისწინებით. ზოგადად, პროდუქტის მასა, მთლიანი მოცულობიდან გამომდინარე, შემდეგი პროცედურების ჩატარების საშუალებით განისაზღვრება. პირველ ეტაპზე ზომავენ პროდუქტის მოცულობას და ტემპერატურას ხმელეთზე, ტერმინალში, ან სატრანსპოტო საშუალებაზე (ტანკერი, ვაგონი ცისტერნა, ავტოცისტერნა). გაზომილი მოცულობის მნიშვნელობაში გათვალისწინებული უნდა იქნეს შესწორება არაჰორიზონტალურობაზე, საქონელქვეშა წყალზე, მცურავ სახურავზე და ა.შ. მოცულობის მიღებული მნიშვნელობა მიჰყავთ სტანდატული ტემპერატურის დროს არსებულ მოცულობის მნიშვნელობამდე. სტანდარტული ტემპერატურის დროს, მოცულობის ამ მნიშვნელობის გამრავლებით მოცემული პროდუქტის სიმკვრივეზე, პოულობენ პროდუქტის საძიებელ მასას .მოცულობაზე შესწორებები სხვადასხვა ნავთობპროდუქტებისათვის მაგალითად, ნედლი ნავთობის, მაზუთის, დიზელის საწვავის, ნავთის, ბენზინის, საცხი მასალებისათვის განისაზღვრება ASTM მეთოდიკაში მოცემული ცხრილების საშუალებით.

ნავთობპროდუქტის, კერძოდ დიზელის საწვავის, რაოდენობის სერტიფიკატის პირობითი სახე ნაჩვენებია 4.7 ცხრილში, სადაც სერტიფიკატში მოყვანილი საწვავის რაოდენობა განსაზღვრულია ტანკერზე ჩატარებული გაზომვების შედეგად.

ხმელეთზე განსაზღვრული დიზელის საწვავის საშუალო სიმკვრივე 15^0C შეადგენს – XXX.

ჩატარებული კვლევების დროს გამოყენებულია ASTM მეთოდიკის ცხრილებით მოცემული კრიტერიუმები.

ნებისმიერი შეკვეთისათვის საქონლის რაოდენობისა და ხარისხის განსაზღვრის აუცილებელი ელემენტები უნდა შეადგენდეს შესასრულებელ სამუშაოთა განსაზღვრულ ნუსხას მათ შორის:

- სამუშაოთა მკაფიო და ცალსახა ჩამონათვალი;
- ტვირთის დასახელება და აღწერა;
- ტვირთის საკონტრაქტო რაოდენობა;
- ტვირთის ხარისხის მაჩვენებლები;
- ხარისხის მაჩვენებელთა განსაზღვრის მეთოდები;
- ინსპექციის ჩატარების დრო, ადგილი, ვადები;
- სატრანსპორტო საშუალების აღწერა, რომლითაც ტვირთი გადაადგილდება;
- შეფუთვის აღწერილობა;
- მოთხოვნები სატვირთო ოპერაციებზე და ტვირთის დალაგება/დამაგრებაზე;
- ცნობები სატვირთო და საკონტრაქტო დოკუმენტებზე;

- საკონტაქტო პირების კოორდინატები;

ცხრილი 4.7

საქონლის რაოდენობის სერტიფიკატი
ნორმატიული დოკუმენტის დასახელება, რომელსაც აკმაყოფილებს სერტიფიკატი ASTM, ГОСТ Р 51069-97 **ანგარიში №** XXX **ანგარიშის შედგენის თარიღი** “_____” **სიურვერი** X X X X X X **განკარგულება №** XXX **ორგანიზაცია** X X X X **კონტრაქტი** X X X **ადგილმდებარეობა** ფოთი ”ჰერკულესი” **პროდუქტი** დიზელის საწვავი L–60. **ჩატვირთვის თარიღი** “ “
ს ი უ რ ვ ე რ ი ს ა ნ გ ა რ ი შ ი ხელისმომწერი დამოუკიდებელი სიურვერი მოცემული სერტიფიკატით ადასტურებს, რომ დიზელის საწვავის რაოდენობა, რომელიც ჩატვირთულია ტანკერ “ჰერკულესში” შემოწმების თარიღისათვის **შ ე ა დ გ ე ნ ს:** სტანდარტული ლიტრების რაოდენობა 15^0C X X X X X მეტრული ტონები (ვაკუუმი) X X X X X გრძელი ტონები X X X X X აშშ ბარელი 60^0F X X X X X აშშ გალონი 60^0F X X X X X

სიურვერის ინსპექციის შედეგების ანგარიშის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტული ფორმა შეიცავს შემდეგ საკითხებს:

1. ანგარიშის ნომერი;
2. ცნობები ტვირთის მიმღების, გადამზიდავის, სატრანსპორტო საშუალების (გემი, თვითმფრინავი, ავტომობილი) შესახებ მათი დასახელება ან სარეგისტრაციო ნომერი;
3. ორგანიზაციის დასახელება, ვის განკარგულებაშიც არის ტვირთი, ჩამოტვირთვიდან დათვალიერების ადგილამდე, შენახვის ადგილი და პირობები;
4. სატრანსპორტო საშუალება, რითაც ტვირთი გადაიტანება დათვალიერების ადგილამდე, დათვალიერების დაწყების თარიღი;
5. ცნობები სააღრიცხვო დოკუმენტების შესახებ;
6. ცნობები კონტეინერისა და მისი დათვალიერების შესახებ;
7. ცნობები შეფუთვის შესახებ;
8. ზარალი, დაზიანებები;
9. ცნობები ავარიის შესახებ (თუ ასეთი არსებობს);
10. კონოსამენტის, ან სხვა სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაცნობის შედეგები;
11. კომერციული ანგარიში, ნომერი, თარიღი, თანხა;
12. ცნობები კომპრომისული, ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილების მიღებაზე;
13. სიურვერის კონსტატაცია;
14. საკონტაქტო შენიშვნები, ხელმოწერები.

4.4. საქონლის გაგზავნისწინა ინსპექცია

საბაჟო წესების იმპორტის პროცედურების მოთხოვნებთან გარანტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მთელი რიგი ქვეყნები მოითხოვს ტვირთების გაგზავნისწინა ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობას. გაგზავნისწინა პროცედურების ჩატარებას ახორციელებენ სპეციალიზებული კერძო კომპანიები. ინსპექციური შემოწმება ხორციელდება საქონლის ფართო ასორტიმენტისათვის. გაგზავნისწინა ექსპერტიზა ხორციელდება საქონლის ექსპორტის ქვეყანაში. საინსპექციო კომპანია განსაზღვრავს საკონტრაქტო პირობებთან, ექსპორტ-იმპორტის მოთხოვნებთან, ან სხვა მოქმედ ინსტრუქციებთან საქონლის შესაბამისობას. საინსპექციო და გაგზავნისწინა ინსპექციის მოთხოვნების შეუსრულებლობამ შესაძლებელია გამოიწვიოს:

- საბაჟო მოსაკრებლებისა და საგადასახადო შემოსავლების შემცირება;
- სავალუტო რესურსების დანაკარგები;
- არასტანდარტული, ან აკრძალული პროდუქციის იმპორტი.

გაგზავნისწინა ინსპექციის შედეგების დასკვნითი ოქმი, რიგ შემთხვევებში, შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც სატვირთო საბაჟო დეკლარაცია, რაც საბაჟო პროცედურების ჩატარების დაჩქარებას უზრუნველყოფს.

საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ აღიარებულია გაგზავნისწინა ინსპექციის ჩატარების მიზანშეწონილობა განვითარებადი ქვეყნებისათვის, იმ პირობით, რომ ამ ოპერაციამ არ უნდა გამოიწვიოს საბაჟო პროცედურების გავლის გაუმართლებელი შეფერხება, ან შექმნას საბაჟო პროცედურების გავლის არათანაბარი პირობები სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისათვის. მისი აღიარებით, გაგზავნისწინა ინსპექციის ქმედებად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის ხარისხის, რაოდენობის, ფასის (სავალუტო კურსისა და ფინანსური პირობების ჩათვლით), ან საბაჟო კლასიფიკაციის შემოწმებასთან, როდესაც ამ საქონლის ექსპორტი ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ხორციელდება.

საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია თავისი წევრი ქვეყნებისათვის მოითხოვს გაგზავნისწინა ინსპექციის ჩატარების ადგილის განსაზღვრას, ან საბაჟო ტერიტორიის ფარგლებში, ან საქონლის დამამზადებელი საწარმოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებში. ასევე მოთხოვნილია საქონლის რაოდენობისა და ხარისხის ინსპექციის განხორციელება გამყიდველსა და მყიდველს შორის გაფორმებული საკონტრაქტო, შეთანხმებით განსასაზღვრი სტანდარტებისა და ნორმატიული დოკუმენტაციის მიხედვით. განსაკუთრებული მოთხოვნები წაეყენება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის საკითხებს, რომლის მიხედვითაც ინსპექციის ჩამტარებელ კომპანიას არ აქვს უფლება, მოითხოვოს ინფორმაცია, რომელიც ეხება:

- მონაცემებს წარმოების შესახებ;
- ინფორმაციას დაპატენტებული, ლიცენზირებული და დახურული პროცედურებისა და პროცესების შესახებ;
- გამოუქვეყნებელ ტექნიკურსა და ტექნოლოგიურ მონაცემებს;
- თვითღირებულებისა და ფასწარმოქმნის შიდასაწარმოო პროცესებს;
- მოგების რაოდენობას.

გაგზავნისწინა ინსპექციის პროგრამა შეესაბამება იმპორტის ქვეყნის ნაციონალურ მოთხოვნებს და როგორც წესი ითვალისწინებს შემდეგი ეტაპების შესრულებას:

პირველი ეტაპი – იმპორტიორი აკეთებს იმპორტის საგნზე განაცხადს, ინსპექტირების ორგანოში, , მიუთითებს საქონლის ტექნიკურ, ტექნოლოგიურ, მარკეტინგულ და ფინანსურ დეტალებს.

მეორე ეტაპი – ინსპექციის ჩამტარებელი კომპანია, ექსპორტიორისაგან მოითხოვს ინფორმაციას საიმპორტო საქონლის გამოგზავნის ადგილისა და დროის შესახებ.

მესამე ეტაპი – ინსპექციის ჩამტარებელი კომპანიის ინსპექტორი ახორციელებს საინსპექციო საქონლის ფიზიკურ დათვალიერებას; იღებს საკვლევი საქონლის სინჯებს და ესწრება მის სამგზავრო კონტეინერებში მოთავსებას; ხურავს კონტეინერს და ამოწმებს თავისი ბეჭდით.

მეოთხე ეტაპი – ფიზიკური დათვალიერების შედეგების გათვალისწინებით განსაზღვრავს საიმპორტო საქონლის სატარიფო კოდს, ახორციელებს საბაჟო შეფასებას და განსაზღვრავს გადასახადის ოდენობას.

მეხუთე ეტაპი – ექსპორტიორი წარადგენს ინვოისის (ანგარიშ-ფაქტურის) საბოლოოდ დაზუსტებულ ვარიანტს, რომელიც შეფასების, კლასიფიკაციისა და დათვალიერების ეტაპებთან ერთად არის წინასწარი ინსპექტირების ანგარიშის საფუძველი.

მეექვსე ეტაპი – ხორციელდება წინასწარი ინსპექტირების დროს მოპოვებული ინფორმაციის გადაცემა იმპორტიორის ქვეყანაში, სადაც ის გამოიყენება იმპორტიორის მიერ ტვირთის საბაჟო გაფორმებისას.

გაგზავნისწინა ინსპექტირების პროცესები მკაცრად რეგლამენტირებულია და მოთხოვნილია მისი ყველა პუნქტის ზედმიწევნით ზუსტი შესრულება. ოგანიზაციულად პროცესის დასაწყისად ითვლება იმპორტიორის მიერ, თავისი ქვეყნის გაგზავნისწინა ინსპექციის ოფისში, მოსალოდნელი სავაჭრო ოპერაციის შესახებ ოფიციალური განაცხადის შეტანა, რის საფუძველზეც გაიცემა მანდატი გაგზავნისწინა ინსპექციის ჩატარების შესახებ, სადაც მითითებულია მისი გამცემი ორგანიზაციის დასახელება, სამართლებრივი რეგულირების დოკუმენტის დასახელება, გაგზავნისწინა ინსპექტირებას დაქვემდებარებული პარამეტრების ჩამონათვალი. აღნიშნულ მანდატსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის სრულ რაოდენობას ღებულობს ექსპორტიორი ქვეყნის, ან მასთან ახლოს მდებარე გაგზავნისწინა ინსპექტირების ოფისი, რომელიც მიმართავს ექსპორტიორი ქვეყნის მხარეს ინსპექტირების ჩატარების თარიღისა და ადგილის განსაზღვრის თხოვნით. ექსპორტიორის მხრიდან თანხმობის მიღების შემდეგ, სამი სამუშაო დღის ვადაში, ინსპექტირების ორგანო უზრუნველყოფს საქონლის გაგზავნისწინა დათვალიერების პროცესს; ერთდროულად მიმდინარეობს შეფასებისა და სატარიფო კლასიფიკაციის სამუშაოები.

გაგზავნისწინა ინსპექტირებისათვის საქონელი წარდგენილი უნდა იყოს საექსპორტო შეფუთვასთან ერთად. საქონლის ფიზიკური დათვალიერების შემდეგ, ინსპექტორების თანდასწრებით, ხორციელდება მისი შეფუთვა, ან კონტეინერში მოთავსება, რის შემდეგაც ინსპექტორი თავისი ბეჭდით ლუქავს ტვირთს და შესაძებლობის მიხედვით უღებს ფოტოს.

4.5. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის ექსპერტიზა

ქვეყნებს შორის ეკონომიკური, კერძოდ, სავაჭრო ურთიერთობები საერთაშორისო სამართლის ნორმების საშუალებით რეგულირდება, რომლებიც შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მეთვალყურეობითა და ქვეყნებს შორის გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით ხორციელდება. ამა თუ იმ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა, პრივილეგიებთან ერთად, გარკვეული სახის ვალდებულებების შესრულებასაც გულისხმობს, ასე მაგალითად, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია წევრ ქვეყნებს სავაჭრო ურთიერთობების რეგულირების ორ ძირითად პრინციპს სთავაზობს, რომლის მიხედვითაც წევრი სახელმწიფო ვალდებულია სხვა წევრი სახელმწიფოების საქონელი თავიანთ ქვეყანაში მოაქციოს ისეთივე სავაჭრო ხელშეწყობის რეჟიმის პირობებში, როგორსაც შეთავაზებდა სხვა წევრი ქვეყნების საქონელს. ამ პრინციპის მიხედვით, არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება შეუქმნას რომელიმე ქვეყანას სავაჭრო უპირატესობის, ან დისკრიმინაციული სავაჭრო პოლიტიკის რეჟიმი (გამონაკლისია მხოლოდ საბაჟო კავშირის მქონე ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობები და თავისუფალი ვაჭრობის ზონები). მეორე პრინციპი გულისხმობს, რომ იმპორტირებულ საქონელს შიდა ბაზარზე უნდა შეექმნას არანაკლები ხელშეწყობის რეჟიმი, ვიდრე საკუთარი წარმოების საქონელს. ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რომელიმე ქვეყნის შიგა ბაზარზე საქონლის დაშვება შესაძლებელია შეიზღუდოს არა რაოდენობრივი შეზღუდვის ხარჯზე, არამედ მხოლოდ საბაჟო ტარიფების საშუალებით. როგორც ვხედავთ, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია ქვეყნებს შორის სავაჭრო რეგულირების საკითხებში ხელმძღვანელობს არა ადმინისტრირების პრინციპებიდან გამომდინარე, არამედ თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების მოტივაციით, ხოლო რეგულირების ერთ-ერთ ძირითად მექანიზმად განიხილავს საბაჟო ტარიფების რეგულირების სისტემას, თუმცა ეს რეგულირებაც გარკვეული სახის შეზღუდვებს გულისხმობს, რისი განხორციელებაც სატარიფო პრეფერენციების (შეღავათების) სისტემის გარეშე წარმოუდგენელია.

პრეფერენციულ სატარიფო შეთანხმებებს გააჩნიათ ორი სახის იურიდიული ფორმა:

- სახელშეკრულებო, რომლებიც ორმხრივი, ან მრავალმხრივი მოლაპარაკების შედეგადაა მიღებული (ისეთი, როგორებიცაა შეთანხმება ევროკავშირის ფარგლებში ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისათვის; ორმხრივი შეთანხმებები დამოუკიდებელი სახლმწიფოების კავშირის ფარგლებში);
- ავტონომიური, რაც გულისხმობს არასახელშეკრულებო, დამოუკიდებელ, საყოველთაო პრეფერენციულ სისტემას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველია პრეფერენციალური სისტემის ორი რეჟიმი:

- უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, რომელიც გულისხმობს მოცემული სახელმწიფოს ვალდებულებას, მიანიჭოს მეორე სახელმწიფოს ისეთივე უფლებები და შეღავათები, რომელსაც ანიჭებს ნებისმიერ მესამე ქვეყანას.
- პრეფენციის საყოველთაო სისტემა გამოიყენება ეკონომიკურად მეტად განვითარებული ქვეყნების მიერ ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მიმართ. ქვეყნები, რომელთა მიმართაც გამოიყენება გენერალური პრეფენციული ტარიფები, იწოდება ქვეყანა—**ბენეფიციარებად** (ლათ. ბენეფიციუმ—კეთილქმედება).

ქვეყნები, რომელთა საქონელიც პრეფერენციის საყოველთაო სისტემის ქმედების ფარგლებშია მოქცეული, ღებულობს განსაკუთრებული სახის წარმოშობის სერთიფიკატს.

საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესები გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების, ნორმატიული აქტებისა და კანონთა ერთობლიობას, რომელსაც საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი ქვეყანა საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრისათვის იყენებს. წესების ხსენებული ერთობლიობა ეყრდნობა გარკვეული (საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში) სახის პრინციპებს, რომლის მიხედვითაც:

ა) წესებმა არ უნდა გამოიწვიოს რომელიმე წევრი ქვეყნის დისკრიმინაცია;

ბ) წესების გამოყენება უნდა მიმდინარეობდეს თანამიმდევრულად, მიუკერძოებლად, ერთგვაროვნად და დასაბუთებულად;

გ) ცვლილებებს წარმოშობის წესების განსაზღვრაში უკუქცევის ძალა არ გააჩნიათ;

დ) ნებისმიერი ინფორმაცია განიხილება როგორც მკაცრად კონფიდენციალური;

ე) წესები თავისთავად არ უნდა ატარებდეს შეზღუდვის, დამახინჯების ან მადეზორგანიზებელ ხასიათს.

ყველა პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმება, ევროკავშირის ქვეყნების ფარგლებში, ადგენს ეკონომიკური და საბაჟო ხასიათის კრიტერიუმებს, მათ შორის, ტერმინოლოგიას, საბაჟო ღირებულებასა და წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელზე მოქმედებს მთლიანი, სრული საიმპორტო საბაჟო ტარიფი.

საქონლის წარმოშობის პრეფერენციული წესების მიზანია, საშუალება მისცენ პარტნიორ, ან ბენეფიციარ ქვეყანას, მიიღოს ეკონომიკური სარგებელი, გაზრდილი შემოსავლების სახით, მხოლოდ იმ საქონლიდან, რომლებიც განსაზღვრულია და რომლებიც ეკონომიკურ ზიანს არ მიაყენებს პრეფერენციის მიმნიჭებელ ქვეყანას. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის ზემოთ მოყვანილი პრინციპები პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ ინტეგრაციას უწყობს ხელს, რაც ბენეფიციარი ქვეყნების მრეწველობას განვითარებისა და საკუთარი რესურსების ოპტიმალური მართვის საშუალებას აძლევს.

სხვადასხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ეკონომიკური გაერთიანებების მიერ მიღებული საქონლის წარმოშობის წესები ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებულია. ევროკავშირში მიღებული საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესები ითვალისწინებს გარკვეული სახის შეზღუდვებს ბენეფიციარი ქვეყნებისათვის, არაბენეფიციარი ქვეყნებიდან მიღებული ნედლეულის გამოყენებაში, მაგრამ ხელს უწყობს საქონლის გადამუშავებას პარტნიორ, ან ბენეფიციარ ქვეყნებში. ამ მიზნით, საქონლის წარმოშობის წესები დამატებით შეიცავს დებულებებს, რაც ბენფიციარ ქვეყანას საშუალებას აძლევს გამოიყენოს საქონელი შემდგომი ტექნოლოგიური დამუშავებისათვის, რომელთა წარმოშობის ქვეყანა სხვა ბენეფიციარი, ან ევროკავშირის ქვეყანაა. კონკრეტული ქვეყნებისათვის დამატებითი დებულებები, ინტეგრაციის სასურველ დონესთანაა ადაპტირებული. ევროკავშირში მოქმედებს საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, რომლის მიხედვითაც პრეფერენციული რეჟიმი ენიჭებათ მხოლოდ ამ ქვეყნებიდან შემოტანილ იმ საქონელს, რომლებიც:

- მთლიანად წარმოებულია, ან ამ ქვეყნებში მოხდა მათი საკმარისი ტექნოლოგიური გადამუშავება;

- აღჭურვილია მოცემული პირობების დაკმაყოფილების დამადასტურებელი სპეციალური სერთიფიკატით.

საკმარისი ტექნოლოგიური გადამუშავების კრიტერიუმი გულისხმობს პროდუქციის გადამუშავების ისეთ ხარისხს, როდესაც კლასიფიკაციის ჰარმონიზებული სისტემის ფარგლებში მოხდება კოდის ცვლილება პირველი ოთხი ციფრის ფარგლებში, ან შეიცვლება დამატებითი ღირებულების წილი, ფრანკო-ქარხანა ფასის მიხედვით, 5-50% ფარგლებში.

წესები დასაშვებად მიიჩნევს, ორი, ან მეტი ევროკავშირის წევრი, ან ბენეფიციარი ქვეყნის მიერ წარმოებული საქონლისათვის პრეფერენციული რეჟიმის მინიჭების შესაძლებლობას, ასევე სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის (AZEAN) ქვეყნებში წარმოებული კომპონენტების გამოყენებას.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები პარტნიორი და ბენეფიციარი ქვეყნის სტატუსს, ნაკლებად განვითარებულ ქვეყანას ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე ანიჭებს. საქართველოს ასეთი სტატუსი მიღებული აქვს ამერიკის შეერთებული შტატებისგან, სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულებით, და ევროკავშირის მიერ – აღმოსავლეთის სამეზობლო პარტნიორობის ხელშეკრულებით. აღნიშნულ ხელშეკრულებათა ფარგლებში, ამჟამად, მიმდინარეობს მოლაპარაკებები საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობისა და ვაჭრობის ხელშემწყობი რეჟიმის შეთანხმების მოსამზადებლად.

იაპონიაში, საქონლის წარმოშობის განსაზღვრის წესი, მისი პრეფერენციულ რეჟიმში მოხვედრისათვის, ძირითადად, ევროკავშირში მიღებული წესის ანალოგიურია, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო გამკაცრებულიც, რადგან მოთხოვნილია საქონლის შემადგენელი კომპონენტების წარმოშობა მთლიანად მოცემულ ქვეყანაში, იაპონიაში ან AZIAN-ის ქვეყნების ფარგლებში ხდებოდეს.

ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით, გამოყოფილია იმ საქონლის ჯგუფები, რომელთა მოხვედრა პრეფერენციულ რეჟიმში დაუშვებელია, მათ შორის აღსანიშნავია:

- ქსოვილები და ტანსაცმლის სხვა საგნები, რომლებზედაც ვრცელდება ტექსტილის შესახებ ხელშეკრულება;
- საათები, განსაზღვრული გამონაკლისების გარდა;
- იმპორტისადმი მგრძნობიარე ელექტრონული ნაკეთობანი;
- იმპორტისადმი მგრძნობიარე ფოლადის ნაკეთობანი;
- ფეხსაცმელი, ჩანთები, ტყავის ჩასაცმელები, სამუშაო ხელთათმანები;
- ნებისმიერი სახვა საქონელი, რომელიც პრეზიდენტის გადაწყვეტილებით მიეკუთვნება იმპორტისადმი მგრძნობიარე კატეგორიას.

იმპორტისადმი მგრძნობიარე კატეგორია ენიჭებათ მაღალი ლიკვიდურობის მქონე საიმპორტო საქონელს.

კანადის სახელმწიფო კანონმდებლობის მიხედვით საქონელი ითვლება ბენეფიციარ ქვეყანაში დამზადებულად, თუ მასალებისა და კომპონენტების ღირებულება, რომელიც წარმოებულია არაბენეფიციარ ქვეყანაში, ან გაურკვეველი წარმოშობისაა და რომლითაც დამზადებულია, შეფუთულია საქონელი კანადაში გასაგზავნად ისე, რომ მოცემული პროდუქტები არ აჭარბებს დამამზადებლის სრული სარეალიზაციო ფასის 40%–ზე მეტს.

სრული საქარხნო სარეალიზაციო ფასი არის საქონლის დმზადებისათვის აუცილებელი მასალების, კომპლექტაციის, ქარხნის ზედნადები

ხარჯების, სამუშაო ძალისა და სხვა ნებისმიერი აუცილებელი და გადაუდებელი ხარჯების (გადასახადები, მოსაკრებელი) ღირებულებათა ერთობლიობა. სხვა ნებისმიერი ხარჯები, საქონლის მიერ ქარხანა-დამამზადებლის დატოვების შემდეგ (ფრახტი, დატვირთვა, დროებითი შენახვა), საქონლის სრული საქარხნო სარეალიზაციო ფასის განსაზღვრაში არ გაითვალისწინება.

საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრისას, როგორც აღვნიშნეთ, განასხვავებენ ორ კატეგორიას: 1) მთლიანი წარმოებისა და 2) საკმარისი გადამუშავების კატეგორიას.

განვიხილოთ საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის ექსპერტიზის მაგალითი, როდესაც ნედლეული მასალები უცხოური წარმოშობის არის. ექსპერტიზის აქტს ენიჭება სარეგისტრაციო ნომერი, აღინიშნება შედგენის თარიღი, ადგილი და აქტის შემდგენი ექსპერტისა და მისი დამკვეთის ვინაობა (ორგანიზაციის დასახელება, რეგისტრაცია, პასუხისმგებელი პირი), მიეთითება საფუძველი, გადახდის ქვითრის რეგისტრაციის ნომრის ჩვენებით):

საქონლის დასახელება–პარალონი
გამყიდველი–შპს „*X*” ქ. ბარი, იტალია
მყიდველი–საავეჯო კომბინატი „ *Y*” ქ. თბილისი, საქართველო
ექსპერტიზის ამოცანა–განისაზღვროს საქონლის კოდი, ჰარმონიზებული სისტემის მიხედვით, და წარმოშობის ქვეყანა.

ექსპერტიზის აქტში აღინიშნება ცნობები საქონელზე არსებული დოკუმენტაციის შესახებ:

1. ხელშეკრულება სასაქონლო გარიგების შესახებ;
2. ხელშეკრულების დანართი სასაქონლო სპეციფიკაციის შესახებ;
3. პროდუქციაზე სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებული;
4. პროდუქციის სასაქონლო ნომენკლატურის კოდი ჰარმონიზებული სისტემის მიხედვით.

წარდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე ექსპერტიზამ დაადგინა რომ:

გამყიდველი ორგანიზაციის მიერ შპს „X”–ში დამზადებულია ფურცვლოვანი პარალონი საერთო მასით „A ”კგ, რისთვისაც გამოყენებული ნედლეული მითითებულია 4.8 ცხრილში.

პარალონი დამზადებულია შპს „X”-ის მიერ ევროკავშირის ქვეყნებში წარმოებული მასალებისაგან შემდეგი ტექნოლოგიური სქემით:

1. ნედლეული ქიმრეაქტივების საწყობში;
2. პოლიოლის ნარევის მომზადება;
3. პარალონის ბლოკების ჩამოსხმა;
4. ბლოკების მომწიფება;
5. საჭირო ზომებზე დაჭრა.

პარალონის კოდი, ჰარმონიზებული სისტემის მიხედვით 39211310000. დოკუმენტები და პროდუქცია წარდგენილია ექსპერტთან.

ექსპერტის დასკვნა

1. ზემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე ექსპერტიზა ადგენს, რომ წარმოდგენილი საქონელი—პარალონის ფურცლები, მასით 1000 კგ, ნამდვილად დამზადებულია აღნიშნულ ორგანიზაციაში შპს „X” ქ. ბარი, Iტალია.

2. პროდუქციის სასაქონლო კოდი 39211310000 განისაზღვრა ჰარმონიზებული სისტემის მიხედვით

„ფურცლები პოლიმერული მასალებიდან.

სხვადასხვა-
- - - ფოროვანი
- - - -პოლიურეთანის
- - - -დრეკადი".

ექსპერტიზის დაწყების თარიღი . . .
ექსპერტიზის დამთავრების თარიღი. . .
ექსპერტი
აქტის რეგისტრაციის № და მარეგისტრირებელი ორგანო.

ცხრილი 4.8

№	საქონლის დასახელება	დანიშნულება	სასაქონლო კოდი ჰარმონიზებული კლასიფიკაციით
1.	პოლიოლი 3603(ან სხვა პოლიოლები)	პოლიურეთანის სინთეზი	29 05
2.	იზოციანიტი 80/20	პოლიურეთანის სინთეზი	29 29
3.	თეგოამინი-29, თეგოამინი-33, თეგოსტაბი 2370, სილიკონი I-640	დამხმარე ნივთიერებები, (გაზწარმომქმნელები, ანტიდამჟანგველები, სტაბილიზატორები)	ჯგ. 29. სასაქ. პოზიცია 3812,3824 შემადგენლობისა და დანიშნულების მიხედვით

მას შემდეგ, რაც საქონელმა, საკმარისი გადამუშავების კრიტერიუმის განსაზღვრისათვის გაიარა ექსპერტიზა, დაინტერესებული მხარე (ექსპორტიორი ან იმპორტიორი) მიმართავს შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს (უმრავლეს შემთხვევაში სამრეწველო-სავაჭრო პალატას) პროდუქციის წარმოშობის ქვეყნის სერტიფიკატის მისაღებად, სადაც წარადგენს ყველა საჭირო ინფორმაციას (დოკუმენტაციას).

4.6. საქონლის ექსპერტიზა გადამუშავების საბაჟო რეჟიმში

ეკონომიკური მიმართულებების საბაჟო პროცედურები, საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავება, საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავება და საბაჟო ზედამხედველობით (კონტროლით) გადამუშავება ტვირთების საბაჟო დამუშავების მნიშვნელოვანი რეჟიმებია. ეკონომიკური მიმართულების აღნიშნული პროცედურები საშუალებას იძლევა საქონლის მიმართ ჩატარდეს გარკვეული სახის ტექნოლოგიური ოპერაციები საბაჟო გადასახადების

გადახდის გარეშე, რაც ხელს უწყობს მეწარმეთა აქტიურობისა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდას.

საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულია ტექნოლოგიური მიმართულების საბაჟო პროცედურების შემდეგი სახეები:

- საბაჟო საწყობი;
- გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე;
- გადამუშავება საბაჟო ზედამხედველობით (კონტროლით);
- დროებითი შემოტანა;
- გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ.

<u>გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე</u> – საბაჟო გაფორმების რეჟიმია, რომლის დროსაც საბაჟო ზონაში შემოტანილ საქონელს წინასწარ შეთანხმებულ ვადებში, ყოველგვარი საბაჟო გადასახადების გადახდის გარეშე, შესაძლებელია ჩაუტარდეს გადამუშავების ტექნოლოგიური პროცედურები, გადამუშავების პროდუქტების საბაჟო ტერიტორიიდან აუცილებელი გატანის ვალდებულებით.

გადამუშავების ტექნოლოგიური, საწარმოო პროცესი გულისხმობს ადამიანთა და შრომის იარაღების ერთობლიობას, რომელთა ქმედება მიმართულია სასაქონლო პროდუქციის შექმნის ან/და რემონტისაკენ.

გადამუშავების ოპერაციები შეიძლება იყოს:

- საქონლის უშუალო გადამუშავება ან დამუშავება;
- საქონლის რემონტი, მათ შორის მათი აღდგენა, შემადგენელი ნაწილების შეცვლა, ან მათი თვისებების აღდგენა;
- საქონლის გადამუშავება ისეთ საქონლად, რომელიც ხელს შეუწყობს სხვა სასაქონლო პროდუქციის წარმოებას, თუნდაც გადამუშავების პროცესში მთლიანად, ან ნაწილობრივ მოიხმარებოდეს.

საქათველოს საბაჟო კანონმდებლობა განმარტავს საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების პროცესის შემადგენელ ცალკეულ ელემენტებს, რომლის მიხედვითაც გადამუშავების პროდუქტი არის გადამუშავების შედეგად მიღებული საქონელი, რომლის სასაქონლო კოდი გადამუშავების შედეგად სასაქონლო პოზიციის დონეზე შეიცვალა.

გადამუშავების პროდუქტად, ასევე მიიჩნევა გადამუშავების ნარჩენები და დანაკარგები.

გადამუშავების ნარჩენები განიმარტება, როგორც გადამუშავებისათვის შემოტანილი საქონლის ნაწილი, რომელიც შეიძლება გატანილ იქნეს საბაჟო ტერიტორიიდან, ან გამოყენებული იქნეს გადამუშავებისთვის.

წარმოების ნარჩენებად განიხილება გადამუშავების პროცესში წარმოქმნილი მასალები, ნივთიერებები, რომლებიც გამოუსადეგარია შემდგომი გამოყენებისათვის, მაგრამ სამომხმარებლო ღირებულება გააჩნიათ.

საწარმოო დანაკარგები გადამუშავების პროცესში წარმოქმნილი საწაროო ციკლის განუყოფელი ნაწილია მასალების, ნივთიერებების სახით, რომლებსაც არ გააჩნიათ სამომხმარებლო ღირებულება.

საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების უფლების გაცემისას, განმცხადებელი მხარე ვალდებულია უზრუნველყოს გადამუშავებულ საქონელში, გადამუშავებას დაქვემდებარებული პროდუქტების იდენტიფიცირების შესაძლებლობა. ამ მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს იდენტიფიცირების ქვემოთ მოყვანილი მეთოდები:

- გადამუშავებას დაქვემდებარებულ საქონელზე საქარხნო ნომრის გამოყენება, ან მარკირების დატანა;

- გადამუშავებული საქონლის აღწერა, ფოტოგრაფირება, მასშტაბში გამოსახვა;
- გადამუშავებული საქონლის წინასწარ აღებული სინჯებისა და ნიმუშების სასაქონლო პროდუქციასთან შედარება;

<u>გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ</u> – დროებითი ექსპორტის საბაჟო გაფორმების პოცედურაა, რომელიც გამოიყენება საქონლის დამზადების, დამუშავების, ან სარემონტო სამუშაოების ჩასატარელად. საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციის მიერ საბოლოო პროდუქტის საწყის საქონლთან იდენტიფიცირებისათვის შემუშავებულია რეკომენდაციები. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მთელ რიგ ქვეყნებში გართულებულია პროდუქციის რეექსპორტის განხორციელების შესაძლებლობა, იდენტიფიცირების პროცესის განხორციელებისა და კონტროლის სირთულის გამო, რაც საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების შეფერხების საფუძველია. რეკომენდაცია მოწოდებულია არსებული მდგომარეობის შემსუბუქებისაკენ, თუ გამშვები, ან მიმღები ქვეყნის საბაჟო ორგანოები, შესაძლებლად ჩათვლიდნენ საქონლის იდენტიფიკაციის გარანტიების გამოკვლევის ნაწილში უპირატესად გამოეყენებინათ მეორე ქვეყნის საბაჟო ორგანოების დასკვნები. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი. ცნობილია, რომ ავტომობილის საბურავების დამზადების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს ხელოვნური კაუჩუკი წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის ნარჩენი პროდუქტისაგან მიიღება. მრავალი ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით, ამ პროდუქტის რეექსპორტი საბურავების წარმოებისათვის გართულებულია, რადგან არ არსებობს მისი წარმოშობის ქვეყნის და სწარმოო მარკის იდენტიფიცირების საშუალება საბოლოო პროდუქციაში (საბურავში). ანალოგიური მაგალითი შეიძლება იყოს ყურძნის, ღვინის, ხორბლის რეექსპორტი, საკონიაკე სპირტის პროდუქტის მისაღებად. ასეთ შემთხვევებში, თუ მხარეები შესაძლებლად ჩათვლიან საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციის რეკომენდაციის გამოყენებას მნიშვნელოვნად გამარტივდება ამ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა.

დამკვეთის მიერ გადამუშავებაზე ხელშეკრულება ფორმდება, როგორც სამუშაოთა შესრულების დავალება, მისივე მასალების გამოყენებით. დაკვეთის მიმცემი ორგანიზაცია გვევლინება ნედლეულის მფლობელად, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი სიმძლავრეები, ამიტომ იგი იძულებულია მასალები მეორე მხარეს გადასცეს გადამუშავებისათვის, იმ პირობით რომ მიღებული პროდუქცია რჩება დამკვეთის საკუთრებად. ასეთი სახის ხელშეკრულებები ხშირად გამოიყენება მანქანათმშენებლობაში, კვების, სამკერვალო, სამედიცინო და ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობაში.

გადამუშავების ხელშეკრულების მაგალითად განვიხილოთ შემდეგი სახის პარტნიორული ურთიერთობის სქემა, სადაც:

A – ნედლი ნავთობის გადასამუშავებლად მომწოდებელი დამკვეთია;
B – შუამავალი. შემსრულებელი – A-სთვის;
დამკვეთი – C-სთვის;
C – გადამამუშავებელი.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № XXX

ნედლი ნავთობის გადამუშავება

მხარეები: დამკვეთი B–შუამავალი კომპანია ნავთობის მომწოდებელი;
შემსრულებელი C – ნავთობის გადამამუშავებელი საწარმო.

ხელშეკრულების საგანი: მომსახურების გაწევა ნედლი ნავთობის გადამუშავებაზე.

ერთის მხრივ ნავთობის მომწოდებელი კომპანია B – შემდგომში "დამკვეთი" და მეორეს მხრივ ნავთობის გადამამუშავებელი საწარმო C – შემდგომში "შემსრულებელი" დებენ აღნინულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების მიზანი: მხარეები ახორციელებენ ერთობლივ ღონისძიებებს დასახული მიზნის მისაღწევად, საწარმოს სიმძლავრეების ურთიერთ სასარგებლო მიზნით გამოყენებისას ნედლეულის გადასამუშავებლად, რომელიც გადამუშავების პროდუქტებთან ერთად (საავტომობილო ბენზინი, დიზელის საწვავი, ზეთები, მაზუთი, ბიტუმი) დამკვეთის საკუთრებაა.

რაოდენობა: "დამკვეთი" ვალდებულებას იღებს ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში "შემსრულებელს" ეტაპობრივად მიაწოდოს ნედლეული, ყოველ ეტაპზე XXX ტონის ოდენობით. გადამუშავებული პროდუქტების რაოდენობა იანგარიშება გამოსავლიანობის შესაბამისი ნორმატიული მეთოდიკის მიხედვით.

ხარისხი: მიწოდებული ნედლეულის ხარისხი სრულ შესაბამისობაშია წარმოდგენილი ნიმუშების ხარისხთან. ხელშეკრულების დანართის მიხედვით გადამუშავებისას მიღებული პოდუქტების ხარისხი, უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის პროდუქტებზე არსებული ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

მოქმედების თარიღი და ვადა: ნედლეულის მიწოდება მოხდება ეტაპობრივად, დანართში ნაჩვენები მიწოდების გრაფიკის თანახმად, რომელიც დაიწყება ხელშეკრულებაზე მხარეთა უკანასკნელი ხელმოწერიდან 60 დღის ვადაში.

ხელშეკრულების ღირებულება: ნედლი ნავთობის გადამუშავების ყოველ ტონაზე შეადგენს X X X აშშ დოლარს მიწოდების EXW საბაზისო პირობებში.

გადახდის წესი: ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების გადახდა მოხდება ეტაპობრივად მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ეტაპის ღირებულების 25%–ის 10 დღიანი წინასწარი გადახდის პირობით. საბოლოო ანგარიშსწორება შეთანხმებული მიწოდების პირობების მიხედვით განხორციელდება.

მიწოდების პირობები: "შემსრულებელსა" და "დამკვეთს" შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, მიწოდების კომერციულ პირობად მზა პროდუქციისათვის, შერჩეულია მიწოდების CIF (ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი) ინკოტერმს 2000-ის მიხედვით. ნედლი ნავთობის მიწოდების ვალდებულებას მთლიანად თავის თავზე იღებს დამკვეთი.

მიღება–ჩაბარება: ხორციელდება შეთანხმებულ ვადებში, დანიშნულების პუნქტში, ფაქტიურად წარმოდგენილი საქონლის რაოდენობისა და ხარისხის განსაზღვრის საფუძველზე.

ხელშეკრულებაში ასევე აღინიშნება სანქციების, რეკლამაციების, გარანტიების, ფორს–მაჟორული სიტუაციებისა და არბიტრაჟის საქმის წარმოების პირობების შესახებ, რასაც ორივე მხარე ხელს აწერს.

ანალოგიური სახის ხელშეკრულებას აფომებს შუამავალი კომპანია ნედლი ნავთობის მომწოდებელ კომპანიასთან, რომელშიც იგი გვევლინება, როგორც შემსრულებელი. აღნიშნული ხელშეკრულების პირობითი სახე მოყვანილია ქვემოთ.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № YYY

ნედლი ნავთობის გადამუშავება

ერთის მხრივ საწარმო A, მისი ხელმძღვანელის (დირექტორის, პრეზიდენტის) სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდების საფუძველზე, შემდგომში "დამკვეთი" და მეორეს მხრივ საწარმო B, მისი ხელმძღვანელის (დირექტორის, პრეზიდენტის) სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდების საფუძველზე, შემდგომში "შემსრულებელი", შეთანხმდნენ ურთიერთსარგებლის მიღების მიზნით, ხელშეკრულებაში მოცემულ პირობებზე.

დამკვეთი მიაწვდის შემსრულებელს ხელშეკრულების დანართში მითითებული ხარისხის ნედლ ნავთობს.

შემსრულებელი მიაწვდის დამკვეთს ნავთობის გადამუშავების პროდუქტებს რაოდენობით, რომლიც მითითებულია ნედლი ნავთობის გამოსავლიანობის მაჩვენებელ დანართში.

დამკვეთი ვალდებულებას იღებს მიაწოდოს შემსრულებელს პროდუქცია, შეთანხმებული მოცულობით, ნავთობსადენით აღრიცხვის M კვანძში. ნავთობის შემდგომი ტრანსპორტირება მხარეებს შორის მიღწეული მიწოდების საბაზისო პირობების მიხედვით, ხარჯების, პასუხისმგებლობისა და რისკების გადანაწილების შესაბამისი სქემით მოხდება.

ნავთობის გადამუშავებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშების მიხედვით, ყველა სავალდებულო გადასახადის გათვალისწინებით.

ნედლი ნავთობის ხარისხი, უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ პროდუქტზე ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნებს, ისევე როგორც გადამუშავების შედეგად მიღებული ნავთობპროდუქტების ხარისხი.

ხელშეკრულებაში უნდა აისახოს მიღება–ჩაბარების, სანქციების, რეკლამაციების, გარანტიების, ფორს–მაჟორული სიტუაციებისა და არბიტრაჟში გასაჩივრების წესის პირობები. მიეთითება, ასევე მხარეთა რეკვიზიტები და საკონტაქტო საშუალებები.

ხელშეკრულება უფლებამოსილად ჩაითვლება საბაჟო ორგანოებში რეგისტრაციის შემდეგ, რაც, ასევე საბაჟოს გარეთ საქონლის გადამუშავების შესაძლებლობაზე საბაჟო ორგანოებიდან გაცემულ ნებართვას წარმოადგენს.

ხელშეკრულების გარდა, საბაჟოს გარეთ გადამუშავებისათვის საბაჟო ორგანოში წარედგინება, აღნიშნულ ქმედებაზე ნებართვის მისაღებად განაცხადი. განაცხადში მითითებული უნდა იყოს ცნობები მონაწილე მხარეებზე, საქონლის წარმოშობასა და გადამუშავების ქვეყნის შესახებ. მიეთითება ასევე გადასამუშავებელი ობიექტის მონაცემები კერძოდ:

- ადგილმდებარეობა;
- სასაქონლო ნომენკლატურის კოდი ჰარმონიზებული სისტემის მიხედვით;
- რაოდენობა;
- ღირებულება.

მითითებული უნდა იყოს, გადამუშავების პროცესში გამოყენებული ადგილობრივი წარმოშობის საქონლის შესახებ, მისი სასაქონლო კოდი, რაოდენობა, ღირებულება. მიეთითება ასევე გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების დასახელება, სასაქონლო კოდი, გამოსავლიანობა და რაოდენობა.

საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საწარმოო დანაკარგების რაოდენობის ჩვენება.

განაცხადში მითითებული უნდა იყოს გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების იდენტიფიკაციის მეთოდებზე, საიდენტიფიკაციო ნორმატიული დოკუმენიაციის ჩვენებით.

საბაჟო ორგანოში წარდგენილი განაცხადის საფუძველზე საბაჟო გასცემს საქონლის გადამუშავების ნებართვას, ამასთან საბაჟო ორგანო ახორციელებს გადამუშავების პროდუქტების აღრიცხვასა და კონტროლს. მიღებილი მონაცემები შედის ექსპერტიზის აქტში.

<u>ტექნოლოგიური ექსპერტიზა</u>

გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლისათვის გადამუშავების დასაშვები ხარჯვის, გამოსავლიანობის, ნარჩენებისა და საწარმოო დანაკარგების ნორმები განისაზღვრება ტექნოლოგიური ექსპერტიზის მეთოდების გამოყენებით.

გადამუშავებას დაქვემდებარებული საქონლის სახეობაზე დამოკიდებულებით, ტექნოლოგიური ექსპერტიზის მეთოდები შეირჩევა ინდივიდიალურად.

<u>გაანგარიშების ანალიტიკური მეთოდი</u> საშუალებას იძლევა ნაკეთობის ტექნიკური დოკუმენტაციის მონაცემებზე და ხარჯვის ნორმატივებზე დაყრდნობით გამოანგარიშებული იქნას მასალების ხაჯვის ნორმები. ეს მეთოდი ძირითადად გამოიყენება გრძივი განზომილებების მქონე ნაკეთობებისთვის (ძელი, მილი, ღერო, მავთული და სხვა), ასევე უმრავლესი დამხმარე მასალები გალვანური და ლაქსაღებავებით დაფარვისას, თერმული და ქიმიურ–თერმული დამუშავებისას, შედუღების, ცხელი დაფარვებისა და სხვა მსგავსი ტექნოლოგიური ოპერაციების გამოყენებისას.

<u>გაანგარიშებითი გრაფოანალიზური მეთოდი</u> ეფუძნება წინასწარ შედგენილი თარგების ესკიზებს. ეს მეთოდი გამოიყენება ორგანზომილებიან (სიგრძე, სიგანე) ნაკეთობათა მასალების ნორმირებისათვის (ფურცლოვანი ფოლადი, მუყაო, ფანერა, პლასტიკატი, ქსოვილები). გამოსავლიანობის, ან ხარჯვის ნორმების დადგენისას, აღნიშნული მეთოდი ხორციელდება ნაკეთობის მაშტაბური თარგის გამოჭრით და მისი მორგებით რეალური მასალის ზომებთან. მისი ხარჯვის ოპტიმალური მნიშვნელობის დასადგენად. ერთი დეტალის ფართის მიხედვით, მასალის ხარჯვის მაჩვენებლის მნიშვნელობის გამრავლებით მასალის სისქეზე, კუთრ წონაზე და დეტალების რაოდენობაზე გამოითვლება ხარჯვის ნორმირებული მაჩვენებელი.

<u>ცდის მეთოდი</u> გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია მასალების გამოსავლიანობის ან ხარჯვის ნორმების დადგენა საანგარიშო მეთოდებით. ასეთ შემთხვევაში აყენებენ ცდას და მასალების გამოსავლიანობისა და ხარჯვის ნორმებს პირდაპირი წესით განსაზღვრავენ. ცდის მეთოდი შეიძლება განხორციელდეს, როგორც ლაბორატორიულ ასევე საწარმოო პირობებში.

<u>სტატისტიკური მეთოდი</u> საშუალებას იძლევა განისაზღვროს მასალების გამოსავლიანობისა და ხარჯვის ნორმები იგივე სახის ნაკთობის ადრინდელი პერიოდის ანგარიშების, ოქმების, აქტების მონაცემებზე დაყრდნობით, საანგარიშო პერიოდში შესაძლო გადახრების გათვალისწინებით.

განვიხილოთ ადრე მოყვანილი ხელშეკრულებების №XXX და №YYY მიხედვით ნაჩვენები გადამუშავების პროცესისათვის ბენზინის გამოსავლიანობის გაანგარიშების მაგალითი.

ბენზინის მიღება C საწარმოში მიმდინარეობს **4.5** ნახაზზე ნაჩვენები შემდეგი გამარტივებული ტექნოლოგიური სქემით.

ნახ. 4.5 ბენზინის მიღების გამარტივებული ტექნოლოგიური სქემა

ნედლი ნავთობი საწყის ეტაპზე გადის წყლისა და სხვადასხვა სახის მარილებისაგან გაწმენდის პროცესს, ელექტრო მარილგამწმენდ დანადგარებზე. მინარევებისაგან განთავისუფლებული ნავთობი მიეწოდება პირველადი გამოხდის პროცესის ატმოსფერულ–ვაკუუმურ მილოვან დანადგარს.

ნავთობის დანაკარგები საწარმოო პროცესის მოსამზადებელ და გადამუშავების ეტაპზე შეადგენს 3,5%, რაც გამოწვეულია მისი წყლის, ქლორის და გოგირდის მარილებისაგან გაწმენდის დანაკარგებით, ასვე გაცხელებისას ნახშირწყალბადების აქროლადობის მაღალი ხარისხით და გადამუშავების პროცესში ნავთობის მავნე კომპონენტების სრული გამოყოფის შეუძლებლობით.

ლაბორატორიული წესით დადგენილია ბენზინის ფრაქციის მაქსიმალური გამოსავლიანობა 65–125^{0}C ტემპერატურული დიაპაზონში, რასაც ფრაქციის პოტენცილი ეწოდება და შეადგენს 19,3%. საწარმოო პირობებში ნავთობისაგან ბენზინის სრული ფრაქციის მიღება ვერ ხერხდება. სამრეწველო წესით მიღებული ბენზინის ფრაქციის რაოდენობის მაჩვენებლის ფარდობა ლაბორატორიულად მიღებულთან შეადგენს 0,94, რისი გათვალისწინებითაც ბენზინის ფაქტიური გამოსავლიანობა იქნება 19,3% X 0,94 =18, 14%. კატალიზური გარდაქმნის დანადგარის გამოსავლიანობა საწარმოო ნარჩენების (კოქსი, წყალბადი, ნახშირჟანგი) რაოდენობის გათვალისწინებით შეადგენს 78%. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ბენზინის ფაქტიური გამოსავლიანობა იქნება:

$$18{,}14\% \ X \ 0{,}78 = 14{,}01\%$$

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე შედგენილი საექსპერტო დასკვნა უნდა ითვალისწინებდეს:

- გადამუშავების პროდუქტებში, საბაჟო ორგანოს თანამშრომლების მიერ საქონლის იდენტიფიცირების შესაძლებლობას;
- დანახარჯებისა და გამოსავლიანობის ნორმების განსაზღვრას;
- ტექნოლოგიური რეჟიმის დადგენისათვის (უწყვეტი, წყვეტილი) საწარმოო ციკლის გამოკვლევას;
- საქონლის და გადამუშავების პროდუქტების განსხვავებული ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების განსაზღვრას, სასაქონლო ნომენკლატურის კოდის მინიჭებისათვის.

4.7. მანქანების, მოწყობილობებისა და სატრანსპორტო საშუალებების ექსპერტიზა

მანქანათმშენებლობის პროდუქცია საერთაშორისო ვაჭრობის ერთ–ერთი პრივილეგირებული მიმართულებაა, რომლის წილი საქართველოს საერთო სავაჭრო ბრუნვაში, საკვები პროდუქტებისა და ენერგომატარებლების ბრუნვის მოცულობას თუ ჩამოუვარდება, თუმცა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ავტომობილების ნექსპორტს მყარად უჭირავს პირველი ადგილი ექსპორტის საერთო მოცულობაში.

მანქანათმშენებლობის პროდუქციის სავაჭრო ბრუნვა, საბაჟო ურთიერთობის თვალსაზრისით, გარკვეული სახის სპეციფიკით გამოირჩევა, რაც საბაჟო პროცედურების ჩატარებისას განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ამ კუთხით აღსანიშნავია საბაჟო გაფორმებისა და საბაჟო კონტროლის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს პროდუქციისათვის სასაქონლო ნომენკლატურის კოდის მინიჭების ოპერაციას და მის საფუძვლზე საგადასახადო პრეფენციის გამოყენების შესაძლებლობას, ასევე მნიშვნელოვანია საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა, განსაკუთრებით საბაჟო გადამუშავების რეჟიმში მოხვედრილი საქონლისათვის. ხშირ შემთხვევაში მანქანათმშენებლობის პროდუქციაზე საბაჟო ღირებლების დადგენა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მასში გამოყენებული ელემენტებზე, მოწყობილობის კონსტრუქციულ და ტექნიკურ პარამეტრებზე, დამზადების თარიღზე და სხვა. აღნიშნულის გათვალისწინებით მანქანათმშენებლობის პროდუქციის საბაჟო აუდიტისა და ექსპეტიზის საკითხები ქვეყნებს შორის საბაჟო და სავაჭრო ურთიერთობების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

საბაჟო ექსპერტიზის საკითხებში, მანქანათმშენებლობის პროდუქციისათვის გამოყენებულია რიგი ტერმინებისა, რომელთა ცალსახა აღქმა შენდგომი გართულებების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა.

<u>ნაკეთობა</u> ეწოდება ნებისმიერ საგანს ან საგანთა კრებულს, რომლებიც დამზადებულია საწარმოში და რომლის განზომილებაა ცალი, ან ეგზემპლარი. საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის ერთიან სისტემის სტანდარტით დადგენილია ნაკეთობის შემდეგი სახეები:

- დეტალები;
- ასაწყობი ერთეულები (კვანძები);
- კომპლექსები;
- კომპლექტები.

მოყვანილი სახეობებიდან დეტალები არასპეციფიცირებული ნაკეთობებია, რომლებიც არ შეიცავენ შემადგენელ ნაწილებს, ხოლო დანარჩენი სპეციფიცირებული ნაკეთობებია, რომლებიც შედგებიან ორი, ან მეტი შემადგენელი ნაწილისაგან.

ნაწილის, ან მთლიანის ცნება გამოიყენება ცალობით გაზომილი ნაკეთობებისათვის. ისეთი ობიექტებისათვის როგორიცაა ელექტროენერგია, ინფორმაცია, ქიმიური პროდუქტები ნაწილის ცნება არ გამოიყენება. საბაჟო პრაქტიკაში ნაწილი ჩვეულებრივ მიეკუთვნება იმ ნაკეთობას, რომელიც ყველაზე ახლოსაა განლაგებული საბაჟო ტარიფიკაციაში მისთან. ასე მაგალითად ცილინდრი–დგუშის ჯგუფი განიხილება, როგორც ძრავის ნაწილი და არა როგორც ავტომობილის.

<u>დეტალი</u> – ნაკეთობაა, რომელიც დამზადებულია დასახელებით და მარკით ერთგვაროვანი მასალისაგან, აკრეფის (აწყობის) ოპერაციის გამოყენების გარეშე.

<u>აქსესუარი</u> – მეორადი, დამოკიდებული როლის შემსრულებელი ნაკეთობაა, რომელსაც ძირითადი ფუნქციის შესრულებისათვის არსებითი დანიშნულება არ გააჩნია, მათ შეუძლიათ გაზარდონ ძირითადი ნაკეთობის გამოყენების ეფექტურობა. აქსესუარი შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც მთელის, ძირითადი ნაკეთობის, შემადგენელი ნაწილი, რადგან სასაქონლო ნომენკლატურის კოდით ისინი სხვადასხვა პოზიციებით იდენტიფიცირდება. სასაქონლო კოდის მინიჭების პროცესი ეტაპობრივად ხორციელდება და მოიცავს:

- ნაწილების კლასიფიკაციას შემადგენელი მასალის მიხედვით;
- ნაწილების კლასიფიკაციას ტიპების მიხედვით;

ასევე მნიშვნელოვანია ნაწილების მახასიათებლების დაგენა, რომელიც ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურად ხორციელდება. დაუშვებელია საქონლის კლასიფიკაციის ნომეკლატურის კოდის ისეთი სახით გამოყენება, როდესაც იგი ნაწილს მზა პროდუქციის ხასიათს მისცემს, ან მზა საქონელს წარმოადგენს ნაწილების სახით, პირველ შემთხვევაში, როდესაც წარმოდგენილ საქონელს, ნაწილს, მზა პროდუქციის სახე აქვს მისი კლასიფიცირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ნაწილების კომპლექტი, რომელსაც განვიხილავთ, როგორც დაშლილი სახით წარმოდგენილ მთლიან საგანს, უნდა შედგებოდეს ისეთი ნაწილებისაგან, რომლებიც თვითონ წარმოადგენენ მზა პროდუქტს, ან გააჩნიათ ძირითადი პროდუქტის თვისებები. თუ ნაწილები წარმოდგენილია კომპლექტის სახით, რომელიც განსაზღვრავს მთლიანი მანქანის თვისებას, მაშინ მათი ერთობლიობა კლასიფიცირდება, როგორც მთლიანი მანქანა. მაგალითისათვის განვიხილოთ ტელევიზორების შემადგენელი ნაწილების იმპორტი, შემადგენელი მაკომპლექტებლების სახით. ასეთი ქმედების, როგორც მთლიანი ნაკეთობის კლასიფიცირება, შესაძლებელია შემდეგი სახის ნიშან–თვისებათა არსებობისას:

- ტელევიზორების მაკომპლექტებლების შემოტანა იმ ყუთით (შეფუთვით), რომელიც მზა ნაკეთობისთვისაა განკუთვნილი;
- ერთ შეფუთვაში მხოლოდ ერთი ნაკეთობისათვის საჭირო მაკომპლექტებლების არსებობა;
- ერთ შეფუთვაში დისტანციური მართვის პულტის, ბატარეების, ანტენის, ექსპლუატაციის ინსტრუქციის, პასპორტის არსებობა;
- სატრანსპორტო შეფუთვაში მზა ტელევიზორებისათვის განკუთვნილი პენოპლასტის დამცავი სადებების არსებობა;
- მწარმოებელსა და იმპორტიორს შორის სასაქონლო მარკის გამოყენებაზე სალიცენზიო შეთანხმების არ არსებობა;

<u>კვანძი</u> დეტალების ნაკრების არადაშლადი ერთობაა.

<u>ასაწყობი ერთეული</u> ნაკეთობაა, რომლის შემადგენელი ნაწილები ასაწყობი ოპერაციებითაა შეერთებული (ჩარხვა, შედუღბა, მოქლონვა, მირჩილვა, ჩაპრესვა, შეწებება, შეკერვა, ჩაწყობა) ტიპიური მაგალითები ძირითადი საყოფაცხოვრებო ტექნიკის საგნებია – ტელეფონის აპარატი, გაზის ღუმელი, გამათბობელი და ა.შ.

<u>ჯგუფი</u> კვანძებისა და დეტალების შეერთებაა, რომელიც მანქანის ერთ–ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია და გართიანებულია შესასრულებელი ფუნქციის ერთიანობით. მაგალითად ძალოვანი გადაცემის სისტემა ავტომობილებში, რომელიც აერთიანებს ძრავას, გადაცემათა კოლოფს, დიფერენციალს და სხვა.

ნებისმიერი მექანიზმი და მანქანა შედგება უძრავი და მოძრავი დეტალებისაგან. მოძრავი დეტალები, ან დეტალების ჯგუფები, რომლებიც ქმნიან ერთ ხისტ სისტემას იწოდებიან <u>მოძრავ რგოლებად</u>. მაგალითად,

შიგაწვის ძრავის მექანიზმებში მოძრავი რგოლებია – მრუდხარა, ბარბაცა და დგუშის კომპლექტი. უძრავი რგოლები, ან დეტალის ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთთან ხისტად არიან შეერთებული, იწოდებიან <u>უძრავ რგოლებად ან სადგარებად.</u> შიგაწვის ძრავის მაგალითზე, უძრავი რგოლი, სადგარი, შედგება ძრავის ბლოკისაგან (კორპუსისაგან), ბლოკისა და ცილინდრების თავსადებისაგან. ორი რგოლის შეერთება, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ფარდობითი გადაადგილებით ხასიათდებიან, ქმნიან <u>კინემატიკურ წყვილს.</u> ეს გადაადგილება შეიძლება იყოს როგორც გადატანითი, ასევე ბრუნვითი. რგოლების ერთობლიობა, რომლებიც კინემატიკური წყვილების საშუალებითაა შეერთებული ქმნიან <u>კინემატიკურ ჯაჭვს.</u> მაგალითად მრუდხარა–ბარბაცა–დგუშების კომპლექტი.

<u>მექანიზმს</u> უწოდებენ კინემატიკურ ჯაჭვს, ერთი მაინც უძრავი და ერთი მაინც მოძრავი რგოლით, რომელშიც ერთი, ან რამოდენიმე რგოლის მოცემული მოძრაობისას, სხვა რგოლები სულიად გარკვეული სახის მოძრაობას ასრულებენ. ასე მაგალითად შიგაწვის ძრავის კინემატიკური ჯაჭვი, რომელიც შედგება კორპუსისაგან, ცილინდრების ბლოკის, მრუდხარას, ბარბაცას, დგუშების კომპლექტისა და ცილინდრების თავსადებისაგან, წარმოადგენს მექანიზმს, მაშინ როდესაც ამავე კინემატიკური ჯაჭვის რგოლები, უძრავი რგოლების გარეშე, არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მექანიზმი.

<u>მანქანა</u> ენერგიის გარდაქმნასთან, ან საწარმოო პროცესთან დაკავშირებული სასარგებლო მუშაობის შესასრულებელი მექანიზმი, ან მექანიზმების კომპლექსია. სამუშაო ხასიადისა და დანიშნულების მიხედვით მანქანები იყოფა სამ კლასად:

1. მანქანა–ძრავები, რომლებიც ამა თუ იმ სახს ენერგიას გარდაქმნიან მექანიკურ მუშაობად (შიგაწვის, ელექტრო, ორთქლის, წყლის ძრავები და სხვა);
2. მანქანა–გარდამსახები (გენერატორები), რომლებიც მექანიკურ ენერგიას სხვა სახის ენერგიად გარდაქმნიან, ამასთან მექანიკური ენერგიის წყაროდ შეიძლება გამოყენებული იქნას მანქანა–ძრავები. მანქანა–გარდამსახების სახეობებს განეკუთვნება დენის გენერატორები, კომპრესორები და სხვა.
3. მანქანა – იარაღები, (მუშა მაქანები), რომლებიც ასრულებენ მექანიკურ სამუშაოს, ან ასრულებენ გარკვეულ ტექნოლოგიურ პროცესს, რომელიც დაკავშირებულია დასამუშავებელი ობიექტის თვისებების შეცვლასთან (პრესები, ლითონდამამუშავებელი ჩარხები, სატრანსპორტო საშუალებები), რომელთა ენერგიის წყარო მანქანა–ძრავებია.

მანქანების სამივე კლასის ერთობლიობას <u>მანქანა აგრეგატებს</u> უწოდებენ. ტერმინი “მანქანა” გულისხმობს ნებისმიერ მანქანას, აღჭურვილობას, დანადგარს, აპარატს, ან მოწყობილობას, რომელიც შედის სასაქონლო პოზიციის 84–ე ან 85–ე ჯგუფში, მათ შორის საკისრები, ელექტრონული მილაკები, მილგაყვანილობის ჩამკეტი მოწყობილობები და სხვა.

მანქანა აგრეგატების ერთ–ერთი სახე <u>კომბინირებული მანქანებია (კომბაინი)</u>, რომლებიც ორი, ან მეტი მანქანისაგან შედგება. მათი კლასიფიკაცია ხოციელდება იმ ფუნქციის მიხედვით, რომელიც ძირითადია მოცემული ნაკეთობისათვის. ასეთი კომბინირებული მანქანის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ მრავალფუნქციური სასიგნალო ხელსაწყო, რომელიც ერთ კორპუსში გაერთიანებული შემდეგი ელემენტებისაგან შედგება:

- რადიომიმღები სიხშირული მოდულაციით;
- ფლურესცეტური შიგა განათება;

- წითელი ფერის სასიგნალო ფანარი;
- ქარვისფერი მოციმციმე ფანარი;
- ხმოვანი განგაშის სიგნალი;
- ინტეგრალური სქემა, ბატარეის დამუხტვის ხმოვანი სიგნალისათვის;
- ჩამონტაჟებული აკუმულატორების ბატარეა, დამტენი მოწყობილობით.

აღწერილი კომბინირებული ხელსაწყოს კლასიფიკაცია მიზანშეწონილია რადიომიმღების სასაქონლო კოდის 852719 მიხედვით, რადგან ეს ფუნქცია ამ მოწყობილბისათვის განმსაზღვრელია.

თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებში გამოყენებული მონაცემთა დამუშავების ციფრული მოწყობილობა, პერსონალური ელექტრონული გამომთვლელი მანქანა – კომპიუტერი სხვადასხვა ფუნქციონალურ შესაძლებლობის მქონე მოწყობილობებსა და მანქანებს აერთიანებს, რომლებიც უზრუნველყოფენ:

- მონაცემთა დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფის შენახვას;
- გამოთვლითი ოპერაციების შესრულბას;
- ერთიდან მეორე პროგრამაზე თავისუფალი გადაწყობის შესაძლებლობას;
- ადამიანის ჩაურევლად მონაცემთა დამუშავების, ლოგიკური გადაწყვეტილების მიღებას და მის საფუძველზე მართვის სიგნალის გამომუშავებას;

შესრულების ფორმით ისინი შეიძლება არსებობდნენ:

- ერთ კორპუსში გაერთიანებული ცენტრალური პროცესორი მონაცემთა შეყვანისა და გამოყვანის მოწყობილობით;
- ერთმანეთთან დაკავშირებული ცალკეული ფუნქციონალური და ლოგიკური ელემენტების რიგის სახით, რომლებიც საერთო სისტემაში არიან გაერთიანებულნი;
- ორი, ან მეტი ერთმანეთთან გაერთიანებული ლოკალური სისტემის სახით, მონაცემთა შეყვანისა და გამოყვანის დისტანციური ფორმით ასევე მათ შორის განლაგებული პერიფერიული მოწყობილობების გარდამსახების სახით.

აღწერილი ციფრული გამომთვლელი მანქანები კლასიფიცირდება სასაქონლო კოდის 84–ე და 85–ე ჯგუფის მიხედვით კონკრეტულად პროცესორი Pentium IV კლასიფიციებულია 8473.30 კოდით – მანქანათა ნაწილები და აქსესუარები.

მანქანათმშენებლობის ინდუსტრიის ერთ–ერთი მთავარი დარგი ინსტრუმენტებისა და შემადგენელი ნაწილების წარმოებაა, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს.

<u>ინსტრუმენტად</u> ითვლება მოწყობლობა, რომელის ხელში დაკავებაც შესაძლებელია მუშაობის შესრულებისას. მძიმე ინსტრუმენტი, მაგალითად სატკეპნი, გრუნტის დასატკეპნად, უნდა იყოს გადასატანი ე.ი. შესაძლებელი უნდა იყოს აწევა და სხვა ადგილზე ხელით გადატანა. მოწყობილობა, რომლის მასა და ზომების გამო შეუძლებელია ხელში გვეჭიროს, არ შეიძლება ჩაითვალოს ინსტრუმენტად, თუმცა თუ ასეთი მოწყობილობა აღჭურვილია დამხმარე საყრდენით (სამფეხა, დომკრატი, სადგარი) ის ინსტრუმენტის კატეგორიას განეკუთვნება. ხელის ელექტრული ბურღი, ე.წ. “დრელი” რა თქმა უნდა ინსტრუმენტია, მაგრამ ბურღი რომლის დამაგრებაც სადგარის

გამოყენებით გათვალისწინებულია კედელზე, ან იატაკზე ითვლება და კლასიფიცირდება, როგორც ჩარხი.

ინსტრუმენტები და მათი ნაწილები განიხილება სასაქონლო ნომენკლატურის კლასიფიკაციის შემდეგი პირობით:

ჯგუფი 82 – ინსტრუმენტები და მათი ნაწილები, არა ძვირფასი ლითონისაგან, ასევე 8467 სასაქონლო პოზიციით – ხელის ინსტრუმენტები პნევმატური, ჰიდრავლიკური, ან ჩამონტაჟებული ელექტრული, ან არაელექტრული ძრავით.

<u>კომპლექტი</u> საერთო საექსპლოატაციო დანიშნულების მქონე დამხმარე ხასიათის ნაკეთობათა ნაკრებია. (სათადარიგო ნაწილების კომპლექტი, სარემონტო კომპლექტი და სხვა). კომპლექტი შეიძლება იყოს ასაწყობი ერთეული, ან დეტალი, რომელიც სხვა ანალოგიური ხასიათის პოდუქციასთან ერთად მიეწოდება მაგალითად ოსცილოგრაფი, შესაფუთ ყუთს, სათადარიგო ნაწილებთან, სამონტაჟო ინსტრუმენტებთან, საცვლელ ნაწილებთან კომპლექტში.

კომპლექტი მიეწოდება და როგორც წესი, კლასიფიცირდება, მანქანასთან ერთად კლასიფიკაციის XVI და XVII განყოფილებებში.

<u>კომპლექსი</u> ორი და მეტი სპეციფიცირებული ნაკეთობის ფუნქციონალური ერთეულია, აწყობის ოპერაციით შეერთების გარეშე, ურთიერთ დაკავშირებული საექსპლუატაციო ფუნქციების შესასრულებლად.

კომპლექსში შემავალი თითოეული ნაკეთობა განკუთვნილია მთლიანი კომპლექსის განსაზღვრული ერთი, ან რამოდენიმე ძირითადი ფუნქციის შესასრულებლად. მაგალითად: ავტომატური სატელეფონო სადგური, საბურღ–საძიებო დანადგარი და სხ. კომპლექსის კლასიფიცირების პრინციპისათვის არა აქვს მნიშვნელობა თითოეული შემადგენელი კომპონენტი განლაგებულია განცალკევებით (საჰაერო თავდაცვის კომპლექსი), თუ შეერთებულია მილსადენით, ტრანსმისიული მოწყობილობით, ელქტრული კაბელით ან სხვა მოწყობილობით და ასრულებენ მკვეთრად განსაზღვრულ ფუნქციას. ისინი კლასიფიცირდებიან იმ სასაქონლო პოზიციით, რომელიც ამ მკვეთრად განსაზღვრულ ფუნქციას შეესაბამება.

4.8. ინტელექტუალური საკუთრების საბაჟო ექსპერტიზა

უკანასკნელ პერიოდში, საერთაშორისო ვაჭრობის ტრადიციულ სახეებს, დაემატა და განუხრელად იზრდება ინტელექტისა და ცოდნის პროდუქტები. ნებისმიერ ახალ პროდუქტში, მაღალი ტექნოლოგიების წილი, მნიშვნელოვნად განისაზღვრება მასში გამოყენებული გამოგონებების, ინოვაციების, კვლევების, დამუშავებისა და გამოცდების მოცულობით. ფილმები, მუსიკალური ნაწარმოებები და წიგნები, პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები, დიალოგური (One line) მომსახურებები იყიდება მათში არსებული ინფორმაციული და შემოქმედებითი პოტენციალის და არა მათი დასამზადებელი მასალის პლასტმასის, ქაღალდის, და ლითონის გამო. მრავალი საგანი და ნივთი, რომელიც განიხილებოდა, როგორც დაბალტექნოლოგიური და დაბალინტელექტუალური პროდუქცია, ახლა დიდი დოზით შეიცავენ გამომგონებლობისა და დიზაინერულ გადაწყვეტებს, რაც მათ ფასეულობას

განსაზღვრავს. მაგალითისათვის შეიძლება სავაჭრო ნიშნიანი ტანსაცმელი და მცენარეთა ახალი სახეობები დავასახელოთ.

უფლება ინელექტუალურ საკუთრებაზე, ეს არის უფლება ადამიანის გონებრივი სრომის პროდუქტზე. როგორც წესი ამ პროდუქტზე მის შემქმნელს გარკვეული პერიოდის განმავლობაში გარკვეული უფლებები გააჩნია. ინტელექტუალური საკუთრება განისაზრვრება, როგორც ინტელექტუალური შრომის შედეგზე კანონით მინიჭებული უფლება საწარმოო, სამეცნიერო, ლიტერატურულ და მხატვრულ სფეროებში. ინტელექტუალური საკუთრების უფლება საქართველოს კონსტიტუციის XXIII მუხლით აღიარებული უფლებაა, რაც მყარი სამართლებრივი ბაზითაა უზრუნველყოფილი. საქართველოს კანონი ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის შესახებ 1998 წელს პარლამენტის დადგენილებით მიიღეს. უფრო ადრე 1997 წელს საქართველო შეუერთდა ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 1995 წელს მიღებულ კონვენციას, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის შესახებ, რომლის დაცვისა და რეგულირების სფეროს განეკუთვნება:

- ლიტერატურული, მხატვრული და სამეცნიერო ნაწარმოებები;
- მსახიობთა საშემსრულებლო მოღვაწეობა, ხმის ჩამწერ, რადიო და სატელევიზიო გადაცემებში;
- გამოგონებები ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში;
- სამეცნიერო აღმოჩენები;
- საწარმოო ნიმუშები:
- სასაქონლო ნიშნები, მომსახურების ნიშნები, საფირმო დასახელებები და კომერციული აღნიშვნები;
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურნციისაგან.

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფო, საკუთრების მფლობელთათვის გარკვეული უფლებების მინიჭების გზით, რაც ითვალისწინებს მათი შემოქმედების პროდუქტის გამოყენების კონტროლის საშუალებას. საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, ეს უფლებები შეზღუდულია დროში, ტერიტორიულად და საგნობრივად.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებები იყოფა ორ მთავარ ჯგუფად:

<u>1. საავტორო უფლებები და შერეული უფლებები.</u>

საავტორო უფლებები არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც დაკავშირებულია ლიტერატურულ, დრამატულ, მუსიკალურ, ქორეოგრაფიულ, აუდიო–ვიზუალურ, სახვითი ხელოვნების, სკულპტურის, გრაფიკის, დიზაინის, ფერწერის, გამოყენებით–დეკორატიული და სცენოგრაფიული ხელოვნების ნაწარმოებებთან, ასევე არქიტექტურის, ქალაქმშენებლობის და ლანდშაფტური არქიტექტურის ნიმუშებთან, ფოტოგრაფიულ ნამუშევრებთან, ეკოლოგიურ, გეოგრაფიულ და სხვა სახის რუკებთან, გეგმებთან, გამოთვლითი ტექნიკის პროგრამულ უზრუნველყოფასთან და მონაცემთა ბაზებთან, წარმოებულ ნაწარმოებებთან (თარგმანი, ინსცენირება, გადამუშავება და ა.შ)

ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებებზე ავტორთა უფლებები ვრცელდება ავტორის გარდაცვალების შემდეგ 70 წლის განმავლობაში.

საავტორო უფლებითაა დაცული ასევე შერეული უფლებები, რასაც განეკუთვნება შემსრულებელთა უფლებები მუსიკის, სამსახიობო, საცეკვაო, სადადგმო–სარეჟისორო სფეროში. ამავე სფეროს განეკუთვნება ფონოგრამების მწარმოებელთა, საკაბელო და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციათა ჯგუფების უფლებები.

საავტორო და შერეულ უფლებათა დაცვის მთავარი სოციალური მიზანი, შემოქმედებითი მუშაობის დაცვა, წახალისება და მატერიალური დაინტერესებაა.

2. სამრეწველო საკუთრება და საავტორო უფლებები.

საწარმოო საავტორო საკუთრებას, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის, პარიზის კონვენციის შესაბამისად, წარმოადგენს, როგორც სამრეწველო და სავაჭრო სფეროში ასევე სასოფლო სამეურნეო, მომპოვებელი მრეწველობისა და ბუნებრივი წარმოშობის ნებისმიერი პროდუქტი (მარცვლეული, ვაზი, წიაღისეული, მინერალური წყალი და ა.შ.). მათვე განეკუთვნებიან გამოგონებები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები, სასაქონლო და მომსახურების ნიშნები, საქონლის წარმოშობის ადგილის დასახელება, საფირმო დასახელება.

სამრეწველო საკუთრება იყოფა ორ დიდ სფეროდ, ესენია:

ინდივიდუალიზაციის საშუალებანი, რომელიც მოიცავს ძირითადი სასაქონლო ნიშნებისათვის დამახასიათებელი განმასხვავებელი ნიშან–თვისებათა დაცვას და სქონლის წარმოშობის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ უფლებათა დაცვას. ინდივიდუალიზაციის საშუალებათა ნახსენები სფეროს საავტორო უფლებათა დაცვა, ხორციელდება მანამ, სანამ არსებობს ამ ნიშნის განსხვავებულობის საფუძველი.

საავტორო უფლებები პატენტით დაცულ გამოგონებების, სამრეწველო ნიმუშების და კომერციული საიდუმლოებებისათვის, რომელიც მიმართულია საწარმოო ტექნოლოგიურ სფეროში ინოვაციების, ახალი გამოკვლევებისა და დამუშავების სტიმულირებისათვის.

სამრეწველო საკუთრების სფერო სარგებლობს და განიხილავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის თვალსაზრისით ცნებებს, რომელთა ცალსახა და არაორაზროვანი აღქმა მოცემულ სფეროს სამართლებრივ ჩარჩოში აქცევს. მათ შორის:

კომერციული საიდუმლო წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელსაც რეალური და პოტენციური კომერციული ღირებულება გააჩნია. კომერციული საიდუმლო შეიძლება იყოს:

- ცნობები ბაზრის კონიუნქტურის შესახებ, საბანკო ურთიერთობები, სახელშეკრულებო ორგანიზაციული და ფინანსური საკითხები;
- წარმოების საიდუმლოებანი;
- საწარმოს ორგანიზაციულ მმართველობითი მოღვაწეობა.

სამრეწველო ნიმუში ნაკეთობის გარეგნული სახის დეკორატიული, ან ესთეტიკური გადაწყვეტაა, რომელიც ნაკეთობის ფორმის, კონტურის, ან ფერთა გამისა და შეხამების საშუალებით შეიძლება გამოისახოს. იგი ორიენტირებულია მომხმარებლის მხედველობით აღქმაზე. სამრეწველო ნიმუშზე საავტორო უფლება, შემდგომი განახლების შესაძლებლობით, დაცულია ათი წლის განმავლობაში.

სასაქონლო ნიშანი ნებისმიერი სახის აღნიშვნა, ან აღნიშვნათა ნებისმიერი სახის შეთანხმებაა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გავარჩიოთ ერთი საწარმოს პროდუქცია, ან მომსახურება მეორე საწარმოს საქონლისა და მომსახურებისაგან.

საფირმო დასახელება ნებისმიერი კომერციული ორგანიზაციის ატრიბუტია სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვისათვის. იგი დამფუძნებელ დოკუმენტებში განისაზღვრება და იურიდიული პირების ერთიან სახლმწიფო რეესტრში რეგისტრირდება. საფირმო დასახელებაში მიეთითებულია ორგანიზაციის იურიდიულ სამართლებრივი ფორმა. საფირმო დასახელებით ხორციელდება მისი პროფესიული მოღვაწეობის იდენტიფიცირება, მაშინ

როდესაც სასაქონლო ნიშანი მოწოდებულია მხოლოდ პროდუქციის იდენტიფიცირებისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი საფირმო დასახელების ქვეშ შეიძლება გაერთიანებული იყოს რამოდენიმე სასაქონლო და სამრეწველო ნიმუში.

აღნიშნულზე განვიხილოთ ცნობილი მსოფლიო ბრენდის "კოკა–კოლას" მაგალითი.

"კოკა–კოლას" სამრეწველო ნიმუში, რომელიც მის ეტიკეტზეა მოცემული, წარმოადგენს წითელ ფონზე თეთრი ფერის სტილიზებულ ინგლისურენოვან წარწერას "Coca –Cola". აღნიშნული წარწერა მისი სასაქონლო ნიშანი და საფირმო დასახელებაცაა, ამას გარდა "კოკა–კოლას" სასაქონლო ნიშნის დამატებით სახეს სპეციფიკური დიზაინის შუშის ბოთლიც წარმოადგენს. მიუხედავად საქართველოში "კოკა–კოლას" მწარმოებელ საწარმოს საფირმო დასახელებისა "კოკა–კოლა ბოთლერს ჯორჯიაა" იგი დამფუძნებლის საფირმო დასახელებას ინარჩუნებს. გამოშვებული პროდუქციისაგან დამოკიდებულებით არსებობს ფირმის სხვა სასაქონლო ნიშნებიც "ფანტა", "სპრაიტი", "კოკა–კოლა ლაითი" და სხვა.

<u>წარმოშობის მითითება</u> – დასახელება, გამოთქმა, ან ნიშანია, რომელიც მიუთითებს საქონლის წარმოშობის ადგილს, ან კონკრეტულ ქვეყნასთან, რეგიონთან, ადგილთან დაკავშირებული რაიმე ნიშანთვისებას. საქონლის წარმოშობის ქვეყანა დამამზადებელი, შეიძლება მიეთითოს სიტყვებით: "made in . . . " ("დამზადებულია . . ."). წარმოშობის ადგილის მითითება კანონიერია საწარმოთა, ან ცალკეულ პირთა მხოლოდ გარკვეული ჯგუფისათვის, რომლებიც განლაგებულია კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონში და მხოლოდ აქ დამზადებული კონკრეტული ნაკეთობისათვის. მაგალითად დასახელებები "შამპანური", "კონიაკი", მაიონეზი "პროვანსალი", ქართული ღვინოები "ხვანჭკარა", "წინანდალი" შესაძლებელია მიეკუთვნებოდეს საფრანგეთის ქალაქ კონიაკში, ან შამპანისა და პროვანსის პროვინციებში დამზადებული პროდუქტის, ისევე როგორც საქართველოს სოფელ ხვანჭკარის, წინანდლის მიკროზონებში მოყვანილი ყურძნისაგან მიღებულ ღვინოს.

<u>გამოგონება</u> მატერიალიზებული სახით წარმოდგენილი, ნაკეთობის, ან მეთოდის ახალი იდეაა, რომელიც საშუალებას იძლევა პრაქტიკულად გადაიჭრას რეალური პრობლემა ტექნიკის სფეროში.

გამოგონების ობიექტი შეიძლება იყოს: მოწყობილობა, მეთოდი, ნივთიერება, შტამი, ან ახალი დანიშნულებით გამოყენებული ადრე ცნობილი მოწყობილობა, მეთოდი, ნივთიერება და შტამი.

საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის, შეთანხმებით "ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა სავაჭრო ასპექტების შესახებ" პატენტი, შეიძლება გაიცეს ტექნიკის ყველა სფეროში ნებისმიერ გამოგონებაზე, დამოუკიდებლად იმისა, ეხება ის მატერიალურ პროდუქტს, თუ მეთოდს, იმ პირობით, რომ ისინი უნდა გამოირჩეოდნენ სიახლით, გააჩნდეთ გამოგონების დონე და შესაძლებელი იყოს მათი სამრეწველო გამოყენება.

შეთანხმება განსაზღვრავს გამოგონების საპატენტო დაცვის ვადას, ასევე აუცილებელი ლიცენზირების, ან სახელმწიფო ორგანოების მიერ პატენტის გამოყენების წესებს პატენტის მფლობელის ნებართვის გარეშე.

<u>სასარგებლო მოდელი</u> პატენტით დაცული მექანიკური კვანძების შემცველი გამოგონებაა, რომლის დაცვის ობიექტი შეიძლება იყოს მოწყობილობა, სამარჯვი და სასარგებლო საგნები.

ინტელექტუალურ საკუთრებაზე საავტორო უფლებათა დაცვის შესახებ, საერთაშორისო შეთანხმება ვრცელდება ყველა სახის პროდუქციაზე, რომელიც წარმოებულია ექსპორტის ქვეყანაში. იგი ასევე მოწოდებულია დაიცვას ქვეყნის შიდა ბაზარი იმპორტირებული კონტრაფაქტური – ფალსიფიცირებული

სასაქონლო ნიშნიანი საქონლისაგან. გამოთქმა "ფალსიფიცირებული სასაქონლო ნიშნიანი" საქონელი გულისხმობს ნებისმიერ საქონელს, შეფუთვის ჩათვლით, რომელზედაც უნება|რთვოდ გამოიყენება კანონიერად რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი, ან რომელიც არსებითად არ განირჩევა მისგან. ასეთი საქონელი კლასიფიცირდება, როგორც "საავტორო უფლებათა დარღვევით შექმნილი საქონელი", რაც გულისხმობს ნებისმიერ კოპირებულ საქონელს, რომელიც შექმნლია საავტორო უფლების მქონე პირის ნებართვის გარეშე. შეთანხმების მონაწილე მხარეების მიერ დადგენილია პროცედურები, რომლის მიხედვითაც, საავტორო უფლების მქონე პირს, ეძლევა უფლება, ასეთი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიმართოს სამართალდამცველ ორგანოებს და მოითხოვოს საქონლის მიმართ საბაჟო პროცედურების იმპორტის, ან ექსპორტის შეზღუდვა. საბაჟო ორგანოების ერთ–ერთი ძირითადი ფუნქცია სწორედ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების უკანონო მიმოქცევის შეზღუდვაა. ასეთი ობიექტები შეიძლება იყოს ის საქონლი, რომელიც მარკირებულია სასაქონლო ნიშნით, ეტიკეტით, იარლიყით, საინფორმაციო სადებით, ან გააჩნია სხვა ნივთიერი ფორმა: ბეჭდური გამოცემები, აუდიო და ვიდეოკასეტები, კომპაქტდისკები, გრამფირფიტები და ა.შ. აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეზღუდვა ვრცელდება არა ერთეული რაოდენობის პროდუქციაზე არამედ კომერციული მნიშვნელობის მქონე რაოდენობაზე.

4.8.1. ტექნიკის ობიექტებისა და საინფორმაციო პროდუქტების ექსპერტიზა

საქონლის რეალიზაციის ქვეყნებში, საპატენტო უფლებების დარღვევის თავიდან აცილების ღონისძიებები, საპატენტო სისუფთავის დაცვის ღონისძიებებს განეკუთვნება.

საპატენტო სისუფთავეზე ექსპერტულ ღონისძიებათა დროული და აუცილებელი განხორციელება ექსპორტირებული, თუ იმპორტირებული საქონლის, მანქანების, ხელსაწყოების, აღჭურვილობის, ტექნოლოგიური პროცესებისა და მასალების მიმართ, მათი თავისუფალი რეალიზაციის წინაპირობას ქმნის საავტორო, განსაკუთრებული უფლებების დარღვევის გარეშე. ასეთი სახის ექსპერტიზას გადიან პატენტები, გამოგონებები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები, საფირმო დასახელებანი და საქონლის წარმოშობის ადგილის მიმნიშნებელი მითითებები. ინტელექტუალური საკუთრების მატარებელი შეიძლება იყოს მოწყობილობები, მეთოდები და ნივთიერებები. ექსპერტიზის ჩატარებისას უნდა შემოწმდეს როგორც თვით ობიექტი, ასევე ტექნიკური დოკუმენტაციაც, რომლის მიხედვითაც ხდება მოცემული ობიექტის გამოშვება.

საპატენტო სისუფთავე განისაზღვრება მხოლოდ კონკრეტული ქვეყნების მიმართ და მხოლოდ გარკვეული თარიღისათვის.

საპატენტო სისუფთავეზე ექსპერტიზის ჩატარების არსი, მოცემულ ქვეყანაში ექსპერტიზის ობიექტებთან და მის ანალოგებთან დაკავშირებული ყველა მოქმედი განსაკუთრებული უფლების პატენის მოძებნაა, ასევე იმ გარემოებათა შესწავლა, რომელიც ხელს შეუწყობდა იმპორტის ქვეყანაში წინააღმდეგობის გარეშე, მოცემული ობიექტის, რეალიზაციას.

ექსპერტიზის სამართლებრივი მხარე, კონკრეტულად მოცემული სიტუაციისავის, ექსპერტიზის ობიექტებთან დაკავშირებული ყველა იურიდიული საკითხის ყოველმხრივ ზუსტი აღრიცხვა და შეფასებაა. ექსპერტიზის ტექნიკური მხარე გამოგონების არსის ზუსტი ტექნიკური შეფასება და მისი დაპირისპირებაა შესამოწმებელ ობიექტთან, რითაც განისაზღვრება ამა თუ იმ

ნიშანების არსებითობა და მათი მნიშვნელობა დაპატენტებული, ან შესამოწმებელი ობიექტისათვის. ასევე ეძლევა მნიშვნელობა და შეფასება შემადგენელი ნაწილების როლს მთელი ობიექტისათვის, განიხილება პატენტისათვის გვერდის ავლის შესაძლო ვარიანტები.

ტექნიკური ობიექტების ექსპერტიზის ჩატარებისას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპეციალური და ორმაგი დანიშნულების მქონე საქონლის საპატენტო სისუფთავის ექსპერტიზას.

<u>სპეციალური დანიშნულების</u> პროდუქციას განეკუთვნება ისეთი სახის საქონელი, რომელსაც უპირველეს ყოვლისა იყენებენ სამართალდამცველი, უშიშროების ორგანოები და სპეციალური სამსახურები მათზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად, მათ შორის სპეციალური ტექნიკა, აღჭურვილობა, ალგორითმები, სამეცნიერო–ტექნიკური, ინფორმაციული, ინტელექტუალური შრომის პროდუქტები და სხვა ობიექტები. ამ ობიექტთა შორისაა კრიმინალისტური ტექნიკა და დაცვის ტექნიკური საშუალებები, კავშირგაბმულობის სპეციალური და ინფორმაციის დაცვის საშუალებები, გასაშიფრი ტექნიკა, სპეციალური დანიშნულების საავიაციო, საზღვაო და საავტომობილო ტექნიკა, ადამიანის ჯანმრთელობის დროებითი არალეტალური დაზიანების მისაყენებელი სპეციალური საშუალებები, ინდივიდუალური ჯანდაცვითი ეკიპირება, საძიებო, სათვალთვალო, სკანირების, მომწამვლელი, ნარკოტიკული და დავადების გამომწვევი ნივთიერებების აღმომჩენი ტექნიკური საშუალებები.

სპეციალური დანიშნულების პროდუქციის ჩამონათვალი საჯარო ინფორმაციის სახეს არ განეკუთვნება, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი იდენტიფიცირებისა და შესაბამისად, ინტელექტუალური შრომის შედეგის დაცვის შესაძლებლობა, რომლის უფლებამოსილი პირი სახელმწიფოა.

<u>სამხედრო დანიშნულების პროდუქცია</u> ზოგადად განიმარტება, როგორც სამხედრო ტექნიკური საშუალებების, შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის, სამუშაოების, მომსახურებისა და ინტელექტუალური შრომის შედეგების, მათ შორის მათზე განსაკუთრებული უფლების და სამხედრო–ტექნიკური ინფორმაციის ერთობლიობა.

სამხედრო დანიშნულების პროდუქციის საექსპერტო კონტროლი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კომპეტენციაა, რომელიც სამხედრო სფეროს ექსპერტთა მონაწილეობით ხორციელდება.

<u>ორმაგი დანიშნულების პროდუქცია</u> – ნედლეული, მასალები, აღჭურვილობა, ნარჩენები, სამეცნიერო–ტექნიკური ინფორმაცია, სამუშაოები, მომსახურება და ინტელექტუალური შრომის შედეგებია, რომელსაც თავისი თავისებურებებისა და თვისებების გამო შეუძლია შეიტანოს არსებითი წვლილი მასობრივი დაზიანების იარაღის, მათი მიტანის საშუალებებისა და სხვა სახის სამხედო ტექნიკის შეიარაღების შექმნაში.

ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კლასიფიცირება ხდება შეიარაღების სახეობებისაგან გამომდინარე, საერთაშორისო ხელშეკრულებების მიხედვით, რომლის დამუშავების, დამზადების ან გამოცდისას შეიძლება გამოყენებული იქნას ეს პროდუქტი.

საბაჟო პროცედურების შესრულებისას, ნებისმიერი ობიექტის დაცულობა ინტელექტუალური შრომის შედეგის კანონიერ ბრუნვაში ჩართვისათვის, პროდუქციის ექსპორტის, ან იმპორტის ოპერაციების შესრულებისას, სახელმწიფო საბაჟო ორგანოებისათვის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს, განსაკუთრბით იმ შემთხვევისათვის, როცა საქმე ეხება სპეციალური, სამხედრო, ან ორმაგი დანიშნულების პროდუქციას. ცალსახა პასუხი შეესაბამება თუ არა საქონელი ჩამოთვლილთაგან რომელიმე კატეგორიას და რა დოზითაა მათში განივთებული ინტელექტუალური შრომის

შედეგები შესაძლებელია გასცეს მხოლოდ სათანადო საექსპერტო კვლევამ. ასეთი კვლევის უპირველესი ეტაპი საექსპერტო პროდუქციის ოფიციალური იდენტიფიკაციის ეტაპია, რომელიც ხორციელდება ოფიციალური ნორმატიული სახელმწიფო საკონტროლო დოკუმენტაციით მოცემული ჩამონათვალის მიხედვით, განსაკუთრებულ შემთხვევებში პროდუქციისათვის ფიზიკა–ქიმიური და ტექნიკური ანალიზის ჩატარების შესაძლებლობით.

თანამედროვე მიდგომით ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი წარმოადგენს საქონელს, რომლის ყიდვა–გაყიდვის ოპერაციების შესრულებისას, მისი შესაბამისი ღირებულების ფულადი სახსრები დაბრკოლების გარეშე გადადიან ქვეყნიდან ქვეყანაში, რის შედეგადაც ექპორტიორს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უბრუნდება დამატებითი ღირებულების გადასახადი ისე, რომ შეუძლებელია იმის გაკონტროლება, დღგ–ს ეს თანხები ოდესდაც ბიუჯეტში მოხვდნენ თუ არა. მოყვანილი სქემა განსაკუთრებული სიმწვავით დგას სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსებით მოქმედი ორგანიზაციბის შემხვევაში, რადგან დღესდღეობით არ არსებობს სრულყოფილი მექანიზმი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის ღირებულების შეფასებისთვის.

საერთასორისო პრაქტიკაში, კომერციული ოპერაციების სახეობაზე დამოკიდებულებით, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების მიმართ გამოყენებულია შეფასების ისეთი ფორმები, როგორიცაა საბაზრო, საანგარიშო, საინვესტიციო, ლიკვიდური, სახელშეკრულებო, სარეალიზაციო, ნარჩენი, აღდგენითი, საბალანსო, სადაზღვევო და სხვა. შეფასების ფორმის შერჩევა დამოკიდებულია შეფასების მიზნისაგან. პრაქტიკული თვალსაზრისით საერთაშორისო მაშტაბით მიღებულია შეფასების სამი ძირითადი ფორმა: დანახარჯების მიხედვით, შედარებითი და შემოსავლების მიხედვით.

შეფასების პირველი ჯგუფის – დანახარჯების მიხედვით გამოთვლის მთოდით ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის ღირებულება გათანაბრებულია მისი შექმნისათვის გაწეული ხარჯების რაოდენობასთან. ეს მეთოდი გამოსადეგია ნებისმირი ტიპის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტისათვის, განსაკუთრებით საბაზრო ანალოგის არ არსებობისას.

შეფასების სისტემის მეორე ჯგუფი – შემოსავლების მიხედვით, განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია, რომელიც დამყარებულია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის გამოყენებით მიღებული სუფთა შემოსავლების აღრიცხვაზე. ამ მეთოდის გამოყენება ნებისმიერი მოგების მომტანი ობიექტის მიმართაა შესაძლებელი.

შეფასების სისტემის მესამე ჯგუფი – შედარებითობაზე დამყარებული მეთოდია, რომელიც გულისხმობს მსგავსი ობიექტების საბაზრო შეფასების ანალიზის შედეგად დადგენილი ღირებულების განსაზღვრას, იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საბაზრო ფასების რაოდენობა მოცემული ობიექტის შეფასებისათვის საკმარის ინფორმაციას არ იძლევა.

ინტელექტუალური საკუთრების აუდიტი, ექსპერტული სამუშაოების შესრულებისას რეკომენდებულია ჩატარდეს შემდეგი ალგორითმის მიხევით:

ა) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის იდენტიფიკაცია;

ეს ეტაპი გულისხმობს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის ფაქტის დადასტურებას, ასევე მისი შექმნის, ან გამოყენების დადგენას პირველადი დოკუმენტაციის შემოწებით, სადაც ობიექტი აღწერილია, გამოსახულია, ან სხვა სახითაა დაფიქსირებული.

ბ) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის დამცავი დოკუმენტების ექსპერტიზა;

ეს დოკუმენტები როგორც წესი, წარმოადგენს ოფიციალურ სახელმწიფო საექსპერტო ორგანოს მიერ გაცემულ სიგელ–მოწმობას, მასზე თანდართული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის აღწერით. ამ ეტაპზე

ყურადღება ექცევა დამცავი დოკუმენტის აღწერილობასთან ობიექტის იდენტურობას, რომელიც უნა შეესაბამებოდეს ფორმულის, სამრეწველო ან სასაქონლო ნიშნების აღწერილობას. მნიშვნლოვანია აგრეთვე, საკუთრების დამცავი ობიექტის სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრაც, ადგან იგი საავტორო უფლებების გავრცელების შეზღუდვის გარემოებაა. უცხო ქვეყნის პატენტის მოქმედება, ნებისმიერ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაპატენტებულია მოცემულ ქვეყანაში. მაგალითად გამოგონება, ამერიკის შეერთებული შტატების პატენტის მიხედვით, თუ დაცული არაა საქართველოში, შესაძლებელია მისი გამოყენება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ქვეყნის შიგნით. ასეთი ქმედება არ ჩაითვლება საპატენტო უფლების დარღვევად, მაგრამ თუ ამ პატენტით დაცული პროდუქტის რეალიზაცია მოხდა აშშ–ში, ან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც აღნიშნული პატენტი მოქმედებს, ფაქტი აღქმული იქნება, როგორც პატენტმფლობელის უფლებების შელახვა.

ინტელექტუალური საკითხების აუდიტორული შემოწმების უფლების დამცავი ექსპერტიზის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია დამცავი დოკუმენტის ექსპერტიზა "დაცვის ვადების " თვალსაზრისით, რადგან თითოეულ ასეთ დოკუმენტს გააჩნია მოქმედების ვადა. ასე მაგალითად პატენტი გამოგონებაზე დაცულია 20 წლის ვადით, საპატენტო ორგანოს მიერ განაცხადის მიღების დღიდან, სამრეწველო ნიმუშზე ვადა 10 წლით განისაზღვრება, დამატებით არაუმეტეს 5 წლით გაგრძელების შესაძლებლობით. პატენტი სასარგებლო მოდელზე მოქმედებს 5 წლის განმავლობაში ვადის 3 წლით გაგრძელების შესაძლებლობით, სასაქონლო წარმოშობის ადგილის ნიშანზე უფლება მოქმედებს 10 წლის განმავლობაში, შემდგომში 10 წლიანი ვადით მრავალჯერადი გაგრძელების უფლებით.

გ) ინტელექტუალურ საკუთრებაზე სამართლებრივი უფლების ექსპერტიზა;

"დაცვის ობიექტის" აღნიშნული სახის ექსპერტიზა ითვალისწინებს, რომ სამართლებრივი დაცვის სფეროს გავრცელებას:

- გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ფორმულაზე;
- არსებითი ნიშნების ერთობლიობაზე, რომელიც შეიძლება მოცემული იყოს ნახატზე, ფოტოზე, მაკეტზე (სამრეწველო ნიმუშებისათვის);
- საქონლის ან მომსახურების ჩამონათვალზე (სასაქონლო ნიშნისათვის).

დ) ინტელექტუალურ საკუთრებაზე ღირებულების ექსპერტიზა, რომელიც მიმდინარეობს ორგანიზაციაში არსებული პირველადი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საშუალებით, იგი ხორციელდება ყველა სახის გაწეული ხარჯების შეჯამებით, რაც ინტელექტუალური საკუთრების შექმნას და მის საწარმოო სახემდე მიყვანას დასჭირდა.

ე) ინტელექტუალური საკუთრების სააღრიცხვო დოკუმენტების ექსპერტიზა;

ინტელექტუალური საკუთრების, როგორც საწარმოს არამატერიალური აქტივების საბუღალტრო აღრიცხვის შემთხვევაშია გათვალისწინებული, რომელიც ანგარიშთა გეგმის 04 პუნქტის "არამატერიარული აქტივები" ჩანაწერებში ხვდება, როგორც ფაქტი სამეურნეო ოპერაციის შესრულებისა. საამორტიზაციო დანარიცხები დაერიცხება იმ ოდენობით, რომელიც გათვალისწინებულია მისი გამოყენების დადგენილი ნორმებით.

ინტელქტუალური საკუთრების განსაკუთრებულ სახეს საინფორმაციო პროდუქტი წარმოადგენს. ის გულისხმობს ინფორმაციის ნებისმიერ სახეობას ამა თუ იმ ფორმით (მათ შორის ხმოვანი და ვიდეო), იმ მატერიალურ გარემოსთან ერთად, რომლითაც ეს ინფორმაცია გადაიტანება.

საბაჟო მიზნებისათვის ცნება საინფორმაციო პროდუქტი" მოიცავს:

1. ფოტოფირიდან პოზიტიურ ამონაბეჭდს;
2. სქემას, ნახატს, ფოტო ასლს;
3. ნაბეჭდ ფორმებსა და გამოსახულებებს;
4. რადიო და ტელევიზიის კომერციულ გადაცემებს;
5. ჩაწერილ მაგნიტურ ლენტებს;
6. რადიო და სატელევიზიო წარმოებაში სხვა მასალების შექმნისათვის წინასწარ ჩაწერილ ვიდეო ლენტებსა და ჩანაწერებს.

ნორმატიული დოკუმენტი, რომლითაც რეგლამენტირებულია ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალი, არ გულისხმობს საქონელს, რომელიც სამომხმარებლო ბაზარზე ვრცელდება ჩვეულებრივი მარკეტინგული ქსელის საშუალებით, ისეთები როგორიცაა: მუსიკალური ჩანაწერები, ჩაწერილი ვიდეოკასეტები, წიგნები, სტანდარტული გეგმები და სხვა.

საინფორმაციო პროდუქტის განსაკუთრებული საკლასიფიკაციო ჯგუფი პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტთა ჯგუფია.

ინფორმაციული ხასიათის პროდუქტების ღირებულების განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ორი გარემოება:

- მატერიალური გარემოს ღირებულება და ინფორმაციის განთავსების ღირებულება ამ მატერიალურ გარემოში;
- ინფორმაციის ღირებულება, რომელსაც შეიცავს განთავსების ფიზიკური გარემო, ან მათი გამოყენების უფლების ღირებულება (ჰონორარი, საავტორო უფლება, საპატენტო გადასახადი და ა.შ.)

ინფორმაციული პროდუქტის იმპორტი გარიგების ისეთი სახეა, რცა მყიდველმა განთავსების გარემოსთან ერთად შეიძლება შეიძინოს მთლიანი ინფორმაციის გამოყენების მონოპოლიური უფლება, ამ შემთხვევაში ინფომაციული პროდუქტის საბაჟო ღირებულება გარიგების ფასის მიხედვით გამოიანგარიშება.

მაგნიტურ მატარებელზე იმპორტირებულ აუდიო, ვიდეო, ან კინომატოგრაფიული ჩანაწერებზე, რომელიც გათვალისწინებულია სარეკლამო სააგენტოებისა და სატელევიზიო ქსელით გავრცელებისათვის, საბაჟო ღირებულება გამოიანგარიშება მაგნიტური მატარებლის ღირებულებიდან გამომდინარე, რომელიც რამოდენიმე ფულადი ერთეულის ტოლი შეიძლება იყოს და არა მასალის დემონსტრირების უფლების საკონტრაქტო ღირებულებიდან, რომლის ოდენობამ შეიძლება რამოდენიმე მილიონ ფულად ერთეულს მიაღწიოს.

"საბაჟო ტარიფების" შესახებ საკანონმდებლო მოთხოვნიდან გამომდინარე საბაჟო ღირებულების გამოანგარიშებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ინტელექტუალურ საკუთრებაზე სალიცენზიო, ან სხვა სახის გადასახადების ოდენობა.

4.9. კულტურული ფასეულობისა და ხელნაკეთი ნივთების საბაჟო ექსპერტიზა

ქვეყნისა და ერის ნაციონალური სიმდიდრის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, კულტურული ფასეულობის სფეროში, საერთაშორისო ვაჭრობა გარკვეული პირობებით შეზღუდულია. დასაშვებადაა მიჩნეული მხოლოდ მოძრავი ობიექტებით ვაჭრობა, რომელიც მითითებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კულტურისა და განათლების კომიტეტის (**იუნესკო**) კონვენციით

“კულტურული ფასეულობების უკანონო გატანის, შემოტანის, საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვისა და გამაფრთხილებელ ღონისძიებათა წინააღმდეგ მიმართული ზომების შესახებ”. კონვენცია ვრცლდება საერო და რელიგიურ მატერიალურ კულტურულ ღირებულებებზე, რომელიც თითოეული სახელმწიფოს მიერ განიხილება, როგორც გარკვეული მნიშვნელობის მქონე მატერიალური ფასეულობა არქეოლოგიის, ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების დარგში. ტერმინი “მოძრავი კულტურული ფასეულობები” განსაზღვრავს ყველა მოძრავ ფასეულობას, რომლებიც ადამიანის შემოქმედებითი შრომის გამოვლინება, ან ბუნების ევოლუციური განვითარების მოწმეა. კონვენციაში მოყვანილია კულტურულ ფასეულობათა 11 კატეგორია, რომელთა შორისაცაა:

1. მიწისქვეშა და წყალქვეშა არქეოლოგიური კვლევებით და გათხრებით მოპოვებული ნიმუშები;
2. უძველესი ბრძოლის, შრომის იარაღები, წარწერები, მონეტები, ბეჭდები, ძვირფასეულობა, ნამარხი საკულტო საგნები, მათ შორის მუმიები;
3. დანაწევრებული სახის ისტორიული ძეგლის ელემენტები;
4. ანთროპოლოგიური და ეთნოლოგიური მასალები;
5. ისტორიული ფასეულობები, მათ შორის ფასეულობები, რომლებიც დაკავშირებულია საბუნებისმეტყველო მეცნირებებთან და ტექნიკასთან, სამხედრო და საზოგადოებრივ ისტორიასთან, ასევე ხალხთა და ნაციონალური ხელმძღვანელების, მოაზროვნეების, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეთა ცხოვრებასთან, მნიშვნელოვან ნაციონალურ მოვლენებთან;
6. მხატვრული ფასეულობანი:
   - მთლიანად ხელით შესრულებული ნახატები და ფერწერული ნაწარმოებები ნებისმიერ მასალაზე და ნებისმიერი მასალით;
   - ორიგინალური შემოქმედების ნიმუშები ესტამპები, აფიშები და ფოტოგრაფიები;
   - ორიგინალური მხატვრული ნაკრებები და ნებისმიერი მასალების მონტაჟი;
   - სკულპტურები ნებისმიერი მასალისაგან;
   - გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები შუშის, კერამიკის, მეტალის, ხისა და სხვა მასალების გამოყენებით;
7. მანუსკრიპტები, კოდექსები, წიგნები, დოკუმენტაციები ან გამოცემები;
8. ნუმიზმატიკური საგნები (მედლები და მონეტები), ან ფილატელია;
9. საარქივო დოკუმენტები, მათ შორის ტექსტების ჩანაწერები, რუკები და სხვა კარტოგრაფიული მასალა, ფოტოგრაფიები, კინოფილმები, აუდიოჩანაწერები;
10. ავეჯი, გობელენი, თექა, ხალიჩები, კოსტიუმები და მუსიკალური ინსტრუმენტები;
11. ზოოლოგიური, ბოტანიკური და გეოლოგიური ნიმუშები.

კონვენციის მიხედვით გარდა ტერმინებისა ”კულტურული ფასეულობა”, ”კულტურული ღირებულება”, ”კულტურული მონაპოვარი”, საერთაშორისო და მრავალი ქვეყნის სამართლებრივ აქტებში გამოიყენება ტერმინი ”კულტურული მემკვიდრეობა”, რომელიც კულტურული ფასეულობის დაცვის ძირითადი კატეგორიის აღმნიშვნელია, ასევე 1972 წლიდან ”იუნესკოს” დოკუმენტაციაში შეტანილია ”გამორჩეული უნივერსალური ფასეულობის”

კატეგორია, რომელიც გულისხმობს ამ კატეგორიების ფასეულობების დაცვას, მიუხედავად. იმისა თუ რომელ ქვეყანასა და ხალხს ეკუთვნის ის. მათი დაცვის თვალსაზრისით მოხსნილია ყველა პირობითობა და იგი გულისხმობს, როგორც მოძრავი, ასევე უძრავი კულტურული ფასეულობის დაცვას. უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო აქტებში გამოჩნდა ახალი ტერმინი – ”Cultural patrimony”, რომელიც მხოლოდ კულტურის მონაპოვარს აღნიშნავს და ამ ხარისხით ის განიხილება, როგორც წარმოშობის სახელმწიფო, რომელიც ქვეყნიდან ექსპორტს არ ემორჩილება.

ყველა ზემოთ მოყვანილი სამართლებრივი წყაროები გამოდის სახელმწიფოს სუვერენიტეტის პრინციპებიდან ე.ი. ისინი სახელმწიფოს კომპეტენციაში კულტურული ფასეულობებისათვის შესაბამისი კრიტერიუმის მინიჭების უფლებას განიხილავს.

რეგიონალურ დონეზე მოძრავი კულტურული ფასეულობების დეტალური კლასიფიკაცია მოცემულია ევროკავშირის ქვეყნების”კულტურული ფასეულობების გატანის შესახებ” მოქმედ დირექტივში. მასში გამოყოფილია ფასეულობათა 14 კატეგორია, რომელშიც იუნესკოს კლასიფიკაციისაგან განსხვავებით დამატებულია ოპტიკური, ფოტოგრაფიული და კინემატოგრაფიული ინსტრუმენტები, საათები, შპალერი, იარაღი და სხვა. კლასიფიკაცია შედგება A ორი B და ნაწილისაგან. A ნაწილში მოცემულია 14 კატეგორია, რომელშიც ფასეულობების განსაზღვრისათვის შემოღებულია მათი შეზღუდვა მინიმალური ხანდაზმულობის მიხედვით. მაგალითად, A ნაწილის პირველი კატეგორია მოიცავს არქეოლოგიურ ნივთებს, ღირსშესანიშნავ ადგილებსა და კოლექციებს, რომელთა ასაკი 100 წელს აღემატება, მეორე კატეგორიაში თავმოყრილია იგივე ხანდაზმულობის მქონე ხელოვნებისა და რელიგიური ძეგლების შემადგენელი ნაწილები. ცალკე კატეგორიებითაა გამოყოფილი იგივე ასაკის ნებისმიერი ანტიკვარული საგნები, მათ შორის სათამაშოები და თამაშები, შუშისა და საიუველიერო ნაკეთობანი, ავეჯი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა საგნები, წიგნები, ხელნაწერი და ბეჭდური სახის ცალკეული ეგზემპლარები, ან კოლექციები, ხოლო ნაბეჭდი გეოგრაფიული რუქებისათვის ხანდაზმულობის ასაკი გაზრდილია და შეადგენს 200 და მეტ წელს. ანტიკვარის ასაკობრივი სტატუსის მისაღებად სატრანსპორტო საშუალებებისათვის დაწესებულია 75 წელი, რომელებიც ასევე ცალკე კატეგორიით კლასიფიცირდება. 50 წლიანი ხანდაზმულობის ვადა მოქმედებს ნებისმიერი სახის ინფორმაციის მატარებელზე, ნებისმიერი სახის არქივებზე და საარქივო მონაცემებზე, ხელნაწერებზე, ფოტოგრაფიებზე, ფილმებზე და მათ ნეგატივებზე (თუ ისინი ავტორის საკუთრებას არ წარმოადგენს).

ხანდაზმულობის შეუზღუდავად კლასიფიცირდება ისეთი კულტურული ფასეულობანი როგორიცაა: მთლიანად ხელით შესრულებული სურათები და ტილოები, აკვარელის, გუაშის და მოზაიკის ნამუშევრები. კულტურულ ფასეულობათა რიცხვში შედის და დამოუკიდებელი კატეგორიით კლასიფიცირდება ხელოვნების ნაწარმოების სტატუსის არმქონე ნამუშევრები მათ შორის კოლექციები, ზოოლოგიური, ბოტანიკური, მინერალოგიური, ან ანატომიური კრებულები. ტერმინი კოლექცია ”საბაჟო ტარიფების შესახებ კანონის” მიხედვით გულისხმობს საკმაოდ იშვიათ საგნებს, რომლებიც, როგორც წესი, არ გამოიყენებიან თავიაანთი პირველადი დანიშნულების მიზნით, სპეციალური ვაჭრობის საშუალებას შეადგენს და გააჩნიათ მაღალი ღირებულება.

საგნები A ნაწილში მოცემული კატეგორიის მიხედვით კლასიფიცირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი ღირებულება შეესაბამება B ნაწილში მოცემულ ღირებულებათა ჯგუფებს.

ღირებულებათა პირველი ჯგუფი აერთიანებს, ნულოვანი ღირებულებიდან დაწყებული არქეოლოგიურ საგნებს, არქიტექტურულ და რელიგიურ ძეგლებს და მათ ნაწილებს, ხელნაწერებს, არქივებს.

ღირებულებათა მეორე ჯგუფი, რომელშიც კულტურულ ფასეულობათა ღირებულება 15 000 €–ს აღემატება მოიცავს მოზაიკას, ნახატებს, გრავიურებს.

ღირებულებათა მესამე ჯგუფი აერთიანებს აკვარელით, გუაშით და პასტელით შესრულებულ ნამუშევრებს, რომელთა ღირებულება 30 000 €–ს აღემატება.

ღირებულებათა მეოთხე ჯგუფს შეადგენს ფასეულობები 50 000 €–დან და ზევით მათ შორის: ქანდაკებები, წიგნები, კოლექციები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა საგნები.

ღირებულებათა კატეგორიის მეხუთე ჯგუფს შეადგენენ ხანდაზმულობის შეუზღუდავად კლასიფიცირებული მთლიანად ხელით შესრულებული სურათები (ნახატები), ტილოები, აკვარელის, გუაშის, მოზაიკის ნამუშევრები, რომელთა ღირებულება 150 000 € და უფრო მეტია.

საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულია ნაციონალურ საბაჟო ნომენკლატურაში ქვესუბპოზიციის დონეზე ჩართულ იქნეს სასაქონლო კოდი ხელნაკეთი და ხალხური რეწვის ნივთების აღნიშვნისათვის, რაც გაადვილებდა მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს მოცემული კულტურული ფასეულობის მიმართ. საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ ხელნაკეთი და ხალხური რეწვის ნივთები ტურისტული და სავაჭრო ბიზნესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რაც საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მხრიდან მოითხოვს ასეთი ნივთებით ვაჭრობის ხელშეწყობის სტრატეგიული მიმართულების ჩამოყალიბებას. ამ მიზნის მისაღწევად საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაცია რეკომენდაციას აძლევს ნაციონალურ საბაჟო ორგანოებს, თუ ისინი საჭიროდ ჩათვლის ნაციონალური პროგრამის ფარგლებში, სასაქონლო ნომენკლატურის აღრიცხვასთან ერთად, შემოიღოს ასეთი საქონლის სერტიფიცირების პროცედურები.

სასაქონლო ნომენკლატურის კოდის განსაზღვრა, აღნიშნული პროდუქციის მიმართ, მოითხოვს ასეთი საქონლის არსის ზუსტ განსაზღვრას და ცალსახა გამიჯვნას სხვა მსგავსი პროდუქციის სასაქონლო კოდისაგან, რასაც ყველა ქვეყანა საკუთარი ისტორიული, ეთნიკური, რელიგიური ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებს.

ხელნაკეთი საქონლის კატეგორიას განეკუთვნება პროდუქცია, რომელიც წარმოებულია ქვეყანაში, გააჩნია პრეფერენციერების უფლება, საერთაშორისო პრეფერენციერების სისტემის ფარგლებში და ისეთი საქონელია, რომელსაც ახასიათებს:

- ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ ტრადიციულად გამოყენებული ფორმა და დეკორი;
- არის რომელიმე ნაციონალური, ტერიტორიული, ან რელიგიური სიმბოლო, რაც მათ აძლევს ოსტატის ინდივიდუალური ნამუშევრის არსებით თვისებას;
- უტილიტარული დანიშნულების არქონა და არ არის კუსტარული წარმოების ასლი, ან იმიტაცია.

ხალხური რეწვის ასეთი სახის საქონელს განეკუთვნება ნაციონალური ტრადიციების საფუძველზე შექმნილი ნიმუშები: თოჯინები, მუსიკალური

ინსტრუმენტები, საფერფლეები, ცხოველების, რელიგიური სიმბოლოების ხელნაკეთი სტატუეტკები, მისალოცი ბარათები, კედლისა და მაგიდის სამშვენისები, სავარძლები, ბიჟუტერია, ქამრები, მძივები, ღილები, რომლებიც შესრულებულია უპირატესად ხის, ბოჭკოვანი მცენარეების, გამხმარი ცომის, ტყავის, ბეწვის, ბუმბულის, პერლამუტრის, რქის, ნიჟარებისა და სხვა ბუნებრივი წარმოშობის მასალისაგან, რომელთა დამუშავების ტექნოლოგიაში გამოყენებულია მხოლოდ კუნთების ძალის ამძრავიანი მექანიკური მოწყობილობები.

ხელნაკეთ პროდუქციაზე და ხალხური რეწვის ნიმუშებზე გაცემული სერტიფიკატი შეიცავს ნაკეთობის შესახებ აუცილებელ ინფორმაციას, რომელიც დამოწმებულია წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ.

კულტურული ფასეულობის ხელნაკეთი ნიმუშების და ხალხური რეწვის სფეროში აპელირებენ ტერმინებით, რომელთა ცალსახა ინტერპრეტაცია საშუალებას იძლევა მოცემულ სფეროში საერთაშორისო მასშტაბის ინტეგრაციული პროცესები მართოს. მათ შორის ტერმინი <u>ტრადიციული მახასიათებლები</u> გულისხმობს ნაკეთობის ნებისმიერ ფორმასა და დეკორს, რომელიც ფართოდ და ჩვეულებრივ გამოიყენება მოცემული გეოგრაფიული ოლქის მცხოვრებთა მიერ. მაგალითად კანადის მცხოვრებთათვის – ნეკერჩხლის ფოთოლი, ქართველებისათვის ვაზის სტილიზებული ორნამენტი, ან ლიბანელთათვის კედარი. ტერმინი <u>არაუტილიტარული</u> აღწერს საქონელს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს სასარგებლო ფუნქცია, მაგრამ შესაფასებელია, როგორც მხატვრული, რელიგიური, ან კულტურის ნაწარმოები, მაგალითად მოსევადებული ცივი იარაღის ნიმუშები. ნაკეთობის <u>მხატვრული სახე</u> გულისხმობს ნებისმიერ ფორმასა და დეკორს, რომელიც განვითარებულია ტრადიციული ფორმების, ან დიზაინისაგან, მაგრამ შესრულებულია თანამედროვე მანერით. მაგალითად, ხევსურული ჯვრებიანი ქუდი ან თანამედროვე სტილიზებული კერამიკული ჭურჭელი, ფიალების მრავალფეროვნება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

კულტურული ფასეულობები კლასიფიცირდება სასაქონლო ნომენკლატურის ჰარმონიზებული სისტემის 97 ჯგუფის მიხედვით (სასაქონლო პოზიცია 9701 – 9706). კულტურული ფასეულობების 9701 – 9705 პოზიციებით კლასიფიცირებული საქონელი მათ ხანდაზმულობაზე არაა დამოკიდებული თუ შემოსატან ან გასატან ნივთებს შორის არის საგნები, რომელთა ასაკი 100 წელს აღემატება ან ხელოვნების თანამედროვე ნიმუშებს წარმოადგენეს, ამ შემთხვევასი არ არსებობს მათი ხანდაზმულობის მიხედვით დაყოფის აუცილებლობა, მაშინ როდესაც სასაქონლო პოზიცია 9706 ანტიკვარიატს გულისხმობს, რომელთა ასაკი 100 წელს აღემატება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სურათის, სარკის, ან სხვა ჩარჩო, ქარქაში, ფუტლიარი ხელოვნების ნიმუშებისათვის, ხშირად თვითონ, დამოუკიდებლად წარმოადგენს კულტურულ ფასეულობას, ამიტომ მათი კლასიფიკაცია ხორციელდება, როგორც ძირითადი დანიშნულების მქონე კულტურული ფასულობა.

ზოგადად კულტურულ ფასეულობათა კლასიფიკაცია ექსპერტისაგან, საკლასიფიკაციო ობიექტების მრავალფეროვნების გამო, სპეციალურ ცოდნასა და განათლებას მოითხოვს სახვითი ხელოვნების, ლიტერატურის, მუსიკის, ეთნოგრაფიის, ტექნიკის და სხვა დარგებში.

კულტურული ფასეულობების საექსპერტო დასკვნები, მათი საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას, აუცილებელი და მნიშვნელოვანი დოკუმენტია. კულტურული ფასეულობების საექსპერტო დასკვნა მისი ყოველმხრივი შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე გაიცემა, რომელშიც მითითება ფასეულობის წარმოშობის უტყუარობის, ავტორობის, დასახელების, შექმნის დროისა და ადგილის, გამოყენებული მასალებისა და ტექნიკის, გეომეტრიული

ზომების (მასის), განმასხვავებელი თავისებურებების, შენახვის თვალსაზრისით მისი მდგომარეობისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შესახებ.

საექსპერტო დასკვნა, ფასეულობის საზღვარგარეთ გატანის, ან დროებითი გატანის რეჟიმის გამოყენებისას, უნდა შეიცავდეს დასაბუთებულ მოტივაციას პროცედურების ჩატარების შესაძლებლობის, ან შეუძლებლობის შესახებ, ასევე საბაზრო ფასის გათვალისწინებით ფასეულობის შეფასების წინადადებებს.

საექსპერტო დასკვნა კულტურულ ფასეულობებზე დროებითი გატანის რეჟიმიდან დაბრუნების შემდეგ, უნდა შეიცავდეს დასაბუთებებს ადრინდელ საექსპერტო დასკვნასთან მისი იდენტიფიკაციის შესახებ, მონაცემებს, დაბრუნების შემდეგ მისი შენახვისა და დაცულობის შესახებ. საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია გაფართოებული საბაჟო კონტროლის პროცედურა მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად ჩატარდეს.

კულტურული ფასეულობების გაფორმებისას, საბაჟო ორგანოების ფისკალური ფუნქცია მინიმუმამდე დაიყვანება. საბაჟო კანონმდებლობა საშუალებას იძლევა ფასეულობის გადაადგილებაზე კონტროლი მოხდეს მინიმალური საბაჟო გადასახდელების გადახდით, თუ ისინი ანტიკვარიატის, ან ეროვნული მონაპოვრის, ეროვნული საგანძურის კატეგორიით არ კლასიფიცირდება. მიუხედავად გარკვეული შეღავათებისა, მათი გადაადგილებისას, დღგ-ს გადახდა აუცილებელია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში დასაშვებია მისი გაუქმება, როდესაც საქმე ეხება ეროვნული და ეროვნული საგანძურის ნიმუშებით სახელმწიფო მუზეუმების კოლექციების შევსებას, მათი შეძენის ან ჩუქების შემთხვევაში.

კულტურულ ფასეულობათა შეფასებისას. საექსპერტო დასკვნაში გათვალისწინებული უნდა იყოს საბაზრო ფასების მდგომარეობა, რომელიც მრავალ სხვადასხვა საცნობარო გამოცემებში ქვეყნდება, მათ შორის კულტურულ ფასეულობათა აუქციონის შედეგების გამოცემებში. მიუხედავად ამისა, საექსპერტო შეფასება მაინც მიახლოებითი ხასიათისაა და ბევრადაა დამოკიდებული, როგორც ობიექტის, ასევე ექსპერტის ინდივიდუალურ თვისებებზე. ხშირად საბაჟო ღირებულებების განსაზღვრისას სარგებლობს კულტურულ ფასეულობათა დაზღვევისა და შეძენისას გამოყენებული შეფასების მეთოდებით. რადგან ხელოვნების ნიმუშები კაპიტალდაბანდების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებად ითვლება, ინვესტორთა მოთხოვნილების გათვალისწინებით, 1998 წელს კომპანია “Fine Art Investment Group”–ის მიერ დამუშავებულია კომპიუტერული პროგრამა Investment, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს კაპიტალდაბანდებისათვის ყველაზე პერსპექტიული ავტორები.

პროგრამა გათვალისწინებულია 65000 მხატვრის ნამუშევრის (ზომით 160X160 sm) კომპიუტერული შეფასებისათვის. პროგრამას საფუძვლად უდევს ანტიკვარული გაერთიანება “ჰელიოსის” აუქციონზე ვაჭრობის შედეგები. ბევრი ცნობილი მხატვრის ნაწარმოებმა მიაღწიეს რა მაქსიმალურ ღირებულებას, ფასი აღარ ემატება. როგორც პერსპექტიული მხოლოდ ცალკეული ქვეყნებისა და მიმდევრობის მხატვართა მცირე რაოდენობა შეიძლება იქნეს ამ თვალსაზრისით განხილული.

მეთოდის საფუძველს შეადგენს ფერწერის ერთი კვადრატული სანტიმეტრის ღირებულებასა და ტილოს მთლიან ზომას შორის კავშირი. შეფასება გამოიანგარიშება მოცემული მხატვრის ნამუშევრების შეფასებათა საშუალო მნიშვნელობების მიხედვით. შეფასებათა მთლიანი დიაპაზონი პირობითად დაყოფილა 12 დონედ, ისე რომ ყოველი მეორე დონის ღირებულება წინასაგან 1,5 – 2 ჯერ განსხვავდება. ამ თვისებათა მიხედვით ყველა მხატვარი განაწილებულია 12 ჯგუფში. თითოეული ჯგუფის მხატვრებისათვის

გამოთვლილია ფარდობის საშუალო კოეფიციენტი, ნახატის ფართზე დამოკიდებულებით. შეფასება იწყება მხატვრის სახლისა და ნახატის ზომის მიხედვით. პარამეტრები, რომლითაც ნახატები ერთმანეთს უნდა შეედაროს, შეიძლება იყოს რამდენიმე უმრავლეს შემთხვევაში მათ შესადარებლად საკმარისია 4.8 ცხრილში მოყვანილი შემდეგი 5 პარამეტრის შედარება, სადაც თითოეული მათგანი შესაბამისი ქულით ფასდება.

ცხრილი № 4.8

ფ ე რ წ ე რ ი ს ხ ა რ ი ს ხ ი	
0,2 – 0,5	ჩანახატი
0,6 – 0,9	ესკიზი
1,0	საშუალო, ყველაზე გავრცელებული
1,1 – 1,3	კარგი
1,4 – 1,7	ძალიან კარგი
1,8 – 2,0	განსაკუთრებული
ისტორიულ–დოკუმენტური და მხატვრული ღირებულება	
1,0	არ გააჩნია
1,1 – 1,3	აქვს მცირე მხატვრული ღირებულება
1,3 –1,7	ნახატი წარმოადგენს მხატვრულ ღირებულებას
1,8 –3,0	განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ხელოვნებაში, შედევრია
ს ი უ ჟ ე ტ ი ს ა ქ ტ უ ა ლ ო ბ ა	
0,2 – 0,9	არაფრისმთქმელი, მოსაწყენი, გამოუსადეგარი, უინტერესო
1,0	ჩვეულებრივი, ძალიან გავრცელებული
1,1 – 1,3	გაზრდილი მოთხოვნილების
1,4 – 1,7	ძალიან ლამაზი და საინტერესო სიუჟეტია
1,8 – 2,5	განსაკუთრებულია სილამაზით და ძალიან მოდურია
ნამუშევრის მდგომარეობა შენახვის თვალსაზრისით	
1,0	მთლიანად შენახულია
0,7 – 0,9	ესაჭიროება უმნიშვნელო რესტავრაცია
0,2 – 0,6	ცუდად შენახული
მოთხოვნის ცვლილება ადგილობრივ ბაზარზე წინა სეზონთან შედარებით	
1,0	ჩვეულებრივი მოთხოვნა
1,1 – 1,4	აჟიოტაჟური მოთხოვნა
1,5 – 2,0	მოთხოვნა დიდი აჟიოტაჟით

ნებისმიერი ნამუშევრის შეფასებისათვის, აუცილებელია ვიპოვოთ ამ მხატვრის საშუალო ხარისხის სურათის ფასი და გავამრავლოთ შესაბამის კოეფიციენტებზე. მიღებული შეფასების მონაცემთა ბაზის მნიშვნელობასთან შედარება განსაზღვრავს ავტორისა და ნამუშევრის ბაზარზე მოთხოვნილებას.

5. საბაჟო სატარიფო და არასატარიფო რეგულირების საფუძვლები

5.1. არასატარიფო რეგულირების საბაჟო ღონისძიებები

მსოფლიო პრაქტიკაში, საბაჟო შეზღუდვების არასატარიფო ღონისძიებების გამოყენების მიმართ, საკმაოდ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება არსებობს. ერთი მხრივ "ვაჭრობაში ტარიფებზე გენერალური შეთანხმების" და საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნები ეწინააღმდეგება და რეკომენდაციას იძლევა მაქსიმალურად შეიზღუდოს ასეთი სახის შეზღუდვები სატარიფო რეგულირების მეთოდების უფრო ფართოდ გამოყენების ხარჯზე, ხოლო მეორე მხრივ, ის ქვეყნებიც კი რომლებიც ტარიფებზე გენერალური შეთანხმების მონაწილენი არიან, მისი ძალაში შესვლის დღიდან, დღესაც იყენებენ საგარეო ვაჭრობის არასატარიფო შეზღუდვის სხვადასხვა ფორმას. უფრო მეტიც არასატარიფო შეზღუდვების ზოგიერთი ფორმის გაუქმება უბრალოდ შეუძლებელია, რადგან ცალკეული ქვეყნებისათვის ისინი შიგა ეკონომიკური პოლიტიკის გამოძახილია სხვა ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო–ეკონომიკურ ურთიერთობებზე. დასასრულ, საერთაშორისო სავაჭრო სისტემის მიერ დაკანონებული არასატარიფო შეზღუდვების ღონისძიებები არსებობს, რომლებიც მოწოდებულია დადგენილი წესებით ნაციონალური ეკონომიკის ზარალის თავიდან ასაცილებლად, ან მის ნაწილობრივ აღმოსაფხვრელად, იმ შემთხვევების დროს, როდესაც მკვეთრად იზრდება ქვეყანაში იმპორტის მოცულობა. ასევე ღონისძიებები, რომელიც მიმართულია იმპორტირებული საქონლის მხრიდან არაჯანსაღი კონკურენციის აღმოსაფხვრელად.

იმპორტის ოპერაციების არასატარიფო შეზღუდვები განიხილება როგორც შემზღუდველ-ამკრძალავი ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხელს უშლის ქვეყნის შიგა ბაზარზე უცხოური საქონლის შემოსვლას.

არასატარიფო შეზღუდვების მიზანი არა მხოლოდ ადგილობრივი ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაა, არამედ ნაციონალური მწარმოებლის, მოსახლეობის, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის, გარემოს, მორალის, რელიგიისა და ნაციონალური უსაფრთხოების დაცვაა. ამას გარდა, არასატარიფო შეზღუდვების ღონისძიებები გამოიყენება ექსპორტის ოპერაციების შესრულებისას ნაციონალური სამომხმარებლო ბაზრის, ქვეყნის ბუნებრივი რესურსებისა და კულტურული ფასეულობების დასაცავად.

არასატარიფო შეზღუდვების საკლასიფიკაციო სისტემა საკმაოდ ვრცელია, დღესდღეობით ამ ღონისძიებათა დაახლოებით 800 კონკრეტული სახეობაა ცნობილი.

ღონისძიებები, რომლებიც პირდაპირ, თუ ირიბად არეგულირებს საგარეო ვაჭრობის ბაზარს იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- სატარიფო რეგულირების ღონისძიებანი;
- პარასატარიფო ღონისძიებანი;
- ფასების კონტროლის ღონისძიებანი;
- ფინანსური ზომები;
- ავტომატური ლიცენზირების ზომები;
- რაოდენობრივი კონტროლის ღონისძიებები;
- მონოპოლისტური ზომები;
- ტექნიკური ღონისძიებები.

საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია, მიუხედავად არასატარიფო რეგულირების ღონისძიებების მრავალფეროვნებისა, საგარეო სავაჭრო ბრუნვის რეგულირების უმთავრეს მექანიზმად განიხილავს მხოლოდ სატარიფო რეგულირების ღონისძიებებს, ამიტომ ყველა დანარჩენი განიხილება, როგორც არასატარიფო რეგულირების ღონისძიებები. მიუხედავად არასატარიფო რეგულირების ღონისძიებების მრავალფეროვნებისა, მათი დაყოფა შესაძლებელია ორ დიდ ჯგუფად: ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ჯგუფებად. **ეკონომიკურ ღონისძიებათა ჯგუფს** მიეკუთვნება გადასახადის განსაკუთრებული სახეები, სხვადასხვა ბეგარა და მოსაკრებელი, საიმპორტო დეპოზიტები, სავალუტო რეგულირების ღონისძიებანი. **ადმინისტრაციულ ღონისძიებათა ჯგუფი** ბევრად უფრო მრავალფეროვანია და შეიცავს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა ემბარგო, ლიცენზირება და კვოტირება, ექსპორტის "ნებაყოფლობითი" შეზღუდვა, მონოპოლისტური ღონისძიებანი, სტანდარტების, ტექნიკური ნორმების, დამატებითი საბაჟო დოკუმენტებისა და პროცედურების პროტექციონისტული მიზნით გამოყენება და სხვა. პირველი ჯგუფი მოქმედებს როგორც ბაზრის მექანიზმი, რომელიც ასევე მოქმედებს იმპორტისა და ექსპორტის ფასზე. ამ შემთხვევაში, მიუხედავად გარკვეული სახის შეზღუდვებისა, მომხმარებელი მაინც ღებულობს გადაწყვეტილებას საქონლის არჩევისას, ხოლო მეორე ჯგუფი საბაზრო ურთიერთობის გარდა ზღუდავს ექსპორტის ან იმპორტის მოცულობას, რითაც სახელმწიფო ფაქტიურად თვითონ განსაზღვრავს ბაზრის სასაქონლო სტრუქტურას და მომხმარებელს უსპობს სასურველი საქონლის შეძენის არჩევანის თავისუფლებას.

განვიხილოთ არასატარიფო ღონისძიებათა ძირითადი ჯგუფები.

<u>პარასატარიფო (ზესატარიფო) ზომები</u> – საქონელზე დარიცხული და გადახდას დაქვემდებარებული გადასახდელები და მოსაკრებლებია, რომლებიც ზრდის შემოტანილი საქონლის ფასს, დამატებით, საბაჟო გადასახდელებს ზევით.

ზოგიერთი სახელმწიფოს პრაქტიკაში აღნიშნული ღონისძიება მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ერთის მხრივ ამცირებენ რა საბაჟო გადასახდელების მოცულობას, ისინი ცდილობენ ფისკალური დანაკლისი პარასატარიფო ღონისძიებების ხარჯზე აინაზღაურონ. ამ ღონისძიებათა შორის გამოყოფენ დამატებითი საბაჟო გადასახდელის და მოსაკრებლის ფორმებს, შიგა (გამათანაბრებელ) გადასახადებს და მოსაკრებლებს, ასევე საბაჟო შეფასების დეკრეტირებულ ფორმას.

<u>დამატებითი საბაჟო გადასახდელი</u> – დამატებითი გადახდებია, რომლებიც, ბიუჯეტის შევსებისა და ნაციონალური წარმოების დაცვის გზით სავაჭრო-პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება.

<u>დამატებითი საბაჟო მოსაკრებელი</u> – დამატებითი გადახდებია, რომელიც გადაიხდება იმპორტირებულ საქონელზე საბაჟო გადასახადებს ზევით, ამასთან, ამ გადასახადებს ქვეყნის შიგნით ანალოგი არ გააჩნიათ და გათვალისწინებულია საგარეო ვაჭრობის გარკვეული სახეობების დასაფინანსებლად. მათ განეკუთვნებათ უცხოური ვალუტის გადარიცხვის გადასახადი, საღერბო მოსაკრებელი, იმპორტის ლიცენზიის მოსაკრებელი, საპორტო მოსაკრებელი, სტატისტიკური გადასახადი, სატრანსპორტო საშუალების გადასახადი.

<u>შიგა (გამათანაბრებელი) გადასახადები და მოსაკრებლები</u> – ირიბი გადასახადებისა და მოსაკრებლების ეკვივალენტური სახეობებია, რომლებიც გადაიხდება იმპორტის ქვეყანაში სამამულო საქონელზე. მათ განეკუთვნება დამატებითი ღირებულების გადასახადი, აქციზი, ასევე ემისიური მოსაკრებლები, გადასახადები პროდუქტებზე, ადმინისტრაციული

მოსაკრებლები პროდუქტების მგრძნობიარე (რომელთაც გააჩნიათ შიგა ეკვივალენტი) კატეგორიაზე. გამათანაბრებელი გადასახადების შემოღების მიზანი უცხოურ და სამამულო საქონელზე ერთნაირი საგადასახადო რეჟიმის შექმნაა.

<u>საბაჟო შეფასების დეკრეტირებული ფორმა</u> – საქონელზე საბაჟო ღირებულების ადმინისტრაციული დადგენის პრაქტიკაა, საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოსაანგარიშებლად.

ფასების კონტროლის ღონისძიებანი – ხორციელდება შიდა ფასების შენარჩუნებისა და სტაბილიზაციისათვის, ასევე იმ ზარალის თავიდან ასაცილებლად , რომელიც შეიძლება გამოიწვიოს უცხოური კონკურენტის მხრიდან არაკეთილსინდისიერმა კონკურენციამ.

არასატარიფო შეზღუდვების ამ სახის ღონისძიებებს მიეკუთვნება :

<u>ფასების შეზღუდვის ადმინისტრირება</u> – გულისხმობს იმპორტიორი–ქვეყნის გადაწყვეტილებას, მწარმოებელი ქვეყნის შიდა ფასების გათვალისწინებით, დაადგინოს საქონელზე ზედა და ქვედა ფასები, ან დააკავშიროს ის მსოფლიო ფასებთან.

საექსპორტო ფასების "ნებაყოფლობითი" შეზღუდვა – შეთანხმებაა, რომლის მიხედვითაც, ექსპორტიორი თანახმაა თავის საქონელზე განსაზღვრულ დონეზე არა ნაკლები ფასები შეინარჩუნოს.

<u>მცოცავი მოსაკრებლები</u> – დამატებითი გადახდებია, რომლის დანიშნულებაა გაათანაბროს საბაზრო ფასები იპორტირებულ სასოფლო სამეურნეო და საკვებ პროდუქტებზე, შიდა ბაზრის ფასებთან მათი დაახლოების მიზნით. ამ მიზნით გარკვეული პერიოდის განმავლობაში წესდება საცნობარო ან ზღვრული ფასები.

<u>ანტიდემპინგური ღონისძიებები</u> – ითვალისწინებს ექსპორტიორისაგან გარკვეული კომპენსაციის გადახდას, რომელიც მიადგა სამამულო მწარმოებელს, თუ დადგენილია დემპინგის ფაქტი (კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით საქონლის გაუმართლებლად დაბალი ფასით რეალიზაცია) და მისგან მიყენებული მატერიალური ზარალი.

<u>საკომპენსაციო ზომები</u> – დამატებითი ფინანსური გადახდებია, რომელიც გადაიხდება თუ დადგენილია იპორტირებული საქონლის სუბსიდირების ფაქტი, რამაც ნაციონალურ წარმოებას ზარალი მიაყენა.

ფინანსური ზომები – გულისხმობს ღონისძიებებს, რომელიც არეგულირებს იმპორტიორის ურთიერთობას უცხოურ ვალუტასთან, განსაზღვრავს მათთვის ვალუტის ფასს ასევე გადახდის წესს. ეს ღონისძიებები ზრდიან იმპორტის ღირებულებას და ჩვეულებრივ მოიცავს:

<u>იმპორტის ღირებულების წინასწარი გადახდა და/ან საიმპორტო გადასახადების გადახდა,</u> მათ შორის საიმპორტო და ანაზღაურებადი დეპოზიტების წინასწარი გახსნა, ნაღდი ფულით გადახდა.

<u>მრავლობითი სავალუტო კურსები</u> – სახელმწიფო რეგულირების მექანიზმია, რომლის საშუალებითაც დგინდება სხვადასხვა სავალუტო კურსები სხვადასხვა კატეგორიის საქონლისათვის. ჩვეულებრივ, ოფიციალური კურსი გამოიყენება ყველაზე აუცილებელი მოთხოვნილების საქონელზე, მაშინ როდესაც სხვა საქონელისთვის ანგარიშსწორება შეიძლება მოხდეს კომერციული, ან აუქციონის კურსით.

<u>უცხოური ვალუტის დაგროვების ოფიციალური შეზღუდვები</u> არის სხვადასხვა ნებართვები, ვიზები და ა.შ. მიღების აუცილებლობა ქვეყნის შიგნით სავალუტო ოპერაციების განხორციელებისათვის.

<u>გადახდის გადავადება, რიგები გადახდაზე</u> – ღონისძიებაა, როდესაც სახელმწიფო განსაზღვრავს მინიმალურად დასაშვებ ვადებს, საქონლის მიღებიდან საიმპორტო ანგარიშსწორების დამთავრებამდე.

ავტომატიური ლიცენზირების ღონისძიებები – იმპორტის განხორციელებაზე ავტომატურად გაცემული ნებართვაა. თავისი შინაარსით ეს ღონისძიება არ შეიძლება ჩაითვალოს სავაჭრო შეზღუდვად. ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენება აგრეთვე ღია გენერალური და ლიბერალური ლიცენზიები.

ამავე მიზნით გამოიყენება იმპორტის მონიტორინგის ფორმა, რომელიც ხორციელდება იმპორტზე რეგულარული დაკვირვების გზით, იმპორტის მოცულობის შეფასების, ან ექსპორტის გაზრდის რეკომენდაციების მისაღებად.

რაოდენობრივი კონტროლის ზომები – გულისხმობს ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების კვოტირებასა და ლიცენზირებას. რაოდენობრივი შეზღუდვა – კვოტირება (ფიზიკური მოცულობით, ან ღირებულებით) და ლიცენზირება (სპეციალური ნებართვა, გარკვეული სახის ან განსაზღვრული ქვეყნებიდან საქონლის შემოსატანად) არის არასატარიფო რეგულირების ტრადიციული მეთოდები. ხშირად ეს ზომები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, რადგან ლიცენზირება გამოიყენება, როგორც კვოტების განაწილების მექანიზმი.

რაოდენობრივი კონტროლის ზომების გამოყენებით შესაძლებელია გადაიჭრას საერთო ეკონომიკური, საგარეო-სავაჭრო და პოლიტიკურ ამოცანათა ფართო სპექტრი, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის შიგნით ანალოგიური საქონლის მომხმარებლებთან და მწარმოებლებთან, სავალუტო სახსრების ეკონომიასთან, სავაჭრო დათმობების მიღებასთან, შეზღუდვებთან სამხედრო მასალებისა და შეიარაღების მიწოდებისას და შესყიდვებისას. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა, უფრო დაწვრილებით გავცნობოდით ღონისძიებათა სპექტრს, რომელიც საქონლის არასატარიფო შეზღუდვების რაოდენობრივი კონტროლის ზომებს მიეკუთვნება.

<u>1. არაავტომატური ლიცენზირება</u> – ხელისუფლების მიერ გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით იმპორტზე და ექსპორტზე სპეციალური ნებართვების (ლიცენზიის) გაცემას გულისხმობს, რომელიც შეიძლება საქონლის შემოტანისა და გატანის წესსაც შეიცავდეს მსოფლიო პრაქტიკაში გამოყენებული ლიცენზიის ძირითადი სახეები–გენერალური და ინდივიდეალური ლიცენზიებია.

გენერალური ლიცენზია – საქონლის იმპორტისათვის, ნებისმიერ პირზე, ან ორგანიზაციაზე განსაზღვრული სახეობის საქონლის შემოსატანად გაცემილი მუდმივმოქმედი ნებართვაა, მასში ჩამოთვლილი სახელმწიფოებიდან მოცულობისა და ღირებულების შეზღუდვის გარეშე.

ინდივიდიალური ლიცენზია – ერთჯერადი ნებართვაა მოცემული სახის სავაჭრო ოპერაციის შესასრულებლად, კონკრეტული საქონლის მითითებით, რომელშიც მიეთითება აგრეთვე ცნობები მიმღების, რაოდენობის, ღირებულებისა და მისი წარმოშობის ქვეყნის შესახებ.

<u>2. კვოტები</u> – რაოდენობრივი შეზღუდვებია, რომელიც ადგენს იმპორტირებული საქონლის მაქსიმალურ მოცულობას სატარიფო, სეზონური, გლობალური, და სხვა პროცენტული შეზღუდვების საშუალებით.

იმპორტის დაშვების გათვალისწინებით კვოტები შეიძლება იყოს:

ინდივიდუალური კვოტები, რომელიც მომწოდებელ ქვეყნებს შორის დასაშვები იმპორტის რაოდენობის განაწილებას გულისხმობს.

განაწილების ფორმის მიხეედვით ანსხვავებენ:

პროპორციული კვოტები, რომელიც იმპორტის მთლიან რაოდენობაში თითოეული ქვეყნის წილის მიხედვით განისაზღვრება განვლილი ბაზისური პერიოდის განმავლობაში.

ორმხრივი კვოტები, რომელიც მეორე ქვეყნის შემხვედრ სავაჭრო–პოლიტიკურ ვალდებულებებზე ფორმირდება.

არჩევითი კვოტები – რომელიც ერთი რომელიმე ქვეყნიდან ან რეგიონიდან რაიმე სახის პროდუქციის მოწოდებაზე მის სხვა ადგილებში თავისუფალი შესყიდვის პირობებში გამოიყენება.

<u>სატარიფო კვოტები</u> – ნებას რთავს განხორციელდეს იმპორტი გარკვეული მოცულობით საბაჟო დაბეგვრის ლიბერალური რეჟიმის პირობებში, ხოლო ამ მოცულობის გადაჭარბებისას დაბეგვრა მოხდება ნაკლებად ლიბერალური რეჟიმით, შესაძლებელია იმპორტის მთლიანი აკრძალვაც.

<u>სეზონური კვოტები</u> – დგინდება წლის გარკვეული დროისათვის, როგორც წესი ქვეყნის შიგნით მისი წარმოების პიკისას (ძირითადად სასოფლო სამეურნეო პროდუქცია).

<u>არაკონკრეტიზირებული კვოტები</u> – იმპორტის შეზღუდვა დროითი პერიოდის მითითების გარეშე.

<u>გლობალური კვოტები</u> – კვოტირების ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც აწესებს იმპორტის საერთო მოცულობას განსაზღვრული დროით მომწოდებელ ქვეყნებს შორის განაწილების გარეშე, რაც იმპორტიორ ქვეყანას საშუალებას აძლევს თავისუფლად შეირჩიოს მომწოდებელი ქვეყანა.

<u>პროცენტული კვოტები</u> – ზოგიერთ შემთხვევაში საიმპორტო კვოტებს აწესებენ ექსპორტის მოცულობის მიხედვით. კვოტები შეიძლება გამოითვალოს მოცემული საქონლის შიგა ბაზარზე შესყიდვების მიხედვითაც, ნაციონალური მწარმოებლის წახალისების მიზნით.

<u>3. განსაზღვრული საქონლის იმპორტის აკრძალვა</u> – შეიძლება შემოღებულ იქნეს მთლიანად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, კონვერტირებადი ვალუტის ეკონომიის მიზნით. ნაციონალური მწარმოებლის კონკურენციისაგან დასაცავად მიმართავენ დროებით და სეზონურ აკრძალვებს, ასევე პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე გამოიყენება იმპორტის აკრძალვის ღონისძიება რომელიმე ერთი ქვეყნის მიმართ – ემბარგო. **არასატარიფო რეგულირების ამ ღონისძიებას რუსეთის ფედერაცია დღესაც იყენებს ქართული წარმოშობის პროდუქციაზე ბორჯომისა და ღვინის მიმართ**.

აკრძალვის ღია ფორმა – უპირველეს ყოვლისა ესაა ვაჭრობის მთლიანი აკრძალვა, რომლის შესახებაც გადაწყვეტილებას ღებულობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, საკმარისია გავიხსენოთ კუვეიტ-ერაყის ომის შემდეგ ერაყის მიმართ განხორციელებული იმპორტის აკრძალვის ღონისძიებები.

<u>4. შეთანხმება ექსპორტის შეზღუდვის შესახებ</u> – კომპრომისის შედეგია, როდესაც ექსპორტიორი თანახმაა ექსპორტი "ნებაყოფლობით" შეამციროს, რათა თავიდან აიცვილოს იძულებითი ხასიათის ღონისძიებები იმპორტიორის მხრიდან. ასეთი ხასიათის შეთანხმებები შეიძლება გაფორმდეს როგორც სახელმწიფოებრივ ასევე დარგობრივ დონეებზედაც, როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი ფორმატით. ასეთი ტიპის ხელშეკრულებაა 1973 წელს გაფორმებული მრავალმხრივი ხელშეკრულება საფეიქრო ნაწარმის (ტექსტილის) შესახებ ან 1989 წელს იაპონიის მიერ საავტომობილო ექსპორტზე გამოცხადებული ცალმხრივი შეზღუდვა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1994 წლამდე. თანამედროვე მდგომარეობით მსუბუქი მრეწველობის

(ტექსტილის, სამკერვალო, ფეხსაცმელების წარმოება) დარგებში და მძიმე მრეწველობის (შავი და ფერადი მეტალურგია, ავტომრეწველობა, ელექტროტექნიკა და ელექტრონიკა) დარგებში დადებულია ორ ასეულზე მეტი შეთანხმება ექსპორტის "ნებაყოფლობითი" შეზღუდვისა და მინიმალური საიმპორტო ფასების დაწესების შესახებ.

5. მონოპოლისტური ზომები ისეთი მარეგულირებელი ღონისძიებებია, რომლებიც ანიჭებენ ცალკეულ მეურნე სუბიექტთა ჯგუფებს განსაკუთრებულ უფლებებს. მონოპოლიას იყენებენ საგადასახადო ბალანსის წონასწორობის ამოცანების გადასაჭრელად იმპორტის კონტროლის ხარჯზე ექსპორტის უპირატესი განვითარებისათვის. ასეთი ღონისძიებების სახეებია – გარკვეული საქონლის იმპორტზე სახელმწიფო მონოპოლია (ცალკეულ შემთხვევებში ასეთი მონოპოლია შეიძლება მიენიჭოს კერძო სექტორის საწარმოებსაც) და ნაციონალურ საწარმოთა მომსახურების იძულებითი ღონისძიებები, როდესაც მეწარმე სუბიექტი უფლებამოსილია ისარგებლოს მხოლოდ ნაციონალური სადაზღვევო და სატრანსპორტო კომპანიების მომსახურებით.

საბჭოთა კავშირში მონოპოლია რესურსების სახელმწიფო განაწილების სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი იყო განსაკუთრებით ნედლეულის მოპოვების, გადამუშავებისა და ექსპორტის სფეროში. სახელმწიფო მონოპოლიური საგარეო ვაჭრობის სისტემა არსებობდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც.

საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლიის განსაკუთრებული მაგალითია დიდი ბრიტანეთი, სადაც გასული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც ხელისუფლების სათავეში ლეიბორისტები მოვიდნენ, იმპორტის 50% სახელმწიფო მონოპოლისტური სისტემით რეგულირდებოდა.

საგარეო ვაჭრობის მონოპოლისტური რეგულირების სფერო უმეტესად საიმპორტო ოპერაციებს მოიცავს. რაც შეეხება ექსპორტს ის ჩვეულებრივ შეზღუდულია იმ საქონლის წრით, რომლითაც სახელმწიფოს წამყვანი როლი უჭირავს საგარეო ვაჭრობაში (ჯუთი – პაკისტანში, ბრინჯი – მნიანმნეში) ან სამხედრო დანიშნულების საქონლის წარმოებაში (ბირთვული საწვავი და აღჭურვილობა, შეიარაღება, სამხედრო მასალები და ა.შ.).

ტექნიკური ღონისძიებები – არასატარიფო რეგულირების საშუალებების ტექნიკური ღონისძიებები დაფუძნებულია საქონლის ხარისხის, უსაფრთხოებისა და მისი მახასიათებლების კონტროლზე, მათ შორის გამოყენებულ ადმინისტრაციულ პირობებზე, ტერმინოლოგიაზე, სიმბოლოებზე, შემოწმების მეთოდებზე, შეფუთვისა და მარკირების მოთხოვნებზე და შეიცავს შემდეგ სახეობებს:

1. ტექნიკური რეგულირება – გულისხმობს ნორმებს, რომლებიც პირდაპირ, ან არაპირდაპირ პროდუქტზე ტექნიკურ მოთხოვნებს ადგენს. მას მიეკუთვნება სანიტარული რეგულირება, რომლის მიზანია ადამიანთა და ცხოველთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, ფიტოსანიტარული რეგულირება, რომელიც მცენარეთა დაცვისკენაა მიმართული, ასევე გარემოს დაცვისა და ნაციონალური უსაფრთხოების რეგულირების ზომები.

ტექნიკური რეგულირების ზომები გაწერილია სპეციალურ ინსტრუქციებში, რომლის მიხედვითაც, ტექნიკური პირობებიდან გამომდინარეობს ტექნიკური კონტროლის პროცესი. საქონელზე ტექნიკური პირობები განსაზღვრავს საქონლის მახასიათებელ ძირითად მაჩვენებლებზე მოთხოვნებს. მოთხოვნებს შეფუთვაზე და ეტიკეტზე მათი დატანის წესის შესახებ, მოთხოვნებს ცხოველთა და მცენარეთა კარანტინის დაწესებაზე, ასევე რჩევებს პროდუქციის გამოყენებისა და შენახვის წესების შესახებ.

არასატარიფო რეგულირების ტექნიკური ღონისძიებების მექანიზმის გამოყენებით შესაძლებელია ეკონომიკური, ფინანსურ- ადმინისტრაციული, ეკოლოგიური და სხვა სახის ფაქტორების რეგულირება მათ შორის:

– ნედლეული მასალებისა და საქონლის იმპორტი გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით (ქიმიური პროდუქცია, შხამქიმიკატები, ქვანახშირი, ნავთობი გოგირდის მაღალი შემცველობით და სხ.)

– მზა ნაკეთობების მიმართ ისეთი პროტექციონისტული ზომების გამოყენების რეგულირება პროდუქციისათვის, როგორიცაა სამრეწველო დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა ექსპლუატაცია შეიძლება გახდეს გარემოს დაბინძურების წყარო. ამასთან დაკავშირებით, საკმარისია გავიხსენოთ შეზღუდვები, საჰაერო ტრანსპორტის ხმაურზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული სანიტარული ნორმების მიხედვით, რაც გახდა მიზეზი ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავის "კონკორდის" ექსპლუატაციის შეწყვეტის საფუძველი. ასევე შემზღუდავი ნორმების დაწესება ავტომობილების გამონაბოლქვში ნახშირჟანგის შემცველობაზე ევროპას, ამერიკასა და იაპონიაში, რაც მკვეთრად ზღუდავს არა მარტო სხვა ქვეყნებიდან ავტომობილების იმპორტს, არამედ მათ ამ ქვეყნებში გადაადგილებასაც.

– საქონლის ხარისხის შესახებ მოთხოვნების რეგულირება, მომხმარებელთა ინტერესების დაცვიდან გამომდინარე საქონლის დეფექტით გამოწვეული ზარალის თავიდან აცილების მიზნით და იმ მოსალოდნელი ზიანის ასაცილებლად, რომელიც მათი გამოყენებისას შეიძლება წარმოიშვას.. ეს მოთხოვნები უპირველესად ვრცელდება იმპორტირებულ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტროტექნიკურ საქონელზე, სამედიცინო პრეპარატებზე და ხელსაწყოებზე, საკვებ პროდუქტებზე, საბავშვო საქონელზე და ა.შ.

მრავალ ქვეყანაში მოქმედებს სპეციფიკური სანიტარულ-ვეტერინარული ნორმები იმპორტირებულ სასოფლო სამეურნეო, საკვებ, პარფიუმერულ და სხვა ნაწარმზე, რომლის მიხედვითაც შეზღუდულია მათში საღებავების, სხვადასხვა დანამატის, მათ შორის სპეციალური ჰორმონების გამოყენება ცხოველთა კვების პროდუქტებში.

ასეთი სახის შეზღუდვები ფართოდ გამოიყენება მსოფლიო საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში, რაც მსოფლიო სავაჭრო საქონელბრუნვაში შეზღუდვათა თითქმის 30%-ს მოიცავს, იგი თავისი მასშტაბით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არასატარიფო რეგულირების ღონისძიებაა.

– გაგზავნისწინა ინსპექციის ჩატარების აუცილებლობის მოთხოვნით საქონლის ხარისხის, ფასების, რაოდენობის რეგულირება საქონლის მიერ ქვეყნის დატოვებამდე. საქონლის ფასის მიხედვით კონტროლი საშუალებას იძლევა თავიდან აცილებულ იქნეს მისი ხელოვნური გაზრდა ან შემცირება, რაც ფულის "გათეთრების", ან შემოსავლების დამალვის საშუალებად შეიძლება იქცეს.

– სპეციალური საბაჟო ფორმალობების გამოყენებით, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა სახის მოთხოვნას, მათ შორის უფრო დეტალური სახის ინფორმაციის მოთხოვნას ვიდრე ის გათვალისწინებულია საბაჟო სატრანსპორტო დეკლარაციით, ან მხოლოდ გარკვეული საბაჟო გამშვები პუნქტების გამოყენებას წინასწარ შედგენილი ნუსხიდან და სხვა.

აღსანისნავია, რომ შეზღუდვათა ამ ჯგუფის მოთხოვნები იმპორტის რეგულირების ადმინისტრაციულ ინსტრუმენტთა რიცხვს განეკუთვნება, ამიტომაც იგი ძალიან მრავალფეროვანია. ეს შეზღუდვები შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი ასევე ფინანსური ხასიათის, რომლის მიზანიც საბოლოო ჯამში საქონლის ცალკეული სახეობების, ან ცალკეული მომწოდებლების მიხედვით იმპორტის მოცულობის შემცირებაა.

ზემოთქმულის განზოგადებით შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ვაჭრობაზე არასატარიფო შეზღუდვათა ზემოქმედების ხარისხი ბევრად აღემატება და უფრო რთული ხასიათის ღონისძიებებია, ვიდრე სატარიფო შეზღუდვათა სისტემისა. საერთაშორისო საბაჟო კავშირი, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია და მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმებები მიმართულია ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების ინტეგრაციის ზრდისაკენ და საერთაშორისო ვაჭრობაში ბარიერების შემცირებისაკენ, რაც მკვეთრად უპირისპირდება ცალკეული ქვეყნების მცდელობას, შემოიღოს საერთაშორისო ვაჭრობაში არასატარიფო ღონისძიებებისა და შეზღუდვების პრაქტიკა, რომელიც სათავეს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან იღებს. იმ დროისათვის ეს ღონისძიება ისტორიული აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, რომელიც ძირითადად რაოდენობრივი შეზღუდვების ხასიათს ატარებდა, მაგრამ ევროპაში უკვე 50-იანი წლებიდან, განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებმა, თანდათან დაიწყეს ასეთი სახის შეზღუდვების გამოყენების შემცირება (გავიხსენოთ რომის 1953 კონვენცია, რომელმაც საფუძველი დაუდო "საერთო ბაზრის" ქვეყნების კავშირის შექმნას). იმავდროულად ცდილობდნენ რა დაენერგათ შეზღუდვების გამოყენების საერთო პრინციპები არასატარიფო რეგულირების ღონისძიებათა რეგულირების სფეროში მოსაქცევად, შეიქმნა "ვაჭრობაში ტარიფების გენერალური შეთანხმების" ორგანიზაცია, რომლის ფარგლებში მიღებულმა შეთანხმებებმა 60-იანი წლების დასაწყისიდან ხელი შეუწყო საერთაშორისო ვაჭრობაში, სატარიფო რეგულირების მექანიზმების გამოყენების არეალის ზრდას.

რეგულირების მექანიზმების ასეთმა ცვლილებამ საბაჟო ტარიფების შემცირება გამოიწვია, მაგრამ ამასთან ერთად, სულ უფრო ხშირად გამოიყენებოდა შიგა გადასახადების მოქნილი სისტემა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების სუბსიდირება, შიგა საკანონმდებლო ნორმებისა და ფორმალობების ადმინისტრირება, რამაც 70-იანი წლებისათვის საკმაოდ ფართო მასშტაბი მიიღო და არასატარიფო შეზღუდვების სისტემამ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სავაჭრო-პოლიტიკურ საშუალებებს შორის. ამ დროისათვის განვითარებული მრეწველობის მქონე 19 სახელმწიფოში მოქმედებდა 2500-ზე მეტი სხვადასხვა სახის არასატარიფო შეზღუდვის ფორმა, მათგან ზოგიერთი 90-იან წლებამდე შემორჩა. მაგალითად, ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებდა ექსპორტიორი ფირმების მხრიდან უცხოური ვალუტის სახელმწიფოსათვის აუცილებელი მიყიდვის პრაქტიკა. ასევე იაპონიაში ექსპორტიორს ექსპორტის გადასახადზე გადავადების, ან იმპორტის განხორციელებისას საჭირო ავანსის 2-წელიწადზე მეტი დროით სარგებლობის უფლება რომ მიეღო საჭირო იყო სპეციალური ოფიციალური ნებართვა.

მთელ მსოფლიოში საკმაოდ ფართოდ გამოიყენება არასატარიფო რეგულირების ისეთი ღონისძიება, როგორიცაა ავტომატური ლიცენზირება და მონიტორინგი. ცალკეულ შემთხვევებში ამ ღონისძიებებს ქვეყანა იყენებს, როგორც შიგა ბაზრის რეალურ დამცავ საშუალებას, ხოლო სხვა შემთხვევებში ავლენს ხელისუფლების განსაკუთრებულ ყურადღებას სასაქონლო ბაზრის ამა თუ იმ სექტორის მდგომარეობის განსაზღვრისა და განვითარებისათვის.

საქონლის რაოდენობრივი შეზღუდვის კონტროლისათვის არასატარიფო შეზღუდვების ზომები დადგენილია "ვაჭრობაში ტარიფების გენერალური შეთანხმების" წესებით. კერძოდ ეს შეთანხმება ითვალისწინებს აღნიშნული შეზღუდვების გამოყენების შესაძლებლობას საგადასახადო ბალანსის მდგომარეობის გამოსწორებისათვის, ანტიდემპინგური ღონისძიებების

გატარებისა და მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ცალკეული ნაციონალური დარგების წარმოების წახალისებისათვის.

საგარეო სავაჭრო ბრუნვის არასატარიფო რეგულირების მეთოდებიდან ასევე გამოიყენება ცალკეულ საქონელზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესება. იაპონიაში სახელმწიფო მონოპოლია არის მარილის, ბრინჯის, ხორბლის, ქერის, ზეთის, რძის ფხვნილისა და მისი კონცენტრატების, ეთილის სპირტისა და აბრეშუმის იმპორტი. საფრანგეთში და საბერძნეთში



ევროკავშირის ქვეყნების ფარგლებში მოქმედებს სახელმწიფო მონოპოლია ასანთის იმპორტზე. რუსეთში სახელმწიფო მონოპოლია შემოღებულია სპირტიანი სასმელების კერძოდ, არყის წარმოებაზე.

ნახ. 5.1. არასატარიფო შეზღუდვების სისტემის სტრუქტურა

საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაცია ცდილობს მიაღწიოს ქვეყნებს შორის არსებული არასატარიფო რეგულირების მეთოდებისა და საშუალებების ერთიანობას, რაც საბაჟო პროცედურების, ტექნიკური სტანდარტების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, საბაჟო სტატისტიკის მონაცემების, ამორჩევითი კონტროლის ოპერაციების საერთაშორისო დონეზე ჰარმონიზაციას გულისხმობს. სამწუხაროდ სატარიფო შეზღუდვების სისტემა თავისი მრავალფეროვნებით უშლის ხელს საერთაშორისო საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ინტეგრაციის პროცესს, ამიტომ საერთაშორისო სავაჭრო და საბაჟო ორგანიზაციების ძალისხმევა მიმართულია ამ პროცესების გამარტივებისა და ხელისშემშლელი ბარიერების მოხსნისაკენ.

საბაჟო პროცედურების ჰარმონიზაცია ხორციელდება საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციის თანამშრომლობის საბჭოს ფარგლებში. მისი რეკომენდაციები მიმართულია ქვეყნებს შორის სავაჭრო–ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებისა და საბაჟო პროცედურების გამარტივებისაკენ, მათ შორის:

- საბაჟო სამსახურების მიერ საკუთარი მიზნებისა და მათი მიღწევის საშუალებების, მოქმედების პრიორიტეტების განსაზღვრა.
- საბაჟო პროცედურების მუდმივმოქმედი მონიტორინგი არაეფექტური და გადაჭარბებული ადმინისტრირების აღმოფხვრის მიზნით.
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა, საბაჟო დეკლარაციების ელექტრონული ვერსიის სახით წარდგენის ჩათვლით.
- საბაჟო სტატისტიკის მონაცემთა ბაზების შექმნის დამოუკიდებლობა საქონლის გაშვების პროცესისაგან.
- საბაჟო შემოწმების ამორჩევითი კონტროლის პროცედურების დანერგვა მაღალი რისკის შემცველი ტვირთების განსაზღვრის ტექნოლოგიების დანერგვის გზით.
- ორმხრივ საფუძველზე საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის პროცედურების გაერთიანება.

როგორც ცნობილია, საბაჟო ტარიფი გავლენას ახდენს უცხოური საქონლის იმპორტის დონეზე და ზემოქმედების ირიბი მეთოდების გამოყენებით, ტარიფის გაძვირების, ან გაიაფების გზით შეუძლია ცალკეული პროდუქციის მიწოდების რეგულირებას შეუწყოს ხელი.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აპრობირებულია არასატარიფო შეზღუდვების გამოყენების მექანიზმი, რომელებიც ინარჩუნებენ რა გაძვირების ეფექტს დამატებით ადგენენ პირდაპირი შეზღუდვების აბსოლუტურ, ან აბსოლუტურთან მიახლოებულ რაოდენობრივ ლიმიტებს ლიცენზიების, კვოტების, სახელმწიფო ვაჭრობის მოხმარების პროპორციების შემოღების გზით. მსოფლიო პრაქტიკაში სარეალიზაციო ფასების ადმინისტრირების მექანიზმიც არასატარიფო შეზღუდვების განხორციელების ერთ-ერთი მეთოდია. ეს მეთოდი აერთიანებს შეზღუდვებს მინიმალური საიმპორტო ფასის, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო გადასახადების, ვარირებადი მოსაკრებლების, შიგა სახელმწიფოებრივი გადასახადების, საბაჟო შეფასების მეთოდოლოგიის სახით. არასატარიფო შეზღუდვათა სისტემის განსაკუთრებით ეფექტური მეთოდი საქონლის ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით შეზღუდვების მექანიზმის გამოყენებაზეა ორიენტირებული, რომელიც სტანდარტებთან, ტექნიკურ მოთხოვნებთან და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან პროდუქციის შესაბამისობას გულისხმობს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ თავისი ზემოქმედების თვალსაზრისით, არასატარიფო რეგულირების მექანიზმს ღრმად

ეშელონირებული ხასიათი გააჩნია, ვიდრე ერთჯერადი სახით გადახდილ გადასახადებს. არასატარიფო შეზღუდვები გამოვლინდება სავაჭრო გარიგების ყველა ეტაპზე (შეკვეთა-შემოტანა-გადახდა-გაყიდვა-მოხმარება), ამასთან ხშირ შემთხვევაში ცალკეული სახის პროდუქცია მასირებული, მრავალმხრივი არასატარიფო შეზღუდვების "ჯვარედინ ცეცხლში" შეიძლება მოექცეს.

საერთაშორისო საბაჟო და სავაჭრო ორგანიზაციების მხრიდან, არასატარიფო რეგულირების მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ისინი ქვეყნებს შორის თანამედროვე სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მნივნელოვან როლს ასრულებეს, რაც შიგა ეკონომიკური პოლიტიკის საიმედო, მოქნილი და ოპერატიული მართვის მეთოდების მოთხოვნილების აუცილებლობითაა გამოწვეული. ეკონომიკურ ურთიერთობებში რეგულირების ამ მეთოდებს განვითარებად ქვეყნებთან ერთად განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებიც დიდი წარმატებით იყენებს, რაც მათ საშუალებას აძლევს იმპორტის ოდენობა კვოტირების გამოყენებით ზუსტად განსაზღვროს. საკმარისია გავიხსენოთ ბრიტანეთის პრაქტიკაში მოქმედი კვოტირების სისტემა კარტოფილის იმპორტზე, რომლის ოდენობის დადგენა ქვეყანაში მის მოსავალზეა დამოკიდებული, ასეთივე სეზონური კვოტები არსებობს ავსტრიაში სტაფილოსა და ხენდროს პროდუქციაზე, რაც საშუალბას აძლევს ფერმერებს "გარანტირებულად" მოახდინოს შიგა ბაზარზე თავიანთი საქონლის რეალიზაცია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის როლი, რასაც მთელი რიგი სახელმწიფოები ანიჭებს არასატარიფო რეგულირების მეთოდებს, როგორც საგარეო ვაჭრობის ექსპორტ-იმპორტის დაბალანსების, ასევე ცალკეული დარგების სტრუქტურული გარდაქმნისა და დასაქმების რეგულირების საშუალებას, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია სოფლის მეურნეობის არარენტაბელური დარგებისათვის. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით დამახასიათებელია რუსეთის ფედერაციის ეკონომიკისათვის, სადაც უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მრავალი ასეთი სახის ღონისძიება განხორციელდა, მაგრამ რადიკალურ ცვლილებებს არ ჰქონია ადგილი, არც ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურაში, არც დასაქმებულთა რიცხვი შეცვლილა პოზიტიური მიმართულებით (ზოგიერთ ემთხვევაში გაუარესდა კიდეც) და არც სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებს მიუღწევიათ განსაკუთრებული სიმაღლეებისათვის. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი სახის არასატარიფო ღონისძიება პროტექციონისტულ ხასიათს ატარებს, რომელიც ნაციონალური ეკონომიკის, მწარმოებლისა და დასაქმებულთა დაცვისკენაა მიმართული, მაგრამ თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო–ეკონომიკური ურთიერთობებისათვის ასეთი ღონისძიებები ხელოვნურ ხასიათს ატარებს, რაც ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგება ეკონომიკური განვითარების კანონებს, მხედველობაში მაქვს მოთხოვნილება–მიწოდების რეგულიაციის ობიექტური ეკონომიკური კატეგორია, სადაც მოთხოვნებში თავისუფალი არჩევანი განსაზღვრავს მაღალი მოთხოვნილების პროდუქციის საწარმოებლად მწარმოებლის მოტივაციას. ამ თვალსაზრისით ყოველგვარი პროტექციონიზმი მწარმოებელს საწარმოო ძალების გაზრდისა და განვითარების მოტივაციას უსპობს, რადგან მისი პროდუქციისათვის გარანტირებული გასაღების ბაზარი შექმნილია და ისიც ორიენტირებულია მხოლოდ მის დაკმაყოფილებაზე, რაც საბოლოო ჯამში მეწარმეს ხარისხობრივი და რაოდენობრივი განვითარების პერსპექტივას უსპობს, მის მიერ შექმნილი პროდუქცია როგორც შედეგი ხდება არაკონკურენტუნარიანი საერთაშორისო ბაზარზე, რასაც გარდაუვალი გამოძახილი მოჰყვება შიგა ბაზარზეც; ეს კი წარმოების შემცირების წინაპირობაა. სახელმწიფოს შემდგომი ღონისძიება, ან არასატარიფო ღონისძიებების კიდევ უფრო მეტი დოზით გატარება ან მოცემული დარგის

რესტრუქტურიზაციაა საჭირო. ეს საკმაოდ მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოითხოვს. ამრიგად, მოუფიქრებლად და არასათანადოთ, დასაბუთებულმა არასატარიფო რეგულირების ღონისძიებებმა შეიძლება უკუ ეფექტი გამოიწვიოს საწარმოო განვითარების სფეროში. აღნიშნული მსჯელობის კარგი ილუსტრაციაა რუსეთის ფედერაციაში არსებული საავტომობილო მრეწველობის პრობლემები.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნა თანხმდება არასატარიფო რეგულირების ღონისძიებების ნეგატიურ როლზე, საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მას მაინც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. საქმე იმაშია, რომ რეგულირების ამ მექანიზმს მრავალი ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სამეურნეო, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში გადამწყვეტი ფუნქციები ენიჭება და ყოველთვის ადვილი არაა მისი გამოვლენა, რაც მასთან ბრძოლის შესაძლებლობას აძნელებს.

5.2 საბაჟო ღირებულება – ცნება და დანიშნულება

იმპორტირებული და ექსპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულება გამოიყენება ადვალირებული (Ad valorem ლათ.– სპეციალური საბაჟო გადასახადი რომელიც ამოიღება საქონლის საბაჟო ღირებულების ფასთან მიმართებაში) გადასახადების განსაზღვრისათვის. ის არის საბაჟო მიზნებისათვის აუცილებელ ბეგარას დაქვემდებარებული ბაზისი საბაჟო სტატისტიკის, კონტროლის, რაოდენობრივი შეაზღუდვების, სატარიფო შეღავათების შიგა ნაციონალური გადასახადების განსაზღვრისათვის.

საქონლის, ან მომსახურების ღირებულება, ფულად ერთეულებში გამოხატული საზოგადოებრივი მოთხოვნილების ზომაა სივრცისა და დროის გარკვეული რეალობისათვის.

შეფასების მიზანზე დამოკიდებული საქონლის ან მომსახურების ფასი შეფასების პროცედურებით დადგენილი რეალობაა. შეფასების პროცედურების ძირითადი მიზანი შეიძლება იყოს: ყიდვა-გაყიდვა, საფინანსო ანგარიშების ასახვა, კონკურსების, აუქციონების, სდაჯარო ვაჭრობების ტენდერების გამართვა, იჯარა, ლიზინგი, მოსაკრებელი, პრივატიზაცია, ნაციონალიზაცია, ლიკვიდაცია, ქონებრივი დავების გადაჭრა, საწესდებო კაპიტალის ქონებრივი შევსება, წილის განსაზღვრა, ზარალის ანაზღაურება, შენახვა, საქორწინო კონტრაქტის გაფორმება და სხვა.

შეფასება-ღირებულების განსაზღვრის აქტი, ან პროცესი, რომლის შედეგადაც დგინდება შეფასებითი ღირებულება, შესაფასებელი საგნის ღირებულების მიმართ შემფასებლის აზრის გამოხატვის შედეგია. ობიექტის შეფასებისათვის გამოიყენება სამი მიდგომა:

- შეფასება დანახარჯების მიხედვით;
- შეფასება შედარებითობის მიხედვით;
- შეფასება შემოსავლების მიხედვით.

შეფასებითი ღირებულების საბოლოო შედეგის განსაზღვრა პროცედურის ჩატარების დროისათვის ამ მიდგომების ურთიერთშეჯერებით ხორციელდება.

მოცემული განმარტებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ფასის ცნება ქონების ასპექტს გამოხატავს, ხოლო ცნება ღირებულება, როგორც შეფასების პროცედურის სპეციფიკური საგანი, "კაპიტალის" ასპექტს, ფასის ცნება ასოცირდება ყიდვა-გაყიდვის გარიგებასთან, ხოლო ღირებულების ცნება - საინვესტიციო გარიგებასთან. ქონებას, როგორც ასეთს არ გააჩნია ღირებულება, ხოლო კაპიტალს არ გააჩნია ფასი. მხოლოდ მაშინ, როდესაც ყიდვა-გაყიდვისა და ინვესტიციის გარიგება ფორმალურად ერთმანეთს ემთხვევა, კაპიტალი

შეიძენს ფასს, ხოლო ქონება – ღირებულებას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ შეფასება გარკვეული წესით შესრულებული დასკვნაა ფასის შესახებ, ანუ საქონლის ღირებულება განსაზღვრავს მის ფასს, ან "ფასი ღირებულების გამოხატულებაა". ღირებულების ეკონომიკური ასპექტი საბაზრო ეკონომიკის თვალსაზრისით გამოხატავს იმ სარგებელს, რომელიც საქონლის მფლობელს მისი შეფასების მომენტისათვის გააჩნია საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი ვაჭრობის პირობებში აზრს კარგავს ფასის შესახებ საბჭოური წარმოდგენები. ეკონომიკის ცენტრალიზებული მმართველობის სოციალისტურ სისტემაში, მიუხედავად მრავალი ეკონომიკური რეფორმებისა ფასი ვერ იქცა ეკონომიკური კვლავწარმოების საფუძვლად, რადგან მას დაკარგული ჰქონდა მისი ძირითადი, თვითრეგულირების თვისება.

თანამედროვე გაგებით ფასი და ღირებულება როგორც ეკონომიკური კატეგორია მოიცავს საქონლის ფასის სხვადასხვა სახეობას, როგორიცაა:

- ქონების საწყისი ღირებულება – ქონების შექმნაზე, ან შეძენაზე გაწეული ფაქტიური დანახარჯებია მისი გამოყენების საწყისი მომენტისათვის;
- ქონების ნარჩენი ღირებულება – ქონების ღირებულებაა ცვეთის გათვალისწინებით;
- ქონების ღირებულება გამოყენების არსებულ პირობებში – ქონების საბაზრო ღირებულებაა მისი გამოყენების პროცესში გაყიდვის შესაძლებლობის დაშვების გათვალისწინებით;
- ქონების ლიკვიდური (სალიკვიდაციო) ღირებულება – ქონების ღირებულება მისი იძულებითი წესით გაყიდვისას;
- ქონების სადაზღვევო ღირებულება – ზარალის მთლიანი ანაზღაურების ღირებულება, სადაზღვევო პირობების დადგომისას:
- ქონების საგირავნო ღირებულება – კრედიტის უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებული ქონების ღირებულება;
- სპეციალიზებული ქონების ღირებულება – ქონების ღირებულება, რომლის რეალიზაციაც მისი სპეციფიკიდან გამომდინარე ბაზარზე შეუძლებელია;
- ქონების საბაზრო ღირებულება – თანხის რაოდენობაა, რომლითაც შეფასების თარიღისათვის, გარიგების შედეგად, ქონება გადადის ნებაყოფლობითი გამყიდველიდან ნებაყოფლობითი მყიდველის ხელში;

საბაზრო ღირებულება ქონების ყველაზე გავრცელებული შეფასების ტიპია. ცნება "საბაზრო ღირებულება" არ გვევლინება ისეთი ტერმინების სინონიმად როგორიცაა "სამართლიანი ფასი", ან მით უმეტეს, "თავისი ფასი" იმ აზრით, როგორც ის საბუღალტრო ანგარიშებში და საზოგადოების ფართო ფენებში გამოიყენება.

5.2.1. ფასწარმოქმნის მექანიზმები მსოფლიო ბაზარზე

ქონების საბაზრო ღირებულება მისი გარიგების მოცულობისა და ეკონომიკურ-პოლიტიკური მასშტაბებისაგან დამოკიდებულებით მსოფლიო ბაზარზე, ფასწარმოქმნის განმსაზღვრელი ფაქტორია. ცნება "მსოფლიო ბაზარი" გულისხმობს საქონლისა და მომსახურების, ყიდვა-გაყიდვის განმეორებად, მდგრად ოპერაციებს, რომელთაც ორგანიზაციული საერთაშორისო ფორმები (ბირჟა, აუქციონი) გააჩნიათ ან გამოვლინდება მსხვილი ფირმების ექსპორტ-იმპორტის გარიგებაში. მსოფლიო ფასები უნდა წარმოადგენდნენ მხოლოდ

მსოფლიო საქონელბრუნვის ჩვეულებრივი გარიგების ოპერაციების ფასებს, რომელთაც გარიგების შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები გააჩნიათ:

- საექსპორტო და საიმპორტო მიწოდების დამოუკიდებლობა;
- ოპერაციების მსხვილმასშტაბურობა და რეგულირება;
- გადახდები თავისუფალ კონვერტირებად ვალუტაში;
- განხორციელების თავისუფალი სავაჭრო-პოლიტიკური რეჟიმის პირობები.

ჩვეულებრივ, მსოფლიო ფასები ქვეყნის შიგა ბაზრის ფასებთან შედარებით საშუალოდ დაახლოებით 30% ნაკლებია, განსაკუთრებით მზა სასაქონლო პროდუქციის სექტორისათვის, ნედლეულის სექტორისაგან განსხვავებით. შიგა ფასების მსოფლიო ფასებთან შედარებით მეტობა, დიდი დოზით დამახასიათებელია იმპორტირებული საქონლისათვის ვიდრე ექსპორტისათვის.

მსოფლიო ბაზარს ერთი და იგივე სახის, ტიპის და ხარისხის საქონელზედაც კი ახასიათებს ფასების სიმრავლე, რაც მრავალი სხვადასხვა ფაქტორითაა განპირობებული, მათ შორის მიწოდების პირობების, ვადის, გადახდის წესის, სავაჭრო გარიგების ხასიათის, შეფუთვის სახეობისა და სხვა პარამეტრების მნიშვნელობებით. მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 1 ტონა საკონდიტრო თხილის ფასი 2000 აშშ დოლარს შეადგენს, შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს სავაჭრო გარიგების დასადებად. აუცილებელია ვფლობდეთ ინფორმაციას, შემდეგი მონაცემების მიხედვით: პროდუქციის ფასი 2000 აშშ დოლარი 1 ტონაზე, ქართული წარმოშობის გასუფთავებულ ნემსა თხილზე, ცხიმიანობის შემცველობით არანაკლებ 2%-სა, CIF მიწოდების პირობით, მიწოდების ვალდებულებით სამი თვის ვადაში, 2009 წლის მარტიდან აგვისტოს შუალედში.

ფასის ერთ-ერთ ძირითადი მხასიათებელია მისი წარდგენის ხერხი, რომელიც შეიძლება იყოს: საცნობარო, საბირჟო, აუქციონის, საჯარო ვაჭრობის, კატალოგის, პროსპექტის, ასევე სხვადასხვა სპეციალური არხით გავრცელებული წარდგენის, ფაქტიური გარიგებისა და საანგარიშო ფასები.

<u>საცნობარო ფასები</u> განვითარებული საწარმოო სიმძლავრეების მქონე ქვეყნების საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის შიგა ბაზრის საბითუმო ფასებია. საცნობარო ფასების რანგში შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე საბირჟო, აუქციონის, საჯარო ვაჭრობის, კატალოგებისა და პროსპექტების ფასები. საცნობარო ფასები, როგორც წესი გარიგების რეალურ ფასებთან შედარებით მომატებულია. ისინი გამოიყენება გარიგების სწრაფი რეალიზაციისას, მცირე მოცულობის პარტიებისათვის. მსხვილმაშტაბიანი სავაჭრო ოპერაციების განხორციელებისას რეალური გარიგების ფასთან სხვაობამ შეიძლება შეადგინოს 7–30 და ზოგირთ შემთხვევაში 50%-ც.

<u>საბაზრო ფასი</u> საცნობარო ფასის ერთერთი სახესხვაობაა ფიქსირებული ხარისხის მქონე საქონელზე. საცნობარო ფასები მანქანებზე და აღჭურვილობაზე იწოდება საპრეისკურანტო ფასად.

<u>ინდიკატორული ფასები</u> საცნობარო ფასების სპეციფიკური სახეა, რომლებიც უკვე შემდგარი გარიგების საფუძველზე გაიანგარიშება განვლილი პერიოდის გარკვეული დროისათვის. ის გამოხატავს ფასების ცვლილების ტენდენციას და გამოიყენება მსოფლიო ფასების დონისა და ცვლილების ტენდენციების ინდიკატორად.

საქონლის ფასის გაანალიზების დროს მნიშვნელოვანია გავარკვიოთ ფასების სახეობების მნიშვნელობა. ისინი შეიძლება იყოს შიგა საბითუმო, საცალო თუ საექსპორტო წარდგინების ფასები.

<u>საშუამავლო ბაზრის ფასები,</u> ან <u>წარდგენის ფასები</u> ქვეყნდება, სააგენტო როიტერის **(Router),** ასევე სხვა საინფორმაციო წყაროების მიერ და შეიცავს

ინფორმაციას – მონაცემებს კონკრეტული სასაქონლო ბირჟებიდან საქონლის კონიუნქტურის შესახებ. ეს ფასები კონკრეტული გარიგების შემთხვევაში შეიძლება 3–10%-ით კორექტირებული იქნეს.

ნავთობზე და ნავთობპროდუქტებზე მსოფლიო ფასების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს სააგენტო **Plat's** და **Petroleum Argus**. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო **Petroleum Argus,** რომელიც დაარსებულია 1970 წელს და წარმოადგენს კერძო ბრიტანულ საოჯახო სააქციო კომპანიას. კომპანიამ გამოიმუშავა ნავთობის ბაზრის გაშუქების საკუთარი მეთოდილოგია, რომელიც საშუალებას იძლევა დიდი სიზუსტით განისაზღვროს ფასები ენერგომატარებლებზე. იგი ყოველდღიურად აქვეყნებს ყველა საბირჟო კვოტირებას ფასების ბიულეტინში Argus Crude Report ნავთობის ათეულობით სახის პროდუქციაზე. ამ კომპანიის კვოტირებები არის ნავთობპროდუქტებზე ფასების დადგენის საფუძველი, ასევე ნავთობის ბაზრის შეფასების ყოველდღიური მაჩვენებელი მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს მთავრობათათვის. კომპანიის ფასების ყოველდღიური ბიულეტინი შეიცავს ინფორმაციას საბითუმო, ფორვარდული (რეალურ საქონელზე მომავალში მიწოდებით) და ფიუჩერსულ (საწყობში არ არსებულ საქონელზე მომავალში მიწოდებით) გარიგებათა ფასების შესახებ. აქვე მოცემულია საბაზრო ფასების კონიუნქტურული მიმოხილვა და აშშ დოლარებში ერთი ბარელის (158 ლიტრი) ფასის მიხედვით ნავთობპროდუქტების ძირითადი მომწოდებელი რეგიონების მიხედვით ანალიზი.

<u>საანგარიშო ფასები</u> განისაზღვრება ცალკეული ქვეყნების ოფიციალური საბაჟო სტატისტიკის მონაცემების მიხედვით და ისინი შეიძლება იყოს საშუალო სტატისტიკური, საშუალო შეწონილი ან საშუალო ერთეულოვანი. საანგარიშო ფასები მიღებულია, გამოქვეყნებული საერთაშორისო ან ნაციონალური, გარიგების სტატისტიკური ღირებულების ფარდობით მის რაოდენობასთან ერთეული რაოდენობის პროდუქტისათვის (1 ცალი, 1 კგ., 1ტ.). საანგარიშო ფასები შესაძლებელია განისაზღვროს მსოფლიო სავაჭრო ნომენკლატურის პრაქტიკულად ყველა სახის საქონლისათვის. მათი საშუალებით დგინდება სასაქონლო ნომენკლატურის ნებისმიერი პროდუქტის საექსპორტო და საიმპორტო ღირებულების დონე, მათი შეფასებითი ფარდობითი მაჩვენებლები და მთლიანად იმპორტ–ექსპორტის ბალანსის მაჩვენებლები.

<u>ფაქტიური გარიგების ფასები</u> სპეციალური არხებით მიღებული, ან საინფორმაციო წყაროების მიერ გამოქვეყნებული ფაქტიურად შემდგარი კონტრაქტების, გარიგების ფასებია, რომლებიც შედარებით იშვიათად ქვეყნდება. მაგრამ არსებობს წყაროები, სადაც მათი მოძიება შესაძლებელია ერთ-ერთი მათგანია გერმანული გამოცემა "Preise" სადაც რეგულარულად ქვეყნდება საშუალო კონტრაქტული ფასები იმპორტირებული საქონლის 150 სახეობაზე. ასეთივე შესაძლებლობა არსებობს რუსეთის ბაზრის შესახებ შპს "სოფტ ლენდის" მონაცემთა ბაზაში (www. softland. ru) სადაც ქვეყნდება საშუალო კონტრაქტული ფასები.

ფაქტიური გარიგების ფასები, გარიგების ფორმისაგან დამოკიდებულებით, შეიძლება იყოს მიმდინარე ან გრძელვადიანი. ეს ფასები მიმდინარე საკონტრაქტო გარიგებისათვის საცნობარო, საპრეისკურანტო და შემოთავაზების ფასებზე 20–50%-ით ნაკლებია. გრძელვადიანი საკონტრაქტო ფასების ფორმირების სპეციფიკა ბაზრის განვითარების პერსპექტივაზეა გათვლილი, სადაც მხედველობაში მიიღება გამყიდველისა და მყიდველის ურთიერთობათა მდგრადობა და კონტრაგენტთა მხრიდან ამ ურთიერთობის სარგებლიანობა.

ფაქტიური გარიგების ფასებზე დამოკიდებულებით, ფასის დადგენა შესაძლებელია მყარი, თანამიმდევრული, მოძრავი და მცოცავი ფასების ფიქსაციის ხერხებით.

<u>შიგა საფირმო ფასები</u> სატარიფო ფასებია ფირმის ცალკეულ ქვეგანყოფილებებს ან ერთ ასოციაციაში შემავალ სხვადასხვა ფირმას შორის ეკონომიკური ურთიერთობისათვის. მათ ხშირად ტრანსფერტულ ფასებსაც უწოდებენ, იგი საბითუმო ფასების ნაირსახეობაა, როგორც წესი, ეს ფასები კომერციული საიდუმლოა.

<u>ნედლეულისა და სამრეწველო საქონლის საბაზრო ფასები</u> გამოირჩევა ფორმირების თავისებურებებით. მსოფლიო ფასები მათზე შეთავაზებისა და მოთხოვნის, დამოკიდებულებითაა განპირობებული., რომელსაც როგორც წესი პროდუქციის ძირითადი მომწოდებლები განსაზღვრავს.

<u>საბირჟო ფასები</u> სასაქონლო საჯარო ვაჭრობის ფასებია, რომლებიც საბირჟო ვაჭრობაზე ფიქსირდება. საბირჟო ვაჭრობა ნედლეულით ვაჭრობის გავრცელებული ფორმაა. სასაქონლო ბირჟა არის ერთგვაროვანი საქონლის მუდმივმოქმედ საბითუმო ბაზარი. ნედლეულის სასაქონლო ბირჟაზე მსოფლიო გარიგებათა 20% ხორციელდება. ნედლეულის არასაბირჟო წილის ფასებიც კვოტირების მიხედვით განისაზღვრება, ამას გარდა ბირჟა მოცემული საქონლის გარშემო არსებული ინფორმაციის (პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნიკური, ფინანსური) ცენტრიცაა.

საქონლის საბირჟო სახეობებია:

- ხორცი და ხორცპროდუქტები;
- მარცვლეული;
- ხე-ტყე;
- ბამბა;
- მატყლი;
- შავი და ფერადი ლითონი;
- ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები.

საბირჟო საქონელი სხვა სასაქონლო პროდუქციისაგან განსხვავებით ხასიათდება საერთო ნიშან-თვისებებით, მათ შორის:

- ერთგვაროვნებით (პარტიების ურთიერთშეცვლის თვალსაზრისით);
- საკლასიფიკაციო სტანდარტში განთავსების შესაძლებლობით;
- არ უნდა იყოს მალფუჭებადი;
- უნდა წარმოადგენდეს მასიური მოთხოვნისა და მიწოდების საქონელს;
- საქონლის მიწოდება უნდა სჭარბობდეს მოთხოვნილებას;
- ბირჟაზე მათი მიწოდება და მოთხოვნა პროგნოზირებადი უნდა იყოს.

საბირჟო ვაჭრობის ორგანიზებისას ფართოდ გამოიყენება სტანდარტიზაციის მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს წარდგენილი საქონლის ხარისხის, ზომის, მასის, გარეგნული სახის ერთგვაროვნებას.

საბირჟო ვაჭრობის ფასები არაერთგვაროვანია. მათი კლასიფიკაცია ხორციელდება გარიგების ხასიათის მიხედვით რეალურად (საწყობში საცავში, სატრანსპორტო საშუალებებზე) თუ ფაქტიურად (განთავსების ადგილის გარეშე) წარმოდგენილ საქონელზე. საბირჟო ფასი კლასიფიცირდება ასევე გარიგების პირობების მიხედვით, საბაზისო და კონკრეტული ხარისხის საქონლის მიხედვით. საბირჟო ფასი შეიძლება იყოს მყიდველის, გამყიდველის ან ე.წ. “Settlement” გამყიდველისა და მყიდველის საშუალო ფასი. კლასიფიცირებულია

ასევე საბირჟო ფასები მისი განსაზღვრის დროზე დამოკიდებულებით, რომელიც შეიძლება იყოს დაუყოვნებლივი ან შემდგომი ფიქსაციით.

გარიგების ხასიათის მიხედვით საბირჟო ფასების შემდგომი კლასიფიკაცია რეალურ და ფაქტიურ საქონელზე მოყვანილია 5.1 ცხრილში.

საბირჟო ფასები ქვეყნდება საინფორმაციო სააგენტო **"Roiter"**-ის ბეჭდური მედიის **"financial times", "The public ledger", "Комерсант"**-ის ასევე ინტერნეტის საშუალებით.

ცხრილი № 5.1

საბირჟო ფასების კლასიფიკაცია გარიგების ხასიათის მიხედვით

რეალური საქონელი		ფიქტიური საქონელი (განთავსების ადგილის გარეშე)	
დაუყოვნებლივი წარდგენით	მოთხოვნისთანავე მომავალში მიწოდებით	სასწრაფო გარიგება (ნავთობი, ნავთობპროდუქტი, კაკაო, ყავა)	ფიუჩერსული გარიგება **"FUTURE"**
"SPOT"	ითვალისწინებს შენახვის, დაზღვევის, საბროკერო, საკრედიტო ხარჯებს **"FORVARD"**		

<u>აუქციონის ფასები</u> არის სპეციალურად ორგანიზებულ ბირჟაზე საჯარო გაყიდვის ფასი. აუქციონი სპეციალიზებულია მკაცრად ინდივიდუალური ხასიათის მქონე რეალური საქონლის გაყიდვაზე. აუქციონზე საქონლის ნომენკლატურა შეზღუდულია. ძირითადად სააუქციონო ვაჭრობის საქონელი არის ბეწვეული, ჩაი, მატყლი, ყვავილები, კაუჩუკი, ტყავი, ანტიკვარიატი. ეს საქონელი სპეციფიკური ხასიათის მატარებელია, რაც სტანდარტიზაციას ნაკლებად ემორჩილება. აუქციონზე გამყიდველთა შედარებით დაბალი კონკურენტული გარემო, მყიდველთა მაღალ კონკურენტულ გარემოსთან განაპირობებს აუქციონის ფასების მაღალ დონეს.

<u>სამრეწველო პროდუქციის საბაზრო ფასის</u> ნაწილში, როგორც წესი გვევლინება მსხვილი მწარმოებლების საექსპორტო ფასები მოცემულ საქონელზე, რომლის საბაზრო ნიშნულიც შიგა საბაზრო ფასებია.

აღჭურვილობის კომპლექტის შეძენისას და სხვა სახის ობიექტებისათვის გავრცელებულია გენერალური საიჯარო პირობების ფასები, რომლებიც იწოდება მიწოდების პირობად ე.წ. "მზა წარმოებად", იგი გულისხმობს გამზადებულ, სრული საწარმოო ციკლისათვის მზად მყოფ საწარმოს ე.წ. "Производство под ключ". ასეთი სახის გარიგებისას კონტრაგენტი აბარებს დამკვეთს ობიექტს, რომელიც მზადაა ექსპლუატაციისათვის და რომლის გარიგების ფასიც მატერიალური აღჭურვილობის ღირებულების გარდა მოიცავს პროექტირების, კომპლექტაციის მიწოდების, მონტაჟის, გაშვება-გაწყობის, შენობის პროექტირებისა და აშენების, ასევე წარმოების ტექნოლოგიის გადაცემასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

<u>საჯარო ვაჭრობის ფასები</u>. საჯარო ვაჭრობა ყიდვა-გაყიდვაზე, ან იჯარაზე გარიგების დადების მეთოდია, რომლის დროსაც მყიდველი აცხადებს კონკურს გამყიდველებისათვის წინასწარ განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკური

მაჩვენებლების მქონე საქონელზე, რის შედეგადაც აფორმებს ხელშეკრულებას საუკეთესო სავაჭრო პირობების წარმომდგენ გამყიდველთან. ჩვეულებრივ, ასეთი ვაჭრობის დროს სატენდერო კომიტეტი (კომისია) იქმნება, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დარგისა და კომერციული ექსპერტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები. კომიტეტი ამუშავებს სატენდერო პირობებს, რომელშიც მითითებულია:

- სატენდერო საგნის დასახელება და რაოდენობა;
- ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები და პირობები;
- არბიტრაჟის, ჯარიმების, გარანტიების პირობები.

გამარჯვებულად ითვლება ის ორგანიზაცია, რომელიც უკეთესად შეძლებს დააკმაყოფილოს ტენდერის პირობები, როგორც ღირებულების, ასევე ვადების, გარანტირებული ხარისხისა და სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.

<u>კონკურენტული ფასწარმოქმნის</u> მექანიზმი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასის რეგულირების ძირითადი საშუალებაა. ეს მექანიზმი მოქმედებს მრავალი დამოუკიდებელი მწარმოებლის არსებობისას, როდესაც თითოეულს შეუძლია დააკმაყოფილოს პროდუქციაზე საერთო მოთხოვნილების მცირე ნაწილი, ამიტომ თითოეული მეწარმის გავლენა საქონლის ფასზე მინიმუმამდეა დაყვანილი. მწარმოებელთა შორის კონკურენციის მაღალი დონის გამო ისინი იძულებულნი არიან სარეალიზაციო ფასი მიიღონ, როგორც გარედან მოცემული პარამეტრი. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ <u>კონკურენტული ფასი ეს არის ისეთი საბაზრო ფასი, რომლის გაკონტროლება არ შეუძლია მის არც ერთ მონაწილეს</u>. კონკურენტული ფასის ზრდა, როგორც ცნობილია, გამოწვეულია საქონელზე მოთხოვნილების ზრდით,ხოლო შემცირება მოთხოვნილების შემცირებით, წარმოების ერთი და იგივე დონის პირობებში. ანუ

$$\Delta K == f\,(S-R)$$

სადაც: **ΔK** არის კონკურენტული ფასი გარკვეული **f** ფუნქციური დამოკიდებულების პირობებში;

S – მოთხოვნა საქონელზე;

R – საქონლის მიწოდება.

5.3. საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მსოფლიო პრაქტიკა

საერთაშორისო საბაჟო პრაქტიკაში, საბაჟო საზღვარზე, გადასახადების ოდენობის განსაზღვრის მიზნით გადაადგილებული საქონლის შეფასება, საბაჟო პროცედურების ერთ-ერთი რთული ოპერაციაა.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის მონაწილე ქვეყნების უმეტესობა საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ორი სისტემიდან "საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის უნიფიცირებული მეთოდოლოგიის კონვენციის" (ბრიუსელის კონვენცია), ან "ვაჭრობასა და ტარიფებზე გენერალური შეთანხმების " მეთოდიკებიდან ერთ-ერთს იყენებს.

ბრიუსელის კონვენციის მიხედვით, საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება, როგორც საქონლის ნორმალური ფასი, რაც გულისხმობს საქონლის ფასს, რომელიც დადგენილია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ გამყიდველსა და მყიდველს შორის თავისუფალი ბაზრის, სრული კონკურენციის

და მიწოდების **SIF** პირობებისას, საქონლის იმპორტიორი ქვეყნის საზღვრის გადაკვეთის ადგილას.

როგორც აღნიშნული იყო (თავი **III**), საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ექვსი მეთოდი არსებობს:

1. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა გარიგების ფასის მიხედვით;
2. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით;
3. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით;
4. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა საქონლის ერთეულის ფასის მიხედვით;
5. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა საქონლის შედგენილი ღირებულების მიხედვით;
6. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა სარეზერვო მეთოდის მიხედვით.

საბაჟო ღირებულება იმპორტირებულ საქონელზე გადახდილ ან გადასახდელ ფასთან ერთად მოიცავს:

- იმ ოდენობის ხარჯს, რაც გასწია მყიდველმა, მაგრამ არ ჩათვლილა საქონელში ნამდვილად გადახდილ ან გადასახდელ ფასში:
  - საკომისიო და საბროკერო ხარჯები, გარდა შესყიდვაზე გაწეული საკომისიო ხარჯებისა;
  - იმ კონტეინერების ღირებულება, რომლებიც შეფასებულ საქონელთან ერთობლიობაში საბაჟო მიზნებისათვის განიხილება;
  - შეფუთვის ღირებულება შრომისა და შესაფუთი მასალების ჩათვლით;
- იმპორტირებული საქონლის ტრანსპორტირების ღირებულება;
- დატვირთვის, გადმოტვირთვის და დამუშავების ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქართველოში იმპორტირებული საქონლის დანიშნულების ადგილზე ტრანსპორტირებისათვის;
  - დაზღვევის ღირებულება;

იმ საქონლის და მომსახურების პროპორციულად განაწილებული ღირებულება, რომელიც მყიდველის მიერ პირდაპირ, ან არაპირდაპირ მიეწოდება უფასოდ, ან ფასდაკლებით და რომელიც გამოიყენება იმპორტირებული საქონლის წარმოებისა და საექსპორტო გაყიდვასთან დაკავშირებით ისე, რომ ასეთი ღირებულება არ ჩათვლილა ნამდვილად გადახდილ, ან გადასახდელ ფასში:

ა) მასალები, ნაწილები, კომპონენტები და მსგავსი ელემენტები, რომლებიც ჩართულია იმპორტირებულ საქონელში;

ბ) იმპორტირებული საქონლის წარმოებისას გამოყენებული ინსტრუმენტები, შტამპები, ფორმები და მსგავსი ელემენტები;

გ) იმპორტირებული საქონლის წარმოებისას გამოყენებული მასალები;

დ) საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმოებული ინჟინერია, დამუშავება, საქონსტრუქტორო, და სამხატვრო-სადიზაინო საქმიანობა, მხაზველობითი სამუშაოები, გეგმები და ესკიზები, რომლებიც საჭიროა იმპორტირებული საქონლის წარმოებისათვის;

შესაფასებელ საქონელთან დაკავშირებული საავტორო ჰონორარი და სალიცენზიო გადასახადები, რომლებიც პირდაპირ, ან არაპირდაპირ უნდა გადაიხადოს მყიდველმა;

ნებისმიერი შემდგომი გაყიდვის მოგების ნაწილის ღირებულება, იმპორტირებული საქონლის გადაცემა, ან გამოყენება, რომელიც პირდაპირ, ან არაპირდაპირ ეკუთვნის გამყიდველს.

საბაჟო ღირებულების დადგენისას არ უნდა დაიშვას რეალურად გადახდილ, ან გადასახდელ ფასზე დამატება. თუ შეუძლებელია იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა გარიგების ფასის მიხედვით, საბაჟო ღირებულებად უნდა ჩაითვალოს იმ იდენტური საქონლის გარიგების ღირებულება, რომელიც საქართველოში იყო გაყიდული და საქართველოში იყო იმპორტირებული იმავე დროს, რაც შესაფასებელი საქონელი.

იდენტური საქონლის გარიგების ღირებულება უნდა გამოვიყენოთ იმავე კომერციულ დონეზე და იმავე რაოდენობით გაყიდვისას, რაც საჭიროა შესაფასებელი იდენტური საქონლის საბაჟო ღირებულების განსასაზღვრავად. თუ ასეთი გაყიდვა არ განხორციელდა, იდენტური საქონლის გარიგების ღირებულებას გამოიყენებენ, რომელიც სხვადასხვა კომერციულ დონეზე ან სხვადასხვა ოდენობით იყიდება.

იდენტური საქონელი ნიშნავს საქონელს, რომელიც ყოველმხრივ, ფიზიკური დახასიათების, ხარისხისა და რეპუტაციის ჩათვლით ერთნაირია. უბრალო გარეგნული განსხვავებები დაბრკოლებად არ უნდა ითვლებოდეს.

საქონელი შესაფასებელ საქონელთან მიმართებაში იდენტურად ჩაითვლება თუ ერთდროულად არსებობს შემდეგი საიდენტიფიკაციო ნიშნები: ერთნაირი ფიზიკური მახასიათებლები, ერთნაირი ხარისხი, ერთნაირი რეპუტაცია, ერთი და იგივე წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი პირი.

თუ შეუძლებელია იმპორტირებელი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა გარიგების ფასისა და იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდების მიხედვით, საბაჟო ღირებულებად უნდა ჩაითვალოს იმ მსგავსი საქონლის გარიგების ღირებულება, რომელიც საქართველოში გაყიდულ იქნა საექსპორტოდ და ამავე დროს საქართველოში ექპორტირებული იყო, როგორც იმპორტირებული საქონელი.

საბაჟო ღირებულების დასადგენად უნდა გამოვიყენოთ მსგავსი საქონლის გარიგების ღირებულება იმავე კომერციულ დონეზე და იმავე ოდენობით, რაც შესაფასებელი საქონელი. თუკი ასეთი გაყიდვა არ განხორციელდა, უნდა გამოვიყენოთ მსგავსი საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც სხვადასხვა კომერციულ დონეზე გაიყიდა და სხვადასხვა ოდენობით.

მსგავსი არის საქონელი, რომელიც ზუსტად ისეთი არ არის რაც შესაფასებელი საქონელი, მაგრამ აქვს მსგავსი მახასიათებლები და შემადგენელი ნაწილები, რომელთა საფუძველზეც ამ საქონელს საშუალება ეძლევა შეასრულოს იგივე სამუშაო და კომერციული თვალსაზრისით იყოს ურთიერთშემცვლელი. საქონლის ხარისხი, მისი რეპუტაცია და სავაჭრო ნიშნის არსებობა შედის იმ ფაქტორების სიაში, რომელთა განხილვაც საჭიროა საქონლის მსგავსების გასარკვევად.

საქონელი ჩაითვლება მსგავსად შესაფასებელ საქონელთან, თუ არსებობს საიდენტიფიკაციო ნიშნები: მსგავსი ფიზიკური მახასიათებლები, მსგავსი ხარისხი, მსგავსი რეპუტაცია, ერთი და იგივე წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი პირი, საქონელი არ ჩაითვლება "იდენტურად" ან "მსგავსად " საქონლად თუ იგი არ იყო წარმოებული იმავე ქვეყანაში, სადაც შესაფასებელი საქონელი.

6. საბაჟო საქმის სამართლებრივი საფუძვლები

6.1. საბაჟო სამართლის ცნება, საგანი, სისტემა

ადამიანთა ურთიერთობის უძველესი ფორმებიდან, როდესაც გარკვეული მიზნის მისაღწევად ჯგუფებად გაერთიანება დაიწყეს, ამ გაერთიანების შიგნით თითოეული ინდივიდისათვის შესასრულებლად აუცილებელი ქცევის ნორმები წარმოიშვა, რომელიც ამ გაერთიანებას ამჭიდროებდა დასახული მიზნის მისაღწევად, ანუ ეს ნორმები მართავდა ინდივიდის ქცევას გაერთიანების შიგნით, სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი უმრავლესობის ნებას გამოხატავდა. უმრავლესობის ნების გამომხატველი გაერთიანებები მოგვიანებით სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, ხოლო ქცევის წესებმა სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმების სახე მიიღეს, რომლის აღსრულებასაც სახელმწიფო უზრუნველყოფდა, რისთვისაც ფართოდ იყენებდა დასჯის, დარწმუნებისა და იძულებითი ღონისძიებების გამოყენების მეთოდებს.საზოგადოების წევრების უმრავლესობა სამართლებრივ ნორმებს ნებაყოფლობით ასრულებს, გრძნობენ რა მათ აუცილებლობას, უალტერნატივობასა და მიზანშეწონილობას, ხოლო საზოგადოების იმ ნაწილისათვის ვისთვისაც მიუღებელია ასეთი ნორმების დაცვა, სახელმწიფო ატარებს იძულებით ღონისძიებებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ **სამართალი არის სახელმწიფო ეკონომიკური წყობით განპირობებული საზოგადოების წევრთა წესების, ნორმების ერთობლიობა, რომელიც უმრავლესობის ნებას გამოხატავს. იგი დადგენილია სახელმწიფოს მიერ და მისი შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნებითა და სახელმწიფოებრივი იძულებით.**

საზოგადოების ინტერესებისა და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, სახელმწიფოში ინდივიდებს შორის მრავალი განსხვავებული ფორმისა და შინაარსის ურთიერთობები რეგულირდება სამართლის სხვადასხვა ფორმით, თუმცა მათ ახასიათებთ შეთანხმებულობა და გარკვეული ურთიერთკავშირი, რადგან ისინი საერთო სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საფუძველზეა აღმოცენებული. ასეთი სახის ურთიერთკავშირების მიუხედავად, მათ შორის არსებობს მკვეთრი განსხვავებანი, რაც მათი ცალკეულ დარგებად დაყოფის საშუალებას იძლევა, ერთგვაროვანი და სპეციფიკური ნიშნების მიხედვით. ამის გათვალისწინებით, განასხვავებენ სამოქალაქო, საფინანსო, ადმინისტრაციულ, შრომის, საოჯახო და სხვა სახის სამართლებრივ დარგებს. საბაჟო საქმიანობა, როგორც საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწეობის ერთ-ერთი სფერო, რეგულირდება სამართლის დარგით, რომელსაც **საბაჟო სამართალი** ეწოდება.

საბაჟო ორგანოები მონაწილეობს ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების მიერ შემუშავებული საბაჟო პოლიტიკის განხორციელებაში და მოქმედებს სახელმწიფოს სახელით. სახელმწიფოს მიერ დასახული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ამოცანის გადაწყვეტა, რაც გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვას, სოციალური და ფისკალური პროგრამების განხორციელებას, ასევე საბაჟო პოლიტიკის გატარებით, ქვეყნის გლობალური პოლიტიკის უზრუნველყოფას მოითხოვს საბაჟო სამსახურების მჭიდრო ურთიერთობას სახელმწიფოს სხვა სტრუქტურებთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, საქართველოსა და სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან და მათ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან. ასეთი მრავალმხრივი ურთიერთობები გარდა მორალური და ზნეობრივი ნორმებისა, რეგულირდება საქრთველოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი და სანქცირებული ორასზე მეტი

საკანონმდებლო აქტით, საერთაშორისო კონვენციით, ხელშეკრულებითა და შეთანხმებით. ასევე ამ საკანონმდებლო აქტების საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, დებულებებით, ინსტრუქციებითა და წესებით, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, ფინანსთა მინისტრისა და სხვა მინისტრების ბრძანებით.

მრავალმხრივი ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, მიუთითებს, რომ საბაჟო სამართალი არის კომპლექსური ცალკე დამოუკიდებელ დარგი, რომელსაც სპეციფიკური და ერთგვაროვანი საკუთარი რეგულირების საგანი გააჩნია, საბაჟო ურთიერთობების სახით, მით უმეტეს, რომ ცნობილია დარგობრივი სამართლის ისეთი ფორმები როგორიცაა: კორპორაციული (სამეწარმეო) , კომერციული, სავაჭრო, საფინანსო, სადაზღვევო, საბანკო, სატრნსპორტო, კოსმოსური და სამართლის სხვა დარგები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ: **საბაჟო სამართალი არის სპეციფიკური სფეროს მარეგულირებელი შიგა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებისა და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც ქვეყანაში აწესრიგებს საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს**.

ისტორიულად, ერთგვაროვან ურთიერთობათა, დაჯგუფებული სამართლებრივი ნორმებით რეგულირება, ნებისმიერი სამართლის სფეროს დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბების ძირითადი საფუძველია.

სამართლის დარგი ეწოდება სახელმწიფოში მოქმედ იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც აწესრიგებს საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთ რომელიმე მხარეს, – ერთ განსაზღვრულ (ერთგვაროვან ურთიერთობათა) სფეროს.

სამართლის დარგების გამოყოფა ეფუძნება სამართლებრივი რეგულირების საგანს, მისი შესწავლისა და გამოკვლევის ობიექტს, მის როლს, დანიშნულებასა და ადგილს სამართლებრივ სისტემაში. საბაჟო სამართალს ისევე როგორც სამართლის სხვა დარგებს თავისი საგანი გააჩნია, რომლებიც შეიძლება კლასიფიცირებული იქნეს შემდეგ ჯგუფებად:

- ურთიერთობები საბაჟო პოლიტიკის სფეროში;
- საბაჟო საზღვრის გადაკვეთის ზედამხედველობისა და საბაჟო დამუშავებისას წარმოშობილი ურთიერთობები;
- საბაჟო სატარიფო რეგულირებასთან დაკავშირებული ურთიერთობები;
- ურთიერთობები საბაჟო კონტროლის სფეროში;
- ურთიერთობები საბაჟო შეღავათების გავრცელების სფეროში;
- საბაჟო სტატისტიკისა და სასაქონლო ნომენკლატურასთან წარმოშობილი ურთიერთობები;
- საბაჟო კანონმდებლობის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ურთიერთობები.

საბაჟო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები, ბუნებრივია ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, თუმცა მათ შორის არსებობს გარკვეული შეთანხმებულობა და ურთიერთკავშირი, სწორედ მათი ერთიანობა ქმნის საბაჟო სამართლის სისტემას, რომელსაც დამოუკიდებელი შინაგანი სტრუქტურა გააჩნია, რითაც ხორციელდება მათი სპეციფიკურ ნაწილებად დაყოფა. საბაჟო სამართლის სტრუქტურა ზოგადი, განსაკუთრებული და სპეციალური ნაწილებისაგან შედგება.

ზოგადი ნაწილი გულისხმობს საბაჟო სამართლის, მისი ადგილის, სისტემის, საგნის, პრინციპების ცნებებს და რაობას.

განსაკუთრებულ ნაწილში ჩამოყალიბებულია საბაჟო საზღვრის გადაკვეთის პრინციპები, საბაჟო რეჟიმების სახეობანი, საბაჟო გადასახდელების, გაფორმების, კონტროლის, სტატისტიკასა და სასაქონლო ნომენკლატურასთან, სამართალდარღვევებთან დაკავშირებული საკითხები.

სპეციალურ ნაწილი შეეხება საერთაშორისო საბაჟო ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებს.

საბაჟო სამართალში გამოყოფენ ფუძემდებლურ პრინციპებს, რომელთა რეალიზაცია ქვეყნის საბაჟო საქმიანობის განმსაზღვრელი ფაქტორია, მათ შორის:

კანონიერების პრინციპი გულისხმობს ქვეყანაში საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობების რეგულირებას, რომელიც საქართველოს კონსტიტუციას ეფუძნება და საბაჟო კოდექსისაგან და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან შედგება, ასევე საქართველოს კონსტიტუციასთან სრულ თანხვედრაში მყოფ პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო სამართლებლივი ნორმებისაგან.

მხოლოდ საბაჟო კოდექსი აწესრიგებს საბაჟო ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც ეხება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთის, გაფორმებისა და კონტროლის პირობებს, გადასახადების დარიცხვისა და გადახდის პროცედურებს.

დემოკრატიზმის პრინციპი საბაჟო ურთიერთობების სფეროში ნიშნავს ამ ურთიერთობებში მონაწილე ყველა სუბიექტისათვის სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის უზენაესობის უფლების გარანტირებულ აღსრულებას საქართველოს კონსტიტუციის მე–14 მუხლის თანახმად.

ერთიანი საბაჟო პოლიტიკისა და რეგულირების პრინციპი არის საბაჟო სამართლის მთავარ მიმართულება და იგი განიხილება, როგორც საქართველო პარლამენტის მიერ განსაზღვრული ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი.

ეროვნული სამართლებრივი ნორმების საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაციის პრინციპი გულისხმობს ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებთან ფართო ინტეგრაციას, რაც ითვალისწინებს ეროვნული საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას.

6.2. საერთაშორისო საბაჟო სამართალი

უძველესი დროიდან მსოფლიოს ხალხთა მისწრაფება პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა სახის ურთიერთობათა გაუმჯობესების მიზნით დაემყარებინათ ქვეყნებს შორის სახელმწიფოთაშორისი კავშირები მათ შორის ინტეგრაციული პროცესების ჩასახვის საფუძვლად შეიძლება განვიხილოთ. უძველესი საგარეო ურთიერთობებიც კი მხარეთა შორის სათანადო წესით გაფორმებული შეთანხმებებით რეგულირდებოდა, სადაც საკმაოდ მკაფიოდ იყო დადგენილი მხარეთა უფლება–მოვალეობები, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილი იყო მხარეთა მიერ, ან მესამე მხარის ან მხარეთა ჯგუფის მიერ. ასეთი სახის ხელშეკრულებებით (შეთანხმებებით, კონვენციებით) დადგენილი ქცევის წესები წარმოადგენდნენ საერთაშორისო სამართლის ქცევის ნორმებს. სახელმწიფოთა განვითარების კვალობაზე იხვეწებოდა და ღრმავდებოდა საგარეო ურთიერთობები და შესაბამისად ამ ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები.

ნაციონალური სამართლებრივი ნორმებისაგან განსხვავებით საერთაშორისო სამართალს ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი:

- საერთაშორისო სამართლის სუბიექტი მხოლოდ სახელმწიფოა;
- საერთაშორისო სამართლის ნორმებით რეგულირდება მხოლოდ სახელმწიფოს მთავრობათაშორისი ურთიერთობები;
- საერთაშორისო სამართლის ძირითად ობიექტად მხოლოდ სახელმწიფოს ქმედება გვევლინება ან თავის შეკავება ქმედებისაგან, აგრეთვე სახელმწიფო ტერიტორია.

საერთაშორისო სამართალი შეიძლება განისაზღვროს, როგორც სახელმწიფოთა, ან საერთაშორისო სხვა სუბიექტთა შეთანხმების შედეგად დადგენილი ქცევის წესი, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია ამ სახელმწიფოების ან სხვა სუბიექტების მიერ ინდივიდიალურად, ან კოლექტიურად.

საერთაშორისო სამართლის წყარო არის სახელმწიფოთაშორისი ან საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტებს შორის მიღწეული შეთანხმება. აქვე უნდა აღინიშნოს საერთაშორისო სამართლის ისეთი ფორმის შესახებ, როგორიცაა საერთაშორისო- სამართლებრივი ჩვეულება, ანუ საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე ჩამოყალიბებული, დაუწერელი ქცევის წესი, რომელსაც მხარეები იყენებენ, ან აცხადებენ ოფიციალური დეკლარაციით თავის სურვილით, "კეთილი ნების" გამოსახატავად. საერთაშორისო სამართლის თეორიაში ცნობილია აგრეთვე ამ სფეროს დამხმარე წყაროების შესახებ, რომელსაც მიეკუთვნება სხვა სახელმწიფოების მიერ აღიარებული შიგა სახელმწიფოებრივი კანონები, ზოგიერთ შემთხვევაში მათ მიეკუთვნება აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების დადგენილებებს, სასამართლო პრეცედენტებსა და მოცემულ სფეროში მოღვაწე მეცნიერთა შრომები.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ საერთაშორისო "ზოგადი", ან "საჯარო" სამართლი იყოფა შემდეგ დარგებად:

- საერთაშორისო სისხლის სამართალი;
- საერთაშორისო ცივილური (ჰუმანიტარული) სამართალი;
- საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი;
- საერთაშორისო კერძო სამართალი;
- საერთაშორისო ეკონომიკური სამართლი;
- საერთაშორისო დიპლომატიური და საკონსულო სამართალი;
- საერთაშორისო საზღვაო სამართალი;
- საერთაშორისო საჰაერო სამართალი;
- საერთაშორისო კოსმოსური სამართალი და სხვა.

საერთაშორისო კერძო სამართალი, რომელსაც კონფლიქტურ სამართალსაც უწოდებენ, აწესრიგებს საერთაშორისო ფაქტობრივ გარემოებებს, ადგენს, თუ რომელმა საერთაშორისო და ეროვნულმა კოლიზიურმა სამართალმა უნდა გადაწყვიტოს კონკრეტული საქმე. გარდა ზემოაღნიშნულისა იგი აწესრიგებს არასახელმწიფოთაშორის სავაჭრო-ეკონომიკურ, სამეცნიერო–ტექნიკურ, ფულად–საკრედიტო, აგრეთვე პირად-ქონებრივ, საოჯახო, შრომით და სხვა ურთირთობებს. ამ თვალსაზრისით შეიძლება საერთაშორისო საჯარო სამართალის დაყოფა ქვედარგებად:

- საერთაშორისო სავაჭრო სამართლი;
- საერთაშორისო სამრეწველო სამართლი;
- საერთაშორისო სატრანსპორტო სამართლი;
- საერთაშორისო საბაჟო სამართლი;
- საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო სამართლი;
- საერთაშორისო ინტელექტუალური სამართლი.

საერთაშორისო და შიგასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმები დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემებია. ისინი განსხვავდება როგორც მიღების წესით და რეგულირების ობიექტით, ასევე აღსრულების მექანიზმით. შიგასახელმწიფოებრივი ნორმები მიიღება ქვეყნის შესაბამისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ, მაშინ, როდესაც საერთაშორისო სამართლის ნორმები დგინდება სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების შედეგად. მიუხედავად მათ შორის არსებითი განსხვავებისა, ისინი აუცილებლად ურთიერთშეთანხმებული და დაბალანსებული აქტებია.

საქართველოს კონსტიტუციის მე–6 მუხლის შესაბამისად "საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას' თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიგასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ". ასე მაგალითად, საქართველოს მთელ რიგ ქვეყნებთან დადებული აქვს ხელშეკრულებები "თავისუფალი ვაჭრობის შესახებ" რომელიც ითვალისწინებს საბაჟო გადასახდელისაგან განთავისუფლებას, თუ საქონელი წარმოშობილია ერთ-ერთ ხელშემკვრელ ქვეყანაში. საქართველოს კანონმდებლობა ასეთ განთავისუფლებას არ ითვალისწინებს და შესაბამისად მოქმედებს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა, ანუ ამ შემთხვევაში საერთაშორისო ხელშეკრულება "თავისუფალი ვაჭრობის შესახებ".

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების უპირატესობას შიგასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის, საგადასახადო და საბაჟო კოდექსები და სხვა საკანონმდებლო აქტები. ანალოგიური სახის საკანონმდებლო ინიციატივა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უმაღლესი სამართლებრივი საკანონმდებლო დოკუმენტითაა აღიარებული, რის საფუძველზედაც შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები არეგულირებენ, როგორც სახელმწიფოთაშორის წარმოქმნილ ურთიერთობებს, ასევე გარკვეულ შემთხვევაში შიგასახელმწიფოებრივ სფეროს მრავალ მიმართულებას.

საერთაშორისო საბაჟო სამართლის უმთავრეს წყარო არის სახელმწიფოთაშორისი უნივერსალური ხელშეკრულებები, რომელთაც უპირველესად მიეკუთვნება 1950 წლის კონვენცია "საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს შექმნის შესახებ", 1973 წლის კიოტოს კონვენცია საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ, 1977 წლის ნაირობის კონვენცია "საბაჟო სამართალდარღვევების აღკვეთის, გამოძიებისა და დასჯის მიზნით ადმინისტრაციული დახმარების შესახებ".

გარდა უნივერსალური ხელშეკრულებებისა, საბაჟო საქმიანობის სფეროში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები რეგულირდება ასევე ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების მიღებული სამართლებრივი ნორმებით, როგორიცაა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და სხვა რეგიონალური ორგანიზაციები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **საერთაშორისო საბაჟო სამართალი არის სახელმწიფოთა ან საერთაშორისო სამართალის სხვა სუბიექტების შეთანხმების შედეგად დადგენილი ქცევის წესი, რომელიც აწესრიგებს საბაჟო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.**

ლიტერატურა

1. ვ. ქარუმიძე. ავტორთა კოლექტივთან. საბაჟო საქმე. თბ., 2000.
2. ე. ჯგერენაია. საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები. თბ., 2002.
3. Маркировка и сертификация товаров и услуг. Федько В.П., Альбеков А.У., Ростов-на-дону, изд-во «феникс», 1998.
4. გ. ურიდია, ფ. რუხაია, მ. არახამია. საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) – კარნეტის პრინციპებით, თბ., 2004.
5. http://www.miripravo.ru
6. ნ.აბელაშვილი. საბაჟო ურთიერთობები. "ტექნიკური უნივერსიტეტი", 2006.
7. ი.ზედგინიძე, ნ.ბერაია. მეტროლოგიური ექსპერტიზა. "ტექნიკური უნივერსიტეტი", 2008.
8. საქართველოს საბაჟო კოდექსი, www.parliament.ge/
9. ზ.ამილახვარი. საქართველოს საბაჟო სამართალი. საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, თბილისი 2007.
10. Веретенов А.А. Кузьминов Н.Н. Таможния и страхование (спровочник). «АНКИЛ», Москва, 1999г.
11. Сертификация при ввозе-вывозе товаров. Таможенный алманах №6, Москва 2000.
12. ნ.აბელაშვილი. ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვები. "ტექნიკური უნივერსიტეტი", 2006.
13. Кочинев Ю.Ю. Планирование аудита, «Питер», 2006.
14. Основы таможенного дела. Под ред. В.Г.Дроганова, Москва, «Экономика», 1998.
15. Жиряева Е.В. Экспертиза в таможенном деле и международной торговле, , «Питер», 2003.
16. http://www.cera_adrc.ge.ca
17. http://www.moarcc.ariS.ru
18. http://www.omsknet.ru
19. http://www.uame.com.ua
20. http://www.reuters.com/finance/markets
21. http://www.ft.com/uk/markets
22. http://www.kommersant.ru/rubric.aspx?NodesID=4